https://www.facebook.com/groups/ElBiblioteka/

ჰარი პოტერი

და აზკაბანის ტყვე

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჯ. კ. როულინგი

ჰარი ფოტერი

და

აზკაბანის ტყვე



წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

ინგლისურიდან თარგმნა

დავით გაბუნიამ

გაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

თავი პირველი

ბუს ფოსტა

ჰარი პოტერი ძალიან უცნაური ბიჭი იყო. ჯერ ერთი, ყველაზე მეტად ზაფხულის არდადეგები ეჯავრებოდა; მეორეც, მართლა გულით უნდოდა საშინაო დავალების შესრულება, მაგრამ იძულებული ხდებოდა, ყველასგან მალულად, გვიან ღამით საწოლში ეკეთებინა. გარდა ამისა, ჰარი პოტერი ჯადოქარიც იყო.

ერთხელაც, თითქმის შუაღამისას, ჰარის საბანი კარავივით წაეფარებინა თავზე, ბალიშზე ტყავისყდიანი წიგნი, ბათილდა ბეგშოთის „მაგიის ისტორია“ გადაეშალა, ცალ ხელში ფარანი ეჭირა, მეორეში არწივის ფრთა მოემარჯვებინა და შუბლშეჭმუხნილი სტრიქონებს აყოლებდა, საჭირო ციტატებს ეძებდა თემისთვის: „ჰქონდა თუ არა აზრი ჯადოქრების დაწვას მეთოთხმეტე საუკუნეში“.

უცებ არწივის ფრთა ერთ-ერთ აბზაცთან შეაჩერა, სათვალე შეისწორა, ფარანი წიგნთან ახლოს მიიტანა და ამოიკითხა:

„არაჯადოქრული საზოგადოების წარმომადგენლებს, რომელთაც ხშირად „მაგლებადაც“ მოიხსენიებენ, შუა საუკუნეებში განსაკუთრებით ეშინოდათ ჯადოქრებისა, თუმცა მათი ამოცნობა ნაკლებად ეხერხებოდათ. იმ უიშვიათეს შემთხვევებშიც კი, როცა მაგლები ნამდვილ ჯადოქარს ჩაიგდებდნენ ხოლმე ხელში, მათ დაწვას მაინც არანაირი აზრი არ ჰქონდა. ჯადოქარი ცეცხლის გამყინავ შელოცვას ასრულებდა და შემდეგ ვითომ სიმწრისგან ყვიროდა, სინამდვილეში კი მხოლოდ ღიტინის მსგავს სასიამოვნო შეგრძნებას განიცდიდა.

როგორც ჩანს, ვენდელინ უცნაურას იმდენად მოსწონდა კოცონზე დაწვა, რომ ხშირად იცვლიდა გარეგნობას და მაგლებს, სულ ცოტა, ორმოცდაშვიდჯერ დააჭერინა თავი“.

ჰარიმ არწივის ფრთა კბილებში გაირჭო და სამელნისა და პერგამენტის გამოსაღებად ბალიშის ქვეშ შეყო ხელი. შემდეგ სამელნეს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ფრთხილად მოხსნა თავსახური, შიგ ფრთა ჩააწო და წერას შეუდგა. თან დროდადრო ჩერდებოდა და აყურადებდა; ტუალეტში მიმავალ დერსლებს კალმის წრიპინი რომ გაეგოთ, მთელ ზაფხულს კიბის ქვეშ, საკუჭნაოში გამოამწყვდევდნენ.

პრივიტ დრაივის ოთხ ნომერში მცხოვრები დერსლების წყალობით ჰარის ზაფხულის არდადეგები ყოველთვის ჩამწარებული ჰქონდა. ძია ვერნონის, დეიდა პეტუნიასა და მათი შვილის, დადლის გარდა, ჰარის სხვა ნათესავები არ ჰყავდა. ისინი კი მაგლები იყვნენ და ჯადოქრობის მიმართაც შუასაუკუნეობრივი დამოკიდებულება ჰქონდათ. დერსლების სახლში ჰარის გარდაცვლილ ჯადოქარ მშობლებს არასოდეს ახსენებდნენ. დეიდა პეტუნია და ძია ვერნონი კარგა ხანს დარწმუნებულები იყვნენ, თუ ჰარის მკაცრად მოექცეოდნენ, ჯადოქრობას უნარს დაკარგავდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. თანაც შიშისგან კანკალებდნენ, ვაითუ, ვინმემ გაიგოს, რომ ორი წელია, ჰოგვორტსის მაგიისა და ჯადოქრობის სკოლაში სწავლობსო. ერთადერთი, რაც მოახერხეს, ის იყო, რომ ჰარის სახელმძღვანელოები, ჯოხი, ქვაბი და მფრინავი ცოცხი არდადეგების დაწყებისთანავე საკუჭნაოში ჩაკეტეს და ბიჭს მეზობლებთან ლაპარაკი აუკრძალეს.

სახელმძღვანელოების გარეშე ჰარი, რა თქმა უნდა, ვერ შეასრულებდა უამრავ დავალებას, რომლებიც ჰოგვორტსის მასწავლებლებმა მისცეს არდადეგებზე. ერთი, ყველაზე რთული დავალება, ყველაზე საძულველმა მასწავლებელმა, პროფესორმა სნეიპმა მისცა: უნდა დაეწერა თხზულება შემამცირებელი სასმელის შესახებ. თუ არ დაწერდა, სნეიპი მკაცრად დასჯიდა.

ერთ დღეს ძია ვერნონი, დეიდა პეტუნია და დადლი ეზოში ჩავიდნენ, რათა ძია ვერნონის ახალი სამსახურეობრივი მანქანით დამტკბარიყვნენ და მეზობლების გასაგონად ხმამაღლა გამოეხატათ თავიანთი აღტაცება. ჰარიმ დრო იხელთა, საკუჭნაო გააღო, რამდენიმე სახელმძღვანელო გამოიტანა და თავის ოთახში გადამალა. მას შემდეგ ღამღამობით მეცადინეობდა. თუ ზეწარს მელნით არ დაალაქავებდა, დერსლები ამ ამბავს ვერასოდეს გაიგებდნენ. ჰარის არ უნდოდა, ძია და დეიდა კიდევ უფრო გაებრაზებინა. ისინი ისედაც გამწყრალები იყვნენ იმის გამო, რომ არდადეგების დაწყებისთანავე ჰარის მეგობარმა ჯადოქარმა დაურეკა.

რონ უისლი, ჰარის ერთ-ერთი საუკეთესო ჰოგვორტსელი მეგობარი, ჯადოქრების ოჯახში დაიბადა. ამიტომ, ჰარისგან განსხვავებით, ჯადოქრების სამყაროზე ბევრი რამ იცოდა, მაგრამ მაგლური ტელეფონით მანამდე არასოდეს დაერეკა. საუბედუროდ, ყურმილი ძია ვერნონმა აიღო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ვერნონ დერსლი გისმენთ!

ამ დროს ჰარი ოთახში იყო და რონის ხმის გაგონებაზე ადგილზე გაშეშდა.

– ალო! ალო! გესმის ჩემი? ჰარი პოტერი მინდოდა!

რონი ისე ღრიალებდა, რომ შემკრთალმა ძია ვერნონმა ყურმილი შორს დაიჭირა და აღშფოთებით მიაჩერდა.

– რომელი ხარ?! – დაუყვირა მთელი ხმით.

– რონ უისლი! – ისე დაუღრიალა რონმა, გეგონებოდათ, სტადიონის სხვადასხვა მხარეს დგანან და ერთმანეთს ისე ელაპარაკებიანო, – ჰარის კურსელი ვარ, მისი სკოლის მეგობარი!

ძია ვერნონმა დაწვრილებული თვალები ავად მიანათა გახევებულ ჰარის.

– ჰარი პოტერი აქ არ ცხოვრობს, – ჩაჰყვირა ყურმილში და ისევ მოშორებით დაიჭირა, თითქოს, ეშინოდა, არ აფეთქდესო, – არ მესმის, რომელ სკოლაზე ლაპარაკობ! მეტს ნულარ შემაწუხებ! ჩემს ოჯახს თავი დაანებე! – და ყურმილი ისე დაახეთქა, გეგონებოდა, შხამიანი ობობა ყოფილიყოს.

ამ ზარს საშინელი ჩხუბი მოჰყვა.

– როგორ გაბედე... როგორ გაბედე, შენნაირებისთვის მიგეცა ჩვენი ტელეფონის ნომერი! – ცოფებს ყრიდა ძია ვერნონი.

რონი, როგორც ჩანს, მიხვდა, რომ ჰარი ცუდ დღეში ჩააგდო და მეორედ აღარ დაურეკავს. ჰარის არც მეორე ჰოგვორტსელი მეგობარი, ჰერმიონ გრეინჯერი შეხმიანებია. ჰარიმ იფიქრა, ალბათ რონმა გააფრთხილა, არ დაურეკოო. არადა, ჰერმიონს, რომელიც ჰარის კურსელებს შორის ყველაზე გონიერი იყო, მაგლი მშობლები ჰყავდა და მშვენივრად იცოდა, როგორ ესარგებლა ტელეფონით, თან საიმისო ჭკუაც ეყოფოდა, არ ეთქვა, ჰოგვორტსში ვსწავლობო.

მთელ ხუთ კვირას ჰარის თავისი ჯადოქარი მეგობრებისგან არაფერი სმენოდა და ეს ზაფხულიც, როგორც ჩანს, თითქმის ისეთივე საშინელი იქნებოდა, როგორიც წინა. თუმცა, შარშანდლისგან განსხვავებით, ერთი კარგი რამ მაინც მოხდა: მას შემდეგ, რაც დაიფიცა, მეგობრებს წერილებს არ გავუგზავნიო, დერსლებმა ნება დართეს, ჰედვიგი ღამღამობით გალიიდან გამოეშვა. მთელ დღეს გალიაში ჩამწყვდეული ბუ ისე ხმაურობდა, ძია ვერნონი იძულებული გახდა, ამ დათმობაზე წასულიყო.

ჰარი ვენდელინ უცნაურას შესახებ წერას მორჩა და ისევ სმენად იქცა. ჩაბნელებულ სახლში სიჩუმეს ჰარის მსუქანა დეიდაშვილის, დადლის ხვრინვა არღვევდა. ძალიან გვიანი იყო. ჰარის დაღლილობისგან თვალები ეწვოდა. თემას ხვალ დავამთავრებო, გაიფიქრა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სამელნეს თავი დაახურა, ადგა, საწოლის ქვემოდან ძველი ბალიშის პირი გამოიღო, ფარანი, „მაგიის ისტორია“, თემა, არწივის ფრთა და სამელნე შიგ ჩააწყო და ეს ყველაფერი საწოლის ქვეშ, იატაკის ამოვარდნილი ფიცრით დაფარულ ორმოში ჩამალა. მერე წამოდგა, გაიზმორა და მანათობელ მაღვიძარას შეხედა. ღამის პირველი საათი იყო. უცებ ჰარის მუცელი უცნაურად აუწრიალდა. როგორ დაავიწყდა, ერთი საათის წინ ცამეტი წლის გახდა!

ჰარის კიდევ ერთი უცნაური თვისება ჰქონდა – საკუთარი დაბადების დღეები არ უყვარდა. რა სიყვარულზეა ლაპარაკი, როცა თავის დღეში მისალოცი ბარათიც კი არ მიუღია. ბოლო ორი წელი დერსლებს მისი დაბადების დღე საერთოდ არ გახსენებიათ და ალბათ ახლაც არ გაახსენდებოდათ.

ოთახში ბნელოდა. ჰარიმ ჰედვიგის ცარიელ გალიას ჩაუარა, ღია ფანჯარასთან მივიდა და რაფას ჩამოეყრდნო. საბნის ქვეშ ჩახუთულს გრილი ნიავი ესიამოვნა. ჰედვიგი ორი დღეა, არ გამოჩენილა. ჰარი ამაზე დიდად არ ნერვიულობდა, იმიტომ რომ ბუ ხშირად იქცეოდა ასე, მაგრამ ერთი სული ჰქონდა, როდის დაბრუნდებოდა, რადგან ამ სახლში, მის გარდა, ყველანი ამრეზით უყურებდნენ.

ჰარი თავისი ასაკისთვის საკმაოდ პატარა და გამხდარი იყო, მაგრამ გასულ წელს სიმაღლეში მოიმატა. კუპრივით შავი თმა, როგორც ყოველთვის, გაჩეჩილი ჰქონდა და ვერაფერს უხერხებდა. სათვალის მიღმა მწვანე თვალები უელავდა, შუბლზე კი წვრილი, ელვასავით გაკლაკნილი ნაიარევი აჩნდა.

ჰარის უცნაურობებს შორის ეს ნაიარევი ყველაზე უჩვეულო რამ იყო. დერსლები ათ წელიწადს ატყუებდნენ, შენი მშობლები ავტოკატასტროფაში დაიღუპნენ და ნაიარევიც მაშინ დაგრჩაო, მაგრამ ლილი და ჯეიმს პოტერები კატასტროფაში არ დაღუპულან. ისინი თავისი დროის ყველაზე საშინელმა ბოროტმა ჯადოქარმა, ლორდმა ვოლდემორმა დახოცა. ჰარი ამ თავდასხმას სასწაულებრივად გადაურჩა, მხოლოდ ნაიარევი დარჩა შუბლზე; ვოლდემორს კი წყევლა უკან დაუბრუნდა და ცოცხალმკვდარმა გაქცევით უშველა თავს...

შემდეგ ჰარი მას ორჯერ შეხვდა პირისპირ და ახლა, ღია ფანჯარასთან მდგომმა, მეორე შეხვედრის გახსენებაზე ისიც კი გაიფიქრა, მადლობელი უნდა ვიყო, ცამეტ წლამდე რომ მივაღწიეო. მერე ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ახედა, იქნებ ჰედვიგი დავინახო, ალბათ ნისკარტით თაგვს მოიტანს და ამაყად გაიფხორებაო, მაგრამ ჰედვიგი არსად ჩანდა. თუმცა, უცებ ისეთ რაღაცას მოჰკრა თვალი, რომ გაშეშდა. ყვითლად მოელვარე მთვარის ფონზე უცნაური არსება გამოჩნდა, რომელიც ფრთების ტყლაშუნით მისკენ მოფრინავდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარი გაოგნებული იდგა და თვალს ვერ აშორებდა. წამით შეყოყმანდა, ფანჯრის მიხურვაც კი დააპირა, მაგრამ ამასობაში უცნაური არსება ქუჩის ერთ-ერთმა ლამპიონმა გაანათა. ჰარი ყველაფერს მიხვდა და გვერდზე გახტა.

ფანჯარაში სამი ბუ შემოფრინდა. ორს მესამე მოჰყავდა. როგორც ჩანს, ეს მესამე უგონოდ იყო. ფრთხილად დაეშვნენ ჰარის საწოლზე. დიდი, რუხი ბუ დაბარბაცდა და უძრავად გაიშოტა. ფეხებზე მოზრდილი ფუთა ჰქონდა გამობმული.

ჰარიმ მაშინვე იცნო უისლების ბუ – ეროლი. საწოლთან მიირბინა, ბუს ფუთა მოხსნა და ჰედვიგის გალიაში ჩასვა. ეროლმა ცალი თვალი ძლივს გაახილა, მადლობის ნიშნად სუსტად წამოიკივლა და ხარბად დაეწაფა წყალს.

ჰარი დანარჩენებს მიუბრუნდა. ერთ-ერთი, დიდი თეთრი დედალი ბუ, მისი ჰედვიგი იყო. ჰედვიგსაც ფუთა ეჭირა და კმაყოფილი გამომეტყველება ჰქონდა. როცა ჰარიმ ტვირთი მოხსნა, ბუმ მადლობის ნიშნად მსუბუქად ჩაუნისკარტა და ეროლთან მიფრინდა.

ჰარიმ მესამე ბუ ვერ იცნო. საოცრად ლამაზ ჭრელ ფრინველს ფუთა და ჰოგვორტსის ბეჭდიანი კონვერტი ეჭირა. აი, თურმე საიდან ყოფილა! როცა ჰარიმ ტვირთი ჩამოხსნა, ბუმ ამაყად გაშალა ფრთები და მაშინვე ბნელ ღამეში გაუჩინარდა.

ჰარი საწოლზე ჩამოჯდა, ეროლის ფუთას დასწვდა და შიგ ოქროსფერ ქაღალდში გახვეული საჩუქარი და ცხოვრებაში პირველი მისალოცი ბარათი აღმოაჩინა. აკანკალებული ხელით გახსნა კონვერტი, რომლიდანაც წერილი და გაზეთის ამონაჭერი გადმოცვივდა.

ეს ამონაჭერი აშკარად ჯადოქრების გაზეთიდან, „დილის მისნიდან“ უნდა ყოფილიყო, რადგან შავ-თეთრ სურათზე გამოსახული ხალხი მოძრაობდა. ჰარიმ დაჭმუჭნილი ფურცელი გაასწორა და წაიკითხა:

„მაგიის სამინისტროს თანამშრომელმა ლატარიაში თანხა მოიგო“

არტურ უისლიმ, მაგიის სამინისტროს მაგლური ნივთების არამიზნობრივი გამოყენების დეპარტამენტის თავმჯდომარემ, „დილის მისნის“ ყოველწლიური ლატარიის, „ოქროს გალეონის“ ჯეკპოტი მოიგო.

გახარებულმა ბატონმა უისლიმ „დილის მისნის“ კორესპონდენტს განუცხადა: „მოგებული ფულით ზაფხულში ეგვიპტეში წავალთ. იქ ჩვენი უფროსი ვაჟი, ბილი, გრინგოტსის ბანკში ჯადოს ამხსნელად მუშაობს“.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უისლების ოჯახი ერთ თვეს გაატარებს ეგვიპტეში. სასწავლო წლის დასაწყისისთვის კი შინ დაბრუნდებიან, რადგან მათი ხუთი შვილი ჰოგვორტსში სწავლობს“.

ჰარიმ სურათს დახედა და გაიბადრა. ცხრავე უისლი უზარმაზარი პირამიდის წინ იდგა და გამწარებული უქნევდა ხელს. ყველანი იქ იყვნენ, დაბალი და ფუშფუშა ქალბატონი უისლი, მაღალი და თითქმის მთლად გამელოტებული ბატონი უისლი, მათი ექვსი ვაჟი და ერთი ქალიშვილი და ყველას ცეცხლივით მობრიალე წითელი თმა ჰქონდა (თუმცა, შავ-თეთრ სურათზე ეს, რასაკვირველია, არ ჩანდა). სურათის შუაგულში მაღალი და მოუქნელი რონი იდგა, თავისი დისთვის, ჯინისთვის ხელი გადაეხვია, მხარზე კი საყვარელი ვირთხა, სკაბერზი ეჯდა.

ჰარისთვის რომ გეკითხათ, ამდენი ოქროს მოგებას სწორედ უისლები იმსახურებდნენ. ისინი ხომ ძალიან კეთილები, მაგრამ უსაშველოდ ღარიბები იყვნენ. ჰარიმ რონის წერილი გახსნა:

„ძვირფასო ჰარი,

გილოცავ დაბადების დღეს!

იმ სატელეფონო ზარისთვის ბოდიშს გიხდი. იმედია, მაგლებმა შავი დღე არ გაყარეს. მამაჩემს ვკითხე და ფიქრობს, რომ ალბათ არ უნდა მელრიალა.

ეგვიპტე შესანიშნავი ადგილია! ბილმა ყველა სამარხი დაგვათვალიერებინა. იცი, რა წყევლა სცოდნიათ ძველ ეგვიპტელ ჯადოქრებს?! დედამ ბოლო სამარხში ჭინი არც კი შეუშვა. იქაურობა საშინელი ჩონჩხებით იყო სავსე. ეტყობა, მაგლები თავის დროზე მაინც შემოპარულან სამარხებში და საწყლებს ან მეორე თავი ამოსვლიათ, ან კიდევ რაღაც უარესი დამართნიათ.

სიხარულით კინაღამ გავგიჟდი, როცა მამამ „დილის მისნის“ ლატარია მოიგო. წარმოგიდგენია, მთელი შვიდასი გალეონი! თითქმის მთელი ფული აქ დაგვეხარჯა, მაგრამ სასექტემბროდ ახალი ჯადოსნური ჯოხის ყიდვას მაინც მპირდებიან“.

ჰარის გუშინდელივით ახსოვდა ის საბედისწერო შემთხვევა, რონმა რომ თავისი ჯოხი გატეხა. ეს იმ დღეს მოხდა, როცა მანქანა, რომლითაც მიფრინავდნენ, სკოლასთან ახლოს მტარვალ ტირიფს შეასკდა.

„სწავლის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ჩამოვალთ და ლონდონში წავალთ ჩემთვის ჯოხისა და სახელმძღვანელოების საყიდლად. იქნებ მანდ სადმე შევხვდეთ ერთმანეთს?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაგლების გამო ნერვებს ნუ მოიშლი.
შეეცადე, ლონდონში ჩამოხვიდე.

რონი

P. S. პერსი ჰედბოი გახდა. წინა კვირას წერილი მიიღო".

ჰარიმ ისევ სურათს დახედა. ბოლოკურსელ პერსის თვითკმაყოფილი გამომეტყველება ჰქონდა. იდეალურად დავარცხნილ თმაზე ოდნავ გვერდულად ეხურა ბერეტი, ზედ კი ჰედბიოს ნიშანი მიემაგრებინა. რქისჩარჩოიანი სათვალე ეგვიპტის მცხუნვარე მზეს ირეკლავდა. ჰარიმ საჩუქარი გახსნა. უცნაური ნივთი მინის ბზრიალას ჰგავდა, თან რონის ბარათი ახლდა:

„ჰარი,
ეს ჭიბის მავნოსკოპია. თუ ახლომახლო რაიმე საეჭვო ხდება, მავნოსკოპი აინთება და დაბზრიალდება. დიდი ნაგავია, რომელსაც ჭადოქარი ტურისტების მოსატყუებლად ყიდიან და მაინცდამაინც ნუ ენდობითო, გაიძახის ბილი, იმიტომ რომ გუშინ სადილობისას სულ ანთებული იყო. მაგრამ ბილმა რა იცოდა, რომ ფრედმა და ჯორჯმა წვნიანში ხოჭოები ჩაუყარეს. აბა, კარგად!
რონი"

ჰარიმ მავნოსკოპი საწოლთან მდგარ პატარა მაგიდაზე დადო და კმაყოფილი უცქეროდა, როგორ ირეკლავდა ეს უცნაური ნივთი საათის მანათობელ ისრებს. მერე ჰედვიგის მოტანილი ფუთა გახსნა. შიგ ლამაზად შეფუთული საჩუქარი, ღია ბარათი და ჰერმიონის წერილი იდო:

„ძვირფასო ჰარი,
რონმა მომწერა, რომ შენთან დაურეკავს და ყურმილი ბიძაშენს აუღია. იმედია, ყველაფერი კარგად დამთავრდა. ახლა საფრანგეთში ვისვენებ. არ ვიცოდი, შენთვის საჩუქარი როგორ გამომეგზავნა, რომ საბაჟოზე არ გაეხსნათ... მერე უცებ ჰედვიგი გამოჩნდა. ეტყობა, ძალიან უნდოდა, რომ შენთვის საჩუქარი მოეტანა. საჩუქარი ბუს ფოსტით შევუკვეთე, „დილის მისანში" ვნახე რეკლამა (სხვათა შორის, „დილის მისანი" გამოვიწერე და ყოველდღე ვკითხულობ. აბა, ხომ უნდა ვიცოდე, რა ხდება ჭადოქრების სამყაროში). უისლების სურათი თუ ნახე ერთი კვირის წინ? დარწმუნებული ვარ, რონმა ძალიან ბევრი რამ ისწავლა, სიმართლე გითხრა, ძალიან მშურს - ძველ ეგვიპტეში ხომ გასაოცარი ჭადოქრები ცხოვრობდნენ.

თუმცა, აქაც საკმაო ტრადიციები აქვთ. მაგიის ისტორიაში დავალება გადავწერე, აქაური ამბებიც ჩავურთე. ძალიან გრძელი გამომივიდა, ორი პერგამენტია. პროფესორმა ბინსმა კი ნაკლები დაგვავალა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რონმა მითხრა, არდადეგების ბოლო კვირას ლონდონში ვიქნებიო. შენც ხომ ვერ შეძლებდი ჩამოსვლას? შენიანები გამოგიშვებენ? იმედია, რაღაცას მოახერხებ. თუ არა და, პირველ სექტემბერს ჰოგვორტსის ექსპრესზე შევხვდებით.

შენი ჰერმიონი

P. S. რონმა მითხრა, პერსი ჰედბოიდ დაუნიშნავთ. წარმომიდგენია, რა ბედნიერი იქნება! თუმცა, რონს ეს ამბავი დიდად არ ეხატება გულზე.

ჰარის გაეცინა, წერილი გადადო და საჩუქარი აიღო. ძალიან მძიმე იყო. ჰერმიონს კარგად იცნობდა. ალბათ ურთულესი შელოცვებით გატენილი სქელი წიგნი იქნებაო, გაიფიქრა, მაგრამ მოლოდინი გაუცრუვდა. სიხარულისგან კინაღამ გული ამოუხტა, როცა შესაფუთი ქაღალდი მოხსნა და პრიალატყავგადაკრულ შავ ყუთზე ვერცხლისფერი წარწერა წაიკითხა:

„მფრინავი ცოცხის აქსესუარების კომპლექტი“.

– ყოჩაღ, ჰერმიონ! – აღმოხდა ჰარის და სასწრაფოდ გახსნა ყუთი. შიგ ეწყო: დიდი ქილით „ფლიტვუდის“ ფირმის უმაღლესი ხარისხის ტარის საპრიალებელი საცხი, ცოცხის კუდების საკრეჭი ვერცხლის მაკრატელი, თითბრის პატარა კომპასი თავისივე სამაგრით, რაც ასე აუცილებელია შორეული მოგზაურობისთვის, და სახელმძღვანელო „როგორ მოვუაროთ მფრინავ ცოცხს“.

ზაფხულობით, მეგობრების გარდა, ჰარის ქვიდიჩიც ენატრებოდა, ჯადოქრების სამყაროში ყველაზე პოპულარული, ძალიან სახიფათო და, ამავე დროს, სპორტის ყველაზე საინტერესო სახეობა, რომელსაც ცოცხებზე ამხედრებულები თამაშობენ. სხვათა შორის, ჰარი ქვიდიჩის ნიჭიერი მოთამაშე იყო, ამ საუკუნეში ყველაზე ახალგაზრდა სპორტსმენი, რომელსაც ჰოგვორტსის ერთ-ერთი კლუბის გუნდში თამაშის ნება დართეს. ამიტომ თავის მფრინავ ცოცხს, „ნიმბუს 2000“-ს, თვალისჩინივით უფრთხილდებოდა.

ჰარიმ ტყავის ყუთი გვერდზე გადადო და ბოლო ფუთას მიუტრიალდა. ყავისფერ ქაღალდზე აცაბაცა ნაწერი ჰაგრიდის, ჰოგვორტსის მეტყევის ხელს ჰგავდა. ბიჭმა ქაღალდის ზედა ფენა სასწრაფოდ შემოაცალა საჩუქარს და რაღაც მწვანე ტყავის მსგავსი დაინახა, მაგრამ, სანამ ბოლომდე გახსნიდა, ფუთა უცნაურად შეხტა. შიგნიდან რაღაცამ ისე გაიკრაჭუნა, გეგონებოდა, იმ უცნაურ მწვანე ნივთს ყბები აქვსო.

ჰარი გაშრა. რასაკვირველია, იცოდა, ჰაგრიდი რაიმე სახიფა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თოს განზრახ არ გამოუგზავნიდა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ჰაგრიდს სიტყვა „სახიფათო“ ერთობ თავისებურად ესმოდა. ჰარის კარგად ახსოვდა, რომ ჰაგრიდი უზარმაზარ ობობებთან მეგობრობდა. ერთხელ ლუდხანაში ვიღაც კაცისგან საშინელი სამთავიანი ძაღლიც კი იყიდა, კანონით აკრძალულ დრაკონის კვერცხზე რომ არაფერი ვთქვათ.

აღელვებული ჰარი ფუთას თითით შეეხო. ისევ რაღაცამ გაიკრაჭუნა. ჰარიმ მაგიდიდან ლამპა აიღო, მაგრად ჩაბღუჯა, რომ თუ საჭირო გახდებოდა, დაერტყა. მეორე ხელით შესაფუთ ქაღალდს სწვდა და მოქაჩა... და უცებ იქიდან წიგნი გადმოხტა! ჰარიმ ძლივს მოასწრო მის ლამაზ მწვანე ყდაზე ოქროს ასოებიანი წარწერის წაკითხვა: „მონსტრწიგნი მონსტრების შესახებ“. ამასობაში წიგნი გვერდულად დადგა და რწევა-რწევით, კიბორჩხალასავით გაქანდა საწოლის კიდისკენ, მერე ლოგინიდან ჩამოხტა, საშინელი ხმაურით დაენარცხა იატაკს და ფურცლების შრიალით გადაირბინა ოთახი. ჰარი ფეხაკრეფით გაედევნა. წიგნი მაგიდის ქვეშ, სიბნელეში იმალებოდა. ნეტავ, დერსლებს არ გაეღვიძოთო, – ინატრა ბიჭმა, ოთხზე დადგა და წიგნისკენ ხელი გაიწოდა.

– ვაიმე! – წამოიყვირა ჰარიმ.

წიგნმა ხელზე უკბინა და ხტუნვა-ხტუნვით გაურბინა გვერდით. ჰარი გამოფორთხდა, ერთი ისკუპა და ზემოდან დაახტა. გვერდით ოთახიდან მძინარე ძია ვერნონის ხმამაღალი ბუზღუნი გაისმა. ჰედვიგი და ეროლი გაფაციცებით უცქეროდნენ, როგორ აკავებდა ჰარი გამძვინვარებულ წიგნს; მერე კარადასთან მიირბინა, უჯრიდან ქამარი ამოიღო და მაგრად შემოახვია. „მონსტრწიგნმა“ ერთიც გაიბრძოლა, მაგრამ სირბილი და კრაჭუნი უკვე აღარ შეეძლო, ასე რომ, გულდამშვიდებულმა ჰარიმ ლოგინზე მიაგდო და ჰაგრიდის ბარათი აიღო:

„ძვირფასო ჰარი,

გილოცავ დაბადების დღეს! მე მგონი, ეგ წიგნი მომავალ წელს ძაან გამოგადგება. მეტი რა მოგწერო. გნახავ და ყველაფერს მოგიყვები. იმედია, მაგლები კარგად გექცევიან. აბა, კარგად მეყოლე!

ჰაგრიდი“

ჰარიმ გაიფიქრა, ეს მკბენარა წიგნი ნეტავ რაში უნდა გამომადგესო, ჰაგრიდის ბარათი დანარჩენების გვერდით დადო და ბედნიერი სახით, გაღიმებული დააცქერდა. ახლა მხოლოდ ჰოგ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვორტსიდან გამოგზავნილი წერილიღა დარჩა წასაკითხი, კონვერტი ჩვეულებრივზე უფრო სქელი იყო. გახსნა და ერთ-ერთი პერგამენტი გაშალა:

„ძვირფასო მისტერ პოტერ,

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ სასწავლო წელი პირველ სექტემბერს იწყება. ჰოგვორტსის ექსპრესი კინგს ქროსის სადგურიდან ზუსტად თერთმეტ საათზე გავა პლატფორმიდან 9 3/4.

მესამეკურსელებს უქმე დღეებში ნება ეძლევათ, სოფელ ჰოგსმიდს ესტუმრონ. გთხოვთ, თანდართული ნებართვის ფურცელი გადასცეთ თქვენს მშობელს ან მეურვეს ხელის მოსაწერად.

სახელმძღვანელოების ჩამონათვალი წერილს თან ახლავს.

საუკეთესო სურვილებით,

პროფესორი მ. მაკგონაგელი,

დირექტორის მოადგილე“

ჰარიმ ნებართვის ფურცელს დახედა და სახიდან ღიმილი გაუქრა. არადა, რა კარგი იქნებოდა შაბათ-კვირაობით ჰოგსმიდში წასვლა. ჰოგსმიდი ერთადერთი სოფელი იყო მთელ ბრიტანეთში, სადაც მხოლოდ ჯადოქრები ცხოვრობდნენ. ჰარი იქ არასოდეს ყოფილა, მაგრამ როგორ მოახერხებდა ძია ვერნონის ან დეიდა პეტუნიას დარწმუნებას, რომ ნებართვისთვის ხელი მოეწერათ?

ჰარიმ საათს დახედა. ღამის ორი საათი შესრულებულიყო. ამაზე ხვალ ვიფიქრებო, გადაწყვიტა და ისევ საწოლში შეძვრა. მერე თავისივე გაკეთებულ კალენდარზე ერთი დღე გადახაზა. ასე ითვლიდა ჰოგვორტსში დაბრუნებამდე დარჩენილ დღეებს.

მიუხედავად იმისა, რომ ჰარი სულაც არ იყო ჩვეულებრივი ბავშვი, ამ წუთებში სწორედ რომ ჩვეულებრივ რაღაცას განიცდიდა: სიცოცხლეში პირველად საკუთარი დაბადების დღე უხაროდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეორე

მამიდა მარჭის შეცდომა

მეორე დილით, როცა ჰარი სასაუზმოდ ჩავიდა, დერსლები უკვე მრგვალ მაგიდას უსხდნენ და ახალთახალ ტელევიზორს უყურებდნენ. დადლი ყოველთვის წუწუნებდა, მაცივარსა და სასტუმრო ოთახში მდგარ ტელევიზორს შორის სირბილით დავიღალეო, ამიტომ არდადეგებზე შინ დაბრუნებულს სამზარეულოში ახალი ტელევიზორი დაახვედრეს. ჰოდა, ისიც მთელ ზაფხულს სამზარეულოში ატარებდა, სიმსუქნისგან დაწვრილებულ თვალებს ეკრანს არ აშორებდა და საჭმლის გაუთავებელი ღეჭვისას ხუთკეცა ღაბაბი უთიმთიმებდა.

ჰარი დადლისა და ხშირულვაშა, ჩასკვნილ, მოკლეკისერა ძია ვერნონს შორის დაჯდა. დაბადების დღის მილოცვა კი არა, დერსლებმა სამზარეულოში მისი შესვლაც კი არ შეიმჩნიეს. თუმცა, ჰარი ამას უკვე მიჩვეული იყო და დიდად არ ნაღვლობდა. თავისთვის ერთი ნაჭერი გახუხული პური გადმოიღო და საინფორმაციო გადაცემის წამყვანს მიაცქერდა, რომელიც გაქცეული პატიმრის შესახებ ლაპარაკობდა:

„...ხალხს აფრთხილებენ, რომ ბლექი შეიარაღებულია და ძალიან საშიში. გაიხსნა სპეციალური ცხელი ხაზი, რომელსაც ბლექის დანახვის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა დაუკავშირდეთ“.

– რაღას გვიხსნიან, რომ ნაძირალაა, – არეხროხდა ძია ვერნონი და გაზეთს ზემოდან გახედა ეკრანს, – ერთი შეხედეთ, რასა ჰგავს! ფუჰ! ეგ არამზადა, ეგა! ან თმა რა გაბურძგნილი აქვს! – ძია ვერნონმა ამრეზით გადახედა ჰარის, ბიჭის დაუმორჩილებელი თმა ყოველთვის აღიზიანებდა. თუმცა, იმ გაძვალტყავებულ პატიმარს ჭუჭყიანი, დაუვარცხნელი თმა ისე გაბურძგნოდა, სახე აღარ უჩანდა. აბა, ჰარი იმასთან რა მოსატანი იყო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წამყვანი ისევ გამოჩნდა ეკრანზე:

„...სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის სამინისტრო დღეს აცხადებს...“

– ე, მოიცა! – წამოენთო ძია ვერნონი და წამყვანს ავად დაუბრიალა თვალები, – ეგ ვიღაც მანიაკი საიდან გაიქცა, რომ არ გითქვამს?! აბა, ეს რა ჯანდაბაა?! ვინ იცის, იქნებ ის დამთხვეული ახლა ჩვენს ქუჩაზე დაყიალებს!

ცხენივით სახეჩამოგრძელებული დეიდა პეტუნია დაფაცურდა და სამზარეულოს ფანჯარას ეცა. ჰარიმ იცოდა, დეიდა პეტუნია დიდი სიამოვნებით დარეკავდა ცხელი ხაზის ნომერზე. დიდი აყალმაყალის მოყვარული ვინმე ბრძანდებოდა და მთელ დროს თავის მოსაწყენ, კანონმორჩილ მეზობლებზე ჯაშუშობა-თვალთვალში ატარებდა.

– ერთი მაგათ ჭკუა მისცა, რა! – ძია ვერნონმა უზარმაზარი გაწითლებული მუშტი მაგიდას დაჰკრა, – მაგ ხალხთან ვერაფერს გააწყობ, ყველა უნდა ჩამოახრჩო და მორჩა!

– აბა, აბა! – დაეთანხმა დეიდა პეტუნია, თან მეზობლის ეზოში მობიბინე ლობიოსთვის თვალი არ მოუცილებია.

ძია ვერნონმა ჩაი ბოლომდე გამოცალა, საათზე დაიხედა და გამოაცხადა:

– ჩემი წასვლის დროა, პეტუნია! მარჯის მატარებელი ათ საათზე ჩამოდის.

ჰარის ფიქრები „მფრინავი ცოცხების აქსესუარების ნაკრებს“ დასტრიალებდა, მაგრამ ამ სიტყვების გაგონებაზე თითქოს მიწას დაენარცხა და ძლივს ამოილუღლუღა:

– მამიდა მარჯი? ჩ-ჩ-ჩამოდის?

მამიდა მარჯი ძია ვერნონის და იყო. მართალია, ჰარის ნათესავად არ ერგებოდა (დედამისი ხომ პეტუნიას და იყო და არა ძია ვერნონისა), მაგრამ მაინც აიძულებდნენ, მისთვის „მამიდა“ დაეძახა. მამიდა მარჯი სოფელში, დიდი ბაღით გარშემორტყმულ სახლში ცხოვრობდა, სადაც ბულდოგებს აშენებდა. პრივიტ დრაივს მაინცდამაინც ხშირად არ ანებივრებდა სტუმრობით, თავის ძვირფას ძაღლებთან განშორებას ვერ იტანდა, მაგრამ მისი ყოველი ჩამოსვლა ჰარის საზარელ მოგონებებს აღუძრავდა.

ერთხელ, დადლის მეხუთე დაბადების დღეზე, მამიდა მარჯმა ჰარის ყავარჯენი ჩასცხო ფეხში, დადლისთვის მუსიკალურ ზარდახშასთან მირბენა რომ არ დაესწრო. ერთხელაც საშობაოდ ჩამობრძანდა და დადლის ელექტრორობოტი აჩუქა, ჰარის კი – ერთი კოლოფი ძაღლის ნამცხვარი. ბოლოს ჰარის ჰოგვორტსში წასვლამდე ერთი წლით ადრე ესტუმრა დერსლებს. ბიჭმა შემთხვევით

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დააბიჯა ფეხი მარჯის საყვარელ ბულდოგს – ბდღვიროს. გაცოფებული ბდღვირო ჰარის გამოეკიდა, ჯერ ბაღში არბენინა, მერე კი ხეზე ამძვრალს ქვემოდან დაუწყო ყეფა. მამიდა მარჯმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ძაღლი შუაღამემდე არ მოაშორა იქაურობას. ამ ამბის გახსენებაზე დადლი ამდენი ხნის შემდეგაც სიცილით იგუდებოდა.

– მარჯი აქ ერთ კვირას დარჩება, – შეუბღვირა ძია ვერნონმა და კოტიტა თითი ავისმომასწავლებლად დაუქნია, – და ბარემ, რახან სიტყვამ მოიტანა, სანამ დასახვედრად წავალ, შენთან რაღაც-რაღაცეები უნდა გავარკვიო.

დადლიმ ბოროტად ჩაიხითხითა და, როგორც იქნა, ტელევიზორს თვალი მოსწყვიტა, რომ ახლა უდიდესი ნეტარებით ეცქირა, როგორ ემუქრებოდა მამამისი ჰარის.

– ჯერ ერთი, – დაიგრგვინა ძია ვერნონმა, – მამიდა მარჯთან წესიერად ილაპარაკებ!

– რა თქმა უნდა, – წაილულლულა ჰარიმ, – თუ თვითონაც წესიერად დამელაპარაკება!

– მეორე, – ძია ვერნონმა ვითომ ვერ გაიგონა ჰარის ნათქვამი, – მარჯმა არაფერი იცის შენი არანორმალურობის შესახებ, ამიტომ, სანამ აქ იქნება, იმ... იმ უცნაურ რაღაცეებს მოეშვი! და წესიერად მოიქეცი, გასაგებია?!

– რა თქმა უნდა, თუ თვითონ არაფერს დამიშავებს, – კბილებში გამოცრა ჰარიმ.

– და მესამე, – ღაჟღაჟა ძია ვერნონს ბოროტი თვალები სულ მთლად დაუწვრილდა, – მარჯს ვუთხარით, რომ შენ წმინდა ბრუტუსის სახელობის გამოუსწორებელ დამნაშავე ბიჭუნათა სასწავლებელში სწავლობ.

– სად? – წამოიყვირა ჰარიმ.

– ასე რომ, არაფერი შეგეშალოს, ბიჭო, თორემ ტყავს გაგაძრობ!

ჰარი გაფითრებული, გაშტერებული იჯდა, ძია ვერნონს უცქეროდა და ყურებს არ უჯერებდა. მამიდა მარჯი ერთი კვირით მათთან იცხოვრებდა – ამაზე საშინელ საჩუქარს დერსლები ვერც კი მოიფიქრებდნენ; ძია ვერნონის ძველი წინდები ამასთან რა სალაპარაკო იყო!

– წავედი, პეტუნია, სადგურზე მეჩქარება, – მძიმედ წამოდგა ძია ვერნონი, – ვაჟკაც, არ გინდა, მანქანით გაგასეირნო?

– ნწ, – დადლი ისევ ტელევიზორს მიუბრუნდა, რაკი ძია ვერნონი ჰარის უკვე აღარ ემუქრებოდა.

– ჩემი დადლიკო მამიდასთან შესახვედრად უნდა გამოიპრანჭოს, –

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დეიდა პეტუნიამ დადლის ქერა თმაზე ხელი გადაუსვა, – დედიკომ დადლიკოს ახალი ჰალსტუხი უყიდა.

ძია ვერნონმა შვილს მსუქან მხარზე ხელი მოუთათუნა.

– აბა, დროებით! მალე დავბრუნდები, – და სამზარეულოდან გავიდა.

ჰარი ისევ გახევებულივით იჯდა. უცებ რაღაც მოაფიქრდა, საჭმელი მიატოვა, წამოხტა და ძია ვერნონს შემოსასვლელ კართან დაეწია.

ძია ვერნონი პალტოს იცვამდა, ჰარის მომლოდინე მზერა დაიჭირა და ბოროტად შეუღრინა:

– შენ არსად არ წაგიყვან!

– არც მინდა წამოსვლა! უბრალოდ, რაღაც უნდა გთხოვოთ.

ძია ვერნონმა ეჭვის თვალით შეხედა.

– მესამეკურსელებს ჰოგ... ესე იგი, ჩემს სკოლასთან ერთ სოფელში უშვებენ სასეირნოდ.

– მერე რა? – ძია ვერნონმა კაუჭიდან მანქანის გასაღები ჩამოხსნა.

– თუ შეიძლება, ნებართვის ფურცელზე ხელი მომიწერეთ, – სხაპასხუპით მიაყარა ჰარიმ.

– ვითომ რატომ უნდა მოგიწერო ხელი? – ჩაიცინა ძია ვერნონმა.

– იცით, რა, – ფრთხილად შეაპარა ჰარიმ, – ცოტა გამიჭირდება, მამიდა მარჯს თავი მოვაჩვენო, თითქოს იმ წმინდა ვიღაცის სახელობის...

– წმინდა ბრუტუსის სახელობის გამოუსწორებელ დამნაშავე ბიჭუნათა სასწავლებელი! – შეუღრინა ძიამ. ჰარიმ შენიშნა, როგორ დაფრთხა ძია ვერნონი და სრულიად აუღელვებლად მიაცქერდა წამოჭარხლებულ სახეში.

– ჰოდა, მეც მაგას ვამბობ! ამხელა სახელწოდების დამახსოვრება ცოტა ძნელია. თანაც, ისე უნდა მოვიქცე, რომ მამიდა მარჯი ვერაფერს მიხვდეს. უცებ რაიმე რომ წამომცდეს?

– თავ-ყბას გაგიერთიანებ, გაიგე?! – განრისხებული ძია ვერნონი ჰარისკენ წამოვიდა, მაგრამ ბიჭი ადგილიდან არ იძვროდა.

– თავ-ყბის გაერთიანება ამ საქმეს ვერ უშველის, მამიდა მარჯს მაინც არ დაავიწყდება ჩემი ნათქვამი!

ძია ვერნონი შეჩერდა, დასარტყმელად შემართული მუშტი ჰაერში გაუშეშდა და სახე საშინლად დაემანჭა.

– მაგრამ, თუ ნებართვაზე ხელს მომიწერთ, – სწრაფად განაგრძო ჰარიმ, – გეფიცებით, სკოლის სახელსაც მშვენივრად დავიმახსოვრებ და თან ნამდვილი მაგ... უფრო სწორად, ნორმალურივით მოვიქცევი.

ჰარი მიხვდა, რომ ძია ვერნონი საგონებელში ჩააგდო. კაცი კრი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჭაშეკრული იდგა და საფეთქლებზე ვენები დაჰბერვოდა, ბოლოს უხალისოდ გამოცრა:

– შევთანხმდით! კარგად დაგაკვირდები, ვნახოთ, როგორ მოიქცევი მარჯის თანდასწრებით. თუ ბოლომდე შეასრულებ ყველა მოთხოვნას და ჩემს მოგონილ ამბავსაც არ გადაუხვევ, მაგ შენს წყეულ ნებართვაზე ხელს მოგიწერ, – მერე გაბრაზებული მიტრიალდა, კარი ლამის გამოგლიჯა და ისე ძლიერად გაიჯახუნა, რომ ერთი პატარა მინა ჩაიმსხვრა კიდეც.

ჰარი სამზარეულოში არ დაბრუნებულა, ისევ საძინებელში ავიდა. თუ ნამდვილი მაგლივით უნდა მოქცეულიყო, ჯობდა, ამ საქმისთვის ახლავე მოეკიდა ხელი. საჩუქრები და მისალოცი ბარათები ერთად მოაგროვა და იატაკის ფიცრის ქვეშ გადამალა. მერე ჰედვიგის გალიასთან მივიდა. ეროლი აშკარად უკეთესად გრძნობდა თავს. ორივე ბუს ნისკარტი ფრთებქვეშ ჩაემალა და ღრმად ეძინა. ჰარიმ მწარედ ამოიოხრა და ბუები გააღვიძა.

– ჰედვიგ, ერთი კვირით უნდა მოშორდე აქაურობას. ეროლს წაჰყვები, რონი ორივეს მოგივლით, წერილს გაგატანთ, რომელშიც ყველაფერს ავუხსნი. ასე ნუ მიყურებ, – ჰედვიგი საყვედურით სავსე მზერას არ აცილებდა ჰარის, – რა ჩემი ბრალია?! სხვა გზა არა მაქვს, მეც მინდა რონთან და ჰერმიონთან ერთად ჰოგსმიდში სეირნობა.

ათ წუთში ეროლი და ჰედვიგი, რომელსაც რონთან მისატანი წერილი ფეხზე ჰქონდა გამობმული, ფანჯრიდან გაფარფატდნენ და თვალს მიეფარნენ. დამწუხრებულმა ჰარიმ ცარიელი გალია ტანსაცმლის კარადაში შეინახა. თუმცა, ცხვირჩამოშვებული დიდხანს არ მჯდარა, სულ მალე დეიდა პეტუნიამ დაუწივლა, ძირს ჩამობრძანდი და სტუმრის მისაღებად მოემზადეო.

– მაგ თმას რაიმე მოუხერხე, – შეუტია დეიდამ, როცა ჰარი ჰოლში ჩამოვიდა.

ბიჭი ვერაფრით ვერ ხვდებოდა, რა აზრი ჰქონდა თმის საგულდაგულოდ დავარცხნას. მამიდა მარჯს ხომ მისი ლანძღვა ძალიან სიამოვნებდა, ჰოდა, რაც უფრო მოუწესრიგებელი დახვდებოდა, მით უფრო გაახარებდა.

ეზოში მანქანამ დაამუხრუჭა. მერე მანქანის კარის ჯახუნისა და ბაღის ბილიკზე მძიმე ნაბიჯების ხმაც გაისმა.

– კარი გააღე! – დაუსისინა დეიდამ ჰარის.

ბიჭს მუცელი აუწრიალდა და უხალისოდ გააღო კარი.

ზღურბლზე მამიდა მარჯი იდგა. გარეგნობით ძალიან ჰგავდა ძია ვერნონს: მასავით ზორბა, სქელი და ღაჟღაჟა ბრძანდებოდა, ულვაშიც კი ჰქონდა, თუმცა ძია ვერნონივით სქელი არა. ცალ ხელში

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უშველებელი ჩემოდანი ეჭირა, მეორით კი სწორედ ის ბრაზიანი ბულდოგი, ბდღვირო მოჰყავდა.

– ჩემი დადლიკო სად არის? – დაიგრგვინა მამიდა მარჯმა, – სად არის ჩემი სიცოცხლე?

ჰოლში დადლი შემობაჯბაჯდა, გასივებულ თავზე ქერა თმა საგულდაგულოდ დაეტკეპნა, მრავალნაკეცა ღაბაბს ქვემოდან კი ძლივს უჩანდა პეპელა-ჰალსტუხი. მამიდა მარჯმა თავისი ვეება ჩემოდანი ჰარის ატაკა, კინაღამ სული გააფრთხობინა, ცალი ხელით დადლი გულში ჩაიკრა და გემრიელად დალოშნა.

ჰარის კარგად მოეხსენებოდა, რომ დადლი მამიდა მარჯის მტლა-შა-მტლუშს ტყუილ-უბრალოდ არ აიტანდა, ერთი ასეთი ჩახუტების მერე დადლის ტკიცინა ოცფუნტიანი ედებოდა ჯიბეში.

– პეტუნია! – შეჰყვირა მამიდა მარჯმა და ჰარის ისე ჩაუარა გვერ-დით, თითქოს ქუდების საკიდი ყოფილიყოს. მერე მამიდა მარჯმა და დეიდა პეტუნიამ ერთმანეთს აკოცეს, უფრო სწორად, მამიდა მარჯმა თავისი ძლიერი ყბა დეიდა პეტუნიას გაძვალტყავებულ სახეს მიაკრა.

ძია ვერნონი კმაყოფილი ღიმილით შემოვიდა შინ და კარი მიხურა, მერე დას მიუბრუნდა:

– ჩაი, მარჯ? ბდღვიროს რა ვაჭამოთ?

– ბდღვიროს ჩემი ლამბაქიდან დავალევინებ ჩაის, – განაცხადა მამიდა მარჯმა და ყველანი ერთად შელაგდნენ სამზარეულოში, ჰარი კი ჩემოდანთან დატოვეს. თუმცა, ამის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, ოღონდ კი მამიდა მარჯს მოშორებოდა და ხმას როგორ ამოიღებდა. ასე რომ, ჩემოდანს დაეჭიდა და სტუმრების საძინებელ-ში გაჭირვებით აათრია, თან ცდილობდა, რაც შეიძლება დიდხანს გაეჭიანურებინა ეს საქმე.

მერე სამზარეულოში დაბრუნდა. მამიდა მარჯი უკვე ჩაის მიირთ-მევდა და ხილის ნამცხვარს აყოლებდა, ბდღვირო კი კუთხეში ლამბა-ქიდან ხმამაღლა თქვლეფდა ჩაის. ჰარიმ შეამჩნია, როგორ აიმრიზა დეიდა პეტუნია, როცა ჩაის წვეთები და დორბლი მის გაკრიალებულ იატაკს დაეწვეთა. ო, როგორ სძულდა დეიდა პეტუნიას ცხოველები.

– დანარჩენ ძაღლებს ვინ უვლის, მარჯ? – ჰკითხა ძია ვერნონმა.

– პოლკოვნიკი ფაბსტერი, – დაიბუხუნა მამიდა მარჯმა, – პენსი-აზე გავიდა და საქმე მაინც არაფერი აქვს! თუმცა, ჩემს საყვარელ ბდღვიროს მაინც ვერ ვუტოვებ. ერთი მოგასმენინათ, როგორ საწყ-ლად ყმუის, როცა მარტო ვტოვებ!

ჰარი მაგიდას მიუჯდა თუ არა, ბდღვირომ ღრენა დაუწყო. მამიდა მარჯმაც ინება, მისთვის ყურადღება მიექცია.

– რაო? შენ ისევ აქა ხარ?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დიახ, – მიუგო ჰარიმ.

– რა უმადურად ამბობ მაგ „დიახ“-ს, – გაბრაზდა მამიდა მარჯი, – ვერნონისა და პეტუნიას მადლობელი უნდა იყო, რომ გინახავენ. მე ამას არ გავაკეთებდი! ჩემს კარებთან რომ მოეგდე ვინმეს, პირდაპირ უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში მიგაბრძანებდი!

ჰარის ერთი სული ჰქონდა, დაეყვირა, დერსლებთან ცხოვრებას ისევ თავშესაფარში ყოფნა მირჩევნიაო, მაგრამ უცებ ჰოგსმიდის ნებართვა მოაგონდა და თავი შეიკავა. ის კი არა, სიმწრით ნაძალადევად გაიღიმა კიდეც.

– რას იღრიჭები! – აბობოქრდა მამიდა მარჯი, – როგორც ვხედავ, ჩემი ბოლო სტუმრობის შემდეგ დიდად არ გამოსწორებულხარ. იმედი მქონდა, სკოლაში ოდნავ მაინც გასწავლიდნენ ზრდილობას! – მამიდამ ჩაი მოხვრიპა, ულვაში მოიწმინდა და ძმას მიუბრუნდა, – რაო, ვერნონ, როგორ მითხარი, სად გააგზავნე ეს ბავშვი?

– წმინდა ბრუტუსის სკოლაში, საუკეთესო სკოლაა ხელიდან წასული ბავშვებისათვის, – სხაპასხუპით მიაყარა ვერნონმა.

– გასაგებია... შენ, ბიჭო, მაგ სკოლაში როზგებს თუ იყენებენ? – შეუყვირა ჰარის.

– ეეე... ისა...

ძია ვერნონმა სხვებისთვის შეუმჩნევლად თავი დაუქნია.

– დიახ, – ძლივს ამოღერღა ჰარიმ, მერე გაიფიქრა, იქნებ ასეთი მოკლე პასუხი საკმარისი არ იყოსო, და სასწრაფოდ დაამატა: – ძალიან ხშირადაც!

– მშვენიერია! – მოიწონა მამიდა მარჯმა, – მე არ მესმის ეს აბდაუბდა სისულელეები, თითქოს ცემა საჭირო არაა აღზრდის დროს. ასიდან ოთხმოცდაცხრამეტ შემთხვევაში ერთი კაი გაროზგვა ნამდვილი მისწრებაა. შენ ხშირად გცემენ?

– აბა, რა! ძალიან ხშირად, – თავი დაუქნია ჰარიმ.

მამიდა მარჯს თვალები დაუწვრილდა.

– ერთი ამას დამიხედეთ! შენ რაღაც ისე ჩვეულებრივად ლაპარაკობ ამაზე, რომ ეტყობა, საკმარისად არ მოგხვედრია! პეტუნია, შენს ადგილზე, აუცილებლად მივწერდი სკოლაში, რომ თანახმა ხარ, ამ ბიჭთან უკიდურესი ზომები გამოიყენონ.

ამასობაში ალბათ ძია ვერნონს შეეშინდა, ვაითუ, ჰარის ჩვენი შეთანხმება დაავიწყდესო, და საუბარი სასწრაფოდ სხვა თემაზე გადაიტანა:

– საინფორმაციო გამოშვებას უსმინე ამ დილით, მარჯ? იმ გაქცეულ პატიმარზე რა აზრისა ხარ?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

* * *

მამიდა მარჯი ისე გაშინაურდა პრივიტ დრაივზე, რომ ჰარის თავისი უწინდელი ცხოვრება ამ სახლში სანატრელი გაუხდა. ძია ვერნონი და დეიდა პეტუნია ყველანაირად ცდილობდნენ, ჰარისგან როგორმე შორს დაეჭირათ თავი, რაც ბიჭს ძალიან ახარებდა, მაგრამ მამიდა მარჯს, პირიქით, სულ მასზე ეჭირა თვალი და გაუთავებელი შენიშვნებით გულს უწყალებდა. ძალიან სიამოვნებდა ჰარისა და დადლის ერთმანეთთან შედარება და, რაც მთავარია, უზომო ნეტარებას ჰგვრიდა დადლისთვის ძვირფასი საჩუქრების ყიდვა. თან ჰარის თვალებს უბრიალებდა, თითქოს ელოდა, სადაცაა, მკითხავს, მე რატომ არაფერს მაძლევ საჩუქრადო. ამას გარდა, გაუთავებლად იგესლებოდა, აქაოდა, ვიცი, რატომაც გამოვიდა ჰარი ასეთი უხეირო ადამიანიო.

– თავს ნურაფერს დააბრალებ, ვერნონ, – თავისი სტუმრობის მესამე დღეს, საუზმობისას წამოიწყო მამიდა მარჯმა, – თუ შიგნიდან იწყება ლპობა, ვერავინ ვერაფერს გააწყობს!

ჰარი ცდილობდა, მთელი ყურადღება საჭმელზე გადაეტანა, მაგრამ ხელები უკანკალებდა და სიბრაზისგან სახე უხურდა. „ნებართვა არ დაგავიწყდეს, – უმეორებდა თავის თავს, – ჰოგსმიდზე იფიქრე! ხმა არ ამოიღო! ჩუმად...“

მამიდა მარჯმა ღვინით სავსე ჭიქა აიღო და განაგრძო:

– ეს ჯიშების გამოყვანის ერთ-ერთი ძირითადი კანონია. ძაღლებშიც ყოველთვის ასე ხდება. ცუდ ძუკნას ყოველთვის ცუდი ლეკვები ჰყავს...

ამის თქმა იყო და, მამიდა მარჯს ჭიქა ხელში აუფეთქდა. ნამსხვრევები მთელ სამზარეულოში გაიფანტა. მამიდა მარჯმა თვალები აახამხამა და რაღაც წაიბურტყუნა, სახეზე წურწურით ჩამოსდიოდა ღვინო.

– მარჯ! – შეჰკივლა დეიდა პეტუნიამ, – მარჯ, როგორა ხარ?

– არა მიშავს, დამშვიდდით, – ამოიკვნესა მამიდა მარჯმა და სახე ხელსახოცით შეიმშრალა, – ეტყობა, ძალიან მაგრად მოვუჭირე ხელი. ერთხელ ზუსტად იგივე დამემართა პოლკოვნიკ ფაბსტერთან. ნუ ღელავ, პეტუნია, არაფერი მიჭირს... ეტყობა, მეტისმეტი მომივიდა...

მაგრამ დეიდა პეტუნიასა და ძია ვერნონს ჰარისთვის ეჭვიანი მზერა არ მოუცილებიათ, ამიტომ ბიჭმა გაიფიქრა, პუდინგს აღარ დაველოდები და აქედან რაც შეიძლება სწრაფად ავორთქლდებიო.

ჰოლში აქოშინებული მიეყრდნო კედელს. კარგა ხანი გავიდა მას მერე, რაც ბოლოჯერ უნებურად რაღაც ააფეთქა. თავს მეტის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უფლებას ვერ მისცემდა. ჰოგსმიდის ნებართვას რომ თავი დავანებოთ, ასე თუ გააგრძელებდა, მაგიის სამინისტროსთან პრობლემები გაუჩნდებოდა.

ჰარი ხომ არასრულწლოვანი ჯადოქარი იყო, და კანონის მიხედვით, სკოლის გარეთ ჯადოქრობა ეკრძალებოდა. პირად საქმეში შენიშვნები უკვე ჰქონდა. გასულ ზაფხულს მაგიის სამინისტროდან ოფიციალური გაფრთხილება მიიღო, რომელშიც შავით თეთრზე ეწერა, რომ, თუ სამინისტრო კიდევ ერთხელ მაინც დააფიქსირებდა რაიმე სახის ჯადოქრობას პრივიტ დრაივზე, ჰარის ჰოგვორტსიდან გარიცხავდნენ.

ამ დროს ჰარიმ გაიგონა, როგორ წამოიშალნენ დერსლები სუფრიდან, და სასწრაფოდ მეორე სართულზე აირბინა.

* * *

მომდევნო სამ დღეს, როცა მამიდა მარჯი მის ლანძღვას მოჰყვებოდა ხოლმე, ჰარი თავს ძალას ატანდა და თავის „ცოცხების მოვლის“ სახელმძღვანელოზე იწყებდა ფიქრს. ეს ხერხი კარგად ჭრიდა, მაგრამ ეტყობა, ჰარის მზერა ისე ეყინებოდა, რომ მამიდა მარჯმა დაასკვნა, ყველა უბედურებასთან ერთად, გონებრივად ჩამორჩენილიც ყოფილაო.

როგორც იქნა, მამიდა მარჯის სტუმრობის ბოლო საღამო დადგა. დეიდა პეტუნიამ დიდებული სადილი მოამზადა, ძია ვერნონმა კი რამდენიმე ბოთლი ღვინო გახსნა. ყველანი ისე გატაცებით შეექცეოდნენ სადილს, წვნიანით დაწყებული, ორაგულით დამთავრებული, რომ ჰარისთვის ერთი საყვედურის თქმაც კი არ გახსენებიათ. ლიმონის ბეზეთი მორთული ტორტის დროც დადგა, ძია ვერნონმა თავისი ბურღების დამამზადებელი ფირმის, „გრანინგსის“ შესახებ ლაპარაკით ყველას ტვინი გაუბურღა; მერე დეიდა პეტუნიამ ყავა მოადუღა, ძია ვერნონმა კი ერთი ბოთლი ბრენდი გახსნა და დას მიუბრუნდა:

– ნება მომეცი, გაცდუნო, მარჯ!

მამიდა მარჯს უკვე კარგა ბლომად დაელია ღვინო და სახე ერთიანად გასწითლებოდა.

– სულ ცოტა დამისხი, – ჩაიხითხითა მარჯმა, – ცოტა კიდევ... ცოტაც... ცოტაც... ჰოო, კარგია, გმადლობ, საყვარელო!

დადლი მეოთხე ნაჭერ ტორტს ჭამდა. დეიდა პეტუნია დიდი მონდომებით, თითგამობზეკილი წრუპავდა ყავას. ჰარის გულით უნდოდა თავის ოთახში ასვლა, მაგრამ ძია ვერნონის მრისხანე მზერა დაიჭირა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და მიხვდა, იძულებული იქნებოდა, სადილის დამთავრებამდე მათთან ერთად მჯდარიყო.

– აუფ, – ტუჩები გააწკლაპუნა მამიდა მარჯმა და ჭიქა მაგიდაზე დადგა, – უგემრიელესი სადილი იყო, პეტუნია! მე, ამ ჩემი თორმეტი ბულდოგის გადამკიდე, ნაუცბათევად თუ გავიკეთებ რაიმეს, – უცებ ხმამაღლა დააბოყინა და მუცელზე ხელი მოითათუნა, – უკაცრავად! – მერე დადლის თვალი ჩაუკრა და განაგრძო, – მიყვარს, როცა ბიჭები ჯანსაღად გამოიყურებიან. ნამდვილი მამაკაცი იქნები, დადლიკო! ზედგამოჭრილი მამაშენი ხარ! ვერნონ, ცოტაც დამისხი...

– სიამოვნებით!

მარჯმა ჰარისკენ გადაიქნია თავი. ბიჭს მუცელი აუწრიალდა და სასწრაფოდ ცოცხის მოვლის სახელმძღვანელოზე დაიწყო ფიქრი.

– ერთი ამას შეხედეთ, რასა ჰგავს! ეგეთები ძაღლებშიც გამოერევიან ხოლმე. ერთი მასეთი პოლკოვნიკ ფაბსტერს დავახრჩობინე. ვირთხასავით სუსტი და განუვითარებელი ლეკვი იყო.

ჰარი მთელი მონდომებით ცდილობდა, გაეხსენებინა სახელმძღვანელოს მეთორმეტე გვერდი: „დაბლოკილი უკუსვლის გამხსნელი შელოცვა“.

– როგორც გითხარით, ყველაფერი ცუდი სისხლის ბრალია. ადრე თუ გვიან მაინც იჩენს თავს. არა, პეტუნია, შენს საწყენად არ მითქვამს, შენი ოჯახი აქ არაფერ შუაშია, – მარჯმა თავისი მსუქანი ხელი პეტუნიას გაძვალტყავებულ მტევანზე მოუთათუნა, – შენი და უხეირო შვილი გამოდგა. რას იზამ, ასეთი რამ შეიძლება საუკეთესო ოჯახებშიც კი მოხდეს. მერე იმ დოყლაპიასთან ერთად გაიქცა და, აი, ბატონო, შედეგი აგერ გვიზის!

ჰარი თეფშს დააშტერდა, ყურებში უცნაური გუგუნი ესმოდა. „ცოცხის კუდს მტკიცედ ჩასჭიდეთ ხელი“, – ფიქრობდა თავისთვის, მაგრამ ვერაფრით ვერ გაიხსენა, მერე რა ეწერა წიგნში. მამიდა მარჯის ხმა ძია ვერნონის ბურღივით უხვრეტდა ტვინს.

– ჰო, მართლა, ეგ პოტერი, – ხმას აუწია მამიდა მარჯმა, ბრენდის ბოთლს ხელი სტაცა, ჭიქაში ჩააპირქვავა და მაგიდის გადასაფარებელი გვარიანად მოსვარა, – ჩემთვის არასოდეს მოგიყოლია, რას საქმიანობდა.

ძია ვერნონი და დეიდა პეტუნია ეკლებზე ისხდნენ. დადლიმაც კი იკადრა ტორტისთვის თვალის მოწყვეტა და პირდაღებული მიაჩერდა მშობლებს.

– არ... არ მუშაობდა, – ძლივს ამოღერღა ძია ვერნონმა და მზერა ჰარისკენ გაექცა, – ჰო, უმუშევარი იყო.

– ასეც ვიცოდი! – მამიდა მარჯმა ბრენდი გადაყლურწა და ნიკაპი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სახელოთი მოიწმინდა, – უსაქმური, უვარგისი, უმაქნისი ნაძირალა, რომელიც...

– არაფერიც! – დაიყვირა ჰარიმ. ერთიანად კანკალებდა, ადრე ასე არასოდეს გაბრაზებულა. ყველანი გაჩუმდნენ.

– კიდევ დაგისხამ ბრენდის! – იღრიალა მთლად გაფითრებულმა ძია ვერნონმა, მერე, რაც კი ბოთლში ბრენდი იყო დარჩენილი, სულ მამიდა მარჯს დაუსხა და ჰარის შეუბღვირა, – შენ, ბიჭო, ახლავე წაბრძანდი და დაიძინე...

– მოიცა, ვერნონ! – ასლოკინებულმა მამიდა მარჯმა ხელი ასწია და ჩასისხლიანებული თვალები ჰარის დაუბრიალა, – რაო, რა თქვი, ბიჭო? შენი მშობლებით ამაყობ, არა? ეგენი არ იყვნენ, კატასტროფაში რომ დაიხოცნენ, თანაც, დარწმუნებული ვარ, მთვრალები იქნებოდნენ...

– ტყუილია! – წამოხტა გამწარებული ჰარი.

– კატასტროფაში დაიღუპნენ-მეთქი, შე საზიზღარო ცრუპენტელავ, და შენი თავი ამ პატიოსან, შრომისმოყვარე ხალხს აჰკიდეს ტვირთად, – გაჰკიოდა გაცოფებული მამიდა მარჯი, – შენ კიდევ, შე უზრდელო, უმადურო ლაწირაკო...

მამიდა მარჯი უცებ გაჩუმდა, გეგონებოდათ, შესაფერის სალანძღავ სიტყვებს ვეღარ პოულობსო... თითქოს გაიბერა კიდეც... თუმცა, თითქოს კი არა, მართლა იბერებოდა. ჯერ უშველებელი წითელი სახე გაუფართოვდა, წვრილი თვალები გადმოეკარკლა და პირი ისე გაეწელა, ლაპარაკს ვერც კი ახერხებდა. წამიც და, ტვიდის პიჯაკიდან ღილები მოსწყდა და კედლებს შეენარცხა. მამიდა მარჯი საზარელი საჰაერო ბურთივით იბერებოდა, ტვიდის პიჯაკი მუცელს უკვე ვეღარ აკავებდა, თითები ძეხვებივით გაუსქელდა...

– მარჯ! – აყვირდნენ ძია ვერნონი და დეიდა პეტუნია, როცა მამიდა მარჯი სკამს მოსწყდა და ჭერისკენ აფრინდა. ერთიანად დამრგვალებული, ღორისთვალება გასაბერ სათამაშოს ჰგავდა, ხელფეხს უმწეოდ ასავსავებდა, ჰაერში ფარფატებდა და უცნაურ ხმებს გამოსცემდა. ოთახში გიჟივით შემოვარდა აყეფებული ბდღვირო.

– არააააა! – დაიღრიალა ვერნონმა, მარჯს ცალ ფეხში ხელი ჩაავლო, რომ ძირს ჩამოესვა, მაგრამ კინაღამ თვითონაც ჰაერში აფრინდა. უცებ ბდღვირომ მარჯვედ ისკუპა და ძია ვერნონს ფეხში ჩააფრინდა.

სანამ ვინმე მის შეჩერებას მოიფიქრებდა, ჰარი სასადილო ოთახიდან გავარდა და კიბის ქვეშ საკუჭნაოსთან მიირბინა. მიახლოებისთანავე საკუჭნაოს კარი თავისით გაიღო. ჰარიმ თვალის დახამხამებაში მიათრია გასასვლელთან თავისი ჩემოდანი, მერე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაღლა აირბინა, საწოლის ქვეშ შეძვრა, მორყეული ფიცარი ამოაგდო და წიგნებითა და საჩუქრებით გამოტენილ ბალიშის პირს სტაცა ხელი. სწრაფად გამობობღდა, ჰედვიგის ცარიელი გალიაც აიღო და კისრისტეხით ჩაირბინა კიბე. ამასობაში სასადილო ოთახიდან შარვალშემოფხრეწილი, დასისხლიანებული ძია ვერნონი გამოენთო და მთელი ხმით უღრიალა:

– დაბრუნდი! დაბრუნდი და მამიდას დაეხმარე!

მაგრამ ჰარი ისე იყო გაცოფებული, რომ ჩემოდანი ფეხისკვრით გააღო, იქიდან ჯადოსნური ჯოხი ამოიღო და ძია ვერნონს მიუშვირა:

– ასეც მოუხდება! ღირსი იყო! შენ კი თავიდან მომწყდი! – ჰარიმ ხელით მოსინჯა კარის სახელური, – მეყოფა! მივდივარ!

წამიც და, იღლიაში გალიაამოჩრილი ჰარი უკვე ბნელ, წყნარ ქუჩას მიუყვებოდა და გაჭირვებით მიათრევდა მძიმე ჩემოდანს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მესამე

ავცობუსი „ღამის რაინდი“

ჰარი უკვე კარგა შორს გასცდენოდა პრივიტ დრაივს. მაგნოლიის ქუჩაზე ჩემოდნის თრევით დაქანცული და აქოშინებული, მოწყვეტით დაეხეთქა ქვის დაბალ ღობეს. წყნარად იჯდა, თუმცა სიბრაზისაგან ერთიანად კანკალებდა და გული გამეტებით უცემდა. ქუჩაში ბნელოდა.

ჰარი გამოუვალ სიტუაციაში აღმოჩნდა – მარტოდმარტო დარჩა მაგლების პირქუშ სამყაროში. ყველაზე საშინელი ის იყო, რომ სულ ახლახან ისეთი ძლიერი შელოცვები გამოიყენა, ჰოგვორტსიდან უეჭველად გარიცხავდნენ. ისე უხეშად დაარღვია „კანონი არასრულწლოვანთა ჯადოქრობის ზომიერი შეზღუდვის შესახებ“, რომ თავადაც უკვირდა, მაგიის სამინისტროს თანამშრომლები ამდენ ხანს თავს რატომ არ დამაცხრნენო.

ჰარის გააჟრჟოლა და მაგნოლიის ქუჩა მოათვალიერა. ნეტავ, რას უზამდნენ? დააპატიმრებდნენ თუ მხოლოდ ჯადოქრების სამყაროდან გააძევებდნენ? უცებ რონი და ჰერმიონი გაახსენდა და გული მოეწურა. დარწმუნებული იყო, მიუხედავად იმისა, რომ დანაშაული ჩაიდინა, რონი და ჰერმიონი სიამოვნებით დაეხმარებოდნენ, მაგრამ ორივენი საზღვარგარეთ იყვნენ, თანაც, ჰედვიგი თან არ ჰყავდა და მათ როგორღა დაუკავშირდებოდა?

არც მაგლების ფული ჰქონდა. სადღაც ჩემოდნის ფსკერზე ცოტა ჯადოქრების ფული კი ეგულებოდა, მაგრამ მთელი მისი ქონება, რომელიც მშობლებმა მემკვიდრეობით დაუტოვეს, ლონდონში, ჯადოქრების გრინგოტსის ბანკში ინახებოდა. ამსიმძიმე ჩემოდნით ლონდონამდე ფეხით ხომ ვერ ჩავიდოდა! თუმცა...

უცებ ხელში ჯერ ისევ მაგრად ჩაბღუჯულ ჯადოსნურ ჯოხს დახედა და გული გამალებით აუძგერდა. „თუ სკოლიდან უკვე გამ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რიცხეს, უარესი რაღა უნდა მოხდეს?“, გაიფიქრა. მამის დანატოვარი უჩინმაჩინის მოსასხამიც ჰქონდა. ხომ შეეძლო, ჩემოდანი ბუმბულის წონად ექცია, ცოცხისთვის გამოება და მოსასხამგადაფარებული ლონდონში გაფრენილიყო? მაშინ ბანკის აკლდამიდან დანარჩენ ფულს გამოიტანდა და... განდეგილივით დაიწყებდა ცხოვრებას. ამის გაფიქრებაც კი ჰზარავდა, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, სულ ასე ხომ არ იჯდებოდა ქვის ღობეზე? ან მაგლების პოლიციისთვის როგორ უნდა აეხსნა, ამ შუაღამეს ჯადოსნური წიგნებით გამოტენილი ჩემოდნითა და ცოცხით რატომ იჯდა ქუჩაში.

ჰარიმ ჩემოდანი გახსნა და კარგად გადაქექა, უჩინმაჩინის მოსასხამს ეძებდა, მაგრამ სანამ იპოვიდა, უცებ წელში გასწორდა და კიდევ ერთხელ მიმოიხედა.

კისერზე რაღაც უცნაურად ულიტინებდა და ეჩვენებოდა, რომ ვილაც უთვალთვალებდა, მაგრამ ქუჩაში სულიერის ჭაჭანება არ იყო და ირგვლივ მდგარ დიდ სახლებშიც არსად ენთო შუქი. ისევ ჩემოდნისკენ დაიხარა, მაგრამ მაშინვე გასწორდა და ჯადოსნურ ჯოხს მაგრად ჩასჭიდა ხელი. არაფერი გაუგონია, უბრალოდ იგრძნო, რომ მის ზურგს უკან, გარაჟსა და ღობეს შორის, ვილაც თუ რაღაც იდგა. ჰარიმ თვალები დააცეცა. ის არსება ოდნავაც რომ ამოძრავებულიყო, მაშინვე მიხვდებოდა, მაწანწალა კატა იყო თუ კიდევ სხვა რამ.

– ლუმოს, – დაიჩურჩულა ჰარიმ და ჯოხის წვერზე ალიცლიცებულმა სინათლემ თვალი მოსჭრა. მერე ჯოხი მაღლა ასწია, უახლოესი სახლის ქვით მოპირკეთებული კედელი უეცრად გაბრწყინდა, გარაჟის კარი აელვარდა და მათ შორის ჰარიმ სრულიად გარკვევით დაინახა, როგორ მოიწევდა მისკენ უზარმაზარი, ვეება ელვარეთვალებიანი არსება.

ჰარიმ უკან დაიხია, ფეხი ჩემოდანს წამოსდო და წაბორძიკდა. თავის შესაკავებლად ხელი აიქნია, ჯოხი გაუვარდა, თვითონ კი თხრილში ჩაგორდა.

გაისმა გამაყრუებელი გრუხუნი და კაშკაშა სინათლისგან დაბრმავებულმა ჰარიმ თვალებზე ხელი აიფარა... ერთი შეჰყვირა და ძლივს მოასწრო ტროტუარზე გადახტომა. სწორედ იქ, სადაც წამის წინ ჰარი იჯდა, ხმაურით დაამუხრუჭა უზარმაზარბორბლებიანმა, ვეებაფარებიანმა რაღაცამ. ჰარიმ თავი ასწია და სამსართულიანი, მჭახე იისფერი ავტობუსი დაინახა. საქარე მინაზე ოქროს ასოებით ეწერა „ღამის რაინდი“. ავტობუსი არსაიდან, პირდაპირ ჰაერიდან გაჩნდა.

ჰარიმ ისიც კი გააფიქრა, ეტყობა, თავი ისე მაგრად დავარტყი,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რაღაცეები მეჩვენებაო, მაგრამ ამ დროს ავტობუსიდან იისფერ უნიფორმაში გამოწყობილი კონდუქტორი გადმოხტა და საზეიმოდ გამოაცხადა:

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება „ღამის რაინდში“, ჩვენი ავტობუსი გასაჭირში ჩავარდნილ ჯადოქრებს ეხმარება. საკმარისია, ჯოხიანი ხელი დაგვიქნიოთ და მაშინვე სასურველ ადგილას მიგიყვანთ. მე გახლავართ სტენ შანპაიკი, ამ საღამოს თქვენი კონდუქტო...

კონდუქტორს სიტყვა გაუწყდა, ახლაღა შეამჩნია მიწაზე მჯდარი ბიჭი. ჰარიმ ჯოხს ხელი სტაცა და წამოდგა. ახლოდან კარგად ხედავდა, რომ ეს სტენ შანპაიკი თითქმის მისი ტოლი იყო, რამდენიმე წლით თუ იქნებოდა მასზე უფროსი. დიდი, პარტყუნა ყურები და ერთიანად დამუწუკებული სახე ჰქონდა.

– ეი, შენ, მანდ რას აკეთებ? – ჰკითხა სტენმა.

– წავიქეცი.

– რათა, კაცო, რათა? – ჩაიხვიხვინა სტენმა.

– რა ვიცი, – გაღიზიანდა ჰარი, რომელსაც მუხლთან შარვალი გახეოდა და ხელიდან სისხლი სდიოდა. უცებ მოაგონდა, რატომაც წაიქცა, და სწრაფად მოათვალიერა იქაურობა. „ღამის რაინდის“ ფარები ცარიელ ქუჩას თვალისმომჭრელ შუქში ხვევდა.

– რაო, რას უყურებ? – ჰკითხა სტენმა.

– იქ რაღაც დიდი, შავი არსება დავინახე, – ჰარიმ სახლისკენ ანიშნა, – ძაღლს ჰგავდა... ოღონდ ძალიან დიდი იყო... – მერე პირდაღებულ სტენს მიუბრუნდა და უხერხულად შეიშმუშნა, რადგან სტენი მის ნაიარევს თვალს არ აშორებდა.

– ეგ რა გაქ შუბლზე? – ჰკითხა ბოლოს.

– არაფერი, – ჰარიმ სასწრაფოდ ჩამოიშალა თმა. მაგიის სამინისტრო ალბათ უკვე მეძებს და საქმეს არ გავუადვილებო, გაიფიქრა.

– რა გქვია? – არ ეშვებოდა სტენი.

– ნევილ ლონგბოტომი, – რაც პირველი მოადგა ენაზე, ის უპასუხა და მერე, ყურადღების გადასატანად, სასწრაფოდ მიაყარა: – ესე იგი, ეს ავტობუსი... როგორ თქვი, ნებისმიერ ადგილას მიდისო?

– მააშ, – ამაყად მიუგო სტენმა, – სადაც მოისურვებ, ოღონდ – მარტო ხმელეთზე, წყალქვეშ ვერა. ისაა... – სტენმა ისევ ეჭვის თვალით შეხედა, – რა გჭირს, შენ თვითონ არ დაგვიძახე? ჯოხი არ დაგვიქნიე?

– ჰო, ჰო, – გონს მოეგო ჰარი, – ლონდონამდე რამდენად წამიყვან?

– თერთმეტ სიკლად! ისე, თოთხმეტად ცხელ შოკოლადსაც მიიღებ, თხუთმეტად კი – სათბურას და კბილის ჯაგრისს, ფერები, შეგიძლია, თვითონ აირჩიო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ ისევ ამოქექა ჩემოდანი, საფულე ამოიღო და სტენს ვერცხლის ფული ჩაუდო ხელში. მერე ბიჭებმა ჰედვიგის გალია და ჩემოდანი ავტობუსში აიტანეს.

ავტობუსში, ფარდებჩამოფარებულ ფანჯრებთან, ჩვეულებრივი სკამების ნაცვლად, თითბრის საწოლები იდგა. ყველა საწოლის თავთან თითო სანთელი ენთო და ხით მოპირკეთებულ კედლებს ანათებდა. ავტობუსის უკანა ნაწილში ღამისჩაჩიანმა ტანმორჩილმა ჯადოქარმა ჩაიბუტბუტა:

– არა, ახლა არა, გმადლობთ. ლოქორების მწნილს ვაკეთებ, – და მძინარემ გვერდი იცვალა.

– შენ აქ დაწვები, – გადაუჩურჩულა სტენმა ჰარის და ჩემოდანი მძღოლის სავარძლის უკან მდგარ საწოლქვეშ შედგა. მერე საჭესთან მჯდომ მძღოლზე უთხრა: – ეს ჩვენი მძღოლია, ერნი პრენგი. ერნ, ეს ნევილ ლონგბოტომია!

ერნი პრენგი მოხუცი ჯადოქარი იყო. სქელმინებიანი სათვალე ეკეთა, მისალმების ნიშნად ბიჭს თავი დაუქნია. ჰარიმ ისევ ჩამოიშალა თმა შუბლზე და საწოლზე დაჯდა.

– წავედით, ერნ! – სტენი მძღოლის გვერდით, სავარძელში ჩაჯდა.

ისევ გაისმა გამაყრუებელი გრუხუნი და ავტობუსი ისეთი სისწრაფით გაქანდა, რომ ჰარი საწოლზე გაიშხლართა. მერე წამოჯდა და ფანჯარაში გაიხედა, უკვე სრულიად სხვა, უცნობ ქუჩას მიუყვებოდნენ. ჰარის გაოგნებულმა სახემ სტენი ძალიან გაამხიარულა:

– აი, აქ ვიყავით, სანამ შენ გამოგვიძახებდი. არა, ერნ? სადა ვართ ახლა, უელსში?

– ჰო.

– კი მაგრამ, მაგლებს რატომ არ ესმით ავტობუსის ხმა? – ჰკითხა ჰარიმ.

– მაგლებს? – აიმრიზა სტენი, – წესიერად არ უსმენენ და იმიტომ, და არც უყურებენ. ეგენი, საერთოდ, ვერაფერს ამჩნევენ.

– სტენ, წადი, მადამ მარში გააღვიძე. ერთ წუთში აბერგავენიში ვიქნებით, – გადაულაპარაკა ერნიმ.

სტენმა ჰარის საწოლს ჩაუარა და ხის კიბით მაღლა ავიდა. ჰარი ისევ აღელვებული იყურებოდა ფანჯარაში. ერნი, როგორც ჩანს, მთლად გადასარევი მძღოლი არ ბრძანდებოდა. „ღამის რაინდი“ ხშირად გადადიოდა ტროტუარებზე, თუმცა არაფერს ეჯახებოდა. ლამპიონები, საფოსტო ყუთები და ნაგვის ურნები გზას უთმობდნენ და, ავტობუსი ჩაივლიდა თუ არა, ისევ თავ-თავიანთ ადგილებს უბრუნდებოდნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სტენი კიბეზე ჩამოვიდა. თან გამწვანებული, სამგზავრო მანტიაში გახვეული ჯადოქარი ჩამოჰყვა.

– აი, მოვედით, მადამ მარშ, – გაულიმა სტენმა.

ერნიმ მთელი ძალით დაამუხრუჭა. საწოლები მოცურდა. მადამ მარშმა დაამთქნარა, ცხვირსახოცი პირზე აიფარა და კიბეზე ფაცხაფუცხით ჩავიდა. სტენმა ჩანთა ავტობუსიდან გადაუგდო და კარი მოიჯახუნა. ისევ გაისმა გრუხუნი და ახლა სოფლის შარაგზას გაუყვნენ. ხეები აქეთ-იქით ხტებოდნენ და ავტობუსს გზას უთმობდნენ.

ჰარის არ ეძინებოდა, მით უმეტეს, ასეთ ავტობუსში, რომელიც გამაყრუებელი გრუხუნით წამში ასობით კილომეტრს გადიოდა. მუცელიც კი წამოსტკივდა იმაზე ფიქრით, ნეტავ, რა ბედი მელის, ან დერსლებმა თუ მოახერხეს, მამიდა მარჯი ძირს დაეშვათო.

სტენს „დილის მისანი“ გაეშალა და ენაგამოყოფილი კითხულობდა. პირველ გვერდზე გატანჯული, თმაგაჩეჩილი კაცის სურათი მოეთავსებინათ. კაცი თვალებმოჭუტული მიაჩერდა ჰარის. ბიჭს ეს სახე რატომღაც ეცნო. თავისი სადარდელი წამით დაავიწყდა და ჩაილაპარაკა:

– ეს კაცი მაგლების საინფორმაციო გამოშვებაში აჩვენეს!

სტენმა პირველ გვერდს დახედა და ჩაიქირქილა:

– სირიუს ბლექი! რა თქმა უნდა, აჩვენებდნენ, აბა, რა! შენ რა, ნევილ, არაფრის აზრზე არა ხარ? – მერე ქედმაღლურად გადახედა გაოგნებულ ჰარის და გაზეთი მიაწოდა, – უნდა იკითხო გაზეთები, ნევილ!

ჰარიმ გაზეთი სანთელთან მიიტანა და კითხვას შეუდგა:

„ბლექი ჯერ კიდევ თავისუფალია

დღეს მაგიის სამინისტრომ დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აზკაბანის ციხის არსებობის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე საშიში პატიმრის, სირიუს ბლექის დაკავება ჯერ კიდევ ვერ ხერხდება.

ამ დილით მაგიის მინისტრმა, კორნელიუს ფაჯმა, განაცხადა: „ყველა ღონეს მივმართავთ ბლექის დასაჭერად, საზოგადოებას კი უმორჩილესად ვთხოვთ, სიმშვიდე შეინარჩუნოს“.

ჯადოქართა ფედერაციის ერთმა ნაწილმა სასტიკად გააკრიტიკა ფაჯი, რადგან მან მაგლთა პრემიერ-მინისტრს მიაწოდა ინფორმაცია ბლექის გაქცევის შესახებ.

„იცით, რას გეტყვით? იძულებული გავხდი, სხვა გზა არ მქონდა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– განაცხადა გაღიზიანებულმა მინისტრმა, – ბლექი შეშლილია. იგი ყველასთვის საშიშია, ვინც გზაზე გადაეღობება, გინდ მაგლი იყოს, გინდ ჯადოქარი. პრემიერ-მინისტრი დამპირდა, რომ ბლექის ვინაობის შესახებ არავისთან სიტყვაც არ დასცდება. მოდით, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ – რომც თქვას რაიმე, როგორ გგონიათ, დაუჯერებენ?!"

მაგლებს შეატყობინეს, რომ ბლექი შეიარაღებულია, ანუ ერთგვარი რკინის ჯოხი აქვს, რომლითაც მაგლები ერთმანეთს ხოცავენ. ამასობაში კი ჯადოქრული საზოგადოება შიშით ძრწის. ყველას ახსოვს თორმეტი წლის წინანდელი სისხლიანი დრამა, როცა ბლექმა ერთადერთი წყევლით ცამეტ ადამიანს მოუსწრაფა სიცოცხლე".

ჰარიმ სირიუს ბლექს მუქ თვალებში ჩახედა, გაძვალტყავებულ სახეზე ცოცხალი თვალებიღა შერჩენოდა. ჰარის ნამდვილი ვამპირი არასოდეს ენახა, თუმცა, ბნელი ძალებისგან თავდაცვის გაკვეთილებზე სურათები კი დაეთვალიერებინა. ბლექი, თავისი ცვილისფერი სახით, სწორედ ნამდვილ ვამპირს ჰგავდა.

– რა იყო, დაგაფრთხო, არა? – სტენს ამ ხნის მანძილზე ჰარისთვის თვალი არ მოუცილებია.

– ერთადერთი წყევლით ცამეტი კაცი მოკლა? – ჰარიმ გაზეთი დაუბრუნა.

– კი, ეგრე იყო. მოწმეებმაც დაინახეს და რამე... თან დღისით-მზისით. რა ამბები ატყდა, არა, ერნ?

– ჰო, – უხალისოდ დაუდასტურა ერნიმ.

სტენი უფრო მოხერხებულად მოკალათდა სავარძელში, ხელები თავქვეშ ამოიდო და ისევ ჰარის მიუბრუნდა.

– ბლექი, ჩვენ-რომ-ვიცით, იმის მარჯვენა ხელი იყო.

– ვოლდემორის? – დაუფიქრებლად წამოსცდა ჰარის.

სტენი მუწუკებიანად გაფითრდა; დაზაფრულმა ერნიმ კი ისე ძლიერად მიატრიალა საჭე, გზაზე მდგარი სოფლის სახლი გვერდზე გახტა, რომ ავტობუსი არ დასჯახებოდა.

– აზზე მოდი, ვის სახელს ამბობ?!

– ბოდიში! მაპატიეთ, დამავიწყდა, – შეცბა ჰარი.

– ხო, კაი, არა უშავს! უხ, კინაღამ გული გამისკდა...

– ესე იგი, ბლექი, ჩვენ-რომ-ვიცით, იმის მარჯვენა ხელი იყო? – ისე წარმოთქვა ჰარიმ, თითქოს ბოდიშს იხდიდა.

– ხო! კი, ეგრეა, – სტენს ისევ გულზე ედო ხელი, – ძაან ახლოს იყო ჩვენ-რო-ვიცით, იმასთან... ამბობენ... მოკლედ, როცა ჰარი პოტერმა ჩვენ-რო-ვიცით, ის დაამარცხა...

ჰარიმ სასწრაფოდ ჩამოიშალა თმა შუბლზე.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ხოდა, იმას გეუბნებოდი, რომ მისი მომხრეები სუყველა დაიჭირეს, არა, ერნი? თვითონაც მიხვდნენ, რომ ცუდათ ქონდათ საქმე და მოყუჩდნენ. თუმცა, სირიუს ბლექი არ დანებდა. ამბობენ, ჩვენ-რო-ვიცით, იმის მემკვიდრედ თვლიდაო თავს, აბა?! ერთხელაც მაგლებით გატენილ ქუჩაზე მოიმწყვდიეს, მერე იმან ჯოხი გააძრო და იქაურობა ააფეთქა, რა. მაგლები ხომ დახოცა და თან ერთი ჯადოქარიც მიაყოლა. აუ, რა საშინელება იყო! მერე, თუ იცი, რა ქნა ბლექმა? – სტენმა ხმას დაუწია და ჩურჩულზე გადავიდა.

– რა ქნა? – ჰკითხა ჰარიმ.

– ახარხარდა! იდგა და ხარხარებდა! მერე მაგიის სამინისტროს რაზმი გამოჩნდა და აზზე ხარ, წინააღმდეგობაც არ გაუწევია, სულ სიცილ-ხარხარით გაყვა. გეუბნები, გიჟია-მეთქი! ხო ეგრეა, ერნ?

– აზკაბანში მოხვედრამდე თუ არ იყო, იქ აუცილებლად გაგიჟდებოდა! – ჩაილაპარაკა ერნიმ, – მაგ ციხეში მოხვედრას მირჩევნია, თავი მოვიკლა. თუმცა, იმ არამზადას ეგრეც მოუხდება!

– ამ საქმის ჩასაფარცხად მაგრა იწვალეს, არა, ერნ? ქუჩა აფეთქდა, მაგლები დაიხოცნენ. რაო, ერნ, რა თქვეს?

– გაზის გაჟონვას დააბრალეს, – მოკლედ მოუჭრა ერნიმ.

– ახლა კიდე გაქცეულია, – სტენმა ისევ შეათვალიერა სირიუს ბლექის სურათი, – ადრე აზკაბანიდან არავინ გაქცეულა, არა, ერნ? აუ, ბიჭო, მაინც როგორ მოახერხა, ა? გადაირევი პირდაპირ! აზზე არ ვარ, რა უქნა აზკაბანის მცველებს. რას იტყვი, ერნ?

ერნის გააჟრჟოლა.

– სხვა რამეზე ილაპარაკე რა, სტენ! აზკაბანის მცველები რომ მახსენდება, ჟრუანტელი მივლის!

სტენმა უხალისოდ გადადო გვერდზე გაზეთი. ჰარი ავტობუსის ფანჯარას მიეყრდნო, თავს საშინლად გრძნობდა. წარმოიდგინა, როგორ იყბედებდა სტენი მგზავრებთან რამდენიმე დღის შემდეგ:

„ჰარი პოტერის ამბავი გაიგეთ? მამიდამისი გაბერა! ჩვენი ავტობუსით იმგზავრა, არა, ერნ? გაქცევას აპირებდა“.

სირიუს ბლექისა არ იყოს, ჰარიმაც დაარღვია ჯადოქრების კანონები. ნეტავ, ამ დანაშაულისთვის აზკაბანში თუ ჩასვამდნენ? ჰარიმ ბევრი არაფერი იცოდა ჯადოქრების ციხის შესახებ, მაგრამ მასზე ყველა ჯადოქარი ძრწოლით ლაპარაკობდა. შარშან ჰოგვორტსის მეტყევე, ჰაგრიდი ორ თვეს იჯდა აზკაბანში. ჰარის არასოდეს დაავიწყდება ჰაგრიდის დაზაფრული მზერა, როცა შეატყობინეს, სად მიჰყავდათ. არადა, მის ნაცნობებს შორის ჰაგრიდი ყველაზე უშიშარი ადამიანი იყო.

„ღამის რაინდი“ სიბნელეში მიქროდა. გზადაგზა ბუჩქები, ნაგვის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ურნები, ტელეფონის ჯიხურები და ხეები აქეთ-იქით ხტებოდნენ. ჰარის ძილი არ ეკარებოდა, ბუმბულის ლოგინში წრიალებდა და თავს უბედურად გრძნობდა. ცხელი შოკოლადიც იყიდა, მაგრამ როცა ავტობუსი მოწყვეტით გაქანდა კანგლესიიდან აბერდინისკენ, სასმელი ბალიშზე დაეღვარა. ავტობუსის ზედა სართულებიდან სათითაოდ ჩამოდიოდნენ ღამის პერანგებსა და ჩუსტებში გამოწყობილი ჯადოქრები. ჩასვლისას სახეზე ეწერათ, რომ მგზავრობის დასრულება ძალიან უხაროდათ.

ბოლოს ჰარი მარტო დარჩა.

– აბა, ნევილ! – ხელები მოიფშვნიტა სტენმა, – ლონდონში რა ადგილას მიდიხარ?

– მრუდე ქუჩაზე, – უპასუხა ჰარიმ.

– კი, ბატონო! მრუდე იყოს! აბა, წავედით!

ავტობუსი გრიალით გაუყვა ჩარინგ ქროს როუდს. ჰარი ფანჯრიდან ხედავდა, როგორ ეცლებოდნენ ავტობუსს გზიდან შენობები და ძელსკამები. ცა ოდნავ შეფერადდა. „ცოტა ხანს მოვიცდი, გრინგოტსის ბანკს გააღებენ თუ არა, შევალ, ფულს ავიღებ და გზას დავადგები“, ფიქრობდა ჰარი.

ერნიმ უცებ დაამუხრუჭა და ავტობუსი მოწყვეტით გაჩერდა ერთი პატარა, არაფრით გამორჩეული ლუდხანის წინ. ეს იყო „გახვრეტილი კარდალა“, საიდანაც ჯადოქრები მრუდე ქუჩაზე გადიოდნენ.

– დიდი მადლობა, – ჰარი ერნის დაემშვიდობა, ავტობუსიდან ჩამოხტა და სტენს მიეხმარა ჩემოდნისა და ჰედვიგის გალიის ჩამოდგმაში. მერე კონდუქტორს მიუბრუნდა:

– აბა, კარგად, სტენ!

სტენი ყურადღებას არ აქცევდა, ავტობუსის კარებში იდგა და „გახვრეტილი კარდალის“ ჩაბნელებულ შესასვლელს თვალს არ აცილებდა.

– აი, სად ყოფილხარ, ჰარი! – ჰარის ვიღაცამ მხარზე დაადო ხელი.

– ერნ, მოდი, მოდი! ჩქარა! – შეჰყვირა უცებ სტენმა.

ჰარიმ მიიხედა და თავზარი დაეცა: ზურგს უკან თავად მაგიის მინისტრი, კორნელიუს ფაჯი ედგა.

სტენი ტროტუარზე ჩამოხტა.

– ბატონო მინისტრო, ნევილს რა სახელი დაუძახეთ?

ფაჯი ტანდაბალი კაცი იყო, გრძელი, ზოლებიანი მანტია ეცვა, შეცივებული და გადაღლილი გამომეტყველება ჰქონდა.

– რაო, რა თქვი? ნევილი რა შუაშია? ამ ბიჭს ჰარი პოტერი ჰქვია.

– ასეც ვიცოდი! – აღფრთოვანდა სტენი, – ერნ! ერნ! აბა, გამოიცანი, ნევილი სინამდვილეში ვინ ყოფილა! ჰარი პოტერი, ერნ! შეხედე, ნაიარევი აქვს შუბლზე!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– საკმარისია, – ცივად მოუჭრა ფაჯმა, – ძალიან მიხარია, რომ ჰარიმ „ღამის რაინდით“ იმგზავრა, მაგრამ ახლა „გახვრეტილ კარდალაში“ უნდა შევიდეთ...

ფაჯმა ჰარის მხარზე მაგრად მოუჭირა ხელი და ლამის ძალით შეიყვანა ლუდხანაში. დახლს იქით ბებერი, უკბილო ჯადოქარი გამოჩნდა, ხელში ფარანი ეჭირა. ეს იყო ლუდხანის მეპატრონე, ტომი.

– იპოვეთ არა, მინისტრო? – გაიხარა ტომმა, – რაიმეს ხომ არ ინებებთ? ლუდს ან ბრენდის.

– ჩაი მოგვიტანე, – ფაჯი ჰარის ხელს არ უშვებდა.

სტენი და ერნი ფაციფუცით შემოცვივდნენ ლუდხანაში და ჰარის ჩემოდანი და ჰედვიგის გალია შემოიტანეს, თან იქაურობას ცნობისმოყვარეობით ანთებული თვალებით ათვალიერებდნენ.

– რატო არ გვითხარი, ვინ იყავი, ნევილ? – სახე გაებადრა სტენს. მის ზურგს უკან ბუსავით თვალებგაფართოებული ერნი იდგა.

– ტომ, ჩვენ ცალკე ოთახში დავსხდებით, – ბრძანა ფაჯმა.

ტომი ცალკე კაბინისკენ გაუძღვა სტუმრებს.

– ნახვამდის! – ძლივს ამოღერღა ჰარიმ.

– ნახვამდის, ნევილ! – მიაძახა სტენმა.

ტომმა სტუმრები ვიწრო დერეფნის გავლით პატარა ოთახში გაიყვანა. მერე თითები გაატკაცუნა, ბუხარში ცეცხლი ააგიზგიზა, ფაჯს თავი დაუკრა და ოთახიდან გავიდა.

– დაჯექი, ჰარი! – ფაჯმა ბუხართან მდგარ სკამზე ანიშნა.

ჰარის ჟრუანტელმა დაუარა, თუმცა ოთახში არ ციოდა. ფაჯმა ზოლებიანი მანტია გაიხადა, გვერდზე გადადო, მერე მწვანე შარვალი შეისწორა და ჰარის პირისპირ ჩამოჯდა.

– მე მაგიის მინისტრი ვარ – კორნელიუს ფაჯი!

ეს ჰარიმ, რა თქმა უნდა, იცოდა. ფაჯი ადრეც ჰყავდა ნანახი, მაგრამ მაშინ მამამისის უჩინმაჩინის მოსასხამი ჰქონდა შემოხვეული და მინისტრს არ დაუნახავს.

ლუდხანის მეპატრონე ისევ შემოვიდა ოთახში. ღამის პერანგზე წინსაფარი გაეკეთებინა, ჩაი და ფუნთუშები მოჰქონდა. ლანგარი მაგიდაზე დადგა, ოთახიდან გავიდა და კარი გაიხურა.

– ეჰ, ჰარი, ჰარი! – ფაჯმა ჩაი ჩამოასხა, – არ დაგიმალავ, საგონებელში ჩაგვყარე! ისე მოულოდნელად გაიქეცი შენი ნათესავების სახლიდან, რომ... ერთი პირობა ისიც კი ვიფიქრე... თუმცა, არაფერი გჭირს, მადლობა ღმერთს!

ფაჯმა ფუნთუშას კარაქი გადაუსვა და თეფში ჰარის მიუჩოჩა:

– ჭამე, ჰარი! ფეხზე ძლივს დგახარ! ჰო, რა მინდოდა მეთქვა... მინდა იცოდე, რომ ქალბატონი მარჯორი დერსლი კარგად არის.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რამდენიმე საათის წინ პრივიტ დრაივზე ჯადოქრული შეცდომების გამოსწორების დეპარტამენტის ორი წარმომადგენელი გავგზავნეთ. მის დერსლი დაჩუტეს და მეხსიერება შეუცვალეს. ასე რომ, ეს ამბავი საერთოდ არ გაახსენდება. ერთი სიტყვით, არავინ დაშავებულა.

ფაჯმა ჩაი მოსვა და ჰარის გულთბილად გაუღიმა. ბიჭი ყურებს არ უჯერებდა, პირიც კი გააღო რაღაცის სათქმელად, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა და ისევ დამუნწა.

– ალბათ ძალიან ნერვიულობ, ბიძია და დეიდა რას გეტყვიან, არა? – განაგრძო ფაჯმა, – არ დაგიმალავ, ძალიან გაბრაზდნენ, მაგრამ მაინც მზად არიან, მომავალ ზაფხულს გიმასპინძლონ. საშობაო და სააღდგომო არდადეგებზე კი ჰოგვორტსში დარჩები.

ჰარიმ შვებით ამოისუნთქა.

– საშობაოდ და სააღდგომოდ ყოველთვის ჰოგვორტსში ვრჩები ხოლმე. პრივიტ დრაივზე დაბრუნება არც მინდა.

– ოჰ, კარგი ერთი! ცოტა რომ დამშვიდდები, ასე აღარ ილაპარაკებ! – შეწუხდა ფაჯი, – რაც უნდა იყოს, ეს შენი ოჯახია და დარწმუნებული ვარ, ერთმანეთი ძალიან გიყვართ... ჰო...

ჰარი აღარ შეჰკამათებია. ჯერ ხომ არ იცოდა, რას უპირებდნენ.

– ახლა კი ერთი საქმე უნდა მოვაგვაროთ, – ფაჯმა მეორე ფუნთუშაზე წაუსვა კარაქი, – სად გაატარებ არდადეგების დარჩენილ სამ კვირას. მე გთავაზობ, აქვე, „გახვრეტილ კარდალაში“ იქირაო ოთახი...

– კი მაგრამ, სასჯელი? – წამოსცდა ჰარის.

ფაჯი შეცბა:

– რა სასჯელი?

– მე ხომ კანონი დავარღვიე! დებულება „არასრულწლოვანთა ჯადოქრობის ზომიერი შეზღუდვის შესახებ“.

– ო, ჩემო ძვირფასო! ასეთი წვრილმანისთვის შენს დასჯას არ ვაპირებთ! – წამოიძახა ფაჯმა, – ეს ხომ შემთხვევით მოგივიდა! მამიდების გაბერვის გულისთვის ხალხს აზკაბანში კი არ ვსვამთ!

ჰარი გაოგნდა. საერთოდ, მაგიის სამინისტრო სულაც არ იყო ასეთი ლმობიერი.

– შარშან ოფიციალური გაფრთხილება მივიღე იმის გამო, რომ შინაურმა ელფმა ბიძაჩემის სახლში პუდინგიანი ლანგარი დაამსხვრია! სამინისტროდან შემომითვალეს, თუ კიდევ ერთხელ გამოიყენებ ჯადოქრობას, ჰოგვორტსიდან გაგრიცხავენო!

ჰარიმ თვალებს არ დაუჯერა – ფაჯი უხერხულად აწრიალდა:

– იცი, ჰარი... გარემოებები იცვლება... ბევრ რამეს ვითვალისწინებთ ხოლმე... ასეთ ვითარებაში... დარწმუნებული ვარ, არ გინდა, ჰოგვორტსიდან გაგრიცხონ, არა?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა თქმა უნდა, არა!

– ჰოდა, რაღას განიცდი? – გაიცინა ფაჯმა, – მიდი, ფუნთუშა შეჭამე. მე წავალ და ვნახავ, ტომს თავისუფალი ოთახი თუ აქვს შენთვის.

ჰარი გაოცებული უყურებდა, როგორ გავიდა მინისტრი ოთახიდან. რაღაც უცნაური ხდებოდა მის თავს. ნეტავ, რისთვის ელოდა ფაჯი „გახვრეტილ კარდალასთან“, თუ მის დასჯას არ აპირებდა? თანაც, ძალიან უცნაური იყო ისიც, რომ მაგიის მინისტრი თავად ჩაერია არასრულწლოვანი ჯადოქრის საქმეში.

ფაჯი ტომთან ერთად დაბრუნდა.

– მეთერთმეტე ოთახი თავისუფალია, ჰარი, – ამცნო ბიჭს, – იმედია, კარგად მოეწყობი. ერთი სათხოვარი მაქვს და მჯერა, გამიგებ: არ მინდა, რომ ლონდონის მაგლურ ნაწილში გახვიდე! მრუდე ქუჩაზე ისეირნე და ყოველ საღამოს დაბნელებამდე დაბრუნდი სასტუმროში. ყველაფერი გასაგებია? ჩემ მაგივრად კი ტომი მოგხედავს.

– კი ბატონო, – დაეთანხმა ჰარი, – მაგრამ...

– არ გვინდა, ისევ დაგვეკარგო, – გულიანად გაიცინა ფაჯმა, – ჰა, ჰა, ჰა! უმჯობესია, ვიცოდეთ, სად ხარ... უფრო სწორად...

ფაჯმა ჩაახველა და თავისი ზოლებიანი მანტია აიღო.

– აბა, წავედი! უამრავი საქმე მაქვს, ხომ იცი...

– ბლექი ჯერ არ დაგიჭერიათ? – ჰკითხა ჰარიმ.

ფაჯს მანტიის ვერცხლის შესაკრავებზე თითები შეეყინა.

– რა თქვი? ა, შენც გაიგე უკვე? არა, ჯერ არ დაგვიჭერია, თუმცა ადრე თუ გვიან დავიჭერთ. აზკაბანის მცველებს ჯერ არავინ გაჰქცევიათ... თანაც, ისე არიან გაბრაზებულები, რომ მტრისას! – ფაჯს გააჟრჟოლა, – აბა, კარგად! ნახვამდის! – ჰარის ხელი ჩამოართვა და თავისი ზოლებიანი მანტია მოიხურა.

უცებ ბიჭს რაღაც გაახსენდა:

– ბატონო მინისტრო, შეიძლება, რაღაც გთხოვოთ?

– რა თქმა უნდა, – გაუღიმა ფაჯმა.

– მესამეკურსელებს ჰოგსმიდში უშვებენ ხოლმე, მაგრამ დეიდაჩემსა და ბიძაჩემს ნებართვის ფურცელზე ხელი არ მოუწერიათ. თქვენ ხომ არ მომიწერდით?

ფაჯი შეცბა:

– აჰ, არა, არა! ძალიან ვწუხვარ, ჰარი, მაგრამ მე არც შენი მშობელი ვარ და არც – მეურვე...

– თქვენ ხომ მაგიის მინისტრი ხართ! – გამოცოცხლდა ჰარი, – თუ ნებართვას მომცემთ...

– არა, ჰარი! ძალიან ვწუხვარ, მაგრამ კანონი კანონია! – ცივად

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოუჭრა ფაჯმა, – ჰოგსმიდში მომავალ წელს წახვალ. სიმართლე გითხრა, ასე აჯობებს კიდეც... ჰო, აი, ასე... ახლა უნდა წავიდე. აბა, შენ იცი, ჰარი!

ფაჯმა ერთხელაც გაუღიმა, ხელი ჩამოართვა და გავიდა.

– მე გამომყევით, მისტერ პოტერ, – შესცინა ტომმა, – თქვენი ბარგი უკვე ოთახში ავიტანე.

ლამაზი ხის კიბით ავიდნენ ზემოთ, ოთახის კარებზე თითბრისგან დამზადებული ნომერი თერთმეტი იყო მიკრული. ტომმა კარი გააღო.

ოთახში ფუმფულა საწოლი და მუხის გაპრიალებული ავეჯი იდგა, ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა, კარადის თავზე კი...

– ჰედვიგ! – წამოიყვირა ჰარიმ.

თოვლივით თეთრმა ბუმ ნისკარტი ააკაპუნა და ჰარის მხარზე დააჯდა.

– ძალიან გონიერი ბუ გყავთ, – გაეღიმა ტომს, – თქვენი ჩამოსვლიდან ხუთიოდ წუთში მოფრინდა. მისტერ პოტერ, თუ რაიმე დაგჭირდათ, ნუ მოგერიდებათ, მთხოვეთ, – ტომმა თავი დაუკრა და გავიდა.

ჰარი დიდხანს იჯდა საწოლზე და ჰედვიგს ეფერებოდა. ფანჯრიდან კარგად ჩანდა, როგორ განაცრისფრდა ხავერდივით ლურჯი ცა, მერე კი შევარდისფრდა და ალაგ-ალაგ ოქროსფრად განათდა. არც კი სჯეროდა, რომ სულ რამდენიმე საათის წინ პრივიტ დრაივზე იყო. თანაც, არც სკოლიდან გაურიცხავთ და მთელ სამ კვირასაც დერსლების გარეშე გაატარებდა.

– უცნაური ღამე იყო, ჰედვიგ, – დაამთქნარა ჰარიმ, სათვალის მოუხსნელად ჩაეფლო ბალიშებში და ჩაეძინა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეოთხე

„გახვრეტილი კარდალა“

ჰარის რამდენიმე დღე დასჭირდა, რომ უჩვეულო თავისუფლებას შეჰგუებოდა. როცა მოეპრიანებოდა, მაშინ ადგებოდა, რაც მოესურვებოდა, იმას შეჭამდა. ის კი არა, თავის ნებაზე შეეძლო ესეირნა კიდეც, ოღონდ მრუდე ქუჩას არ უნდა გასცდენოდა. ამ გრძელ, მოკირწყლულ ქუჩაზე კი მსოფლიოში ყველაზე გასაოცარი ჯადოსნური მაღაზიები იყო ჩამწკრივებული. ასე რომ, ჰარის აზრადაც არ მოსვლია, ფაჯისთვის მიცემული პირობა დაერღვია და მაგლების სამყაროში დაბრუნებულიყო. ყოველ დილით „გახვრეტილ კარდალაში“ საუზმობდა და სხვა სტუმრებს აკვირდებოდა: ჩია სოფლელ ქალებს, საყიდლებზე ერთი დღით რომ იყვნენ ჩამოსულები ლონდონში; სერიოზულ ბატონებს, რომლებიც გაცხარებით კამათობდნენ ჟურნალში – „ტრანსფიგურაცია დღეს“ – დაბეჭდილ უახლეს სტატიაზე; ან კიდევ – აჩაჩულ-დაჩაჩულ ჯადოქრებსა და ფეთხუმ ჯუჯებს... ერთხელ ერთმა უცნაურმა არსებამ, რომელიც შალის მოსასხამს არ იხსნიდა და რატომღაც ძალიან ჰგავდა ალქაჯს, უმი ღვიძლი შეუკვეთა.

საუზმის შემდეგ ჰარი შიდა ეზოში გადიოდა, ჯოხს მსუბუქად დაჰკრავდა სანაგვე ურნის ზევით, მარცხნიდან მესამე აგურს და უკან იხევდა, სანამ მრუდე ქუჩაზე გასასვლელი არ გაიხსნებოდა.

ზაფხულის თბილ, მზიან დღეებს ჰარი მრუდე ქუჩაზე ატარებდა, ათვალიერებდა მაღაზიებს და ღია ცის ქვეშ, ქოლგებიან კაფეებში მიირთმევდა საჭმელს. რას არ გაიგონებდით აქ... კლიენტები ერთმანეთს ნავაჭრს აჩვენებდნენ:

– ეს მთვაროსკოპია, მეგობარო, მთვარის რუკები უკვე აღარ არის საჭირო!

ან კიდევ სირიუს ბლექზე ლაპარაკობდნენ:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მე ბავშვებს ქუჩაში გასვლის ნებას არ მივცემდი, სანამ ბლექს აზკაბანში არ დააბრუნებენ!

ჰარის ძალიან უხაროდა, რომ საშინაო დავალების შესრულება საბანქვეშ, ფარნის შუქზე აღარ უწევდა. ახლა შეეძლო, დღისით-მზისით, ფლორიან ფორტესკიუს სანაყინეში მჯდარიყო და თავისი დავალებები იქ ეწერა. შიგადაშიგ თავად ფლორიანიც ეხმარებოდა, შუა საუკუნეებში ჯადოქრების დაწვის შესახებ ბევრი რამ იცოდა, და თანაც ბიჭს ყოველ ნახევარ საათში ნაყინით უმასპინძლდებოდა.

აავსებდა თუ არა თავის საფულეს ოქროს გალეონებით, ვერცხლის სიკლებითა და სპილენძის კნატებით, ჰარი თავს ძლივს იკავებდა, რომ მთელი ფული ერთბაშად არ დაეხარჯა. საკუთარ თავს მოაგონებდა ხოლმე, რომ ჰოგვორტსში კიდევ ხუთ წელიწადს უნდა ესწავლა და ფული რომ გაეფლანგა, მერე დერსლეებს ხომ არ სთხოვდა, შელოცვების წიგნების საყიდლად ფული მომეცითო. ამიტომაც არ იყიდა ოქროს კენჭების ნაკრები, რომლითაც ჯადოქარი ბავშვები კენჭობანას თამაშობენ. ერთხელაც კინაღამ შეცდა, როცა მინის ბურთში მოთავსებული გალაქტიკის ზუსტი, მოძრავი მოდელი დაინახა. ამისთანა ბურთის პატრონს ასტრონომიის გაკვეთილებზე ჯდომა აღარ მოუწევდა. მაგრამ ყველაზე დიდი ცდუნება ჰარის „გახვრეტილ კარდალაში“ ჩამოსვლიდან ერთ კვირაში, თავის საყვარელ მაღაზიაში – „ყველაფერი საუკეთესო ქვიდიჩისათვის“ – ელოდა. გადაჭედილ მაღაზიაში ძლივს შეძვრა, აინტერესებდა, ნეტავ, ეს ხალხი რას უყურებსო, და ახლად აღმართულ პოდიუმზე უმშვენიერეს ცოცხს მოჰკრა თვალი, რომლის მსგავსი ცხოვრებაში არ ენახა.

– სულ ახლახან გამოვიდა... საცდელი მოდელია, – გადაულაპარაკა ერთმა დიდნიკაპიანმა ჯადოქარმა თავის მეგობარს.

– მსოფლიოში უსწრაფესი მოდელია, არა, მამი? – აღფრთოვანებას ვერ მალავდა პატარა ბიჭუნა და მამამისს მკლავზე ექაჩებოდა.

– ირლანდიის საერთაშორისო ასოციაციამ შვიდი ასეთი ცოცხი შეგვიკვეთა, – გამოაცხადა მაღაზიის მეპატრონემ, – ხომ იცით, წელს ისინი მსოფლიო თასის ფავორიტები არიან.

ჰარის წინ მდგარი მსუქანი ქალი განზე გადგა და ბიჭმა ცოცხთან მიკრული აბრა წაიკითხა:

„ელვა“

„ეს უახლესი მოდელის სპორტული ცოცხი ხელოვნების ნამდვილი შედევრია. ცაცხვის ხის ტარი ალმასითაა გაპრიალებული და ზედ ხელით

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არის ამოკვეთილი ინდივიდუალური სარეგისტრაციო ნომერი. არყის ხისგან დამზადებული ცოცხის კუდი საგულდაგულოდაა შერჩეული და გამოირჩევა აეროდინამიკური თვისებების სრულყოფილებით, რის გამოც „ელვას“ ახასიათებს შეუდარებელი წონასწორობა და სიზუსტე. სულ რაღაც10 წამის განმავლობაში ცოცხი ავითარებს 240 კმ/სთ სიჩქარეს და აღჭურვილია საიმედო ჯადოსნური მუხრუჭებით. ფასი იკითხეთ სალაროში“.

ჰარის გუნება წაუხდა, როცა წარმოიდგინა, რა ეღირებოდა „ელვა“. ამ ცოცხზე მეტად სიცოცხლეში არაფერი მონდომებია... მაგრამ თავისი „ნიმბუს-2000“-ით ჯერ არც ერთი ქვიდიჩის მატჩი არ წაუგია და რა აზრი ჰქონდა, „ელვის“ საყიდლად გრინგოტსის საცავის დაცარიელებას, როცა ისედაც მშვენიერი ცოცხი ჰქონდა. ჰარის ფასი არ უკითხავს, მაგრამ თითქმის ყოველდღე მიდიოდა მაღაზიაში „ელვის“ სანახავად. თუმცა, რაღაც-რაღაცეების ყიდვა მაინც მოუხდა. ერთხელ აფთიაქში შევიდა და შხამ-წამლების ინგრედიენტები იყიდა, მერე მადამ მალკინის მაღაზიაში – „მანტიები ყველა შემთხვევისათვის“ – ახალი მანტიები შეიძინა, რადგან ძველები რამდენიმე სანტიმეტრით დამოკლებოდა. რაც მთავარია, ახალი სახელმძღვანელოებიც სჭირდებოდა, მათ შორის, ორი – ახალი საგნის – ჯადოსნურ არსებათა მოვლისა და მისნობისა.

ჰარიმ გაოცებულმა შეხედა წიგნის მაღაზიის ვიტრინას. იქ ოქროთი მოვარაყებული, უშველებელი შელოცვების წიგნების ნაცვლად, რკინის გალია გამოედგათ, რომელშიც „მონსტრწიგნის“ ასამდე ეგზემპლარი იდო. გააფთრებული წიგნები ერთმანეთს ეძიძგილავებოდნენ, ყდებს გაშმაგებით აკრაჭუნებდნენ, იქაურობა კი დაგლეჯილი ფურცლებით იყო სავსე.

ჰარიმ ჯიბიდან წიგნების სია ამოიღო. შიგ „მონსტრწიგნი მონსტრების შესახებ“-აც ეწერა, როგორც ჯადოსნურ არსებათა მოვლის სახელმძღვანელო. ახლაღა მიხვდა ჰარი, რატომ შემოუთვალა ჰაგრიდმა, ეს წიგნი გამოგადგებაო, და შვებით ამოისუნთქა: კიდევ კარგი, რაიმე ახალი მონსტრის გამოზრდა არ მოისურვა და „მონსტრწიგნი“ ამისთვის არ გამომიგზავნაო.

„ფლორიშ ენდ ბლოტსში“ შესულ ჰარის მაღაზიის გამყიდველი გამოეგება.

– ჰოგვორტსიდან ხარ, არა? – უხეშად ჰკითხა მან, – წიგნების საყიდლად მოხვედი?

– დიახ, მე მჭირდება...

– იქით მიიწიე, – შეაწყვეტინა გამყიდველმა და ბიჭი განზე გასწია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მერე სქელი ხელთათმანები ჩამოიცვა, დიდი ჯოხი აიღო და „მონ-სტრწიგნების“ გალიისკენ გაემართა.

– მოიცათ, – დაუძახა ჰარიმ, – ეგ წიგნი უკვე მაქვს!

– მართლა? – გულზე მოეშვა გამყიდველს, – მადლობა ღმერთს! დღეს დილიდან უკვე ხუთჯერ დამკბინეს.

უცებ ფხრეწის ხმა გაისმა. ორ მონსტრწიგნს მესამე ჩაეგდო ხელში და გამეტებით გლეჯდა.

– გეყოფათ! გეყოფათ, – გამყიდველი გისოსებიდან ჯოხს ურტ-ყამდა და ცდილობდა, წიგნები ერთმანეთისთვის დაეშორებინა, – არასოდეს აღარ შემოვიტან ამათ გასაყიდად! ნამდვილი საგიჟეა! ერთხელ „უჩინმაჩინი წიგნი უჩინმაჩინების შესახებ“ 200 ეგზემპლარი ვიყიდეთ, ძალიან ძვირი დაგვიჯდა და იცით, რა მოხდა? წიგნები ვერსად ვიპოვეთ! მაგრამ ამათთან შედარებით ისინი... კიდევ რა გნებავთ?

ჰარიმ სიას დახედა.

– კასანდრა ვაბლატსკის „განჭვრიტე მომავალი“ მინდა.

– მისნობის შესწავლას იწყებ? – გამყიდველმა ხელთათმანები გაიძრო და ჰარი მაღაზიის სილრმეში შეიყვანა, სადაც ეწყო წიგნები წინასწარმეტყველების შესახებ. ერთ პატარა მაგიდაზე უამრავი წიგნი დაეხვავებინათ – „შეიტყვე შეუძლებელი: როგორ დავიცვათ თავი თავზარისგან“; „დამსხვრეული ჯადოსნური კრისტალი: თუ ბედისწერამ გიმტყუნათ“...

– აი, ვიპოვე, – მენეჯერი გასაშლელ კიბეზე აძვრა და ზედა თაროდან სქელი, შავყდიანი წიგნი ჩამოიღო, – „განჭვრიტე მომა-ვალი“, მშვენიერი სახელმძღვანელოა ყველა ძირითადი სახეობის მკითხაობის შესასწავლად – ქირომანტია, ჯადოსნური კრისტალები, ფრინველის შიგანი...

ჰარი აღარ უსმენდა – პატარა მაგიდაზე, თვალსაჩინო ადგილას დადებულ წიგნს თვალს არ აშორებდა: „სასიკვდილო ნიშნები. როგორ მოვიქცეთ, როცა აღსასრული გვიახლოვდება“.

– შენ ადგილას ამ წიგნს არ წავიკითხავდი, – ფრთხილად შეაპარა გამყიდველმა, როცა დაინახა, რომელ წიგნს მისჩერებოდა ჰარი, – ყველგან სასიკვდილო ნიშნები მოგელანდება, ამ წიგნისგან ძარღვებში სისხლი გაგეყინება!

ჰარი მაინც პირდაღებული მისჩერებოდა წიგნის ყდას, რომელზეც დათვივით დიდი, თვალებბრიალა შავი ძაღლი ეხატა. ეს არსება რატომღაც ეცნობოდა...

გამყიდველმა ხელში ჩაუდო „განჭვრიტე მომავალი“.

– კიდევ რაიმე ხომ არ გნებავთ?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დიახ, – ჰარიმ ძლივს მოსწყვიტა თვალი წიგნს და სიას დახედა, – ისა... „ტრანსფიგურაცია“ და „შელოცვების ქრესტომათიის“ მე-3 ნაწილი მინდა.

ათ წუთში იღლიაში წიგნებამოჩრილი ჰარი „ფლორიშ ენდ ბლოტ-სიდან“ გამოვიდა და „გახვრეტილი კარდალისკენ“ გაემართა. დაბ-ნეული არც კი აქცევდა ყურადღებას, საით მიდიოდა და ხალხს ეჯახებოდა.

კიბე აიარა, ოთახში შევიდა და წიგნები საწოლზე დაყარა. ოთახი დაელაგებინათ, ღია ფანჯრიდან მზის შუქი იღვრებოდა. ჰარის მაგლების ქუჩიდან ავტობუსების გრუხუნი და მრუდე ქუჩაზე მოსიარულე ხალხის ხმები ესმოდა. ხელსაბანის ზემოთ დაკიდებულ სარკეში თავის თავს მოჰკრა თვალი.

– რა სისულელეა! სასიკვდილო ნიშანი რა შუაშია! – მიაძახა საკუ-თარ ანარეკლს, – უბრალოდ, მაგნოლიის ქუჩაზე პანიკაში ჩავვარდი! ალბათ მაწანწალა ძაღლი იყო... – მერე მექანიკურად გაისწორა თმა.

– ტყუილად ნუ წრიალებ! მაინც ვერაფერს გახდები, – ხრინწიანი ხმით ჩაილაპარაკა სარკემ.

* * *

დღეები სწრაფად გადიოდა. ჰარი დადიოდა და ყველგან რონსა და ჰერმიონს ეძებდა. სასწავლო წლის მოახლოებასთან ერთად მრუდე ქუჩა ჰოგვორტსის სტუდენტებით გაივსო. მაღაზიაში, „ყველაფერი საუკეთესო ქვიდიჩისათვის“, ჰარი თავის გრიფინდორელ ჯგუფე-ლებს, სიმუს ფინიგანსა და დინ ტომასს შეხვდა. ბიჭები აღტაცებით მიშტერებოდნენ „ელვას“. „ფლორიშ ენდ ბლოტსთან“ გულმავიწყ, პუტკუნა ნევილ ლონგბოტომს გადაეყარა, მაგრამ სალაპარაკოდ არ შეჩერებულა. ნევილს წიგნების სიის წამოღება დავიწყებოდა და ახლა ბებიამისი, ძალიან მკაცრი ქალბატონი, ხმამაღლა ტუქსავდა. ჰარიმ გაიფიქრა, იმედია, ვერასოდეს გაიგებს, რომ თავი ნევილად გავასაღე, როცა მაგიის სამინისტროს ვემალებოდიო.

არდადეგების ბოლო დღეც დადგა. ახალგაღვიძებულმა ჰარიმ გაიფიქრა, იმედია, რონსა და ჰერმიონს ხვალ ჰოგვორტსის ექსპრესში მაინც ვნახავო. ადგა, ტანსაცმელი ჩაიცვა და კიდევ ერთხელ წავიდა „ელვის“ სანახავად. გზაში იმას ფიქრობდა, სად ვისაუზმოო, როცა ვიღაცამ დაუძახა:

– ჰარი! ჰარიიი!

ორივე ფლორიან ფორტესკიუს სანაყინეში იჯდა: რონს ერთიანად

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოსდებოდა ჭორფლი სახეზე, ჰერმიონი კი მთლად გარუჯულიყო. მეგობრები ხელს უქნევდნენ.

– როგორც იქნა, – გაიკრიჭა რონი, – „გახვრეტილ კარდალაში“ ვიყავით, მაგრამ გვითხრეს, წავიდაო... მერე „ფლორიშ ენდ ბლოტს-შიც“ შევიარეთ და მადამ მალკინის მაღაზიაშიც...

– სასკოლო ნივთები წინა კვირას ვიყიდე, – აუხსნა ჰარიმ, – კი მაგრამ, საიდან იცით, რომ „გახვრეტილ კარდალაში“ ვცხოვრობ?

– მამაჩემისგან, – მიუგო რონმა.

ბატონი უისლი მაგიის სამინისტროში მუშაობდა და, ბუნებრივია, მამიდა მარჯის ამბავი ეცოდინებოდა.

– ჰარი, მართლა გაბერე მამიდაშენი? – საყვედურნარევი ხმით ჰკითხა ჰერმიონმა.

– განზრახ არ გამიკეთებია, – წამოიწყო ჰარიმ, რონი ახარხარდა, – უბრალოდ... უბრალოდ, თავს ვერ მოვერიე!

– რა გაცინებს, რონ?! – გაბრაზდა ჰერმიონი, – ძალიან მიკვირს, რომ ჰარი სკოლიდან არ გარიცხეს!

– მეც მიკვირს, – გულწრფელად მიუგო ჰარიმ, – გარიცხვას ვინ ჩივის, მეგონა, დამაპატიმრებდნენ, – მერე რონს გადახედა, – მამაშენმა ხომ არ იცის, რატომ გამიშვა ფაჯმა?

– შენ ხომ ჰარი პოტერი ხარ და იმიტომ... – სიცილს ვერ იკავებდა რონი, – სახელგანთქმული ჰარი პოტერი! წარმოგიდგენია, მე რას მიზამდნენ, მამიდაჩემი რომ გამებერა?! თუმცა, ჯერ ჩემი საფლავიდან ამოთხრა მოუწევდათ, დედაჩემი ცოცხლად დამმარხავდა! თუ გინდა, ამ საღამოს მამაჩემს თვითონ ჰკითხე. ჩვენც „გახვრეტილ კარდალაში“ ვრჩებით ღამის გასათევად. ასე რომ, ხვალ ერთად წავალთ კინგს ქროსის სადგურზე. ჰერმიონიც აქ რჩება.

ჰერმიონმა გაულიმა და თავი დაუქნია:

– ჩემმა მშობლებმა ამ დილით ჩამომიყვანეს, ბარგი თან მაქვს.

– აუ, რა მაგარია! – აღფრთოვანდა ჰარი, – ესე იგი, წიგნები და სხვა ნივთები უკვე იყიდეთ, არა?

– აბა, ამას შეხედე, – რონმა ჩანთიდან გრძელი ყუთი ამოიღო და გახსნა, – უახლესი მოდელის ჯოხია! ოცდათხუთმეტი სანტიმეტრი, ტირიფის ხის, ცალრქიანი ცხენის ძუით. წიგნებიც ვიყიდეთ, – რონმა მაგიდის ქვეშ დიდ ჩანთაზე ანიშნა, – „მონსტრწიგნებზე“ რას იტყვი, ჰა? გამყიდველმა კინაღამ იტირა, როცა ვუთხარით, რომ ორი ცალი გვინდოდა.

– ეგ რა არის, ჰერმიონ? – ჰარიმ გვერდით სკამზე ჩამოწყობილ სამ გაძეძგილ ჩანთაზე ანიშნა.

– ხომ არ დაგავიწყდათ, რომ თქვენზე მეტი ახალი საგანი უნდა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვისწავლო? ეს ჩემი წიგნებია – არითმანტიაში, ჯადოსნურ არსებათა მოვლაში, მისნობაში, უძველეს რუნულ დამწერლობაში, მაგლთმცოდნეობაში...

– მაგლთმცოდნეობა რაღად გინდოდა? – ჰკითხა რონმა და ჰარის გადახედა, – შენ ხომ მაგლების ოჯახიდან ხარ! შენი მშობლები მაგლები არიან! ისედაც ყველაფერი იცი მაგლების შესახებ!

– საინტერესო იქნება მაგლების შესწავლა ჯადოქრების თვალთახედვით, – დასერიოზულდა ჰერმიონი.

– კი მაგრამ, ჰერმიონ, წელს ძილისა და ჭამისთვის დრო დაგრჩება? – ჰკითხა ჰარიმ. რონი ახვიხვინდა.

ჰერმიონმა ყურიც არ შეიბერტყა და საფულე მოჩხრიკა:

– კიდევ ათი გალეონი დამრჩა! სექტემბერში დაბადების დღე მაქვს და მშობლებმა საჩუქრის საყიდლად წინასწარ მომცეს ფული.

– რაიმე წიგნს ხომ არ იყიდდი? – ვითომ გულუბრყვილოდ ჰკითხა რონმა.

– არა, წიგნი არ მინდა, – ჰერმიონს ხუმრობა არ სწყენია, – ძალიან მინდა, ბუ მყავდეს. ჰარის ჰედვიგი ჰყავს, შენ – ეროლი...

– არაფერიც! ეროლი პირადად ჩემი კი არა, ოჯახის ბუა! მე მხოლოდ სკაბერზი მყავს, – რონმა ჯიბიდან ვირთხა ამოიყვანა და მაგიდაზე დასვა, – ექიმს უნდა ვაჩვენო, ეგვიპტეში მოგზაურობა მაინცდამაინც არ მოუხდა.

სკაბერზი მართლაც გამხდარი და გაქუცული ჩანდა.

– აი, იქ ჯადოსნური ზოომაღაზიაა, – ჰარიმ ხუთი თითივით იცოდა მრუდე ქუჩის ასავალ-დასავალი, – წავიდეთ, ვნახოთ, იქნებ სკაბერზისთვის რაიმე ჰქონდეთ; ჰერმიონი კი ბუს აირჩევს.

ნაყინის ფული გადაიხადეს და ზოომაღაზიისკენ გაემართნენ. მაღაზია გადაჭედილი იყო გალიებით. იქაურობა, ცოტა არ იყოს, ყარდა და გალიების ბინადრების კრიახ-წივილ-სისინისგან ყურთასმენა აღარ იყო. დახლს უკან მდგარი გამყიდველი ქალი ვიღაც ჯადოქარს ურჩევდა, როგორ მოევლო ორკუდა ტრიტონებისთვის. ამასობაში ჰარი, რონი და ჰერმიონი თავიანთ რიგს ელოდნენ და გალიებს ათვალიერებდნენ.

ორი ვეება იისფერი გომბეშო პირის წკლაპუნით ჭამდა მკვდარ ნეხვის ბუზებს. ფანჯარასთან უზარმაზარი კუ იწონებდა თავს ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ჯავშნით. შხამიანი ნარინჯისფერი ლოკოკინები ნელა დაცოცავდნენ აკვარიუმის კედლებზე; მსუქანი თეთრი კურდღელი კი ხმამაღალი ტკაცუნით ხან ცილინდრად იქცეოდა, ხან – ისევ კურდღლად. რას არ ნახავდით აქ: სხვადასხვა ფერის კატებს, მჩხავანა ყვავებით სავსე გალიას, კრემისფერი ფუმფულა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოზუზუნე ბურთებით სავსე კალათას... დახლზე კი პრიალაბეწვიანი შავი ვირთხებით სავსე გალია იდგა. ვირთხებს თავიანთი გრძელი კუდებით სახტუნაო გაეკეთებინათ და ისე თამაშობდნენ.

ორკუდა ტრიტონების პატრონი მაღაზიიდან გავიდა და რონი დახლს მიუახლოვდა.

– ეს ჩემი ვირთხაა, – უთხრა გამყიდველს, – რაც ეგვიპტიდან ჩამოვიყვანე, ცოტა ფერი დაკარგა.

– დახლზე დამისვი, – გამყიდველმა ჯიბიდან შავჩარჩოიანი სათვალე ამოიღო.

რონმა ვირთხა გულის ჯიბიდან ამოიყვანა და თანამოძმე ვირთხების გვერდით, დახლზე ჩამოსვა. შავმა ვირთხებმა თამაში შეწყვიტეს და გალიის გისოსებს მიაწყდნენ, რათა ყველაფერი უკეთ დაენახათ.

როგორც სხვა ყველაფერი, რაც რონს გააჩნდა, ვირთხაც სხვისი გამონაცვალი იყო. სკაბერზი ადრე რონის ძმას, პერსის ეკუთვნოდა. პრიალაბეწვიანი შავი ვირთხების გვერდით სკაბერზი საცოდავად გამოიყურებოდა.

– ჰოო, – ჩაახველა გამყიდველმა და ვირთხა აიყვანა, – რა ხნისაა?

– არ ვიცი! ადრე ჩემი ძმისა იყო, კაი ბებერი იქნება.

– რა შეუძლია? – ქალმა სკაბერზი საგულდაგულოდ გასინჯა.

– ისა... – რონი დაიბნა, რადგან სკაბერზისთვის განსაკუთრებული შესაძლებლობები არასოდეს შეუმჩნევია.

ქალმა ყურადღებით შეათვალიერა სკაბერზის დაგლეჯილი მარცხენა ყური და წინა თათი, რომელსაც ერთი თითი აკლდა, და დაასკვნა:

– ძალიან ნაწვალები კი ყოფილა!

– პერსიმ ასეთი მაჩუქა, – თავი იმართლა რონმა.

– ჩვეულებრივი ეზოს ვირთხაა, წესით, სამ წელიწადზე მეტხანს არ უნდა ცოცხლობდეს. თუ უფრო ჯანმრთელი ვირთხები გაინტერესებთ, აი, ამათ შემოგთავაზებთ, – ქალმა შავ ვირთხებზე ანიშნა, მათაც სასწრაფოდ წამოიწყეს თამაში.

„ფუ, მეტიჩრები!“ – გაიფიქრა რონმა.

– თუ ამას ვერ ელევით, მაშინ „ვირთხტონიკს“ გირჩევთ, – გამყიდველმა დახლს ქვემოდან პატარა წითელი ბოთლი გამოიღო.

– კეთილი! რა ღირს... ვაიმეეე! – შეჰყვირა რონმა, ზედა გალიიდან რაღაც უზარმაზარი ნარინჯისფერი არსება გადმოხტა, თავზე დააფრინდა და გააფთრებული გავარდა სკაბერზისკენ.

– არა, ბო! არა! – დაიწივლა ქალმა. ამასობაში სკაბერზი საპნის ნაჭერივით გაუსხლტა ხელიდან, იატაკზე დახტა და კარში გაძვრა.

– სკაბერზ! – იყვირა რონმა და ვირთხას გაედევნა. ჰარიც მას გაჰყვა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვირთხას თითქმის ათ წუთს ეძებდნენ და ბოლოს სანაგვე ურნის ქვეშ იპოვეს. რონმა აკანკალებული ცხოველი ჯიბეში ჩაისვა, წამოდგა და თავზე ხელი მოისვა.

– რა ჯანდაბა იყო?

– ან ძალიან დიდი კატა იყო, ან ძალიან პატარა ვეფხვი, – დაასკვნა ჰარიმ.

– ჰერმიონი სადღაა?

– ალბათ ბუს ყიდულობს.

ხალხით გაჭედილ ქუჩას გაუყვნენ და ჯადოსნურ ზოომაღაზიაში დაბრუნდნენ. სწორედ ამ დროს იქიდან ჰერმიონი გამოვიდა, თუმცა თან ბუ არ მოჰყავდა. გულში მაგრად ჩაეხუტებინა უზარმაზარი ჟღალი კატა.

– ეს მხეცი როგორ იყიდე! – გაოგნდა რონი.

– რა საყვარელია, არა? – წამოწითლდა ჰერმიონი.

კაცია და გუნებაო, გაიფიქრა ჰარიმ. კატას სქელი, ფუმფულა ჟღალი ბეწვი ჰქონდა, მაგრამ ფეხები მოღრეცოდა, სახე კი ავი და ისეთი შებრტყელებული ჰქონდა, თითქოს კედელს შეასკდაო. ახლა სკაბერზს ვერ ხედავდა და ჰერმიონის ხელებში სიამოვნებით კრუტუნებდა.

– ჰერმიონ, მაგ მხეცმა კინაღამ სკალპი ამაძრო! – აღშფოთდა რონი.

– დარწმუნებული ვარ, არ უნდოდა! არა, ბო?

– სკაბერზზე რას იტყვი? – რონმა გამობერილ გულისჯიბეზე ანიშნა, – დასვენება და სიმშვიდე სჭირდება! მაგ მხეცთან როგორ დაისვენებს?

– ამაზე გამახსენდა, შენი „ვირთხტონიკი“ დაგრჩა, – ჰერმიონმა პატარა წითელი ბოთლი რონს მიაწოდა, – დაწყნარდი, ბო ჩემს საძინებელში დაიძინებს, სკაბერზი – შენსაში. ჰოდა, რაღა გინდა? საწყალი ბო! გამყიდველმა მითხრა, რამდენი ხანია, გალიაში ზის, მაგის ყიდვა არავის უნდოდაო.

– ნეტავ, რატომ, ჰა? – აიმრიზა რონი.

მერე „გახვრეტილი კარდალისკენ“ წავიდნენ. ბატონი უისლი ლუდხანაში იჯდა და „დილის მისანს“ კითხულობდა.

– როგორა ხარ, ჰარი? – მიესალმა ბიჭს.

– გმადლობთ, კარგად! – რონთან და ჰერმიონთან ერთად მაგიდას მიუჯდა ჰარი. ბავშვებმა თავ-თავიანთი ნავაჭრი იქვე დაიწყვეს.

ბატონმა უისლიმ გაზეთი გადადო. ჰარიმ სირიუს ბლექის ნაცნობ სურათს მოჰკრა თვალი.

– ჯერ კიდევ არ დაუჭერიათ?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არა, – ბატონი უისლი უგუნებოდ იყო, – ის კი არა, სამინისტროში ჩვეულებრივი სამუშაოსგან გაგვათავისუფლეს, რომ ყველამ ერთად ვეძებოთ, მაგრამ ჯერ ვერაფერი მოვახერხეთ.

– თუ დავიჭერთ, რაიმე ჯილდოს მოგვცემენ? – ჩაერია რონი, – ცოტა ფული არ გვაწყენდა...

– ნუ სულელობ, რონ! – ბატონი უისლი უჩვეულოდ ღელავდა, – როგორ გგონია, ბლექი თავს ცამეტი წლის ჯადოქარს დააჭერინებს? დაიმახსოვრე ჩემი სიტყვები, აზკაბანის მცველები ციხეში დააბრუნებენ.

ამ დროს ლუდხანაში ნავაჭრით დატვირთული ქალბატონი უისლი შემოვიდა, თან ტყუპები, მეხუთეკურსელი ფრედ და ჯორჯ უისლები, სკოლის ახლად არჩეული ჰედბოი, პერსი და უისლების ნაბოლარა, ერთადერთი გოგონა, ჯინი შემოჰყვნენ.

ჰარისთან შეხვედრისას ჯინი ყოველთვის დაირცხვენდა ხოლმე, მაგრამ ახლა მის დანახვაზე უწინდელზე მეტად აღელდა, ალბათ მოაგონდა, როგორ იხსნა ჰარიმ შარშან სიკვდილისგან. საშინლად გაწითლდა და არც კი შეუხედავს, ისე მიესალმა. პერსიმ ამაყად გაუწოდა ხელი და თითქოს ცხოვრებაში პირველად ხედავსო, ისე მიესალმა:

– ჰარი, ძალიან სასიამოვნოა!

– გამარჯობა, პერსი, – ჰარი ძლივს იკავებდა სიცილს.

– იმედია, ყველაფერი კარგად მიდის, – გაიფხორა პერსი და ისე ჩამოართვა ხელი, გეგონებოდათ, ქალაქის მერს ხვდებაო.

– გმადლობ, კარგად...

– ჰარი! – შეჰყვირა ფრედმა, პერსის მუჯლუგუნი ჰკრა და მოწიწებით დაუკრა თავი, – პირდაპირ აღფრთოვანებული ვარ შენი ნახვით, შე ძველო!

– აღტაცებას ვერ ვმალავ! – ახლა ჯორჯმა გასწია ფრედი და ჰარის ხელი მოუჭირა, – ლამისაა, გავრეკო!

პერსი მოიღუშა.

– გეყოთ! ახლავე შეწყვიტეთ! – გაუწყრა ქალბატონი უისლი.

– დე! – ფრედმა თითქოს ახლაღა შეამჩნია დედა, მივარდა და ხელი ჩამოართვა, – პირდაპირ გასაოცარია, აქ რომ გხედავ!

– გეყოთ-მეთქი! – ქალბატონმა უისლიმ ნავაჭრი ცარიელ სკამზე დააწყო, – გამარჯობა, ჰარი! მგონი, უკვე გაიგე ჩვენი სასიხარულო ამბავი, – ქალმა პერსის ახალთახალ ვერცხლის სამკერდეზე მიუთითა და ამაყად გამოაცხადა: – ოჯახში მეორე ჰედბოი გვყავს!

– მეორე და უკანასკნელი, – ჩაიჩურჩულა ფრედმა.

– მაგაში ეჭვიც არ მეპარება, – მოიღუშა ქალბატონი უისლი, – თქვენ ორნი პრეფექტებად არავის დაუნიშნიხართ!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა ჯანდაბად გვინდა პრეფექტობა? – ფრედს ამის წარმოდგენაზეც კი გული ერეოდა, – აუ, რა მოსაწყენი იქნებოდა ცხოვრება!

ჯინიმ ჩაიცინა.

– რა მაგალითს აძლევ დას! – აბობოქრდა ქალბატონი უისლი.

– დედა, ჯინის მისაბაძად სხვა ძმებიც ჰყავს, – არ ჩამორჩა პერსი, – წავალ, სადილამდე ტანსაცმელს გამოვიცვლი...

პერსი გავიდა თუ არა, ჯორჯმა ღრმად ამოიოხრა:

– ეჰ, ჰარი! გვინდოდა, პერსი პირამიდაში გამოგვემწყვდია, მაგრამ დედამ წაგვასწრო!

* * *

იმ საღამოს, სადილობისას კარგად მოილხინეს. სასტუმროს პატრონმა ტომმა სამი მაგიდა ერთმანეთს მიადგა და უისლებს, ჰარისა და ჰერმიონს უგემრიელესი, ხუთი სხვადასხვა კერძისგან შემდგარი სადილით გაუმასპინძლდა.

– მა, ხვალ კინგს ქროსზე როგორ წავალთ? – იკითხა ფრედმა, როცა შოკოლადის პუდინგს მიირთმევდნენ.

– სამინისტრო მანქანებს გამოგვიგზავნის, – მიუგო ბატონმა უისლიმ.

ყველანი მას მიაშტერდნენ.

– რატომ? – გაოგნდა პერსი.

– ალბათ შენ გამო, პერსი, – ვითომ სერიოზულად აღნიშნა ჯორჯმა, – თანაც, მანქანებზე პატარა ალმები იქნება დამაგრებული, ზედ ეწერება: „ჰბ“.

– რაც ნიშნავს „ჰეი, ბრიყვო!“ – დასძინა ფრედმა.

ქალბატონი უისლისა და პერსის გარდა, ყველამ პუდინგში ჩაყო ცხვირი.

– კი მაგრამ, მამა, სამინისტრო მანქანებს რატომ გვიგზავნის? – ჩაეძია პერსი.

– ჩვენ ხომ უკვე აღარ გვყავს საკუთარი მანქანა, – წამოიწყო ბატონმა უისლიმ, – თანაც, თანამშრომელი ვარ და პატივს მცემენ...

ბატონი უისლი ცდილობდა, აღელვება დაეფარა, მაგრამ ჰარიმ შეამჩნია, რომ ყურები წამოუწითლდა, ზუსტად ისე, როგორც რონს სჩვეოდა, როცა უხერხულ მდგომარეობაში იყო.

– ძალიანაც კარგი, – გამოცოცხლდა ქალბატონი უისლი, – ერთი წამით დაფიქრდით, რა სანახავები ვიქნებოდით ამდენი ბარგით

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაგლების მეტროში რომ ჩავსულიყავით... ჰო, მართლა, ბარგი ყველამ ჩაალაგეთ?

– რონს თავისი ახალი ნივთები ჯერ არ ჩაულაგებია, – ტანჯული ხმით აღმოხდა პერსის, – ჩემს ლოგინზე უყრია ყველაფერი.

– რონ, ახლავე აბრძანდი და ბარგი წესიერად ჩაალაგე, დილით ველარ მოვასწრებთ! – უბრძანა ქალბატონმა უისლიმ.

რონმა წყრომით შეხედა ძმას.

სადილის შემდეგ ბავშვებს ძილი მოერიათ. ერთმანეთის მიყოლებით ადიოდნენ თავიანთ ოთახებში ჩემოდნების შესამოწმებლად. რონი და პერსი ჰარის გვერდითა ოთახში ცხოვრობდნენ. ჰარიმ ის-ის იყო, თავისი ჩემოდანი ჩაკეტა, რომ კედელს მიღმა გაცხარებული კამათი შემოესმა და გვერდითა ოთახისკენ გაემართა.

მეთორმეტე ოთახის კარი ფართოდ გაეღოთ, იქიდან პერსის ღრიალი ისმოდა.

– აი, აქ მედო! ტუმბოზე! გასაპრიალებლად მოვიხსენი...

– ხელი არ მიხლია-მეთქი, რით ვერ გაიგე? – ღრიალებდა რონი.

– რა ხდება? – იკითხა ჰარიმ.

– ჩემი ჰედბოის ნიშანი გაქრა, – მოუტრიალდა პერსი.

– სკაბერზის ვირთხტონიკიც დაიკარგა, – რონმა ჩემოდნიდან ნივთების ამოყრა დაიწყო, – ეტყობა, ქვემოთ დამრჩა...

– აქედან ფეხსაც ვერ გაადგამ, სანამ ჩემს ნიშანს არ იპოვი! – გაცხარდა პერსი.

– სკაბერზის წამალს მე ამოვიტან, ჩალაგებას უკვე მოვრჩი, – შესთავაზა ჰარიმ და კიბეს ჩაუყვა.

ლუდხანისკენ მიმავალ ჩაბნელებულ დერეფანში მიდიოდა, როცა სასადილო ოთახიდან გაცხარებული კამათი შემოესმა. იმწუთშივე მიხვდა, ბატონი და ქალბატონი უისლები კამათობდნენ. ჰარი შეცბა, არ უნდოდა, უისლებს გაეგოთ, მათ ჩხუბს რომ მოჰკრა ყური, მაგრამ უცებ თავისი სახელი გაიგონა, შეჩერდა და კარს მიუახლოვდა.

– ...არ მესმის, რატომ არ უნდა ვუთხრათ, – ბრაზობდა ბატონი უისლი, – ჰარის უფლება აქვს, ყველაფერი იცოდეს! ფაჯთანაც ვცადე დალაპარაკება, მაგრამ ჰარის პატარა ბავშვივით ექცევა. ბოლოს და ბოლოს, უკვე ცამეტი წლისაა და...

– არტურ! სიმართლე რომ გაიგოს, საშინელ დღეში ჩავარდება! – შეაწყვეტინა ქალბატონმა უისლიმ, – ნუთუ გინდა, რომ სკოლაში ასეთი დათრგუნული წავიდეს?! ბედნიერია, რომ არაფერი არ იცის!

– სულაც არ მინდა, ბიჭმა თავი უბედურად იგრძნოს! უბრალოდ, მინდა, ცოტა თავს გაუფრთხილდეს! – შეუტია ბატონმა უისლიმ, – ხომ იცი, ჰარი და რონი თავის ნებაზე დახეტიალობენ აქეთ-იქით,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აკრძალულ ტყეშიც კი შევიდნენ! წელს იმ ტყეში ჰარი არამც და არამც არ უნდა შევიდეს! ჟრუანტელი მივლის, როცა წარმოვიდგენ, რა შეიძლებოდა დამართნოდა სახლიდან გაქცეულს, „ღამის რაინდს“ დროზე რომ არ მიესწრო! დარწმუნებული ვარ, მაგიის სამინისტრო მკვდარს იპოვიდა!

– ხომ არ მომკვდარა! თავს მშვენივრად გრძნობს! ჰოდა, რა აზრი აქვს...

– მოლი, ძვირფასო, სირიუს ბლექზე ამბობენ, შეშლილიაო, და იქნებ მართალიცაა, მაგრამ საიმისოდ კი ეყო ჭკუა, რომ აზკაბანიდან გაქცეულიყო. მშვენივრად იცი, ეს თითქმის შეუძლებელია! უკვე სამი კვირა გავიდა და ჯერჯერობით მისი ასავალ-დასავალი ვერავინ გაიგო! ფაჯი კი ეტრაბახება „დილის მისნის“ ჟურნალისტებს, მაგრამ სინამდვილეში, ბლექის დაჭერა ისევეა შეუძლებელი, როგორც, ვთქვათ, თვითშემლოცველი ჯოხების გამოგონება!

– ჰოგვორტსში ჰარი დაცული იქნება!

– აზკაბანიც საიმედოდ დაცული გვეგონა. თუ ბლექმა აზკაბანიდან გამოქცევა მოახერხა, ჰოგვორტსშიც ადვილად შეაღწევს!

– მერედა, რატომ ხარ დარწმუნებული, რომ ბლექს მაინცდამაინც ჰარი აინტერესებს?

უცებ ბრახუნის ხმა გაისმა. როგორც ჩანს, ბატონმა უისლიმ მაგიდას დაჰკრა მუშტი.

– მოლი, რამდენჯერ უნდა გაგიმეორო! პრესას არაფერი უთხრეს, რადგან ფაჯს ამ საქმის გახმაურება არ უნდა! გაქცევის ღამეს აზკაბანში მივიდა და მცველებმა, იცი, რა უთხრეს? თურმე, ბლექი ძილში სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა: „ის ჰოგვორტსშია... ის ჰოგვორტსშია...“ მოლი, ბლექი გაგიჟდა და ახლა ჰარის მოკვლა უნდა! ალბათ დარწმუნებულია, ჰარის მოკვლით ჩვენ-რომ-ვიცით, იმას დაკარგულ ძალაუფლებას დაუბრუნებს. იმ ღამეს, როცა ჰარიმ ჩვენ-რომ-ვიცით, ის დაამარცხა, ბლექმა ყველაფერი დაკარგა და მთელ თორმეტ წელიწადს იჯდა აზკაბანში. წარმოიდგინე, როგორ დაიბოღმებოდა.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ჰარი უფრო მიუახლოვდა კარს. ერთი სული ჰქონდა, კიდევ გაეგო რაიმე.

– კარგი, არტურ, ისე მოიქეცი, როგორც გენებოს. თუმცა, ალბუს დამბლდორი რატომ გავიწყდება? არა მგონია, ჰარის ჰოგვორტსში რამე დაუშავდეს, სანამ დირექტორი დამბლდორია. იმედია, მან ყველაფერი იცის!

– რა თქმა უნდა! მისგან ავიღეთ ნებართვა, რომ სკოლის ყველა შესასვლელთან აზკაბანის მცველები დაგვეყენებინა. დიდად არ გახარებია, მაგრამ მაინც დაგვთანხმდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არ გახარებია? რატომ? ხომ შეიძლება ბლექი დაიჭირონ?!

– დამბლდორი აზკაბანის მცველებს ვერ იტანს, – ამოიოხრა ბატონმა უისლიმ, – არც მე მიყვარს, კაცმა რომ თქვას... მაგრამ როცა ბლექისნაირ ჯადოქართან გაქვს საქმე, ზოგჯერ იძულებული ხარ, ისეთ ძალებს სთხოვო დახმარება, რომელთაც სხვა დროს ერიდები...

– თუ ჰარის გადაარჩენენ...

– მაშინ მათ საწინააღმდეგოდ სიტყვას არ დავძრავ, – ხმას დაუწია ბატონმა უისლიმ, – უკვე გვიანია, მოლი, წავიდეთ...

ჰარიმ სკამების ხმა გაიგონა. ფეხაკრეფით გაირბინა დერეფანი და თვალს მიეფარა. ამასობაში სასადილოს კარი გაიღო და ნაბიჯების ხმა გაისმა. ჰარი მიხვდა, რომ ბატონი და ქალბატონი უისლები კიბეზე ადიოდნენ.

„ვირთხტონიკის“ ბოთლი იმ მაგიდის ქვეშ ეგდო, რომელსაც ვახშმობისას უსხდნენ. ჰარიმ მოიცადა, სანამ უისლებმა საწოლი ოთახის კარი არ მიიხურეს, მერე ბოთლი აიღო და კიბეს აუყვა.

ბაქანზე ფრედი და ჯორჯი იდგნენ და სიცილით იგუდებოდნენ. პერსიმ ოთახში ყველაფერი თავდაყირა დააყენა – თავის სამკერდე ნიშანს გამწარებული ეძებდა.

– ჩვენ ავწაპნეთ, – ჩაიჩურჩულა ფრედმა, – ცოტა გავალამაზეთ.

ნიშანს ახლა „ჰედბოის“ ნაცვლად „ჰეი, ბრიყვო!“ ეწერა.

ჰარიმ ნაძალადევად გაიცინა, რონს „ვირთხტონიკი“ მიუტანა, შემდეგ თავის ოთახში ჩაიკეტა და საწოლზე წამოწვა.

სირიუს ბლექი ჰარის დაეძებს. ახლა ყველაფერს მიხვდა. აი, თურმე რატომ მოექცა ასე ლმობიერად ფაჯი, გაუხარდა, ცოცხალი რომ ნახა. ამიტომაც ჩამოართვა ბიჭს სიტყვა, მრუდე ქუჩიდან არსად გადაუხვიოო, აქ ხომ უამრავი ჯადოქარი იყო, რომელთაც ჰარის დაცვა შეეძლოთ. თანაც, ხვალ სამინისტროდან ორ მანქანას გამოუგზავნიდა, რომ მატარებელში ასვლამდე უისლებთან ერთად ყოფილიყო.

ჰარი იწვა და მეზობელი ოთახიდან ჩხუბის ხმა ესმოდა, თან თვითონაც უკვირდა, რატომ არ მეშინიაო. სირიუს ბლექმა ერთი წყევლით ცამეტ ადამიანს მოუსწრაფა სიცოცხლე; ქალბატონი და ბატონი უისლებიც ხომ ფიქრობდნენ, რომ ჰარი ამ ყველაფრის გაგონებაზე პანიკაში ჩავარდებოდა. ქალბატონი უისლისა არ იყოს, ჰარიც ფიქრობდა, რომ ალბუს დამბლდორის გვერდით არაფერი ემუქრებოდა. განა ყველანი ამას არ ამტკიცებდნენ, დამბლდორი ერთადერთია, ვისიც ლორდ ვოლდემორს ეშინიაო? თუ ბლექი ვოლდემორის მარჯვენა ხელი იყო, მასაც ასეთივე შიში უნდა ჰქონოდა დამბლდორისა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თანაც, ყველანი აზკაბანის მცველებზე ლაპარაკობდნენ. მათი ხსენება ყველას აშინებდა, ასე რომ, თუ სკოლის შესასვლელებს დაიცავდნენ, ბლექი ჰოგვორტსში ძნელად თუ შეაღწევდა.

თუმცა, ჰარის ყველაზე მეტად ის ადარდებდა, რომ ჰოგსმიდში გასეირნების შანსი თითქმის აღარ დარჩა. სანამ ბლექს არ დაიჭერდნენ, ციხე-კოშკიდან არავინ გაუშვებდა. დარწმუნებული იყო, სანამ საფრთხე მემუქრება, ალბათ თვალს არ მომაშორებენო.

ჰარი ჭერს მიაშტერდა. გაბრაზებულმა გაიფიქრა, რატომ ჰგონიათ, რომ თავს ვერ დავიცავ, მთლად უნიათო ხომ არც მე ვარ, ბოლოს და ბოლოს, ლორდ ვოლდემორს სამჯერ დავუსხლტი ხელიდანო...

უეცრად მაგნოლიის ქუჩაზე ნანახი მხეცი მოაგონდა.

„როგორ მოვიქცეთ, როცა... აღსასრული გვიახლოვდება“.

– ვერავინაც ვერ მომკლავს! – შესძახა ჰარიმ.

– ყოჩაღ, ძვირფასო, ყოჩაღ! – ჩაიბუტბუტა ძილმორეულმა სარკემ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეხუთე

დემენტორი

მეორე დილით ტომმა ჩვეული უკბილო ღიმილით გააღვიძა ჰარი და ჩაი მიართვა. ის იყო, ჰარიმ ტანთ ჩაიცვა და გაფხორილ ჰედვიგს დაუწყო ხვეწნა, გალიაში ჩაჯექიო, რომ ოთახში გაბრაზებული რონი შემოვარდა, გზადაგზა სვიტერს იცვამდა.

– რაც უფრო მალე ავალთ მატარებელში, მით უკეთესი! სხვა თუ არაფერი, ჰოგვორტსში პერსის სიფათს მაინც არ ვნახავ ყოველდღე! იცი, რა დამაბრალა? პენელოპე ქლიარუოთერის სურათზე ჩაი შენ გადამისხიო. ხომ იცი, ეგ გოგო მაგის შეყვარებულია, – დაიმანჭა რონი, – ახლა ჩარჩოს ამოეფარა, ცხვირზე დიდი ლაქა აზის და რცხვენია...

– რაღაც უნდა გითხრა, – წამოიწყო ჰარიმ, მაგრამ ამ დროს ოთახში ფრედმა და ჯორჯმა შემოიხედეს და რონი შეაქეს, რა კარგად მოახერხე პერსის გაბრაზებაო.

სასაუზმოდ ყველანი ერთად ჩავიდნენ. ბატონი უისლი მოღუშული კითხულობდა „დილის მისნის“ პირველ გვერდს, ქალბატონი უისლი კი ჯინისა და ჰერმიონს უყვებოდა, როგორ მოამზადა სიყვარულის ელექსირი ახალგაზრდობაში. სამივენი ჩუმად ხითხითებდნენ.

– რაო, რას მეუბნებოდი? – ჰკითხა რონმა ჰარის, როცა მაგიდას მიუსხდნენ.

– მერე გეტყვი, – გადაუჩურჩულა ჰარიმ, რადგან სწორედ იმწუთას ოთახში გაცეცხლებული პერსი შემოვარდა.

ჰარი რონსა და ჰერმიონს ვეღარ დაელაპარაკა. გამგზავრებისას ერთი ალიაქოთი იდგა: ყველანი თავიანთ ჩემოდნებს მოათრევდნენ „გახვრეტილი კარდალის“ ვიწრო კიბეებზე და კართან აწყობდნენ. ჩემოდნებზე ჰედვიგისა და ჰერმესის, პერსის ბუკიოტის, გალიები შემოაწყვეს. იქვე ერთი მომცრო დაწნული კალათა იდგა, საიდანაც გაბრაზებული კნავილი ისმოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დაწყნარდი, ბო, – დაუყვავა ჰერმიონმა კალათაში გამომწყვდეულ კატას, – მატარებელში გამოგიშვებ!

– არსადაც არ გამოუშვებ, – შეუტია რონმა, – მერე სკაბერზს რა ვუყო? – გულის ჯიბეში შიშისგან მოკუნტული ვირთხა ეჯდა.

ბატონმა უისლიმ, რომელიც სამინისტროს მანქანებს ქუჩაში ელოდა, „გახვრეტილ კარდალაში“ შემოიხედა და გამოაცხადა:

– მოვიდნენ! აბა, ჰარი, წავედით! – და ჰარი ტროტუარზე გაიყვანა. იქ უკვე ელოდათ ორი ძველებური, მუქი მწვანე მანქანა. მძღოლებს, ზურმუხტისფერ მწვანე პიჯაკებში გამოწყობილ ჯადოქრებს, ერთობ იდუმალი გამომეტყველება ჰქონდათ.

– აბა, ჰარი, ჩაჯექი! – ბატონმა უისლიმ საგულდაგულოდ მოათვალიერა ხალხით გადაჭედილი ქუჩა.

ჰარი უკანა სავარძელზე დაჯდა, ჰერმიონი და რონიც გვერდით მიუსხდნენ. რონისდა სამწუხაროდ, პერსიც იქვე დაჯდა.

„ღამის რაინდით“ მოგზაურობასთან შედარებით, კინგს ქროსამდე მგზავრობა ძალიან მოსაწყენი გამოდგა. მაგიის სამინისტროს მანქანები სხვებისგან, ერთი შეხედვით, არაფრით გამოირჩეოდა, მაგრამ ჰარის არ გამოჰპარვია, რომ ისინი ისეთ ვიწრო გასასვლელებში ძვრებოდნენ თავისუფლად, როგორშიაც ძია ვერნონის ახალი მანქანა ნამდვილად ვერ გაეტეოდა. კინგს ქროსზე ოცი წუთით ადრე მივიდნენ. სამინისტროს მძღოლებმა ურიკები მოუგორეს, ჩემოდნები გადმოუტვირთეს, მერე ბატონ უისლის თავი დაუკრეს და მანქანები დაქოქეს. თანაც, როგორღაც ისიც მოახერხეს, რომ შუქნიშანთან, წითელ შუქზე გაჩერებული მანქანების რიგს სულ თავში მოჰქცეოდნენ.

ბატონი უისლი ჰარის გვერდიდან არ მოსცილებია. ბოლოს გამოაცხადა:

– წყვილ-წყვილად წავიდეთ, ძალიან ბევრნი ვართ. პირველები მე და ჰარი წავალთ! – ჰარის ურიკა გააგორა და მეცხრე და მეათე პლატფორმებს შორის აღმართული კედლისკენ გაემართა. თან სახეზე ეტყობოდა, მეცხრე პლატფორმაზე ჩამომდგარი მაგლური მატარებელი „ინტერ სიტი 125“ ძალიან აინტერესებდა. ჰარის მრავალმნიშვნელოვნად გადახედა და კედელს მიაწვა. ბიჭმაც იგივე გაიმეორა.

თვალის დახამხამებაში გააღწიეს ლითონის ბარიერში და პლატფორმა 9 3/4-ზე ამოყვეს თავი. ალისფერი ორთქლმავალი, ჰოგვორტსის ექსპრესი, ქშენით აფრქვევდა კვამლს. იქაურობა ბავშვებითა და მშობლებით იყო სავსე.

უცებ ჰარის ზურგს უკან პერსი და ჯინი გაჩნდნენ, ორივენი ქოშინებდნენ, ეტყობა, ბარიერამდე სულ სირბილით მოქროდნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– პენელოპე! – წამოიძახა პერსიმ, თმა ნაჩქარევად გაისწორა და სახეზე ვარდისფერმა გადაჰკრა. ჯინიმ ჰარის გადახედა და ორივენი შებრუნდნენ, რათა პერსის არ დაენახა, როგორ იცინოდნენ. პერსი თავმომწონედ გაემართა ხუჭუჭთმიანი გოგოსკენ, თან გაიჯგიმა, რომ პრეფექტის ნიშანი უკეთ გამოეჩინა.

მალე დანარჩენი უისლები და ჰერმიონიც შემოუერთდნენ. ჰარი ბატონ უისლისთან ერთად გაემართა მატარებლის ბოლოსკენ. ხალხით სავსე კუპეებს ჩაუარეს და ერთ თითქმის ცარიელ ვაგონს მიადგნენ. ბავშვებმა ჩემოდნები დააბინავეს, ჰედვიგი და ბო სატვირთო განყოფილებაში მოათავსეს და ქალბატონ და ბატონ უისლებთან დასამშვიდობებლად პლატფორმაზე ჩამოვიდნენ.

ქალბატონმა უისლიმ ჯერ თავისი შვილები გადაკოცნა, მერე – ჰერმიონი და ბოლოს – ჰარი. ჰარის ცოტა კი ეუხერხულა, მაგრამ აშკარად ესიამოვნა, როცა ქალბატონმა უისლიმ კიდევ ერთხელ ჩაიკრა გულში.

– თავს გაუფრთხილდი, ჰარი, – ქალს უცნაურად აუციმციმდა თვალები, მერე თავისი ვეება ხელჩანთა გახსნა, – ყველასთვის მოვამზადე ბუტერბროდები. ეს შენ, რონ... არა, ხორციანი არაა... ფრედ? ფრედი რა იქნა? ჰო, ეს შენ, ძვირფასო...

– ჰარი, – გადაუჩურჩულა ბატონმა უისლიმ, – ერთი წუთით აქეთ გამოდი.

ბატონი უისლი და ჰარი დიდ სვეტს ამოეფარნენ. დანარჩენები ისევ ქალბატონ უისლის ეხვივნენ გარს.

– წასვლამდე რაღაც უნდა გითხრა, – ბატონი უისლი ძალიან აღელდა.

– ნუ ღელავთ, მე უკვე ყველაფერი ვიცი.

– რა თქვი? მართლა? საიდან?

– მე... გავიგონე როგორ ელაპარაკებოდით წუხელ ქალბატონ უისლის. მაპატიეთ, არ მინდოდა, უნებურად მომივიდა...

– არ მინდოდა, ეს ამბავი ასე გაგეგო, – გუნება წაუხდა ბატონ უისლის.

– არა უშავს, ყველაფერი რიგზეა, – დაამშვიდა ჰარიმ, – არც ფაჯისთვის მიცემული პირობა დაგირღვევიათ და მეც ყველაფერი ვიცი.

– ჰარი, ნურაფრის შეგეშინდება...

– არ მეშინია, – ჩაილაპარაკა ჰარიმ და მერე დაამატა: – მართლა, მართლა! – რადგან ბატონი უისლი დაეჭვებით უყურებდა, – თავი დიდი ვინმე სულაც არ მგონია, მაგრამ სირიუს ბლექი ხომ ვერაფრით იქნება ვოლდემორზე საშიში!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბატონი უისლი ამ სახელის გაგონებაზე შეიშმუშნა, მაგრამ ვითომც აქ არაფერიო, ისე განაგრძო:

– ჰარი, ვიცი, რომ იმაზე მეტად მამაცი და გამბედავი ხარ, ვიდრე ფაჯს ჰგონია, და ძალიანაც მიხარია, რომ არ გეშინია, მაგრამ...

– არტურ! – დაუძახა ქალბატონმა უისლიმ, დანარჩენები უკვე ცხვრის ფარასავით აერეკა მატარებელში, – არტურ, მანდ რას აკეთებ? მატარებელი უკვე გადის!

– ახლავე მოვალ, მოლი, – გასძახა ბატონმა უისლიმ, მერე ისევ ჰარის მოუბრუნდა და ძლივს გასაგონად, სულმოუთქმელად მიაყარა: – მომისმინე, სიტყვა უნდა მომცე, რომ...

– ...კარგად მოვიქცევი და ციხე-კოშკიდან ფეხს არ გავადგამ, არა? – უნდილად ჩაილაპარაკა ჰარიმ.

– არა, ეგ ყველაფერი არაა, – ასეთი სერიოზული ბატონი უისლი ჰარის არასოდეს ენახა, – ჰარი, დაიფიცე, რომ ბლექის საძებნელად არ წახვალ!

– სად?

მატარებელი აკივლდა. გამცილებლები უკვე ყველა ვაგონის კარს ხურავდნენ.

– დამპირდი, ჰარი, – კიდევ უფრო აუჩქარა ბატონმა უისლიმ, – დამპირდი, რაც უნდა მოხდეს...

– კი მაგრამ, რატომ უნდა მომინდეს იმ კაცის ძებნა, ვისაც ჩემი მოკვლა უნდა? – გაუკვირდა ჰარის.

– დაიფიცე, რაც უნდა გითხრან...

– არტურ, დაუჩქარე! – დაუძახა ქალბატონმა უისლიმ.

მატარებელი ბოლქვებად აფრქვევდა კვამლს და სულ მალე დაიძრა კიდეც. ჰარიმ თავის ვაგონთან მიირბინა, რონმა სასწრაფოდ გაუღო კარი და გვერდზე გადგა. მერე ფანჯრიდან გადმოეყუდნენ და ქალბატონ და ბატონ უისლებს მანამდე უქნევდნენ ხელს, სანამ მატარებელმა არ მოუხვია და მშობლები თვალს არ მიეფარნენ.

– ცალკე უნდა დაგელაპარაკოთ, – გადაუჩურჩულა ჰარიმ რონსა და ჰერმიონს, როცა მატარებელმა სიჩქარეს უმატა.

– ჯინი, თავი დაგვანებე, – უთხრა რონმა.

– ულრმესი მადლობა, – ჯინი გაიბუტა და სადღაც გაქრა.

ჰარი, რონი და ჰერმიონი ცარიელი კუპეს მოსაძებნად დერეფანს გაუყვნენ, მაგრამ ყველა დაკავებული აღმოჩნდა. ერთადერთი თავისუფალი კუპე მატარებლის ბოლოში ნახეს. აქ მხოლოდ ერთი კაცი იჯდა და იმასაც ღრმად ეძინა. ბავშვები ზღურბლზე შეჩერდნენ და მგზავრი კარგად შეათვალიერეს. ჰოგვორტსის ექსპრესი ამ დღეს, ჩვეულებრივ, ბავშვებისთვის იყო დაჯავშნილი და აქ უფროსი ადრე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არასოდეს უნახავთ, იმ ქალს თუ არ ჩავთვლით, რომელიც ურიკით საჭმელს დაატარებდა.

უცხო მგზავრს მთლად გასაცოდავებული, რამდენიმე ადგილას დაკემსილი მანტია ეცვა. ავადმყოფური და გადაღლილი იერი ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა იყო, ჩალისფერ თმაში აქა-იქ ჭაღარა გამორეოდა.

– როგორ ფიქრობთ, ვინ უნდა იყოს? – ჩაიჩურჩულა რონმა, როცა კუპეში შევიდნენ, კარი მიხურეს და უცნობისგან მოშორებით დასხდნენ.

– პროფესორი რ. ჯ. ლუპინი, – მიუგო ჰერმიონმა.

– საიდან იცი?

– ჩემოდანზე აწერია, – ჰერმიონმა ზედ უცნობის თავზე, საბარგო თაროზე ანიშნა, სადაც ერთი მომცრო, მავთულით შეკრული ჩემოდანი იდო. ჩემოდანს ერთ კუთხეში თითქმის მთლად აქერცლილი საღებავით ეწერა:

„პროფესორი რ. ჯ. ლუპინი“.

– ნეტავ, რას ასწავლის? – რონმა ამრეზით შეხედა პროფესორის ფერმკრთალ სახეს.

– მაგას რა მიხვედრა უნდა, სკოლაში ხომ ერთადერთი თავისუფალი ადგილი იყო! რა თქმა უნდა, ბნელი ძალებისაგან თავდაცვას! – დაასკვნა ჰერმიონმა.

ბავშვებმა ბნელი ძალებისაგან თავდაცვის ორი მასწავლებელი გამოიცვალეს, ვერც ერთმა ვერ გაძლო ჰოგვორტსში ერთ წელიწადზე მეტხანს. იმასაც კი ამბობდნენ, ეს ადგილი დაწყევლილიაო.

– ნეტავ, გაართმევს თავს? – დაეჭვდა რონი, – რატომღაც მგონია, რომ ერთი უბრალო ფერია სულს გააფრთხობინებს. შეხედეთ, რა საცოდავია... მოკლედ... ჰო, მართლა, ჰარი, ჩვენთვის რა უნდა გეთქვა?

ჰარიმ დაწვრილებით უამბო, როგორ მოისმინა უისლების კამათი და რა უთხრა ბატონმა უისლიმ. რონი გაშტერებული უსმენდა, ჰერმიონს პირზე ხელი აეფარებინა. ბოლოს დაზაფრულმა ჩურჩულით ჩაილაპარაკა:

– ღმერთო ჩემო, ჰარი! ესე იგი, სირიუს ბლექი შენს მოსაკლავად გამოქცეულა! ჰარი, მართლა ძალიან ფრთხილად უნდა იყო... იცოდე, რაიმე შარში არ გაეხვიო...

– შარში ძალით არასოდეს ვეხვევი, – ჩაიბურტყუნა ჰარიმ, – თავისით ხდება ყველაფერი...

– შენ რა, ჰარი სულელი გგონია? იმ გიჟის ძებნას როგორ მოინდომებს, რომელიც მოსაკლავად დასდევს, – გამოექომაგა მეგობარს აკანკალებული რონი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარი არ ელოდა, რომ მეგობრები ამ ამბის გამო ასე აღელდებოდნენ. როგორც ჩანს, რონსა და ჰერმიონს მასზე მეტად ეშინოდათ ბლექისა.

– არავინ იცის, აზკაბანიდან გაქცევა როგორ მოახერხა, – წრიალებდა რონი, – ადრე იქიდან არავინ გაქცეულა! თანაც, იმას განსაკუთრებით ძლიერი დაცვა ჰყავდა მიჩენილი.

– არა უშავს, ადრე თუ გვიან მაინც დაიჭერენ, არა? – დასერიოზულდა ჰერმიონი, – ხომ იცით, მაგლებიც ეძებენ...

– ეს რა ხმაა? – იკითხა უცებ რონმა.

საიდანღაც სუსტად ისმოდა უცნაური სტვენის ხმა. ბავშვებმა კუპე მოათვალიერეს.

– შენი ჩემოდნიდან ისმის, ჰარი, – რონი წამოდგა და საბარგულიდან ჰარის ჩემოდანი ჩამოიღო. მანტიებს შორის ჰარის მავნოსკოპი ჩარჩენოდა, რომელიც ახლა მთელი სისწრაფით ტრიალებდა და თვალისმომჭრელად ელავდა.

– ეს მავნოსკოპი ხომ არ არის? – დაინტერესდა ჰერმიონი და ახლოს მიუჩოჩდა.

– ჰო... მაგრამ ძალიან იაფია. გამწარებული უსტვენდა, როცა ეროლს მისი ფეხზე გამობმა დავუპირე.

– იმ დროს რაიმეს ხომ არ აკეთებდი უნებართვოდ? – გამომცდელად შეხედა ჰერმიონმა.

– არა! თუმცა... ეროლის გამოყენების უფლება არ მქონდა. ხომ იცით, ხანგრძლივ მგზავრობას ვერ იტანს... მაგრამ, აბა, რა მექნა? ჰარისთვის საჩუქარი როგორ გამეგზავნა?

მავნოსკოპი გამწარებით უსტვენდა.

– ჩემოდანში ჩადე, – ურჩია ჰარიმ და თავით პროფესორ ლუპინზე ანიშნა, – თორემ გააღვიძებს!

ჰარიმ მავნოსკოპი ძია ვერნონის ძველ წინდაში ჩაჩურთა, მერე ჩემოდანში ჩადო და თავი დაახურა.

– შეგვიძლია, ჰოგსმიდში შევაკეთებინოთ, – თქვა რონმა, – ფრედმა და ჯორჯმა მითხრეს, თურმე იქ ერთი მაღაზიაა, „დერვიშ ენდ ბენგზი“, სადაც ათასნაირი ჯადოსნური ინსტრუმენტი იყიდება.

– ჰოგსმიდზე კიდევ რა იცი? – გამოცოცხლდა ჰერმიონი, – სადღაც წავიკითხე, მთელ ბრიტანეთში ეგ ერთადერთი არამაგლური დასახლებაა.

– ჰო, მგონი, მართლა ასეა, – საქმეში ჩახედული კაცივით დაეთანხმა რონი, – მაგრამ ეგ სულაც არ მაინტერესებს! მე მაღაზია „თაფლუჭში“ მინდა შესვლა.

– ეგ რაღაა? – გაიკვირვა ჰერმიონმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ტკბილეულის მაღაზია, – რონს სახეზე ნეტარი ღიმილი გადაეფინა, – სადაც ყველაფერი აქვთ! ცხარე ეშმაკუნები... შეჭამ და პირიდან ბოლი გამოგივა... კიდევ – მარწყვის მუსითა და ათქვეფილი ნაღებით სავსე ვეებერთელა შოკოლადის ბურთები... კიდევ შესანიშნავი შაქრის ფრთები, რომლებიც ნამდვილ ბატის ფრთებს ჰგავს. შეგიძლია, მთელი გაკვეთილი წუწნო, სხვებს კი ეგონებათ, თითქოს იმაზე ფიქრობ, რა დაწერო...

– მაგრამ ჰოგსმიდი ძალიან საინტერესო ადგილია, – თავისი დაიჟინა ჰერმიონმა, – „ჯადოქართა ისტორიულ ღირსშესანიშნაობებში“ წერია, რომ იქაური დუქანი თურმე 1612 წლის გობლინთა აჯანყების შტაბი ყოფილა, ქოთქოთა ქოხში კი მთელ ბრიტანეთში ყველაზე მეტი საშიში მოჩვენება ცხოვრობს.

– და კიდევ უზარმაზარი ნაყინის ბურთები. სანამ მაგათ წუწნი, თურმე რამდენიმე სანტიმეტრით ჰაერში აფრინდები, – რონი არც კი უსმენდა ჰერმიონს.

ჰერმიონმა ჰარის გადახედა.

– რა კარგი იქნება ჰოგსმიდში სეირნობა, არა?

– ჰო, კარგი იქნება, – ამოიოხრა ჰარიმ, – მერე მომიყევით ყველაფერი, რასაც ნახავთ...

– რაო, რა თქვი? – ვერ მიუხვდა რონი.

– მე ვერ წამოვალ. დერსლებმა ჩემს ნებართვას ხელი არ მოაწერეს. არც ფაჯმა...

რონს თავზარი დაეცა:

– რაო? წამოსვლის უფლება არა გაქვს? შეუძლებელია... არა, მაკგონაგელი ან სხვა ვინმე მაინც მოგიწერს ხელს...

ჰარის მწარედ გაეცინა. პროფესორი მაკგონაგელი, გრიფინდორის კლუბის ხელმძღვანელი, განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩეოდა.

– ...ან კიდევ ფრედსა და ჯორჯს ვკითხოთ, სკოლის ყველა საიდუმლო გასასვლელი იციან...

– რონ! – აღშფოთდა ჰერმიონი, – სანამ ბლექი თავისუფალია, არა მგონია, ჭკვიანური იყოს ჰარის სკოლიდან გაპარვა...

– დარწმუნებული ვარ, პროფესორი მაკგონაგელიც იმავეს მეტყვის, ნებართვა რომ ვთხოვო... – ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ჰარიმ.

– კი მაგრამ, ჰარი მარტო ხომ არ იქნება, ჩვენთან ერთად ივლის, – მოაფიქრდა რონს, – მაშინ ბლექი ვერ გაბედავს...

– რონ, რა სისულელეს ამბობ! – შეუტია ჰერმიონმა, – დაგავიწყდა, რომ ბლექმა ერთხელ უკვე დახოცა ადამიანები, თანაც ხალხით გადაჭედილ ქუჩაზე! როგორ გგონია, ჰარიზე თავდასხმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომ მოუნდეს, ჩვენ შევაკავებთ? – ჰერმიონი ბოს კალათის საკეტს აწვალებდა.

– იცოდე, ეგ მხეცი არ გამოუშვა! – დაიყვირა რონმა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ბო კალათიდან გადმოხტა, გაიზმორა, გემრიელად დაამთქნარა და პირდაპირ რონს დაახტა მუხლებზე; გულის ჯიბეში მოკუნტული ვირთხა აცახცახდა. ბიჭმა კატა იატაკზე ჩამოაგდო და დაუყვირა:

– მოშორდი აქედან!

– რონ, თავი დაანებე! – გაცხარდა ჰერმიონი.

რონმა ის იყო, საკადრისი პასუხის გაცემა დააპირა, რომ პროფესორი ლუპინი შეიშმუშნა.

ბავშვები გაფაციცებით მიაჩერდნენ მძინარეს, მაგრამ მან მხოლოდ თავი მიატრიალა და ძილი გააგრძელა.

ჰოგვორტსის ექსპრესი ჩრდილოეთით მიქროდა. ფანჯრებიდან სულ უფრო დაბურული და ჩამუქებული არემარე მოჩანდა. ცას სქელი შავი ღრუბლები გადაჰკვროდა. დერეფანში ხალხი მიდიმოდიოდა. ბო ერთ-ერთ ცარიელ სავარძელში მოკალათებულიყო, შებრტყელებული სახე რონისკენ მიებრუნებინა და მის გულის ჯიბეს თვალს არ აშორებდა.

პირველ საათზე კუპეს მსუქანი ჯადოქარი ქალი მოადგა, თან საჭმლით დახუნძლული ურიკა მოაგორა.

– როგორ ფიქრობთ, უნდა გავაღვიძოთ? – რონმა პროფესორ ლუპინზე ანიშნა, – არადა, კაი გემრიელი სადილი მაგისთვის მისწრება იქნებოდა.

ჰერმიონი ფრთხილად დაიხარა პროფესორისკენ:

– ჰმ! ჰმ! პროფესორო... უკაცრავად, პროფესორო...

კაცი არც კი განძრეულა.

– ნუ ღელავ, ძვირფასო, – ჯადოქარმა ჰარის ქვაბურა ნამცხვრების შეკვრა მიაწოდა, – თუ გაიღვიძებს და ეშიება, მე მემანქანესთან ვიქნები, პირველ ვაგონში.

– იმედია, სძინავს, – ჩაიჩურჩულა რონმა, როცა ქალმა კუპეს კარი მოხურა, – და არ მომკვდარა...

– არა, ცოცხალია! სუნთქავს, – დაასკვნა ჰერმიონმა და ჰარის ერთი ნამცხვარი გამოართვა.

ბავშვებისთვის რომ გეკითხათ, პროფესორი ლუპინი დიდი ვერაფერი შვილი თანამგზავრი ბრძანდებოდა, მაგრამ მისი იქ ყოფნა მაინც გამოადგათ. ნაშუადღევს წვიმა წამოვიდა და ფანჯრიდან მწვანე ლაქების გარდა, ველარაფერს ხედავდნენ. ამ დროს დერეფანში ნაბიჯების ხმა გაისმა და მათი სამი ყველაზე საძულველი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამხანაგი გამოჩნდა: დრაკო მალფოი და მისი ძმაკაცები, ვინსენტ კრაბი და გრეგორი გოილი.

დრაკო მალფოი და ჰარი ჯერ კიდევ ჰოგვორტსის ექსპრესით პირველი მგზავრობიდან მოყოლებული მტრობდნენ ერთმანეთს. ფერმკრთალი, წაგრძელებულსახიანი და გამუდმებით დამცინავად მოღიმარი დრაკო სლიზერინის კლუბში სწავლობდა და ამავე კლუბის ქვიდიჩის გუნდის სიკერი ბრძანდებოდა; კრაბისა და გოილის არსებობის ერთადერთი აზრი კი დრაკოს ბრძანებების შესრულება იყო. ორივენი ზორბები და გვარიანად დაკუნთულები იყვნენ. შედარებით მაღალ, სქელკისერა კრაბს თმა სულელურად შეეკრიჭა. მოკლე, ხუჭუჭთმიან გოილს კი გრძელი, გორილასავით ტორები ჰქონდა.

– ამას ვის ვხედავ! – ვითომ გაიოცა დრაკომ და კუპეს კარი გააღო, – პოტერუნა და უისლიკო!

კრაბი და გოილი ცხენებივით ახვიხვინდნენ.

– უისლი, გავიგე, თურმე მამაშენს ამ ზაფხულს, როგორც იქნა, ელირსა ცოტა ოქრო. რაო, დედაშენს სიხარულისგან გული ხომ არ გაუსკდა?

რონი წამოხტა და ბოს კალათა სავარძლიდან ჩამოაგდო. პროფესორმა ლუპინმა ხმამაღლა წამოიხვრინა.

– ეგ ვინღაა? – მალფოიმ ლუპინის დანახვაზე, თავისდა უნებურად, უკან დაიხია.

– ახალი მასწავლებელია, – მიუგდო ჰარიმ და თვითონაც წამოხტა, რომ რონს მიხმარებოდა, – რაო, მალფოი, რას ბოდავდი?

მალფოის ცივი თვალები დაუვიწროვდა, არც ისეთი სულელი იყო, მასწავლებლის ცხვირწინ ჩხუბი აეტეხა.

– წავედით, – უბრძანა კრაბსა და გოილს და სამივენი გაუჩინარდნენ.

ჰარი და რონი ისევ დასხდნენ. რონი შეკრულ მუშტს ისრესდა.

– წელს მალფოის შეურაცხყოფას არ შევარჩენ, – წამოიძახა გაბრაზებულმა, – აი, ვნახოთ! თუ კიდევ რაიმეს გაბედავს და იტყვის ჩემს ოჯახზე, დავიჭერ და ყბას მოვუნგრევ... – რონმა გამეტებით მოიქნია მუშტი.

– რონ! – დაუსისინა ჰერმიონმა, – ფრთხილად...

მაგრამ პროფესორ ლუპინს ისევ ღრმად ეძინა.

წვიმა თანდათან თავსხმად იქცა. მატარებელი ისევ ჩრდილოეთით მიქროდა. ფანჯრებს თითქოს რუხი საფარველი გადაეკრა. ბოლოს სულ ჩამობნელდა და დერეფანსა და კუპეებში პატარა ფარნები აანთეს. პროფესორ ლუპინს ისევ ღრმად ეძინა, მისთვის თითქოს არ არსებობდა მატარებლის რახრახი, წვიმის თქეში და ქარის ღრიალი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ალბათ მალე ჩავალთ, – ივარაუდა რონმა და ჩაბნელებული ფანჯრისკენ გაიხედა.

ამის თქმა იყო და, მატარებელმა ნელ-ნელა სიჩქარეს უკლო.

– რა კარგია! – რონი წამოდგა, პროფესორ ლუპინს ფეხაკრეფით ჩაუარა და ფანჯარას მიადგა, – შიმშილით კუჭი მეწვის, აუ, როდის მივალთ ბანკეტზე...

– შეუძლებელია, ასე მალე ვერ მივიდოდით, – საათს დახედა ჰერმიონმა.

– აბა, რატომ ვჩერდებით?

მატარებელმა სვლა შეანელა, ბორბლების ხმა მიწყნარდა. ქარი და წვიმა გამეტებით ეხეთქებოდა ფანჯრებს.

ჰარი კართან ყველაზე ახლოს იჯდა, წამოდგა და დერეფანში გაიხედა. მგზავრები ცნობისმოყვარედ ათვალიერებდნენ დერეფანს. მატარებელმა ერთბაშად, მოწყვეტით დაამუხრუჭა. სადღაც შორს საბარგულიდან ჩამოცვენილი ჩემოდნების ხმა გაისმა. მერე, სრულიად მოულოდნელად, ყველა ფარანი ჩაქრა და უკუნეთი სიბნელე ჩამოწვა.

– რა ხდება? – ჰარის უკნიდან მოესმა რონის ხმა.

– ვაიმე! – შეჰყვირა ჰერმიონმა, – რონ, ფეხზე ნუ მაბიჯებ!

ჰარიმ ხელის ცეცებით მიაგნო თავის სავარძელს.

– მატარებელი გაფუჭდა?

– მე რა ვიცი...

მერე უცნაური ხმა გაისმა და ჰარიმ ფანჯარასთან რონის აჩრდილი დაინახა. რონმა დაორთქლილი მინა გაწმინდა და გარეთ გახედვა სცადა.

– იქ რაღაც მოძრაობს, მე მგონი, მატარებელში ხალხი ამოდის, – დაასკვნა რონმა.

უცებ კარი გაიღო და ჰარის ვიღაცა დაახტა ფეხზე.

– ბოდიში! ხომ არ იცით, რა ხდება! ვაიმე! უხ, ბოდიში...

– გამარჯობა, ნევილ, – მიესალმა ჰარი და სიბნელეში ხელის ცეცებით ჩაეჭიდა ნევილის მანტიას.

– ჰარი, შენა ხარ? რა ხდება?

– აზრზე არა ვარ! ჩამოჯექი...

უცებ გამწარებული ჩხავილი და კნავილი გაისმა. ეტყობა, ნევილი ბოს დააჯდა.

– წავალ და მემანქანეს ვკითხავ, რა ხდება, – გაისმა ჰერმიონის ხმა. ჰარიმ იგრძნო, როგორ ჩაუარა ჰერმიონმა გვერდით, კარი გააღო და... ბრახ! ორმა გოგონამ ერთად შეჰკივლა.

– რომელი ხარ?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რომელი ხარ?
– ჯინი, შენა ხარ?
– ჰერმიონ, შენა ხარ?
– აქ რას აკეთებ?
– რონს ვეძებდი.
– შემოდი, დაჯექი...
– აქ არა! – შესძახა ჰარიმ, – აქ მე ვზივარ!
– ვაიმე! – ამოიღნავლა ნევილმა.
– გაჩუმდით! – გაისმა უცებ ვიღაცის ბოხი ხმა.

როგორც იქნა, პროფესორმა ლუპინმაც გაიღვიძა. ჰარიმ გაიგონა, როგორ წამოდგა პროფესორი. კრინტი არავის დაუძრავს.

რაღაცამ გაიტკაცუნა და კუპე მოცახცახე სინათლით აივსო. პროფესორს მთელი მუჭა ნაპერწკლები ეჭირა ხელში. გადაღლილი, ფერმკრთალი სახე და ფხიზელი, დაფეთებული თვალები ჰქონდა.

– ფეხი არ მოიცვალოთ, – დაიგუგუნა პროფესორმა, წამოდგა და ცეცხლის ნაპერწკლებით ხელში კარისკენ გაემართა, მაგრამ დაასწრეს. კარი მის მისვლამდე გაიღო.

ზღურბლზე ლუპინის მოცახცახე ცეცხლით განათებული, მანტიამოსხმული მაღალი არსება იდგა. სახე მთლიანად ჩაემალა კაპიუშონში. ჰარის მზერა დაბლა გაექცა და ისეთი რაღაც დაინახა, რომ მუცელში მარწუხივით მოუჭირა ტკივილმა. არსებას მანტიიდან სლიპინა, უსიამოვნო რუხი ფერის, თითქოს შლამმოდებული ხელი გამოეყო... გეგონებოდა, წყალქვეშ დიდხანს იხრწნებოდაო...

ეს ყველაფერი წამის მეათედს ჩანდა. არსებამ თითქოს იგრძნო ჰარის მზერა და ხელი სასწრაფოდ შემალა მანტიის შავ ნაკეცებში. მერე კაპიუშონიდან უცნაური ხრიალი გაისმა, თითქოს ეს არსება ცდილობდა, მარტო ჰაერი კი არა, ყველაფერი შეესუნთქა.

იქაურობას სუსხმა გადაუარა. ჰარის სუნთქვა შეეკრა, სიცივემ ერთიანად ააკანკალა, მკერდშიც შეაღწია, გული გაუყინა.. თვალთ დაუბნელდა, ვეღარაფერს ხედავდა. სიცივე სულს უხუთავდა, ყურებში წყლის შხუილი ესმოდა. რაღაც ძალა ქვემოთ ექაჩებოდა და სულ უფრო ხმამაღლა გრგვინავდა... მერე სადღაც შორიდან, ძალიან შორიდან გულისმომკვლელი კივილი მოესმა... თითქოს ვიღაც შეწყალებას ითხოვდა. ჰარის ძალიან უნდოდა, იმ უცნობს დახმარებოდა, მაგრამ ხელები აღარ ემორჩილებოდა... უცნაურ ნისლში გაეხვია და სულში კი...

– ჰარი! ჰარი! როგორა ხარ? – ვიღაცამ სახეში გაულაწუნა.

– რ-რა იყო? – ჰარიმ თვალი გაახილა. ფარნები აენთოთ და იატაკიც ირწეოდა, ჰოგვორტსის ექსპრესი ისევ ჩრდილოეთით მიქრო-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და. ჰარი სავარძლიდან ჩამოვარდნილიყო, იქვე ჰერმიონი და რონი ჩაჩოქილიყვნენ, თავზე კი ნევილი და პროფესორი ლუპინი ადგნენ. ჰარი ძალიან ცუდად გრძნობდა თავს. ძლივს მოირგო სათვალე, სახეზე ცივმა ოფლმა დაასხა.

რონმა და ჰერმიონმა ისევ სავარძელზე დასვეს.

– ხომ კარგად ხარ? – ვერ ისვენებდა რონი.

– ჰო, – ჰარიმ კარისაკენ გაიხედა, ის კაპიუშონიანი არსება გამქრალიყო, – რა მოხდა? ის... ის არსება სად არის? ვინ კიოდა?

– არავინ კიოდა, – უარესად აღელდა რონი.

ჰარიმ განათებული კუპე მოათვალიერა და გაფითრებულ ჯინისა და ნევილს მოჰკრა თვალი.

– კი მაგრამ, მე გავიგონე, ვილაც კიოდა...

უცებ ყველანი შეხტნენ. პროფესორმა ლუპინმა შოკოლადის უზარმაზარი ფილა დატეხა.

– ეს შეჭამე, მოგიხდება, – და ჰარის ყველაზე დიდი ნატეხი მიაწოდა.

ჰარიმ შოკოლადი გამოართვა, მაგრამ პირი არ დაუკარებია.

– ის ვინ იყო? – ჰკითხა ლუპინს.

– დემენტორი, – მიუგო პროფესორმა და ყველას ჩამოურიგა შოკოლადი, – აზკაბანის დემენტორი.

ბავშვები გაოგნებულები მიაჩერდნენ პროფესორს, რომელმაც შოკოლადის ქაღალდი დაკუჭა და ჯიბეში ჩაიდო.

– ჭამეთ, მოგიხდებათ! უკაცრავად, მე მემანქანეს უნდა დაველაპარაკო... – პროფესორი დერეფანში გაუჩინარდა.

– მართლა კარგად ხარ, ჰარი? – ჰერმიონიც ღელავდა.

– არ მესმის, რა მოხდა... – ჰარიმ ოფლი მოიწმინდა.

– ის არსება... დემენტორი... იქ იდგა და ჩვენს კუპეს ათვალიერებდა... მე მგონი, ათვალიერებდა... რა ვიცი, სახე არ უჩანდა... და უცებ, შენ... შენ...

– მეგონა, შეტევა დაგემართა, – რონი ჯერ კიდევ კანკალებდა, – ჯერ გაშეშდი, სავარძლიდან ჩამოვარდი და აფართხალდი...

– მერე პროფესორმა ლუპინმა გადაგაბიჯა, დემენტორისკენ წავიდა და ჯადოსნური ჯოხი ამოიღო, – განაგრძო ჰერმიონმა, – და მიაძახა: „არც ერთი ჩვენგანი არ მალავს სირიუს ბლექს მანტიების ქვეშ, წადი, მოგვშორდი!“ მაგრამ დემენტორი ფეხს არ იცვლიდა. მაშინ ლუპინმა რაღაც ჩაიბუტბუტა, ჯადოსნური ჯოხიდან ვერცხლისფერმა ელვამ იფეთქა, დემენტორი გატრიალდა და მაშინვე გაქრა...

– უჰ, რა საზარელი იყო... – ნევილს შიშისგან ხმა დაუწვრილდა, – იგრძენით, როგორ აცივდა?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რაღაც უცნაური გრძნობა გამიჩნდა, – რონს გააჟრჟოლა, – თითქოს არასოდეს დამიბრუნდება სიხარულის შეგრძნება...

კუთხეში მიკუჭული ჯინი ჰარიზე უკეთესი შესახედავი არ იყო, შეშინებულმა წამოიტირა კიდეც. ჰერმიონი მასთან მივიდა და მოეფერა.

– კი მაგრამ, ჩემ გარდა არც ერთი არ ჩამოვარდნილხართ სავარძლიდან? – შეწუხდა ჰარი.

– არა, – ვერა და ვერ დამშვიდებულიყო რონი, – ჯინიც შეშლილივით ცახცახებდა...

ჰარის ვერაფერი გაეგო. ძალაგამოლეული იჯდა და ციებიანივით კანკალებდა. თანაც, უკვე რცხვენოდა: ეს რა დამემართა, სხვებს რატომ არაფერი მოსვლიათო!

პროფესორი ლუპინი დაბრუნდა. შემოსასვლელში შედგა, მიმოიხედა და გაიცინა:

– სხვათა შორის, ეგ შოკოლადი მოწამლული არაა...

ჰარიმ შოკოლადი ჩაკბიჩა და, მისდა გასაკვირად, სხეულში სითბომ დაუარა.

– ათ წუთში ჰოგვორტსში ვიქნებით, – გამოაცხადა პროფესორმა, – როგორა ხარ, ჰარი?

– კარგად, – ჩაიბუტბუტა ჰარიმ უხერხულად და გაუკვირდა, საიდან იცოდა პროფესორმა მისი სახელი.

ბევრი აღარ ულაპარაკიათ. ბოლოს, როგორც იქნა, მატარებელი ჰოგსმიდის სადგურზე ჩამოდგა და ერთი ალიაქოთი ატყდა. ბავშვები მატარებლიდან ჩადიოდნენ, ბუები კიოდნენ, კატები ჩხაოდნენ, ნევილის გომბეშო კი მთელი ხმით ყიყინებდა. პლატფორმაზე ჩამოსულებს ძალიან შესცივდათ, ნაწვიმარზე იქაურობა მოყინული იყო.

– პირველკურსელებო, აქეთ! – გაისმა ნაცნობი ხმა. ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა თავიანთი გოლიათი მეგობარი, ჰაგრიდი შეამჩნიეს, დაფეთებული პირველკურსელები მიჰყავდა, რათა, ტრადიციულად, ტბაზე გადაეყვანა.

– როგორა ხართ? – შორიდან გამოსძახა ჰაგრიდმა. ბავშვებმა ხელი დაუქნიეს, მაგრამ ველარ დაელაპარაკნენ. ხალხის ნაკადმა ისინი პლატფორმის მეორე ბოლოსკენ გადაისროლა. დანარჩენებთან ერთად გაუყვნენ ატალახებულ ბილიკს და ბოლოს ეტლების გრძელ მწკრივს მიადგნენ. ბავშვები ერთ-ერთ ეტლში ჩასხდნენ და ისიც, თითქოს უჩინარი ცხენი მიაგორებსო, ხმაურით გაუყვა გზას.

ეტლში ნაკელისა და თივის სუნი იდგა. ჰარი შოკოლადმა ცოტა კი მოამჯობინა, მაგრამ თავს მაინც სუსტად გრძნობდა. რონი და

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰერმიონი შიგადაშიგ გადახედავდნენ ხოლმე, თითქოს ეშინოდათ, გული ისევ არ წასვლოდა.

ეტლი დიდებულ კარიბჭესთან მიგრიალდა. კარიბჭეს აქეთ-იქით ორი ქვის სვეტი ედგა, სვეტებზე კი ფრთიანი ტახები ისხდნენ. ჰარიმ სადარაჯოზე მდგარი, მანტიებმოსხმული ორი დემენტორი შეამჩნია. სიცივემ მთელ სხეულში დაუარა, სავარძლის რბილ საზურგეს მიეყრდნო და, სანამ კარიბჭე არ გაიარეს, თვალი არ გაუხელია. ეტლმა ციხე-კოშკისკენ მიმავალ აღმართზე სიჩქარეს უმატა. ჰერმიონი ერთი ციცქნა ფანჯრიდან უყურებდა, როგორ უახლოვდებოდნენ ქონგურებსა და კოშკებს. ბოლოს ეტლი მოწყვეტით გაჩერდა. რონი და ჰერმიონი ეტლიდან გადმოვიდნენ.

ჰარიმ მიწაზე ფეხი დადგა თუ არა, ვიღაცის გახარებული ხმა მოესმა:

– მართლა გული წაგივიდა, პოტერ? ლონგბოტომი არ მატყუებს? მართლა გული წაგივიდა? – მალფოიმ ჰერმიონი გვერდზე გასწია და ჰარის კოშკის კიბეზე ასასვლელი გზა გადაუკეტა. სახეზე ენით აუწერელი ბედნიერება ეხატა და უფერული თვალები ღვარძლიანად უელავდა.

– აქედან გაეთრიე, მალფოი! – კბილებში გამოსცრა რონმა.

– რაო, შენც ხომ არ წაგსვლია გული, უისლი? – იღრიალა მალფოიმ, – ბებერმა დემენტორმა შენც შეგაშინა?

– რა ხდება? – შემდეგი ეტლიდან გადმოვიდა პროფესორი ლუპინი.

მალფოიმ ამრეზით შეხედა პროფესორის დაკემსილ მანტიას, გაქუცულ ჩემოდანს და სულ ოდნავ შესამჩნევი დაცინვით მიუგო:

– არა, არაფერი... პროფესორო, – მერე კრაბსა და გოილს ანიშნა და ციხე-კოშკში შევიდა.

ჰერმიონმა რონს უბიძგა და სხვებთან ერთად აირბინეს საფეხურები, მუხის უზარმაზარ კარში შევიდნენ და ჩირაღდნებით განათებულ ჰოლში აღმოჩნდნენ. აქედან მარმარილოს კიბე ზედა სართულებისკენ ადიოდა.

მარჯვნივ დიდი დარბაზის კარი ღია იყო. ჰარი სხვებთან ერთად იქით გაემართა და ის იყო, მოჯადოებული ჭერი დაინახა, რომელიც ამ საღამოს ღრუბლიანი, ჩაბნელებული ცისთვის დაემსგავსებინათ, რომ ქალის ხმაც მოესმა:

– პოტერ, გრეინჯერ! თქვენთან სალაპარაკო მაქვს.

ჰარი და ჰერმიონი გაოცებულები მიტრიალდნენ და ტრანსფიგურაციის მასწავლებელი, გრიფინდორის კლუბის ხელმძღვანელი, პროფესორი მაკგონაგელი დაინახეს. პროფესორი მკაცრი შესახედაობის ქალი იყო, თმა ყოველთვის შეკრული ჰქონდა და ოთხკუთხაჩარჩოი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ანი სათვალე ეკეთა. ჰარი მის დანახვაზე, რატომღაც, თავს ყოველთვის ისე გრძნობდა ხოლმე, თითქოს ცუდი რაღაც ჩაედინოს.

– ასეთი შეწუხებული სახეები ნუ გაქვთ, უბრალოდ, ჩემს კაბინეტში მინდა დაგელაპარაკოთ! უისლი, თქვენს საქმეს მიხედეთ.

რონმა მეგობრებს თვალი გააყოლა. პროფესორმა ისინი ჰოლის გავლით მარმარილოს კიბეზე აიყვანა და გრძელი დერეფნისკენ გადაუხვია. პროფესორის კაბინეტი ერთი პატარა თბილი ოთახი იყო, რომელშიც ბუხარი გიზგიზებდა. ქალმა ხელით ანიშნა ბავშვებს, დასხედითო, თვითონ საწერ მაგიდას მიუჯდა და პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

– პროფესორმა ლუპინმა წინასწარ ბუ გამომიგზავნა, პოტერ, თურმე, მატარებელში ცუდად გამხდარხართ.

სანამ ჰარი უპასუხებდა, კარებზე ვიღაცამ ფრთხილად დააკაკუნა და ოთახში სკოლის ექთანი, მადამ პომფრი შემოვიდა.

ჰარიმ იგრძნო, როგორ გადაჰკრა სიწითლემ. ის არ ეყოფოდა, რომ გული წაუვიდა, თუ რაღაც ჯანდაბა დაემართა, ამდენი აყალმაყალი რაღა საჭირო იყო?!

– კარგად ვარ, – ძლივს ამოღერღა, – არაფერი მჭირდება.

– აჰ, შენა ხარ? – მადამ პომფრის მისი სიტყვებისთვის ყურადღება არ მიუქცევია, – დარწმუნებული ვარ, ისევ სახიფათო რამეში გაეხვეოდი!

– დემენტორი, პოპი, – დააზუსტა მაკგონაგელმა.

ქალებმა ერთმანეთს გადახედეს. მადამ პომფრი უკმაყოფილოდ აბუზღუნდა:

– სკოლაში ეს დემენტორები ჩაგვიყენეს... – ჰარის თმა გადაუწია და შუბლი მოუსინჯა, – აი, ნახავ, გულის წასვლები როგორ გახშირდება. ღმერთო, მთლად სველია! რა საზიზღრები არიან... ან როგორ მოქმედებენ სათუთი ჯანმრთელობის...

– მე სათუთი ჯანმრთელობა არა მაქვს! – მოიღუშა ჰარი.

– რა თქმა უნდა, ძვირფასო, – ჩაილაპარაკა მადამ პომფრიმ და პულსი გაუსინჯა.

– რა დასჭირდება? – იკითხა პროფესორმა, – წოლითი რეჟიმი? ხომ არ აჯობებს, ამ ღამით საავადმყოფო ფლიგელში დარჩეს?

– კარგად ვარ! – სასწრაფოდ წამოხტა ჰარი, იმის გაფიქრებაც კი ჰზარავდა, რას იტყოდა დრაკო მალფოი, საავადმყოფო ფლიგელში რომ გაეგზავნათ.

– ცოტა შოკოლადი მაინც უნდა შეჭამოს, – მადამ პომფრი ახლა ჰარის თვალებს აკვირდებოდა.

– უკვე შევჭამე. პროფესორმა ლუპინმა ყველას დაგვირიგა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მართლა? – გაუხარდა მადამ პომფრის, – როგორც იქნა, ბნელი ძალებისაგან თავდაცვის ისეთი მასწავლებელი გვეღირსა, რომელმაც კარგად იცის თავისი საქმე!

– პოტერ, ნამდვილად კარგად ხარ? – პროფესორი მაკგონაგელი, როგორც ყოველთვის, მკაცრი იყო.

– დიახ! – მიუგო ჰარიმ.

– კეთილი! თუ შეიძლება, გარეთ დაგველოდეთ, მის გრეინჯერს გაკვეთილების ცხრილზე უნდა დაველაპარაკო, მერე კი ერთად ჩავიდეთ ბანკეტზე.

ჰარი მადამ პომფრის გაჰყვა დერეფანში. ქალი ბუტბუტით გაემართა საავადმყოფო ფლიგელისკენ. ჰარის სულ ცოტა ხანს მოუწია მოცდა. მალე სახეგაბრწყინებული ჰერმიონი და პროფესორი მაკგონაგელიც გამოჩნდნენ და სამივენი ერთად ჩაუყვნენ მარმარილოს კიბეს.

დიდი დარბაზი წაწვეტებული შავი ქუდების ზღვას ჰგავდა. თითოეული კლუბის მაგიდასთან გრძელ რიგებად ისხდნენ სტუდენტები, ჰაერში მოფარფატე სანთლების შუქზე სახეები უბრწყინავდათ. თოვლივით თეთრთმიანმა ჩია პროფესორმა ფლიტვიკმა ძველთაძველი ქუდი და სამფეხა სკამი დარბაზიდან გაიტანა.

– ეჰ, განაწილების ცერემონიას ვერ მოვუსწარით, – ჩაილაპარაკა ჰერმიონმა.

ჰოგვორტსში ახალ სტუდენტებს ასე ანაწილებდნენ – დაახურავდნენ გამანაწილებელ ქუდს და ისიც ხმამაღლა დაიძახებდა, რომელ კლუბში აგზავნიდა სტუდენტს (კლუბი სულ ოთხი იყო – გრიფინდორი, რეივენქლო, ჰაფლეპაფი და სლიზერინი).

პროფესორმა მაკგონაგელმა მასწავლებლების მაგიდასთან თავისი ადგილი დაიკავა. ჰარი და ჰერმიონი კი ფეხაკრეფით წავიდნენ გრიფინდორის მაგიდისაკენ. ყველანი მათ მიაცქერდნენ, ზოგიერთმა ჰარიზე ხელითაც კი ანიშნა. ნუთუ გულის წასვლის ამბავი ასე სწრაფად გავრცელდა? ბოლოს რონს შემოუსხდნენ აქეთ-იქიდან.

– რაო, რა უნდოდა? – გადაუჩურჩულა რონმა.

ჰარიმ ჩურჩულითვე დაუწყო ახსნა, მაგრამ სწორედ ამ დროს სიტყვის სათქმელად დირექტორი წამოდგა.

პროფესორი დამბლდორი ძალიან ასაკოვანი იყო, მაგრამ მაინც უშრეტ ენერგიას ასხივებდა. გრძელი ვერცხლისფერი თმა და წვერი ჰქონდა, კეხიან ცხვირზე კი ნახევარმთვარისებრი სათვალე ეკეთა. მას ხშირად თავისი დროის უდიდეს ჯადოქარს უწოდებდნენ, თუმცა ჰარის პატივისცემა სულ სხვა რამის გამო დაიმსახურა. რაც უნდა მომხდარიყო, ყოველთვის შეეძლო მისი ნდობა. ჰარი დემენტორთან

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შეხვედრის მერე მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როცა დამბლდორის მოღიმარი სახე დაინახა.

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! – დამბლდორს სანთლის შუქზე წვერი უბრწყინავდა, – ჰოგვორტსის სკოლაში ახალი სასწავლო წელი იწყება. მინდა, რაღაც გითხრათ, მათ შორის, ძალიან სერიოზული რამეებიც, ამიტომ აჯობებს, სანამ ჩვენი გასაოცარი ბანკეტი დაიწყება, ყველაფერი გავარკვიოთ... – დამბლდორმა ჩაახველა და განაგრძო: – ყველას მოგეხსენებათ, რომ დღეს ჰოგვორტსის ექსპრესი აზკაბანის დემენტორებმა გაჩხრიკეს. მაგიის სამინისტროს დავალებით, ისინი ერთხანს ჩვენს სკოლაში დარჩებიან.

დამბლდორი შეჩერდა. ჰარის მოაგონდა ბატონი უისლის ნაამბობი, დამბლდორს დემენტორების სკოლაში ყოფნა გულზე დიდად არ ეხატებაო.

– დემენტორები ყველა შესასვლელთან დგანან, – განაგრძო დირექტორმა, – და დაიმახსოვრეთ, სანამ აქ იქნებიან, ნებართვის გარეშე სკოლიდან ვერავინ გავა. დემენტორებს თქვენი ოინებით ვერ მოატყუებთ, მათ შორის, ვერც უჩინმაჩინის მოსასხამით, – სასხვათაშორისოდ ჩაურთო დამბლდორმა. რონმა და ჰარიმ ერთმანეთს გადახედეს, – მათ ხვეწნა-მუდარა და თავის მართლება არ ესმით, ამიტომ ყველას გაფრთხილებთ, არ მისცეთ თუნდაც უმნიშვნელო საბაბი იმისა, რომ რაიმე დაგიშავონ. მე უკვე ველაპარაკე პრეფექტებს, ჩვენს ახალ ჰედბოისა და ჰედმისს, და ვთხოვე, ყურადღება მოგაქციონ.

ჰარისთან ახლოს მჯდარი პერსი ამაყად გაიჯგიმა და იქაურობა დიდკაცივით მოათვალიერა. დამბლდორი ისევ შეჩერდა და დარბაზს თვალი მოავლო. სამარისებური სიჩუმე იდგა.

– ახლა კი, სასიამოვნო ამბავი: წელს ორი ახალი მასწავლებელი გვყავს, – პროფესორი ლუპინი, რომელიც დიდსულოვნად დათანხმდა, ბნელი ძალებისგან თავდაცვის მასწავლებლის ადგილი დაეკავებინა!..

კანტიკუნტად გაისმა უხალისო ტაში. იმათ კი, ვინც პროფესორთან ერთად იმგზავრა, მხურვალე ტაში დასცხეს. პროფესორი ლუპინი საუკეთესო მანტიებში გამოწყობილი კოლეგების გვერდით საცოდავი სანახავი იყო.

– სნეიპს შეხედე! – წასჩურჩულა რონმა ჰარის.

შხამ-წამლების ოსტატი, პროფესორი სნეიპი ლუპინს თვალს არ აშორებდა. ყველამ იცოდა, რომ სნეიპს ძალიან უნდოდა, ბნელი ძალებისაგან თავდაცვის მასწავლებელი გამხდარიყო. ჰარის ასე გაბოროტებული სნეიპი არასოდეს ენახა. გაბოროტებული კი არა, სნეიპი თვალებიდან სიძულვილსა და ზიზღს აფრქვევდა. ჰარის ეს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მზერა კარგად ახსოვდა, სნეიპი ხომ მასაც ასეთი თვალებით უყურებდა.

– ახლა მეორე მასწავლებელს წარმოგიდგენთ, – განაგრძო დამბლდორმა, როცა ტაშის ხმა მიწყდა, – სამწუხაროდ, პროფესორი ქეთლბერნი, ჯადოსნურ არსებათა მოვლის მასწავლებელი, პენსიაზე გავიდა, სანამ რაიმე კიდევ დამრჩა მოსაჭმელი, ცხოვრებით უნდა დავტკბეო. ერთი სიტყვით, მინდა გაუწყოთ, რომ მის ადგილს, არც მეტი, არც ნაკლები, თავად რუბეუს ჰაგრიდი დაიკავებს. იგი სიამოვნებით დაგვთანხმდა, ეს სამუშაო მიწების მცველის საქმიანობას შეუთავსოს.

ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა გაოცებისგან პირი დააღეს და მქუხარე აპლოდისმენტებს თავიანთი ტაშიც შეუერთეს. გრიფინდორის მაგიდა განსაკუთრებით აქტიურობდა. ჰარი წინ გადაიხარა, რათა ჰაგრიდი უკეთ დაენახა. ერთიანად გაწითლებული გოლიათი მორცხვად დასცქეროდა თავის უზარმაზარ ხელებს და გაბურძგნილ წვერში არც კი ჩანდა, რომ იღიმებოდა.

– უნდა მივმხვდარიყავით! – შესძახა რონმა, – აბა, სხვა ვინ მოიფიქრებდა ჩვენთვის მკბენარა წიგნების დარიგებას?!

ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა სულ ბოლოს შეწყვიტეს ტაშის დაკვრა და პროფესორმა დამბლდორმა სიტყვა განაგრძო. ამასობაში კი ჰაგრიდი მაგიდის გადასაფარებლით იწმენდდა სიხარულის ცრემლებს.

– სულ ეს იყო, რის თქმაც მინდოდა! ახლა კი ბანკეტი დავიწყოთ!

ამის თქმა იყო და, ოქროს თეფშები და თასები საჭმელ-სასმელით აივსო. ჰარიმ უცებ იგრძნო, რომ მგელივით მოშიებოდა და რასაც კი მისწვდა, ყველაფერი თეფშზე გადმოიღო.

საჭმელი ძალიან გემრიელი იყო. დარბაზში ლაპარაკი, სიცილი და დანა-ჩანგლის წკარუნი ისმოდა. ჰარის, რონსა და ჰერმიონს ერთი სული ჰქონდათ, როდის დამთავრდებოდა ბანკეტი, რომ ჰაგრიდს დალაპარაკებოდნენ. კარგად იცოდნენ, რას ნიშნავდა მისთვის მასწავლებლობა. ჰაგრიდს სრული ჯადოქრული განათლება არ ჰქონდა. მესამე კურსზე იყო, როცა ჰოგვორტსიდან გარიცხეს და ის დანაშაული დააბრალეს, რომელიც არ ჩაუდენია. ჰაგრიდის უდანაშაულობა შარშან სწორედ ჰარიმ, რონმა და ჰერმიონმა დაამტკიცეს.

ბოლოს და ბოლოს, როცა ოქროს თეფშებიდან გოგრის ნამცხვრის უკანასკნელი ნაჭრებიც გაქრა, დამბლდორმა გამოაცხადა, უკვე ძილის დროაო, და ბავშვებმაც, როგორც იქნა, დრო იხელთეს.

– გილოცავ, ჰაგრიდ! – დაუძახა ჰერმიონმა, როცა მასწავლებლების მაგიდასთან მივიდნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სულ თქვენი დამსახურებაა, სამივესი, – ჰაგრიდმა სახე ხელსახოცით შეიმშრალა, – არ მჯერა... დამბლდორი მაგარი კაცია! პირდაპირ ჩემთან მოვიდა, როცა პროფესორმა ქეთლბერნმა დაიჩივლა, ყელში ამომივიდაო... ყოველთვის ვოცნებობდი ამ სამუშაოზე... – გრძნობამოზღვავებულმა ჰაგრიდმა სახეზე ხელსახოცი აიფარა. პროფესორმა მაკგონაგელმა ბავშვებს დაუცაცხანა და დარბაზიდან გაყარა.

ჰარი, რონი და ჰერმიონი გრიფინდორელებთან ერთად აუყვნენ მარმარილოს კიბეს, დაქანცულებმა გაიარეს დერეფნები, კიდევ რამდენიმე კიბე, და გრიფინდორის კოშკის საიდუმლო შესასვლელს მიადგნენ. ვარდისფერ კაბაში გამოწყობილმა ფუშფუშა ქალბატონის პორტრეტმა ხმამაღლა იკითხა:

– პაროლი?

– მოვდივარ, მოვდივარ! – გაისმა პერსის ხმა, – ახალი პაროლია: „ფორტუნა მაჟორ!“

– ამას რა დაიმახსოვრებს! – აღმოხდა ნევილ ლონგბოტომს, რომელსაც პაროლების დამახსოვრება ყოველთვის უჭირდა.

ყველანი პორტრეტის ხვრელში გადაძვრნენ, საერთო ოთახში შევიდნენ და თავ-თავიანთი საძინებლებისკენ გაეშურნენ. ჰარი ხვეულ კიბეს აუყვა, გზად ჰოგვორტსში დაბრუნებით გამოწვეული სიხარულის გარდა, ვერაფერს გრძნობდა. როცა ნაცნობ, წრიულ საძინებელ ოთახში შევიდა, სადაც ხუთი ჩარდახიანი საწოლი იდგა, ჰარიმ შვებით ამოისუნთქა, იგრძნო, რომ, ბოლოს და ბოლოს, შინ დაბრუნდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეექვსე

ბრჭყალები და ჩაის ფოთლები

მეორე დილით, როცა რონი, ჰარი და ჰერმიონი სასაუზმოდ დიდ დარბაზში ჩავიდნენ, დაინახეს, რომ დრაკო მალფოის ირგვლივ სლიზერინელები შემოეკრიბა და რაღაც სასაცილო ამბავს უყვებოდა. როგორც კი შემოსულებს თვალი მოჰკრა, დრაკო ისე გაიკლაკნა, თითქოს შეტევა დაემართაო, და სლიზერინელებიც ხმამაღლა ახარხარდნენ.

– ყურადღებას ნუ მიაქცევ, – ჰარის უკან მიჰყვებოდა ჰერმიონი, – უბრალოდ, ყურადღება არ მიაქციო, ამის ღირსი არ არის...

– ჰეი, პოტერ! – დაიჭყივლა პენსი პარკინსონმა, სლიზერინელმა გოგონამ, რომელსაც სახე სასაცილო ლეკვს მიუგავდა, – პოტერ! დემენტორები მოდიან, პოტერ! უუუუუ!

ჰარი გრიფინდორის მაგიდასთან ჯორჯ უისლის გვერდით დაჯდა.

– მესამეკურსელების ახალი ცხრილებია, – ჯორჯმა ცხრილი მიაწოდა, – რა იყო, რა დაგემართა, ჰარი?

– მალფოი! – გამოსცრა რონმა, ჯორჯს მეორე მხრიდან მიუჯდა და სლიზერინელების მაგიდას გახედა.

– ეგ ნაგავი, ეგა! – აიმრიზა ჯორჯი, – წუხელ ასე არ ყოყლოჩინობდა. როცა დემენტორები ჩვენკენ წამოვიდნენ, გიჟივით შემოვარდა ჩვენს კუპეში, არა, ფრედ?

– ჰო, კინაღამ ჩაიფსა შიშისგან, – ფრედმა ზიზღნარევი მზერა ესროლა მალფოის.

– ისე, მაგ დემენტორების დანახვა დიდად არც მე გამხარებია, – აღიარა ჯორჯმა, – საზიზღარი ტიპები არიან...

– მთელი სხეული გეყინება, არა? – დაეთანხმა ფრედი.

– თუმცა, გული არც ერთს არ წაგსვლიათ, – ჩაიბუტბუტა ჰარიმ.

– კაი, რა, ჰარი! – გაამხნევა ჯორჯმა, – ერთხელ მამას აზკაბანში

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოუწია წასვლა, გახსოვს, ფრედ? მერე გვიყვებოდა, ასეთ საშინელ ადგილას ჩემს დღეში არ ვყოფილვარო. მთლად დაუძლურებული და აკანკალებული დაბრუნდა... დემენტორები სადაც კი გამოჩნდებიან, ბედნიერებას სპობენ. პატიმრები მაგ ციხეში ჭკუიდან იშლებიან.

– ერთი ვნახოთ, ქვიდიჩის პირველი მატჩის შემდეგ როგორ გაიცინებს ეგ ვაჟბატონი! გრიფინდორი სლიზერინის წინააღმდეგ! ხომ არ დაგავიწყდათ, სეზონის პირველი მატჩი!

ჰარი და მალფოი ქვიდიჩში ერთადერთხელ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და მაშინაც მალფოი დამარცხდა. ჰარის გუნება გამოუკეთდა და სოსისებისა და მოშუშული პამიდვრის ჭამას შეუდგა.

ჰერმიონი თავის ცხრილს ამოწმებდა.

– რა კარგია! დღეს რამდენიმე ახალ საგანს ვიწყებ, – შესძახა აღფრთოვანებულმა.

– ჰერმიონ, – რონმა მის ცხრილს დახედა, – ნახე, როგორ აურდაურევიათ ყველაფერი! შეხედე, დღეში ათი საგანი მაინც გიწერია! ამდენი გაკვეთილისთვის, უბრალოდ, დრო არ გეყოფა!

– როგორმე მოვახერხებ, პროფესორ მაკგონაგელს მოველაპარაკე.

– მოიცა, მოიცა, – გაეცინა რონს, – ვნახოთ, ამ დილით რა ხდება! 9 საათზე – მისნობა, იქვე წერია, 9 საათზე – მაგლთმცოდნეობა და... – რონი საკუთარ თვალებს არ უჯერებდა, – კარგად დააკვირდით, 9 საათზე – არითმანტია. არა, ვიცი, რომ ძალიან მაგარი ხარ, მაგრამ, ჰერმიონ, მთლად ასეთი მაგარიც არა ხარ! ერთი ამიხსენი, ერთდროულად სამ გაკვეთილს როგორ უნდა დაესწრო?

– ნუ სულელობ, – მკაცრად შეაწყვეტინა ჰერმიონმა, – ერთდროულად სამ გაკვეთილზე ჯდომას არც ვაპირებ.

– აბა, როგორ...

– ჯემი მომაწოდე, – არ დაასრულებინა ჰერმიონმა.

– კი მაგრამ...

– ოჰ, რონ! შენ რაში გენაღვლება ჩემი ცხრილი? – გაცხარდა ჰერმიონი, – ხომ გითხარი, პროფესორ მაკგონაგელთან ყველაფერი მოვაგვარე-მეთქი!

ამ დროს დიდ დარბაზში ჰაგრიდი შემოვიდა. როგორც ყოველთვის, ახლაც თხუნელას ბეწვის ქურქი ეცვა და მკვდარ ქრცვინს მოაპრონიალებდა.

– როგორა ხართ? – მასწავლებლების მაგიდისკენ მიმავალი ერთი წამით შეჩერდა, – ლანჩის მერე ჩემი გაკვეთილი გაქვთ! ჩემი პირველი გაკვეთილი! ხუთ საათზე ავდექი, რაღაც-რაღაცეებს ვამზადებდი... იმედია, კაი გამოვა... მე მასწავლებელი ვარ... წარმოგიდგენიათ... –

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბავშვებს გულითადად გაუღიმა და მასწავლებლების მაგიდისკენ გაემართა, თან ქრცვინი წააპრონწიალა.

– ერთი მაცოდინა, რას ამზადებდა, – ცოტა არ იყოს, შეშფოთდა რონი.

დარბაზი თანდათან დაიცალა, ყველანი თავ-თავიანთ გაკვეთილებზე წავიდ-წამოვიდნენ. რონმა ცხრილს დახედა და გამოაცხადა:

– აჯობებს, ცოტა ვიჩქაროთ, მისნობა ჩრდილოეთის კოშკის თავზე გვიტარდება. იქამდე მისასვლელად ათი წუთი მაინც გვჭირდება...

საუზმე სწრაფად მოათავეს, ფრედსა და ჯორჯს დაემშვიდობნენ და ჰოლში გავიდნენ. სლიზერინის მაგიდას რომ ჩაუარეს, მალფოიმ ისევ მოიმკვდარუნა თავი, ვითომ გული წაუვიდა. ჰოლში გასულ ჰარის სლიზერინელების ხარხარი ესმოდა.

ჩრდილოეთის კოშკამდე კარგა გრძელი გზა ჰქონდათ გასავლელი. ორ წელიწადს ჰოგვორტსში სწავლობდნენ, მაგრამ ციხე-კოშკს ბოლომდე მაინც არ იცნობდნენ, ჩრდილოეთის კოშკში კი არასოდეს ყოფილან.

– სადმე... ხომ... უნდა... იყოს... მოკლე... გზა... – სულს ძლივს ითქვამდა რონი, როცა უკვე მეშვიდე უგრძესი კიბე აირბინეს და უცნობ ბაქანზე ამოყვეს თავი. ქვის კედელზე ერთადერთი სურათი ეკიდა, რომელზეც მხოლოდ და მხოლოდ მწვანედ აბიბინებული მინდორი იყო გამოსახული.

– მე მგონი, აქეთ უნდა წავიდეთ, – ჰერმიონმა მარჯვნივ, ცარიელ დერეფანში გაიხედა.

– არაა! ეგ სამხრეთია! ნახე, ფანჯრიდან ტბა მოჩანს...

ჰარი ნახატს მიაჩერდა. საიდანღაც კარგად ჩამრგვალებული, რუხი, თეთრლაქებიანი პონი შემოვიდა და მშვიდად შეუდგა ბალახის ძოვას. ჰარის ეს ამბავი სულაც არ გაჰკვირვებია, ჰოგვორტსში სურათები თავიანთი ჩარჩოებიდან გადმოდიოდნენ ხოლმე და სხვებთან მიდიოდნენ სტუმრად. ყოველთვის ახალისებდა მათი ცქერა. უცებ სურათზე ერთი დაბალი, მსუქანი რაინდი გამოჩნდა თავისი აბჯარ-საჭურვლის ჩხარუნით და პონის გამოუდგა. ლითონის სამუხლეებზე ბალახის კვალი ეტყობოდა, როგორც ჩანს, ცხენიდან ახლახან მოედინა ზღართანი.

– აჰა! – დაიღრიალა გაშმაგებულმა, როცა ბავშვები შეამჩნია, – ჰოი, არამზადებო, როგორ ბედავთ ჩემს პირად სამფლობელოში თქვენი ბილწი ფეხის შემოდგმას?! მოხვედით, რათა დატკბეთ ჩემი მარცხით? აბა, მოშორდით აქაურობას, ქეციანო ძაღლებო!

ბავშვები პირდაღებულები უყურებდნენ, როგორ იშიშვლა რაინდმა ხმალი და გაცოფებულმა აქეთ-იქით ქნევა დაიწყო. მაგრამ ეს ხმალი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მისთვის მეტისმეტად გრძელი იყო, ერთიც მოიქნია, წონასწორობა დაკარგა და ბალახში პირქვე გაიშხლართა.

– როგორ ბრძანდებით? – სურათს მიუახლოვდა ჰარი.

– უკან-მეთქი, მხდალო, ტუტუცო! სდექ, შე არამზადავ! – რაინდი ფეხზე წამოდგა, ხმალს დაეჯაჯგურა, რომ ფეხზე წამომდგარიყო, მაგრამ ხმალი ისე ჩასობილიყო მიწაში, რომ ძვრაც ვერ უყო. ბოლოს დაღლილი მდელოზე დაებერტყა, ჩაფხუტი მოიხადა და გაოფლილი სახე შეიმშრალა.

– თუ შეიძლება, მოგვისმინეთ, – დრო იხელთა ჰარიმ, – ჩრდილოეთის კოშკს ვეძებთ. ხომ ვერ მიგვასწავლით?

– ო, ნუთუ თავგადასავლების საძიებლად მიემართებით? – რაინდს იმწუთასვე გადაუარა სიბრაზემ, – მომყევით, ო, მეგობრებო, უძვირფასესნო! ჩვენ უთუოდ მივაღწევთ საწადელს და თუ ვერა, ბრძოლაში დავიღუპებით ისე, როგორც მამაცთ შეჰფერით! – მერე კიდევ ერთხელ ამაოდ დაეჭიდა ხმალს, მსუქან პონიზე ამხედრებაც სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და გაწბილებულმა შესძახა: – მაშ, ფეხით გავემართოთ, ღირსეულო ბატონებო და სათნო ქალბატონო! წინ! წინ! – მერე აბჯარ-საჭურვლის ჩხარაჩხურით ჩარჩოდან გადახტა და გაუჩინარდა.

ბავშვები ჩხარაჩხურზე ხვდებოდნენ, საით გარბოდა რაინდი და უკან მისდევდნენ. შიგადაშიგ კედლებზე გამოფენილ სურათებში მოჰკრავდნენ ხოლმე თვალს.

– გული გაიმაგრეთ! განსაცდელი ჯერ ისევ წინ გვაქვს! – დაიყვირა რაინდმა და ერთი წამით გაიელვა კრინოლინებში გამოწყობილი ქალბატონების წინ, რომელთა პორტრეტი ხვეული კიბის ვიწრო დერეფანში ეკიდა.

ჰარი, რონი და ჰერმიონი ქოშინით არბოდნენ მიხვეულ-მოხვეულ კიბეზე და თავბრუ ესხმოდათ. როგორც იქნა, ზემოდან ხმები შემოესმათ და მიხვდნენ, რომ საკლასო ოთახს მიაგნეს.

– მშვიდობით! – შესძახა რაინდმა და მკაცრი შესახედაობის ბერებს შეუხტა სურათში, – მშვიდობით, თანამებრძოლნო! და თუ ოდესმე დაგჭირდეთ, სერ კადოგანს მოუხმეთ, ჩემი კეთილშობილი გული და რკინის კუნთები თქვენს სამსახურში იგულეთ!

– ჰო, ჰო, აუცილებლად მოგიხმობთ, – ჩაიბუტბუტა რონმა, როცა სერ კადოგანი თვალს მოეფარა, – თუ ვინმე გადარეული დაგვჭირდება!

დარჩენილი საფეხურები აათავეს და პატარა ბაქანზე აღმოჩნდნენ, სადაც თითქმის მთელ კლასს მოეყარა თავი. მაგრამ კარი არსად ჩანდა. რონმა ჰარის ჭერზე ანიშნა, სადაც მრგვალი კარი იყო დატანებული. ზედ თითბრის აბრა იყო მიკრული.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– „სიბილ ტრელოუნი, მისნობის პროფესორი“, – ამოიკითხა ჰარიმ, – ნეტავ, მანდ როგორ უნდა ავძვრეთ?

თითქოს ამ კითხვას პასუხობსო, მრგვალი კარი გაიღო და იქიდან ვერცხლის კიბე პირდაპირ ჰარის ფეხებთან დაეშვა. ყველანი გაჩუმდნენ.

– მხოლოდ თქვენ შემდეგ! – გაიკრიჭა რონი. კიბეს პირველი ჰარი აუყვა.

ასეთ უცნაურ საკლასო ოთახში თავის დღეში არ ყოფილა. სიმართლე რომ ითქვას, საკლასო ოთახს საერთოდ არ ჰგავდა, უფრო მანსარდას ან ძველებურ საჩაიეს მოგაგონებდათ. ოთახში, სულ ცოტა, ოცი მრგვალი მაგიდა იდგა; მაგიდების ირგვლივ კი ჭრელჩითგადაკრული სავარძლები და ფუმფულა პუფები შემოეწყოთ. იქაურობას სუსტად ანათებდა უცნაური მეწამული შუქი; ფარდები ჩამოეშვათ, ლამპებს კი წითელი ნაჭრები ჰქონდა შემოხვეული. სულის შემხუთველი სიცხე იდგა. ბუხრის თავზე უამრავი რამ დაეხვავებინათ, ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა, ზედ სპილენძის ჩაიდნით რაღაც იხარშებოდა და უცნაურ სურნელს აფრქვევდა. წრიული კედლები მთლიანად დაეფარა თაროებს, რომლებზეც უამრავი დამტვერილი ბატის ფრთა, სანთლის ნამწვი, გაცვეთილი ბანქოს ქაღალდი, ვერცხლისფერი კრისტალები და ჩაის ფინჯნები ეწყო.

რონი ჰარის ამოუდგა გვერდით. ამასობაში მთელი ჯგუფიც ამოვიდა. ხმამაღლა საუბარს ვერავინ ბედავდა.

– სად არის? – იკითხა რონმა.

ჩაბნელებული კუთხიდან უცებ შემპარავი, იდუმალი ხმა გაისმა:

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! მოხარული ვარ, რომ, ბოლოს და ბოლოს, რეალურ სამყაროშიც გიხილეთ.

პროფესორი ტრელოუნი ცეცხლით განათებულ ადგილას გამოვიდა. ძალიან გამხდარს უზარმაზარი სათვალე ეკეთა, რომელიც თვალებს ერთიორად უდიდებდა, გამჭვირვალე, ბრჭყვიალა შარფი მოესხა მხრებზე, გამხდარ კისერზე უთვალავი ძეწკვი და მძივი ეკიდა, ხელებსა და იდაყვებზე კი უამრავი ბეჭედი და სამაჯური აესხა. მის დანახვაზე ჰარის დიდი, მბზინავი მწერი მოაგონდა.

– დასხედით, ბავშვებო, – წარმოთქვა პროფესორმა.

სტუდენტები უხერხულად დათითოვდნენ სავარძლებსა და პუფებზე. ჰარი, რონი და ჰერმიონი ერთ მაგიდას მიუსხდნენ.

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება მისნობის გაკვეთილზე! – პროფესორი ტრელოუნი ბუხართან მდგარ ფრთებგამოსხმულ სავარძელში ჩაჯდა, – მე პროფესორი ტრელოუნი ვარ. ალბათ პირველად

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მხედავთ. არ მიყვარს სკოლის აურზაურში ხშირად ჩამოსვლა, ეს ჩემს შინაგან თვალს მიბინდავს.

ამ უცნაურ განცხადებას არავინ გამოხმაურებია. პროფესორმა შარფი ნაზად შეისწორა და განაგრძო:

– თქვენ აირჩიეთ მისნობის შესწავლა, რომელიც ჯადოქრულ მეცნიერებებს შორის ურთულესია. აქედანვე გაფრთხილებთ, თუ თქვენ შინაგანი ხედვა არა გაქვთ, სამწუხაროდ, ბევრს ვერაფერს გასწავლით. წიგნები ამ სფეროში მაინცდამაინც დიდად ვერ დაგეხმარებათ...

ჰარიმ და რონმა ჩაიცინეს და ჰერმიონს ნიშნის მოგებით გადახედეს. გოგონა ყურებს არ უჯერებდა, თურმე ამ საგანში წიგნები დიდად არ გამოადგებოდა.

– ბევრი ნიჭიერი ჯადოქარი მინახავს, რომელთაც კარგად ეხერხებათ ხმაურიანი აფეთქებების მოწყობა და სწრაფად გაუჩინარება, მაგრამ მომავლის იდუმალებით მოცულ საბურველში შეღწევა არ ძალუძთ, – პროფესორი ტრელოუნი უზარმაზარ თვალებს ხან ერთ მოსწავლეს მიაპყრობდა, ხან მეორეს, – ეს ერთგვარი თანდაყოლილი ნიჭია. აი, თქვენ, ყმაწვილო, – მიუბრუნდა ნევილს, რომელიც კინაღამ პუფიდან გადმოვარდა, – ბებიათქვენი თავს როგორ გრძნობს?

– არა უშავს, – ხმა აუკანკალდა ნევილს.

– თქვენს ადგილას ასე დარწმუნებული არ ვიქნებოდი, – პროფესორს ზურმუხტის საყურეებზე შუქი აუთამაშდა. რონი გაშრა. პროფესორმა აუღელვებლად განაგრძო: – წელს მისნობის ძირითად პრინციპებს შევისწავლით. პირველი სემესტრი ჩაის ფოთლებზე მკითხაობას დაეთმობა, მეორე სემესტრში კი ხელზე მკითხაობას ვისწავლით. სხვათა შორის, ძვირფასო, – პროფესორმა პარვატი პეტილს მიაპყრო მზერა, – ყღალთმიან კაცს ერიდე!

პარვატიმ შეძრწუნებულმა გადახედა უკან მჯდარ რონს და თავისი სავარძელი შორს გააჩოჩა.

– მეოთხე სემესტრში ჯადოსნურ კრისტალზე გადავალთ, თუ, რა თქმა უნდა, მანამდე ცეცხლის ენებზე მკითხაობას მოვრჩებით. სამწუხაროდ, თებერვალში გაკვეთილები ჩაგვეშლება, რადგან გრიპის საშინელი ეპიდემია გავრცელდება. მე პირადად ხმა ჩამეხლიჩება. სააღდგომოდ კი ერთ-ერთი ჩვენგანი სამუდამოდ დატოვებს აქაურობას.

დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ პროფესორი ტრელოუნი მაინც განაგრძობდა:

– ჩემო ძვირფასო, – მიუბრუნდა ლევენდერ ბრაუნს, გოგონა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შიშისგან მოიკუნტა, – თუ შეიძლება, ის დიდი ვერცხლის ჩაიდანი მომაწოდეთ.

ლევენდერმა შვებით ამოისუნთქა, წამოდგა, თაროდან უშველებელი ჩაიდანი ჩამოიღო და პროფესორს მაგიდაზე დაუდგა.

– გმადლობთ, ძვირფასო! ჰო, მართლა, ის, რისაც ყველაზე მეტად გეშინია, პარასკევს, თექვსმეტ ოქტომბერს მოხდება.

ლევენდერს გააჟრჟოლა.

– ახლა კი წყვილებად დასხედით. თაროდან ჩაის ფინჯნები ჩამოიღეთ და ჩემთან მოდით, მე დაგისხამთ. მერე დასხდებით, ჩაის დალევთ, ბოლომდე გამოცლით, სანამ მხოლოდ ნალექი არ დარჩება. შემდეგ ფინჯანი მარცხენა ხელით სამჯერ შეანჯღრიეთ და ლამბაქზე გადმოაყირავეთ; დაელოდეთ, სანამ ჩაის წვეთები ბოლომდე დაიწურება და თქვენს მეწყვილეს გადაეცით სამკითხაოდ. ფიგურების მნიშვნელობას წიგნის „განჭვრიტე მომავალი“ მეხუთე და მეექვსე გვერდებზე იპოვით. მეც დაგეხმარებით, რჩევებს მოგცემთ. ჰო, მართლა, ძვირფასო, – შეაჩერა ნევილი პროფესორმა, – პირველ ფინჯანს რომ გატეხთ, ძალიან გთხოვთ, შემდეგ ლურჯები აიღეთ, თორემ ვარდისფერი ფინჯნები ძალიან მიყვარს.

და, რა თქმა უნდა, მიადგა თუ არა ნევილი ფინჯნების თაროს, ფაიფურის მსხვრევის ხმაც გაისმა. ცოცხითა და აქანდაზით შეიარაღებული პროფესორი ნევილს მიუახლოვდა და გადაულაპარაკა:

– ჰო, აი, ახლა ლურჯები აიღეთ... ჰო, ძვირფასო... არ გეწყინოთ... გმადლობთ...

ჰარი და რონი ჩაით სავსე ფინჯნებით დაბრუნდნენ თავიანთ მაგიდასთან და შეეცადნენ, რაც შეეძლოთ, სწრაფად დაელიათ ქაფქაფა სითხე. ფინჯნები სამჯერ შეანჯღრიეს, გადააბრუნეს და როცა ნალექი გაშრა, ერთმანეთს გაუცვალეს, სწორედ ისე, როგორც პროფესორმა უთხრა.

– აბა, – ჩაილაპარაკა რონმა, როცა წიგნები საჭირო გვერდზე გადაშალეს, – ჩემს ფინჯანში რას ხედავ?

– რაღაც მოყავისფრო ნალექია, – წაიბუტბუტა ჰარიმ, ოთახში დატრიალებულმა ძლიერმა სურნელმა სულ მთლად გააბრუა და გამოათაყვანა.

– გაათავისუფლეთ თქვენი გონება, ჩემო ძვირფასებო, დაინახეთ უფრო მეტი, ვიდრე თქვენი თვალები ჩვეულებრივ ხედავენ, – გაისმა პროფესორ ტრელოუნის იდუმალი ხმა.

ჰარიმ თავს ძალა დააატანა:

– რაღაც ჯვრის მსგავსი ჩანს, – მერე წიგნში ჩაიხედა, – ეს ნიშ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნავს, რომ „დიდი განსაცდელი და ტანჯვა“ გელის... ძალიან ვწუხვარ, მაგრამ აგერ, შეხედე, ეს რაღაც, მგონი, მზეს უნდა ჰგავდეს. მოიცა... ეს ნიშნავს „დიდ ბედნიერებას“... ესე იგი, დაიტანჯები, მაგრამ ძალიან ბედნიერი იქნები...

– მე მგონი, ჯობია შენი შინაგანი თვალი შეაკეთებინო, – აღნიშნა რონმა და ორივეს სიცილი აუვარდა. პროფესორმა ტრელოუნიმ მათ საყვედურით სავსე მზერა შეავლო.

– ახლა ჩემი ჯერია, – რონი ჰარის ფინჯანს ჩააცქერდა, ზედმეტი მონდომებისგან შუბლი შეეჭმუხნა, – რაღაც ცილინდრის მსგავსს ვხედავ... ეტყობა, მაგიის სამინისტროში დაიწყებ მუშაობას... – რონმა ფინჯანი მოატრიალა, – თუმცა, ამ მხრიდან რკოს უფრო ჰგავს... მოიცა, ეგ რას ნიშნავს? – რონმა წიგნს ჩახედა, – „მოულოდნელი სიმდიდრე, ოქრო“. უჰ, გადასარევია, ცოტას ხომ მასესხებ?! აქ კიდევ რაღაცას ვხედავ, – ისევ მოატრიალა ფინჯანი, – ცხოველს ჰგავს. კი, კი, ეს თავი ნამდვილად... ბეჰემოთი უნდა იყოს... არა, ცხვარია! კი, ნამდვილად ცხვარია!

ჰარიმ გადაიხარხარა, პროფესორი ტრელოუნი შემობრუნდა, ჰარის ფინჯანი აიღო და რონს მკაცრად უთხრა:

– მოდით, ერთად ვნახოთ, ძვირფასო!

ყველანი გაისუსნენ. პროფესორმა საათის ისრის საწინააღმდეგოდ დაატრიალა ფინჯანი.

– შევარდენი... დაუძინებელი მტერი გყოლიათ.

– ეგ ხომ ყველამ იცის, – მეტისმეტად ხმამაღლა მოუვიდა ჰერმიონს. პროფესორმა თავისი უზარმაზარი სათვალიდან გამოხედა, – ჰო, ჰარისა და ჩვენ-რომ-ვიცით, იმის ამბავი ყველამ იცის!

გაოგნებული ჰარი და რონი აღფრთოვანებით მიაჩერდნენ ჰერმიონს. გოგონას ასე თამამად არასოდეს მიუმართავს მასწავლებლისთვის. პროფესორმა ტრელოუნიმ ჰერმიონს ყურადღება არ მიაქცია და უზარმაზარი თვალები ისევ ჰარის ფინჯანს მიაპყრო.

– ხელჯოხი... თავდასხმას ნიშნავს. ვაიმე, რა ცუდი ფინჯანია...

– მე მეგონა, ცილინდრი იყო, – სულელურად გაიკრიჭა რონი.

– თავის ქალა... სახიფათო გზა გელის, ძვირფასო...

ყველანი მონუსხულები მიაჩერდნენ პროფესორ ტრელოუნის, რომელმაც კიდევ ერთხელ დაატრიალა ფინჯანი და დაზაფრულმა შეჰკივლა.

იმავე წამს ისევ გაისმა ფაიფურის მსხვრევის ხმა: ნევილმა უკვე მეორე ფინჯანი დაამსხვრია. პროფესორი ტრელოუნი იქვე მდგარ სავარძელში ჩაეშვა, ბრჭყვიალაბეჭდებიანი ხელი გულზე მიიდო და თვალები მილულა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჩემო ძვირფასო ბიჭუნა... ჩემო საცოდავო... არა, არაფერი მკითხოთ... ჯობია, არაფერი ვთქვა...

– რა ხდება, პროფესორო? – აწრიალდა დინ ტომასი. ყველანი წამოცვივდნენ და ჰარისა და რონის მაგიდას შემოეხვივნენ. პროფესორ ტრელოუნის სავარძელთან ახლოს მისვლას ცდილობდნენ, რომ ჰარის ფინჯანში უკეთ ჩაეხედათ.

– ჩემო ძვირფასო, – პროფესორმა ტრელოუნიმ თვალები გაახილა, – ფინჯანში გრიმი ამოგვიდა!

– რა ამომივიდა? – ვერ მიუხვდა ჰარი. მის გარდა, კიდევ რამდენიმე ბავშვი ვერაფერს მიხვდა: დინ ტომასმა მხრები აიჩეჩა, ლევენდერ ბრაუნიც დაბნეული ჩანდა. თუმცა, სხვებმა შიშისგან პირზე ხელი აიფარეს.

– გრიმი, ჩემო ძვირფასო, გრიმი! – გაუმეორა პროფესორმა, თან აშკარად გაუკვირდა, როგორ ვერ მიხვდაო, – გრიმი უზარმაზარი ძაღლი-მოჩვენებაა, რომელიც სასაფლაოებზე დაძრწის! ეს ავისმომასწავებელი ნიშანია, ჩემო ძვირფასო, სიკვდილს მოასწავებს!

ჰარის მუცელი აუწრიალდა. ის ძაღლი მოაგონდა, „სასიკვდილო ნიშნების“ ყდაზე რომ ეხატა „ფლორიშ ენდ ბლოტსში...“ მაგნოლიის ქუჩაზეც ხომ ნახა ძაღლი... ახლა ლევენდერ ბრაუნმაც აიფარა პირზე ხელი. ყველანი ჰარის მისჩერებოდნენ. ყველანი, ჰერმიონის გარდა. ის კი წამოდგა და პროფესორ ტრელოუნის სავარძლის უკან დადგა.

– ვერ დაგეთანხმებით, გრიმს საერთოდ არა ჰგავს! – გამოაცხადა თამამად.

პროფესორმა ამრეზით ახედა ჰერმიონს:

– მაპატიე, ძვირფასო, ამას რომ გეუბნები, მაგრამ შენ ძალიან სუსტი აურა გაქვს. მომავლის რხევებსაც ძალიან სუსტად აღიქვამ!

სიმუს ფინიგანმა ხან აქეთ გადახარა თავი, ხან – იქით, ბოლოს თვალებიც კი მოჭუტა:

– ასე თუ შეხედავ, მართლა გრიმს ჰგავს. თუმცა, აქედან უფრო ვირს მაგონებს!

– გეყოთ! როდის მორჩებით ჩემს სიკვდილზე მარჩიელობას?! – ისე შეჰყვირა ჰარიმ, რომ თვითონვე გაუკვირდა. მაშინვე ყველამ თავი დაღუნა.

– დღეისათვის საკმარისია, – პროფესორ ტრელოუნის ხმა თანდათან ამქვეყნიურს დაემსგავსა, – ჰო... და ძალიან გთხოვთ, ყველაფერი მიალაგეთ...

ბავშვებმა უხმოდ დაუბრუნეს ფინჯნები პროფესორს და წიგნები ჩანთებში ჩაიწყვეს. რონიც კი ვერ უსწორებდა ჰარის თვალს.

– ჩვენს მომავალ შეხვედრამდე ბედი გწყალობდეთ, – წაიღიღი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნასავით პროფესორმა ტრელოუნიმ და ნევილს მიუბრუნდა: – ჰო, მართლა, ძვირფასო, შემდეგ გაკვეთილზე დაგაგვიანდებათ, ასე რომ, წინასწარ წაიმეცადინეთ, რომ არ ჩამორჩეთ.

ჰარი, რონი და ჰერმიონი პროფესორ ტრელოუნის კიბიდან ხვეულ კიბეზე ჩავიდნენ და ტრანსფიგურაციის გაკვეთილზე წავიდნენ. მთელი ამ ხნის მანძილზე ხმა არ ამოუღიათ. მიუხედავად იმისა, რომ მისნობის გაკვეთილიდან ადრე გამოვიდნენ, ტრანსფიგურაციას სულზე მიუსწრეს.

ჰარი სულ ბოლო მერხს მიუჯდა, თუმცა მაინც ეჩვენებოდა, პროჟექტორებით განათებულ სცენაზე ვზივარო. ყველანი მისკენ აპარებდნენ მზერას და ისე უცქეროდნენ, თითქოს ნებისმიერ წუთს შეიძლებოდა, ფეხები გაეფშიკა. წესიერად არც კი ესმოდა, რას ჰყვებოდა პროფესორი მაკგონაგელი ანიმაგუსების შესახებ (ანიმაგუსები ისეთი ჯადოქრები არიან, რომელთაც ცხოველებად გადაქცევა შეუძლიათ) და არც კი შეუხედავს, როგორ გადაიქცა პროფესორი ზოლებიან კატად, თვალების ირგვლივ სათვალის მსგავსი ლაქები რომ ჰქონდა.

– რა გჭირთ? რა დაგემართათ? – კატა ისევ პროფესორად იქცა და სტუდენტებს მიაჩერდა, – მე, რა თქმა უნდა, ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, მაგრამ ეს პირველი შემთხვევაა, როცა გაკვეთილზე კატად გადაქცევა ვაჩვენე, კლასმა კი ტაში არ დასცხო.

ყველამ ჰარისკენ გაიხედა, თუმცა სიტყვა არავის დაუძრავს. ბოლოს ჰერმიონმა ასწია ხელი:

– პროფესორო, ახლა მისნობის გაკვეთილი გვქონდა, ჩაის ფოთლებზე ვმკითხაობდით და...

– როგორ ვერ მივხვდი! – კოპები შეიკრა მაკგონაგელმა, – ყველაფერი გასაგებია. ნუ გააგრძელებთ, მის გრეინჯერ. აბა, მითხარით, რომელი თქვენგანი მოკვდება წელს?

ყველანი პროფესორს მიაშტერდნენ.

– მე, – ძლივს ამოღერღა ჰარიმ.

– გასაგებია, – მაკგონაგელმა გამჭოლი მზერა მიაპყრო ჰარის, – პოტერ, მინდა იცოდეთ, რომ ამ სკოლაში მოსვლის დღიდან მოყოლებული, სიბილ ტრელოუნი ყოველ წელს ერთსა და იმავეს წინასწარმეტყველებს, ერთი სტუდენტი მოკვდებაო. თუმცა, ჯერჯერობით არავინ მომკვდარა. ახალ ჯგუფთან ყოველთვის სასიკვდილო ნიშნებით იწყებს პირველ გაკვეთილს. საერთოდ, ჩემს კოლეგებზე აუგის თქმა არ მჩვევია, მაგრამ... – პროფესორ მაკგონაგელს ნესტოებიც კი უთრთოდა; მერე მშვიდად განაგრძო: – მისნობა მაგიის ერთ-ერთი ყველაზე უზუსტო განხრაა და არ დაგიმალავთ, მე პირადად

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დიდად არ მეხატება გულზე. ნამდვილი ნათელმხილველები ძალიან იშვიათად იბადებიან და პროფესორი ტრელოუნი... – წამით ისევ შეჩერდა და მერე სასხვათაშორისოდ აღნიშნა: – პოტერ, რომ იცოდეთ, სრულიად ჯანმრთელად გამოიყურებით. უკაცრავად, მაგრამ საშინაო დავალებას მაინც მოგცემთ. გარწმუნებთ, თუ ამასობაში მოკვდებით, დავალებას აღარ მოგთხოვთ.

ჰერმიონმა ხმამაღლა გაიცინა. ჰარის გულზე მოეშვა. იმ დახუთული, სუსტად განათებული ოთახიდან გამოსულს ჩაის ფოთლებში ამოკითხული წინასწარმეტყველებისა უკვე აღარ ეშინოდა.

თუმცა, მაკგონაგელის სიტყვებმა ყველას დამშვიდება მაინც ვერ შეძლო. რონი შეწუხებული ჩანდა, ლევენდერმა კი წაიჩურჩულა: „კი მაგრამ, ნევილის ფინჯანზე რაღას იტყვით?“

ტრანსფიგურაციის გაკვეთილი დამთავრდა და ლანჩისთვის ყველანი ერთად გაცვივდნენ დიდ დარბაზში.

– რონ, ცხვირი ნუ ჩამოუშვი, – ჰერმიონმა მოშუშული ბოსტნეულით სავსე თეფში გადაუდგა, – ხომ გაიგონე, რა თქვა პროფესორმა მაკგონაგელმა?

რონმა ბოსტნეული თეფშზე გადაიღო, ჩანგალიც მოიმარჯვა, მაგრამ ჭამა არ დაუწყია.

– ჰარი, – წამოიწყო უჩვეულოდ დასერიოზულებულმა, – სადმე დიდი შავი ძაღლი ხომ არ შეგხვედრია?

– კი, შემხვდა, – მიუგო ჰარიმ, – იმ ღამეს, დერსლებისგან რომ გამოვიქეცი.

რონს ჩანგალი ხელიდან გაუვარდა.

– მაწანწალა ძაღლი იქნებოდა, – არ დაიბნა ჰერმიონი.

რონმა ისე შეხედა ჰერმიონს, თითქოს ფიქრობდა, რამ გააგიჟაო.

– ჰერმიონ, ჰარიმ თუ გრიმი დაინახა... ეს... ეს... ძალიან... ძალიან... ცუდია. ერთხელ ბიძია ბილიუსს უნახავს და... მეორე დღესვე დაიღუპა...

– უბრალო დამთხვევაა! – ჩაიფრუტუნა ჰერმიონმა და გოგრის წვენი დაისხა.

– აზრზე არა ხარ, რას ამბობ! – სიბრაზე მოერია რონს, – გრიმის დანახვაზე ჯადოქრების უმრავლესობა შიშით კვდება!

– დიახაც, მეც მაგას გეუბნები, – ხმას აუწია ჰერმიონმა, – გრიმს დაინახავენ და შიშით იხოცებიან! ესე იგი, გრიმი სიკვდილის მომასწავებელი ნიშანი კი არ არის, არამედ სიკვდილის მიზეზია. ჰოდა, როგორც ხედავ, ჰარი ცოცხალია! ისეთი სულელი კი არ არის, ძაღლის დანახვაზე ფეხები გაფშიკოს!

რონმა ხმა ველარ ამოიღო. ამასობაში კი ჰერმიონმა ჩანთიდან

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არითმანტიის სახელმძღვანელო ამოიღო, წვენით სავსე დოქს მიაყუდა და ფურცვლა დაიწყო.

– ჩემი აზრით, მისნობა დიდი აბდაუბდა საგანია. თვითონაც არ იციან, რას მარჩიელობენ.

– იმ ფინჯანში გრიმი სრულიად გარკვევით ჩანდა! – არ დათმო რონმა.

– ასე ღრმად დარწმუნებული არ იყავი მაშინ, როცა ბრძანე, ჭიქაში ცხვარი დავინახეო, – მოაგონა ჰერმიონმა.

– პროფესორმა ტრელოუნიმ ხომ გითხრა, სუსტი აურა გაქვსო! უბრალოდ, არ გინდა აღიარო, რომ ზოგიერთ საგანში უნიჭო ბრძანდები!

ჰერმიონს მოთმინების ფიალა აევსო, გაბრაზებულმა მაგიდაზე მთელი ძალით დაახეთქა არითმანტიის სახელმძღვანელო და იქაურობა ხორცისა და სტაფილოს ნაჭრებით მოსვარა.

– თუ მისნობის გაკვეთილზე ჩაის ფოთლებში სასიკვდილო ნიშნების დანახვა ნიჭიერებად ითვლება, მაშინ მაგ საგანს საერთოდ აღარ ვისწავლი! თანაც, მისნობა, არითმანტიასთან შედარებით, ნამდვილი იდიოტიზმია! – ჰერმიონმა ჩანთას ხელი დასტაცა და დარბაზიდან გავარდა.

რონი მოღუშული მისჩერებოდა.

– გაიგე, რა თქვა? – გაუკვირდა ჰარის, – არითმანტიის გაკვეთილზე ხომ ჯერ არ ყოფილა?!

* * *

ლანჩის შემდეგ ციხე-კოშკიდან გამოსვლა ერთი სიამოვნება იყო. წვიმას გადაეღო და მოწმენდილ ცას ოდნავ გადაჰკრავდა ნაცრისფერი. ბავშვები ჯადოსნურ არსებათა მოვლის პირველ გაკვეთილზე მიდიოდნენ.

რონი და ჰერმიონი ერთმანეთს აღარ ელაპარაკებოდნენ. ჰარიც უსიტყვოდ მიაბიჯებდა. ჰაგრიდის ქოხისკენ დაეშვნენ. ფიქრებში გართულმა ჰარიმ სამ ნაცნობ ზურგს მოჰკრა თვალი და მიხვდა, რომ ეს გაკვეთილი სლიზერინელებთან ერთად უტარდებოდათ. მალფოი გატაცებით უყვებოდა რაღაცას ახორხოცებულ კრაბსა და გოილს. ჰარი მშვენივრად ხვდებოდა, რაზეც ლაპარაკობდნენ სლიზერინელები.

ჰაგრიდი სტუდენტებს ქოხის კართან ელოდა, თხუნელას ბეწვის პალტოში გამოწყობილი მოუსვენრად წრიალებდა, თავისი ძაღლი, ფენგიც გამოეყვანა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აბა, ჰე, ცოტა გაინძერით! – დასჭექა მოახლოებულ ბავშვებს, – სეირი უნდა განახოთ! მაგარი გაკვეთილი მოგიმზადეთ! ყველანი აქა ხართ? ძალიან კარგი, აბა, მომყევით!

ერთი წამით დამფრთხალმა ჰარიმ ისიც კი გაიფიქრა, აკრძალულ ტყეში ხომ არ გვიპირებს შეყვანასო. იქ ყოფნის მწარე გამოცდილება ჰქონდა და კიდევ ერთხელ იქ მოხვედრა ნამდვილად აღარ უნდოდა. მაგრამ ჰაგრიდს ტყეში შესვლა არც უფიქრია, ბავშვები ერთ უზარმაზარ, ცარიელ საქონლის ბაკთან მიიყვანა და გამოაცხადა:

– ყველანი ღობესთან დადექით! ყველაფერს კარგად ხედავთ? ახლა წიგნები გადაშალეთ!

– როგორ? – გაისმა მალფოის დამცინავი ხმა.

– რაო? – ვერ მიუხვდა ჰაგრიდი.

– როგორ გადავშალოთ წიგნები? – გაუმეორა მალფოიმ, რომელსაც გრძელი თოკით გაეკოჭა თავისი „მონსტრწიგნი მონსტრების შესახებ“. ბავშვებმა თავ-თავიანთი წიგნები ამოიღეს, ზოგს, ჰარის მსგავსად, ქამრით შეეკრა. ზოგიერთს სულაც სპეციალურ ვიწრო ჩანთაში ჩაეტენა ან კიდევ უზარმაზარი სარჭებით დაემაგრებინა.

– რა, ვერც ერთმა ვერ გადაშალეთ? – გუნება წაუხდა ჰაგრიდს.

ბავშვებმა უარის ნიშნად თავი გააქნიეს.

– უნდა მოეფეროთ... – ისეთი ხმით წარმოთქვა ჰაგრიდმა, თითქოს ეს თავისთავად იგულისხმებოდა, – აი, შეხედეთ... – ჰერმიონს წიგნი გამოართვა და წებოვანი ლენტი მოაძრო. წიგნმა კბენა დაუპირა, მაგრამ როგორც კი ჰაგრიდმა საჩვენებელი თითი ყუაზე ნაზად გადაუსვა, ერთი შეთრთოლდა, შუაზე გადაიხსნა და მშვიდად გაუჩერდა ხელისგულზე.

– აუ, რა სულელები ვყოფილვართ, – ჩაიცინა მალფოიმ, – როგორ ვერ მივხვდით, მოფერება ჰყვარებია!

– მე... მე მეგონა, ძაან საყვარლები იყვნენ, – დაიბნა ჰაგრიდი.

– ნამდვილი უწყინარი ბასასუნები, – არ ცხრებოდა მალფოი, – მოფიქრება არ უნდა, მოსწავლეებს ასეთი წიგნი მისცე?! კინალამ ხელები დაგვაჭამა!

– მოკეტე, მალფოი! – შეაწყვეტინა ჰარიმ, ძალიან უნდოდა, ჰაგრიდს პირველი გაკვეთილი წარმატებულად ჩაეტარებინა.

– ჰო... რას ვამბობდი?.. – ჰაგრიდს თავგზა აებნა, – წიგნები გაქვთ... ახლა ჯადოსნური არსებებია საჭირო.. ჰო... აქ დამელოდეთ, ახლავე მოვიყვან... – და ტყეში გაუჩინარდა.

– ღმერთო, ეს რა უბედურებაა! ამ სულელმა უნდა გვასწავლოს? მამაჩემს რომ მოვუყვები, ნამდვილად გული გაუსკდება!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მალფოი, მოკეტე-მეთქი! – გაუმეორა ჰარიმ.

– ფრთხილად, პოტერ, ზურგს უკან დემენტორი გიდგას...

– ვაიმეეე! – შეჰკივლა ლევენდერ ბრაუნმა და თითი ბაკის მეორე მხრისკენ გაიშვირა, საიდანაც ჰაგრიდს ისეთი უცნაური არსებები მოჰყავდა, ჰარის თავის დღეში რომ არ ენახა: ტანი, უკანა ფეხები და კუდები ცხენისა ჰქონდათ, წინა ფეხები, ფრთები და თავები კი – უზარმაზარი არწივისა! მრისხანე, ფოლადისკერ ნისკარტებს ზემოთ ხასხასა ნარინჯისფერი თვალები უელავდათ. წინა ფეხებზე თხუთმეტი სანტიმეტრის სიგრძის ბასრი ბრჭყალები ესხათ. ცხოველებს ყელზე ტყავის საყელური ჰქონდათ გამობმული, საყელურზე კი – გრძელი ჯაჭვი, რომელიც ჰაგრიდს ღონიერი ხელებით ჩაებღუჯა და არსებებს ძუნძულით მოსდევდა უკან.

– აჩუ! აჩუ! – ჰაგრიდი ცხოველებს მოერეკებოდა. ბოლოს ღობეზე მიაბა. ბავშვებმა უკან დაიხიეს.

– ჰიპოგრიფები! – ბედნიერებისგან ბრწყინავდა ჰაგრიდი, – ხო ძაან ლამაზები არიან, არა?

როცა ამ ცხენ-არწივას დანახვით მოგვრილმა ელდამ გადაუარა, ჰარიმ შეამჩნია, რომ ჰიპოგრიფებს მართლაც ულამაზესი ბუმბული და ბეწვი ჰქონდათ, რომელიც სულ სხვადასხვა ფერად ბზინავდა: საწვიმარ ღრუბლისფრად, ბრინჯაოსფრად, მოვარდისფროდ, პრიალა წაბლისფრად და შავად.

– აბა, რას იტყვით? – ჰაგრიდმა ხელები მოისრისა და გაიღიმა, – თუ უფრო ახლოს გინდათ მისვლა...

თუმცა, ამის სურვილი არავის გასჩენია. ჰარი, რონი და ჰერმიონი გაუბედავად მიუახლოვდნენ ღობეს.

– პირველი, რაც უნდა იცოდეთ, ჰიპოგრიფები ძალიან ამაყები არიან. ადვილად შეგიძლიათ, აწყენინოთ, მაგრამ არ გირჩევთ! მაგათი შეურაცხყოფა სიცოცხლის ფასად დაგიჯდებათ.

მალფოი, კრაბი და გოილი ჰაგრიდს არ უსმენდნენ, ერთმანეთს რაღაცას ეჩურჩულებოდნენ. ჰარის გული უგრძნობდა, ალბათ გაკვეთილის ჩაშლას გეგმავენო.

– ყოველთვის დააცადეთ ჰიპოგრიფს, თვითონ გადმოდგას პირველი ნაბიჯი, – განაგრძობდა ჰაგრიდი, – თავაზიანად უნდა მოექცეთ, გასაგებია?! მიუახლოვდით, თავი დაუკარით და დაელოდეთ, თუ თვითონაც დაგიკრავთ თავს, შეგიძლიათ ხელი შეახოთ. და თუ თავს არ დაგიკრავთ, დროზე მოშორდით, თორემ ბრჭყალებს ხომ ხედავთ! აბა, პირველი ვინ გამოვა?

ბავშვების უმრავლესობამ შიშით უკან დაიხია. თვით რონი, ჰარი და ჰერმიონიც კი შეყოყმანდნენ. ჰიპოგრიფები უკმაყოფილოდ ტორავდ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნენ მიწას და ფრთებს ატყლაშუნებდნენ, როგორც ჩანს, დიდად არ მოსწონდათ, ლობეზე რომ იყვნენ მიბმულები.

– არც ერთს არ გინდათ? – მუდარანარევი ხმით იკითხა ჰაგრიდმა.

– მე გამოვალ, – გაბედა ჰარიმ.

უკნიდან შეცბუნებული ხმები გაისმა. ლევენდერმა და პარვატიმ ერთხმად შესძახეს:

– ჰარი, არ გინდა! ჩაის ფოთლები ხომ არ დაგავიწყდა?!

ჰარის მათთვის ყურადღება არ მიუქცევია, თამამად გადაძვრა ლობეზე.

– ყოჩაღ, ჰარი! – გაამხნევა ჰაგრიდმა, – აბა, ვნახოთ, რას მოუხერხებ ბაკბიკს! – ერთი რუხი ჰიპოგრიფი გამოარჩია და ჯაჭვი და საყელური შეხსნა.

ლობის იქით მდგარ ბავშვებს სუნთქვა შეეკრათ. მალფოის კი ავად დაუწვრილდა თვალები.

– მშვიდად, ჰარი, მშვიდად, – გადაულაპარაკა ჰაგრიდმა, – თვალებში შეხედე და შეეცადე, არ დაახამხამო... ჰიპოგრიფები არ გენდობიან, თუ თვალს დაახამხამებ...

ჰარის თვალები აუცრემლდა, მაგრამ მაინც არ ხუჭავდა. ბაკბიკს თავი მისკენ მოებრუნებინა და ბიჭს ნარინჯისფერ ბასრ მზერას არ აშორებდა.

– ყოჩაღ, ჰარი, ყოჩაღ! – ახლა... ახლა თავი დაუკარი...

ჰარის სულაც არ უნდოდა, ბაკბიკისთვის თვალი მოეცილებინა, მაგრამ ისე მოიქცა, როგორც ჰაგრიდმა უბრძანა, სწრაფად დაუკრა თავი და ისევ თვალებში ჩააშტერდა.

ჰიპოგრიფი არც კი განძრეულა, ისევ ამაყად უყურებდა.

– აუფ, – შეწუხდა ჰაგრიდი, – კარგი... ახლა ფრთხილად დაიხიე უკან...

მაგრამ სწორედ ამ დროს გაოგნებულმა ჰარიმ დაინახა, როგორ დაიჩოქა ჰიპოგრიფმა ქერცლით დაფარულ წინა ფეხებზე, რაც უთუოდ თავის დაკვრას ჰგავდა.

– ყოჩაღ, ჰარი! – აღფრთოვანდა ჰაგრიდი, – ახლა შეგიძლია ხელი შეახო, მიდი, ნისკარტზე მოეფერე!

ჰარისთვის რომ გეკითხათ, ამ შექებას ისევ ლობეზე გადაძრომა ერჩია, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, ნელა მიუახლოვდა ჰიპოგრიფს და ფრთხილად მოეფერა ნისკარტზე. ცხოველმა სიამოვნებისგან თვალები მილულა. ბავშვებმა ტაში დასცხეს, მალფოი, კრაბი და გოილი კი დაბოღმილები იბღვირებოდნენ.

– ჰარი, მე მგონი, ახლა გაგასეირნებს კიდეც!

ამას კი ჰარი ნამდვილად არ მოელოდა! რა თქმა უნდა, ცოცხზე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ფრენას მიჩვეული იყო, მაგრამ სად ცოცხი და სად – ჰიპოგრიფი?!

– მიდი, აძვერი! ფრთებს უკან დააჯექი! ოღონდ, გაფრთხილებ, ბუმბული არ მოაპუტო, არ უყვარს...

ჰარიმ ბაკბიკს ფრთაზე დაადგა ფეხი და ზურგზე შეახტა. ჰიპოგრიფი წამოდგა. ბიჭი დაიბნა, არ იცოდა, ხელი სად ჩაეჭიდა – ჰაგრიდმა ხომ უთხრა, ბუმბული არ დააგლიჯოო.

– აჩუ! – შესძახა ჰაგრიდმა და ჰიპოგრიფს გავაზე დაჰკრა ხელი.

ჰიპოგრიფმა სამ-ნახევარი მეტრის სიგრძის ფრთები გაშალა და ჰარიმ ძლივს მოასწრო, ყელზე შემოხვეოდა, რომ ელვის სისწრაფით აიჭრა ჰაერში. რაც მართალია, მართალია, ჰარის ცოცხით ფრენა ერჩია. აქეთ-იქიდან უზარმაზარი ფრთები ურტყამდა, მუხლებზეც აწვებოდა და ასე ეგონა, სადაცაა, ჩამოვვარდებიო. პრიალა ბუმბულზე ხელი უცურდებოდა, მაგრამ უფრო მაგრად მოჭიდებას ვერ ბედავდა. „ნიმბუს 2000“-ისგან განსხვავებით, ჰიპოგრიფი ფრთების ყოველ აქნევაზე წინ და უკან აჯანჯღარებდა.

ბაკბიკმა ერთხელაც შემოუფრინა ბაკს და დაშვება დაიწყო. ჰარის ყველაზე მეტად სწორედ ამის ეშინოდა. ჰიპოგრიფმა კისერი წაიგრძელა და დაბლა დახარა. ჰარი დროულად უკან რომ არ გადახრილიყო, ნამდვილად ჩამოცურდებოდა. უცებ ჰიპოგრიფი მძიმედ დაეხეთქა მიწას. ბიჭმა დროზე მოახერხა თავის შეკავება, მერე კი ამაყად გასწორდა წელში.

– ყოჩაღ! ყოჩაღ, ჰარი! – აღფრთოვანებული ჰაგრიდი თავს ვერ იკავებდა. მალფოის, კრაბისა და გოილის გარდა, ყველანი აღტაცებულები იყვნენ.

– აბა, კიდევ ვის გინდათ? – იკითხა ჰაგრიდმა.

ჰარის მაგალითით გათამამებული ბავშვები ფრთხილად გადაძვრნენ ღობეზე. ჰაგრიდი სათითაოდ ხსნიდა ჰიპოგრიფებს ჯაჭვებს და მალე უკვე ყველანი თავს უკრავდნენ თავიანთ რჩეულებს. ნევილის ჰიპოგრიფს მაინცდამაინც არ უნდოდა დაჩოქება და ბიჭს წამდაუწუმ წინ და უკან სირბილი უწევდა. რონმა და ჰერმიონმა წაბლისფერი აირჩიეს, მალფოი, კრაბი და გოილი კი ბაკბიკს მიადგნენ. ჰიპოგრიფმა თავი დაუკრა და მალფოი ცივად მიეფერა ნისკარტზე.

– რა ადვილი ყოფილა, – დაიყვირა ჰარის გასაგონად, – ადვილი იქნებოდა, აბა, რა... პოტერმა თუ მოახერხა, – მერე ბაკბიკს მიუბრუნდა: – დარწმუნებული ვარ, ბოროტი სულაც არა ხარ, არა? შე მახინჯო მხეცო!

იმწამსვე გაიელვა ფოლადისფერმა ბრჭყალებმა და მალფოიმ განწირული ყვირილი მორთო. ჰაგრიდი ბაკბიკს ეცა და საყელური ძალით ჩამოაცვა. ჰიპოგრიფი მალფოისკენ მიიწევდა, რომელიც

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სისხლით მოსვრილი ეგდო ბალახზე და ტკივილისგან იგრიხებოდა.

– ვკვდები! – გაჰყვიროდა მალფოი უიმისოდაც დაფეთებული ბავშვების გასაგონად, – ვკვდები! მომკლა! მომკლა!

– არაფერიც! – შეაწყვეტინა ფერდაკარგულმა ჰაგრიდმა, – არ მოკვდები, ნუ გეშინია! მომეხმარეთ, აქედან წამაყვანინეთ...

ჰერმიონმა ჭიშკარი გაუღო. ჰაგრიდმა ხელში ატატებული მალფოი ციხე-კოშკისკენ გაარბენინა. ჰარიმ დაინახა, როგორ მოჩქეფდა სისხლი ღრმა ჭრილობიდან.

თავზარდაცემული ბავშვები ნელა გაემართნენ კოშკისკენ. სლიზერინელები ჰაგრიდს ლანძღავდნენ.

– სკოლიდან უნდა გააგდონ! – პენსი პარკინსონს ღაპაღუპით სდიოდა ცრემლები.

– მალფოის ბრალი იყო! – შეუტია დინ ტომასმა.

კრაბმა და გოილმა ავისმომასწავლებლად დაიხედეს დაკუნთულ მკლავებზე.

ერთად აიარეს კიბეები და ცარიელ ჰოლში შევიდნენ.

– წავალ, ვნახავ, როგორ არის, – პენსი მარმარილოს კიბეზე ავარდა.

სლიზერინელები ჰაგრიდის ლანძღვითა და წუწუნით გაემართნენ სარდაფისკენ, სადაც მათი საერთო ოთახი მდებარეობდა. ჰარი, რონი და ჰერმიონი კი ზევით, გრიფინდორის კოშკისკენ წავიდნენ.

– როგორ გგონიათ, გადარჩება? – ღელავდა ჰერმიონი.

– რა თქმა უნდა! მადამ პომფრი ჭრილობებს თვალის დახამხამებაში არჩენს! – დაარწმუნა ჰარიმ, თვითონ ხომ ბევრად უარესი ტრავმები მოურჩინა სკოლის ექთანმა.

– რა ცუდია, რომ ჰაგრიდს პირველივე გაკვეთილზე ასეთი რაღაც შეემთხვა! – ამოიოხრა რონმა, – ნახავთ, მალფოი რა ამბავს ატეხს...

ჰარი, რონი და ჰერმიონი სასადილოდ პირველები შევიდნენ დიდ დარბაზში, რომ როგორმე ჰაგრიდი ენახათ, მაგრამ ამაოდ.

– ასეთი წვრილმანისთვის სკოლიდან ხომ არ გააგდებენ? – ჰერმიონი ისე ნერვიულობდა, რომ ხორციანი პუდინგისთვის პირიც კი არ დაუკარებია.

– ეჰ, ნეტავ არ გააგდებდნენ, – არც რონს ჰქონდა მადა.

ჰარიმ სლიზერინელების მაგიდას გადახედა. ისინი ერთად შეჯგუფულიყვნენ და რაღაცაზე გაცხარებულები მსჯელობდნენ. კრაბი და გოილიც იქ იყვნენ. ჰარი დარწმუნებული იყო, სლიზერინელები თავიანთ ვერსიას თხზავდნენ, როგორ მოეყოლათ მასწავლებლებისთვის ეს ამბავი.

– ისე, საინტერესო დღე იყო, – ჩაილაპარაკა რონმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სადილის შემდეგ გრიფინდორის საერთო ოთახში ავიდნენ და პროფესორ მაკგონაგელის მიერ მოცემული დავალების წერას შეუდგნენ, მაგრამ გული ვერც ერთმა ვერ დაუდო და ხშირ-ხშირად იხედებოდნენ კოშკის ფანჯრიდან.

– ჰაგრიდის ფანჯარაში შუქი ანთია! – წამოიძახა უცებ ჰარიმ.

რონმა მაჯის საათზე დაიხედა.

– თუ ვიჩქარებთ, მის სანახავად ჩასვლას მოვასწრებთ, ჯერ კიდევ არ არის გვიანი...

– იცით რა... – ჰარის გადახედა ჰერმიონმა.

– სკოლის ტერიტორიაზე სეირნობის უფლება მაქვს, – მიუხვდა ჰარი, – დემენტორები სირიუს ბლექს აქეთ ხომ არ შემოუშვებენ!

ასე რომ, წიგნები გვერდზე გადადეს და პორტრეტის ხვრელში გაძვრნენ. ძალიან გაუხარდათ, რომ გზად არავინ შეხვედრიათ, რადგან კარგად არ იცოდნენ, გარეთ გასვლის უფლება ჰქონდათ თუ არა.

ნამიანი ბალახი საღამოს ბინდში სულ ჩაშავებულიყო. ჰაგრიდის ქოხს მიადგნენ და კარზე დააკაკუნეს.

– შემოდით! – მოესმათ შიგნიდან.

ჰაგრიდი მოკლემკლავიანი მაისურით ხის მაგიდასთან იჯდა. ფენგს თავი პატრონის კალთაში ჩაედო. ჰაგრიდს ეტყობოდა, იმ საღამოს საკმაოზე მეტი დაელია. ცხვირწინ ლამის ვედროსოდენა ტოლჩა ედგა და, როგორც ჩანს, სტუმრებს გაორებულად ხედავდა.

– რეკორდი დავამყარე, – ამოიოხრა მეგობრების დანახვაზე, – არა მგონია, რომელიმე მასწავლებელს ასე ევაჟკაცა, რომ ერთ დღეში გაეგდოთ სამსახურიდან...

– შენ ჯერ არავის გაუგდიხარ, ჰაგრიდ! – დაამშვიდა ჰერმიონმა.

– ჯერ არა, – ჰაგრიდმა უშველებელი ტოლჩიდან სასმელი მოყლურწა, – თუმცა, ადრე თუ გვიან... მაინც... მალფოის ამბის გამო...

– როგორ არის? სერიოზული ხომ არაფერია? – ჰკითხა რონმა, როცა ყველანი დასხდნენ.

– მადამ პომფრიმ, რაც შეეძლო, ყველაფერი გაუკეთა... მაგრამ მაინც ძალიან მტკივაო... სულ კვნესის... თავიდან ბოლომდე შეხვეულია...

– თავს იკატუნებს! – დაასკვნა ჰარიმ, – მადამ პომფრის ყველაფრის მორჩენა შეუძლია. არ გახსოვთ, შარშან გამქრალი ძვლები რომ აღმიდგინა? დარწმუნებული ვარ, მალფოი ერთ ამბავს ატეხს!

– ალბათ სკოლის მეურვეებს უკვე ყველაფერი მოახსენეს, – მთლად წაუხდა გუნება ჰაგრიდს, – ალბათ მისაყვედურებენ, მეტ-ისმეტი მოგივიდაო. ჰიპოგრიფები ცოტა გვიან უნდა შემომეყვანა...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სხვა რამით უნდა დამეწყო... მაგალითად, ფლობერჭიებით ან კიდევ... მეგონა, კარგი გაკვეთილი გამომივიდოდა... ჩემი ბრალია...

– შენი კი არა, მალფოის ბრალია! – მტკიცედ მიუგო ჰერმიონმა.

– მოწმეები ჩვენ ვართ! – მხარი აუბა ჰარიმ, – შენ ხომ გაგვაფრთხილე, თუ შეურაცხყოფას მიაყენებთ, ჰიპოგრიფი არ დაგინდობთო. მალფოიმ თავის თავს დააბრალოს, თუ არ გისმენდა. დამბლდორს სიმართლეს მოვუყვებით.

– ნუ გეშინია, ჰაგრიდ! ჩვენ დაგეხმარებით! – გაამხნევა რონმა.

ჰაგრიდს ხოჭოსავით შავი თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა, ჰარისა და რონს ხელი დაავლო და ისე მაგრად ჩაიხუტა, ლამის ძვლები დაუმტვრია.

– ჰაგრიდ, მე მგონი, მეტი არ უნდა დალიო! – ჰერმიონმა მაგიდიდან ტოლჩა აიღო და გარეთ გავიდა სასმელის გადასაღვრელად.

– ჰო, მართალია ეს გოგო, – ჰაგრიდმა, როგორც იქნა, ხელი გაუშვა ჰარისა და რონს. ბიჭებმა ნატკენი ნეკნები დაისრისეს. ჰაგრიდი ძლივძლივობით წამოდგა სავარძლიდან და არეული ნაბიჯით გაჰყვა ჰერმიონს.

ბავშვებს მოესმათ, თითქოს წყალში რაღაცამ მოადინა ტყაპანი.

– რას შვრება? – ჰკითხა ჰარიმ ოთახში შემობრუნებულ ჰერმიონს.

– წყლით სავსე კასრში ჩაყო თავი, – აუხსნა ჰერმიონმა და ტოლჩა კარადაში შედგა.

ჰაგრიდი ოთახში შემობრუნდა, თმა-წვერიდან წურწურით ჩამოსდიოდა წყალი და ცალი ხელით თვალებს იფშვნეტდა.

– ასე აჯობებს! – გამოაცხადა ომახიანად, მერე ძაღლივით გააქნია თავი და სტუმრები გაწუწა, – რა კარგია, რომ ჩემ სანახავად მოხვედით, მე მართლა... – უცებ ჰაგრიდს ხმა ჩაუწყდა, ჰარის ისე მიაშტერდა, თითქოს, ახლაღა შეამჩნიაო და მთელი ხმით დაუღრიალა: – ერთი ამას უყურეთ! ვინ მოგცა დაბნელების მერე კოშკიდან გამოსვლის უფლება?! ან თქვენ რაღას უყურებთ, რატომ გამოუშვით?! – მერე ჰარის მკლავში ჩაავლო ხელი, კარისკენ გაათრია და დაამატა, – ახლავე სკოლაში წაგიყვანთ! ვაი, თქვენი ტყავის ბრალი, მზის ჩასვლის მერე თუ კიდევ გაბედავთ ჩემ სანახავად მოსვლას! ჩემი გულისთვის არ ღირს...

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეშვიდე

ბოგარტი კარადაში

მალფოი ხუთშაბათამდე გაკვეთილებზე არ გამოჩენილა. იმ დღეს სლიზერინელებსა და გრიფინდორელებს ერთად უტარდებოდათ შხამ-წამლების ზედიზედ ორი გაკვეთილი. მალფოი დაბინტული, აკრული ხელით შემოვიდა სარდაფში და ისე იქცეოდა, თითქოს უსასტიკეს ბრძოლაში გადარჩენილი გმირი იყო.

– როგორა ხარ, დრაკო? – განზრახ ჩაეძია პენსი პარკინსონი, – ძალიან გტკივა?

– ჰო, – მალფოიმ ისეთი სახე მიიღო, თითქოს გმირულად უძლებდა ტკივილს. ამასობაში კი ჰარიმ დაინახა, როგორ ჩაუკრა თვალი კრაბსა და გოილს.

– დროზე დაბრძანდით! – ცივად ბრძანა პროფესორმა სნეიპმა.

ჰარიმ და რონმა გაბრაზებით გადახედეს ერთმანეთს: მათ რომ დაეგვიანათ, პროფესორი ასე ლმობიერად ნამდვილად არ მოექცეოდა, პირიქით, დამატებითი სამუშაოთიც დასჯიდა. თუმცა, სნეიპის გაკვეთილებზე მალფოის ყველაფერი ეპატიებოდა; სნეიპი ხომ სლიზერინის კლუბის ხელმძღვანელი იყო და თავის სტუდენტებს სრულიად დაუფარავად ანიჭებდა უპირატესობას.

იმ დღეს შემამცირებელი სასმელის მომზადებას სწავლობდნენ. მალფოიმ თავისი ქვაბი ჰარისა და რონის ცხვირწინ შემოდგა, ასე რომ, სასმელის მომზადება ერთ მაგიდასთან მოუწევდათ.

– სერ, – მიმართა მალფოიმ, – დახმარება დამჭირდება, გვირილის ფესვებს ვერ დავჭრი, ხომ იცით, მარჯვენა ხელი...

– უისლი, მალფოის ფესვები დაუჭერით, – არც კი შეუხედავს, ისე უბრძანა სნეიპმა.

რონი წამოჭარხლდა და მალფოის შეულრინა:

– მაგ ხელზე არაფერი გჭირს!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მალფოის სახეზე კმაყოფილი ღიმილი ეხატა:

– უისლი, ხომ გაიგონე, რა გითხრა პროფესორმა? დაჭერი ფესვები!

რონმა დანა მოიმარჯვა, მალფოის ფესვები გამოსტაცა და უხეშად დაჩეხა, ისე რომ, ყველა გადანაჭერი სხვადასხვა სიგრძისა იყო.

– პროფესორო, – დაიჩივლა მალფოიმ, – უისლიმ ფესვები გამიფუჭა!

სნეიპი მაგიდას მიუახლოვდა. კეხიანი ცხვირი ლამის ფესვებში ჩარგო, მერე რონს უსიამოვნოდ გაულიმა და უბრძანა:

– უისლი, თქვენი ფესვები მალფოის გაუცვალეთ!

– კი მაგრამ, სერ... – რონი მთელ თხუთმეტ წუთს ჭრიდა გვირილის ფესვებს, მთელი გულმოდგინებით, რომ თანაბარი გამოსვლოდა.

– ახლავე-მეთქი! – დაიგრგვინა სნეიპმა.

რონმა თავისი საუცხოოდ დაჭრილი ფესვები მალფოის მიუყარა და ისევ აიღო დანა.

– და კიდევ, სერ! ლეღვს მარტო ვერ გავფცქვნი, – ბოროტ კმაყოფილებას ვერ მალავდა მალფოი.

– პოტერ, გაუფცქვენით მალფოის ლეღვი, – და სნეიპმა ისეთი ზიზღნარევი მზერა ესროლა ჰარის, როგორსაც მხოლოდ მისთვის იმეტებდა.

ჰარიმ მალფოის ლეღვები აიღო, ამასობაში კი რონი გაფუჭებული ფესვების ხელახლა დაჭრას შეუდგა. ჰარიმ ნაუცბათევად გაფცქვნა ლეღვი და უხმოდ მიუგდო მალფოის, რომელსაც უსაზღვრო კმაყოფილებისგან სახე გაჰბადროდა.

– ამ ბოლო დროს თქვენი ძმაკაცი ჰაგრიდი თუ ნახეთ? – გადაუჩურჩულა რონსა და ჰარის.

– რა შენი საქმეა?! – უკმეხად მიუგო რონმა.

– ძალიან ვწუხვარ, მაგრამ სულ მალე მასწავლებელი აღარ იქნება, ირონიულად მიუსამძიმრა მალფოიმ, – მამაჩემი ძალიან განიცდის ჩემს ამბავს...

– მალფოი, თუ არ გაჩერდები, მართლა განსაცდელად გაგიხდი საქმეს, – შეუტია რონმა.

– სკოლის მეურვეებთან და მაგიის სამინისტროში იჩივლა. ხომ იცით, გავლენიანი კაცია. ეს ჭრილობაც რომ არ მიშუშდება, – მალფოიმ განზრახ ხმამაღლა ამოიოხრა, – ვინ იცის, იქნებ ხელი არასოდეს გამიმთელდეს?

– აი, თურმე რა ყოფილა! – ჰარის სიბრაზისგან ხელი აუკანკალდა და მკვდარ მატლს შემთხვევით თავი წააცალა, – გინდა, რომ ჰაგრიდი სკოლიდან გააგდონ!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– როგორ გითხრა, პოტერ, – ხმას დაუწია მალფოიმ, – ნაწილობრივ მართალი ხარ, მაგრამ სხვა სარგებლობაც მოაქვს ამ ამბავს. უისლი, აბა, ერთი მატლები დამიჭერი!

იქვე მჯდარ ნევილს ცუდი დღე ადგა. შხამ-წამლების გაკვეთილზე ყოველთვის ბრინჯივით იბნეოდა ხოლმე, ამ საგნისა არაფერი ესმოდა და, რაც მთავარია, პროფესორ სნეიპისა ეშინოდა. ახლაც, სასმელი, რომელიც ხასხასა მწვანე უნდა გამოსვლოდა...

– ნარინჯისფერია, ლონგბოტომ! – სნეიპმა ცოტაოდენი სითხე ქვაბიდან ამოიღო და ყველას დასანახად ისევ უკან ჩაასხა, – წარმოგიდგენიათ, ნარინჯისფერი?! ერთი მითხარით, ყმაწვილო, მაგ ხის თავში არაფერი შეგდით? რამდენი ვირთხის ელენთა უნდა გამოგეყენებინათ? არა, რით ვერ გაიგეთ, რომ მხოლოდ ერთი წვეთი წურბელას წვენი იყო საჭირო?! ლონგბოტომ, კიდევ რომელ ენაზე ან როგორ უნდა აგიხსნათ, რომ რაიმე გაგაგებინოთ?!

გაწითლებული ნევილი ერთიანად ცახცახებდა, სადაც იყო, ცრემლები წასკდებოდა.

– შეიძლება, სერ? – წამოდგა ჰერმიონი, – თუ შეიძლება, ნევილს მე დავეხმარები და გამოვასწ...

– რაღაც არ მახსოვს, თქვენთვის რაიმე მეთხოვოს, მის გრეინჯერ, ძალიან გთხოვთ, თქვენს საქმეს მიხედოთ! – ამ სიტყვებზე ჰერმიონიც ნევილივით გაწითლდა, – ლონგბოტომ, გაკვეთილის ბოლოს თქვენი მომზადებული სასმელის რამდენიმე წვეთი თქვენს გომბეშოს დავალევინოთ და ვნახოთ, რა მოხდება. იმედია, ჭკუას ისწავლით!

სნეიპი შიშისგან სუნთქვაშეკრულ ნევილს მოშორდა.

– დამეხმარე! – შეევედრა ნევილი ჰერმიონს.

– ჰარი, – სიმუს ფინიგანი ჰარის მაგიდისკენ გადმოიხარა თითბრის სასწორის სათხოვნელად, – გაიგე? ამ დილით „დილის მისანში“ ეწერა, სირიუს ბლექი უნახავთო.

– სად? – ერთხმად შესძახეს რონმა და ჰარიმ. მაგიდის მეორე ბოლოში მალფოიმ ყურები დაცქვიტა.

– აქედან არც ისე შორს, – გამხიარულდა სიმუსი, – მაგლმა დაინახა. რა თქმა უნდა, სინამდვილეში არაფერი იცის. მაგლებს ჰგონიათ, რომ ერთი ჩვეულებრივი დამნაშავეა. ჰოდა, იმ ქალმა ცხელ ხაზზე დარეკა. სანამ მაგიის სამინისტროს ხალხი იქ მივიდა, უკვე გაქცეული იყო.

– აქედან არც ისე შორს... – გაიმეორა რონმა და ჰარის მრავალმნიშვნელოვნად გადახედა. მალფოი თვალს არ აშორებდა, – რა იყო, მალფოი? კიდევ ხომ არაფერი გაქვს გასაფცქვნელი?

– პოტერ, ბლექის დაჭერა ხომ არ მოგინდა? – ჰარის მიუბრუნდა მალფოი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კი, აბა, რა, – გაეხუმრა ჰარი.

– შენს ადგილზე, აქამდე არ მოვიცდიდი, რაიმეს გავაკეთებდი! – წვრილი ტუჩები მოეღრიცა მალფოის, – დედიკოს ბიჭივით სკოლაში კი არ დავჯდებოდი, მოვძებნიდი მაინც!

– რაებს ბოდავ, მალფოი? – წამოენთო რონი.

– მართლა არ იცი, პოტერ? – მალფოის ისედაც წვრილი თვალები უარესად დაუწვრილდა.

– რა უნდა ვიცოდე?

მალფოიმ დამცინავად ჩაიქირქილა.

– ალბათ შეგეშინდა, არა? ეს საქმე დემენტორებს გადაულოცე? შენს ადგილზე, შურს ვიძიებდი. თვითონ დავიჭერდი!

– რა სისულელეებს მიედ-მოედები?! – გაცხარდა ჰარი, მაგრამ ამ დროს სნეიპმა გამოაცხადა:

– ინგრედიენტების ჩამატება უკვე დამთავრებული უნდა გქონდეთ. დალევამდე ეს სასმელი ცოტა კიდევ უნდა ადუღოთ. ახლა მაგიდები აალაგეთ და მერე ლონგბოტომის...

კრაბი და გოილი დაუფარავად ხარხარებდნენ, სანამ გაოფლილი ნევილი გამწარებით ურევდა სასმელს. ჰერმიონი ჩუმ-ჩუმად კარნახობდა, ისე რომ პროფესორს არ შეემჩნია. ჰარიმ და რონმა დარჩენილი ინგრედიენტები ჩაალაგეს და ხელის დასაბანად და ქაფქირების გასარეცხად წავიდნენ

– რის თქმა უნდოდა მალფოის? – ჩუმად ჰკითხა ჰარიმ რონს და ურჩხულის ხახიდან მჩქეფარე ცივი წყლის ნაკადს ხელი შეუშვირა, – შურისძიება რა შუაშია? რატომ უნდა მინდოდეს, ბლექზე შური ვიძიო? ჯერჯერობით ჩემთვის არაფერი დაუშავებია.

– რაღაცას ჩმახავს, – სწრაფად მიუგო რონმა, – უნდა, რაიმე სისულელე ჩაგადენინოს...

გაკვეთილის ბოლოსკენ სნეიპი ნევილთან მივიდა, რომელიც თავის ქვაბთან მიყუჟული კანკალებდა.

– ყველანი აქ მოგროვდით, – ბრძანა სნეიპმა, შავი თვალები ბოროტად უელავდა, – ვნახოთ, ლონგბოტომის გომბეშოს რა ბედი ეწევა. თუ შემამცირებელი სასმელი სწორად მოამზადა, მაშინ გომბეშო თავკომბალად გადაიქცევა. და თუ რაიმე შეეშალა, რაშიც დარწმუნებული ვარ, მაშინ გომბეშო ალბათ მოიწამლება.

გრიფინდორელები შეშინებულები გაისუსნენ. სლიზერინელები კი ინტერესით ცმუკავდნენ. სნეიპმა გომბეშო ტრევორი მარცხენა ხელით აიყვანა და პატარა კოვზი ნევილის სასმელში ჩაყო, რომელიც ახლა მართლა მწვანე გამხდარიყო. მერე ტრევორს რამდენიმე წვეთი ჩააყლაპა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ტრევორმა ხმამაღლა გადაყლაპა ნერწყვი და ტკაც!.. – თავკომბალად გადაქცეული სნეიპს ხელში აუსხმარტალდა.

გრიფინდორელებმა ტაში დასცხეს. დაძმარებულმა სნეიპმა მანტიის ჯიბიდან პატარა ბოთლი ამოიღო, რამდენიმე წვეთი ტრევორს დაასხა და ისევ მოზრდილ, ჩვეულებრივ გომბეშოდ აქცია.

– ხუთი საჯარიმო ქულა გრიფინდორს, – გამოაცხადა პროფესორმა, ბავშვებს ღიმილი სახეზე შეეყინათ, – მე ხომ გაგაფრთხილეთ, მის გრეინჯერ, არ დაეხმაროთ-მეთქი! ყველანი თავისუფლები ხართ!

ჰარი, რონი და ჰერმიონი შემოსასვლელის კიბეს აუყვნენ. ჰარის ისევ მალფოის ნათქვამი უტრიალებდა თავში, რონი კი სნეიპს ლანძღავდა:

– ხუთი საჯარიმო ქულა გრიფინდორს, იმიტომ რომ სასმელი კარგად მოამზადა! რატომ არ მოატყუე, ჰერმიონ? უნდა გეთქვა, მე არ დავხმარებივარ, ნევილმა თვითონ გააკეთაო!

ჰერმიონს პასუხი არ გაუცია. რონმა მოიხედა:

– ჰერმიონი რა იქნა?

ჰარიც შემობრუნდა. კიბის თავში იდგნენ, ბავშვები დიდი დარბაზისკენ მიდიოდნენ.

– ამწუთას უკან არ მოგვყვებოდა? – შეცბა რონი.

ამ დროს მალფოიმ ჩაიარა თავის კრაბიან-გოილიანად, ერთი გაიღრიჭა და გაუჩინარდა.

– აი, ჰერმიონი, – შეამჩნია ჰარიმ.

ჰერმიონი ქოშინით ამორბოდა კიბეზე, ცალ ხელში ჩანთა ეჭირა, მეორით კი მანტიის ქვეშ დამალულ რაღაცას იკავებდა.

– ეგ როგორ მოახერხე? – ჰკითხა რონმა.

– რა? – ამასობაში მეგობრებს დაეწია ჰერმიონი.

– ამწუთას უკან მოგყვებოდი და ახლა ისევ კიბის ძირას აღმოჩნდი!

– რაო? – ცოტა არ იყოს, დაიბნა ჰერმიონი, – ჰო... რაღაც დამრჩა და დავბრუნდი. ვაიმეეე...

ჰერმიონის ჩანთა ნაკერზე გაიხა. ჰარის სულაც არ გაჰკვირვებია, გოგონა ხომ უამრავ წიგნს ატარებდა თან.

– ამდენ წიგნს ერთად რატომ დაათრევ? – ჰკითხა რონმა.

– ხომ იცით, რომ მე უფრო მეტ საგანს ვსწავლობ, – სულს ძლივს ითქვამდა ჰერმიონი, – ერთი წუთით დამიჭირეთ, რა...

– კი მაგრამ, – რონმა წიგნებს გადახედა, – დღეს ხომ ამ საგნებიდან არც ერთი არა გვაქვს! მარტო ბნელი ძალებისაგან თავდაცვა გვექნება ნაშუადღევს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰო, მართალი ხარ, – წაიბუტბუტა ჰერმიონმა, მაგრამ წიგნები ისევ ისე ჩაალაგა ჩანთაში, – იმედია, ლანჩზე გემრიელი საჭმელი იქნება, მგელივით მომშივდა, – და უკან არც მიუხედავს, ისე გაეშურა დიდი დარბაზისკენ.

– არ გეჩვენება, რომ ჰერმიონი რაღაცას გვიმალავს? – ჩაფიქრდა რონი.

* * *

როცა ბნელი ძალებისაგან თავდაცვის პირველ გაკვეთილზე შევიდნენ, პროფესორი ლუპინი საკლასო ოთახში არ დაუხვდათ. ყველანი დასხდნენ, წიგნები, ბატის ფრთები და პერგამენტები ამოიღეს და მუსაიფი გააბეს. ამასობაში პროფესორიც გამოჩნდა, დაბნეულად გაიღიმა და თავისი გაქუცული ჩემოდანი მასწავლებლის მაგიდაზე შემოდგა. ისევ ისე საცოდავად გამოიყურებოდა, თუმცა ცოტა მოფერიანებულიყო, ეტყობა, კარგი საჭმელი მართლა მოუხდა.

– გამარჯობა! თუ შეიძლება, წიგნები ისევ ჩანთებში ჩაალაგეთ. დღეს პრაქტიკული მეცადინეობა გვექნება. მხოლოდ ჯოხები დაგჭირდებათ.

ბავშვებმა ცნობისმოყვარეობით გადახედეს ერთმანეთს და წიგნები ჩაალაგეს. ბნელი ძალებისაგან თავდაცვაში პრაქტიკულად არასოდეს უმეცადინიათ. შარშანდელ ავადმოსაგონარ გაკვეთილს თუ არ ჩავთვლით, როცა ძველმა მასწავლებელმა საკლასო ოთახში ბოროტი ფერიები შემოიყვანა.

– ძალიან კარგი, – წარმოთქვა პროფესორმა, როცა ყველანი გაემზადნენ, – ახლა მე გამომყევით!

გაოგნებული და თან ცნობისმოყვარეობით ანთებული ბავშვები პროფესორს გაჰყვნენ. პროფესორმა დაცარიელებული დერეფანი გაიარა და კუთხეში შეუხვია, სადაც პოლტერგეისტი პივსი ჰაერში დაფარფატებდა და გასაღების ჭუჭრუტანაში საღეჭ რეზინს ტენიდა.

პივსმა პროფესორი რომ დაინახა, დაბრეცილთითებიანი ფეხები აასხმარტალა და ხმამაღლა დასჭექა:

– სულე-ლუპინი! სულე-ლუპინი! სულე-ლუპინი!

პივსი თავხედი და უზრდელი კი იყო, მაგრამ მასწავლებლებს ყოველთვის პატივს სცემდა.

ყველანი პროფესორს მიაჩერდნენ, როგორ მოიქცევაო. მათდა გასაკვირად, პროფესორს სახიდან ღიმილი არ გაჰქრობია.

– შენს ადგილზე რომ ვიყო, მაგ საღეჭ რეზინს გასაღების

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჭუჭრუტანიდან გამოვიღებდი, – თავაზიანად მიმართა პივსს, – თორემ მისტერ ფილჩი თავის ცოცხებს ველარ გამოიტანს.

ფილჩი ერთი უხასიათო, უნიჭო ჯადოქარი იყო, სკოლის დარაჯი, რომელიც გამუდმებით ებრძოდა სტუდენტებსა და, რა თქმა უნდა, პივსსაც. პივსმა ყურიც კი არ შეიბერტყა, ის კი არა, ერთი ხმამაღლა დაიპრუწუნა კიდეც.

პროფესორმა ლუპინმა ამოიოხრა და ჯოხი შემართა, თან ბავშვებს გადაულაპარაკა:

– ეს მარტივი, მაგრამ ძალიან საჭირო შელოცვაა. კარგად დააკვირდით! – მერე ჯოხი პივსს მიუშვირა და შესძახა: – ვადივასი!

საღეჭი რეზინი გასაღების ჭუჭრუტანიდან ტყვიასავით გამოვარდა და პივსს პირდაპირ ნესტოში შეერჭო. დაბოღმილი პოლტერგეისტი წყევლა-კრულვით გაეცალა იქაურობას.

– აუ, რა მაგარია, სერ! – აღფრთოვანდა დინ ტომასი.

– გმადლობთ, დინ, – პროფესორმა ჯოხი შეინახა, – აბა, გავაგრძელოთ.

გზა განაგრძეს. ბავშვები პროფესორ ლუპინს უკვე პატივისცემით უცქეროდნენ. კიდევ ერთი დერეფანი გაიარეს და სამასწავლებლოსთან შეჩერდნენ.

– აბა, შევიდეთ! – პროფესორმა კარი გააღო და გვერდზე გადგა.

ხით მოპირკეთებულ, უცნაური ძველი სკამებით სავსე სამასწავლებლოში, ერთი მასწავლებლის გარდა, არავინ იყო. დაბალ სავარძელში მჯდარი პროფესორი სნეიპი შემოსულებს მიაჩერდა. როცა პროფესორი ლუპინი შემოვიდა და კარი მიხურა, სნეიპმა ყველას გასაგონად მიმართა:

– არ დაკეტოთ, ლუპინ. არ მსურს, ამ საცოდაობას ვუყურო! – წამოდგა და შავი მანტიის ფრიალით ჩაუარა სტუდენტებს, ზღურბლზე შეჩერდა, მოტრიალდა და დაამატა: – ლუპინ, არა მგონია, ვინმეს გაეფრთხილებინეთ, რომ ამ ჯგუფში ნევილ ლონგბოტომი სწავლობს. გირჩევთ, რთული დავალება არ მისცეთ, თუ მის გრეინჯერი გვერდით არ ეყოლება და არ უკარნახებს.

ნევილი კიბორჩხალასავით გაწითლდა. ჰარი გაბრაზდა, საწყალ ნევილს ის არ ეყოფოდა, თავის გაკვეთილებზე რომ აშინებდა?! ახლა სხვა მასწავლებლების წინაშეც დაუწყო შერცხვენა.

პროფესორმა ლუპინმა წარბები აზიდა.

– მე ვაპირებდი, ნევილისთვის მეთხოვა დახმარება ამ ოპერაციის ჩასატარებლად და ღრმად ვარ დარწმუნებული, ბრწყინვალედ გაართმევს თავს!

ნევილი, თქვენ წარმოიდგინეთ, უარესად გაწითლდა. სნეიპს ტუჩე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბი მოელრიცა, მაგრამ არაფერი უთქვამს, გავიდა და კარი გაიჯახუნა.

– მაშ, ასე! – პროფესორმა ოთახის ბოლოში მდგარ კარადაზე ანიშნა, რომელშიც მასწავლებლები, ჩვეულებრივ, გამოსაცვლელ მანტიებს ინახავდნენ, და თვითონვე მიუახლოვდა. უცებ კარადა შეირყა და შიგნით რაღაცამ დაიბრახუნა.

– სანერვიულო არაფერია, – დაამშვიდა პროფესორმა შიშისგან დაზაფრული ბავშები, – ამ კარადაში ბოგარტი ზის.

დაფეთებული სტუდენტები მაინც კანკალებდნენ. ნევილმა სასოწარკვეთილმა შეხედა პროფესორ ლუპინს. სიმუს ფინიგანი კი გაფაციცებით უყურებდა ამოძრავებულ სახელურს.

– ბოგარტებს სიბნელე და ჩაკეტილი სივრცე უყვართ, – აუხსნა პროფესორმა, – მაგალითად, ტანსაცმლისა და ჭურჭლის კარადები, ხშირად ლოგინის ქვემოთაც იმალებიან. ერთხელ დიდ საათშიც კი ვიპოვე. ეს ბოგარტი, გუშინდელიდან მოყოლებული, აქ ზის. დირექტორს ვთხოვე, მისთვის ხელი არ ეხლოთ, მესამეკურსელებს პრაქტიკულ მეცადინეობას ჩავუტარებ-მეთქი. მაშ, ასე, ისმის კითხვა: რა არის ბოგარტი?

ჰერმიონმა ხელი ასწია:

– ეს არის მოჩვენება, რომელიც გარეგნობას იცვლის. შეუძლია, ნებისმიერ რამედ გადაიქცეს, რაც, მისი აზრით, ყველაზე მეტად შეგვაშინებს.

– ყოჩაღ! ასე კარგად მე თვითონაც ვერ ავხსნიდი, – შეაქო პროფესორმა. ჰერმიონს სიწითლემ გადაჰკრა.

– ასე რომ, ბოგრატს, რომელიც ახლა სიბნელეში ზის, ჯერჯერობით ფორმა არა აქვს. ჯერ ხომ არ იცის, გარეთ მდგარ ადამიანს ყველაზე მეტად რით შეაშინებს. არავინ იცის, როგორ გამოიყურება მარტო მყოფი ბოგარტი, მაგრამ როგორც კი გამოვუშვებ, იმწუთასვე ჩვენთვის ყველაზე საშიშ არსებად გადაიქცევა. ეს კი იმას ნიშნავს, – პროფესორი აკანკალებულ ნევილს ყურადღებას არ აქცევდა, – რომ ჩვენ ძალიან დიდი უპირატესობა გვაქვს. აბა, ჰარი, რა უპირატესობაზე ვლაპარაკობ?

არც ისე ადვილი იყო კითხვაზე პასუხის გაცემა, ჰერმიონი კი ცერებზე შემდგარი მაღლა სწევდა ხელს. ჰარი მთლად დაიბნა, მაგრამ მაინც ამოღერღა:

– ისაა... ჩვენ ძალიან ბევრნი ვართ და ვერ მიხვდება, რის ფორმა მიიღოს.

– სწორია, – მოუწონა პროფესორმა.

ჰერმიონი ოდნავ გულდაწყვეტილი ჩანდა.

– ამიტომ უმჯობესია, ბოგარტთან საქმე მარტო არ დაიჭიროთ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ასე ძალიან იბნევა ხოლმე. არ იცის, თავმოჭრილ გვამად გადაიქცეს, თუ ხორციჭამია ლოქორად. ერთხელ ჩემი თვალით ვნახე, როგორ დაუშვა ბოგარტმა ასეთი შეცდომა – ნახევარ ლოქორად გადაიქცა, რაც სულაც არ იყო შიშის მომგვრელი. ბოგარტის საწინააღმდეგო შელოცვა საკმაოდ ადვილია, მაგრამ ყურადღების დაძაბვას მოითხოვს. თუმცა, მას ყველაზე მეტად მაინც სიცილისა ეშინია. ამიტომ რაიმე სასაცილო არსებად უნდა გადააქციოთ. მოდით, ჯერ უჯოხოდ, მხოლოდ შელოცვაზე ვივარჯიშოთ. აბა, ყველამ ერთად... რიდიკულუს!

– რიდიკულუს! – შესძახეს ერთხმად.

– მშვენიერია, ძალიან კარგი! თუმცა, ეს ჯერ დასაწყისია. მხოლოდ შელოცვა არაა საკმარისი. აი, აქ კი შენი დახმარება დამჭირდება, ნევილ.

კარადა ისევ შეირყა. ნევილი ისეთი დაძმარებული სახით გამოვიდა წინ, თითქოს სახრჩობელაზე აჰყავდათ.

– აბა, ნევილ! – გაამხნევა პროფესორმა ლუპინმა, – თავიდან დავიწყოთ, ამქვეყნად ყველაზე მეტად რისა გეშინია?

ნევილმა ტუჩები აამოძრავა, მაგრამ პირიდან ხმა არ ამოსვლია.

– უკაცრავად, ნევილ, ვერ გავიგე!

ნევილმა სასოწარკვეთით გადმოხედა ბავშვებს, თითქოს შველას ითხოვსო, და მერე ძლივსგასაგონად დაიჩურჩულა:

– პროფესორ სნეიპის.

ბავშვებს სიცილი აუტყდათ. ნევილმა მორცხვად გაიღიმა. თუმცა, პროფესორი ლუპინი შეფიქრიანდა:

– პროფესორ სნეიპის?.. ჰმ!.. ნევილ, როგორც მე ვიცი, ბებიასთან ერთად ცხოვრობ, არა?

– ჰო... დიახ, – აღელდა ნევილი, – მაგრამ არ მინდა, ბოგარტი ბებიაჩემად გადაიქცეს!

– არა, არა! ვერ გამიგე, – გაეცინა პროფესორს, – იქნებ გაიხსენო, როგორი ტანსაცმელი აცვია ბებიაშენს?

– ისა... სულ მაღალი ქუდი ახურავს, ზედ გრიფონის ფიტულით, – აბლუკუნდა გაოგნებული ნევილი, – გრძელი... მწვანე კაბა... ზოგჯერ მელიის ბეწვსაც იკეთებს...

– ხელჩანთა? – ჩაეძია ლუპინი.

– ჰო, დიდი წითელი ხელჩანთა აქვს, – თქვა ნევილმა.

– ძალიან კარგი! ესე იგი, ამ ტანსაცმლის წარმოდგენას ადვილად შეძლებ. არა, ნევილ?

– დიახ, – ყოყმანით მიუგო ნევილმა, გაკვირვებული ელოდა, რა მოხდებოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– როცა ბოგარტი კარადიდან გამოვარდება და შენ დაგინახავს, პროფესორ სნეიპის სახეს მიიღებს. მაშინვე ჯოხს მიუშვერ და დაიყვირებ: „რიდიკულუს“, და თან ბებიაშენის ტანსაცმელზე იფიქრებ. თუ ყველაფერი კარგად ჩაივლის, პროფესორი ბოგარტ-სნეიპი ქუდით, მწვანე კაბითა და წითელი ხელჩანთით გამოგვეცხადება.

ბავშვები ახარხარდნენ. კარადა უფრო ძლიერად შეზანზარდა.

– თუ ნევილს ყველაფერი კარგად გამოუვა, ბოგარტი რიგრიგობით ყველას მოგვადგება, – განაგრძო პროფესორმა, – ასე რომ, ახლა გთხოვთ, ყველანი დაფიქრდეთ, გაიხსენოთ, რისა გეშინიათ ყველაზე მეტად, და ისიც მოიფიქროთ, ეს არსება როგორ აქციოთ სასაცილოდ...

ოთახში სრული სიჩუმე გამეფდა. ჰარი დაფიქრდა... „ყველაზე მეტად რისა მეშინია?...“

პირველი ვოლდემორი მოაგონდა – ვოლდემორი, ისევ ისეთი ძლევამოსილი, როგორიც ადრე იყო. მაგრამ სანამ ბოგარტ-ვოლდემორის წინააღმდეგ რაიმეს მოიფიქრებდა, უცებ საშინელი რაღაც გაახსენდა...

მიხრწნილი, სლიპინა ხელი შავ მანტიაში უჩინარდება.. უხილავი პირის ხმამაღალი ქშენა... საშინელი სუსხი ძვლებამდე აღწევს...

ჰარის გააჟრჟოლა და იქაურობა მოათვალიერა, იმედია, ვერავინ ვერაფერი შემამჩნიაო. ბავშვებს თვალები დაეხუჭათ. რონი თავისთვის ბუტბუტებდა: „ფეხები მოსძვრეს!“ ჰარიმ კარგად იცოდა, რას ფიქრობდა მისი მეგობარი. რონს ხომ სიკვდილივით ეშინოდა ობობებისა.

– ყველანი მზადა ხართ? – იკითხა პროფესორმა.

ჰარის ძარღვებში სისხლი გაეყინა, ჯერ არ იყო მზად. დემენტორისთვის ისეთი რა უნდა მოეხერხებინა, ნაკლებად საშიში რომ გამხდარიყო? თუმცა, მოსაფიქრებლად დამატებითი დროის თხოვნაც არ უნდოდა, რადგან უკვე ყველანი თავს უქნევდნენ პროფესორს და ხელებს იკაპიწებდნენ.

– ნევილ, ჩვენ უკან დავიხევთ, – გააფრთხილა პროფესორმა, – ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი! შემდეგ მოსწავლეს მე გამოვიძახებ... აბა, ყველამ უკან დაიხიეთ, ვაცადოთ ნევილს...

მართლაც, სტუდენტები ზურგით კედელს აეკრნენ და ნევილი მარტო დატოვეს კარადასთან. ფერწასულმა ბიჭმა სახელოები აიკეცა და ჯოხი მოიმარჯვა.

– სამამდე დავითვლი, ნევილ, – პროფესორმა თავისი ჯოხი კარადის სახელურს მიუშვირა, – ერთი, ორი, სამი... წავიდა!

ჯოხიდან ნაპერწკლებიანი ელვა გამოვარდა და კარადის სახ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ელურს დაეძგერა. კარადა ხმაურით გაიღო და იქიდან მოკაუჭებულ-ცხვირიანი და თვალებმობრიალე პროფესორი სნეიპი გადმოვიდა.

ნევილმა პირი დააღო. სნეიპი მისკენ მიიწევდა, ლამის მანტიაშიც კი სწვდა.

– რ-რ-რიდიკულუს! – დასჭყივლა ნევილმა.

რაღაცამ დაიტკაცუნა. სნეიპი წაბორძიკდა. წამიც და, უკვე გრძელი, მაქმანებიანი კაბა ეცვა, თავზე ჩრჩილნაჭამი, გრიფონიანი აწოწილი ქუდი ეხურა და ხელში უშველებელი წითელი ჩანთა ეჭირა.

კლასში ყურისწამღები ხარხარი ატყდა. ბოგარტი შეცბა, ამასობაში პროფესორმა დაიძახა:

– პარვატი, გამოდი!

პარვატი გაბედული ნაბიჯით გამოვიდა წინ. ბოგარტი ახლა მას მიუბრუნდა. ისევ გატკაცუნდა რაღაც და სნეიპის ადგილას სისხლით დალაქავებულ სახვევებში გამოკრული მუმია გაჩნდა. ბრმა თვალები გოგონას მიაპყრო და ფეხის ათრევით დაიძრა მისკენ, თან ხელებს ასავსავებდა...

– რიდიკულუს! – შეჰყვირა პარვატიმ.

მუმიას სახვევი ფეხებში გაებლანდა, პირქვე დაენარცხა და მოწყვეტილი თავი იატაკზე გაუგორდა.

– სიმუს! – შესძახა პროფესორმა.

პარვატის ადგილი სიმუსმა დაიკავა.

ტკაც! – მუმია გრძელთმიან, მწვანესახიან ალქაჯად იქცა. ალქაჯმა პირი გააღო და გაბმული, არამიწიერი კივილით გააყრუა იქაურობა. ჰარის თმა ყალყზე დაუდგა.

– რიდიკულუს! – დაიყვირა სიმუსმა.

ალქაჯს ხმა ჩაეხრინწა, ყელზე ხელი წაიჭირა და საერთოდ დამუნჯდა.

ტკაც! – ალქაჯი ვირთხად იქცა და თავისი კუდის დაჭერას ლამობდა... ტკაც! – ვირთხა ჩხრიალა გველად გადაიქცა... იწრიალა, დაიგრიხა და... ტკაც! სისხლიან თვალად იქცა.

– ო, როგორ დავაბნიეთ! – აღფრთოვანდა ლუპინი, – ცოტაღა გვაკლია! დინ!

დინი წინ გამოვარდა.

ტკაც! – თვალი მოჭრილ ხელად გადაიქცა და კიბორჩხალასავით გამოცოცდა ბიჭისკენ.

– რიდიკულუს! – დაიღრიალა დინმა.

ბრახ! – და ხელი სათაგურში მოჰყვა.

– ყოჩაღ! რონ, შენი ჯერია!

რონი წინ გაიჭრა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტკაც!

ბავშვებმა ერთხმად შეჰკივლეს. ექვსი ფუტის სიმაღლის გიგანტური ობობა მარწუხების ხრჭიალით მოიწევდა რონისკენ. ერთი წამით ჰარის მოეჩვენა, რონი ადგილიდან ვერ იძვრისო, მაგრამ...

– რიდიკულუს! – იღრიალა რონმა, ობობას ფეხები გაუქრა და იატაკზე გაგორდა. ლევენდერ ბრაუნი კივილით გახტა გვერდზე და ობობა ჰარის ფეხებთან შეჩერდა. ჰარიმ ჯოხი მოიმარჯვა, მაგრამ...

– ერთი წუთით! – მისკენ გამოენთო პროფესორი ლუპინი.

ტკაც!

უფეხო ობობა გაქრა. ყველანი ეძებდნენ, ნეტავ, რად გადაიქცაო. უცებ ჰაერში მოლივლივე დიდი ვერცხლისფერი ბურთი შეამჩნიეს. ლუპინმა ნაძალადევად წამოიძახა:

– რიდიკულუს!

ტკაც!

– მოდი, ნევილ! მოათავე საქმე! – უბრძანა პროფესორმა, როცა ხოჭოდ ქცეული ბოგარტი იატაკზე დავარდა.

ტკაც! – სნეიპი ისევ დაბრუნდა. ამჯერად ნევილი არ დაბნეულა და მთელი ხმით შეჰყვირა:

– რიდიკულუს! – ერთი წამით ისევ დაინახეს მაქმანებიან კაბაში გამოწყობილი სნეიპი. ამ დროს ნევილმა გულიანად გადაიხარხარა.

ბოგარტი აფეთქდა, კვამლის პატარა ბოლქვებად იქცა და ჰაერში გაიფანტა.

– ყოჩაღ! – შეაქო პროფესორმა, კლასელებმა კი ტაში დასცხეს, – ყოჩაღ, ნევილ! ყველანი კარგები ხართ. ერთი წამით... ხუთ-ხუთი ქულა ყველას, ვინც ბოგარტს მოერია, ათი ქულა ნევილს, მან ეს ორჯერ გააკეთა... და ხუთ-ხუთი ქულა ჰერმიონსა და ჰარის!

– მე ხომ არაფერი გამიკეთებია, – გაოგნდა ჰარი.

– შენ და ჰერმიონმა სწორად უპასუხეთ ჩემს შეკითხვებს, – აუხსნა ლუპინმა, – ყოჩაღ, ყველანი კარგები ხართ. მშვენიერი გაკვეთილი გამოგვივიდა. დავალება ჩაინიშნეთ – წაიკითხეთ პარაგრაფი ბოგარტის შესახებ და მოკლე შინაარსი დამიწერეთ. დავალებას ორშაბათს ჩამაბარებთ. დღეისათვის სულ ეს იყო!

აღტაცებული მოსწავლეები სამასწავლებლოდან გავიდნენ. თუმცა, ჰარის სულაც არ ჰქონდა სამხიარულოდ საქმე. პროფესორმა ლუპინმა განზრახ მოარიდა ბოგარტს. რატომ? იქნებ მატარებელში გულწასული რომ ნახა, იფიქრა, დიდი ვერაფრის მაქნისიაო? ხომ არ ეგონა, რომ ისევ გული წაუვიდოდა?

თუმცა, სხვებს არაფერი შეუმჩნევიათ.

– ნახე, იმ ალქაჯს რა ვუქენი? – გაჰყვიროდა სიმუსი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ხელი გახსოვთ? – სიმუსზე ხმამაღლა იძახდა დინი.

– აბა! და სნეიპი იმ ქუდით!

– ჩემი მუმია!

– საინტერესოა, პროფესორ ლუპინს კრისტალების რატომ ეშინია? – შეფიქრიანდა ლევენდერი.

– ასეთი მაგარი გაკვეთილი ბნელი ძალებისგან თავდაცვაში არასოდეს არ გვქონია, არა? – აღნიშნა რონმა, როცა ჩანთების ასაღებად ისევ საკლასო ოთახისკენ გაემართნენ.

– ეტყობა, ძალიან კარგი მასწავლებელია, – დაეთანხმა ჰერმიონი, – მაგრამ, ნეტავ მეც შევბრძოლებოდი ბოგარტს...

– შენთვის რა იქნებოდა? – ჩაიქირქილა რონმა, – საშინაო დავალება, რომელშიც ათი ქულიდან მხოლოდ და მხოლოდ ცხრას დაგიწერდნენ?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მერვე

ფუშფუშა ქალბატონის გაქცევა

სულ მალე ბნელი ძალებისგან თავდაცვა თითქმის ყველა მოსწავლის საყვარელ საგნად იქცა. მხოლოდ დრაკო მალფოი და მისი სლიზერინელი ჯგუფელები ახსენებდნენ აუგად პროფესორ ლუპინს.

– ერთი ამის დაძონძილ მანტიას შეხედეთ, – ხმამაღლა დაიჩურჩულებდა ხოლმე მალფოი, როცა პროფესორი ჩაუვლიდა, – ჩვენი ბებერი შინაური ელფივით აცვია!

თუმცა, სხვას არავის ადარდებდა პროფესორის დაკემსილი, გაცვეთილი მანტიები. მომდევნო გაკვეთილებიც ისეთივე საინტერესო აღმოჩნდა, როგორიც პირველი. ბოგარტის შემდეგ წითელქუდიანებთან ბრძოლა მოუხდათ. ეს საძაგელი პატარა არსებები ყველგან ჩნდებოდნენ, სადაც კი სისხლისღვრა იყო: ციხე-კოშკების ჩაბნელებულ სარდაფებსა თუ ბრძოლის ველებზე, და ხელკეტებით ხოცავდნენ გზააბნეულებს. წითელქუდიანების შემდეგ წყლის ქაჯებზე გადავიდნენ, ეს წყალში მცხოვრები არსებები ქერცლიან მაიმუნებს ჰგავდნენ, აპკიან თათებს გამუდმებით იფხანდნენ და თავიანთ გუბურებში შემთხვევით მოხვედრილ არსებებს ახრჩობდნენ.

ჰარი ნატრობდა, ნეტავ, სხვა საგნებიც ასევე მომწონდესო. ყველაზე მეტად მაინც შხამ-წამლები ეჯავრებოდა. სნეიპი იმ დღეებში განსაკუთრებით სასტიკი იყო და ამის მიზეზი ყველამ იცოდა. მთელ სკოლას მოედო ამბავი, როგორ მიიღო ბოგარტმა სნეიპის სახე და როგორ გამოაწყო ნევილმა ბებიამისის ტანსაცმელში. თუმცა, თავად სნეიპს ეს სულაც არ მოსჩვენებია სასაცილოდ, პირიქით, პროფესორ ლუპინის ხსენებაზე თვალები ავად უწვრილდებოდა და საწყალ ნევილს უარესად აშინებდა.

ჰარის უკვე პროფესორ ტრელოუნის ჩახუთულ ოთახში გატარე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბული საათებიც აფრთხობდა, სადაც ბავშვები დაღრეცილი ფიგურებისა და სიმბოლოების ამოცნობას ცდილობდნენ. ბიჭი თავს ძალას ატანდა, რომ არ შეემჩნია, როგორ ევსებოდა თვალები ცრემლით პროფესორს მის დანახვაზე. ვერაფრით ვერ შეიყვარა პროფესორი ტრელოუნი, მიუხედავად იმისა, რომ დანარჩენები უდიდესი პატივისცემით და, შეიძლება ითქვას, მოწიწებითაც კი ექცეოდნენ. პარვატი პეტილსა და ლევენდერ ბრაუნს ხომ საერთოდ ჩვევად ექცათ ლანჩის შემდეგ პროფესორ ტრელოუნის კოშკში სტუმრობა და იქიდან დაბრუნებულებს ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ, თითქოს სხვებზე გაცილებით მეტი რამ იცოდნენ. ხოლო როცა ჰარის ელაპარაკებოდნენ, ხმას ისე დაუწევდნენ ხოლმე, თითქოს ჰარი უკვე მომაკვდავი იწვა.

ჯადოსნურ არსებათა მოვლის გაკვეთილები სინამდვილეში არავის მოსწონდა. ფათერაკებიანი პირველი მეცადინეობის შემდეგ ეს საგანი ძალიან მოსაწყენი გახდა. ჰაგრიდს თავისი თავის რწმენა დაჰკარგვოდა და ახლა მთელ დროს მხოლოდ ფლობერჭიების შესწავლაში ატარებდნენ, რომლებიც ერთ-ერთი ყველაზე უწყინარი არსებები იყვნენ ჯადოქრულ სამყაროში.

– ნეტავ, ვის რა ჯანდაბად სჭირდება მათი მოვლა? – ბუზღუნებდა რონი და უკვე მერამდენედ ტენიდა ფლობერჭიას ხახაში სალათის დაჭრილ ფოთლებს.

ოქტომბრის დასაწყისში ჰარის ისეთი გასართობი გამოუჩნდა, რომ სულ დაავიწყდა მოსაწყენი და უინტერესო გაკვეთილები. ქვიდიჩის სეზონი მოახლოვდა და ერთ ხუთშაბათ საღამოს გრიფინდორის გუნდის კაპიტანმა, ოლივერ ვუდმა, ახალი ტაქტიკის განსახილველად გუნდის კრება მოიწვია.

ქვიდიჩის გუნდი შვიდი მოთამაშისაგან შედგებოდა: სამი ჩეიზერი, რომელთაც გოლის გატანა ევალებოდათ, ანუ ქუაფლის (წითელი ფერის ბურთი, დაახლოებით, ისეთი, როგორიც ფეხბურთშია) მოთავსება მოედნის ბოლოებში განთავსებულ გოლპოსტებში; ორი ბიტერი, რომელთაც მძიმე ჩოგნები ეჭირათ ბლაჯერების (ორი მძიმე შავი ბურთი, რომლებიც ელვის სისწრაფით დაქრიან და ცოცხებიდან მოთამაშეების ჩამოგდებას ცდილობენ) მოსაგერიებლად; მეკარე, რომელიც გოლპოსტებს იცავდა და სიკერი, რომელსაც ყველაზე რთული საქმე უნდა შეესრულებინა – ოქროს სნიჩი უნდა დაეჭირა, პატარა, ფრთიანი, კაკლისოდენა ბურთი, რომლის დაჭერითაც თამაში მთავრდებოდა და გუნდს ას ორმოცდაათი ქულა ეწერებოდა.

ოლივერ ვუდი ჩვიდმეტი წლის მხარბეჭიანი ყმაწვილი იყო, მეშ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვიდეკურსელი. წელს ჰოგვორტსის სკოლას ამთავრებდა. იმ საღამოს გაყინულ გასახდელში შეკრებილ თანაგუნდელებს აღელვებულმა მიმართა:

– ეს ჩვენი უკანასკნელი შანსია... უფრო სწორად, ჩემი უკანასკნელი შანსი... ქვიდიჩის თასის მოსაგებად, – განერვიულებული ერთ ადგილას ვერ ისვენებდა, – წელს სკოლას ვამთავრებ, მეტი შესაძლებლობა არასოდეს მომეცემა. გრიფინდორს უკვე შვიდი წელია, თასი არ მოუგია. დავითარსეთ, ხან ტრავმები გვქონდა, შარშან კი შეჯიბრი საერთოდ შეწყვიტეს... – ვუდს ყელში ბურთი გაეჩხირა, – მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი გუნდი საუკეთესოა მთელ სკოლაში, – ამ სიტყვებზე თვალები ისევ გაუბრწყინდა და მუშტები შეკრა, – სამი საუკეთესო ჩეიზერი გვყავს! – ალისია სპინეტს, ანჯელინა ჯონსონსა და ქეითი ბელს გადახედა, – ორი დაუმარცხებელი ბიტერი...

– გეყოფა, ოლივერ, თორემ სირცხვილით დავიწვით, – შესძახეს ფრედ და ჯორჯ უისლებმა და ვითომ დაირცხვინეს.

– ჩვენს სიკერს არც ერთი მატჩი არ წაუგია! – ამაყად დაიგრგვინა ვუდმა და ჰარის გადახედა, მერე ჩუმად ჩაილაპარაკა: – და მეც გყავართ...

– შენც ძაან მაგარი ხარ, ოლივერ! – შესძახა ჯორჯმა.

– მშვენიერი მეკარე! – არ ჩამორჩა ფრედი.

– საქმე ისაა, რომ, – ისევ აწრიალდა ვუდი, – ბოლო ორი წელი ნამდვილად ჩვენ გვეკუთვნოდა ქვიდიჩის თასი. მას მერე, რაც ჰარი ჩვენს გუნდში მოვიდა, ყველაფერი გადაწყვეტილი მეგონა. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა და ახლა, ბოლოს და ბოლოს, გვეძლევა შანსი, თასზე ჩვენი გუნდის სახელი ამოვატვიფრინოთ!

ვუდი ისე ღელავდა, რომ ფრედსა და ჯორჯსაც კი შეებრალათ.

– წელს ჩვენ გავიმარჯვებთ! – შესძახა ფრედმა.

– აუცილებლად, ოლივერ! – მხარი აუბა ანჯელინამ.

– წყალი არ გაუვა! – არ ჩამორჩა ჰარი.

და, მართლაც, დიდი მონდომებით დაიწყეს ვარჯიში, კვირაში სამჯერ ვარჯიშობდნენ საღამოობით. ამინდი თანდათან ფუჭდებოდა, ხშირად წვიმდა, აცივდა, ადრე ბნელდებოდა, მაგრამ ატალახებული მოედანი ჰარის არ აშინებდა, თვალწინ სულ ქვიდიჩის ვერცხლის თასი ედგა.

ერთ საღამოს ჰარი ვარჯიშიდან გრიფინდორის საერთო ოთახში მთლად გათოშილი, მაგრამ კმაყოფილი დაბრუნდა და შეამჩნია, რომ ყველანი გახალისებულები ფუსფუსებდნენ.

– რა ხდება? – ჰკითხა რონსა და ჰერმიონს, რომლებიც ბუხართან

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საუკეთესო სავარძლებში მოკალათებულიყვნენ და ასტრონომიის გაკვეთილებისთვის ვარსკვლავების რუკას ხაზავდნენ.

– კვირას ჰოგსმიდში მივდივართ, – რონმა ძველ დაფაზე გამოკრულ განცხადებაზე ანიშნა, – ოქტომბრის ბოლოა, ჰელოუინი ახლოვდება!

– შესანიშნავია, – ფრედი ჰარის შემოჰყვა ოთახში, – ზონკოს მაღაზიაში უნდა შევიარო, ყროლ-კანფეტები მითავდება.

ჰარის გუნება წაუხდა და შეწუხებული მიუჯდა რონს გვერდით. ჰერმიონი ყველაფერს მიუხვდა.

– ჰარი, დარწმუნებული ვარ, შემდეგ წასვლაზე შენც გამოგიშვებენ, ბლექს მალე დაიჭერენ, ერთხელ უკვე უნახავთ.

– ბლექი სულელი კი არაა, ჰოგსმიდში რამე გაბედოს, – აღნიშნა რონმა, – პროფესორ მაკგონაგელს სთხოვე, იქნებ გამოგიშვას, თორემ ვინ იცის, როდის მოგვიწევს შემდეგი გასვლა!

– რონ! – შეაწყვეტინა ჰერმიონმა, – ჰარი სკოლაში უნდა დარჩეს...

– რა უსამართლობაა, ერთადერთი მესამეკურსელი იქნება, რომელსაც სკოლაში დატოვებენ! – აღშფოთდა რონი, – მიდი, ჰარი, სთხოვე პროფესორ მაკგონაგელს...

– ჰო, წავალ და ვთხოვ, – გადაწყვიტა ჰარიმ.

ჰერმიონმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ამ დროს კალთაში ბო ჩაუხტა, პირით უზარმაზარი მკვდარი ობობა ეჭირა.

– მაგ მხეცმა ეს... ეს ჩვენ თვალწინ უნდა შეჭამოს? – აიმრიზა რონი.

– ყოჩაღ, ბო, რა კარგად დაგიჭერია! – შეაქო ჰერმიონმა.

ბომ აუღელვებლად გადაყლაპა ობობა, თან რონს მზერას არ აცილებდა.

– იცოდე, აქედან მოაშორე! – გაბრაზდა რონი და თავის ვარსკვლავების რუკას მიუბრუნდა, – ჩემს ჩანთაში სკაბერზს სძინავს!

ჰარიმ დაამთქნარა. ძალიან ეძინებოდა, მაგრამ ვარსკვლავების რუკა მასაც დასახაზი ჰქონდა. ჩანთიდან პერგამენტი, მელანი და ბატის ფრთა ამოიღო და მუშაობას შეუდგა.

– თუ გინდა, ჩემგან გადაიხაზე, – შესთავაზა რონმა, ბოლო ვარსკვლავს ნიშანი დაუსვა და რუკა ჰარის გაუწოდა.

ჰერმიონმა ტუჩები მოპრუწა, ყოველთვის გადაწერის წინააღმდეგი იყო, მაგრამ არაფერი უთქვამს. ბო თვალებგაშტერებული მისჩერებოდა რონს, თან კუდს იქნევდა. უცებ, სრულიად მოულოდნელად ისკუპა.

– აცხა! – დაუღრიალა რონმა და ჩანთას სტაცა ხელი, – მოშორდი, სულელო მხეცო! – თუმცა, გამძვინვარებული კატა კლანჭებით ჩაჰფრენოდა ჩანთას და არაფრით არ თმობდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რონ! კატას არაფერი ატკინო! – შეჰკივლა ჰერმიონმა.

ყველანი მათ მიაჩერდნენ. რონი გამწარებული აბზრიალებდა ჩანთას... უცებ ჩანთიდან სკაბერზი გადმოხტა.

– კატა დაიჭირეთ! – იღრიალა რონმა, როცა ბო ჩანთას შეეშვა, მაგიდას გადაახტა და დაფეთებულ ვირთხას გამოუდგა.

ჯორჯ უისლიმ სცადა კატის დაჭერა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ამასობაში სკაბერზმა ბავშვებს ფეხებს შორის გაურბინა და ძველი კომოდის ქვეშ შევარდა. ბო კომოდს მიაწყდა, იატაკზე გაწვა და გააფთრებით ცდილობდა, დამალულ ვირთხას მისწვდომოდა. რონი და ჰერმიონი თვალის დახამხამებაში იქ გაჩნდნენ. ჰერმიონმა კატა აიყვანა და იქაურობას მოაშორა. რონი იატაკზე გაწვა და დიდი გაჭირვებით მოახერხა, სკაბერზისთვის კუდში ჩაევლო ხელი.

– შეხედე! – გაცოფებულმა დაულრიალა ჰერმიონს, – მთლად გაძვალტყავებულია! რამდენჯერ გითხარი, ეგ კატა მოაშორე-მეთქი!

– ბოს არ ესმის, რას აშავებს, – გამოექომაგა ხმააკანკალებული ჰერმიონი, – რონ, ყველა კატა დასდევს ვირთხებს, რა გიკვირს?!

– ეგ შენი კატა დიდი უცნაური ცხოველია, – რონმა თავზარდაცემული ვირთხა ძლივს ჩაისვა ჯიბეში, – ეტყობა, გაიგო, რომ ვამბობდი, სკაბერზი ჩანთაში მიზის-მეთქი!

– რა სისულელეა! – აღშფოთდა ჰერმიონი, – რას ამბობ, რონ, ალბათ სუნი ეცა, თორემ სხვანაირად...

– რას გადაეკიდა ჩემს ვირთხას?! – რონი ყურადღებას არ აქცევდა, როგორ ახითხითდნენ ბავშვები, – სკაბერზი მე მანამდე მყავდა, სანამ შენ მაგას იყიდდი, თანაც, ხომ ხედავ, ავადაა! – მერე გაბრაზებული გავიდა ოთახიდან და საძინებლის კიბეს აუყვა.

* * *

მეორე დღეს რონი ჰერმიონს ისევ ებუტებოდა. ჰერბოლოგიის გაკვეთილზე ხმას არ სცემდა, მიუხედავად იმისა, რომ სამივენი ერთ მცენარესთან მუშაობდნენ.

– სკაბერზი როგორაა? – გაუბედავად ჰკითხა ჰერმიონმა, როცა მცენარეს პარკოვანი ნაყოფი მოწყვიტეს და მარცვლები ხის ვედროში ჩაყარეს.

– კანკალებს და ჩემი ლოგინის ქვეშ იმალება, – გაბრაზებულ რონს მარცვლები სათბურის იატაკზე დაებნა.

– ცოტა ფრთხილად, უისლი, – გაუწყრა პროფესორი სპრაუტი. მარცვლებიდან იქვე, მათ თვალწინ ლამაზი ყვავილები გაიფურჩქნა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შემდეგი ტრანსფიგურაცია ჰქონდათ. ჰარის უკვე გადაეწყვიტა, გაკვეთილის შემდეგ პროფესორ მაკგონაგელისთვის ეთხოვა, ჰოგსმიდში წასვლის ნება მიეცა. ახლა კლასში შედიოდა და თან იმაზე ფიქრობდა, როგორ დაეყოლიებინა პროფესორი. უცებ მის წინ მდგარი ბავშვები აჩოჩქოლდნენ.

ლევენდერ ბრაუნი ტიროდა. პარვატი მეგობარს აწყნარებდა, თან სიმუს ფინიგანსა და დინ ტომასს რაღაცას უხსნიდა. ბიჭები ძალიან შეწუხებულები ჩანდნენ.

– ლევენდერ, რა გჭირს? – შეშფოთდა ჰერმიონი.

– დღეს შინიდან წერილი მიიღო, – გადაუჩურჩულა პარვატიმ, – მისი კურდღელი, ბინკი, მელიას მოუკლავს.

– უი, როგორ მეწყინა, – თანაუგრძნო ჰერმიონმა.

– როგორ ვერ მივხვდი, – ამოიქვითინა ლევენდერმა, – იცი, დღეს რა დღეა?

– რა დღეა?

– თექვსმეტი ოქტომბერი! „ის, რისიც ყველაზე მეტად გეშინია, თექვსმეტ ოქტომბერს მოხდება!“ ხომ გახსოვთ, როგორ მითხრა?! მართალი ყოფილა!

მთელი ჯგუფი ლევენდერს შემოხვეოდა. სიმუსმა თავი გააქნია. ჰერმიონი ჯერ ცოტა შეყოყმანდა, მაგრამ მაინც თქვა:

– შენ რა, გეშინოდა, რომ ბინკის მაინცდამაინც მელია მოკლავდა?

– რა მნიშვნელობა აქვს, – ცრემლებს აღვარღვარებდა ლევენდერი, – მთავარი ისაა, რომ მეშინოდა, არ მომკვდარიყო.

– ჰოო, – ჰერმიონი დაფიქრდა და ჰკითხა: – შენი კურდღელი ბებერი იყო?

– არაააა, – უარესად აქვითინდა ლევენდერი, – სულ პატარა იყოოო...

პარვატიმ ლევენდერს მხარზე ხელი მოხვია.

– მაშ, რატომ გეშინოდა, რომ მოკვდებოდა?

პარვატიმ ჰერმიონს თვალები დაუბრიალა.

– აბა, კარგად დაფიქრდით, – არ ცხრებოდა ჰერმიონი, უკვე ყველას მიმართავდა: – ბინკი ხომ დღეს არ მომკვდარა, უბრალოდ, ლევენდერმა დღეს მიიღო წერილი... – ამ სიტყვებზე ლევენდერი უარესად აბღავლდა, – და რა თქმა უნდა, შეუძლებელია, მისი სიკვდილის ამბავი წინასწარ სცოდნოდა ან წინასწარ შეშინებოდა! სრულიად მოულოდნელად მოხდა...

– ჰერმიონს ყურადღებას ნუ მიაქცევ, – ჩაურთო რონმა, – ვერც კი წარმოუდგენია, რომ სხვებსაც შეიძლება უყვარდეთ თავიანთი ცხოველები.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საბედნიეროდ, ამ დროს პროფესორმა მაკგონაგელმა საკლასო ოთახის კარი გააღო. ჰერმიონი და რონი გაბრაზებულები უცქეროდ-ნენ ერთმანეთს, საკლასო ოთახში ჰარის აქეთ-იქიდან მოუსხდნენ და ერთმანეთისთვის ხმა არ გაუციათ.

ჰარის ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა, რა ეთქვა პროფესორ მაკგ-ონაგელისთვის, როცა ზარი დაირეკა და გაკვეთილიც დამთავრდა. ამასობაში, როცა ბავშვები გასასვლელისკენ დაიძრნენ, პროფესორმა მაკგონაგელმა თვითონ წამოიწყო ჰოგსმიდზე ლაპარაკი:

– ერთი წუთით, თუ შეიძლება! რადგან ყველანი ჩემი კლუბის წევრები ხართ, გაფრთხილებთ, რომ თქვენი ჰოგსმიდში წასასვლელი ნებართვები ჰელოუინამდე მე უნდა ჩამაბაროთ. არ დაგავიწყდეთ, ნებართვის გარეშე იქ ვერ წახვალთ!

ნევილმა ხელი ასწია.

– პროფესორო, მე მგონი, ჩემი ნებართვა... მე მგონი, დავკარგე...

– ბებიათქვენი პირადად გამომიგზავნის, ლონგბოტომ. თვითონ მითხრა, ასე უფრო საიმედოაო. დღეისათვის სულ ეს იყო, შეგიძლიათ, წახვიდეთ.

– მიდი, სთხოვე, – გადაუჩურჩულა რონმა ჰარის.

– კი მაგრამ... – წამოიწყო ჰერმიონმა.

– მიდი, ჰარი, მიდი, – არ მოეშვა რონი.

ჰარი დაელოდა, სანამ ყველანი არ გაიკრიფნენ ოთახიდან, და არეული ნაბიჯით მიუახლოვდა პროფესორს.

– გისმენთ, პოტერ!

ჰარიმ ღრმად შეისუნთქა:

– პროფესორო, დეიდაჩემსა და ბიძაჩემს... ისა... დაავიწყდათ ხელის მოწერა...

პროფესორმა ოთხკუთხა სათვალიდან გაკვირვებით გადმოხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

– ასე რომ... ისა... როგორ ფიქრობთ, არ შეიძლება, რომ... ისა... რომ ჰოგსმიდში მაინც წავიდე?

პროფესორმა მაგიდაზე გაშლილი ქაღალდები მოაგროვა და უთხრა:

– ვწუხვარ, მაგრამ არ შეიძლება! ხომ გაიგონეთ, რა გამოვაცხადე, თუ ნებართვა არ გექნებათ, ჰოგსმიდში ვერ წახვალთ-მეთქი. წესი წესია!

– კი მაგრამ, პროფესორო... ხომ იცით, დეიდაჩემი და ბიძაჩემი მაგლები არიან... იმათ წესიერად არც ესმით... დიახ, არ ესმით, რა ხდება ამ სკოლაში... – რონი თავის ქნევით ამხნევებდა შორიდან, – თქვენ თუ მომცემთ ნებას...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მე არ გაძლევ უფლებას, – პროფესორი წამოდგა და ფურცლები უჯრაში ჩაალაგა, – ანკეტაში გასაგებად წერია, რომ ნებართვას ხელი მშობელმა ან მეურვემ უნდა მოაწეროს, – პროფესორი უცნაურად მიაცქერდა ჰარის, გეგონებოდათ, ეცოდებაო, – ძალიან ვწუხვარ, პოტერ, მაგრამ მე გადაწყვეტილებას არ შევცვლი. იჩქარეთ, თორემ მომდევნო გაკვეთილზე დაგაგვიანდებათ!

* * *

რაღა უნდა ექნათ? რონმა პროფესორი მაკგონაგელი საკმაოდ ულირსი სიტყვებით მოიხსენია, რითაც ჰერმიონი ძალიან გააბრაზა. გოგონა ძალიანაც კმაყოფილი ჩანდა იმით, რომ მაკგონაგელმა ჰარის ნებართვა არ მისცა, რამაც რონი მთლად ჭკუიდან გადაიყვანა; ჰარი კი იჯდა კლასში და მოთმინებით უსმენდა დანარჩენების მხიარულ საუბრებს ჰოგსმიდში მოსალოდნელი ექსკურსიის შესახებ.

– არა უშავს, ჰარი, – ამხნევებდა რონი, – წვეულება არ დაგავიწყდეს, ხომ იცი, საჰელოუინოდ რა კარგი წვეულებები გვაქვს ხოლმე.

– ჰო, მაგარი! – მოიღუშა ჰარი.

ჰელოუინის წვეულებები მართლაც ყოველთვის საუცხოო იყო, მაგრამ ჰარის ერჩივნა, ამ წვეულებაზე სხვებივით ჰოგსმიდიდან დაბრუნებული მისულიყო. ყველანი ამშვიდებდნენ, მაგრამ ჰარი მაინც ცუდ გუნებაზე იყო. დინ ტომასმა შესთავაზა, ძია ვერნონის ხელმოწერას გავაყალბებო (ამ საქმის ნამდვილი ოსტატი იყო), მაგრამ ჰარიმ ხომ უკვე უთხრა პროფესორ მაკგონაგელს, ჩემებს ნებართვაზე ხელი არ მოუწერიათო, ასე რომ, ამას რაღა აზრი ჰქონდა. რონს უჩინმაჩინის მოსასხამი მოაგონდა, მაგრამ ჰერმიონმა მაშინვე შეახსენა მეგობრებს, ხომ გახსოვთ, როგორ გაგვაფრთხილა დამბლდორმა, დემენტორებთან ასეთი რაღაცეები არ ჭრისო. პერსიმაც სცადა ჰარის გამხნევება, მაგრამ პირიქით კი გამოუვიდა:

– დიდი რამე ნუ გგონიათ ეგ თქვენი ჰოგსმიდი! არ მოიწყინო, ჰარი, არ ღირს! ტკბილეულის მაღაზიას არა უშავს, მაგრამ ზონკოს მაღაზიაში შესვლა, სიმართლე გითხრათ, საშიშიც კია... და ჰო, ქოთქოთა ქოხიც ღირს ნახვად, მაგრამ, ამის გარდა, განსაკუთრებულს არაფერს კარგავ, დამიჯერე.

* * *

დილით ჰარი სხვებთან ერთად ჩავიდა სასაუზმოდ, თან ცდილობდა, არ შესტყობოდა, რომ ძალიან ცუდ გუნებაზე იყო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ტკბილეულის მაღაზიიდან უამრავ კანფეტს წამოგიღებთ, – ჰერმიონს ძალიან ეცოდებოდა მეგობარი.

– ჰო, ძალიან ბევრს, – დაეთანხმა რონიც, ჰარის ამბავმა წაჩხუბებულები შეარიგა, უთანხმოება უკვე აღარც კი ახსოვდათ.

– ჩემზე არ იდარდოთ, – ვითომ გულგრილად ჩაილაპარაკა ჰარიმ, – წვეულებაზე შეგხვდებით. აბა, თქვენი იცით, კარგად გაერთეთ!

ჰარიმ მეგობრები მთავარ შემოსასვლელამდე მიაცილა. კართან სკოლის დარაჯი, ფილჩი იდგა და გრძელ სიაში სახელებს ამოწმებდა, თან თითოეულ მოსწავლეს ეჭვის თვალით აკვირდებოდა, ვინმე უნებართვოდ ხომ არ მეპარებაო.

– სკოლაში რჩები, პოტერ? – მალფოი, როგორც ყოველთვის, კრაბსა და გოილთან ერთად იდგა, – რაო, დემენტორების შეგეშინდა?

ჰარის მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, მარტო აუყვა მარმარილოს კიბეს, ცარიელი დერეფნები გაიარა და გრიფინდორის კოშკში დაბრუნდა.

– პაროლი? – უცებ გამოფხიზლდა მთვლემარე ფუშფუშა ქალბატონი.

– ფორტუნა მაჟორ, – ძლივსგასაგონად ამოღერღა ჰარიმ.

პორტრეტი გადაიწია და ჰარი საერთო ოთახში შევიდა. იქაურობა სავსე იყო პირველ და მეორეკურსელებით. რამდენიმე უფროსკურსელსაც მოჰკრა თვალი, ისინი, ეტყობა, იმდენჯერ იყვნენ ჰოგსმიდში ნამყოფები, რომ ახლა იქ წასვლა დიდად არ ეხალისებოდათ.

– ჰარი! ჰარი! გამარჯობა! – შესძახა მეორეკურსელმა კოლინ ქრივიმ, რომელიც ჰარის ყოველთვის დიდი მოწიწებით ექცეოდა და როგორც კი მოახერხებდა, მასთან დალაპარაკებას ცდილობდა.

– ჰოგსმიდში რატომ არ წახვედი, ჰარი? – კოლინმა თავის მეგობრებს გადახედა, – თუ გინდა, ჩვენთან დაჯექი!

– ა-არა, გმადლობ, კოლინ, – ჰარი სულაც არ იყო ამ ცნობისმოყვარე ბავშვების გუნებაზე, – ბიბლიოთეკაში უნდა ავიდე, დავალება მაქვს დასაწერი, – ამის შემდეგ სხვა რა გზა ჰქონდა, უკანვე გამობრუნდა და ისევ პორტრეტის ხვრელში გადმოძვრა.

– კი მაგრამ, რატომღა გამაღვიძე? – ჩაიბუზღუნა უკმაყოფილო ფუშფუშა ქალბატონმა.

მწარე ფიქრებში ჩაფლული ჰარი ბიბლიოთეკისაკენ გაემართა, მაგრამ შუა გზაზე გადაიფიქრა, რატომღაც დავალების წერის სურვილი არ ჰქონდა. შემოტრიალდა თუ არა, ცხვირწინ ფილჩი აეტუზა. როგორც ჩანს, ჰოგსმიდში წამსვლელები უკვე გაეცილებინა.

– აქ რას აკეთებ? – შეუღრინა ბიჭს.

– არაფერს, – გულწრფელად მიუგო ჰარიმ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არაფერსო! – ფილჩს სიბრაზისაგან ცოფი მოერია, – ერთბა-შად არ დაგიჯერო!!! რას დაძრწიხარ აქ მარტოდმარტო? სხვებთან ერთად რატომ არ წაბრძანდი ჰოგსმიდში? რაო, ყროლ-კანფეტები, სარწყევი ფხვნილი და სასტვენი ჭიები არ გინდოდა?

ჰარიმ მხრები აიჩეჩა.

– ახლავე დაბრუნდი საერთო ოთახში! – თვალები დაუბრიალა ფილჩმა და, სანამ ჰარი თვალს არ მოეფარა, მზერა არ მოუცილე-ბია.

მაგრამ ჰარი საერთო ოთახში არ დაბრუნებულა; კიბეზე ავიდა, გადაწყვიტა, საბუეში ასულიყო და ჰედვიგი ენახა. გზად ერთ-ერთი ოთახიდან ძახილი შემოესმა:

– ჰარი!

ჰარი უკან მიტრიალდა და თავისი კაბინეტის კარში მდგარი პრო-ფესორი ლუპინი დაინახა.

– აქ რას აკეთებ? – ფილჩისგან განსხვავებით, თბილად ჰკითხა ლუპინმა, – რონი და ჰერმიონი სად არიან?

– ჰოგსმიდში, – გულგრილად მიუგო ჰარიმ.

– ჰოო?.. – ლუპინი ჰარის დააკვირდა, – ჩემთან შემოდი. სწორედ ახლა მივიღე ფოსტით გრინდილოუ ჩვენი მომდევნო გაკვეთილი-სათვის.

– რა მიიღეთ? – გაოცებული ჰარი პროფესორს ოთახში შეჰყვა. კუთხეში მოზრდილი აკვარიუმი იდგა, შიგ კი ჭაობისფერი ბასრრქე-ბიანი არსება იჯდა, სახე შუშაზე მიეჭყლიტა, საშინლად იმანჭებოდა და გაძვალტყავებულ თითებს კრუნჩხავდა.

– წყლის ეშმაკია, – აუხსნა პროფესორმა და გრინდილოუ ყურა-დღებით შეათვალიერა, – წყლის ქაჯებთან შედარებით, ამას უფრო ადვილად გავუმკლავდებით. მთავარია, რომ მარწუხებში არ მოგაქციოს. შეამჩნიე, რა უჩვეულოდ გრძელი თითები აქვს? ძალიან ძლიერი კია, მაგრამ ადვილად იმტვრევა.

გრინდილოუმ მწვანე კბილები დაკრიჭა და ავზის კუთხეში, წყალმ-ცენარეებში შეიმალა.

– ჩაის ხომ არ დალევ? – ლუპინმა ჩაიდანს დაუწყო ძებნა, – მე თვითონაც ვაპირებდი ახლა ჩაის დალევას.

– სიამოვნებით, – უხერხულად შეიშმუშნა ჰარი.

ლუპინმა ჩაიდანს ჯოხი დაჰკრა და უცებ ჩაიდნის ცხვირიდან ორთქლი ამოვარდა.

– დაჯექი! სამწუხაროდ, მხოლოდ ერთჯერადი ჩაის პაკეტები მაქვს, – ლუპინმა კოლოფს მტვერი გადაწმინდა, – მაგრამ, როგორც ვხვდები, ჩაის ფოთლები დიდად არ გეხატება გულზე...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ეგ საიდან იცით? – ჰარიმ აციმციმებულ თვალებში შეხედა.

– პროფესორმა მაკგონაგელმა მითხრა, – ლუპინმა ბიჭს გაბზარული ფინჯანი მიაწოდა, – იმედია, მაგაზე დიდად არ გიდარდია.

– არა, – მიუგო ჰარიმ. მერე ერთი წამით ისიც გაიფიქრა, მაგნოლიის ქუჩაზე ძაღლი რომ ვნახე, ხომ არ მოვუყვეო, მაგრამ გადაიფიქრა. არ უნდოდა, მასწავლებელს ეფიქრა, მშიშარაააო. თანაც, ერთხელ ხომ იფიქრა, რომ ბოგარტს ვერ გაუმკლავდებოდა.

როგორც ჩანს, ჰარის სახეზე ეწერა, რასაც ფიქრობდა, რადგან პროფესორმა ლუპინმა ჰკითხა:

– რა ხდება, ჰარი, რა გაწუხებს?

– არაფერი, – იცრუა ბიჭმა, ჩაი მოსვა და გრინდილოუს მიაჩერდა, რომელიც ახლა მუშტს უღერებდა. მერე უცებ გამოერკვა, ფინჯანი მაგიდაზე დადგა და პროფესორს ჰკითხა:

– ხომ გახსოვთ ის დღე, ბოგარტს რომ შევებრძოლეთ?

– მახსოვს, – აუღელვებლად მიუგო პროფესორმა.

– მე რატომ არ მიმიშვით ბოგარტთან?

ლუპინმა წარბები აზიდა:

– ეგ ხომ თავისთავად ცხადი იყო, ჰარი?! – ლუპინი გაკვირვებული ჩანდა.

ჰარი გაოგნდა, რადგან ეგონა, პროფესორი იმის მტკიცებას მოჰყვებოდა, მსგავსი არაფერი ჩამიდენიაო.

– რატომ? – ჰკითხა ისევ.

– როგორ გითხრა, – მოიღუშა პროფესორი ლუპინი, – ვიფიქრე, რომ თუ ბოგარტი შენ დაგიპირისპირდებოდა, ლორდ ვოლდემორის სახეს მიიღებდა.

ჰარი ასეთ პასუხს არ ელოდა, მაგრამ უფრო იმან გააკვირვა, რომ პროფესორმა ლუპინმა ლორდ ვოლდემორის სახელი წარმოთქვა. მის გარდა, ერთადერთი ადამიანი, რომელიც ამ სახელს ხმამაღლა ამბობდა, პროფესორი დამბლდორი იყო.

– როგორც ჩანს, შევცდი, – განაგრძო პროფესორმა, – მაგრამ სულაც არ მინდოდა, ჩვენს სამასწავლებლოში ლორდი ვოლდემორი გამოჩენილიყო. ალბათ ბავშვები დაფრთხებოდნენ.

– თავიდან მართლაც ვოლდემორზე ვიფიქრე, – გამოუტყდა ჰარი, – მაგრამ მერე დემენტორები გამახსენდა...

– გასაგებია, – შეფიქრიანდა პროფესორი, – ჰოო... მოხიბლული ვარ! – ჰარის გაკვირვებული სახის დანახვამ პროფესორს ღიმილი მოჰგვარა, – ესე იგი, შენ ყველაზე მეტად შიშისა გეშინია! ძალიან ჭკვიანურია, ჰარი!

ჰარიმ არ იცოდა, რა ეთქვა და ჩაი მოსვა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ესე იგი, შენ გეგონა, ბოგარტთან იმიტომ არ მიგიშვი, რომ შემეშინდა, ვერ მოერეოდი?!

– დიახ, – ჰარის გულზე მოეშვა, – პროფესორო ლუპინ, იცით, ეს დემენტორები...

უცებ კაკუნი გაისმა.

– მობრძანდით, – გასძახა ლუპინმა.

ოთახში სნეიპი შემოვიდა, ხელში ოხშივარავარდნილი თასი ეჭირა. ჰარის დანახვაზე შეჩერდა და თვალები დაუწვრილდა.

– აჰ, სევერუს, – გაუღიმა ლუპინმა, – დიდი მადლობა. თუ შეიძლება, აგერ, მერხზე დადგით.

სნეიპმა თასი დადგა და გაოცებული ჯერ ჰარის დააკვირდა, მერე – ლუპინს.

– ჰარის ჩემს გრინდილოუს ვაჩვენებდი, – თავაზიანად აუხსნა ლუპინმა და აკვარიუმზე მიანიშნა.

– შესანიშნავია, – სნეიპს არც კი შეუხედავს, – გირჩევთ, ეს ახლავე დალიოთ.

– აუცილებლად დავლევ!

– მთელი ქვაბი მოვხარშე, თუ კიდევ დაგჭირდებათ.

– ალბათ ხვალაც დავლევ. უღრმესი მადლობა, სევერუს!

– არაფრის, – სნეიპის გამოხედვაზე ჰარის გულმა რეჩხი უყო. პროფესორი მოქუფრული სახით გავიდა ოთახიდან.

ჰარიმ თასს ინტერესით შეხედა. ლუპინს გაეღიმა.

– პროფესორმა სნეიპმა დიდი პატივი დამდო და ეს სასმელი მომიმზადა. საერთოდ, შხამ-წამლები არასოდეს მეხერხებოდა, ეს სასმელი კი განსაკუთრებით რთული მოსამზადებელია, – ლუპინმა თასი აიღო და დაყნოსა, – სამწუხაროა, რომ შაქრის ჩამატება არ შეიძლება, – მერე ოდნავ მოყლუპა და გააჟრჟოლა.

– კი მაგრამ... – ძლივს წარმოთქვა ჰარიმ.

ლუპინი მიუხვდა, რის თქმაც უნდოდა:

– რაღაც ამ ბოლო დროს მთლად კარგად ვერა ვარ. მხოლოდ ეს სასმელი მშველის ხოლმე. ბედმა გამიღიმა, რომ სნეიპთან ერთად ვმუშაობ, ბევრ ჯადოქარს არ ეხერხება ამ წამლის დამზადება, – ლუპინმა კიდევ ერთი ყლუპი მოსვა. ჰარის ერთი სული ჰქონდა, ხელებში სცემოდა და თასი გამოეგლიჯა.

– პროფესორი სნეიპი ძალიან დაინტერესებულია ბნელი ძალებით, – წამოსცდა უცებ.

– მართლა? – ლუპინს არც კი მიუქცევია ყურადღება ამ სიტყვებისთვის, ისე მოსვა კიდევ ერთი ყლუპი.

– ამბობენ... – ჰარი შეყოყმანდა, მერე კი დაუფიქრებლად განა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გრძო: – ამბობენ, ყველაფერს იკადრებს, ოღონდ ბნელი ძალებისაგან თავდაცვის მასწავლებლის ადგილი მიიღოსო.

ლუპინმა თასი გამოცალა და დაიჭყანა:

– ფუ, რა საზიზღრობაა! ჰარი, ახლა საქმეს უნდა მივხედო! საღამოს წვეულებაზე გნახავ!

– დიახ, – ჰარიმ ცარიელი ფინჯანი მაგიდაზე დადგა.

ცარიელ თასს ისევ ისე ასდიოდა ორთქლი.

* * *

– აი, სად ყოფილხარ, – დაუძახა რონმა, – ნახე, რამდენი რაღაც მოგიტანეთ!

და ჰარის კალათაში ბრჭყვიალაქაღალდიანი კანფეტები ჩაუყარა. საღამოვდებოდა. ცივი ქარისგან სახეაჭარხლებული რონი და ჰერმიონი სულ ახლახან შემოსულიყვნენ საერთო ოთახში. სახეზე ეტყობოდათ, რომ უსაზღვროდ კმაყოფილები იყვნენ.

– გმადლობთ, – ჰარიმ ერთი შეკვრა შავი წიწაკისარომატიანი საწუწნი კანფეტები აიღო, – აბა, მომიყევით, როგორ მოგეწონათ ჰოგსმიდი, სად იყავით?

როგორც ჩანს, რონსა და ჰერმიონს ჰოგსმიდის ყველა კუთხე-კუნჭული დაეთვალიერებინათ: „დერვიშ ენდ ბენგზი“ – ჯადოქრული ინსტრუმენტების მაღაზია, ზონკოს ოინების მაღაზია, ლუდხანა „სამი ცოცხი“, სადაც თითო კათხა ცხელი ბურბურახი მიირთვეს, და კიდევ უამრავი სხვა რამ.

– ჰარი, რომ იცოდე, რა მაგარი ფოსტა აქვთ! თაროებზე დაახლოებით ორასამდე ბუ ზის, ყველას სხვადასხვა ფერის ბარათი აქვს მიკრული, ფერებს იმის მიხედვით აირჩევ, თუ რა სისწრაფით გინდა წერილის გაგზავნა.

– „თაფლუჭში“ სულ ახალი, სხვადასხვანაირი ნუგა ჰქონდათ, გასასინჯად უფასოდ არიგებდნენ ცოტ-ცოტას. ცოტა ჩვენც დაგვრჩა, ნახე...

– მე მგონი, გოლიათი კაციჭამიაც ვნახეთ... მართლაც, რა ჯურის ხალხს არ ნახავ, „სამ ცოცხში“!

– აუ, ნეტავ შენთვის ცოტა ბურბურახი წამოგველო, იცი, როგორ გაგახურებდა...

– შენ რას აკეთებდი? – დაინტერესდა ჰერმიონი, – დავალება ხომ არ დაგიწერია?

– არა, – მიუგო ჰარიმ, – ლუპინმა თავის კაბინეტში ჩაი დამა-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლევინა. მერე სნეიპიც შემოვიდა... – და ჰარიმ თასის ამბავი უამბო. რონი შეძრწუნებული მიაჩერდა.

– მერე, ლუპინმა დალია? რამ გააგიჟა?

ჰერმიონმა საათზე დაიხედა.

– ვიჩქაროთ, წვეულება ხუთ წუთში იწყება.

ერთად გადაძვრნენ პორტრეტის ხვრელში და დანარჩენებს შეუერთდნენ, თან ისევ სნეიპზე ლაპარაკობდნენ.

– მაგრამ თუ სნეიპს... – ჰერმიონმა ხმას დაუწია და ირგვლივ მიმოიხედა, – თუ სნეიპს ლუპინის მოწამვლა უნდოდა, შენი თანდასწრებით ხომ არ გააკეთებდა ამას, ჰარი?

– ჰო, ეგრეა, – დაეთანხმა ჰარი. ამასობაში დიდ დარბაზსაც მიადგნენ. დარბაზი ათასობით განათებული გოგრითა და ცოცხალი, ჰაერში მოფარფატე ღამურებით მოერთოთ, კედლები კი ცეცხლისფერ-ნარინჯისფერი „წვიმებით“ დაეფარათ, რომლებიც წყლის გველებს წააგავდა.

საჭმელი ძალიან გემრიელი იყო. რონმა და ჰერმიონმაც კი, მიუხედავად იმისა, რომ „თაფლუჭში“ კარგა ბლომად ჭამეს ტკბილეული, ორ-ორჯერ გადაიღეს კერძები. ჰარი ხშირ-ხშირად გადახედავდა ხოლმე მასწავლებლების მაგიდას. პროფესორი ლუპინი ადრინდელივით მხნედ გამოიყურებოდა და მხიარულ გუნებაზე იყო, დიდი მონდომებით ესაუბრებოდა ტანდაბალ პროფესორ ფლიტვიკს, შელოცვების მასწავლებელს. ჰარიმ სნეიპისკენ გააპარა მზერა. არ იცოდა, ეჩვენებოდა თუ მართლა ასე იყო, მაგრამ სნეიპი ჩვეულებრივზე უფრო ხშირად და მალულად გადახედავდა ხოლმე პროფესორ ლუპინს.

წვეულება ჰოგვორტსის მოჩვენებების წარმოდგენით დამთავრდა. ხან კედლებიდან გამოხტებოდნენ, ხანაც – მაგიდებიდან, და ათასგვარ ოინს აწყობდნენ. განსაკუთრებული წარმატება კი მაინც გრიფინდორის მოჩვენებას, თითქმის უთავო ნიკს ხვდა წილად; დიდი ოსტატობით განასახიერა საკუთარი თავის მოკვეთის სცენა.

საღამო ისეთი მშვენიერი გამოდგა, რომ ჰარის გუნება მალფოიმაც კი ვერ გაუფუჭა, როცა დარბაზიდან გასვლისას ყველას გასაგონად დაუძახა:

– პოტერ, დემენტორებმა დიდი სიყვარულით მოგიკითხეს!

ჰარი, რონი და ჰერმიონი დანარჩენ გრიფინდორელებთან ერთად გაემართნენ გრიფინდორის კოშკისაკენ, მაგრამ როცა იმ დერეფანს მიადგნენ, რომელშიც ფუშფუშა ქალბატონის პორტრეტი ეკიდა, მოძრაობა შეჩერდა. ბავშვები აჩოჩქოლდნენ.

– რა ხდება, რატომ არ შედიხართ? – იკითხა რონმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარიმ კისერი წაიგრძელა და ცერებზე შედგა. პორტრეტი დაკეტილი იყო.

– გამატარეთ... გამატარეთ, თუ შეიძლება, – პერსი საქმიანი ნაბიჯით გამოვიდა წინ, – რა ხდება? რატომ შეჩერდით? ყველას ერთად როგორ დაგავიწყდათ პაროლი? უკაცრავად, მე ჰედბოი ვარ...

უცებ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ჯერ წინა რიგში მდგომი ბავშვები გაისუსნენ, მერე კი სიჩუმემ სუსხივით გადაუარა მთელ დერეფანს.

– ვინმემ პროფესორ დამბლდორს დაუძახოს! – გაისმა პერსის მკაცრი ბრძანება.

უკანა რიგებში ბავშვები ცერებზე შედგნენ, რომ რაიმე დაენახათ.

– რა ხდება? – იკითხა ახლად მოსულმა ჯინიმ.

დამბლდორი მაშინვე იქ გაჩნდა. გრიფინდორელებმა დირექტორს გზა დაუთმეს, ისიც მანტიის ფრიალით მიუახლოვდა პორტრეტს. ჰარი, რონი და ჰერმიონი წინ წავიდნენ, რომ ყველაფერი დაენახათ.

– ღმერთო ჩემო... – აღმოხდა ჰერმიონს და ჰარის მკლავს ჩაეჭიდა.

ფუშფუშა ქალბატონი პორტრეტში აღარ იყო, თავად სურათი კი ვიღაცას ისე დაეჭრა, რომ ტილოს ნაკუწები იატაკზე ეყარა, ნაწილი სულაც ამოეგლიჯათ.

დამბლდორმა სწრაფად შეათვალიერა დახეული პორტრეტი და დერეფანში ჩქარი ნაბიჯით შემოსულ მაკგონაგელს, ლუპინსა და სნეიპს მიუბრუნდა:

– უნდა ვიპოვოთ! პროფესორო მაკგონაგელ, ძალიან გთხოვთ, ფილჩს გადასცეთ, ახლავე დაიაროს ციხე-კოშკის ყველა სურათი და ფუშფუშა ქალბატონი იპოვოს.

– ან იპოვით, ან არა! – პოლტერგეისტი პივსი ბედნიერი სახით დაფარფატებდა ჰაერში, უბედურება და ცუდი ამბავი ხომ ყოველთვის ახარებდა.

– რას გულისხმობ, პივს? – აუღელვებლად ჰკითხა დამბლდორმა. პივსს ღიმილი სახეზე შეეყინა. დამბლდორთან თავხედობას ვერ ბედავდა. ხმა დაიტკბო და რაც შეეძლო, თავაზიანად მიმართა, თუმცა თავის ჩვეულებრივ ხმაზე უფრო საშინელი ხმა კი ამოუშვა:

– შერცხვა, თქვენო უდირექტორესობავ, არ უნდოდა, რომ ვინმეს ენახა. ერთი დაგანახათ, რა დღეშია. ვნახე, როგორ მირბოდა მეოთხე სართულზე პეიზაჟში, თან ხეებს უკან იმალებოდა. საშინლად მოთქვამდა, – პივსს ხმაში კმაყოფილება გაერია და მერე გამოსასწორებლად დაუმატა: – ძალიან შემეცოდა.

– ხომ არ უთქვამს, ეს ვინ ჩაიდინა? – ჰკითხა დამბლდორმა.

– დიახ, თქვენო უპროფესორდირექტორესობავ, – პივსი ისე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აჭიანურებდა, თითქოს ხელში ასაფეთქებელი ყუმბარა ეჭირა და გადაგდებას არ ჩქარობდა, – თურმე ძალიან გაბრაზებულა ის ვაჟ-ბატონი, როცა ფუშფუშა ქალბატონმა არ შეუშვა, – პივსი ჰაერში ამოტრიალდა და საკუთარ ფეხებში სახემოქცეულმა დამბლდორს გაუცინა, – დიდი უხასიათო ვინმეა ეგ სირიუს ბლექი!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეცხრე

სასტიკი მარცხი

პროფესორმა დამბლდორმა ყველა გრიფინდორელი დიდ დარბაზში გაგზავნა, სადაც მათ სულ მალე ჰაფლეპაფელები, რეივენქლოელები და სლიზერინელებიც შეუერთდნენ. ყველანი ძალიან დაბნეულები ჩანდნენ.

– ციხე-კოშკი საგულდაგულოდ უნდა გავჩხრიკოთ, – გამოაცხადა დამბლდორმა, როცა პროფესორებმა მაკგონაგელმა და ფლიტვიკმა დიდი დარბაზის ყველა კარი გადარაზეს, – ვწუხვარ, მაგრამ თქვენივე უსაფრთხოებისთვის ამ ღამეს აქ გაათევთ. პრეფექტებს ვთხოვ, ყველა შესასვლელთან იდარაჯონ, ჰედბოისა და ჰედმისს კი უფროსობას ვაბარებ. ნებისმიერი შემთხვევის შესახებ დაუყოვნებლივ მაცნობებთ, – მიმართა პერსის, რომელიც სიხარულისგან ფეხზე აღარ იდგა და ძალიან ამაყად გამოიყურებოდა, – ამბავი მოჩვენებებს გამოატანეთ.

პროფესორმა ჯოხი მსუბუქად აიქნია, გრძელი მაგიდები თავისით დაიძრნენ კედლებისკენ და აიკეცნენ. მერე იქაურობა წითელი ფუმფულა საძილე ტომრებით გაივსო.

– ძილი ნებისა, – თქვა პროფესორმა და კარი გაიხურა.

დარბაზში იმწუთასვე ყაყანი ატყდა. გრიფინდორელები დანარჩენებს უყვებოდნენ, რაც დაინახეს.

– ყველანი საძილე ტომრებში ჩაწექით! – ბრძანა პერსიმ, – გეყოთ ლაპარაკი, ათ წუთში შუქს ვაქრობ!

– წავედით, – უთხრა რონმა ჰარისა და ჰერმიონს. თავიანთი საძილე ტომრები სამივემ ოთახის კუთხეში გაათრია.

– როგორ გგონიათ, ბლექი ისევ ციხე-კოშკშია? – წაიჩურჩულა ჰერმიონმა.

– ეტყობა, დამბლდორი ასე ფიქრობს, – მიუგო რონმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ბედმა გაგვიღიმა, რომ დღეს მოაფიქრდა სკოლაში შემოპარვა, – თქვა ჰერმიონმა, როცა სამივენი ტანსაცმლის გაუხდელად ჩაწვნენ საძილე ტომრებში და სალაპარაკოდ მოხერხებულად მოკალათდნენ, – კიდევ კარგი, კოშკში არ ვიყავით...

– ეტყობა, დრო აერია. იმალება და რა გასაკვირია, – დაასკვნა რონმა, – არ გახსენებია, რომ ჰელოუინი იყო, თორემ პირდაპირ დიდ დარბაზში შემოვარდებოდა.

ჰერმიონს გააჟრჟოლა.

ყველანი ერთსა და იმავე კითხვას უსვამდნენ ერთმანეთს: „კი მაგრამ, როგორ შემოაღწია სკოლაში?“

– იქნებ აპარაცია ეხერხება? – თქვა იქვე წამოწოლილმა რეივენ-ქლოელმა, – ხომ გაგიგიათ, ეს რა არის – პირდაპირ არსაიდან რომ ჩნდებიან.

– ან იქნებ ტანსაცმელი გადაიცვა, – ჩაერთო მეხუთეკურსელი ჰაფლეპაფელი.

– შეიძლება, სულაც, შემოფრინდა, – თქვა დინ ტომასმა.

– კარგი რა, თქვენი გამკვირვებია, ნუთუ ჩემს მეტს „ჰოგვორტსის ისტორია“ არავის წაგიკითხავთ? – გაუჯავრდა ჰერმიონი ჰარისა და რონს.

– ალბათ, მაგრამ ეგ რა შუაშია? – ვერ მიუხვდა რონი.

– იმ შუაშია, რომ უნდა იცოდეთ: ციხე-კოშკი მარტო კედლებით კი არ არის დაცული! ათასნაირი ჯადო და შელოცვა იცავს, რომ არავინ შემოიპაროს. აპარაციით აქ ვერ შემოაღწევ. ან კიდევ ისეთი რა უნდა გადაეცვა, რომ დემენტორები მოეტყუებინა? ეგენი ხომ სკოლის ყველა შესასვლელს იცავენ. რომ შემოფრენილიყო, აუცილებლად დაინახავდნენ. ფილჩმა კი ყველა საიდუმლო გასასვლელი იცის, ამდენ ხანს აუცილებლად ამოქოლავდნენ...

– შუქს ვაქრობ! – დაიყვირა პერსიმ, – ყველანი საძილე ტომრებში ჩაწექით და თქვენი ხმა არ გავიგო!

ყველა სანთელი ერთბაშად ჩაქრა. ოთახში მხოლოდ ჰაერში მოფარფატე ვერცხლისფერი მოჩვენებები აფრქვევდნენ სინათლეს და სერიოზული სახით ესაუბრებოდნენ პრეფექტებს. მოჯადოებული ჭერი ნამდვილი ცის მსგავსად ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. დარ-ბაზში მაინც ისმოდა ბავშვების ჩურჩული. ჰარის კი ეჩვენებოდა, რომ ღია ცის ქვეშ ეძინა და სასიამოვნო ნიავიც ქროდა.

ყოველ საათში ერთხელ რომელიმე მასწავლებელი შემოდიოდა ხოლმე შესამოწმებლად. დაახლოებით ღამის სამ საათზე, როცა თითქმის ყველას ჩაეძინა, დარბაზში დამბლდორი შემოვიდა. ჰარიმ დაინახა, როგორ ეძებდა დამბლდორი პერსის, რომელიც საძილე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტომრებს შორის დააბიჯებდა და ბავშვებს უწყრებოდა, რატომ საუბრობთო. პერსი ორიოდ ნაბიჯზე იდგა ჰარის, რონისა და ჰერმიონისაგან. მათაც სასწრაფოდ თავი მოიმძინარეს. ამასობაში დამბლდორიც მიუახლოვდათ.

– ხომ არ გიპოვიათ, პროფესორო? – ჩურჩულით ჰკითხა პერსიმ.

– არა! აქ ყველაფერი რიგზეა?

– სიტუაციას ვაკონტროლებ, სერ!

– ძალიან კარგი. დილამდე აქ დარჩნენ, ნუ შევაწუხებთ, გრიფინდორის შესასვლელისთვის დროებითი მცველი ვიშოვე. ხვალ გრიფინდორელებს თავიანთ კოშკში დააბრუნებ.

– ფუშფუშა ქალბატონი, სერ?

– არგილშირის რუკაში იმალება მეორე სართულზე. როგორც ჩანს, ბლექი უპაროლოდ არ შეუშვა და ამიტომაც დაესხა თავს. ჯერაც ვერ დამშვიდებულა, მაგრამ როგორც კი ცოტა დაწყნარდება, ფილჩს შევაკეთებინებ.

ჰარიმ კარის ჭრიალისა და ნაბიჯების ხმა გაიგონა.

– დირექტორო, – ეს სნეიპის ხმა იყო, ჰარი გაფაციცებით უსმენდა, – მესამე სართული მთლიანად გავჩხრიკეთ. იქ არ არის. ფილჩმა სარდაფები დაათვალიერა, იქაც არაფერია.

– ასტრონომიის კოშკში თუ იყავით? ან პროფესორ ტრელოუნის ოთახში? საბუეში?

– ყველგან ვეძებთ...

– გმადლობთ, სევერუს. ასეც ვიცოდი, რომ ციხე-კოშკში არ დაიმალებოდა.

– პროფესორო, თქვენი აზრით, როგორ შემოიპარა სკოლაში?

ჰარიმ თავი წამოსწია, რომ მეორე ყურითაც ესმინა.

– ბევრი ვარაუდი მაქვს, მაგრამ არც ერთი არაა რეალური, სევერუს.

ჰარიმ ერთი წამით გაახილა თვალები. დამბლდორი ეფარებოდა, მაგრამ პერსის ყურადღებიან სახესა და სნეიპის გაბოროტებულ გამომეტყველებას მაინც ხედავდა.

– გახსოვთ ჩვენი საუბარი, დირექტორო? აი, სწორედ სემესტრის დაწყებამდე, – სნეიპი სულ ოდნავ ამოძრავებდა ტუჩებს, თითქოს არ სიამოვნებდა, ამ საუბარს პერსიც რომ უსმენდა.

– მახსოვს, სევერუს, – დამბლდორმა ისე უპასუხა, თითქოს რაღაცის გამო აფრთხილებსო.

– თითქმის შეუძლებელია, რომ ბლექი შიგნიდან დაუხმარებლად შემოპარულიყო სკოლაში. მე ხომ მოგახსენეთ, რომ არ ვეთანხმებოდი თქვენს გადაწყვეტილებას, როცა დანიშნეთ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არა მგონია, ამ სკოლაში ისეთი ადამიანი იყოს, რომელიც ბლექს შემოპარვაში დაეხმარებოდა, – ისე უთხრა დამბლდორმა, რომ სნეიპ-ისთვის გასაგები გახდა, ამ თემაზე საუბარი არ სურდა. მერე დასძინა: – დაბლა უნდა ჩავიდე, დემენტორებთან. დავპირდი, რომ ჩხრეკის დამთავრებისთანავე მივაწვდიდი ინფორმაციას.

– სერ, დახმარება არ შემოუთავაზებიათ? – ჰკითხა პერსიმ.

– როგორ არა, – ცივად მიუგო დამბლდორმა, – მაგრამ სანამ დირექტორი მე ვარ, ვერც ერთი დემენტორი ვერ გადმოაბიჯებს სკოლის ზღურბლს!

პერსი შეიშმუშნა. დამბლდორი სწრაფი ნაბიჯით გავიდა დარ-ბაზიდან. სნეიპი ერთხანს იდგა და დირექტორს ღვარძლიან მზერას არ აცილებდა. მერე თვითონაც გავიდა.

ჰარიმ რონსა და ჰერმიონს გადახედა. ორივეს თვალები დაეჭყიტა და ვარსკვლავებიან ჭერს უცქეროდნენ.

– ვერაფერიც ვერ გავიგე... – ჩაიბუტბუტა რონმა.

* * *

მომდევნო დღეებში მთელი სკოლა მხოლოდ სირიუს ბლექზე ლაპა-რაკობდა. ათასნაირ, ყოვლად დაუჯერებელ ვერსიებს თხზავდნენ. ჰაფლეპაფელი ჰანა ებოტი მთელი ჰერბოლოგიის გაკვეთილი გაუ-ჩერებლად ელაქლაქებოდა ჯგუფელებს, ალბათ ყვავილის ბუჩქად გადაიქცაო.

ფუშფუშა ქალბატონის დაგლეჯილი ტილო კედლიდან ჩამოხსნეს და მის ნაცვლად სერ კადოგანისა და ჩასუქებული რუხი პონის სურა-თი ჩამოკიდეს. სერ კადოგანი გამუდმებით დუელში იწვევდა ვიღა-ცას ან კიდევ სრულიად უაზრო და რთულ პაროლებს იგონებდა, რომელთაც დაახლოებით დღეში ორჯერ ცვლიდა.

– ვინაა ეს გიჟი?! – უთხრა ერთხელაც აღშფოთებულმა სიმუს ფინიგანმა პერსის, – სხვას ვერ ვიშოვით?

– არც ერთი სურათი არ თანხმდება ამ სამუშაოს, – აუხსნა პერ-სიმ, – ყველა შეაშინა ფუშფუშა ქალბატონის ამბავმა. სერ კადოგანი ერთადერთი გამბედავი პორტრეტი აღმოჩნდა და მოხალისედ წამოგ-ვყვა.

ჰარისთვის რომ გეკითხათ, სერ კადოგანი ახლა სულაც არ ადარდებდა. სადაც უნდა წასულიყო, ყველგან უთვალთვალებდნენ. მასწავლებლები რას არ იგონებდნენ, რომ დერეფნებში გაეცილე-ბინათ, პერსი უისლი კი ბომბორა ძაღლივით სულ კუდში დასდევდა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

(ამაში უთუოდ ქალბატონი უისლის ხელი ურევიაო, გაიფიქრა ჰარიმ). ყველაფერს ისიც დაემატა, რომ ერთხელ პროფესორმა მაკგონაგელმა თავის კაბინეტში დაიბარა. ქალს ისეთი სახე ჰქონდა, გეგონებოდათ, ვილაც მოჰკვდომიაო.

– პოტერ, რაღა აზრი აქვს ამის დამალვას, – წამოიწყო შეწუხებულმა, – როცა ამ ამბავს გაიგებ, თავზარი დაგეცემა, მაგრამ სირიუს ბლექი...

– ვიცი, რომ მე დამდევს, – ამოიოხრა ჰარიმ, – გავიგონე, როგორ ელაპარაკებოდა რონის მამა თავის ცოლს. ბატონი უისლი ხომ მაგიის სამინისტროში მუშაობს.

პროფესორ მაკგონაგელს განცვიფრებისგან ენა ჩაუვარდა. კარგა ხანს თვალი არ მოუცილებია ჰარისთვის, ბოლოს ძლივს უთხრა:

– გასაგებია! პოტერ, ახლა ხომ გესმით, რატომ არ მინდა, ამ საღამოს ქვიდიჩის ვარჯიშზე გაგიშვათ? ღია მოედანზე თქვენი გუნდის წევრების მეტი არავინ იქნება, ადვილად ჩაგიგდებთ ხელში...

– შაბათს პირველი მატჩი გვაქვს! – შეეკამათა ჰარი, – უნდა ვივარჯიშო, პროფესორო!

პროფესორმა დაკვირვებით შეათვალიერა. ჰარიმ კარგად იცოდა, რომ პროფესორს თავადაც უნდოდა, გრიფინდორის გუნდს როგორმე მოეგო. ბოლოს და ბოლოს, თვითონ შესთავაზა გუნდის კაპიტანს, სიკერად ჰარი ავიყვანოთო. ასე რომ, ახლა სუნთქვაშეკრული ელოდა მის გადაწყვეტილებას.

– ჰმ... – პროფესორი ფანჯრიდან ქვიდიჩის მოედანს გადაჰყურებდა, რომელიც წვიმაში ძლივსღა მოჩანდა, – ეჰ... ღმერთმა იცის, ძალიან მინდა, რომ ჩვენმა გუნდმა თასი მოიგოს... ბოლოს და ბოლოს... მაგრამ მაინც, პოტერ... უფრო დამშვიდებულად ვიგრძნობ თავს, თუ ვარჯიშს ერთი მასწავლებელი მაინც დაესწრება. მადამ ჰუჩს ვთხოვ, თქვენს ვარჯიშებს დაესწროს.

* * *

ქვიდიჩის პირველი მატჩი ახლოვდებოდა. ამინდი უფრო გაუარესდა. მიუხედავად ამისა, გრიფინდორის გუნდი, მადამ ჰუჩის მეთვალყურეობით, გაათკეცებული მონდომებით ვარჯიშობდა. მატჩის წინადღეს, ბოლო ვარჯიშის დროს, ოლივერ ვუდმა გუნდს ცუდი ამბავი შეატყობინა:

– სლიზერინს არ ვეთამაშებით, ფლინტი ვნახე ახლახან, ჰაფლეპაფს ვეთამაშებით.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რატომ? – ერთხმად შესძახა მთელმა გუნდმა.

– ფლინტმა თავი გაიმართლა, ჩვენს სიკერს ხელის ტრავმა ჯერ კიდევ აწუხებსო, – ვუდმა სიბრაზისგან კბილები გააკრაჭუნა, – ვითომ ჩვენ ვერ ვხვდებით, ამას რატომ აკეთებენ! არ უნდა ასეთ ამინდში თამაში. ალბათ ჰგონიათ, რომ კარგად არ გამოუვათ...

მთელ დღეს კოკისპირულად წვიმდა და ძლიერი ქარი ქროდა. ახლა კი, სანამ ვუდი ლაპარაკობდა, შორიდან ჭექა-ქუხილის ხმაც გაისმა.

– მალფოის ხელზე არაფერი სჭირს! – გაცხარდა ჰარი, – თავს იკატუნებს!

– ვიცი, მაგრამ ვერ დავუმტკიცებთ, – მწარედ ამოიოხრა ვუდმა, – თანაც, ჩვენ ხომ სპეციალურად სლიზერინის წინააღმდეგ სათამაშოდ ვემზადებოდით. ახლა კი ჰაფლეპაფი შემოგვაჩეჩეს, მაგათ სრულიად განსხვავებული თამაშის სტილი აქვთ. ჰო, კიდევ ახალი კაპიტანი და სიკერი ჰყავთ, სედრიკ დიგორი.

ანჯელინა, ალისია და ქეითი ახითხითდნენ.

– რა გაცინებთ? – მოიღუშა ვუდი, – ახლა მხიარულების დროა?

– ეგ ის მაღალი, სიმპათიური ბიჭი არ არის? – იკითხა ანჯელინამ.

– ჩუმი და ძლიერი, – დაუმატა ქეითმა და სამივე ისევ ახითხითდა.

– ჩუმად იმიტომაა, რომ ბატისტვინაა და ორ სიტყვას ერთმანეთს ვერ აბამს, – მოთმინება დაეკარგა ფრედს, – არ მესმის, რატომ ნერვიულობ, ოლივერ, ჰაფლეპაფელები სუსტები არიან. ჩვენი წინა თამაში გახსოვს? ჰარიმ თითქმის მეხუთე წუთზე დაიჭირა სნიჩი!

– მაშინ სრულიად სხვა პირობებში ვთამაშობდით, – თვალები დაუბრიალა ვუდმა, – დიგორი ძალიან ჭკვიანი კაპიტანი და შესანიშნავი სიკერია! ასეც ვიცოდი, რომ ამ ამბავს არასერიოზულად მიიღებდით! არ უნდა მოვდუნდეთ! არ უნდა მოვეშვათ! სლიზერინელები ცდილობენ, დაგვთარსონ! ჩვენ უსიკვდილოდ უნდა მოვიგოთ!

– დაწყნარდი, ოლივერ! – შეშფოთდა ფრედი, – ნუ გეშინია, ჰაფლეპაფელებს სერიოზულად ვუყურებთ! თანაც, ძალიან სერიოზულად!

* * *

მატჩის წინადღეს საშინელი ქარი და წვიმა მძვინვარებდა. დერეფნებსა და საკლასო ოთახებში ისე ჩამობნელდა, რომ ჩირაღდნებიც კი აანთეს. სლიზერინის გუნდის მოთამაშეები კმაყოფილებას ვერ მალავდნენ, განსაკუთრებით კი მალფოი ბრწყინავდა ბედნიერებისგან.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ეჰ, ნეტა ხელი არ მტკიოდეს, – ოხრავდა მოსაჩვენებლად.

ქარიშხალი და წვიმა ფანჯრის მინებს აზანზარებდა. ჰარის იმ დღეს, მატჩის გარდა, სხვა არაფერი ადარდებდა. ოლივერ ვუდი ყოველ დასვენებაზე მასთან მირბოდა და რჩევებს აძლევდა. მესამე მოსვლაზე ვუდს დიდხანს გაუგრძელდა სიტყვა. ჰარი უცებ გამოერკვა, უკვე ათი წუთი დააგვიანა ბნელი ძალებისაგან თავდაცვის გაკვეთილზე, და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. ვუდი მაინც მისძახოდა:

– დიგორი მოსახვევებში ძალიან მოხერხებულად დაქრის, ჰარი, უნდა შეეცადო, როგორმე თავი აარიდო...

ჰარი საკლასო ოთახს მიაწყდა, კარი გამოაღო და ოთახში შევარდა:

– მაპატიეთ, პროფესორო, დამაგვიანდა...

მაგრამ მასწავლებლის მაგიდასთან, პროფესორ ლუპინის ნაცვლად, პროფესორი სნეიპი იჯდა.

– გაკვეთილი უკვე ათი წუთია, დაიწყო, პოტერ. ასე რომ, ათი საჯარიმო ქულა გრიფინდორს. დაბრძანდით!

ჰარის ფეხი არ მოუცვლია:

– პროფესორი ლუპინი სად არის? – იკითხა.

– შემომითვალა, ავად ვარ და გაკვეთილს ვერ ჩავატარებო, – ბოროტად ჩაიღიმა სნეიპმა, – მე მგონი, გასაგებად გითხარით, დაბრძანდით-მეთქი!

ჰარი ისევ ისე იდგა.

– რა სჭირს?

სნეიპს შავი თვალები ავად აუელვარდა და თითქმის სინანულით თქვა:

– არაფერი სერიოზული. კიდევ ხუთი საჯარიმო ქულა გრიფინდორს და კიდევ ერთხელ თუ გამამეორებინებთ, მაშინ ორმოცდაათი ქულით დაჯარიმდებით!

ჰარი ფეხათრევით წავიდა თავისი მერხისკენ და დაჯდა. სნეიპმა სტუდენტებს გადახედა:

– ჰო, სანამ პოტერი შემაწყვეტინებდა, იმას გეუბნებოდით, რომ პროფესორ ლუპინს ჟურნალში არა აქვს მითითებული, რომელი საკითხები გაიარეთ...

– სერ, მე გეტყვით: ბოგარტები, წითელქუდიანები, წყლის ქაჯები და გრინდილოუები, – სხაპასხუპით მიაყარა ჰერმიონმა, – და უკვე უნდა დაგვეწყო...

– ჩუმად! – ცივად მოუჭრა სნეიპმა, – მე თქვენთვის არ მიკითხავს. მე, უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ პროფესორ ლუპინს მთლად კარგად არ ჰქონია ყველაფერი მოწესრიგებული.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ბნელი ძალებისაგან თავდაცვაში ასეთი კარგი მასწავლებელი არასოდეს გვყოლია, – გათამამდა დინ ტომასი. კლასში თანხმობის ნიშნად ჩურჩული ატყდა. სნეიპი ავისმომასწავებლად მოიღუშა:

– თქვენ ძალიან მცირედით კმაყოფილდებით! როგორც ჩანს, ლუპინი მაინცდამაინც არ გტვირთავთ... წითელქუდიანებს პირველკურსელებიც კი მოერევიან. დღეს კი ვისაუბრებთ... – ჰარი უყურებდა, როგორ გადაათვალიერა სნეიპმა სახელმძღვანელო და სულ ბოლო თავზე გადაშალა. რასაკვირველია, ეს თავი ჯერ გავლილი არ ექნებოდათ, – მაქციებზე, – დაასრულა სნეიპმა.

– კი მაგრამ, სერ, – თავი ვერ შეიკავა ჰერმიონმა, – წესით, ჯერ მაქციები არ უნდა გაგვევლო, ჯერ...

– მის გრეინჯერ, – ცივი ხმით შეაწყვეტინა სნეიპმა, – თუ ნებას მომცემთ, გაკვეთილს მე ჩავატარებ და არა თქვენ! ახლა კი ყველამ გადაშალეთ თქვენი სახელმძღვანელოები სამას ოთხმოცდამეთოთხმეტე გვერდზე. ახლავე-მეთქი, ყველას გეხებათ!

ბავშვებმა უკმაყოფილო ბუზღუნით გადაშალეს წიგნები.

– აბა, ვინ მეტყვის, რით განსხვავდება მაქცია ჩვეულებრივი მგლისგან?!

ყველანი გაისუსნენ, თუმცა ჰერმიონმა, როგორც ყოველთვის, სასწრაფოდ ასწია ხელი.

– არც ერთმა არ იცით? – სნეიპი ჰერმიონს ყურადღებას არ აქცევდა, სახეზე ისევ ის ბოროტი ღიმილი დასთამაშებდა, – როგორ, განა პროფესორმა ლუპინმა არ გასწავლათ ძირითადი განსხვავებები...

– ხომ გითხარით, – გაბედა პარვატიმ, – მაქციები ჯერ არ გაგვივლია...

– სიჩუმე! – შეუბღვირა სნეიპმა, – ო-ჰო-ჰოო, არ მეგონა, რომ მესამეკურსელებს მაქციის ამოცნობა არ შეგეძლოთ... მერე, სადმე რომ გადაეყაროთ? პროფესორ დამბლდორს აუცილებლად შევატყობინებ, რომ ძალიან ჩამორჩენილხართ...

– თუ შეიძლება, სერ, – ჰერმიონი ისევ ხელს იწევდა, – მაქცია ნამდვილი მგლისაგან რამდენიმე უმნიშვნელო თვისებით განსხვავდება. მაქციის დინგი...

– მის გრეინჯერ, ეს უკვე მეორედ ეჩრებით უადგილოდ, – სნეიპს სუსხიანი ხმა ჰქონდა, – ხუთი საჯარიმო ქულა გრიფინდორს, იმიტომ, რომ თავი ჭკუის კოლოფად და ყოვლისმცოდნედ მოგაქვთ!

ჰერმიონი გაწითლდა, ხელი ჩამოუშვა და აცრემლებული თვალებით იატაკს დააშტერდა. მთელი კლასი სიძულვილით უცქეროდა პროფესორ სნეიპს, მართალია, თვითონაც არაერთხელ დაუძახიათ ჰერმიონისთვის „ჭკუისკოლოფა“, რონიც ხშირად აწვალებდა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხოლმე, მაგრამ ახლა გაბრაზებულმა მიახალა პროფესორს:

– თქვენ კითხვა დაგვისვით, ჰერმიონმა კი იცის პასუხი. თუ პასუხის მოსმენა არ გინდოდათ, აბა, რატომ გვეკითხებოდით?

ყველანი მიხვდნენ, რომ რონმა მეტისმეტად შორს შეტოპა. სნეიპი ნელა მიუახლოვდა ბიჭს. ბავშვები გაისუსნენ.

– დამატებითი სამუშაო, უისლი, – სახე სახესთან მიუტანა სნეიპმა, – და კიდევ ერთხელ თუ დამიწყებთ ჭკუის სწავლებას, როგორ ჩავატარო გაკვეთილი, მწარედ განანებთ!

მთელი დარჩენილი დრო ყველანი ჩუმად იყვნენ, ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა. სახელმძღვანელოდან რაღაცეებს იწერდნენ მაქციების შესახებ. ამასობაში სნეიპი წინ და უკან დადიოდა და პროფესორ ლუპინის მიცემულ დავალებებს ამოწმებდა.

– ძალიან ცუდადაა ახსნილი... ეს კი საერთოდ არასწორია, წყლის ქაჯები უფრო მონღოლეთში არიან გავრცელებულები... პროფესორმა ლუპინმა ამ ნამუშევარში 8 ქულა დაგიწერათ? მე სამსაც არ დაგიწერდით...

ბოლოს და ბოლოს, ზარიც დაირეკა. სნეიპმა გასასვლელად მომზადებული ბავშვები შეაყოვნა:

– დავალებად გაძლევთ თემას „როგორ ამოვიცნოთ მაქცია". ნამუშევრებს მე ჩამაბარებთ. მოცულობა უნდა იყოს ორი პერგამენტი, დრო კი ორშაბათ დილამდე გექნებათ. დროა, ამ საგანს ვინმემ წესიერად მოჰკიდოს ხელი. უისლი, ერთი წუთით დამელოდეთ, უნდა გადავწყვიტო, სასჯელად რა დამატებითი სამუშაო მოგცეთ.

ჰარი და ჰერმიონი სხვებთან ერთად გავიდნენ საკლასო ოთახიდან. როგორც კი ბავშვები საკლასო ოთახს მოშორდნენ, გამწარებულები მოჰყვნენ სნეიპის ლანძღვას.

– სნეიპი ასე ბნელი ძალებისაგან თავდაცვის არც ერთ მასწავლებელს არ მოჰქცევია, თუმცა ეს ადგილი ყოველთვის უნდოდა, – უთხრა ჰარიმ ჰერმიონს, – ნეტავ, ლუპინს რატომ გადაეკიდა? როგორ გგონია, იმ ბოგარტის გამო?

– არ ვიცი, – დაფიქრდა ჰერმიონი, – მაგრამ იმედია, პროფესორი ლუპინი მალე გამოჯანმრთელდება...

გაცოფებული რონი მეგობრებს ხუთ წუთში წამოეწია:

– იცით, მაგ... (რონმა სნეიპს ისეთი სახელი უწოდა, რომ ჰერმიონმა ყურებზე ხელები აიფარა) რა დამავალა? საავადმყოფო ფლიგელში ღამის ქოთნები უნდა გავხეხო. თანაც, შელოცვებს ვერ გამოვიყენებ! – გაცეცხლებული სულს ძლივს ითქვამდა და მუშტებს იქნევდა, – ნეტავ ბლექი სნეიპის კაბინეტში დამალულიყო! რა ბედნიერი ვიქნებოდით, კისერი რომ მოეგრიხა ამ...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

* * *

მეორე დილით ჰარის უთენია გაეღვიძა, ჯერ ისევ ბნელოდა. გაიფიქრა, ალბათ ქარის ღმუილმა გამაღვიძაო, მაგრამ უცებ კისერში ცივი სუნთქვა იგრძნო და სასწრაფოდ წამოხტა. პოლტერგეისტი პივსი იქვე დაფარფატებდა და მთელი მონდომებით უბერავდა ყურში.

– რა ჯანდაბა გინდა? – შეუყვირა ჰარიმ.

პივსმა ლოყები გამობუშტა, მთელი ძალით შეუბერა სული, დაპატარავდა და ხორხოცით გაუჩინარდა ოთახიდან.

ჰარიმ ხელის ფათურით იპოვა მაღვიძარა და დახედა. ხუთის ნახევარი იყო. პივსს გულში შეუკურთხა, გადაბრუნდა და ისევ დაძინება სცადა, მაგრამ ძალიან გაუჭირდა. უკვე მთლად გამოფხიზლებულს ჭექა-ქუხილი, ქარის ღრიალი და სადღაც შორს, აკრძალულ ტყეში მოჭრიალე ხეების ხმა არ ასვენებდა. რამდენიმე საათში ქარიშხალსა და თავსხმაში მოუწევდა ქვიდიჩის მოედანზე სათამაშოდ გასვლა. ბოლოს მიხვდა, რომ ვეღარ დაიძინებდა, ადგა, ტანთ ჩაიცვა, „ნიმბუს 2000“ აიღო და საძინებლიდან ფეხაკრეფით გავიდა.

კარი გააღო თუ არა, ფეხზე რაღაც გაეხახუნა. მოასწრო, ბოს ფაფუკ კუდში ჩაავლო ხელი და გარეთ გაათრია.

– როგორც ჩანს, რონი არ შემცდარა, – უთხრა დაეჭვებულმა ჰარიმ კატას, – თაგვების მეტი რა არის ამ სკოლაში, წადი და იმათ სდიე! სკაბერზს თავი დაანებე! – ჰარიმ კატას ფეხი წაჰკრა და ხვეულ კიბეზე ჩააგდო.

საერთო ოთახში ქარიშხლის ღრიალი უფრო შემზარავად ისმოდა. ჰარიმ იცოდა, რომ ასეთი წვრილმანებისთვის მატჩს მაინც არ გადადებდნენ. ახლა სედრიკ დიგორიზე ფიქრი არ ასვენებდა. ერთხელ ვუდმა დერეფანში დაანახა: მეხუთეკურსელი სედრიკ დიგორი ჰარიზე გაცილებით მაღალი იყო. საერთოდ, სიკერები ყოველთვის მსუბუქები და ძალიან მარდები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ასეთ ამინდში დიგორის წონის გამო დიდი უპირატესობა ჰქონდა, ქარი მის ცოცხს მიმართულებას ვერ შეუცვლიდა.

ჰარი ბუხართან იჯდა და შიგადაშიგ წამოხტებოდა ხოლმე, რომ ბიჭების საძინებლისკენ გამძვრალი ბო დაეჭირა. კარგა ხნის შემდეგ ჰარიმ გაიფიქრა, ალბათ უკვე საუზმის დროაო, და მარტო გადაძვრა პორტრეტის ხვრელში.

– აბა, მაგრად დამიდექ და შემებრძოლე, ლაჩარო! – შეუყვირა სერ კადოგანმა.

– მოკეტე ერთი! – დაამთქნარა ჰარიმ.

გემრიელმა ფაფამ თანდათან გონს მოიყვანა, მერე ჯემწასმული

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შებრაწული პურის ჭამას შეუდგა, ამასობაში მისი თანაგუნდელებიც გამოჩნდნენ.

– დღეს ძალიან გაგვიჭირდება, – აღნიშნა ვუდმა. საჭმელს პირს არ აკარებდა.

– დაწყნარდი, ოლივერ! – დაუყვავა ალისიამ, – ამ ჟუჟუნა წვიმისა სულაც არ გვეშინია!

ასეთ თავსხმას ჟუჟუნა წვიმას ნამდვილად ვერ დაარქმევდი. ქვიდიჩი იმდენად პოპულარული იყო, რომ მთელი სკოლა მიდიოდა მატჩის საყურებლად, მინდვრებზე გამორბოდნენ, გამძვინვარებული ქარი სახეში სცემდათ, ქოლგები ხელიდან უსხლტებოდათ, მაგრამ მაინც მიდიოდნენ. გასახდელში შესვლამდე ჰარიმ სტადიონისკენ მიმავალი მალფოი, კრაბი და გოილი დაინახა, უზარმაზარი ქოლგა ეჭირათ და ჰარიზე ხელით ანიშნებდნენ, თან ხმამაღლა იცინოდნენ.

გუნდის მოთამაშეებმა ალისფერი ფორმები გადაიცვეს და, ჩვეულებისამებრ, ვუდის რჩევა-დარიგებებსღა ელოდნენ. კაპიტანმა რამდენჯერმე სცადა სიტყვის წარმოთქმა, მაგრამ ხმა ჩაუწყდა, ნერწყვი გადაყლაპა, უიმედოდ გააქნია თავი და გუნდს გარეთ გაუძღვა.

მოედანზე გამოსულები ძლიერმა ქარმა შეატორტმანა. გულშემატკივრების ყვირილიც აღარ ესმოდათ, რადგან ჭექა-ქუხილი ყველაფერს ახშობდა. ჰარის სათვალე დაუსველდა, ესე იგი სნიჩს კარგად ველარ დაინახავდა! მოედნის მეორე ბოლოდან მათკენ ყვითელ ფორმებში გამოწყობილი ჰაფლეპაფელები მოემართებოდნენ. კაპიტნები ერთმანეთს მიუახლოვდნენ და ხელი ჩამოართვეს; დიგორიმ გაიღიმა, მაგრამ ვუდს თითქოს ყბები ერთმანეთზე შეეწებაო, მხოლოდ თავის დაკვრა მოახერხა. ჰარი მადამ ჰუჩის ტუჩების მოძრაობით მიხვდა, რომ ცოცხზე უნდა ამხედრებულიყო და ტალახიანი ფეხი ცოცხს გადაატარა. მადამ ჰუჩმა სასტვენი პირში ჩაიდო და ჩაჰბერა. სტვენის ხმა სადღაც შორიდან გაისმა და მოთამაშეები მიწას მოსწყდნენ.

ჰარი სწრაფად აფრინდა მაღლა, მაგრამ „ნიმბუს 2000“-ს ქარი ძლიერად არყევდა. შეეცადა, რაც შეიძლებოდა მყარად დაეჭირა ცოცხი, მერე შემოტრიალდა და თვალები დააცეცა.

ხუთ წუთში ერთიანად გაწუწულ-გათოშილი ჰარი თავის თანაგუნდელებს ძლივსღა ხედავდა და ერთი ციცქნა სნიჩი, აბა, როგორღა უნდა შეემჩნია? ბიჭი მოედნის თავზე ტრიალებდა, ქვემოთ კი წითელი და ყვითელი ლაქები დაფრინავდნენ, წარმოდგენა არ ჰქონდა, რა ანგარიში იყო, საერთოდ, რა ხდებოდა. ქარის გამო არც კომენტატორის ხმა ესმოდა. მაყურებლებსაც დაბრეცილი ქოლგები და მოსასხამები მალავდა. ორჯერ ბეწვზე ასცდა ბლაჯერი, თორემ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უეჭველად ჩამოვარდებოდა, დაორთქლილი სათვალიდან ვერაფერს ხედავდა და, რა თქმა უნდა, ვერც ბლაჯერები შეამჩნია.

დროის შეგრძნება სრულიად დაეკარგა. ცოცხის მართვა სულ უფრო უჭირდა. ცა კიდევ უფრო მოიქუფრა, გეგონებოდათ, ნაადრევად დაღამდაო. ჰარი ორჯერ კინაღამ სხვა მოთამაშეს დაეჯახა, არც კი იცოდა, მისი თანაგუნდელი იყო თუ მეტოქე. ყველანი ისეთი გაწუწულები იყვნენ და წვიმაც ისე ასხამდა, რომ მართლა ჭირდა მოთამაშეების ერთმანეთისაგან გარჩევა.

უცებ თვალისმომჭრელად გაიელვა და მადამ ჰუჩის სასტვენის ხმაც გაისმა. ჰარიმ როგორღაც დაინახა, რომ ვუდი ხელით ანიშნებდა, დაბლა ჩამოდიო. გუნდი ტალახიან მოედანზე დაეშვა.

– ტაიმაუტი ვითხოვე, – გაჰყვიროდა ვუდი, – აქეთ მოიწით...

გრიფინდორელები მოედნის ახლოს მდგარ დიდ ქოლგას შეეფარნენ. ჰარიმ სათვალე მოიხსნა და სწრაფად გაწმინდა მანტიის კალთით.

– რა ანგარიშია?

– ორმოცდაათი ქულით ვიგებთ, – უთხრა ვუდმა, – მაგრამ თუ სნიჩს დროზე არ დავიჭერთ, თამაში დაღამებამდე გაგვიგრძელდება.

– რა ვქნა, ეს მიშლის ხელს, – სათვალე გააქნია ჰარიმ.

ამასობაში ჰერმიონიც გამოჩნდა, თავზე მანტია წაეფარებინა და თვალები ეშმაკურად უბრწყინავდა.

– რაღაც აზრი მომივიდა, ჰარი! მომე შენი სათვალე, სწრაფად!

ჰარიმ სათვალე მიაწოდა. ყველანი გაოცებულები მიაჩერდნენ ჰერმიონს. გოგონამ სათვალეს მსუბუქად დაჰკრა ჯოხი და დაიძახა:

– იმპერვიუს! – მერე პატრონს დაუბრუნა და უთხრა, – ახლა წყალი არ მიეკარება.

ვუდს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს მზად იყო, იქვე, ყველას თვალწინ გადაეკოცნა ჰერმიონი.

– მშვენიერია! – შესძახა გახარებულმა, – აბა, მოვემზადოთ და შევუტიოთ!

ჰერმიონის შელოცვამ გაამართლა, ჰარი ისევ გათოშილი და თავიდან ფეხებამდე გაწუწული იყო, მაგრამ ყველაფერს უკეთ ხედავდა. თითქოს ახალი ძალით აივსო, თავისი ცოცხით ქარიშხლიან ცაში აიჭრა, თან გაფაციცებით ეძებდა სნიჩს, ბლაჯერებს კი უსხლტებოდა, ერთხელაც საწინააღმდეგო მხარეს მიმავალ დიგორის გაუძვრა ქვეშ.

ისევ გაიელვა, რასაც გამაყრუებელი ჭექა-ქუხილი მოჰყვა. თამაში სულ უფრო სახიფათო ხდებოდა. როგორმე სნიჩი უნდა დაეჭირა.

ჰარი მოტრიალდა, რათა ისევ მოედნის შუაგულისკენ გაფრენილი-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ყო, მაგრამ უცებ ტრიბუნები ელვამ გაანათა და ჰარიმ ისეთი რაღაც დაინახა, რამაც თამაში საერთოდ გადაავიწყა: ზედა რიგში, ცარიელ სკამებს შორის, უზარმაზარი შავი ძაღლი იჯდა. ჰარის გაშეშებული ხელები ჩამოუცურდა და ცოცხიც რამდენიმე მეტრით დაეშვა ძირს, მერე სველი თმა გადაიწია და ისევ ტრიბუნისკენ გაიხედა, მაგრამ ძაღლი უკვე გამქრალიყო.

– ჰარი, – დაუღრიალა გაბრაზებულმა ვუდმა, – ჰარი, უკან მიიხედე! უკან!

ჰარი დაფეთებული მიტრიალდა. სედრიკ დიგორი გამწარებული მიფრინავდა მაღლა, მათ შორის ჰაერში ერთი ბეწო ოქროს მოციმციმე ბურთი ლივლივებდა...

თავზარდაცემული ჰარი ცოცხის ტარზე გადაწვა და ელვის სისწრაფით გაქანდა სნიჩისკენ.

– მიიდიიი, – დაუჭყივლა ცოცხს, წვიმა სახეში სცემდა, – მიდი, უფრო სწრაფა

* * *

– ბედმა გაულიმა, მიწა ასეთი ტალახიანი რომ იყო!

– მეგონა, ვერ გადარჩებოდა!

– შეხედეთ, სათვალეც კი არ გასტეხია!

ჰარის ესმოდა ხმები, მაგრამ ვერაფერს ხვდებოდა. წარმოდგენა არ ჰქონდა, სად იყო ან როგორ მოხვდა აქ, ან მანამდე რას აკეთებდა. ერთი კია, მთელი სხეული მაგრად ნაცემივით სტკიოდა.

– ასეთი საშინელება ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს!

„საშინელება... ყველაზე საშინელი... კაპიუშონიანი არსებები... სიცივე... კივილი...“

ჰარიმ თვალები დააჭყიტა. საავადმყოფო ფლიგელში იწვა. თავიდან ფეხებამდე ტალახში ამოთხვრილი თანაგუნდელები მის საწოლს შემოხვეოდნენ. რონი და ჰერმიონიც იქვე იდგნენ, ისეთი გაწუწულები იყვნენ, თითქოს ეს-ესაა, წყლიდან ამოვიდნენო.

– ჰარი! – შესძახა მთლად გაფითრებულმა ფრედმა, – როგორა ხარ?

ჰარის ყველაფერი ელვის სისწრაფით დაუტრიალდა თავში. ჭექა-ქუხილი... გრიმი... სნიჩი... და დემენტორები...

– რა მოხდა? – ჰარი საწოლში ისე სწრაფად წამოჯდა, რომ ყველანი შეცბნენ.

– ცოცხიდან ჩამოვარდი, დაახლოებით ას ორმოცდაათი მეტრის სიმაღლიდან, – აუხსნა ფრედმა.

– არ გვეგონა, თუ გადარჩებოდი, – კანკალებდა ალისია.

ტირილისგან თვალებდაწითლებულმა ჰერმიონმა კი ამოისლუკუნა.

– კი მაგრამ, მატჩი? – მოაგონდა ჰარის, – რა მოხდა? გადათამაშების უფლებას მოგვცემენ?

არავის უპასუხია. ჰარის საშინელმა აზრმა გაუელვა.

– რა... წა... ვაგეთ?

– დიგორიმ სნიჩი დაიჭირა, – უთხრა ჯორჯმა, – როგორც კი შენ ჩამოვარდი. ვერ დაინახა, რა ხდებოდა. როცა მიწაზე დავარდნილი დაგინახა, სცადა, თამაშის შედეგი გაეუქმებინა და გადათამაშება მოეთხოვა. მაგრამ რაღას ვიზამდით, დიდი ანგარიშით და სრულიად სამართლიანად მოგვიგეს... ამას ვუდიც კი აღიარებს.

– ვუდი სადღაა? – ჰარიმ უცებ შეამჩნია, რომ კაპიტანი იქ არ იყო.

– საშხაპეშია, მე მგონი, თავის დახრჩობას აპირებს, – გაიხუმრა ფრედმა.

ჰარიმ სახე ხელებში ჩარგო. ფრედმა მხარში ჩაავლო ხელი და შეანჯღრია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მოიცა რა, ჰარი, ადრე ხომ არასოდეს გაგიშვია სნიჩი!

– არც ერთხელ! არ მახსოვს, როდისმე არ დაგეჭიროს! – დაუდასტურა ჯორჯმა.

– ჯერ ყველაფერი წინა გვაქვს! ასი ქულით წავაგეთ! ასე რომ, თუ ჰაფლეპაფი რეივენქლოსთან წააგებს და ჩვენ კი რეივენქლოსა და სლიზერინს დავამარცხებთ...

– ჰაფლეპაფელებმა, სულ ცოტა, ორასი ქულით მაინც უნდა წააგონ, – აღნიშნა ჯორჯმა.

– მაგრამ, თუ რეივენქლოს დაამარცხებენ...

– ვერაფერსაც ვერ უზამენ, რეივენქლო ძლიერი გუნდია. მაგრამ, თუ სლიზერინი დამარცხდება ჰაფლეპაფთან...

– ყველაფერი ქულებზეა დამოკიდებული... ერთი სიტყვით, ასი ქულის სხვაობა ან იქით, ან აქეთ...

ჰარი ხმის ამოუღებლად დაწვა. მისი გუნდი დამარცხდა... ცხოვრებაში პირველად წააგო ქვიდიჩის მატჩი.

ათიოდ წუთში ოთახში მადამ პომფრი შემოვიდა და ბრძანა, ჰარის დასვენება სჭირდებაო.

– მოგვიანებით გინახულებთ, – უთხრა ფრედმა, – თავს ნუ იტანჯავ, ჰარი, შენ მაინც ჩვენი საუკეთესო სიკერი ხარ!

თანაგუნდელები პალატიდან გაიკრიფნენ, იქაურობა კი ტალახით მოსვარეს. მადამ პომფრიმ კარი მიხურა, ცოტა უკმაყოფილო ჩანდა. რონი და ჰერმიონი ჰარის საწოლს მიუახლოვდნენ.

– დამბლდორი ძალიან გაბრაზდა! – ჰერმიონი ისევ სლუკუნებდა, – ასეთი გაცოფებული არასოდეს მინახავს! როგორც კი ძირს ვარდნა დაიწყე, მოედანზე გავარდა, ჯოხი აიქნია და შენც უფრო ნელა დაეშვი მიწაზე. მერე ჯოხი დემენტორებს მიუშვირა და რაღაც ვერცხლისფერი ესროლა. ისინიც იმწუთასვე გაქრნენ. გაცეცხლებული იყო, სკოლის ტერიტორიაზე შემოსვლა როგორ გაბედესო. გავიგონეთ, როგორ ყვიროდა...

– მერე დამბლდორმა საკაცე მოაჯადოვა, – განაგრძო რონმა, – და ჰაერში ლივლივით შემოგიყვანა სკოლაში. ყველას ეგონა, რომ... – რონს ხმა ჩაუწყდა, თუმცა ჰარის მისთვის ყურადღება არ მიუქცევია. ახლა დემენტორებზე ფიქრობდა... ისევ ის კივილი მოაგონდა. მერე უცებ გამოერკვა ფიქრებიდან, დაინახა, როგორი ყურადღებით მისჩერებოდნენ რონი და ჰერმიონი, და სასხვათაშორისოდ იკითხა:

– ჩემი „ნიმბუსი“ წამოიღო ვინმემ?

რონმა და ჰერმიონმა ერთმანეთს გადახედეს.

– ისა...

– რა იყო? – ჰარი ხან ერთს უყურებდა, ხან – მეორეს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ისა... როცა ჩამოვარდი, ქარმა გაიტაცა და... – ვერ დაასრულა ჰერმიონმა.

– მერე?

– და... და... და მტარვალ ტირიფს დაეჯახა.

ჰარის გულ-მუცელი გადაუტრიალდა. მტარვალი ტირიფი ხომ ის აგრესიული ხე იყო, რომელიც სკოლის ეზოში იდგა.

– მერე რა მოხდა? – ისეთი ხმით იკითხა ჰარიმ, რომ აშკარად ეშინოდა პასუხისა.

– ხომ იცი, მტარვალი ტირიფი, – წამოიწყო რონმა, – დარტყმაზე ყოველთვის დარტყმით პასუხობს.

– პროფესორმა ფლიტვიკმა ამოიტანა, – ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა ჰერმიონმა, ნელა აიღო ჩანთა და ლოგინზე ცოცხის ნამტვრევები გადმოაპირქვავა. ესლა დარჩენილიყო ჰარის ერთგული, ბოლოს კი დამარცხებული ცოცხისაგან.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეათე

ონავრების რუკა

მადამ პომფრის დაჟინებული მოთხოვნით, ჰარი იმ შაბათ-კვირას საავადმყოფო ფლიგელში დატოვეს. ბიჭს ბევრი არ უწუწუნია და არც შეჰკამათებია, მაგრამ თავისი „ნიმბუს 2000“-ის ნამსხვრევები არ გადააყრევინა. რა თქმა უნდა, სისულელე იყო ცოცხის შეკეთებაზე ფიქრი, მაგრამ თავს მაინც ვერ ერეოდა. ცოცხის დაკარგვა მისთვის საუკეთესო მეგობრის დაკარგვის ტოლფასი იყო.

მნახველები მოდიოდნენ და მოდიოდნენ, თან ყველა ცდილობდა, როგორმე გაემხნევებინა. ჰაგრიდმა ყურბელას ყვითელი ყვავილების თაიგული გამოუგზავნა, რომელიც ყვავილზე მეტად კომბოსტოს ჰგავდა. აჭარხლებულმა ჯინი უისლიმ კი თავისი ნახელავი მოსაკითხი ბარათი მოუტანა: სანამ ჰარიმ არ დაკეცა და ლარნაკის ქვეშ არ ამოდო, ბარათი მთელი ხმით მღეროდა. კვირას დილაადრიან გრიფინდორის გუნდი ეწვია. ამჯერად ვუდიც თან ახლდათ, ჰარისთან მივიდა და უხალისო, ჩახლეჩილი ხმით უთხრა, შენ სულაც არ გადანაშაულებო. რონი და ჰერმიონი ხომ სულ გვერდით ესხდნენ და მხოლოდ ღამღამობით ტოვებდნენ. მაგრამ ჰარის გუნება მაინც არ გამოჰკეთებია, რადგან მნახველებმა მისი გასაჭირის ნახევარიც კი არ იცოდნენ.

გრიმის შესახებ არავისთან სიტყვაც არ დასცდენია, თავის საუკეთესო მეგობრებთანაც კი. იცოდა, რომ რონი პანიკაში ჩავარდებოდა, ჰერმიონი კი არ დაუჯერებდა. თუმცა, სიმართლეს ვერსად გაექცეოდა, გრიმი ორჯერ დაინახა და ორივეჯერ კინაღამ დაიღუპა – პირველად ლამის ავტობუსმა გაჭყლიტა, მეორედ კი ას ორმოცდაათი მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა. ნუთუ მანამ არ დაანებებს თავს, სანამ არ შეინირავს? ნუთუ მთელი დარჩენილი ცხოვრება სულ მისი უნდა ეშინოდეს?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ახლა დემენტორებიც მოაგონდა. მათ გახსენებაზე საძაგელ გუნებაზე დგებოდა და თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა. ყველანი იმას გაიძახოდნენ, დემენტორები საშინელი არსებები არიანო, მაგრამ მათ დანახვაზე გული არავის მისდიოდა... და არც დაღუპული მშობლების განწირული ხმები ესმოდათ...

ჰარი უკვე ხვდებოდა, რომ სტადიონზე დედის კივილი ესმოდა. ის სიტყვები გამუდმებით თავში უტრიალებდა... საავადმყოფო ფლიგელში იწვა და ძილი არ ეკარებოდა, ჭერზე განფენილ მთვარის სხივებს მიშტერებოდა. დემენტორები მიუახლოვდნენ თუ არა, დედის სიკვდილისწინა სიტყვები შემოესმა, როცა ცდილობდა, შვილი გადაერჩინა... მერე კი ვოლდემორმა მოკლა და საშინლად გადაიხარხარა... ჰარის როგორც კი ჩაეძინებოდა, სულ გახრწნილი, შლამმოდებული ხელები და ვიღაცის თავგანწირული მუდარა ესიზმრებოდა, დაფეთებულს მაშინვე ეღვიძებოდა და ყურებში ისევ დედის კივილი ჩაესმოდა.

* * *

ჰარისთვის დიდი შვება იყო სკოლაში დაბრუნება, მხიარული და ხმაურიანი გარემო აიძულებდა, სხვა რამეებზეც ეფიქრა, მიუხედავად იმისა, რომ დრაკო მალფოი არ ასვენებდა და გამუდმებით დასცინოდა. მალფოი სიხარულით მეცხრე ცაზე იყო გრიფინდორის დამარცხების გამო. როგორც იქნა, სახვევები მოიხსნა და ახლა ყველას დასანახად ავარჯიშებდა ხელებს, თან ჰარისაც აჯავრებდა, ვითომ ცოცხიდან ვარდებოდა. შხამ-წამლების გაკვეთილზეც არ მოისვენა, დემენტორებს ჰბაძავდა. რონმა ვეღარ მოითმინა და პირდაპირ ცხვირ-პირში სთხლიშა ნიანგის კარგა მოზრდილი სლიპინა გული. სნეიპმაც არ დააყოვნა და ამ საქციელისთვის გრიფინდორი ორმოცდაათი ქულით დააჯარიმა.

– თუ ბნელი ძალებისაგან თავდაცვის გაკვეთილს ახლაც სნეიპი გვიტარებს, თავს მოვიავადმყოფებ და არ შემოვალ, – გამოაცხადა რონმა, როცა ლანჩის შემდეგ ლუპინის საკლასო ოთახისკენ გაემართნენ, – ჰერმიონ, ერთი შეიხედე, რომელია!

ჰერმიონმა ჩუმად შეიჭყიტა საკლასო ოთახში.

– გადავრჩით!

მასწავლებლის მაგიდასთან პროფესორი ლუპინი იჯდა. აშკარად ეტყობოდა, რომ იავადმყოფა. ძველი მანტია ახლა უფრო დიდი ჰქონდა, თვალის უპეები კი ჩაშავებოდა. მიუხედავად ამისა, თავ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავიანთ ადგილებზე დამსხდარ ბავშვებს გულითადად გაუღიმა. მოსწავლეებიც იმწუთასვე აწუწუნდნენ, სანამ თქვენ ავად იყავით, სნეიპი საშინლად გვექცეოდაო.

– უსამართლობაა, უბრალოდ, დროებით შეგცვალათ და საშინაო დავალების მოცემის უფლება არ ჰქონდა!

– ჩვენ მაქციების შესახებ არაფერი ვიცით...

– ...ორი პერგამენტი მაინც უნდა იყოსო...

– პროფესორ სნეიპს არ აუხსენით, რომ მაქციები ჯერ არ გაგვივლია? – მოიღუშა ლუპინი.

კლასი უფრო მეტად აჟრიამულდა.

– როგორ არა, მაგრამ ასე გვითხრა, ძალიან ჩამორჩენილხართო...

– ...არც კი მოგვისმინა...

– ...წარმოგიდგენიათ, მთელი ორი პერგამენტი უნდა დავწეროთ...

პროფესორ ლუპინს ბავშვების აღშფოთებული სახეების დანახვაზე გაეღიმა:

– დამშვიდდით. პროფესორ სნეიპს მე დაველაპარაკები. ნუ დაწერთ დავალებას.

– აუჰ! – გული დასწყდა ჰერმიონს, – მე უკვე დავწერე!

იმ დღეს ძალიან სასიამოვნო გაკვეთილი ჰქონდათ. პროფესორმა ლუპინმა მინის ყუთში ჩამწყვდეული კვამლისკაცი შემოიყვანა – პატარა, ცალფეხა არსება. სხეული თითქოს კვამლის ბოლქვებისა ჰქონდა და ძალიან უწყინარი ჩანდა.

– მოგზაურებს ჭაობში იტყუებს, – აუხსნა პროფესორმა, – ხედავთ, ფარანი რომ უჭირავს ხელში? ასე მირბის, მოტყუებული ადამიანები კი სინათლეს მიჰყვებიან... მერე...

ამ დროს კვამლისკაცმა მინა ჩამოფხოჭნა.

ზარი დაირეკა თუ არა, ბავშვებმა სახელმძღვანელოები ჩანთებში ჩაალაგეს და გასასვლელისკენ გაემართნენ.

– ჰარი, ერთი წუთით დამელოდე, – შეაჩერა პროფესორმა ლუპინმა, – რაღაც უნდა გითხრა.

ჰარი შემობრუნდა. პროფესორმა კვამლისკაცის მინის გალიას ტილო ჩამოაფარა.

– მატჩის ამბავი გავიგე, – პროფესორი თავის მაგიდასთან მივიდა და წიგნების ჩემოდანში ჩალაგებას შეუდგა, – შენი ცოცხის ამბავიც ძალიან მეწყინა. შეკეთება არ შეიძლება?

– არა, – მიუგო ჰარიმ, – ტარი სულ დაიმსხვრა.

ლუპინმა ამოიოხრა.

– მტარვალი ტირიფი სწორედ იმ წელს დარგეს, როცა მე სკოლაში მოვედი. ასეთი თამაში გვქონდა ხოლმე, ვცდილობდით, ახლოს მივ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სულიყავით და ხისთვის ხელი შეგვეხო. ერთხელ დეივი გადჯენს კინაღამ თვალი გამოსთხარა. ამის მერე ტირიფთან მიახლოება აგვიკრძალეს. სულაც არ მიკვირს, ცოცხი რომ დაამტვრია.

– დემენტორებზეც გაიგეთ? – ამოილულლუღა ჰარიმ.

– ჰო, რა თქმა უნდა. პროფესორი დამბლდორი ასეთი გაცოფებული არასოდეს მინახავს. ამ ბოლო დროს დემენტორები სულ გათავხედდნენ... არ მოსწონთ, რომ სკოლის ტერიტორიაზე შემოსვლის უფლება არა აქვთ. როგორც მივხვდი, დემენტორების გამო ჩამოვარდი ცოცხიდან, არა?

– დიახ, – მიუგო ჰარიმ, ცოტა შეყოყმანდა, მაგრამ მაინც ვერ მოითმინა და ჰკითხა ის, რაც ყველაზე მეტად აწუხებდა: – რატომ მოქმედებენ ჩემზე ასე საშინლად დემენტორები? ნუთუ მე...

– სისუსტე აქ არაფერ შუაშია, – დაბეჯითებით მიუგო პროფესორმა ლუპინმა, გეგონებოდათ, ჰარის აზრებს კითხულობსო, – დემენტორები შენზე ასე საშინლად იმიტომ მოქმედებენ, რომ შენს წარსულში არის რაღაც ისეთი, რაც სხვებს არ განუცდიათ.

საკლასო ოთახში ზამთრის მზის სხივი შემოიპარა, ლუპინის ჭაღარა თმა და დანაოჭებული, მაგრამ მაინც ახალგაზრდა სახე გაანათა.

– დემენტორები ყველაზე საშინელი არსებები არიან მთელ დედამიწაზე. ისინი სიბნელესა და სიბინძურეში ცხოვრობენ, უიმედობა და ხრწნა ახარებთ; სადაც კი გამოჩნდებიან, სიმშვიდეს, იმედსა და ბედნიერებას სპობენ. მაგლებიც კი გრძნობენ მათ სიახლოვეს, მაგრამ ვერ ხედავენ. თუ დემენტორთან ძალიან ახლოს მიხვალ, მხიარულებასა და სასიამოვნო მოგონებებს გამოგწოვს. თუ ამის შესაძლებლობა მიეცა, ბოლომდე გამოგწოვს ყველაფერს და თავისნაირ უსულგულო და ბოროტ არსებად გაქცევს. მოსაგონრად მხოლოდ საკუთარი ცხოვრების ყველაზე საშინელი მომენტები დაგრჩება. შენს ცხოვრებაში კი, ჰარი, ისეთი საშინელი რაღაც მოხდა, რომ ამის გახსენება ნებისმიერ ჯადოქარს ჩამოაგდებდა ცოცხიდან. ასე რომ, ნუ გრცხვენია.

– როცა მიახლოვდებიან, – ჰარიმ თვალები დახარა, ქვითინი ბურთივით გაეჩხირა ყელში, – მესმის, როგორ კლავს ლორდი ვოლდემორი დედაჩემს.

ლუპინს უნდოდა, ჰარისთვის მხარზე ხელი დაედო, მაგრამ იმწამსვე გადაიფიქრა. წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

– მატჩზე რატომ მოვიდნენ? – ჰკითხა ჰარიმ.

– დამშეულები არიან, – ჩემოდანი დახურა ლუპინმა, – დამბლდორი სკოლაში არ უშვებს, ასე რომ, მარაგი გამოელიათ... მსხვერპლი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოენატრათ... ეტყობა, ხალხით გადაჭედილ ქვიდიჩის მოედანს გულგრილად ვერ ჩაუარეს. აღელვებული, გახარებული ბავშვები დაინახეს... ამდენი დადებითი ემოცია... ეს მათთვის ნამდვილი ზეიმი იქნებოდა...

– აზკაბანი ალბათ საშინელი ადგილია, – ჩაიბუტბუტა ჰარიმ.

ლუპინმა თავი დაუქნია:

– ციხე პატარა კუნძულზეა აშენებული, ზღვაში, მაგრამ პატიმრები რომ არ გაექცეთ, არც კედლები სჭირდებათ და არც წყალი. საცოდავი პატიმრები საკუთარი საშინელი ფიქრების ტყვეობაში იმყოფებიან. მათი უმრავლესობა რამდენიმე კვირაში ჭკუიდან იშლება.

– მაგრამ, ბლექი ხომ გაექცათ, როგორ მოახერხა?

ლუპინს ჩემოდანი მაგიდიდან ჩამოუცურდა და დროზე რომ არ შეშველებოდა, იატაკზე მოადენდა ზღართანს.

– მართალი ხარ. ეტყობა, ბლექმა მათგან თავდაცვის საშუალება მოიფიქრა. თუმცა, ჩემი აზრით, ასეთი რამის მოფიქრება შეუძლებელია... წესით, ჯადოქარს ყველა უნარი ეკარგება, დემენტორებთან დიდხანს თუ დარჩება.

– კი მაგრამ, თქვენ ხომ გააგდეთ დემენტორი მატარებელში... – მოაგონდა ჰარის.

– რა თქმა უნდა, არსებობს გარკვეული დამცავი საშუალებები... მაგრამ მატარებელში მხოლოდ ერთი დემენტორი იყო. რაც უფრო მეტნი არიან, მით უფრო ძნელია მათთვის წინააღმდეგობის გაწევა.

– რა საშუალებები არსებობს? შეგიძლიათ, მასწავლოთ?

– არ მოგატყუებ, დემენტორებთან ბრძოლის ოსტატი ნამდვილად არა ვარ, ჰარი...

– კი მაგრამ, დემენტორები ქვიდიჩის მატჩზე ისევ თუ მოვლენ, თავი ხომ უნდა დავიცვა?

ლუპინმა ჰარის დაჟინებულ მზერას ველარ გაუძლო და უთხრა:

– კეთილი... ვეცდები, დაგეხმარო. მაგრამ მეორე სემესტრამდე მოცდა მოგიწევს... არდადეგებამდე ძალიან ბევრი საქმე მაქვს. ძალიან ცუდ დროს გავხდი ავად.

* * *

ჰარის გუნება გამოუკეთდა, რადგან იმედი გაუჩნდა, რომ ლუპინი დემენტორებისგან თავდაცვას ასწავლიდა და მომაკვდავი დედის განწირულ ხმას აღარ გაიგონებდა. თანაც, ნოემბრის ბოლოს ქვიდიჩში რეივენქლომ დიდი ანგარიშით დაამარცხა ჰაფლეპაფი. ასე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომ, გრიფინდორის გუნდს მდგომარეობის გამოსწორების შანსი გაუჩნდა, მაგრამ ახლა უკვე არც ერთი მატჩის წაგების უფლება აღარ ჰქონდათ. ვუდს ისევ დაუბრუნდა სიცოცხლის ხალისი და, წვიმიანი ამინდების მიუხედავად, მთელ დეკემბერს დაუზოგავად ავარჯიშებდა თავის გუნდს. ჰარის დემენტორები არსად დაუნახავს. როგორც ჩანს, დამბლდორისა ძალიან ერიდებოდათ და თავიანთ საგუშაგოებს აღარ სცილდებოდნენ.

სემესტრის დამთავრებამდე ორი კვირით ადრე გამოიდარა, ცა მოიწმინდა და მოთეთრო-ოპალისფერი გადაიკრა. ერთ მშვენიერ დილას კი არემარე ყინვამ აალაპლაპა. ციხე-კოშკში შობის მოახლოება იგრძნობოდა. მაგიური ფორმულების მასწავლებელმა, პროფესორმა ფლიტვიკმა თავისი საკლასო ოთახი ციმციმა ნათურებით მორთო, რომლებიც სინამდვილეში პატარა ფერიები აღმოჩნდნენ. სტუდენტები საშობაო არდადებების შესახებ სიხარულით საუბრობდნენ. რონმა და ჰერმიონმა გადაწყვიტეს, არდადეგებზე ჰოგვორტსში დარჩენილიყვნენ. რონი ჭიჭყინებდა, ორი კვირა პერსის სიფათს ვერ ვუყურებო, ჰერმიონმა კი დაიჟინა, ბიბლიოთეკაში საქმე მაქვსო, თუმცა ჰარის ასე ადვილად ვერ მოატყუებდნენ. სინამდვილეში მისი მარტო დატოვება არ უნდოდათ, რისთვისაც ჰარი ძალიან მადლობელი იყო.

ჰარის გარდა, ყველა გაახარა იმ ამბავმა, რომ სასწავლო სემესტრის ბოლო შაბათ-კვირას ჰოგსმიდში კიდევ ერთი ექსკურსია ეწყობოდა.

– საშობაო საჩუქრებს ჰოგსმიდში ვიყიდით, – აღფრთოვანებას ვერ მალავდა ჰერმიონი, – ჩემს მშობლებს ძალიან მოეწონებათ კბილების საწმენდი მენთოლიანი ძაფები, „თაფლუჭში“ რომ იყიდება.

ჰარი შეეგუა იმ აზრს, რომ ერთადერთი მესამეკურსელი იყო, რომელიც ექსკურსიაზე წასვლის ნაცვლად, სკოლაში რჩებოდა, და ვუდს „ცოცხების კატალოგი“ სთხოვა. გადაწყვიტა, მთელ დღეს კითხვაში გავატარებო. ვარჯიშისთვის სკოლის კუთვნილი ძველთაძველი „მოციმციმე ვარსკვლავი“ ათხოვეს, რომელიც ძალიან ნელა დაფრინავდა და სულ აქეთ-იქით დახტოდა. ამ ცოცხით ვარჯიშობდა და სულ იმაზე ფიქრობდა, რომ ახალი ცოცხი სჭირდებოდა.

შაბათი დილა გათენდა. ჰარი თბილ მანტიებსა და შარფებში ჩაფლულ რონსა და ჰერმიონს დაემშვიდობა და მარმარილოს კიბეს გრიფინდორის კოშკისკენ აუყვა. გარეთ ხვავრიელად ბარდნიდა, ციხე-კოშკში კი სრული სიჩუმე ჩამოწოლილიყო. მესამე სართულზე ერთ-ერთ დერეფანს მიუყვებოდა, როცა ფრედისა და ჯორჯის ხმა შემოესმა:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰარი!

ბიჭები კუზიანი ცალთვალა ალქაჯის ქანდაკების უკან იმალებოდნენ.

– აქ რას აკეთებთ? – დაინტერესდა ჰარი, – როგორ მოხდა, რომ ჰოგსმიდში არ წახვედით?

– წასვლამდე ცოტა უნდა გაგამხნევოთ და რაღაც უნდა მოგცეთ, – ფრედმა ეშმაკურად ჩაუკრა თვალი, – აბა, აქეთ შემოდი... – ცარიელ საკლასო ოთახზე ანიშნა. ჰარი ტყუპებს ოთახში შეჰყვა. ჯორჯმა კარი ჩაკეტა და გაღიმებული მიუბრუნდა ჰარის:

– წინასწარ გილოცავთ შობას, ჰარი!

ფრედმა დიდი მოწიწებით გამოიღო მანტიიდან მოზრდილი, გაცვეთილი ოთხკუთხა პერგამენტი და მაგიდაზე დადო. ზედ არაფერი ეწერა. ჰარიმ გაიფიქრა, მამასხარავებენო, და ეჭვის თვალით დააცქერდა საჩუქარს.

– ეს რაღაა?

– ეს ჩვენი წარმატების საიდუმლოა! – ჯორჯმა სიყვარულით გადაუსვა ხელი პერგამენტს.

– ძალიან კი გვენანება, მაგრამ ახლა შენ უფრო გჭირდება, ვიდრე – ჩვენ, – აუხსნა ფრედმა.

– თანაც ჩვენ უკვე სულ ზეპირად ვიცით, ასე რომ, ახლა შენ გიბოძებთ. კაცმა რომ თქვას, აღარც კი გვჭირდება, – დაამატა ჯორჯმა.

– იქნებ ამიხსნათ, რა ჯანდაბად მინდა ძველი პერგამენტის ნაჭერი? – ჰკითხა ჰარიმ.

– ძველი პერგამენტის ნაჭერიო?! – ფრედმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს საშინელი შეურაცხყოფა მიაყენეს, – მიდი, ჯორჯ, აუხსენი!

– ერთ დროს ჩვენც პირველკურსელები ვიყავით, ჰარი! უდარდელი, ახალგაზრდა და უცოდველი პირველკურსელები...

ჰარიმ ჩაახველა. ეჭვი ეპარებოდა, რომ ფრედი და ჯორჯი ოდესმე უცოდველები იყვნენ.

– ...ანუ იმაზე უფრო უცოდველები, ვიდრე ახლა ვართ... ერთი სიტყვით, ფილჩი გადაგვეკიდა.

– ჰო, დერეფანში ნეხვის ბომბი ავაფეთქეთ და ფილჩი, რატომღაც, გაგვიბრაზდა...

– ჰოდა, წაგვათრია თავის კაბინეტში და ათასნაირად დაგვემუქრა...

– დამატებითი სამუშაოთი სულს ამოგხდითო...

– ცხვირიდან ძმარს გადენთო...

– ჰოდა, ჩვენდა უნებურად, შევამჩნიეთ, რომ მისი კარადის ერთერთ უჯრას ეწერა: „ჩამორთმეული და ძალიან საშიში ნივთები“.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არ თქვათ ახლა, რომ... – გაეღიმა ჰარის.

– აბა, შენ როგორ მოიქცეოდი ჩვენს ადგილას? – ჰკითხა ფრედმა, – ჯორჯმა კიდევ ერთი ნეხვის ბომბი ააფეთქა და ყურადღება გაუფანტა, მე სასწრაფოდ უჯრას ვეცი და ეს შემრჩა ხელთ.

– ისეთი საშინელიც არაფერი ჩაგვიდენია, – ჩაერთო ჯორჯი, – არა გვგონია, ფილჩს სცოდნოდა, ეს როგორ უნდა გამოეყენებინა. ალბათ დაახლოებით ხვდებოდა, რაც იყო, თორემ რატომღა ჩამოართმევდა.

– თქვენ იცით, როგორ უნდა გამოიყენოთ?

– რა თქმა უნდა, – ჩაიხითხითა ფრედმა, – ამ პატარა საოცრებამ უფრო მეტი რამ გვასწავლა, ვიდრე ყველა მასწავლებელმა ერთად.

– რას მასულელებთ, – ჰარიმ ისევ დაგლეჯილ ძველ პერგამენტს დახედა.

– ასე გგონია? – გაიკვირვა ჯორჯმა, მერე ჯოხი ამოიღო, პერგამენტს მსუბუქად შეახო და თქვა: – ვფიცავ, რომ მოვაწყობ ოინებს, მხოლოდ ოინებს და არაფერს ოინების გარდა!

ეს თქვა თუ არა, იმ ადგილიდან, სადაც პერგამენტს ჯოხით შეეხო, ობობას ქსელივით გაიხლართა მელანი. მერე ხაზები შეერთდა, ერთმანეთი გადაკვეთა და პერგამენტის ყველა კუთხეს გადასწვდა, ბოლოს კი პერგამენტის ზედა ნაწილში მშვენიერი მწვანე ასოებით სიტყვები გამოიკვეთა:

ღრმად პატივცემული ბატონები
მთვარეულა, გრძელკუდა, მაწანწალა და ქორბუდა,
ყოველ უცელქეს ჯადოქართა შემწე-დამხმარენი
სიამაყით წარმოგიდგენთ

ონავრების რუკას

ამ რუკაზე მთლიანად გამოესახათ ჰოგვორტსის ციხე-კოშკი და მიმდებარე მამული. მაგრამ ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ მასზე პაწაწკინტელა მელნის ლაქები მოძრაობდნენ და ზედ უმცირესი ასოებით სახელები ეწერათ. გაოგნებული ჰარი კარგად ჩააკვირდა რუკას. ზედა, მარცხენა კუთხეში, პატარა ლაქა, რომელსაც დამბლდორი ეწერა, თავის კაბინეტში ბოლთას სცემდა, დარაჯის კატა, მისის ნორისი, მეორე სართულზე დაძრწოდა, პივსი კი ჯილდოების ოთახში გადადიოდა ყირაზე. ჰარიმ ნაცნობ დერეფნებს გააყოლა თვალი და რაღაც უცნაური შეამჩნია. ამ რუკაზე ისეთი გასასვლელებიც იყო აღნიშნული, რომლებშიც არასოდეს ყოფილა. და ბევრი მათგანი სწორედ...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– პირდაპირ ჰოგსმიდში მიდის, – დაუდასტურა ფრედმა და ერთ-ერთ გასასვლელს თითი გააყოლა, – სულ შვიდია. ფილჩმა ამ ოთხის შესახებ იცის, – დაანახვა ფრედმა, – მაგრამ დარწმუნებულები ვართ, რომ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ ვიცით დანარჩენების არსებობა. მეოთხე სართულზე, სარკის უკან რომ გასასვლელია, მანდ ნუ შეხვალ. წინა ზამთრამდე ვიყენებდით, მაგრამ ახლა სულ ჩაიხერგა. ამაში კი, როგორც ვიცით, არასოდეს არავინ ყოფილა, რადგან ზედ შესასვლელთან მტარვალი ტირიფია დარგული. აი, ამ გვირაბით კი პირდაპირ „თაფლუჭის“ სარდაფში ამოხვალ. ათასჯერ მაინც გვისარგებლია. ალბათ შეამჩნევდი, რომ შესასვლელი სწორედ მაგ ცალთვალა ალქაჯის კუზშია.

– მთვარეულა, გრძელკუდა, მაწანწალა და ქორბუდა, – ყველაფერს ამათ უნდა ვუმადლოდეთ, – ამოიოხრა ჯორჯმა და რუკას მოეფერა.

– ნამდვილად კეთილშობილი პიროვნებები იყვნენ, დაუღლელად შრომობდნენ, რათა კანონის დამრღვევთა ახალი თაობისათვის საქმე გაეიოლებინათ, – საზეიმო ხმით აღნიშნა ფრედმა.

– მართალი ხარ! ჰო, მართლა, არ დაგავიწყდეს, რომ გამოყენების შემდეგ უნდა წაშალო, – მოაგონდა ჯორჯს.

– თორემ ყველა წაიკითხავს, – გააფრთხილა ფრედმა.

– უბრალოდ, ჯოხი დაუკაკუნე და თქვი: „ოინი გამომივიდა!“ და თავისით წაიშლება.

– აბა, ყმაწვილო, – ფრედი პერსის ჰბაძავდა, – ჭკუით!

– „თაფლუჭში“ შევხვდებით ერთმანეთს, – თვალი ჩაუკრა ჯორჯმა.

ტყუპები კმაყოფილი ხითხითით გავიდნენ ოთახიდან.

ჰარი გაშტერებული უყურებდა ჯადოსნურ რუკას. პატარა ლაქამ, რომელსაც მისის ნორისი ეწერა, მარცხნივ შეუხვია, შეჩერდა და იატაკზე რაღაც დაყნოსა. ფილჩმა თუ არაფერი იცის... დემენტორებისთვის თავის დაღწევა კი ახლა აღარც დასჭირდება... ამგვარ ფიქრებში გართულს უცებ ბატონი უისლის ნათქვამი გაახსენდა: „არასოდეს არ ენდო ისეთ საგნებს, რომელთაც ფიქრი შეუძლიათ, მაგრამ როგორ და რით, ვერ გაიგებ“.

ეს რუკა კი სწორედ რომ სახიფათო ნივთი იყო... „ყოვლად უცელქეს ჯადოქართა შემწე-დამხმარენი“... მერე უცებ მოაგონდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ჰოგსმიდში მოხვედრა უნდოდა, არც არაფრის მოპარვას აპირებდა, არც არავის არაფერს დაუშავებდა, თანაც ფრედი და ჯორჯი უკვე რამდენი წელია, ამ რუკას იყენებდნენ, და აქამდე არაფერი დაშავებოდათ.

ჰარიმ „თაფლუჭისკენ“ მიმავალ საიდუმლო გვირაბს თითი გააყ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ოლა. მერე უეცრად, თითქოს ვიღაცამ უბრძანაო, რუკა აკეცა, მანტიის ქვეშ შემალა და კართან მიირბინა, სულ ოდნავ გამოაღო. გარეთ არავინ იყო. ფეხაკრეფით გამოვიდა ოთახიდან და ცალთვალა ალქაჯის ქანდაკების უკან შეძვრა.

ახლა რა უნდა ქნას? რუკა ისევ გაშალა და განცვიფრებულმა შენიშნა, რომ მასზე ახალი ლაქა გაჩენილიყო, „ჰარი პოტერი". ეს ფიგურა ზუსტად იქ იდგა, სადაც ნამდვილი ჰარი, მესამე სართულის დერეფანში. კარგად დააკვირდა: მელნის ბიჭმა თავისი პაწაწინა ჯოხი ქანდაკებას დაუკაკუნა. ჰარიმაც სასწრაფოდ ამოიღო თავისი ნამდვილი ჯოხი და ქანდაკებას დაუკაკუნა. არაფერი მომხდარა. მერე ისევ რუკას დახედა. მის ფიგურასთან უმცირესი ასოებით გამოყვანილი სიტყვა გაჩნდა: „დისენდიუმ".

– დისენდიუმ, – ჩაიჩურჩულა ჰარიმ და ალქაჯს ისევ დაჰკრა ჯოხი.

უცებ ქანდაკების კუზი იმხელაზე გადაიხსნა, რომ გამხდარი ადამიანი შიგ თავისუფლად ჩაეტეოდა. ჰარიმ სწრაფად მოათვალიერა დერეფანი, რუკა მანტიის ქვეშ გადამალა და ხვრელში თავით გადაეშვა.

კარგა ხანს მისრიალებდა ქვის გვირაბში, ბოლოს კი ნესტიან, ცივ მიწაზე მოადინა ზღართანი. წამოდგა და მიმოიხედა. ისეთი სიბნელე იდგა, თვალთან თითს ვერ მიიტანდი. ჰარიმ ჯოხი ამოიღო და დაიძახა: „ლუმოს!" ვიწრო, დაბალჭერიან მიწის გვირაბში იდგა. რუკა ამოიღო, ჯოხი ოდნავ შეახო და წარმოთქვა: „ოინი გამომივიდა!" რუკა იმწამსვე წაიშალა. მერე ფრთხილად დაკეცა, ისევ მანტიის ქვეშ შეინახა და გულისფანცქალით გაუყვა გვირაბს. გვირაბი ისე იყო მიხვეულ-მოხვეული, რომ უზარმაზარი კურდღლის სორო გეგონებოდათ. ჯოხი წინ გაიშვირა და ისე მიდიოდა, რომ ფეხი არაფრისთვის წამოეკრა. კარგა ხანს იარა, კინაღამ უკანაც დაბრუნდა, მაგრამ თვალწინ „თაფლუჭი" ედგა და ეს ამხნევებდა. დაახლოებით ერთ საათში გვირაბი აღმართს აუყვა, სულ ზევით მიიწევდა. ჰარის ფეხები ეყინებოდა, სახე უხურდა, ოფლში ცურავდა, სულს ძლივს ითქვამდა, მაგრამ მაინც არ შეჩერებულა.

ათ წუთში უკვე ძველისძველი კიბე დაინახა, რომელიც სადღაც მაღლა მიემართებოდა. ფეხაკრეფით აუყვა კიბეს. ცდილობდა, არ ეხმაურა. ჯერ ასი საფეხური დათვალა, მერე – ორასი და ბოლოს სულ აერია სათვალავი... და უცებ თავით რაღაცას დაეჯახა. ეს რაღაც კი გვირაბის ხუფს ჰგავდა. ჰარიმ ნატკენ თავზე ხელი მოისვა და სმენად იქცა. ზემოდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. მერე ძალიან ფრთხილად ასწია ხუფი და ჭუჭრუტანიდან მოათვალიერა იქაურობა. ხის ყუთებით სავსე სარდაფში აღმოჩნდა. უჩუმრად ამოძვრა და ხუფი დახურა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გვირაბის ჩასასვლელი მტვრიან იატაკზე უცხო თვალისთვის სრულიად შეუმჩნეველი იყო.

ჰარი ზედა სართულისკენ ამავალ კიბეს მიუახლოვდა. ამჯერად ლაპარაკიც შემოესმა, ზარის წკრიალიცა და კარების გაღება-დახურვის ხმაც.

სანამ ფიქრობდა, რა ექნა, ვიღაცამ სარდაფის კარი გააღო და კიბეზე ჩამოდგა ფეხი.

– ჰო, და კიდევ ერთი ყუთი ჟელატინის ლოქორები ამოიტანე, ძვირფასო, სულ გაგვიყიდია, – გაისმა ქალის ხმა.

საფეხურებზე ვიღაცის ფეხსაცმელები გამოჩნდა. ჰარი უზარმაზარ ყუთს ამოეფარა და დაელოდა, სანამ ის ვიღაც გაივლიდა. ესმოდა, მოპირდაპირე მხარეს როგორ იქექებოდა კაცი ყუთებში. დრო უნდა ვიხელთოო, გაიფიქრა... უჩუმრად გამოძვრა სამალავიდან და კიბეზე აირბინა, თან უკან იხედებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, კარსაც მიადგა, შეაღო და პირდაპირ დახლთან არ ამოყო თავი? მერე ჩაიკუზა, დახლიდან გამოძვრა და წელში გასწორდა.

„თაფლუჭი“ ჰოგვორტსის სტუდენტებით იყო გადაჭედილი, ასე რომ, ჰარისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. თავის თანატოლებს შორის გზა გაიკვლია და იქაურობა მოათვალიერა. მერე ძლივს შეიკავა სიცილი, როცა წარმოიდგინა, რა სიფათი ექნებოდა დადლის, აქ რომ მოხვედრილიყო.

თაროები მადისაღმძვრელი ტკბილეულით იყო სავსე. რას არ ნახავდით აქ: ნუგის დიდ-დიდ ნაჭრებს, ქოქოსის ვარდისფერ შაქარყინულს, თაფლისფერ კარამელს... თაროებზე ლამაზად ჩაემწკრივებინათ ასობით სხვადასხვანაირი შოკოლადი, პატარა კასრით გამოედგათ ყველანაირი გემოს კანფეტები, გვერდით ასეთივე კასრით – შუშხუნა-ზუზუნა კანფეტები. ჰარის რონის ნაამბობი გაახსენდა, როცა შარბათის „ჰაერში ამწევი“ ბურთულები დაინახა. ერთი თარო მთლიანად „განსაკუთრებულ ტკბილეულს“ ეთმობოდა: „დრობლზის საუკეთესო გასაბერი საღეჭი რეზინი“, რომლის ლილისფერი ბუშტები რამდენიმე დღეს დაფრინავდნენ ოთახში; პიტნისგემოიანი კბილის საწმენდი ძაფები; ერთი ციცქნა „პილპილო-მამალოები“ წარწერით: „გინდა, გაამხიარულო მეგობრები? შემჭამე და პირიდან ცეცხლს გადმოაფრქვევ!“; თაგუნიაშაქარყინულები წარწერით: „გინდა, გაიგონო, როგორ კრაჭუნობენ შენი კბილები?“; ბაყაყის ფორმის პიტნიანი ბეზეები „ასკინკილა მუცელში“; შაქარყინულის ბატის ფრთები და ფეთქებადი სასუსნავები...

ჰარი მეექვსეკურსელებს შორის გაძვრა და მაღაზიის ყველაზე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შორ კუთხეში აბრა დაინახა: „უჩვეულო არომატები“. რონი და ჰერმიონი სწორედ ამ აბრასთან იდგნენ და სისხლისარომატიან მამალოებს ათვალიერებდნენ. ჰარი ჩუმად მიეპარა მეგობრებს.

– არა, ჰარის ეგენი არ მოეწონება! ჩემი აზრით, ეგ მარტო ვამპირებს მოსწონთ! – დაასკვნა ჰერმიონმა.

– აბა, ერთი ამათ შეხედე? – და რონმა ჰერმიონს ტარაკანის ჩირით სავსე ქილა მიაჩეჩა.

– ეგ რაღა უბედურებაა! – ველარ მოითმინა ჰარიმ.

რონს კინაღამ ქილა გაუვარდა ხელიდან.

– ჰარი! – შესძახა ჰერმიონმა, – აქ რა გინდა? კი მაგრამ, როგორ... აქ საიდან...

– აი, ეს მომწონს! – აღფრთოვანდა რონი, – ესე იგი, აპარაცია გისწავლია!

– არაფერიც არ მისწავლია! – ხმას დაუწია ჰარიმ, რომ მეექვსეკურსელებს არ გაეგონათ, და მეგობრებს ოინბაზების რუკის შესახებ უამბო.

– კი მაგრამ, ფრედმა და ჯორჯმა მე რატომ არ მომცეს ეგ რუკა? – გაბრაზდა რონი, – მაგათი ძმა ვარ, ბოლოს და ბოლოს, თუ არა?!

– ჰარი, იმედია, არ დაიტოვებ, – ისეთი ხმით წამოიწყო ჰერმიონმა, თითქოს თავისთავად ცხადი იყო, რასაც ამბობდა, – და აუცილებლად პროფესორ მაკგონაგელს ჩააბარებ!

– არაფრის ჩაბარებას არ ვაპირებ! – მიუგო ჰარიმ.

– შენ, ეტყობა, ცოტა გაკლია, – ჩაიხითხითა რონმა და ჰერმიონს გადახედა, – ასეთი რაღაცის ჩაბარება ვის გაუგონია?

– თუ ჩავაბარებ, ისიც უნდა ავუხსნა, საიდან მაქვს, ვინ მომცა... და ფილჩიც გაიგებს, რომ ფრედმა და ჯორჯმა მოჰპარეს!

– ვაითუ, სირიუს ბლექმაც იცის ეს საიდუმლო გვირაბი, მერე? – ცივი წყალი გადაასხა ჰერმიონმა, – ხომ შეიძლება, მაგ საიდუმლო გვირაბებით შემოაღწია სკოლაში! მასწავლებლებს უნდა შევატყობინოთ!

– გვირაბით ვერ შემოვიდოდა, – აღელდა ჰარი, – რუკაზე შვიდი საიდუმლო გასასვლელია აღნიშნული! ფრედმა და ჯორჯმა მითხრეს, ფილჩმა ოთხი უკვე აღმოაჩინაო. ესე იგი, სულ სამი დარჩა. აქედან ერთი ჩახერგილია, ასე რომ, მანდ ვერავინ გააღწევს. მეორეს ზედ მტარვალი ტირიფი ადგას, იქიდან გამოსვლა შეუძლებელია. მესამე კი, რომლითაც მე აქ მოვედი... როგორ გითხრათ... შესასვლელის პოვნა თითქმის შეუძლებელია, თუ წინასწარ არ იცი, სადაა. ბლექს საიდან ეცოდინება... – ჰარი შეჩერდა. იქნებ ბლექმა მართლა იცის ამ გვირაბის შესახებ?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რონმა ჩაახველა და მაღაზიის კარზე შიგნიდან მიკრულ განცხადებაზე ანიშნა მეგობრებს.

მაგიის სამინისტრო გაფრთხილებთ!

მზის ჩასვლის შემდეგ დემენტორები ჰოგსმიდის ქუჩებში ყოველღამე ატარებენ რეიდებს. ეს ღონისძიება ტარდება ჰოგსმიდის მცხოვრებთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით და გაუქმდება სირიუს ბლექის დაკავებისთანავე. უმორჩილესად გთხოვთ, საყიდლებზე სიარული დაღამებამდე მოითავოთ. ბედნიერ შობას გისურვებთ!

– ხედავ? – გადაუჩურჩულა რონმა, – ვერ წარმომიდგენია, ბლექმა რანაირად უნდა მოახერხოს დემენტორებით გავსებულ ჰოგსმიდში „თაფლუჭში“ შემოპარვა. თანაც, ჰერმიონ, ამ მაღაზიის პატრონები ყრუები კი არ არიან, ვერ გაიგებენ, თუ ვინმე კარებს შემოუმტვრევთ? აქვე, მეორე სართულზე ცხოვრობენ!

– მართალია, მაგრამ... მაინც... – ჰერმიონი რაღაც ხელმოსაჭიდს ეძებდა, – ჰარის მაინც არ ჰქონდა ჰოგსმიდში წამოსვლის უფლება, ნებართვა არა აქვს! ეს რომ ვინმემ გაიგოს, წარმოგიდგენია, რა დღეს დააყრიან?! თანაც ჯერ არ დაღამებულა, უცებ სირიუს ბლექი რომ გამოჩნდეს?

– შენ ეგა თქვი! – ჩაიცინა რონმა და ყინვით შეჭირხლულ ფანჯრის მინებზე ანიშნა, – მაგ ვაჟბატონს ძალიან გაუჭირდებოდა ჰარის პოვნა! თანაც, ნახე, გარეთ რა ქარბუქია!

ჰერმიონმა ტუჩზე იკბინა, მაგრამ მაინც ვერ ისვენებდა.

– შენ რა, ჩამიშვებ? – გაუღიმა ჰარიმ.

– არა, რა სისულელეა, რას ამბობ, ჰარი... მაგრამ...

– ჰარი, შუშხუნა-ზუზუნა კანფეტები ნახე? – ჰკითხა რონმა, მაჯაში ხელი წაავლო და კასრისკენ წაიყვანა, – ჟელატინის ლოქორები? მჟავიანი საწუწნი კანფეტები? შვიდი წლის რომ ვიყავი, ფრედმა ერთი ცალი მომცა და იცი, რა დამემართა? ენა გამიხვრიტა! მახსოვს, დედაჩემი ცოცხით გამოეკიდა ფრედს! როგორ გგონია, ფრედი მოტყუვდება? მინდა, მიწისთხილის ნაცვლად, ტარაკანის ჩირი შევაპარო!

რონმა და ჰერმიონმა ტკბილეულის ფული გადაიხადეს და ჰარისთან ერთად მაღაზიიდან საშინელ ქარბუქში გამოვიდნენ.

ჰოგსმიდი საშობაო მისალოც ბარათს მოგაგონებდათ. ისლით გადახურული სახლები და მაღაზიები თოვლის ქურქში გახვეულიყო. კარი ყველას საშობაო გვირგვინებით მოერთო, ხეებზე კი მოჯადოებული სანთლები კაშკაშებდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარის შეამცივნა, თავისი მეგობრებისგან განსხვავებით თბილი მანტია არ ეცვა. ქუჩას აუყვნენ, ძლიერი ქარი სახეში სცემდათ. ჰერმიონი ყვირილით უხსნიდა:

– ეს ფოსტაა... იქ ზონკოს მაღაზიაა... იქნებ ქოთქოთა ქოხთანაც გაგვევლო?

– იცი რა, – კბილები უკაწკაწებდა რონს, – წამო, „სამ ცოცხში“ შევიდეთ და თბილი ბურბურახი დავლიოთ.

ჰარის ეს აზრი ძალიან მოეწონა. ხელები მთლად გაეყინა. ქუჩა გადაჭრეს და ერთ პატარა ბარში შევიდნენ.

იქაურობა ხალხით იყო გადაჭედილი, თბილოდა, ხმაური იდგა და კვამლში არაფერი ჩანდა. დახლთან თავმოყრილ მხიარულ ჯადოქრებს ერთი ლამაზი, ათქვირებული ქალბატონი ემსახურებოდა.

– ეს მადამ როზმერტაა, – აუხსნა რონმა და რატომღაც წამოწითლდა, – სასმელს მე შევუკვეთავ, კარგი?

ჰარი და ჰერმიონი თავისუფალი მაგიდისკენ გაემართნენ, რომელიც ბუხრის პირას, ნაძვსა და ფანჯარას შორის იდგა. რონი რამდენიმე წუთში დაბრუნდა, თან აქაფებული ბურბურახით სავსე სამი ტოლჩა მოჰქონდა.

– შობას გილოცავთ! – შესძახა სახეგაბრწყინებულმა და ტოლჩა ასწია.

ჰარი სასმელს მოწყურებულივით დაეწაფა. ასეთი გემრიელი რამ თავის დღეში არ დაელია. მთელ სხეულში სასიამოვნო სითბომ დაუარა.

უცებ „სამი ცოცხის“ კარი გაიღო და ჰარის ქარმა თმა აუწეწა. შემოსულებს გახედა და სასმელი კინაღამ სასულეში გადასცდა.

ბარში დათოვლილი პროფესორი მაკგონაგელი და პროფესორი ფლიტვიკი შემოვიდნენ, მალე მათ ჰაგრიდიც შემოჰყვა. თან ლიმონისფერ ცილინდრსა და ზოლებიან მანტიაში გამოწყობილი ჩასუქებული მამაკაცი ახლდა. ჰარიმ მაშინვე იცნო მაგიის მინისტრი, კორნელიუს ფაჯი.

რონმა და ჰერმიონმა იმწამსვე ჰარის ჩაავლეს ხელი და ძალით შეჭყუნეს მაგიდის ქვეშ. ჰარიმ სიჩქარეში ბურბურახი გადაისხა, ახლა კი ცარიელი ტოლჩა ჩაებღუჯა და გაფაციცებით უყურებდა, როგორ მიუახლოვდნენ დახლს პროფესორები და ფაჯი, ერთხანს შეჩერდნენ, მერე შემობრუნდნენ და პირდაპირ მისკენ გამოემართნენ.

ჰერმიონმა დაიჩურჩულა:

– მობილიარუს! – იქვე მდგარი ნაძვის ხე ოდნავ ასცდა იატაკს, მათკენ გადმოცურდა და პირდაპირ მათი მაგიდის წინ დაეშვა, ასე რომ, პროფესორები ახლა ვერაფერს დაინახავდნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარი ნაძვის ხის ხშირი ტოტებიდან ხედავდა, როგორ გამოსწიეს მეზობელ მაგიდასთან ოთხი სკამი და მასწავლებლები და მინისტრი ერთი ოხვრითა და ქშენით დასხდნენ.

მერე მათ მაგიდას ფირუზისფერი ლაქის მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები მიუახლოვდა და ქალის ხმაც გაისმა:

– ერთი მინერალური წყალი...

– ჩემია, – ეს პროფესორ მაკგონაგელის ხმა იყო.

– ოთხი ტოლჩა გროგი...

– მადლობა, როზმერტა, – დაიბუბუნა ჰაგრიდმა.

– ალუბლის სიროფი და სოდიანი ვისკი ყინულით...

– მმმ! – ეს პროფესორი ფლიტვიკი იყო.

– ესე იგი, თქვენ – წითელი მოცხარის რომი, არა, მინისტრო?

– გმადლობთ, როზმერტა, ძვირფასო, – უთხრა ფაჯმა, – ძალიან მიხარია, ისევ რომ გხედავ. შენც ხომ არ დალევდი ჩვენთან ერთად? მოდი, შემოგვიერთდი!

– დიდი მადლობა, ბატონო მინისტრო...

ჰარი უყურებდა, როგორ მოშორდა მაგიდას მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები. მერე ისევ უკან დაბრუნდა. გული გამალებით უცემდა. რატომ ადრე არ მოაფიქრდა, რომ მასწავლებლებიც მოინდომებდნენ გასეირნებას სემესტრის ბოლო კვირას? ნეტავ აქ რამდენ ხანს გაჩერდებიან? საკმაოდ დიდი დრო სჭირდებოდა იმისთვის, რომ ისევ „თაფლუჭში“ შეპარულიყო, რათა ამ საღამოს სკოლაში დაბრუნება მოესწრო... ჰერმიონს ფეხი აუცახცახდა.

– ამ მიყრუებულ სოფელში რა ქარმა გადმოგაგდოთ, ბატონო მინისტრო? – გაისმა მადამ როზმერტას ხმა.

ჰარიმ შეამჩნია, როგორ აწრიალდა მაგიის მინისტრი, თითქოს იქაურობას ათვალიერებდა, ვინმე ყურს ხომ არ გვიგდებსო, მერე კი ხმადაბლა მიუგო:

– სხვა რა მიზეზი უნდა მქონდეს, ჩემო ძვირფასო! სირიუს ბლექი! ალბათ გაიგებდით, რა მოხდა ამას წინათ სკოლაში!

– ჰო, ჭორები ჩემამდეც მოვიდა, – დაეთანხმა მადამ როზმერტა.

– შენ რა, ჰაგრიდ, ეს ამბავი მთელ ჰოგსმიდს მოსდე? – მკაცრად ჰკითხა პროფესორმა მაკგონაგელმა.

– როგორ ფიქრობთ, ბატონო მინისტრო, ბლექი ისევ ამ არემარეზე დაძრწის? – გადაუჩურჩულა მადამ როზმერტამ.

– დარწმუნებული ვარ, – დაბეჯითებით მიუგო ფაჯმა.

– ალბათ იცით, რომ დემენტორებმა ორჯერ გაჩხრიკეს ჩემი ბარი, – საყვედურნარევი ხმით უთხრა როზმერტამ, – კლიენტები დამიფრთხეს! ბატონო მინისტრო, ჩემი ბიზნესისთვის ეს ძალიან ცუდია...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– როზმერტა, ძვირფასო, დემენტორები არც მე მიყვარს, – აღელდა ფაჯი, – მაგრამ რას ვიზამთ, აუცილებელი ზომებია... თავი ხომ უნდა დავიცვათ.. სამწუხაროა, მაგრამ ასეა... სულ ახლახან რამდენიმე დემენტორს შევხვდი, დამბლდორზე განრისხებულები არიან, სკოლაში რომ არ უშვებს...

– და სწორადაც იქცევა! – ჩაერია პროფესორი მაკგონაგელი, – იქნებ გვითხრათ, როგორ უნდა გავაგრძელოთ სასწავლო პროცესი, როცა ის საზიზღარი არსებები თავს დაგვტრიალებენ?

– აბა, რა! გეთანხმებით! – დაიწრიპინა ფლიტვიკმა, ფეხებით იატაკს ვერც სწვდებოდა.

– რამდენჯერ უნდა აგიხსნათ, – მოიღუშა ფაჯი, – ისინი აქ ჩვენს დასაცავად ჩამოვიდნენ... ყველას მოგვეხსენება, ბლექი არაფერზე დაიხევს უკან...

– იცით, მე ბოლომდე მაინც არ მჯერა ეგ ამბები, – დაფიქრდა მადამ როზმერტა, – ვინ წარმოიდგენდა, რომ სირიუს ბლექი ბნელი ძალების მხარეს გადავიდოდა? ნამდვილად დაუჯერებელი ამბავია... იმ დროიდან მახსოვს, ჰოგვორტსში რომ სწავლობდა, მაშინ მთლად ბავშვი იყო. იმ დროს ვინმეს რომ ეთქვა ჩემთვის, ამ ბიჭს ასეთი საშინელების ჩადენა შეუძლიაო, ვეტყოდი, ჩემო ძვირფასო, თქვენ, ეტყობა, მეტისმეტად ბევრი გროგი დაგილევიათ-მეთქი!

– თქვენ სრული სიმართლე არ იცით, როზმერტა, – განყრა ფაჯი, – მისი ყველაზე საშინელი დანაშაულის შესახებ ხალხმა არაფერი იცის.

– მაინც? – ჩაეძია მადამ როზმერტა, – იმდენი ხალხის დახოცვაზე უარესი რაღა უნდა ჩაედინა?

– მე უკეთ ვიცი, რასაც ვამბობ! – მოუჭრა ფაჯმა.

– ვერ დავიჯერებ! მაგაზე უარესი რაღა უნდა იყოს?

– როზმერტა, შენ ამბობ, რომ ჰოგვორტსში მოსწავლეობის დროიდან გახსოვს, არა? – ჩაერთო პროფესორი მაკგონაგელი, – ის თუ გახსოვს, ვინ იყო მისი საუკეთესო მეგობარი?

– რასაკვირველია, მახსოვს, – გაეღიმა მადამ როზმერტას, – უერთმანეთოდ არსად არ დადიოდნენ! ჩემთანაც ხშირად შემოივლიდნენ ხოლმე, რა მხიარული ბიჭები იყვნენ! განუყრელი წყვილი: სირიუს ბლექი და ჯეიმს პოტერი!

ჰარის ტოლჩა ხელიდან გაუვარდა. რონმა ფეხი წაჰკრა.

– დიახ, სწორედაც, – განაგრძო პროფესორმა მაკგონაგელმა, – ბლექი და პოტერი! პატარა ბანდის ლიდერები იყვნენ. ორივენი ძალიან ნიჭიერი ბიჭები იყვნენ, ძალიან კი არა, იშვიათი ნიჭის პატრონები... მაგრამ რაღაც არ მახსოვს, მაგათზე ცელქი მოსწავლეები ოდესმე გვყოლოდა ჰოგვორტსში.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰოო? – ჩაიხითხითა ჰაგრიდმა, – ფრედ და ჯორჯ უისლები მაგათ ათი თავით უსწრებენ...

– ბლექი და პოტერი ძმებივით იყვნენ, – ჩაიდუდუნა პროფესორმა ფლიტვიკმა, – განუყრელი ძმებივით!

– ნამდვილად, – დაეთანხმა ფაჯი, – პოტერი ბლექს თავის თავზე მეტად ენდობოდა. სკოლის დამთავრების შემდეგაც მეგობრებად დარჩნენ. ბლექი ჯეიმსისა და ლილის ქორწილში მეჯვარე იყო. მერე ბლექმა ჰარიც მონათლა. ჰარიმ, რა თქმა უნდა, ამის შესახებ არაფერი იცის. წარმოგიდგენიათ, რა დაემართება საწყალ ბიჭს, ეს რომ გაიგოს?

– იმიტომ რომ, ბლექი, ჩვენ-რომ-ვიცით, იმის მხარეს გადავიდა? – წაიჩურჩულა მადამ როზმერტამ.

– მაგაზე უარესი რამ ჩაიდინა, ძვირფასო, – ხმას დაუწია ფაჯმა, – ბევრმა არ იცის, მაგრამ პოტერებმა კარგად უწყოდნენ, ჩვენ-რომ-ვიცით ის, მათ მოსაკლავად რომ დასდევდა. დამბლდორს, რომელიც მაშინ ჩვენ-რომ-ვიცით, იმას მუხლჩაუხრელად ებრძოდა, თავისი ჯაშუშები ჰყავდა. ერთ-ერთმა ჯაშუშმა ეს ინფორმაცია მიაწოდა და მანაც სასწრაფოდ გააფრთხილა ლილი და ჯეიმსი. ურჩია, სადმე დამალულიყვნენ. მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ-რომ-ვიცით, იმას ასე ადვილად ვერ დაემალებოდი. დამბლდორმა ურჩია, ფიდელიუსის შელოცვა გამოიყენეთო.

– ეგ რომელი შელოცვაა? – თვალები გაუფართოვდა მადამ როზმერტას. პროფესორმა ფლიტვიკმა ყელი ჩაიწმინდა და აუხსნა:

– ძალიან რთული მაგიური ფორმულაა! ჯადოქრობის წყალობით, საიდუმლო ერთადერთი ადამიანის სულში ინახება. ინფორმაციას შერჩეული ადამიანი ინახავს, მას მესაიდუმლე ეწოდება. ერთი სიტყვით, თუ თავად მესაიდუმლემ არ მოინდომა მისი გამხელა, ვერავინ ვერაფერს გაიგებს. თუ მესაიდუმლე არაფერს იტყოდა, ჩვენ-რომ-ვიცით, იმას, თუნდაც წლობით ეძებნა ლილი და ჯეიმსი, მაინც ვერ მიაგნებდა. მათი სახლი ცხვირწინ რომ ჰქონოდა, მაინც ვერაფერს გახდებოდა.

– ესე იგი, ბლექი პოტერების მესაიდუმლე იყო? – ჩურჩულით იკითხა მადამ როზმერტამ.

– რასაკვირველია, – დაუდასტურა პროფესორმა მაკგონაგელმა, – ჯეიმს პოტერმა დამბლდორს უთხრა, ბლექი მოკვდება და ჩვენს ადგილსამყოფელს არ გასცემსო, თანაც, თვითონაც დამალვას აპირებსო... მაგრამ დამბლდორი მაინც ღელავდა. მახსოვს, როგორ შესთავაზა პოტერებს, მე თვითონ ვიქნები თქვენი მესაიდუმლეო.

– ბლექს არ ენდობოდა? – გაოგნდა მადამ როზმერტა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დარწმუნებული იყო, რომ პოტერების რომელიღაც ახლობელი ჩვენ-რომ-ვიცით, იმას ინფორმაციას აწვდიდა, – მოიღუშა პროფესორი მაკგონაგელი, – რასაკვირველია, ეჭვი ჰქონდა, რომ ერთ-ერთი ჩვენგანი მოღალატე იყო და ჩვენ-რომ-ვიცით, იმას ეხმარებოდა.

– მაგრამ ჯეიმსმა მაინც ბლექი აირჩია, არა?

– დიახ, – ამოიოხრა ფაჯმა, – მერე კი, ერთი კვირაც არ იყო გასული, რაც ფიდელიუსის შელოცვა გააკეთეს და...

– ბლექმა უღალატა? – აღმოხდა მადამ როზმერტას.

– ჰო, ეგრე მოხდა. ბლექი ორმაგი აგენტი ყოფილა, ეტყობა, დაიღალა თვალთმაქცობით და გადაწყვიტა, პოტერების დაღუპვის დღეს ყველაფერი ელიარებინა. მაგრამ, როგორც გახსოვთ, ჩვენ-რომ-ვიცით, იმან ჰარი პოტერს ვერაფერი დააკლო, ძალა დაეკარგა, საშინლად დასუსტდა და სადღაც გადაიკარგა. ჰოდა, ბლექი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მისი ბატონი სწორედ მაშინ განადგურდა, როცა თავისი ნამდვილი სახე გამოააშკარავა. სხვა რა გზა ჰქონდა, ყველაფერი აღიარა და დაგვნებდა...

– ეგ დამპალი მოღალატე, ეგა! – ისეთ ხმაზე იღრიალა ჰაგრიდმა, რომ ბარში სიჩუმე ჩამოვარდა.

– ჩუმად! – დაუსისინა პროფესორმა მაკგონაგელმა.

– მე თვითონ შევხვდი! – არ ცხრებოდა ჰაგრიდი, – ბოლოს მე ვნახე, სანამ იმ საწყალ ხალხს დახოცავდა. ჰარი მე გამოვიყვანე იმ სახლიდან, როცა ლილი და ჯეიმსი დახოცეს. ნანგრევებიდან მე გამოვიყვანე საწყალი პატარა ბავშვი, შუბლზე დიდი ჭრილობა აჩნდა... საბრალოს მშობლები უკვე აღარ ჰყავდა... უცებ სირიუს ბლექი გამოჩნდა თავისი მფრინავი მოტოციკლით. მაშინ რა ვიცოდი, იქ რა ესაქმებოდა. თუმცა, ვიცოდი, რომ ლილისა და ჯეიმსის მესაიდუმლე ეგ იყო. ვიფიქრე, ალბათ, გაიგო, რომ ჩვენ-რომ-ვიცით, ის მის მეგობრებს თავს დაესხა და სანახავად მოვიდა-მეთქი. გაფითრებული იყო და კანკალებდა. და იცი, მე რა გავაკეთე? ეგ დამპალი მოღალატე მკვლელი დავაწყნარე! – უარესად დაიღრიალა ჰაგრიდმა.

– ჰაგრიდ, ხმას დაუწიეთ! – მკაცრად გააფრთხილა მაკგონაგელმა.

– საიდან უნდა მცოდნოდა, რომ ლილი და ჯეიმსი ფეხებზე ეკიდა? თურმე მარტო ჩვენ-რომ-ვიცით, ის ადარდებდა. მერე იცით, რა მითხრა? ჰაგრიდ, ჰარი მომეცი, მისი ნათლია ვარ და მე მოვუვლიო. მაგრამ დამბლდორისგან ნაბრძანები მქონდა, ბიჭი თავის დეიდასთან და ბიძასთან წამეყვანა და ამიტომ უარი ვუთხარი. ბლექი შემეკამათა, მაგრამ ბოლოს თავი დამანება. ის კი არა, მოტოციკლი მათხოვა ჰარის წასაყვანად. უკვე აღარ დამჭირდებაო, მითხრა. უნდა მივმხვდარიყავი, რო რაღაც ვერ იყო რიგზე. თავისი მოტოციკლი ისე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უყვარდა, არავის უთმობდა. ან რას ნიშნავდა მისი ნათქვამი: უკვე აღარ დამჭირდებაო. შტერი ვარ! როგორ ვერ მივხვდი?! დამბლდორმა ხო იცოდა, რომ პოტერების მესაიდუმლე ეგ იყო. ბლექი მიხვდა, რომ იმ ღამითვე უნდა გაქცეულიყო, იცოდა, მაგიის სამინისტრო სულ მალე დაადგებოდა თავზე! კიდევ კარგი, ჰარი არ მივეცი!!! დარწმუნებული ვარ, სადმე ზღვაში ჩააგდებდა! არადა, მისი საუკეთესო მეგობრის შვილი იყო! თუმცა, არ მიკვირს, როცა ჯადოქარი ბნელი ძალების მხარეს გადადის, მერე უკვე არაფრის არ რცხვენია!

ჰაგრიდი შეჩერდა. კარგა ხანს ყველანი ჩუმად ისხდნენ. მერე მადამ როზმერტამ კმაყოფილებით აღნიშნა:

– კი მაგრამ, დამალვა ხომ მაინც ვერ მოახერხა – მაგიის სამინისტრომ მეორე დღესვე დააკავა!

– ეჰ, ნეტა, მართლა ჩვენ გვეპოვა! – მწარედ ჩაილაპარაკა ფაჯმა, – პოტერის კიდევ ერთმა მეგობარმა, პიტერ პეტიგრიუმ იპოვა. მწუხარებისგან გაგიჟებულმა თავად მოინდომა ბლექის დაჭერა, ხომ იცოდა, რომ პოტერების მესაიდუმლე იყო.

– პეტიგრიუ? ეს ის მსუქანა ბიჭი ხომ არაა, პოტერს და ბლექს უკან რომ დასდევდა? – მოაგონდა მადამ როზმერტას.

– ჰო, ეგაა, პოტერსა და ბლექს აღმერთებდა! – დაუდასტურა მაკგონაგელმა, – თუმცა, ნიჭიერებით მათ, რასაკვირველია, ვერც კი შეედრებოდა. ხშირად მეტისმეტად მკაცრად ვექცეოდი. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ ვნანობ ახლა ჩემს საქციელს... – პროფესორს თვალები ცრემლებით აევსო.

– კარგი რა, მინერვა, – დაამშვიდა ფაჯმა, – პეტიგრიუ ისე მოკვდა, როგორც ნამდვილ გმირს შეეფერება! მაგლმა მოწმეებმა გვიამბეს (რა თქმა უნდა, მათი მეხსიერება მოგვიანებით წავშალეთ), როგორ მოუმწყვდევია ბლექი კუთხეში. თურმე ხმამაღლა ქვითინებდა: „ლილი და ჯეიმსი! ბლექ, ეს როგორ ჩაიდინე!“ მერე კი ჯოხის ამოღება მოუნდომებია, მაგრამ ბლექმა დაასწრო და საწყალი პეტიგრიუ სულ ნაკუწებად აქცია.

პროფესორმა მაკგონაგელმა ცხვირი მოიხოცა და ნამტირალევი ხმით ჩაილაპარაკა:

– სულელი ბიჭი... პატარა სულელი... ორთაბრძოლები არასოდეს ეხერხებოდა... მაგიის სამინისტროსთვის უნდა ეცლია... რას ერეოდა...

– ოხ, ნეტავ კი მე ჩამეგდო ხელთ ეგ თქვენი ბლექი, ჯოხი რას მიქვია, ცარიელი ხელებით გავგლეჯდი შუაზე... – დაიბუხუნა ჰაგრიდმა.

– ჰაგრიდ, წარმოდგენაც არა გაქვს, რას ლაპარაკობ, – მკაცრად

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოუჭრა ფაჯმა, – შენ კი არა, ბლექს სპეციალურად გაწვრთნილმა ძალოვანი სტრუქტურების ჯადოქრებმაც ვერაფერი დააკლეს. მაშინ მე ჯადოსნური კატასტროფების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ვიყავი, ერთ-ერთი პირველი მივედი შემთხვევის ადგილას. არასოდეს... არასოდეს დამავიწყდება... ის კი არა, ზოგჯერ მესიზმრება კიდეც ეს საშინელი სცენა... აფეთქება ისეთი ძლიერი იყო, რომ მთელი ქუჩა გადაეთხარა და საკანალიზაციო მილებამდეც კი ჩაეღწია. იქაურობა გვამებით იყო მოფენილი, მაგლები ყვიროდნენ. ბლექი კი თავისთვის იდგა და ხარხარებდა. საბრალო პეტიგრიუსგან მხოლოდ სისხლიანი მანტიის ნაგლეჯებიღა იყო დარჩენილი...

ფაჯს ხმა ჩაუწყდა. მაგიდასთან მსხდომებმა ხმამაღლა მოიხოცეს ცხვირი.

– აი, ასე მოხდა ეს ამბავი, როზმერტა, – განაგრძო ფაჯმა, – ბლექი ჯადოქრული ძალოვანი სტრუქტურების ოცმა თანამშრომელმა წაიყვანა, პეტიგრიუს კი მერლინის პირველი ხარისხის ორდენი მიანიჭეს. იმედია, ამან ოდნავ მაინც ანუგეშა უბედური დედამისი. იმ დღიდან ბლექი აზკაბანში იჯდა.

მადამ როზმერტამ ამოიოხრა:

– ბატონო მინისტრო, მართალია, რომ ამბობენ, გაგიჟდაო?

– ნეტავ, მართლა ასე იყოს! დარწმუნებული ვარ, მბრძანებლის დამარცხებამ ცოტა ხნით დაუბინდა გონება. პეტიგრიუსა და მაგლების დახოცვა სხვანაირად ვერ ამიხსნია. სასოწარკვეთილი, სასტიკი ადამიანის საქციელია... გამოიჭირეს და სხვა გამოსავალი ვერ იპოვა. ჰო, მართლა, აზკაბანის ბოლო შემოვლის დროს ბლექიც მოვინახულე. საერთოდ, პატიმრები საკნებში თავისთვის სხედან და უაზროდ ბუტბუტებენ რაღაცას... არ დამიჯერებთ, მაგრამ ბლექი სრულიად ნორმალური ჩანდა. სრულიად საღ გონებაზე მყოფი მელაპარაკა. ჟრუანტელმა დამიარა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ყველაფერი მოჰბეზრებიაო. ხელში გაზეთი მეჭირა და მთხოვა, თუ წაიკითხეთ, იქნებ მათხოვოთ, კროსვორდები მომენატრაო. პირდაპირ გაოგნებული დავრჩი, დემენტორებს მასზე სულაც არ უმოქმედიათ... არადა, აზკაბანში ყველაზე ძლიერი დაცვა ჰყავდა... დემენტორები მის კარს ერთი წამითაც არ შორდებოდნენ.

– როგორ ფიქრობთ, რატომ გამოიქცა? – ჰკითხა მადამ როზმერტამ, – ნუთუ ისევ ჩვენ-რომ-ვიცით, იმას ეძებს?

– საბოლოო გეგმა ალბათ მართლაც ესაა, – ორჭოფულად უპასუხა ფაჯმა, – მაგრამ, იმედია, მანამდე მოვახერხებთ ბლექის დაკავებას. როგორ გითხრათ, ჩვენ-რომ-ვიცით, ის, მეგობრებისა და თანამოაზრეების გარეშე, ვერაფერს გახდება... მაგრამ საკმარისია,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავისი ერთგული მსახური დაუბრუნდეს... ამის გაფიქრებაც კი მზარავს... ისევ დაიბრუნებს ძველებურ ძალაუფლებას...

ბროლმა გაინწკარუნა. ვიღაცამ ჭიქა მაგიდაზე დადგა.

– კორნელიუს, თუ დირექტორთან აპირებთ სადილობას, ჯობს, ახლავე დავბრუნდეთ სკოლაში, – უთხრა პროფესორმა მაკგონაგელმა.

ჰარი ხედავდა, როგორ გაიკრიფნენ ბარიდან თავიანთი პატრონების წონით დამძიმებული ფეხები, მადამ როზმერტას ბრჭყვიალა ფეხსაცმელებიც მოეფარა დახლს. მერე „სამი ცოცხის“ კარი გაიღო და ოთახში წამით ქარბუქი შემოიჭრა. მასწავლებლები წავიდნენ.

– ჰარი, ცოცხალი ხარ?

რონმა და ჰერმიონმა მაგიდის ქვეშ შეიხედეს და უსიტყვოდ მიაჩერდნენ მეგობარს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეთერთმეტე

„ელვა“

ჰარის კარგად არც კი ახსოვდა, როგორ შეაღწია „თაფლუჭის“ სარდაფში, როგორ ჩაძვრა გვირაბში და როგორ ამოყო თავი კოშკში. თავში სულ მოსმენილი საუბარი უტრიალებდა.

რატომ არაფერი უთხრეს დამბლდორმა, ჰაგრიდმა, ბატონმა უისლიმ ან კორნელიუს ფაჯმა... რატომ ერთხელაც კი არავის უთქვამს, რომ მისი მშობლები მეგობარმა დაღუპა?

სადილობისას რონი და ჰერმიონი ჰარის თვალს არ აცილებდნენ, მაგრამ ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ, რადგან პერსი იქვე იჯდა. მერე სტუდენტებით გადაჭედილ საერთო ოთახში დაბრუნდნენ. ამასობაში ფრედსა და ჯორჯს მოახლოებული არდადეგების აღსანიშნავად იქაურობა ნეხვის ბომბებით მოესვარათ. ჰარის სულაც არ უნდოდა, ტყუპებს მისთვის დაკითხვა მოეწყოთ, აბა, ჰოგსმიდი როგორ მოიარეო, ამიტომ შეუმჩნევლად ავიდა საძინებელში, უჯრაში წიგნები გადაქექა და იმწამსვე მიაგნო, რასაც ეძებდა – თავისი მშობლების სურათებით სავსე ტყავისყდიან ფოტოალბომს, რომელიც ჰაგრიდმა აჩუქა ორი წლის წინათ. ჰარი საწოლზე ჩამოჯდა, ფარდები ჩამოუშვა და ალბომი გადაშალა.

ქორწილის სურათზე შეჩერდა. მოღიმარი მამა სურათიდან ხელს უქნევდა. მასაც, ჰარის არ იყოს, აჩეჩილი შავი თმა ჰქონდა. ბედნიერებისაგან სახეგაბრწყინებულ დედას მეუღლისთვის ხელკავი გამოედო... ეს კი ალბათ მეჯვარე იყო... ადრე მისთვის ყურადღება არასოდეს მიუქცევია...

წინასწარ რომ არ სცოდნოდა, ამ ძველ სურათზე ბლექს ვერაფრით იცნობდა. სულაც არ იყო გაძვალტყავებული და დაბერებული, პირიქით, ძალიან სიმპათიური ჩანდა. ნეტავ, როცა ეს სურათი გადაიღეს, უკვე ვოლდემორის ჯაშუში იყო? ნუთუ უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავისი საუკეთესო მეგობრების დახოცვა? ნეტავ, თუ ხვდებოდა, რომ თორმეტ წელიწადს აზკაბანში გაატარებდა და ამ ხნის მანძილზე ისე შეიცვლებოდა, რომ ველარავინ იცნობდა?

„დემენტორები მასზე არ მოქმედებენ, – გაიფიქრა ჰარიმ და მოღიმარ სახეს ჩააკვირდა, – რომც მიუახლოვდნენ, მაინც არ შეაწუხებს დედაჩემის კივილი...“

ჰარიმ ალბომი დახურა და ისევ უჯრაში ჩადო. მანტია გაიხადა, სათვალე მოიხსნა და ლოგინში ჩაწვა, თან შეამოწმა, ფარდები კარგად იყო ჩამოფარებული თუ არა. საძინებელი ოთახის კარი გაიღო.

– ჰარი, აქა ხარ? – დაუძახა რონმა.

ჰარი არ განძრეულა, თავი მოიმძინარა. დაელოდა, სანამ რონი ოთახიდან გავიდოდა, მერე გულაღმა დაწვა და ფართოდ დაჭყეტილი თვალები ჭერს მიაპყრო.

სიცოცხლეში პირველად იგრძნო სიძულვილი. ადრე ასეთი რამ არასოდეს განუცდია. სიბნელეში მოხარხარე ბლექის სახე ელანდებოდა, თითქოს ვიღაცას ალბომიდან სურათი ამოეღოს და ჰარის თავზემოთ, ჭერზე მიეკრას. თვალნათლივ ხედავდა, თითქოს კინოფილმს უყურებსო, როგორ აფეთქებდა ბლექი პიტერ პეტიგრიუს, რომელიც, რატომღაც, ნევილ ლონგბოტომს ჰგავდა. ესმოდა, როგორ ჩურჩულებდა გახარებული ბლექი: „როგორც იქნა, ჩემო მბრძანებელო... პოტერებმა თავიანთ მესაიდუმლედ ამირჩიეს...“ მერე კი ჟრუანტელის მომგვრელი ხარხარი ესმოდა, სწორედ ისეთი, როგორიც დემენტორების მოახლოებისას.

* * *

ჰარის გარიჟრაჟზე ჩაეძინა. დილით საძინებელი ოთახი უკვე დაცარიელებული დახვდა. ტანთ ჩაიცვა და საერთო ოთახში ჩავიდა, სადაც რონისა და ჰერმიონის გარდა, არავინ იყო. რონი პიტნიან გომბეშოს მიირთმევდა და მუცელს იზელდა, ჰერმიონს კი დავალება ერთზე არ ეტეოდა და სამ მაგიდაზე გადაეშალა.

– დანარჩენები სად არიან? – იკითხა ჰარიმ.

– ყველა წავიდა! დღეს არდადეგები დაიწყო. დაგავიწყდა? – რონმა გაკვირვებით შეხედა ჰარის, – უკვე ლანჩის დროა, ახლა შენს გაღვიძებას ვაპირებდი.

ჰარი მოწყვეტით ჩაეშვა ბუხართან მდგარ სავარძელში. გარეთ თოვდა. ბუხრის წინ წამოგორებული ბო დიდ მოწითალო ხალიჩას ჰგავდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ავად ხომ არა ხარ? – ეჭვით შეხედა ჰერმიონმა.

– არა, – მიუგო ჰარიმ.

– იცი, რა, ჰარი, – რონს გადახედა ჰერმიონმა, – ეტყობა, გუშინდელმა ამბავმა ცუდ გუნებაზე დაგაყენა. მაგრამ, იცოდე, სისულელე მაინც არ უნდა ჩაიდინო!

– რას გულისხმობ?

– ბლექის ძებნა არ უნდა დაიწყო! – მოკლედ მოუჭრა რონმა.

ჰარიმ გაიფიქრა, ალბათ წინასწარ მოილაპარაკესო. თვითონ არაფერი უთქვამს.

– პირობას მაძლევ, ჰარი? – არ მოეშვა ჰერმიონი.

– ბლექის გულისთვის თავის დაღუპვა არ ღირს, – დაუმატა რონმა.

ჰარიმ მეგობრებს თვალი გაუსწორა, როგორც ჩანს, არაფერი ესმითო, გაიფიქრა, და უთხრა:

– თქვენ იცით, მე რა მესმის და რას ვხედავ, როცა დემენტორი მიახლოვდება?!

რონმა და ჰერმიონმა უარის ნიშნად თავი გააქნიეს.

– დედაჩემის კივილი მესმის, ვოლდემორს შეწყალებას სთხოვს. თქვენ რომ მომაკვდავი დედის კივილი გესმოდეთ, დარწმუნებული ვარ, ადვილად ვერ ამოიგდებდით თავიდან! თანაც, როგორ მოგეწონებოდათ, მისთვის საუკეთესო მეგობარს რომ ეღალატა და ლორდ ვოლდემორის ხელში ჩაეგდო?

– მაინც ვერაფერს უშველი! – არ ცხრებოდა ჰერმიონი, – დემენტორები ბლექს, ადრე თუ გვიან, დაიჭერენ და აზკაბანში დააბრუნებენ. ჰოდა, ასეც მოუხდება...

– ხომ გაიგონეთ, ფაჯმა რა თქვა: სხვა ნორმალური ადამიანებისგან განსხვავებით, ბლექზე აზკაბანის ციხე არ მოქმედებსო. სხვებისთვის იქ ყოფნა თუ სასტიკი სასჯელია, ბლექს ამით არაფერი უშავდება.

– მერე, ამით რის თქმა გინდა? – წამოენთო რონი, – შენ რა, ბლექის მოკვლას ხომ არ აპირებ?

– ნუ სულელობ, რონ, – შეშფოთდა ჰერმიონი, – ჰარი არავის მოკვლას არ აპირებს! არა, ჰარი?

ჰარის პასუხი არ გაუცია, რადგან თვითონაც არ იცოდა, რა სურდა. თუმცა, ერთი ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა, ბლექი თავისუფლად დაძრწის, მე კი არაფერს ვაკეთებო.

– მალფოიმ ყველაფერი იცის, – უთხრა მეგობრებს, – გახსოვთ, შხამ-წამლების გაკვეთილზე რა მითხრა? შენს ადგილას რომ ვიყო, თვითონ მოვძებნიდი... შურს ვიძიებდიო...

– შენთვის მალფოის აზრი უფრო მნიშვნელოვანია თუ ჩვენი?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გაწიწმატდა რონი, – იცი, პეტიგრიუს დედას რა გაუგზავნეს იმ შეტაკების მერე? მამაჩემმა მიამბო: მერლინის პირველი ხარისხის ორდენი და ყუთით საკუთარი შვილის ერთადერთი თითი! მისგან მეტი არაფერი დარჩა. ბლექი გიჟია! და თან ძალიან სახიფათო...

– ეტყობა, მალფოის მამამისმა ჩაუკაკლა ყველაფერი, – ჰარი რონს აღარ უსმენდა, – ლუციუსი ხომ ვოლდემორთან ძალიან ახლოს იყო...

– თუ შეიძლება, ჩვენ-რომ-ვიცით, ის დაუძახე, სახელს ნუ ახსენებ! – შეაწყვეტინა მოთმინებადაკარგულმა რონმა.

– ...თავისთავად ცხადია, მალფოის ეცოდინებოდა, რომ ბლექი ვოლდემორის მხარეს იყო...

– ...ო, რას გაიხარებს მალფოი, თუ პეტიგრიუსავით ნაკუწებად გაქცევენ! როგორ ვერ ხვდები, მალფოის ურჩევნია, ქვიდიჩის მატჩამდე სადმე ჩაძაღლდე!

– ჰარი, გთხოვ, – თვალები ცრემლებით აევსო ჰერმიონს, – გთხოვ, ჭკუას მოეგე! ბლექმა შენს ოჯახს საშინელება დამართა, მაგრამ შენ თავი საფრთხეში არ უნდა ჩაიგდო... ბლექსაც ხომ სწორედ ეს უნდა... პირდაპირ ხელში ჩაუვარდები, თუ მის ძებნას დაიწყებ! არა მგონია, შენს მშობლებს გახარებოდათ, შენ რომ რაიმე დაგმართნოდა... ბლექის ძებნის უფლებას ალბათ არასოდეს მოგცემდნენ!

– ეგ არავინ იცის, რადგან, ბლექის წყალობით, ჩემს მშობლებთან საუბარი არასოდეს მღირსებია! – შეაწყვეტინა ჰარიმ.

წამით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ბო გემრიელად გაიზმორა და ბრჭყალები გამოაჩინა. რონს ჯიბე აუთამაშდა.

– ჰო, მართლა, – რონი შეეცადა, საუბარი სხვა თემაზე გადაეტანა, – არდადეგები დაიწყო! მალე შობაც დადგება! მოდი... მოდი, ჰაგრიდი მოვინახულოთ! რამდენი ხანია, არ გვინახავს.

– არავითარ შემთხვევაში! – ცივი წყალი გადაასხა ჰერმიონმა, – ჰარი ციხე-კოშკიდან არ უნდა გავიდეს...

– რატომაც არა, წავიდეთ, – წამოდგა ჰარი, – და თან ვკითხავ, ბლექის შესახებ რატომ არაფერი მითხრა, როცა ჩემი მშობლების ამბავი მიამბო!

რონს არ ეგონა, რომ ისევ სირიუს ბლექზე ჩამოვარდებოდა სიტყვა და ამიტომაც სასწრაფოდ დასძინა:

– იქნებ ჭადრაკი გვეთამაშა! ან კენჭობანა... პერსიმ თავისი კენჭები დამიტოვა...

– არა! ჰაგრიდთან წავიდეთ! – გადაჭრით განაცხადა ჰარიმ.

საძინებელი ოთახებიდან მანტიები ჩამოიტანეს და პორტრეტის ხვრელში გადაძვრნენ.

– მედგრად დამიდექ, შე ბილწო არამზადავ! – მიაძახა რაინდმა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაგრამ მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია, ბავშვებმა დაცარიელებული ციხე-კოშკი გაიარეს და მუხის კარში გავიდნენ.

მშრალი თოვლი სასიამოვნოდ ხრაშუნობდა ფეხქვეშ, მაგრამ წინდები და მანტიის კალთები მაინც დაუსველდათ და მთლად გაითოშნენ. აკრძალული ტყე ისეთი ლამაზი იყო, რომ მოჯადოებული გეგონებოდათ. ხეები ვერცხლის საბურველში გახვეულიყო, ჰაგრიდის ქოხი კი ნაყინის უზარმაზარ ტორტს ჰგავდა.

რონმა კარზე დააკაკუნა, მაგრამ არავინ გამოხმაურებია.

– რაღაც უცნაური ხმა ისმის! ფენგი არ უნდა იყოს...

ჰარიმ და ჰერმიონმა ყური კარს მიაბჯინეს. ქოხიდან ჩუმი, გმინვის მსგავსი ქვითინი ისმოდა.

– მე მგონი, ჯობია, ვინმეს დავუძახოთ, – დაფრთხა რონი.

– ჰაგრიდ! – ჰარიმ მთელი ძალით დასცხო მუშტი კარს, – ჰაგრიდ, მანდა ხარ?

მძიმე ნაბიჯების ხმა გაისმა და კარი გაიღო. ჰაგრიდს დაწითლებულ-დასივებული თვალებიდან ღაპაღუპით სცვიოდა მსხვილ-მსხვილი ცრემლები.

– თქვენც გაიგეთ, არა? – ამოიღრიალა გულმოკლულმა და ჰარის გადაეხვია.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჰაგრიდი ჩვეულებრივ ადამიანებზე ორჯერ დიდი იყო, ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში ჩავარდებოდა ჰარი, რონი და ჰერმიონი დროზე რომ არ მიშველებოდნენ. მწუხარებისგან განადგურებული ჰაგრიდი მორჩილად შეჰყვა ბავშვებს ქოხში და მძიმედ ჩაეშვა სავარძელში. მერე თავს ვერ მოერია და აქვითინებული მაგიდას დაეყრდნო.

– ჰაგრიდ, არ იტყვი, რა მოგივიდა? – ჰკითხა შეწუხებულმა ჰერმიონმა.

ჰარიმ მაგიდაზე ოფიციალური უწყების მსგავსი წერილი შეამჩნია.

– ეს რა წერილია, ჰაგრიდ?

ჰაგრიდი უარესად აღმუვლდა და ჰარის წერილი მიაჩეჩა:

> **„ძვირფასო ბატონო ჰაგრიდ,**
>
> გაცნობებთ, რომ თქვენს გაკვეთილზე მომხდარი ინციდენტის, კერძოდ კი, ჰიპოგრიფის მოსწავლეზე თავდასხმის გამოძიება დასრულებულია. პროფესორმა დამბლდორმა მოგვახსენა, რომ თქვენ ამ საშიშხარო ინციდენტზე პასუხს არ აგებთ...“

– მაგას რა სჯობია, ჰაგრიდ, – რონმა მეგობრულად დაჰკრა მხარზე ხელი, მაგრამ ჰაგრიდი მაინც ვერ წყნარდებოდა, ჰარის ვეება ტორით ანიშნა, კითხვა განაგრძეო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

„მაგრამ, მიუხედავად ამისა, უნდა გაცნობოთ, რომ ერთობ გვაღელვებს ზემოთხსენებული ჰიპოგრიფის ამბავი. ამრიგად, გადავწყვიტეთ, მხარი დავუჭიროთ ბატონი მალფოის სარჩელს და საკითხი განსახილველად გადავცეთ სახიფათო ჯადოსნურ არსებათა ლიკვიდაციის კომიტეტს. სასამართლო პროცესი შედგება ა. წ. 20 აპრილს. გთხოვთ, აღნიშნულ დღეს თქვენს ჰიპოგრიფთან ერთად გამოცხადდეთ კომიტეტის ლონდონის ოფისში. მანამდე კი ჰიპოგრიფი დაბმული და იზოლირებული უნდა გყავდეთ.

პატივისცემით...“

და შემდეგ სკოლის მეურვეთა სახელები იყო ჩამოთვლილი.

– კი მაგრამ, შენ არ ამბობდი, ჰაგრიდ, ბაკბიკი ცუდი ჰიპოგრიფი არ არისო? – გაახსენდა რონს, – დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად...

– თქვენ იმ მხეცებს არ იცნობთ, სახიფათო ჯადოსნურ არსებათა ლიკვიდაციის კომიტეტში რომ მუშაობენ, – ჰაგრიდს ხმა ჩაეხლიჩა და ცრემლიანი თვალები სახელოთი მოიწმინდა, – საკმარისია, რაიმე საინტერესო ცხოველი გამოჩნდეს, რომ იმწუთასვე გადაეკიდებიან...

უცებ ჰარი, რონი და ჰერმიონი რაღაც უცნაურმა ხმამ უკან მიახედა. სწორედ ის ჰიპოგრიფი, ბაკბიკი, კუთხეში იწვა და რაღაცას ღეჭავდა.

– ამ თოვლსა და ყინვაში გარეთ ხომ ვერ დავაბამდი? მარტო დავტოვო? როგორია შობადღეს სულ მარტო ყოფნა!

ბავშვებმა ერთმანეთს გადახედეს. ის, რასაც ჰაგრიდი „საინტერესო ცხოველს“ უწოდებდა, სხვების თვალში საზარელი მონსტრი იყო, მაგრამ ერთ რამეში მაინც ეთანხმებოდნენ ჰაგრიდს – ბაკბიკს განზრახ არავისთვის არაფერი დაუშავებია. ჰაგრიდის გემოვნებას თუ გავითვალისწინებთ, ჰიპოგრიფი საკმაოდ უწყინარ ცხოველადაც კი მოგეჩვენებოდათ.

– კარგი დასაცავი სიტყვა უნდა დაწერო, ჰაგრიდ, – ჰერმიონი გვერდით მიუჯდა და მიეფერა, – დარწმუნებული ვარ, მოახერხებ იმის დამტკიცებას, რომ ბაკბიკი უწყინარი არსებაა!

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს! – გულამოსკვნილი ქვითინებდა ჰაგრიდი, – მაგ კომიტეტის ხალხი ლუციუს მალფოის სულ მოქრთამული ჰყავს! დააშინა სუყველა! პროცესს თუ წავაგებ, მაშინ ბაკბიკს... – და ჰაგრიდმა ყელთან გამოისვა ხელი. მერე უარესად აბღავლდა და სახე ხელებში ჩარგო.

– დამბლდორი რას ამბობს, ჰაგრიდ? – ჰკითხა ჰარიმ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დამბლდორმა ჩემთვის უკვე ყველაფერი გააკეთა, – ბღაოდა ჰაგრიდი, – უჩემოდაც უამრავი საქმე აქვს, აქეთ – დემენტორებიო, იქით კიდევ – სირიუს ბლექიო...

რონმა და ჰერმიონმა ჰარის გადახედეს, თითქოს ელოდნენ, სადაცაა, ჰაგრიდის ლანძღვას მოჰყვება, სიმართლე რატომ დამიმალეო, მაგრამ ჰაგრიდი ისეთი საცოდავი სანახავი იყო, რომ ჰარიმ ველარაფერი უთხრა.

– ჰაგრიდ, – ძლივს ამოღერღა ბოლოს, – არ უნდა დანებდე! ჰერმიონი მართალია, ერთი კარგი დასაცავი სიტყვა მართლა გჭირდება. ჩვენ მოწმეებად დაგიდგებით...

– მახსოვს, სადღაც წავიკითხე ერთი სასამართლო გარჩევის ამბავი, – ჩაფიქრდა ჰერმიონი, – სადაც ჰიპოგრიფი გაამართლეს. აუცილებლად მოგიძებნი, ჰაგრიდ, და ვნახავ, ზუსტად რა მოხდა.

ჰაგრიდი უფრო გულამოსკვნით ატირდა. ჰარიმ და ჰერმიონმა რონს გადახედეს, შენც დაგვეხმარეო.

– ისა... ჩაი ხომ არ ავადულო?.. – სხვა ვერაფერი მოიფიქრა რონმა.

ჰარი მკაცრად მიაჩერდა მეგობარს.

– დედაჩემი ყოველთვის ასე იქცევა, როცა ვინმე ცუდ გუნებაზეა, – მოიბოდიშასავით რონმა.

ბავშვები კიდევ კარგა ხანს ამშვიდებდნენ და ბოლოს, როცა ხილის ჩაით სავსე დიდი ტოლჩა დაუდგეს წინ, ჰაგრიდმა მაგიდის გადასაფარებლისოდენა ცხვირსახოცით ხმამაღლა მოიხოცა ცხვირი და ჩაილაპარაკა:

– მართალია... ახლა ძალა უნდა მოვიკრიბო... ყველაფერი კარგად უნდა მოვიფიქრო...

ფენგი მაგიდის ქვემოდან გამოძვრა, პატრონს მიელაქუცა და თავი კალთაში ჩაუდო.

– ამ ბოლო დროს ჩემს თავს ველარ ვცნობ, – ჰაგრიდი ცალი ხელით ფენგს მოეფერა, მეორით კი სახე შეიმშრალა, – ბაკბიკის ბედი ძალიან მაწუხებს, და თანაც, ჩემი გაკვეთილები არავის მოსწონს...

– როგორ არა, ჩვენ ძალიან მოგვწონს! – სასწრაფოდ იცრუა ჰერმიონმა.

– აბა რა, მშვენიერი მასწავლებელი ხარ, – მაგიდის ქვეშ თითები გადააჯვარედინა რონმა, – ჰო, მართლა, ფლობერჭიები როგორ არიან?

– დაიხოცნენ, – მოიღუშა ჰაგრიდი, – ძალიან ბევრი კომბოსტო ვაჭამე!

– ვაიმე, საწყლები! – სიცილი ძლივს შეიკავა რონმა.

– ეგ დემენტორებიც ხო ნერვებს მიშლიან! – გააჟრჟოლა ჰაგრიდს,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რამდენჯერაც „სამ ცოცხში“ დასალევად წავალ, იმდენჯერ მაგათ უნდა ჩავუარო გვერდით. თავი ისევ აზკაბანში მგონია! – ჰაგრიდი გაჩუმდა და ჩაი მოსვა.

ჰარი, რონი და ჰერმიონი თვალს არ აცილებდნენ. ჰაგრიდს აზკაბანზე მათთან სიტყვაც კი არასოდეს წამოსცდენია. უცებ ჰერმიონმა ჰკითხა:

– ჰაგრიდ, აზკაბანი საშინელი ადგილია, არა?

– თქვენ აზრზე არა ხართ, – ხმას დაუწია ჰაგრიდმა, – ასეთი საზიზღარი ადგილი ჩემ დღეში არ მინახავს. კინაღამ გავგიჟდი... სუ საშინელებებზე ვფიქრობდი... ის დღე მაგონდებოდა, როცა ჰოგვორტსიდან გამრიცხეს... მამაჩემის სიკვდილიც სუ თვალწინ მედგა... ის დღეც, როცა ნორბერტი გავუშვი... – ჰაგრიდს თვალები ცრემლით აევსო. ნორბერტი პატარა დრაკონი იყო, რომელიც ერთხელ ჰაგრიდმა ბანქოს თამაშში მოიგო, – იქ ცოტა ხანში საკუთარი სახელიც კი გავიწყდება... ცხოვრება აზრს კარგავს... ისეთ დღეში ვიყავი, რომ ვნატრობდი, ნეტავ, ძილში მაინც მოვკვდე-მეთქი... რომ გამომიშვეს, მეგონა, ახლად დავიბადე-მეთქი. თანაც, ხო არ გგონიათ, რომ დემენტორებს ძალიან გაუხარდათ ჩემი გამოშვება!

– შენ ხომ უდანაშაულო იყავი! – გაუკვირდა ჰერმიონს.

– მაგათთვის ამას რა მნიშვნელობა აქვს? სუ ფეხებზე ჰკიდიათ. მაგათ მარტო ის უნდათ, კარგა ბლომად ჰყავდეთ ხალხი, რომ გამოსწოვონ ბედნიერება და რაში ენაღვლებათ, დამნაშავე ხარ თუ უდანაშაულო, – ჰაგრიდი წამით შეჩერდა და ჩაის ტოლჩას ჩააჩერდა, მერე კი უფრო ჩუმად განაგრძო: – მინდოდა, ბაკბიკი გამეპარებინა... ვიფიქრე, ვაიძულებ, გაფრინდეს-მეთქი... მაგრამ ჰიპოგრიფს როგორ გავაგებინო, რომ უნდა დაიმალოს? თანაც, კანონის დარღვევისა მეშინია... – წამით ბავშვებს შეხედა, ისევ ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები, – ნამდვილად არ მინდა აზკაბანში დაბრუნება.

* * *

ჰაგრიდთან სტუმრობა მაინცდამაინც სახალისო ვერ გამოდგა, მაგრამ რონი და ჰერმიონი მაინც კმაყოფილები დარჩნენ, რადგან ჰარის განწყობილება სრულიად შეეცვალა. რასაკვირველია, ბლექი სულაც არ დავიწყებია, მაგრამ გამუდმებით შურისძიებაზე ფიქრის დრო აღარ რჩებოდა, ახლა სხვა საფიქრალიც გაუჩნდა: ჰაგრიდს უნდა დახმარებოდა, რომ როგორმე ჯადოსნურ არსებათა ლიკვიდაციის კომიტეტში სასამართლო პროცესი არ წაეგო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მეორე დღეს სამივენი ბიბლიოთეკაში ავიდნენ და დაცარიელებულ საერთო ოთახში მძიმე წიგნებით დატვირთულები დაბრუნდნენ, იქნებ მათში ბაკბიკის დასაცავად რაიმე ხელმოსაჭიდი ვიპოვოთო. აგიზგიზებულ ბუხართან ისხდნენ და დამტვერილ წიგნებს ყურადღებით ათვალიერებდნენ. თუ რაიმე საინტერესოს გადააწყდებოდნენ, ერთმანეთს უკითხავდნენ.

– აი, ნახეთ... რაღაც პროცესი გამართულა 172 წელს... მაგრამ ჰიპოგრიფი დამნაშავედ აღიარეს... უჰ, ნახეთ, რა უქნეს! რა საზიზღრობაა!...

– იქნებ ეს რამეში გამოგვადგეს? 1296 წელს მანტიკორი ადამიანს დასხმია თავს... მერე კი გაუშვიათ... მაგრამ... არა, ეს არ გამოგვადგება... მასთან ახლოს მისვლას ვერავინ ბედავდა...

ამასობაში მთელი ციხე-კოშკი საშობაოდ ირთვებოდა. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში თითქმის არავინ დარჩენილა, მაინც ჩამოკიდეს ლამაზი გირლანდები, ბაძგითა და ფითრით მორთეს დერეფნები. რაინდების აღჭურვილობები უცნაურად ანათებდა, დიდ დარბაზში კი ოქროს ვარსკვლავებით დამშვენებული თორმეტი უმშვენიერესი ნაძვის ხე იდგა. მალე დერეფნებში გემრიელი სასუსნავის მადისაღმძვრელი სურნელი დატრიალდა. შობის წინაღამეს თვით სკაბერზმაც კი გამოყო რონის ჯიბიდან ცხვირი და ჰაერი დაყნოსა.

შობა დილას რონმა ჰარის ბალიში ესროლა და ძალით წამოაგდო საწოლიდან.

– საჩუქრები!

ჰარიმ სწრაფად მოირგო სათვალე და თვალები დააცეცა. საწოლის ფეხებთან ამანათები დაეხვავებინათ. რონი უკვე ხსნიდა თავის საჩუქრებს.

– დედაჩემს ისევ სვიტერი გამოუგზავნია... და ისევ შინდისფერია... ნახე, შენც გამოგიგზავნიდა...

რონი მართალი აღმოჩნდა, ჰარიმაც ზუსტად ისეთივე სვიტერი მიიღო ქალბატონი უისლისგან, ზედ გრიფინდორის სიმბოლო, ლომი იყო ამოქარგული, ამას გარდა, რონის დედას მისთვის ჩირიანი ნამცხვრებიც გამოეგზავნა. ჰარიმ ახლა მოგრძო ყუთი დაინახა.

– ეგ რაღაა? – დაინტერესდა რონი, ხელში შინდისფერი ნაქსოვი წინდები ეჭირა.

– აზრზე არა ვარ... – ჰარიმ საჩუქარს ქაღალდი შემოახია და გაოცებისგან ენა ჩაუვარდა: ლოგინზე ახალთახალი ცოცხი გადმოვარდა; რონმა წინდები სადღაც მიყარა და წამში ჰარის საწოლთან გაჩნდა, რათა უკეთ დაენახა საჩუქარი. მერე ხმაჩახლეჩილმა ძლივს ამოთქვა: – აუჰ!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლოგინზე უბრალო ცოცხი კი არა, სწორედ ის „ელვა“ იდო, რომელზეც ჰარი ყოველდღე ოცნებობდა, სანამ მრუდე ქუჩაზე ცხოვრობდა. ჰარიმ ცოცხს მბზინავ ტარში ჩაავლო ხელი. იგრძნო, როგორ ათრთოლდა და ხელი გაუშვა, ისიც ჰაერში ჩამოეკიდა, თითქოს ელოდებოდა, როდის შეაჯდებოდა პატრონი. ჰარიმ სარეგისტრაციო ნომრიდან იდეალურად გაკრეჭილ კუდამდე ჩაათვალიერა „ელვა“.

– ვინ გამოგიგზავნა? – წასჩურჩულა რონმა.

– ნახე, ბარათი ხომ არ მოჰყვა, – სთხოვა ჰარიმ.

რონმა „ელვის“ შესაფუთი ქაღალდი გულდასმით დაათვალიერა.

– არაფერიც არ მოჰყვა! კი მაგრამ, ვინ გაიმეტა ამდენი ფული?

– არ ვიცი, – ჰარი ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო გონს, – მაგრამ დარწმუნებული ვარ, დერსლები არ იქნებოდნენ!

– მე კი დარწმუნებული ვარ, საქმეში დამბლდორის ხელი ურევია, – რონი მონუსხული უვლიდა ცოცხს გარს და საგულდაგულოდ სინჯავდა, – ხომ გახსოვს, მაშინაც მაგან გამოგიგზავნა უჩინმაჩინის მოსასხამი და არაფერი უთქვამს.

– ის ხომ მამაჩემის მოსასხამი იყო, – უთხრა ჰარიმ, – დამბლდორმა, უბრალოდ, გადმომცა ის, რაც ისედაც ჩემი იყო. ჩემი გულისთვის ასობით ოქროს გალეონს ნამდვილად არ დახარჯავდა! თავს იმის უფლებას ვერ მისცემს, რომ სტუდენტებს ასეთი ძვირფასი საჩუქრები მიუძღვნას...

– ჰოდა, სწორედ მაგიტომ არ გითხრა, რომ თვითონ გამოგიგზავნა, – დაასკვნა რონმა, – თორემ მალფოისნაირი ნაგვები ერთ ამბავს ატეხდნენ... ჰო, მართლა, ჰარი, – თვალები გაუბრწყინდა რონს, – მალფოიზე გამახსენდა! აზრზე ხარ, რა დაემართება, ამას რომ დაინახავს? შურით გასკდება! ეს ხომ საერთაშორისო კლასის ცოცხია!

– არც კი მჯერა! – ჰარი ცოცხს მოეფერა, რონი კი, მალფოის გახსენებაზე, ჰარის საწოლში გადაკოტრიალდა ახარხარებული, – ვიცი, – თავს მოერია ბოლოს, – ვხვდები, ვინც შეიძლება იყოს... ალბათ ლუპინი!

– რაო? – ახლა ჰარისაც აუტყდა სიცილი, – ლუპინი? მაგდენი ფული რომ ჰქონდეს, თავისთვის ახალ მანტიას მაინც იყიდდა!

– ჰო, მაგრამ, ხომ იცი, ძალიან უყვარხარ, – შეეკამათა რონი, – თანაც, შენ რომ „ნიმბუს-2000“ დაგემტვრა, მაშინ სკოლაში არ იყო. ეტყობა, ვილაცამ ამბავი მიუტანა. ჰოდა, მრუდე ქუჩაზე გაისეირნა და ეს საჩუქარი გაყიდა...

– რა თქვი, სკოლაში არ იყოო? – გაუკვირდა ჰარის, – როგორ არა, უბრალოდ, თამაშის დღეს ავად იყო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– შეიძლება, მაგრამ, საავადმყოფო ფლიგელში რომ არ იწვა, ეგ ნამდვილად ვიცი. არ გახსოვს, სნეიპმა ხომ სწორედ იმ დღეს დამატებით სამუშაოდ ავადმყოფების ღამის ქოთნების გახეხვა დამავალა.

ჰარიმ კოპები შეიკრა:

– მაინც არა მგონია, რომ ლუპინს ამდენი ფული ჰქონოდა.

– რა გაცინებდათ? – ოთახში ღამისპერანგიანი ჰერმიონი შემოვიდა, თან ახლად გამოღვიძებული, ყელზე თოკშებმული ბო შემოიყვანა.

– ეგ კატა აქედან მოაშორე! – რონმა სკაბერზს დაავლო ხელი, თეთრეულიდან გამოათრია და პიჟამას ჯიბეში ჩაისვა. ჰერმიონს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ბო სიმუსის ცარიელ საწოლზე დასვა და გაოგნებული მიაჩერდა „ელვას“.

– ჰარი! ვინ გაჩუქა?

– აზრზე არა ვარ, – მიუგო ჰარიმ, – არც ბარათი ჰქონდა ზედ და არც არაფერი.

ჰარისდა გასაკვირად, ჰერმიონს ეს ამბავი სულაც არ გახარებია და არც დიდად დაინტერესებულა. პირიქით, სახე გაუქვავდა და ტუჩზე იკბინა.

– რა დაგემართა? – ჰკითხა რონმა.

– არ ვიცი, – შესაფერის სიტყვებს ეძებდა ჰერმიონი, – მაგრამ უცნაურად არ გეჩვენებათ ეს ამბავი? როგორც ვხვდები, ეს ძალიან კარგი ცოცხია, არა?

რონმა უნუგეშოდ ამოიოხრა:

– ჰერმიონ! ეს უბრალოდ კარგი კი არა, მსოფლიოში საუკეთესო მოდელის ცოცხია! – რონის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა.

– ასე რომ, ალბათ ძალიან ძვირიც ღირს, არა?

– სლიზერინის გუნდის ყველა ცოცხი ერთად რომ აიღო, ალბათ იმაზე ძვირიც კი ეღირება, – სახე გაუბრწყინდა რონს.

– ჰოდა, ვის უნდა გამოეგზავნა ჰარისთვის ასეთი ძვირადღირებული საჩუქარი და თან თავისი ვინაობა დაემალა?

– ნეტავ რაში გენაღვლება! – მოთმინება დაეკარგა რონს, – ჰარი, შეიძლება, შენი ცოცხით ერთი წრე დავარტყა? გთხოვ, რა!

– არა მგონია, მაგ ცოცხით ფრენა კარგი აზრი იყოს! – ცივად აღნიშნა ჰერმიონმა.

ჰარიმ და რონმა განცვიფრებულებმა შეხედეს ჰერმიონს.

– აბა, შენ როგორ გგონია, ჰარის იატაკის სახვეტად უნდა ეს ცოცხი? – გაბრაზდა რონი.

სანამ ჰერმიონი პასუხის გაცემას მოახერხებდა, ბომ სიმუსის საწოლიდან ისკუპა და რონს პირდაპირ მკერდზე მიახტა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გაათრიე აქედან ეგ კატა-მეთქი!!! – იღრიალა რონმა.

ამასობაში ბო ბრჭყალებით ჩაჰფრენოდა პიჟამას ჯიბეს. სკაბერზი დაფეთებული გამოხტა ჯიბიდან და რონს მხარზე დააჯდა. რონმა კუდით დაიჭირა, მერე ბოს ფეხი მოუქნია, მაგრამ კატის ნაცვლად ჰარის საწოლქვეშ მდგარ ჩემოდანს მოარტყა, გადმოაყირავა და ტკივილისაგან გამწარებული ცალ ფეხზე ხტუნვას მოჰყვა.

ბოს ბეწვი აეჯაგრა. უცებ საიდანღაც გამყივანი წრიპინი გაისმა. ძია ვერნონის ნაქონი წინდიდან ჯიბის მავნოსკოპი იატაკზე გადმოვარდნილიყო და გადარეულივით ბზრიალებდა, თან ნაპერწკლებს ისროდა.

– უი, ეგ სულ არ მახსოვდა, – მავნოსკოპს ხელი დაავლო ჰარიმ, – მაგ წინდებს არასოდეს ვიცვამ ხოლმე...

მავნოსკოპი არ ჩერდებოდა, ჰარის ხელშიც კი ტრიალებდა და სტვენდა, რამაც ბო სულ გადარია.

– ეს კატა აქედან გაიყვანე-მეთქი, ჰერმიონ, – რონი ჰარის საწოლზე იჯდა და ნატკენ ფეხს იზელდა, – შენ კიდევ ეგ საძაგლობა სადმე დამალე! – მიუბრუნდა ახლა ჰარის.

ჰერმიონი ოთახიდან გავიდა. ბო რონს ბოროტ თვალებს არ აცილებდა. ჰარიმ მავნოსკოპი წინდებში ჩაჩურთა და ისევ ჩემოდანში ჩააბრუნა. რონი ტკივილისგან კვნესოდა. სკაბერზი კი საცოდავად მოკუნტული ეჯდა პატრონს ხელში. ჰარის კარგა ხანია, ვირთხა რონის ჯიბიდან გამომძვრალი არ ენახა და ახლაღა შეამჩნია, რომ ერთ დროს კარგად ნასუქი ცხოველი ახლა მხოლოდ ძვალი და ტყავი დარჩენილიყო. თანაც ალაგ-ალაგ ბეწვიც გასცვივნოდა.

– რაღაც მთლად კარგად ვერ გამოიყურება, არა? – თქვა ჰარიმ.

– ნერვიულობის ბრალია! ეგ საზიზღარი კატა თავს რომ დაანებებდეს, გამოკეთდებოდა! – უთხრა რონმა.

თუმცა, ჰარის კარგად ახსოვდა, ჯადოსნურ ზოომაღაზიაში გამყიდველმა რომ უთხრა, ჩვეულებრივი ვირთხები მხოლოდ სამ წელიწადს ცოცხლობენო. ჰოდა, სკაბერზს რაიმე განსაკუთრებული უნარი არასოდეს გამოუმჟღავნებია, ალბათ სულ მალე მოკვდებოდა კიდეც. თანაც, ჰარიმ კარგად იცოდა, მიუხედავად იმისა, რომ რონი გამუდმებით წუწუნებდა, სკაბერზს არაფერი არ ეხერხება და ამაზე მოსაწყენი შინაური ცხოველი არასოდეს მინახავსო, მის სიკვდილს მაინც ვერ გადაიტანდა.

გრიფინდორის კოშკში იმ დილით მხიარული საშობაო განწყობა ყველას წაუხდა. ჰერმიონმა ბო თავის საძინებელ ოთახში ჩაკეტა, მაგრამ რონს მაინც უბრაზდებოდა, ჩემს კატას ფეხი რატომ მოუქნიეო. რონი კიდევ ბოზე იყო გაბრაზებული, სკაბერზის შეჭმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომ მოინდომა. ჰარიმ რა არ სცადა, რომ მეგობრები შეერიგებინა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ბოლოს ხელი ჩაიქნია, „ელვა“ საერთო ოთახში ჩამოიტანა და საგულდაგულოდ შეუდგა მის შესწავლა-თვალიერებას. ამან ჰერმიონი რატომღაც გააბრაზა, არაფერი უთქვამს, მაგრამ ცოცხისთვის უკმაყოფილო მზერა არ მოუცილებია, თითქოს ისიც მის კატას ლანძღავდა.

ლანჩისთვის დარბაზში ჩასულებს კლუბის მაგიდები გვერდზე გაწეული დაუხვდათ. მათ ნაცვლად შუა დარბაზში ერთადერთი მაგიდა გაეწყოთ თორმეტ კაცზე. ყველანი იქ იყვნენ, პროფესორები: დამბლდორი, მაკგონაგელი, სნეიპი, სპრაუტი და ფლიტვიკი, ასევე – დარაჯი ფილჩი, რომელსაც თავისი განუყრელი ყავისფერი პალტო გაეხადა და საკმაოდ გაცვეთილი ფრაკი ჩაეცვა. მათ გარდა, კიდევ სამი სტუდენტი – ორი დაბნეული პირველკურსელი და ერთი გასიებული მეხუთეკურსელი სლიზერინელი იჯდა მაგიდასთან.

– შობას გილოცავთ! – საზეიმოდ განაცხადა დამბლდორმა, როცა რონი, ჰერმიონი და ჰარი მაგიდას მიუახლოვდნენ, – რადგან ასე ცოტანი ვართ, სისულელე იქნებოდა კლუბების მაგიდებზე სუფრის გაშლა... დასხედით, დასხედით!

ახალმოსულები მაგიდის ბოლოში მოკალათდნენ.

– სატკაცუნოები! – გახალისდა დამბლდორი და სნეიპს ვერცხლის სატკაცუნო გაუწოდა. სნეიპმა უხალისოდ ჩამოართვა და თოკზე მოქაჩა. თოფის გასროლასავით ხმა გაისმა, სატკაცუნო გასკდა და იქიდან ქალის ქუდი გადმოვარდა, ზედ გრიფონის ფიტულით.

ჰარიმ რონის მზერა დაიჭირა, ორივეს ბოგარტი გაახსენდა და ჩუმად ჩაიცინეს. სნეიპს ტუჩები ავად დაუწვრილდა, ქუდი დამბლდორს გაუწოდა და მანაც მაშინვე კაცის ქუდად გადააქცია. მერე სუფრასთან მსხდომთ გაღიმებული მიუბრუნდა:

– აბა, გთხოვთ!

ჰარი შემწვარ კარტოფილს იღებდა, როცა დიდი დარბაზის კარი კიდევ ერთხელ გაიღო. პროფესორი ტრელოუნი თავისი ოთახიდან ჩამობრძანებულიყო და ისე მოიწევდა სუფრისკენ, თითქოს კი არ მოდის, მოფრინავსო. სადღესასწაულო ბრჭყვიალა მწვანე კაბა ჩაეცვა, რომლითაც კიდევ უფრო დამსგავსებოდა უზარმაზარ ჭრიჭინას.

– სიბილ... თქვენ? აი, სიურპრიზი თუ გინდათ, ესაა! – ფეხზე წამოდგომით მიესალმა დამბლდორი.

– ჯადოსნურ კრისტალზე ვმკითხაობდი, დირექტორო, – იდუმალებით მოცული, დაბინდული ხმით ამოთქვა პროფესორმა ტრელოუნიმ, – და, ჩემდა გასაოცრად, დავინახე, რომ ჩემს მარტოსულ საუზმეს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვტოვებ და თქვენ გიერთდებით. მე კი ვინა ვარ, რომ ბედისწერას წინ აღვუდგე? ავდექი და ჩემი კოშკიდან გამოვეშურე. გთხოვთ, მომიტევოთ, რომ დამაგვიანდა.

– აბა, ეს რა სალაპარაკოა! – თვალები გაუბრწყინდა დამბლდორს, – ნება მიბოძეთ, სკამი მოგართვათ... – და მართლაც, დამბლდორმა ჯადოსნური ჯოხი აიქნია და ჰაერში სკამი მოხაზა, რომელიც რამდენჯერმე შეტრიალდა და პროფესორ მაკგონაგელსა და პროფესორ სნეიპს შორის დადგა. მაგრამ პროფესორი ტრელოუნი დაჯდომას არ ჩქარობდა, მაგიდას თვალი მოავლო და წამოიკივლა:

– ვერ გავბედავ, ბატონო დირექტორო! თუ მე თქვენს სუფრას შემოვუერთდები, ცამეტნი ვიქნებით! ცამეტი კი, მოგეხსენებათ, უბედურების მომტანი რიცხვია! არ უნდა დაგვავიწყდეს, როცა ცამეტი ადამიანი ერთად სადილობს, ვინც სუფრიდან პირველი ადგება, ამქვეყნიდანაც პირველი წავა!

– არა უშავს, სიბილ, ჩვენ მაინც გავრისკავთ, – მოთმინება დაეკარგა პროფესორ მაკგონაგელს, – გთხოვთ, დაბრძანდეთ, თორემ ინდაური უკვე გაცივდა.

პროფესორი ტრელოუნი ერთხანს შეყოყმანდა, მერე დაჯდა, მაგრამ თვალებდახუჭულსა და პირმოკუმულს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ელოდება, სადაცაა, მაგიდას მეხი დაეცემაო. პროფესორმა მაკგონაგელმა კი აღარ დააყოვნა და წვნიანს გადასწვდა.

– წვნიანი ხომ არ გნებავთ, სიბილ?

პროფესორ ტრელოუნის მისთვის ყურადღება არ მიუქცევია. თვალები გაახილა, კიდევ ერთხელ მოათვალიერა სუფრა და იკითხა:

– კი მაგრამ, პროფესორი ლუპინი რა იქნა?

– მგონი, ისევ ავადაა! – მიუგო დამბლდორმა და ყველას ანიშნა, საჭმელი გადაიღეთო, – ბედი არ გინდა, შობადღეს რომ ავად გახდები!

– თქვენ, რასაკვირველია, ეს უკვე იცოდით, არა, სიბილ? – წარბები მაღლა აზიდა პროფესორმა მაკგონაგელმა.

პროფესორმა ტრელოუნიმ ცივად გახედა პროფესორ მაკგონაგელს:

– რასაკვირველია, ვიცოდი, მინერვა. თუმცა, ადამიანი თავს არ უნდა იწონებდეს იმით, რომ ყველაფერი იცის. ხშირად თავს ვიკატუნებ, ვითომ შინაგანი თვალი საერთოდ არ გამაჩნდეს. ასე იმიტომ ვიქცევი, რომ ხალხი არ ვანერვიულო.

– ოჰო, მაშ, ყველაფერი გასაგებია! – დაგესლა პროფესორმა მაკგონაგელმა.

პროფესორ ტრელოუნის ხმა გაუმკაცრდა:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჩემო ძვირფასო მინერვა, პროფესორი ლუპინი ჩვენთან დიდხანს ვერ იქნება. როგორც ჩანს, თავადაც იცის, რომ დიდი დრო არ დარჩენია. ერთხელ გამექცა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, როცა ჯადოსნურ კრისტალზე მკითხაობა შევთავაზე...

– აბა, რას იზამდა, – მშრალად მოუჭრა მაკგონაგელმა.

– ეჭვი მეპარება, პროფესორ ლუპინს რაიმე საფრთხე ემუქრებოდეს. სევერუს, თქვენ ხომ დაუმზადეთ სასმელი? – ხმას აუწია პროფესორმა დამბლდორმა და მაკგონაგელისა და ტრელოუნის კინკლაობას წერტილი დაუსვა.

– დიახ, ბატონო დირექტორო, – მიუგო სნეიპმა.

– ძალიან კარგი! ესე იგი, სულ მალე გამოჯანმრთელდება... დერეკ, სარდელი ხომ არ გაგისინჯავთ? უგემრიელესია.

პირველკურსელი ბიჭი საშინლად გაწითლდა – ხუმრობა ხომ არ იყო, თავად დირექტორმა მიმართა, და აკანკალებული ხელით გადასწვდა ძეხვეულით სავსე ლანგარს.

პროფესორი ტრელოუნი სადილის ბოლომდე, მთელ ორ საათს, მშვიდად იჯდა.

ჰარი და რონი კარგად დანაყრებულები და თავზე საშობაო ქუდჩამოცმულები პირველები წამოდგნენ სუფრიდან. პროფესორმა ტრელოუნიმ ისევ შეჰკივლა:

– ჩემო ძვირფასო ბავშვებო, მითხარით, პირველი რომელი წამოდექით სუფრიდან?

– არ ვიცი, – ჩაიბუტბუტა რონმა და მალულად გადახედა ჰარის.

– მეეჭვება, ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს! – ჩაურთო პროფესორმა მაკონაგელმა, – თუ, რა თქმა უნდა, ვინმე შეშლილი არ დგას კარებთან და ნაჯახმომარჯვებული არ ელოდება დარბაზიდან გასულებს.

რონმა თავი ვეღარ შეიკავა და ხმამაღლა გაიცინა. პროფესორმა ტრელოუნიმ შეურაცხყოფილი სახე მიიღო.

– მოდიხარ? – ჰკითხა ჰარიმ ჰერმიონს.

– არა, პროფესორ მაკგონაგელს რაღაც უნდა ვუთხრა.

– ეტყობა, უნდა გაარკვიოს, კიდევ რა საგნის დამატება შეუძლია, – დაამთქნარა რონმა და ჰარისთან ერთად დერეფანში გავიდა. იქ, რა თქმა უნდა, ნაჯახმომარჯვებული გიჟი არ დახვედრიათ.

პორტრეტის ხვრელს რომ მიადგნენ, შემოესმათ, როგორ ქეიფობდა სერ კადოგანი ბერებთან, ჰოგვორტსის ყოფილ დირექტორებთან და თავის ჩასუქებულ პონისთან ერთად. შემთვრალმა ჩაფხუტი აიწია და ფიალით მიესალმა მეგობრებს:

– შობას გილოცავთ!.. ბოყ... უკაცრავად!... პაროლი?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ულირსი ნაძირალა! – მიუგო რონმა.

– თქვენც იმავეს გისურვებთ, – შეჰყვირა სერ კადოგანმა და პორტრეტი გვერდზე გადაიწია.

ჰარი საძინებელში ავიდა, „ელვა“ და ჰერმიონის მიერ ნაჩუქარი „ცოცხების აქსესუარების ნაკრები“ ჩამოიტანა. მაგრამ „ელვა“ იდეალურად იყო გაკრეჭილი, ტარიც ისე ბზინავდა, რომ ხელახლა გაპრიალებას აზრი არ ჰქონდა. რონთან ერთად აღფრთოვანებული ათვალიერებდა. უცებ პორტრეტის ხვრელი ისევ გაიხსნა და პროფესორ მაკგონაგელთან ერთად ოთახში ჰერმიონი შემოვიდა.

მიუხედავად იმისა, რომ პროფესორი მაკგონაგელი გრიფინდორის კლუბის ხელმძღვანელი იყო, ჰარის ერთადერთი შემთხვევა ახსოვდა, როცა ის საერთო ოთახში შევიდა და მაშინაც ბავშვებისთვის ცუდი ამბავი უნდა ეუწყებინა. დაბნეული ბიჭები პროფესორს მიაჩერდნენ. „ელვა“ ორივეს ეჭირა. ჰერმიონმა გვერდით ჩაუარა მეგობრებს, სავარძელში ჩაჯდა, პირველსავე წიგნს ხელი დაავლო და სახე შიგ ჩამალა.

– ესე იგი, ეს არის ის ცოცხი, არა? – მაკგონაგელი დაეჭვებით მიაცქერდა ცოცხს და ნელ-ნელა მათკენ წამოვიდა, – მის გრეინჯერმა ახლახან შემატყობინა, რომ ცოცხი მიგიღიათ საჩუქრად, პოტერ!

ჰარიმ და რონმა ჰერმიონს გადახედეს. გოგონას წიგნი უკუღმა აეფარებინა სახეზე და მხოლოდ გაწითლებული შუბლი მოუჩანდა.

– თუ შეიძლება, მაჩვენეთ! – პროფესორი მაკგონაგელი პასუხს არ დალოდებია, ისე ჩამოართვა ცოცხი და გულდასმით დაათვალიერა, – ჰმ! როგორც მითხრეს, არაფერი ეწერა, არა, პოტერ? არც ბარათი მოჰყოლია ან რაიმე ამის მსგავსი?

– არა, – ხმა წაერთვა ჰარის.

– გასაგებია... ძალიან ვწუხვარ, მაგრამ თქვენი ცოცხი თან უნდა წავიღო, პოტერ!

– რ... როგორ?! – ჰარის მუხლი მოეკვეთა, – რ... რატომ?

– უნდა შევამოწმებინო, დაწყევლილი ხომ არ არის! რასაკვირველია, მე ამ საქმის სპეციალისტი არა ვარ, მაგრამ მადამ ჰუჩი და პროფესორი ფლიტვიკი ნაწილებად დაშლიან...

– ნაწილებად დაშლიან? – რონს ისეთი ხმა ჰქონდა, თითქოს უნდოდა, ეთქვა, სრულ ჭკუაზე თუ ხართო.

– სულ რამდენიმე კვირა დასჭირდება, – აუღელვებლად აუხსნა პროფესორმა მაკგონაგელმა, – დავრწმუნდებით, რომ არავის დაუწყევლია, და მაშინვე დაგიბრუნებთ.

– ამ ცოცხს არაფერი სჭირს, – ხმა აუკანკალდა ჰარის, – გეფიცებით, პროფესორო...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– საიდან იცით, პოტერ? – გაეღიმა მაკგონაგელს, – მაგას ვერ მიხვდებით, სანამ არ იფრენთ. ამას კი მე არ დავუშვებ, სანამ არ დავრწმუნდები, რომ ცოცხს მართლა არაფერი სჭირს. ნუ ღელავთ, ყველაფერს შეგატყობინებთ!

პროფესორი მაკგონაგელი შეტრიალდა და პორტრეტის ხვრელში ცოცხიანად გაუჩინარდა. ჰარი გაოგნებული იდგა, ხელში ჯერ ისევ ტარების საპრიალებელი საცხით სავსე ქილა ეჭირა. ამასობაში რონი ჰერმიონს მისდგა:

– ერთი მითხარი, პროფესორ მაკგონაგელთან რა მიგარბენინებდა?

ჰერმიონმა წიგნი გვერდზე მოისროლა, სიწითლე ჯერ კიდევ არ გადასვლოდა, მაგრამ წამოხტა და გამომწვევად გაუსწორა რონს თვალი:

– ჩემი აზრით, და ამაში პროფესორი მაკგონაგელიც მეთანხმება, ჰარის ეგ ცოცხი სირიუს ბლექმა გამოუგზავნა!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეთორმეტე

პატრონუსი

ჰარიმ, რასაკვირველია, იცოდა, რომ ჰერმიონს მისთვის სიკეთე უნდოდა, მაგრამ მაინც ბრაზობდა. მსოფლიოში საუკეთესო ცოცხი სულ რამდენიმე საათით ეჭირა ხელში, ახლა კი, ჰერმიონის წყალობით, ისიც კი არ იცოდა, როდისმე დაიბრუნებდა თუ არა თავის საკუთრებას. დარწმუნებული იყო, ცოცხს არაფერი სჭირდა, მაგრამ წყევლის საწინააღმდეგო ათასგვარი შელოცვის შემდეგ, ვინ იცის, რა დაემართებოდა.

რონიც მწყრალად იყო ჰერმიონთან. ვის გაუგია ახალთახალი ცოცხის ნაწილებად დაშლა? რა საძაგლობაა! თუმცა, ჰერმიონი მაინც თავისას არ იშლიდა და ჯიუტად სჯეროდა, რომ სწორად მოიქცა. ასე რომ, საერთო ოთახში იშვიათად ჩნდებოდა. ბიჭები ფიქრობდნენ, ალბათ თავს ბიბლიოთეკას აფარებსო, მაგრამ არც ცდილობდნენ მასთან შერიგებას. ერთი სიტყვით, ყველანი კმაყოფილები დარჩნენ, როცა ახალი წლის შემდეგ მოსწავლეები სკოლაში დაბრუნდნენ და გრიფინდორის საერთო ოთახი ისევ ჟრიამულით აივსო.

სწავლის დაწყებამდე ერთი დღეღა იყო დარჩენილი, როცა ჰარისთან ვუდი მივიდა.

– შობა როგორ აღნიშნე? – ჰკითხა სასხვათაშორისოდ, მერე პასუხს არც კი დალოდებია, იქვე ჩამოჯდა და ხმადაბლა უთხრა: – ამ არდადეგებზე ბევრი ვიფიქრე, ჰარი. ბოლო თამაში წავაგეთ... შემდეგ თამაშზე დემენტორები ისევ თუ მოვლენ... ანუ... ესე იგი... ხომ გესმის, თავს იმის უფლებას ვერ მივცემთ, რომ... – ვუდს სიტყვა გაუწყდა და უხერხულად შეიშმუშნა.

– მაგაზე ნუ იდარდებ! – დააიმედა ჰარიმ, – პროფესორი ლუპინი დამპირდა, დემენტორებისაგან თავის დაცვას გასწავლიო. ამ კვირას უნდა დავიწყოთ მეცადინეობა, ასე მითხრა, შობის შემდეგ მეცლებაო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მართლა? – სახე გაუბრწყინდა ვუდს, – თუ ასეა, მაგას რა სჯობს... შენისთანა სიკერის დაკარგვა ნამდვილად არ მინდოდა! ახალი ცოცხი უკვე შეუკვეთე?

– ჯერ არა, – მიუგო ჰარიმ.

– რაო?! რაღას უცდი? ხომ იცი, რეივენქლოს წინააღმდეგ მატჩში „მოციმციმე ვარსკვლავი“ არ გამოგადგება.

– საშობაოდ „ელვა“ აჩუქეს! – წამოსცდა რონს.

– „ელვა“?! შეუძლებელია! ნამდვილი „ელვა“? მართლა?

– ტყუილად გიხარია, ოლივერ, – მოიღუშა ჰარი, – უკვე ჩამომართვეს, – და ჰარიმ უამბო, როგორ წაიღეს ცოცხი შესამოწმებლად.

– რამ აფიქრებინათ, რომ დაწყევლილია? – გაოგნდა ვუდი.

– სირიუს ბლექი ხომ გახსოვს? – ამოიოხრა ჰარიმ, – შიშობენ, რომ ჩემს მოკვლას აპირებს. ჰოდა, მაკგონაგელს ჰგონია, ცოცხი ბლექმა გამომიგზავნა.

ვუდს თითქოს არც გაუგონია, რომ მის სიკერს საქვეყნოდ ცნობილი მკვლელი დასდევდა, ისე განაგრძო:

– ბლექის გამოგზავნილი არ იქნება! ეგ ხომ იმალება! მთელი ქვეყანა ეძებს! როგორ შევიდოდა ქვიდიჩის მაღაზიაში ასე თავისუფლად და ცოცხს როგორ იყიდდა?

– მართალი ხარ, მაგრამ მაკგონაგელს მაინც უნდა, რომ დააშლევინოს!

ვუდი გაფითრდა:

– წავალ, დაველაპარაკები, ჰარი! დავარწმუნებ, რომ ცდება. ვაჰ, „ელვა“... ნამდვილი „ელვა“... მოიცა, ყველაფერს ავუხსნი... ასეთი რამ გაგონილა? ნამდვილი „ელვა“...

* * *

მეორე დღეს გაკვეთილები განახლდა. იანვრის ცივი დილა იდგა და არავის ეხალისებოდა მთელ ორ საათს ღია ცის ქვეშ ყურყუტი, მაგრამ იმ დღეს ჰაგრიდის გაკვეთილი უჩვეულოდ სახალისო გამოდგა. ჰაგრიდმა კარგა ბლომად სალამანდრები მოიყვანა და ბავშვებს ფიჩხი შეაგროვებინა. მერე დიდი კოცონი გააჩაღეს, სალამანდრები თავისით ხტებოდნენ ცეცხლში და იყო ერთი მხიარულება.

შემდეგ გაკვეთილზე კი საქმე სამხიარულოდ სულაც არ ჰქონიათ. პროფესორი ტრელოუნი ამჯერად ხელზე მკითხაობას ასწავლიდა. ჰარის ხელზე დახედა და არც აცივა, არც აცხელა, პირდაპირი მიახ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ალა, ასეთი მოკლე სიცოცხლის ხაზები ჩემს დღეში არ მინახავსო.

ჰარის ყველაზე მეტად ბნელი ძალებისაგან თავდაცვის გაკვეთილი აინტერესებდა. ვუდთან საუბრის შემდეგ ერთი სული ჰქონდა, როდის ისწავლიდა დემენტორებისგან თავდაცვას.

– ჰო, სულ გადამავიწყდა, – უთხრა პროფესორმა ლუპინმა ჰარის, როცა მან დანაპირები შეახსენა. – ერთი წუთით... ხუთშაბათ საღამოს, 8 საათზე გცალია? მაგიის ისტორიის კაბინეტი საკმაოდ დიდია და, მე მგონი, გვეყოფა... კარგად უნდა მოვიფიქრო ყველაფერი... ციხე-კოშკში ნამდვილ დემენტორს ხომ ვერ შემოვიყვანთ...

– ეტყობა, მთლად კარგად ვერ უნდა იყოს, – გადაულაპარაკა რონმა ჰარის, როცა სასადილოდ დიდი დარბაზისკენ გაემართნენ, – ნეტავ, რა სჭირს?

– ჰმ! – გაისმა დამცინავი ჩაფხუკუნება. ჰერმიონი რკინის რაინდთან ჩაცუცქულიყო და ცდილობდა, წიგნებით გატენილი ჩანთა როგორმე დაეკეტა.

– რას ფხუკუნებ? – შეუღრინა რონმა.

– არაფერსაც არ ვფხუკუნებ! – ამაყად მიუგო ჰერმიონმა და მძიმე ჩანთა მხარზე გადაიკიდა.

– ძალიან კარგად გავიგონე! ნეტავ, ლუპინს რა სჭირს-მეთქი, ვიკითხე და ამ დროს შენ...

– ნუთუ ამდენ ხანს ვერ მიხვდით, რა სჭირს? – ტუჩი აიბზუა ჰერმიონმა.

– თუ არ გინდა, ნუ გვეტყვი! – მიახალა რონმა.

– ძალიანაც კარგი! – ჰერმიონი ამაყად გაემართა დარბაზისკენ.

– დარწმუნებული ვარ, არაფერიც არ იცის, უბრალოდ, უნდა, რომ შევურიგდეთ! – აღშფოთებულმა რონმა ჰერმიონს თვალი გააყოლა.

* * *

ხუთშაბათს, საღამოს 8 საათზე, ჰარი მაგიის ისტორიის კაბინეტში შევიდა. ცარიელ ოთახში სრული სიბნელე იდგა. ჰარიმ ჯოხის აქნევით აანთო სანთლები. ხუთიოდ წუთში პროფესორი ლუპინიც გამოჩნდა და პროფესორ ბინსის მაგიდაზე მოზრდილი ყუთის მსგავსი რაღაც შემოდგა.

– ეს რა არის? – ჰკითხა ჰარიმ.

– ბოგარტია, – ლუპინმა მანტია გაიხადა, – სამშაბათიდან მოყოლებული, მთელი ციხე-კოშკი გადავატრიალე და ერთს ძლივს მივაგენი ბატონი ფილჩის კარადაში. ნამდვილი დემენტორის მაგივრობას

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გაგვიწევს. შენს დანახვაზე ბოგარტი დემენტორად გადაიქცევა და მასზე გავარჯიშებ. ცოტა ხანს ჩემს კაბინეტში დავამწყვდევ, ჩემი ერთ-ერთი კარადის უჯრა ძალიან მოეწონება.

– კეთილი, – ჰარი ცდილობდა, აღელვება არ დასტყობოდა და თავი ისე მოეჩვენებინა, თითქოს დემენტორის შემცვლელით ძალიან კმაყოფილი იყო.

– მაშ, დავიწყოთ, – ლუპინმა ჯოხი ამოიღო და ჰარის ანიშნა, შენც იგივე გააკეთეო, – შელოცვა, რომელსაც ახლა გასწავლი, ძალიან რთული მაგიური ფორმულების კატეგორიას განეკუთვნება და თქვენს სასკოლო პროგრამაში არ შედის. მას პატრონუსის შელოცვა ეწოდება.

– და რა შედეგი აქვს? – აღელდა ჰარი.

– თუ სწორად შეასრულებ, პატრონუსი გაჩნდება, – აუხსნა ლუპინმა, – ეს ერთგვარი ანტიდემენტორია... არსება, რომელიც დემენტორისგან დაგიცავს.

ჰარიმ უცებ ცხადად წარმოიდგინა, როგორ იმალება უზარმაზარ-ხელკეტიანი გოლიათის უკან.

– პატრონუსი კეთილი ძალის მატარებელია, ანუ ასხივებს ყველაფერს, რითაც დემენტორი იკვებება – იმედს, ბედნიერებას, სიცოცხლის წყურვილს, მაგრამ, ადამიანებისგან განსხვავებით, სასოწარკვეთილებაში არასოდეს ვარდება, ამიტომ დემენტორი მას ვერაფერს აკლებს. მაგრამ გაფრთხილებ, ჰარი, ეს შელოცვა, შეიძლება, შენთვის მეტისმეტად რთული აღმოჩნდეს. ბევრ გამოცდილ ჯადოქარსაც კი უჭირს მისი შესრულება.

– პატრონუსი როგორ გამოიყურება? – დაინტერესდა ჰარი.

– სხვადასხვანაირად, შემლოცველს გააჩნია.

– და როგორ უნდა გავაჩინო?

– ჯერ შეულოცავ, მაგრამ შელოცვა მხოლოდ იმ შემთხვევაში გაჭრის, თუ მთელი ძალით მოინდომებ და შენი ცხოვრების რომელიმე უბედნიერეს შემთხვევაზე იფიქრებ.

ჰარი ჩაფიქრდა. დერსლებთან ცხოვრების განმავლობაში ერთი ბედნიერი წუთიც კი არ ჰქონია. ბოლოს გადაწყვიტა, ცოცხზე პირველად რომ დავჯექი, იმ დღეზე ვიფიქრებო.

– მზად ვარ, – და მთელი ძალისხმევით შეეცადა, ზუსტად გაეხსენებინა ის ბედნიერი დღე.

– სიტყვები კარგად დაიმახსოვრე: „ექსპექტო პატრონუმ!“

– ექსპექტო პატრონუმ, ესქპექტო პატრონუმ, – ჩუმად გაიმეორა ჰარიმ.

– ბედნიერი დღე კარგად გახსოვს?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დიახ, – ჰარიმ თავს ძალა დაატანა და ისევ პირველი ფრენის დღეზე დაიწყო ფიქრი, თან გონებაში გამალებული იმეორებდა: – „ექსპექტო პატრონო... არა!!! პატრონუმ! ექსპექტო პატრონუმ, ექსპექტო პატრონუმ...“

უცებ ჯადოსნური ჯოხის წვერმა იფეთქა და წვრილი ვერცხლისფერი ნაკადივით რაღაც გამოიჭრა.

– დაინახეთ? – აღფრთოვანდა ჰარი, – რაღაც გამოვიდა!

– ყოჩაღ, – შეაქო ლუპინმა, – მზადა ხარ, დემენტორზე მოვსინჯოთ?

– დიახ, – ჰარიმ მაგრად ჩაბღუჯა ჯოხი და შუა ოთახში დადგა. ცდილობდა, ისევ იმ ბედნიერ წუთებზე ეფიქრა, მაგრამ თავში სხვა აზრები უტრიალებდა... ახლა ისევ დედაჩემის კივილს გავიგონებო, გაიფიქრა... თუმცა, ამაზე არ უნდა ეფიქრა, თორემ მართლა გაიგონებდა... ეს კი სულაც არ უნდოდა... ან იქნებ, უნდოდა, მაგრამ ვერ ხვდებოდა...

ლუპინმა ყუთს თავი მოხადა და იქიდან ნელ-ნელა წამოიმართა დემენტორი! კაპიუშონით დაფარული სახე ჰარისკენ მიექცია და სლიპინა, ქერცლიანი ხელით მანტიის კალთა ეჭირა. ოთახში ყველა სანთელი ჩაქრა. დემენტორი ყუთიდან გადმოვიდა და აუჩქარებლად გამოემართა ჰარისკენ, თან ისეთი ხმაურით შეისუნთქა ჰაერი, რომ იქაურობა შეაზანზარა. ჰარის სიცივის ტალღამ გადაუარა...

– ექსპექტო პატრონუმ! – დაიღრიალა მთელი ხმით, – ექსპექტო პატრონუმ! ექსპექტო...

მაგრამ საკლასო ოთახი თავის დემენტორიანად ნელ-ნელა გაიცრიცა... ჰარი სქელ ბურუსში ჩაეფლო და დედის განწირული კივილი ახლა უფრო საშინლად გაისმა:

„ჰარის თავი დაანებეთ! ხელი არ ახლოთ! მე ყველაფერს შეგისრულებთ!“

„თავიდან მომწყდი, ქალო! გვერდზე გადექი-მეთქი!..“

– ჰარი!

ჰარი გამოფხიზლდა. იატაკზე გაშხლართულიყო. საკლასო ოთახში ისევ ენთო სანთლები. ამჯერად არ უკითხავს, რა დამემართაო.

– მაპატიეთ, – ჩაიბუტბუტა დარცხვენილმა და წამოჯდა, სათვალის მინები ოფლით დასცვაროდა.

– როგორა ხარ? – ჰკითხა ლუპინმა.

– არა მიშავს... – ჰარი გაჭირვებით წამოდგა.

– ეს შეჭამე, – ლუპინმა შოკოლადის გომბეშო მიაწოდა, – ეს შეჭამე და მერე კიდევ ვცადოთ. ასეც ვიცოდი, რომ პირველ ჯერზე არ გამოგივიდოდა. რომ გამოგსვლოდა, ეგ უფრო გამიკვირდებოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– საშინელი ხმები მესმის, – ჩაიბუტბუტა ჰარიმ და შოკოლადი მოკბიჩა, – დედაჩემის კივილი და ლორდ ვოლდემორის ხმაც...

ლუპინს ჩვეულებრივზე მეტად დაჰკარგვოდა ფერი.

– ჰარი, თუ შენ არ გინდა, ნუ გავაგრძელებთ, ძალიან კარგად მესმის შენი...

– მინდა! – ფარ-ხმალი არ დაყარა და დარჩენილი შოკოლადი პირში ჩაიტენა, – უნდა გავაგრძელოთ! რეივენქლოსთან თამაშის დროს დემენტორი რომ გამოჩნდეს, რა ვქნა? თავს იმის უფლებას ვერ მივცემ, რომ კიდევ ერთხელ ჩამოვვარდე ცოცხიდან. ამ თამაშს თუ წავაგებთ, თასს ველარ მოვიგებთ!

– შენი ნებაა... – მიუგო ლუპინმა, – იქნებ რომელიმე სხვა ბედნიერი მოგონება აგერჩია? ეტყობა, ძალიან ძლიერი არ იყო...

ჰარი წამით დაფიქრდა და ბოლოს ის დღე მოაგონდა, როცა გრიფინდორი კლუბებს შორის გამარჯვებული გახდა. მერე ისევ მოიმარჯვა ჯოხი და ოთახის შუაგულში დადგა.

– მზადა ხარ? – ლუპინმა ყუთს ჩაავლო ხელი.

– მზად ვარ! – ჰარი მთელი მონდომებით ცდილობდა, გრიფინდორის გამარჯვებაზე ეფიქრა და არა იმ საშინელებაზე, რომელიც ყუთიდან ამოვიდოდა.

– წავიდა! – შესძახა ლუპინმა და ყუთს თავი მოხადა. ოთახი ისევ ჩაბნელდა და მსუსხავი სიცივით აივსო. დემენტორი წინ გაწვდილი ნახევრად გახრწნილი ხელით ჰარისკენ გასრიალდა...

– ექსპექტო პატრონუმ! – დაიღრიალა ჰარიმ, – ექსპექტო პატრონუმ! ექსპექტო პატ...

თეთრმა ბურუსმა გონება დაუბინდა, უზარმაზარმა ლაქებმა ალყაში მოაქციეს... მერე მამაკაცის დაფეთებული ყვირილი გაისმა:

– „ლილი, ჰარი წაიყვანე და გაიქეცი! ჩქარა! მაინც მოგვაგნო! გაიქეცი! მე დავაკავებ...“

ოთახიდან ვიღაც გავარდა, კარი კედელს მიეხეთქა და გამყივანი ხარხარი გაისმა...

– ჰარი, ჰარი! გამოფხიზლდი! – ლუპინი სახეზე უტყაპუნებდა ხელს. ამჯერად ჰარის კარგა ხანი დასჭირდა იმის მისახვედრად, რატომ იყო იატაკზე გაშხლართული.

– მამაჩემის ხმა გავიგონე, – ჩაიბუტბუტა ძლივს გასაგონად, – პირველად გავიგონე მამაჩემის ხმა... დედას უყვიროდა, შენ გაიქეცი, ვოლდემორს მე დავაკავებო... – ჰარიმ იგრძნო, გაოფლილ სახეს ცრემლები უსველებდა. თავი დახარა და მანტიის კალთით სახე მოიწმინდა, ვითომ თასმა შეეხსნა, არ უნდოდა, ლუპინს მისი ცრემლები დაენახა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჯეიმსის ხმა გაიგონე? – ლუპინს ხმა უცნაურად შეეცვალა.

– დიახ... – ჰარი უკვე აღარ ტიროდა, – თქვენ რა, მამაჩემს იცნობ-დით?

– ჰო... ვიცნობდი. ჰოგვორტსში მეგობრები ვიყავით. ჰარი, მე მგონი, დღეისათვის საკმარისია. ეს შელოცვა მეტისმეტად რთულია... ჩემი ბრალია, არ უნდა მესწავლებინა...

– არა! – მტკიცედ მიუგო ჰარიმ და ისევ წამოდგა, – კიდევ ერთხელ ვცდი! ეტყობა, არც ისე ბედნიერ წუთებს ვიხსენებ და ამიტომაც არ გამომდის...

ჰარიმ გონება დაძაბა. ბედნიერი... უბედნიერესი დღე... ბედნიერი მოგონება... ძლიერი პატრონუსისთვის...

და უცებ ის დღე გაახსენდა, როცა შეიტყო, რომ ჯადოქარი იყო და დერსლების სახლიდან ჰოგვორტსის სკოლაში წავიდოდა! ამაზე დიდი ბედნიერება რაღა უნდა ყოფილიყო? კარგად გაიხსენა, რას გრძნობდა მაშინ და ფეხზე წამომდგარმა ყუთს გაუსწორა თვალი.

– მზადა ხარ? – ლუპინს ისეთი სახე ჰქონდა, ეტყობოდა, რომ ნანობდა ამ საქმის წამოწყებას, – კარგად დაფიქრდი? აბა... წავიდა! – უკვე მესამედ მოხადა ყუთს თავი და იქიდან დემენტორი წამოიმა-რთა. ოთახი ისევ ჩაბნელდა და სუსხი დატრიალდა...

– ექსპექტო პატრონუმ! ექსპექტო პატრონუმ! ექსპექტო პატრ-ონუმ! – არაადამიანური ხმით აყვირდა ჰარი. კივილი თითქოს გაფუჭებული რადიოდან ისმოდა, ხმა ხან მიწყდებოდა, ხან კი ისევ ძლიერდებოდა... მაგრამ დემენტორს მაინც ხედავდა... მის წინაშე იდგა და ადგილიდან არ იძვროდა... მერე ჯოხს უშველებელი ვერ-ცხლისფერი სხივი მოსწყდა და დემენტორსა და ჰარის შორის კედე-ლივით აღიმართა... ჰარის მუხლები ეკვეთებოდა, მაგრამ მაინც ფეხზე იდგა, თუმცა დიდხანს ნამდვილად ვერ გაუძლებდა...

– რიდიკულუს! – წინ გამოხტა ლუპინი.

რაღაცამ გაიტკაცუნა და ჰაეროვანი პატრონუსი დემენტორთან ერთად გაუჩინარდა. ჰარი მოწყვეტით ჩაეშვა სავარძელში, ისეთი დაღლილი იყო, თითქოს დიდხანს ერბინოს, ფეხები უკანკალებდა. მერე დაინახა, როგორ ჩააბრუნა ყუთში პროფესორმა ლუპინმა ვერ-ცხლისფერ ბურთად გადაქცეული ბოგარტი.

– ბრწყინვალეა! – ლუპინი ჰარის მიუახლოვდა, – ყოჩაღ! დღეისათ-ვის საკმარისზე მეტი ვიმეცადინეთ, აი, ეს შეჭამე, – და „თაფლუჭში“ ნაყიდი საუკეთესო შოკოლადი გაუწოდა, – თორემ მადამ პომფრის რისხვას ვერ გადავურჩები! შემდეგ კვირას ამავე დროს ვივარჯი-შოთ?

– დიახ, – დაეთანხმა ჰარი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლუპინმა დემენტორის გაქრობის შემდეგ თავისით ანთებული სანთლები სათითაოდ ჩააქრო. ჰარის თავში რაღაც აზრმა გაუელვა:

– პროფესორო ლუპინ, თქვენ მითხარით, მამაშენს ვიცნობდიო, ესე იგი, სირიუს ბლექსაც იცნობდით?

ლუპინი სწრაფად მოტრიალდა:

– ეგ საიდან მოიტანე?

– არა... უბრალოდ, ვიცი, რომ სკოლის მეგობრები იყვნენ...

ლუპინმა შვებით ამოისუნთქა:

– ჰო, ვიცნობდი. უფრო სწორად, მეგონა, ვიცნობდი. ახლა კი წადი, დაიძინე, უკვე გვიანია!

ჰარი საკლასო ოთახიდან გამოვიდა, დერეფანი გაიარა და შოკოლადის საჭმელად რკინის რაინდთან ჩამოჯდა. ნეტავ, ბლექი საერთოდ არ მეხსენებინა, ეტყობა, ლუპინს მასზე საუბარი არ სიამოვნებსო, გაიფიქრა. მერე ფიქრებით ისევ მშობლებს მიუტრიალდა... შოკოლადი უკვე თითქმის სულ შეჭამა, მაგრამ მაინც საშინელ დაღლილობას გრძნობდა. ადრეული ბავშვობის შემდეგ მშობლების ხმა არასოდეს გაუგია, ახლა კი ასე საზარლად უტრიალებდა თავში. არადა, მათი ხმის გაგონების სულ ოდნავი სურვილი მაინც თუ ექნებოდა, ძლიერ პატრონუსს ვერასოდეს ვერ შექმნიდა...

– ჩემი მშობლები დაიხოცნენ, – მკაცრად მიმართა თავის თავს, – დაიხოცნენ და მორჩა! ეს ხმები კი მათ ვერ გააცოცხლებს! აჯობებს, ქვიდიჩის თასზე ვიფიქრო!

* * *

სემესტრის დაწყებიდან ერთ კვირაში რეივენქლო სლიზერინს შეხვდა. სლიზერინმა მცირე სხვაობით გაიმარჯვა. ვუდს ეს ამბავი ძალიან გაუხარდა, რადგან, თუ რეივენქლოს დაამარცხებდნენ, მეორე ადგილზე გადაინაცვლებდნენ. ამიტომაც ახლა თავის გუნდს კვირაში ხუთჯერ ავარჯიშებდა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჰარი კვირაში ერთხელ დემენტორებისაგან თავდაცვაში ვარჯიშობდა, რაც თავისთავად ქვიდიჩში ექვს ვარჯიშს უდრიდა, ბიჭს დავალებების შესასრულებლად კვირაში ერთადერთი დღეღა რჩებოდა. მიუხედავად ამისა, ჰერმიონს მაინც გაცილებით მეტი სამუშაო ჰქონდა და ბოლო დროს ასეთ დატვირთვას ძლივსღა უძლებდა. გოგონა ყოველ საღამოს საერთო ოთახის ერთ-ერთ კუთხეში იჯდა, რამდენიმე მაგიდაზე წიგნები, არითმანტიის ცხრილები, რუნული ენის ლექსიკონები, მაგლების საქმიანობის გამომსახველი დიაგრამე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბი და ურიცხვი ამონაწერი გაეშალა; თითქმის არავის ხმას არ სცემდა და ვაი, მისი ტყავის ბრალი, ვინც ხელს შეუშლიდა.

– მაინც ვერ ვხვდები, როგორ ახერხებს ამას! – გადაუჩურჩულა რონმა ჰარის, რომელიც ამ დროს საძაგელ თემას წერდა ფარული ზემოქმედების საწამლავებზე. ჰერმიონი ყელამდე იყო წიგნებში ჩაფლული.

– რას როგორ ახერხებს?

– ყველა გაკვეთილზე დასწრებას, – დაუზუსტა რონმა, – გავიგონე, ამ დილით პროფესორ ვექტორს, არითმანტიის მასწავლებელს, ელაპარაკებოდა. გუშინდელ გაკვეთილზე საუბრობდნენ, ჰოდა, სწორედ ეგ ვერ გამიგია, გუშინ არითმანტიას რანაირად დაესწრო, როცა ჩვენთან ერთად ჯადოსნურ არსებათა მოვლის გაკვეთილზე იყო? ერნი მაკმილანმა მითხრა, მაგლთმცოდნეობა ერთხელაც არ გაუცდენიაო, მაგრამ ეგ ხომ ხშირად მისნობას ემთხვევა, თან არ დაგავიწყდეს, რომ მისნობაც არ გაუცდენია!

ჰარის ჰერმიონის საიდუმლოებით მოცული ცხრილისთვის ახლა ნამდვილად არ სცხელოდა, სნეიპის დავალება როგორმე დროზე უნდა დაემთავრებინა. თუმცა, მეორე წუთს ისევ შეაწყვეტინეს წერა, მაგრამ ამჯერად, რონის ნაცვლად, ვუდმა.

– ცუდი ამბავი უნდა გითხრა, ჰარი! ამწუთას პროფესორ მაკგონაგელს ველაპარაკე შენს ცოცხზე. იცი, რა მითხრა? არასწორად მსჯელობო. როგორც ჩანს, ჰგონია, რომ ქვიდიჩის თასის მოგება შენს სიცოცხლეზე უფრო ძვირად მიღირს. ასე იმიტომ მელაპარაკა, რომ მე ვუთხარი: მერე რა, თუ ჩამოვარდება, მთავარია, სნიჩი დაიჭიროს-მეთქი, უნდა გენახა, რას ღრიალებდა! ვითომ ასეთი სასწაული რა ვთქვი მაინც... მერე ვკითხე, ჰარის ცოცხს როდის დაუბრუნებთ-მეთქი... – ვუდი დაიჭყანა და პროფესორ მაკგონაგელის წვრილი ხმით დაიძახა: „როცა საჭირო იქნება, ვუდ!“ მე მგონი, ახალი ცოცხი დროზე უნდა შეუკვეთო, ჰარი. ცოცხების კატალოგში ბოლო გვერდზე შეკვეთის ფურცელია... მალფოის რომა აქვს, ისეთი შეუკვეთე, „ნიმბუს 2001“.

– მალფოის თუ მოსწონს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ კარგია! – ცივად მოუჭრა ჰარიმ.

* * *

იანვარი შეუმჩნევლად გავიდა და თებერვალიც დადგა. ამინდი ოდნავადაც არ გამოკეთებულა. რეივენქლოსთან მატჩის დღე თანდათან ახლოვდებოდა, თუმცა ჰარი ახალი ცოცხის შეკვეთას არ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩქარობდა. სამაგიეროდ, ტრანსფიგურაციის ყოველი გაკვეთილის შემდეგ პროფესორ მაკგონაგელს ეკითხებოდა, რაიმე სიახლე ხომ არ არისო. რონი გვერდიდან არ სცილდებოდა, ჰერმიონი კი პირმიბრუნებული ჩაუქროლებდა ხოლმე გვერდით.

– არა, პოტერ, ჯერ ვერ დაგიბრუნებთ, – მეთორმეტე ჯერზე კითხვის დასმა არც კი აცალა პროფესორმა, პირდაპირ მიახალა, – ჩვეულებრივი, გავრცელებული წყევლები ვერ აღმოვუჩინეთ, მაგრამ პროფესორ ფლიტვიკს მაინც უნდა, დათარსვაზე შეამოწმოს. როცა შემოწმებას მოვრჩებით, მე თვითონ შეგატყობინებთ! და ძალიან გთხოვთ, მაჯლაჯუნასავით ნუ დამდევთ!

უსიამოვნებებს ისიც დაემატა, რომ ჰარის დემენტორებისაგან თავდაცვის ვარჯიშებშიც არ მისდიოდა საქმე კარგად. რამდენიმე ვარჯიში საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ყოველ ჯერზე, როცა კი ბოგარტ-დემენტორს დაინახავდა, მაშინვე აღემართა ვერცხლისფერი კედელი, მაგრამ მისი პატრონუსი მეტისმეტად სუსტი იყო და დემენტორის დაშინება არ შეეძლო. უბრალოდ, გამჭვირვალე ღრუბელივით ეკიდა ჰაერში და რომ არ გამქრალიყო, ჰარი დიდ ენერგიას ხარჯავდა. თავის თავზეც ბრაზობდა, რადგან გულის სიღრმეში ისევ უნდოდა, თავისი მშობლების ხმა გაეგონა.

– მეტისმეტად ბევრს ითხოვ შენი თავისგან, – ვარჯიშის მეოთხე კვირას მკაცრად უთხრა პროფესორმა ლუპინმა, – ცამეტი წლის ჯადოქრისათვის ეს ბუნდოვანი პატრონუსიც უდიდესი მიღწევაა. მეტი რაღა გინდა, გულწასული ხომ აღარ ეცემი?!

– მეგონა, პატრონუსი დემენტორს დაამარცხებდა ან გააქრობდა... – გუნება წაუხდა ჰარის.

– ნამდვილი პატრონუსი ამას მართლა ახერხებს, მაგრამ შენ საწუწუნო მაინც არაფერი გაქვს! ასეთ მოკლე დროში ძალიან ბევრს მიაღწიე! დემენტორები ქვიდიჩის მატჩზე თუ მოვლენ, იმას მაინც შეძლებ, რომ ახლოს არ მოუშვა, ამასობაში კი დაბლა დაეშვები.

– თქვენ ხომ მითხარით, თუ დემენტორები ბევრნი არიან, შელოცვა ნაკლებად ჭრისო...

– ჰარი, მე მჯერა, რომ გამოგივა, – გაუღიმა ლუპინმა, – აი, ეს დალიე, ნამდვილად დაიმსახურე. „სამ ცოცხში“ ვიყიდე, ასეთი რამ ჯერ გასინჯული არ გექნება, – პროფესორმა ჩემოდნიდან ორი ბოთლი ამოიღო.

– ბურბურახი! – წამოსცდა ჰარის, – როგორ მიყვარს!

ლუპინმა კოპები შეიკრა.

– ისა... რონმა და ჰერმიონმა ჩამომიტანეს ჰოგსმიდიდან, – უცებ გამოასწორა შეცდომა ჰარიმ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გასაგებია, – ჩაილაპარაკა ლუპინმა, თუმცა თვალებში ეჭვის ნაპერწკალი კარგა ხანს უჩანდა, – მოდი, გრიფინდორის რეივენ-ქლოზე გამარჯვების სადღეგრძელო შევსვათ! მართალია, მე მასწავ-ლებელი ვარ და არც ერთი გუნდის მხარეს არ უნდა ვიყო, მაგრამ... – მოიბოდიშასავით ლუპინმა.

ბურბურახი უხმოდ დალიეს. ბოლოს ჰარიმ მაინც ვერ მოითმინა და ჰკითხა:

– დემენტორს კაპიუშონის ქვეშ რა აქვს?

პროფესორმა ლუპინმა ბოთლი მაგიდაზე დადგა.

– ჰმმ!.. დანამდვილებით არავინ იცის, ვისაც ეგ უნახავს, იმათ უკვე ლაპარაკის თავი აღარა აქვთ... როგორ გითხრა, დემენტორი მხოლოდ მაშინ იხდის კაპიუშონს, როცა თავისი უკანასკნელი და ყველაზე საშინელი იარაღის გამოყენებას აპირებს.

– რა იარაღის?

– ამას „დემენტორის კოცნას“ ეძახიან, – ტუჩები ზიზღით მოეღ-რიცა ლუპინს, – თუ დემენტორმა ადამიანის საბოლოოდ განადგურე-ბა გადაწყვიტა, სწორედ ამ იარაღს მიმართავს. როგორც ვხვდები, დემენტორებს პირის მსგავსი რაღაცა აქვთ და მსხვერპლს სულს სწოვენ.

ჰარის სასმელი გადასცდა:

– როგორ?.. კლავენ?

– არა, არა! ეგ სიკვდილზე უარესია. ადამიანი არ კვდება, რადგან გული და ტვინი ისევ უმუშავებს, მაგრამ ველარაფერს გრძნობს, მეხ-სიერებას კარგავს, გამოჯანმრთელება შეუძლებელია. ის მხოლოდ არსებობს, ამას უკვე სიცოცხლე არ ჰქვია. ცარიელ ნიჟარას ემსგავს-ება, სულს კი სამუდამოდ კარგავს, სამუდამოდ... – ლუპინმა ბურბუ-რახი მოსვა და განაგრძო: – სირიუს ბლექს სწორედ ასეთი სასჯელი ელის. დღეს წავიკითხე „დილის მისანში“, სამინისტროს ბრძანება გაუცია. ასე რომ, თუ დემენტორები დაიჭერენ, ეს საშინელი ხვედრი არ ასცდება.

ჰარი კარგა ხანს გაშტერებული იჯდა და ვერაფრით წარმოედგინა, როგორ შეიძლებოდა, ადამიანისთვის პირიდან სული გამოეწოვათ. მერე უცებ ბლექი მოაგონდა და ჩუმად ჩაილაპარაკა:

– ძალიანაც კარგი! ღირსია!

– მართლა ასე ფიქრობ? – რბილად ჰკითხა ლუპინმა, – როგორ გგონია, ამქვეყნად ერთი ადამიანი მაინც იმსახურებს ასეთ საშინელ სასჯელს?

– დიახ, – გამომწვევად მიუგო ჰარიმ, – რაღაც-რაღაცეებისთვის იმსახურებს...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლუპინს სიამოვნებით მოუყვებოდა, „სამ ცოცხში“ მოსმენილ ამბავს, მაგრამ მაშინ უნდა ელიარებინა, რომ ჰოგსმიდში უნებარ-თვოდ გაიპარა, პროფესორი კი ასეთ საქციელს არ მოუწონებდა. ასე რომ, უსიტყვოდ დალია ბოთლში დარჩენილი ბურბურახი, ლუპინს მადლობა გადაუხადა და ოთახიდან გავიდა.

ჰარი უკვე ნანობდა, დემენტორის შესახებ რატომ ვკითხეო, რად-გან ისეთი შემზარავი პასუხი მოისმინა, თავში სულ ის უტრიალებდა, რა საშინელება იქნება, სულს რომ გამოგწოვენო. და სწორედ ამ დროს შუა კიბეზე პროფესორ მაკგონაგელს დაეჯახა.

– წინ იყურეთ, პოტერ!

– უკაცრავად, პროფესორო...

– სწორედ ახლა თქვენ სანახავად გრიფინდორის საერთო ოთახში ვიყავი. აი, თქვენი ცოცხი, ყველანაირად შევამოწმეთ, ვერაფერი საეჭვო ვერ აღმოვაჩინეთ. როგორც ჩანს, კარგი მეგობარი გყოლიათ, პოტერ... – და პროფესორმა უწინდელივით ხელუხლებელი „ელვა“ გაუწოდა.

– როგორ, უკვე მიბრუნებთ? მართლა მიბრუნებთ? – ვერ იჯე-რებდა ჰარი.

– მართლა! – გაეღიმა პროფესორ მაკგონაგელს, – შაბათამდე ალბათ ცოტა უნდა შეეჩვიო, არა? ჰო, მართლა, პოტერ, შეეცადეთ, მოიგოთ! თორემ წუხელ პროფესორმა სნეიპმა დიდის ამბით შემახსენა, უკვე მერვე წელია, გრიფინდორს ქვიდიჩის თასი არ მოუგიაო...

ჰარი ყურებს არ უჯერებდა, მერე უსიტყვოდ დაავლო ცოცხს ხელი და გრიფინდორის კოშკისკენ გაემართა. კუთხეს რომ გასცდა, დაინახა, მისკენ აქოშინებული და ბედნიერებისაგან გაბრწყინებული რონი მორბოდა.

– აუ, რა მაგარია! დაგიბრუნა, არა? ხვალ ხომ მათხოვებ ცოტა ხნით?

– აბა, რა... – ჰარი ასეთ შესანიშნავ გუნებაზე კარგა ხანია, არ ყოფილა, – იცი რა, მოდი, ჰერმიონს შევურიგდეთ... მას ხომ დახ-მარება უნდოდა...

– ჰო, – უნდილად დაეთანხმა რონი, – ახლა საერთო ოთახში ზის და ისე, გულის გადასაყოლებლად მეცადინეობს...

გრიფინდორის კოშკს მიადგნენ. ნევილ ლონგბოტომი სერ კადო-განს კოშკში შეშვებას ეხვეწებოდა.

– ჩავიწერე, – არწმუნებდა ცრემლებად ქცეული ნევილი, – ეტყობა, ფურცელი სადღაც დავკარგე.

– ეგ საკენკი სხვებს დაუყარე! – უღრიალა სერ კადოგანმა, მერე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარი და რონი შეამჩნია და მიესალმა: – საღამო მშვიდობისა, ახალგაზრდა აზნაურნო! რკინის ბორკილები დაადეთ ამ უმაქნისს! უბრწყინვალეს პალატებში ძალით შეჭრა მონდომებია!

– მოკეტე, რა! – შეაწყვეტინა რონმა.

– პაროლი დამეკარგა, – საცოდავად ამოიკნავლა ნევილმა, – ვათქმევინე, რომელ პაროლებს გამოიყენებდა ამ კვირაში, ხომ იცით, წარამარა ცვლის ხოლმე, ჰოდა, არ ვიცი, სად ჯანდაბაში წავიღე, მგონი, დავკარგე...

– ოდსბოდიკინს, – თქვა ჰარიმ და იმედგაცრუებული სერ კადოგანი უწადინოდ გაიწია განზე ბავშვების ოთახში შესაშვებად. გრიფინდორელები აღფრთოვანებით აჩოჩქოლდნენ, ყველანი ჰარის მიაცქერდნენ და სულ მალე წრეში მოაქციეს. მის ცოცხს თვალს ვერავინ სწყვეტდა.

– საიდან მოიტანე, ჰარი?

– ცოტა ხნით ხომ მათხოვებ?

– უკვე გასინჯე, როგორია?

– რიევენქლოს საქმე ცუდადაა, მაგათ სულ „ქლინსვიპ 7“-ები აქვთ.

– ჰარი, შეიძლება, ცოტა ხნით ხელში დავიჭირო?

„ელვის“ თვალიერებით ყველამ გული იჯერა. ჰარი და რონი ჰერმიონს მიუბრუნდნენ. ის ერთადერთი იყო, ვინც მათ დანახვაზე არ წამომხტარა, საშინაო დავალებას წერდა და ბიჭებს მზერას არიდებდა. ჰარი და რონი მის მაგიდას მიუახლოვდნენ. ჰერმიონმა, როგორც იქნა, ამოხედა.

– დამიბრუნეს, – გაულიმა ჰარიმ და ცოცხი მაღლა ასწია.

– ხედავ, ჰერმიონ? თურმე არაფერი არ სჭირს, – ნიშნისმოგებით უთხრა რონმა.

– დათარსული რომ ყოფილიყო? – თავისას არ იშლიდა ჰერმიონი, – ახლა დარწმუნებული მაინცა ხარ, რომ არაფერი სჭირს.

– ჰო, მართალი ხარ, – დაეთანხმა ჰარი, – წავალ, საძინებელში შევინახავ...

– მე წავიღებ, – გამოცოცხლდა რონი, – სკაბერზს მაინც ვირთხტონიკი უნდა დავალევინო, – დიდი სიფრთხილით აიღო ცოცხი და კიბეს აუყვა.

– შეიძლება, შენ გვერდით ჩამოვჯდე? – ჰკითხა ჰარიმ ჰერმიონს.

– რატომაც არა, – ჰერმიონმა სკამიდან პერგამენტების დიდი შეკვრა აიღო.

ჰარიმ მაგიდა მოათვალიერა. არითმანტიის უგრძეს თემას ჯერაც არ შეშრობოდა მელანი, თუმცა მაგლთმცოდნეობაში კიდევ უფრო გრძელი თემა დაეწერა. თემას ერქვა „ახსენით, რაში იყენებენ მაგლე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბი ელექტრობას“. ახლა კი ჰერმიონი რუნული ტექსტის თარგმანზე იჭყლეტდა ტვინს.

– ამდენ რამეს როგორ ახერხებ? – ჰკითხა ჰარიმ.

– არაფერი განსაკუთრებული... უბრალოდ... ბევრს ვმუშაობ, – ჩაილაპარაკა ჰერმიონმა. ჰარიმ შეამჩნია, რომ გოგონას, ლუპინისა არ იყოს, გადაღლილი გამომეტყველება ჰქონდა.

– რამდენიმე საგანი მაინც მიგეტოვებინა, – არ მოეშვა ჰარი. ჰერმიონმა ამასობაში მძიმე წიგნები გადაქექ-გადმოქექა, რუნულ ლექსიკონს ეძებდა, მერე შეურაცხყოფილმა მიუგო:

– მაგას ვერ ვიზამ!

– ეს არითმანტია საშინლად რთული რამე ჩანს, – ჰარიმ ურთულესი ფორმულებით გადაჭედილი ცხრილი აიღო.

– არა, რას ამბობ! ძალიან კარგი საგანია! – მთელი სერიოზულობით მიუგო ჰერმიონმა, – ყველაზე მეტად მიყვარს...

თუმცა, ჰარი მაინც ვერაფრით მიხვდა, რატომ იყო არითმანტია კარგი საგანი. უცებ ბიჭების ფლიგელიდან შემზარავი ყვირილი გაისმა. თავზარდაცემული ბავშვები ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ, გახევებულები მიაჩერდნენ შემოსასვლელს. სწრაფი ნაბიჯების ხმა თანდათან მოახლოვდა და ბოლოს ოთახში გაცოფებული რონი შემოვარდა, თან ზეწარს მოათრევდა.

– შეხედე! – დაიღრიალა და ჰერმიონის მაგიდისკენ გაქანდა, – შეხედე-მეთქი! – და ზეწარი სახეში ესროლა.

– რონ, რა დაგ...

– სკაბერზი!!! კარგად შეხედე!

გაოგნებულმა ჰერმიონმა უკან დაიხია. ჰარიმ რონის მოტანილ ზეწარს დახედა, ზედ რაღაც წითელი ლაქა აჩნდა და ეს ლაქა ძალიან ჰგავდა...

– სისხლი! – რონის ხმა შემზარავად გაისმა სამარისებურ სიჩუმეში, – სკაბერზი დაიკარგა! და ალბათ ხვდებით, რა აღმოვაჩინე იატაკზე!

– ვაი, – ხმა აუკანკალდა ჰერმიონს.

რონმა მაგიდაზე რაღაც დაყარა. ჰერმიონი და ჰარი დაიხარნენ. უცნაურ რუნულ ნაწერებზე კატის ჟღალი ბეწვი ეყარა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეცამეტე

გრიფინდორი რეივენქლოს წინააღმდეგ

როგორც ჩანდა, რონისა და ჰერმიონის მეგობრობას საფრთხე დაემუქრა. ერთმანეთზე ისეთი განაწყენებულები იყვნენ, რომ ჰარის მათი შერიგების იმედი აღარ ჰქონდა.

რონს ის აცოფებდა, რომ ჰერმიონი არასოდეს აქცევდა ყურადღებას თავის კატას, რადგან დარწმუნებული იყო, ბო სკაბერზს არ შეჭამდა. მერე ისიც კი ურჩია, საწოლების ქვეშ კარგად მოძებნე, ცოცხალი იქნებაო. ჰერმიონი ჯიუტად იმეორებდა, ბოს სკაბერზი არ შეუჭამია, ამას ვერაფრით დაშიმტკიცებ, ჟღალი ბეწვი კი შენს ოთახში შობიდან მოყოლებული ეყარაო. რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ რონმა მისი კატა იმ წუთიდანვე აითვალწუნა, როცა ჯადოსნურ ზოომაღაზიაში თავზე დაახტა.

რაც შეეხება ჰარის, ის დარწმუნებული იყო, რომ სკაბერზი ბომ შეჭამა, და ცდილობდა, ჰერმიონისთვის აეხსნა, ყველა სამხილი ამაზე მიუთითებსო, რითაც გოგონას კიდევ უფრო აბრაზებდა.

– შენც რონის მხარეს გადახვედი, აბა, რა! ჯერ შენი ცოცხი, ახლა – სკაბერზი! თურმე ყველაფერი ჩემი ბრალი ყოფილა! თავი დამანებე, ძალიან ბევრი დავალება მაქვს დასაწერი!

რონმა ძალიან განიცადა ვირთხის დაკარგვა.

– კარგი რა, რონ, შენ თვითონ არ ამბობდი, სკაბერზი არაფრის მაქნისი ვირთხააო, – ამხნევებდა ფრედი ძმას, – თანაც, დაბერდა და ადრე თუ გვიან მაინც თავისით მოკვდებოდა. უკეთესიც კია, ასე ერთბაშად რომ მოხდა ყველაფერი. კატა უცებ გადაყლაპავდა, ტკივილსაც ვერ იგრძნობდა.

– ფრედ! – აღშფოთდა ჯინი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჭამისა და ძილის მეტი არაფერი იცოდა, დაგავიწყდა? – ცეცხლზე ნავთი დაასხა ჯორჯმა.

– ერთხელ გოილს უკბინა ჩვენი გულისთვის, გახსოვს, ჰარი? – საცოდავად ამოიკრუსუნა რონმა.

– ჰო, ეგრე იყო, – დაეთანხმა ჰარი.

– ოო, ეს რა გმირობა ჩაუდენია, – სიცილს ძლივს იკავებდა ფრედი, – დაე, გოილის თითზე მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად სამარადისოდ დარჩეს ნაკბენი! კარგი რა, რონ, გაივლ-გამოივლი ჰოგსმიდში და ახალ ვირთხას იყიდი! აქ ჯდომას და ქვითინს რა აზრი აქვს?

ჰარიმ სხვა ვერაფერი მოიფიქრა და რონს შესთავაზა, ქვიდიჩის ვარჯიშზე წამომყევიო. რეივენქლოსთან მატჩამდე ცოტა დროღა იყო დარჩენილი. თან დაჰპირდა, როგორც კი ვარჯიში დამთავრდება, „ელვას“ გათხოვებო. რონს ეს აზრი ჭკუაში დაუჯდა, ცოტა ხნით სკაბერზი გადაავიწყდა კიდეც და ორივენი ქვიდიჩის მოედნისკენ წავიდნენ.

– რა მაგარია! შეიძლება, გოლის გატანაშიც ვივარჯიშო? – ეკითხებოდა გზადაგზა ჰარის.

მადამ ჰუჩი ისევ ესწრებოდა გრიფინდორელების ვარჯიშებს, რომ ჰარისთვის თვალყური ედევნებინა. ახალი ცოცხით ისიც დანარჩენებივით მოიხიბლა, ხელში აიღო და კარგა ხანს ათვალიერა. ბოლოს კი ასე შეაფასა:

– შეხედეთ, რა ბალანსირება აქვს! ნიმბუსებს ერთი ნაკლი აქვთ, ცოცხის კუდი არ უვარგათ, რამდენიმე წელიწადში წონასწორობის შენარჩუნება უჭირთ. ამ ცოცხის ტარიც გაუუმჯობესებიათ, „ქლინსვიპის“ ტარზე თხელია. „ვერცხლის ისარს“ მაგონებს. რა სამწუხაროა, რომ „ვერცხლის ისრებს“ აღარ უშვებენ. ფრენა იმაზე ვისწავლე, მშვენიერი ცოცხი იყო... – და კიდევ კარგა ხანს არ მორჩებოდა ლაპარაკს, საქმეში ვუდი რომ არ ჩარეულიყო:

– უკაცრავად... მადამ ჰუჩ... თუ შეიძლება, ჰარის „ელვა“ დაუბრუნეთ... ცოტა უნდა წავივარჯიშოთ...

– ჰო, რა თქმა უნდა... აი, თქვენი ცოცხი, პოტერ. მე აქ ჩამოვჯდები, უისლისთან ერთად.

მადამ ჰუჩი და რონი ტრიბუნისკენ გაემართნენ, გრიფინდორელები კი ვუდს შემოეხვივნენ, რათა მისგან რჩევა-დარიგებები მიეღოთ.

– ჰარი, როგორც იქნა, გავარკვიე, ვინ ეყოლებათ რეივენქლოელებს სიკერად. მეოთხეკურსელი გოგო, ჩო ჩენგი, საკმაოდ ძლიერი მოთამაშეა... ტრავმა ჰქონდა და ვფიქრობდი, გამოჯანმრთელებას ვერ მოასწრებს-მეთქი, მაგრამ... თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩო ჩენგს „კომეტა 260“ ჰყავს და, აბა, შენს „ელვას“ ეგ რას

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შეედრება, – ვუდმა აღტაცებული მზერა შეავლო „ელვას“, – აბა, დავიწყოთ ვარჯიში...

ჰარის, ბოლოს და ბოლოს, ეღირსა თავის ცოცხზე შეჯდომა და სასწრაფოდ მოსწყდა მიწას. „ელვა“ იმაზე ბევრად უკეთესი აღმოჩნდა, ვიდრე წარმოედგინა. ოდნავი შეხებაც კი კმაროდა, რომ მიმართულება შეეცვალა. ჰარი გაფიქრებასაც ვერ ასწრებდა, რომ ცოცხი უკვე ემორჩილებოდა. ისეთი სისწრაფით დაქროდა მოედნის თავზე, წესიერად ვერც კი არჩევდა, დაბლა რა ხდებოდა. ერთხელ ისე მკვეთრად შემოტრიალდა, რომ ალისია სპინეტმა შიშით შეჰკივლა. ბოლოს ჰარი ელვის სისწრაფით დაეშვა, ბალახს ოდნავ დაჰკრა ფეხი და ისევ ჰაერში აიჭრა...

– ჰარი, ყურადღებით, ახლა სნიჩს გამოვუშვებ! – დაუძახა ვუდმა.

ჰარი შემოტრიალდა და ერთ-ერთ ბლაჯერს გამოედევნა, სულ ადვილად გაასწრო, ვუდის ზურგს უკან ჰაერში მოტივტივე სნიჩი დაინახა და თვალის დახამხამებაში ხელთ იგდო კიდეც.

გრიფინდორელებმა ყიჟინა დასცეს. ჰარიმ სნიჩს ხელი გაუშვა და ერთი წუთი აცადა, მერე უკან გამოედევნა, თანაგუნდელებს შორის მოხერხებულად გაძვრა-გამოძვრა, შეამჩნია, რომ ოქროს ბურთი ქეითი ბელის მუხლთან ლივლივებდა, სასწრაფოდ დაეწია და ისევ დაიჭირა.

„ელვამ“ ყველანი აღაფრთოვანა. გაორმაგებული მონდომებით ვარჯიშობდნენ და ურთულესი ილეთებიც კი უშეცდომოდ შეასრულეს. ასე რომ, სანამ ისევ მოედანზე დაეშვებოდნენ, ვუდს ერთხელაც კი არ მიუცია მათთვის შენიშვნა, რაც, როგორც ჯორჯ უისლიმ აღნიშნა, პირველად ხდებოდა.

– ხვალ წინ ვერაფერი დაგვიდგება! – დაასკვნა ვუდმა, – თუ... ჰო, მართლა, ჰარი, დემენტორების საქმე როგორაა?

– კარგად, – ჰარის თავისი უსუსური პატრონუსი მოაგონდა და ინატრა, ნეტავ, ცოტა უფრო ძლიერი იყოსო.

– დემენტორები თამაშის დროს აღარ გამოჩნდებიან, ოლივერ, დამბლდორი გაგიჟდება! – დააიმედა ფრედმა.

– ჰო, იმედია... ჰო... ყველანი მაგრები ხართ! აბა, ახლა კოშკში დავბრუნდეთ, ადრე უნდა დავიძინოთ!

– მე ცოტა ხანს დავრჩები, რონს „ელვა“ უნდა ვათხოვო, – უთხრა ჰარიმ და სანამ მისი თანაგუნდელები გასახდელისკენ მიდიოდნენ, რონისკენ გაემართა. მადამ ჰუჩს ჩასძინებოდა, რონი კი ამასობაში ბარიერთან მოსულიყო.

– აჰა, გამომართვი, – ცოცხი გაუწოდა ჰარიმ.

რონი დაუყოვნებლივ მოახტა „ელვას“ და მაღლა აიჭრა. ამასობაში

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩამოღამდა. მადამ ჰუჩი გამოფხიზლდა და ბიჭები დატუქსა, რატომ არ გამაღვიძეთო, მერე კი უბრძანა, სასწრაფოდ ციხე-კოშკში დაბრუნდითო.

ჰარიმ „ელვა“ მხარზე გაიდო და რონთან ერთად გაუყვა ჩაბნელებულ სტადიონს. გზაზე აღფრთოვანებით საუბრობდნენ ცოცხის ღირსებებზე. შუა გზაში იყვნენ, როცა ჰარიმ ისეთი რაღაც შეამჩნია, რომ ძარღვებში სისხლი გაეყინა და გულმა ბაგაბუგი დაუწყო: სიბნელიდან ვიღაცის მოელვარე თვალები უცქეროდა.

– რა მოხდა? – რონმა ჯოხი ამოიღო და დაიძახა: – ლუმოს!

ბალახს სინათლის სხივი დაეცა და იქვე მდგარი ხეც განათდა – კვირტებგამოსხმულ ტოტებში ბო მიმალულიყო.

– აცხა! – შეუყვირა რონმა, დაიხარა და ქვა აიღო, მაგრამ სანამ სროლას მოასწრებდა, ბომ კუდი გაიქნია და გაუჩინარდა.

– ხედავ? – გაწიწმატდა რონი, – ისევ უშვებს ამ საძაგელს სასეირნოდ! ალბათ ჩემს საწყალ სკაბერზს ერთი-ორი ჩიტიც მიაყოლა ზედ!

ჰარის არაფერი უთქვამს, შვებით ამოისუნთქა. მისი შიში არ გამართლდა, ეგონა, სიბნელიდან გრიმი უთვალთვალებდა.

გზა განაგრძეს. ჰარის რცხვენოდა, სიბნელეში მოელვარე თვალებმა ასე რომ დააფრთხო, და სანამ ჰოლში არ შეაბიჯეს, არც ხმა ამოუღია, არც გვერდზე გაუხედავს.

* * *

მეორე დილით სასაუზმოდ ჩამოსულ ჰარის ბიჭების მთელი ამალა ახლდა. საპატიო ყარაულივით მოჰყვებოდნენ „ელვას“. დიდ დარბაზში ფეხი შედგა თუ არა, ყველამ მისკენ მიიხედა და ატყდა ერთი ჩოჩქოლი. ჰარისდა გასახარად, სლიზერინელებს დანა პირს არ უხსნიდათ.

– დაინახე, რა სახე აქვს მალფოის? – ახარა რონმა, – ალბათ თვალებს არ უჯერებს!

ოლივერ ვუდიც ამაყად გაიჯგიმა.

– აქ დადე, ჰარი, – ცოცხი გამოართვა და მაგიდაზე გამოსაჩენ ადგილას დადო, რომ წარწერა ყველას კარგად დაენახა. ჰაფლეპაფელები და რეივენქლოელები გრიფინდორის მაგიდას მოაწყდნენ. სედრიკ დიგორიმ ჰარის მიულოცა, „ნიმბუსის“ ნაცვლად რა კარგი ცოცხი გიშოვიაო. პერსის რეივენქოელმა შეყვარებულმა, პენელოპე ქლიარუოთერმა კი სთხოვა, თუ შეიძლება, ხელში დამაჭერინეო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– პენი, პენი, იცოდე, ცოცხს არაფერი დაუშავო! – გაეხუმრა პერსი და მერე თავისიანებს გამოუცხადა, – მე და პენელოპე ათ გალეონზე დავნაძლევდით!

პენელოპემ „ელვა“ ისევ მაგიდაზე დადო, ჰარის მადლობა გადაუხადა და თავისიანებთან დაბრუნდა.

– ჰარი, იცოდე, აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ, – გადაუჩურჩულა პერსიმ, – თორემ საიდან მოვიტანო ათი გალეონი?! მოვდივარ, პენი, – და გოგონას გვერდით მიუჯდა.

– ჰო, მაგ ცოცხს მაგრად გააჭენებ, – ჩაიცინა კრაბიან-გოილიანად ცოცხის დასათვალიერებლად მოსულმა დრაკო მალფოიმ.

– შენ ეგ არ იდარდო, – გულგრილად მიუგო ჰარიმ.

– ალბათ ათასგვარი სხვადასხვა ფუნქცია აქვს, არა? – ბოროტად უელავდა თვალები მალფოის, – ცუდია, პარაშუტი რომ არ მოჰყვება, დემენტორები რომ მოგიახლოვდებიან, რა იცი, რაში დაგჭირდება...

კრაბი და გოილი ახვიხვინდნენ.

– ცუდია, მესამე ხელი რომ არა გაქვს, მალფოი. იქნებ, მაშინ მაინც მოგეხერხებინა სნიჩის დაჭერა, – ვალში არ დარჩა ჰარი.

გრიფინდორელებმა ხარხარი ატეხეს. მალფოის უფერული თვალები დაუწვრილდა და შერცხვენილი გაიძურწა. სლიზერინელები ერთად შეჯგუფდნენ, ეტყობა, მალფოის ეკითხებოდნენ, ჰარის ცოცხი მართლა „ელვა“ იყო თუ არა.

თერთმეტს თხუთმეტი წუთი აკლდა, როცა გრიფინდორის გუნდი გასახდელისკენ გაემართა. წინა თამაშისგან განსხვავებით, ამჯერად კარგი ამინდი იდგა. ცა მოწმენდილიყო, გრილოდა და სუსტი ნიავი ქროდა. ახლა ყველაფერს კარგად დავინახავო, – უხაროდა ჰარის. ცოტა არ იყოს, ღელავდა, მაგრამ მაინც ერთი სული ჰქონდა, როდის დაიწყებოდა თამაში. სტადიონზე მთელმა სკოლამ მოიყარა თავი. ჰარიმ შავი სასკოლო მანტია გაიხადა, ჯიბიდან ჯადოსნური ჯოხი ამოიღო და სპორტულ მაისურში ჩაიდო, რომელსაც ქვიდიჩის მანტიის ქვეშ იცვამდა. თუმცა იმედი ჰქონდა, რომ თამაშის დროს ჯოხი არ დასჭირდებოდა. უცებ პროფესორი ლუპინი გაახსენდა და გაიფიქრა, ნეტავ, თამაშს თუ ესწრებაო.

– ყველამ კარგად ვიცით, რაც უნდა გავაკეთოთ, – მიმართა გასასვლელში შეკრებილ თანაგუნდელებს ვუდმა, – თუ ახლა წავაგებთ, შეჯიბრებას გამოვეთიშებით. თქვენი იმედი მაქვს, ოღონდ დღესაც გუშინდელივით იყოჩაღეთ!

გუნდი მოედანზე გამოვიდა თუ არა, ტაშმა იგრიალა. ლურჯ-ფორმიანი რეივენქლოელები უკვე მოედანზე იდგნენ. მათი სიკერი, ჩო ჩენგი, გუნდში ერთადერთი გოგონა, ჰარიზე მთელი ერთი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავით დაბალი იყო. მიუხედავად იმისა, რომ საშინლად ღელავდა, ჰარიმ მაინც შეამჩნია, ჩო ძალიან ლამაზი იყო. გუნდები ერთმანეთის პირისპირ გამწკრივდნენ, ჩომ ჰარის მომხიბლავად გაუღიმა. ბიჭს მუცელი აუწრიალდა, მაგრამ ამჯერად ნერვიულობა არაფერ შუაში იყო.

– ვუდ! დევის! ერთმანეთს ხელი ჩამოართვით! – ბრძანა მადამ ჰუჩმა. კაპიტნებმა ბრძანება შეასრულეს.

– ცოცხებზე ამხედრდით... ჩემს სასტვენზე... სამი, ორი, ერთი...

ჰარიმ მიწას ფეხი დაჰკრა და „ელვა“ ისეთი სისწრაფით აიჭრა ცაში, რომ ყველა ცოცხი უკან ჩამოიტოვა. მერე მოედანს შემოუფრინა და სნიჩს დაუწყო ძებნა, თან კომენტატორს, ტყუპი უისლების მეგობარს, ლი ჯორდანს უსმენდა.

– და, აი, ისინი უკვე მოსწყდნენ მიწას! ამ მატჩში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გრიფინდორელი ჰარი პოტერის „ელვა“. „ქვიდიჩის მიმომხილველს“ თუ დავუჯერებთ, ამ სეზონზე მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ყველა გუნდი სწორედ ამ მოდელის ცოცხს მიანიჭებს უპირატესობას...

– ჯორდან, თუ შეიძლება, ლაყბობას მოეშვით და გვითხარით, რა ხდება მოედანზე, – შეაწყვეტინა პროფესორმა მაკგონაგელმა.

– დიახ, დიახ, პროფესორო... უბრალოდ, ინფორმაციას ვაწვდიდი... სხვათა შორის, „ელვას“ აქვს ჩამონტაჟებული სამუხრუჭე სისტემა...

– ჯორდან!

– უკაცრავად... ბურთს გრიფინდორი ფლობს, ქეითი ბელი შეტევაზე გადავიდა...

ჰარიმ ქეითის ჩაუქროლა და ირგვლივ მიმოიხედა, სადმე ოქროს სნიჩი ხომ არ ბრწყინავსო. ჩო ჩენგი კუდში მისდევდა, ფრენა, როგორც ჩანს, მართლა კარგად ეხერხებოდა, გამუდმებით გზას უჭრიდა და მიმართულებას აცვლევინებდა.

– მიდი, ჰარი, აქსელერატორს დააჭირე! – დაუღრიალა ფრედმა და ალისიასკენ მქროლავ ბლაჯერს გამოედევნა.

რეივენქლოს გოლპოსტებს შემოუფრინეს თუ არა, ჰარი წინ გაიჭრა და ჩო კარგა დიდ მანძილზე ჩამოიტოვა. სწორედ იმ დროს, როცა ქეითიმ პირველი გოლი გაიტანა და გრიფინდორელებმა ტაში დასცხეს, ჰარიმ მიწასთან სულ ახლოს, ბარიერის თავზე ჰაერში მოტივტივე სნიჩი შეამჩნია.

შეამჩნია და სასწრაფოდ დაბლა დაეშვა. ჩომ ყველაფერი დაინახა და მეტოქეს დაედევნა. ჰარი თანდათან უმატებდა სიჩქარეს, პიკირება ყველაზე კარგად ეხერხებოდა... სულ რაღაც ათი ფუტი აშორებდა სნიჩს... და უცებ რეივენქლოელმა ბიტერმა ბლაჯერი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მისკენ გამოსტყორცნა. ჰარი გადაიხარა, ბლაჯერი ბეწვზე აიცდინა და სწორედ ამ წამებში სნიჩი სადღაც გაუჩინარდა.

გრიფინდორის ტრიბუნიდან უკმაყოფილო შეძახილები გაისმა, რეივენქლოელმა გულშემატკივრებმა კი თავიანთი ბიტერი მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს. ჯორჯ უისლიმ გაამაყებულ მეტოქეს ბლაჯერი სტყორცნა, ისიც ჰაერში ამოტრიალდა, რომ როგორმე თავიდან აერიდებინა.

– გრიფინდორი იგებს ოთხმოცით ნულს და შეხედეთ, რა სასწაულებს ახდენს „ელვა“! ჰარი პოტერი მოწოდების სიმაღლეზე დგას! აბა, სად შეედრება მას ჩენგი თავისი „კომეტით“?! „ელვას“ ხომ შესანიშნავი ბალანსი აქვს გრძელ...

– ჯორდან, თქვენ აქ „ელვის“ რეკლამირებისათვის ხართ მოწვეული?! თამაშს მიხედეთ!

რეივენქლოელებმა სამი გოლი გაიტანეს. ახლა გრიფინდორი მხოლოდ ორმოცდაათი ქულით იყო წინ. თუ ჩო სნიჩის დაჭერას დაასწრებდა, გრიფინდორი დამარცხდებოდა. ჰარი დაბლა ჩაფრინდა, რეივენქლოს ჩეიზერს მოხერხებულად აარიდა თავი და მოედანი გაფაციცებით მოათვალიერა. და უცებ გრიფინდორის გოლპოსტთან ოქროს სნიჩმა გაიბრწყინა.

ჰარიმ სიჩქარეს უმატა, თან ოქროს ბურთს თვალს არ აცილებდა... სად იყო და სად არა, გზაზე ჩო გადაეღობა. ჰარიმ სიჩქარეს უკლო, რომ არ დასჯახებოდა.

– ჰარი! რა დროს ჯენტლმენობაა!!! – უღრიალა ვუდმა, – თუ ხელს შეგიშლის, ცოცხიდან ჩამოაგდე!!!

ჰარიმ მოღიმარ ჩოს გადახედა. ამასობაში სნიჩი ისევ გაქრა. მერე ცოცხი მაღლა მიმართა და დანარჩენ მოთამაშეებს ზემოდან მოექცა. ჩო გვერდიდან არ შორდებოდა... თავად, როგორც ჩანს, სნიჩის ძებნას სულაც არ ფიქრობდა, უბრალოდ, ჰარის არ სცილდებოდა. „ძალიან კარგი, – გაიფიქრა ჰარიმ, – აბა, ვნახოთ, ვისი აჯობებს... მე შენ გიჩვენებ სეირს!“ და ისევ ელვის სისწრაფით დაეშვა ქვემოთ. ჩომ იფიქრა, ალბათ სნიჩი დაინახაო და გაედევნა. ჰარიმ მოულოდნელად შეწყვიტა პიკირება და ტყვიასავით აიჭრა ჰაერში. ჩო კი ისევ ქვემოთ მიქროდა... და უცებ, მესამედ დაინახა სნიჩი, მოედნის თავზე, რეივენქლოს ნახევარზე ბრწყინავდა.

ჰარიმ სიჩქარეს მოუმატა. ჩომაც იგივე გააკეთა, მაგრამ მეტოქეს უკვე ძალიან ჩამორჩენოდა. სნიჩს ნამდვილად ჰარი დაიჭერდა, რომ არა...

– ვაიიი! – შეჰყვირა ჩომ და ხელი გაიშვირა.

ჰარის ყურადღება გაეფანტა და დაბლა ჩაიხედა. სამი მაღალი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დემენტორი მას უცქეროდა. არც აცივა, არც აცხელა, სასწრაფოდ ჯოხი ამოიღო და დაიყვირა:

– ექსპექტო პატრონუმ!

ჯოხის ბოლოდან უზარმაზარი, ვერცხლისფერი ნაკადი გამოიჭრა. ჰარიმ იცოდა, რომ ნაკადი დემენტორებს დაუმიზნა, მაგრამ საცქერლად არ შეჩერებულა, არც გონება დაჰკარგვია, წინ იყურებოდა, თითქმის უკვე ხელთ ჰქონდა სნიჩი. წამიც და, პატარა, გააფთრებული ოქროს ბურთი მუჭში მოიმწყვდია.

მადამ ჰუჩმა ჩასტვინა. ჰარიმ დაინახა, როგორ მოიწევდა მისკენ ექვსი ალისფერი ლაქა. თანაგუნდელები თვალის დახამხამებაში გადაეხვივნენ და კინაღამ ცოცხიდან ჩამოაგდეს. გრიფინდორის გულშემატკივრებმა კი მთელი სტადიონი გააყრუეს.

– ყოჩაღ, ბიჭო! – არ ცხრებოდა ვუდი.

ალისიამ, ანჯელინამ და ქეითიმ ჰარი დაკოცნეს, ფრედს კი ისე მაგრად ჰყავდა ჩაბღუჯული, რომ კინაღამ თავი წააძრო. ასე გადახვეულები ერთად დასხდნენ მოედანზე. ჰარი ცოცხიდან გადმოვიდა თუ არა, მისკენ სიხარულით ფრთაშესხმული გრიფინდორელები გამოცვივდნენ, წინ რონი მოუძღოდათ. მალე ჰარი აღტაცებული ბავშვების წრეში მოექცა.

– რა მაგარი ხარ! – აყვირდა რონი.

– ყოჩაღ, ჰარი! – ულოცავდა ბედნიერებისგან გაბრწყინებული პერსი, – ათი გალეონი მომაგებინე! წავალ, პენელოპეს მოვძებნი!

– მაგარი ხარ, ჰარი!

– ძაან მაგარი! – დაიგრგვინა ჰაგრიდმა და აღფრთოვანებული გრიფინდორელების ხმა გადაფარა.

– პატრონუსიც ამას ჰქვია! – უჩურჩულა ვიღაცამ. ჰარი მოტრიალდა და ხელთ ბედნიერი პროფესორი ლუპინი შერჩა.

– დემენტორები ჩემზე აღარ მოქმედებენ! – აღტაცება ვერ დამალა ჰარიმ, – არაფერი არ მიგრძნია!

– იმიტომ, რომ ნამდვილი დემენტორები არ ყოფილან, – გაუღიმა ლუპინმა, – წამოდი, გაჩვენებ... – ერთად გავიდნენ მოედნის მეორე ბოლოში.

– კარგად კი დააფეთე მალფოი! – უთხრა ლუპინმა.

მალფოი, კრაბი, გოილი და მარკუს ფლინტი, სლიზერინის გუნდის კაპიტანი, ბალახზე გორავდნენ გრძელ, შავ მანტიებში გახლართულები. როგორც ჩანს, მალფოი გოილს ედგა მხრებზე. თავს გაცეცხლებული პროფესორი მაკგონაგელი წამოსდგომოდათ და შავ დღეს აყრიდა:

– უსირცხვილოებო! ლაჩრებო! გრიფინდორის სიკერის დაშინება გინდოდათ, არა? ამ საქციელისთვის ყველანი დამატებითი სამ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უშაოთი დაისჯებით! სლიზერინს კი ორმოცდაათი ქულით დავაჯარიმებ! მე თქვენ გიჩვენებთ სეირს, პროფესორ დამბლდორს პირადად მოვახსენებ ყველაფერს. აი, ჰარიც მოსულა!

გრიფინდორის გამარჯვებას ეს სასიხარულო ამბავიც დაემატა. რონი ფეხდაფეხ მისდევდა ჰარის და ახლა მანტიებში გახლართული მალფოისა და გოილის დანახვაზე კინაღამ სიცილით დაიხრჩო.

– წავიდეთ, ჰარი! საერთო ოთახში გამარჯვება უნდა აღვნიშნოთ! – გადმოსძახა ჯორჯმა.

– მოვდივარ! – და ბედნიერი ჰარი ალისფერფორმიან თანაგუნდელებთან ერთად ციხე-კოშკისკენ გაემართა.

* * *

წვეულება გვიან ღამემდე გაგრძელდა, ისე ზეიმობდნენ, თითქოს უკვე მოეგოთ ქვიდიჩის თასი. ფრედი და ჯორჯი კარგა ხნით გაუჩინარდნენ და უკან ბურბურახის ბოთლებით, გოგრის წვენითა და „თაფლუჭში“ ნაყიდი ათასგვარი ტკბილეულით ხელდამშვენებულები დაბრუნდნენ.

– ეგ საიდან მოიტანეთ? – გაოგნდა ანჯელინა ჯონსონი, როცა ჯორჯმა ბავშვებს პიტნისგემოიანი გომბეშოები დაურიგა.

– მთვარეულა, გრძელკუდა, მაწანწალა და ქორბუდა დაგვეხმარნენ, – გადაუჩურჩულა ფრედმა ჰარის.

საერთო მხიარულებას მხოლოდ ერთი სტუდენტი აკლდა. ჰერმიონი კუთხეში მიმჯდარიყო და სქელი წიგნის, „ბრიტანელი მაგლების ყოფა და სოციალური ჩვევების“, წაკითხვას ცდილობდა. ჰარი წამოდგა და ჰერმიონთან მივიდა.

– იყავი თამაშზე?

– რა თქმა უნდა, – თავი არ აუწევია ჰერმიონს, – და ძალიან მიხარია, რომ გავიმარჯვეთ, მაგრამ ახლა არ მცალია, ეს წიგნი ორშაბათამდე უნდა წავიკითხო!

– კარგი რა, ჰერმიონ, მოდი, რაიმე მაინც შეჭამე, – უთხრა ჰარიმ და რონს გადახედა, ნეტავ, როგორ გუნებაზეა, იქნებ ჰერმიონთან შევარიგოო.

– არ შემიძლია, ჰარი, ოთხას ოცდაორი გვერდი დამრჩა წასაკითხი! – გაღიზიანდა ჰერმიონი, – და თანაც, იმას მაინცდამაინც არ უნდა ჩემი დანახვა, – ჰერმიონმა რონზე ანიშნა.

ჰარი რაღას ეტყოდა. თანაც, სწორედ ამ დროს რონმა საგანგებოდ ხმამაღლა გამოაცხადა:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სკაბერზი რომ არ შეეჭამათ, ნუგის ბუზებით გავუმასპინძლდებოდი, როგორ უყვარდა...

ჰერმიონს ცრემლები წასკდა. სანამ ჰარი რაიმეს თქმას მოსწრებდა, გოგონამ წიგნი იღლიაში ამოიჩარა და აქვითინებული გავარდა ოთახიდან.

– თავს რატომ არ ანებებ? – რონს მიუბრუნდა ჰარი.

– არავითარ შემთხვევაში! ჩემთვის რომ მოესამძიმრებინა მაინც, კიდევ ვიფიქრებდი პატიებას, მაგრამ, როგორ გეკადრებათ, ჯიუტად არ აღიარებს, რომ მტყუანია! ნეტავ, რა ჰგონია, სკაბერზი დასასვენებლად გავუშვი სადმე, თუ რა?

გრიფინდორელების მხიარულებას ბოლო არ უჩანდა. ღამის პირველ საათზე საერთო ოთახში ხალათიანი და ჩაჩწამოცმული პროფესორი მაკგონაგელი შემოვიდა და სტუდენტებს უბრძანა, ახლავე დაიძინეთო. ჰარი და რონი კიბეს აუყვნენ, თან ისევ დღევანდელ მატჩზე საუბრობდნენ. ბოლოს და ბოლოს, დაქანცული ჰარი საწოლში ჩაწვა, ჩარდახის ფარდები ჩამოუშვა, მთვარის შუქს რომ არ შეეწუხებინა, ბალიშში ჩაეფლო და იმავე წუთს ჩაეძინა...

ძალიან უცნაური სიზმარი ნახა. თითქოს „ელვა“ მხარზე გაედო და ტყეში რაღაც უცნაურ მოთეთრო-მონაცრისფრო არსებას მიჰყვებოდა. არსება ხეებს შორის მიიკვლევდა გზას. ბიჭს ძალიან უნდოდა, წამოსწეოდა, ამიტომ ნაბიჯს უმატა, მაგრამ არსებამაც მოუჩქარა. ჰარი სირბილზე გადავიდა, თანდათან სულ უფრო სწრაფად მირბოდა, მაგრამ ნალების თქარათქური სულ უფრო შორიდან ესმოდა.

– არაااااااااااااა! არااااااااااااა!

ჰარის ისე სწრაფად გამოეღვიძა, თითქოს ვიღაცამ სახეში გაულაწუნაო. თავგზააბნეულმა სიბნელეში ხელის ცეცებით მოძებნა ფარდები. გვერდით საწოლზეც ვიღაც ამოძრავდა, სიმუს ფინიგანმა შეჰყვირა:

– რა ხდება?

ჰარის კარის გაჯახუნების ხმა შემოესმა. როგორც იქნა, ფარდებს სწვდა და გააფთრებულმა გადასწია. დინ ტომასმა შუქი აანთო. შიშისგან სახეწაშლილი რონი საწოლში წამომჯდარიყო, მის საწოლს ცალ მხარეს ფარდები ჩამოხეული ჰქონდა.

– ბლექი იყო! სირიუს ბლექი! ხელში დანა ეჭირა!

– რაო?

– აქ იყო, ახლა! ფარდები ჩამოფხრიწა! გამაღვიძა!

– დარწმუნებული ხარ, რომ სიზმარში არ ნახე? – ჰკითხა დინმა.

– ფარდებს ვერ ხედავთ?! აქ იყო-მეთქი, გეუბნებით!

ყველანი ადგნენ. ჰარი პირველი მივარდა საძინებელი ოთახის

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კარს და კიბეზე ბრაგაბრუგით ჩაირბინა: კოშკში კარები იღებოდა და ბავშვები ნამძინარევი ხმით კითხულობდნენ, რა მოხდა, ვინ ყვიროდაო.

ნასუფრალით სავსე საერთო ოთახს ოდნავ ანათებდა მიმქრალი ცეცხლი, იქ არავინ იყო.

– რონ, დარწმუნებული ხარ, რომ არ დაგესიზმრა?

– გეუბნებით, ჩემი თვალით დავინახე-მეთქი!

– რა ხმაურია?

– პროფესორმა მაკგონაგელმა ხომ გვითხრა, დაიძინეთო?!

რამდენიმე გოგონა მთქნარებ-მთქნარებით ჩამოვიდა კიბეებზე. ბიჭებიც გამოჩნდნენ.

– ქეიფს ვაგრძელებთ? მაგარია! – სახე გაუნათდა ფრედ უისლის.

– ყველანი საძინებლებში დაბრუნდით! – საერთო ოთახში შემოვარდა პერსი და პიჟამაზე სასწრაფოდ დაიმაგრა პრეფექტის ნიშანი.

– პერსი... სირიუს ბლექი, – ხმა უკანკალებდა რონს, – ჩვენს საძინებელში იყო, დანა ეჭირა! ლოგინიდან წამომაგდო!

საერთო ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

– რას ბოდავ! – გაოგნდა პერსი, – რონ, ეტყობა, იღორმუცელე და კოშმარი დაგესიზმრა...

– გეუბნები...

– ჰო, კარგი, გეყოფა...

ამ დროს პროფესორი მაკგონაგელიც გამოჩნდა. გაბრაზებულმა კინაღამ ჩამოაგდო პორტრეტი და ოთახს მრისხანე მზერა მოავლო.

– მიხარია, რომ გრიფინდორმა დღევანდელი მატჩი მოიგო, მაგრამ ეს უკვე მეტისმეტია! პერსი, თქვენგან ამას არ ველოდი!

– არა, არა, პროფესორო, ამის უფლება მე არ მიმიცია, მე არაფერ შუაში ვარ! სწორედ ახლა ვეუბნებოდი ყველას, დაიძინეთ-მეთქი! მაგრამ ჩემს ძმას, რონს, კოშმარი დაესიზმრა...

– არაფერიც არ დამსიზმრებია! – აფეთქდა რონი, – პროფესორო, გამეღვიძა, თავზე სირიუს ბლექი მედგა და ხელში დანა ეჭირა.

გაოგნებული პროფესორი მაკგონაგელი რონს მიაჩერდა.

– რა სისულელეს ამბობთ, რონ, პორტრეტის ხვრელში როგორ შემოვიდოდა?

– ჰკითხეთ, იმას ჰკითხეთ, იქნებ რაიმე დაინახა, – აცახცახებული ხელით სერ კადოგანზე ანიშნა რონმა.

პროფესორმა მაკგონაგელმა რონს ეჭვით შეხედა, მერე ხვრელში გაძვრა და გარეთ გავიდა. გრიფინდორელები გასუსულები ელოდნენ პასუხს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სერ კადოგან, ცოტა ხნის წინ გრიფინდორის კოშკში მამაკაცი ხომ არ შეგიშვიათ?

– დიახ, მოწყალეო ქალბატონო, – გაიჯგიმა სერ კადოგანი.

დერეფანსა და საერთო ოთახში სრული სიჩუმე გამეფდა.

– რაო? მართლა? კი მაგრამ, პაროლი?

– პაროლი იცოდა, მთელი კვირის პაროლები იცოდა! პატარა ფურცელზე ეწერა და იქიდან კითხულობდა.

პროფესორი მაკგონაგელი ოთახში შემობრუნდა, სახე მიტკალივით გაჰფითრებოდა.

– ვინ? ვინ იყო ის გამოუსწორებელი ცალტვინა, რომელმაც მთელი კვირის პაროლები ქაღალდზე ჩამოწერა და მერე უყურადღებოდ სადღაც დააგდო?

სუსხიან სიჩუმეს შიგადაშიგ ჩუმი ქსუტუნი არღვევდა. ოთახისჩუსტებიანმა, აკანკალებულმა ნევილ ლონგბოტომმა გაუბედავად ასწია ხელი.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეთოთხმეტე

სნეიპის მრისხანება

იმ ღამით გრიფინდორის კოშკში თვალი არავის მოუხუჭავს. ყველამ იცოდა, რომ ციხე-კოშკს ხელახლა ჩხრეკდნენ და საერთო ოთახში შეკრებილები სიახლეს ელოდნენ. გამთენიისას პროფესორი მაკგონაგელი გამოჩნდა და გამოაცხადა, რომ ბლექი ისევ ხელიდან დაუსხლტათ.

მეორე დღიდანვე გაამკაცრეს უსაფრთხოების ზომები: პროფესორი ფლიტვიკი მთავარ შემოსასვლელ კარს ბლექის ცნობას ასწავლიდა და მის გადიდებულ სურათს უჩვენებდა; ფილჩი გამწარებული დაქროდა დერეფნებში, ყველა ბზარსა და თაგვის სოროს ქოლავდა. სერ კადოგანი თანამდებობიდან გაათავისუფლეს და ისევ მიყრუებულ მერვე სართულზე მიაბრძანეს. სამაგიეროდ, საგულდაგულოდ რესტავრირებული ფუშფუშა ქალბატონი დააბრუნეს. ცოტა კი ღელავდა, მაგრამ სამუშაოს ერთი პირობით დასთანხმდა: სპეციალური დაცვა გამოუყვეს. უშველებელი ხელკეტებით შეიარაღებული გოლიათი ტროლები ჯგუფ-ჯგუფად სდარაჯობდნენ გრიფინდორის კოშკის შესასვლელს.

ჰარიმ შეამჩნია, რომ ცალთვალა ალქაჯის ქანდაკებას ყურადღებას არავინ აქცევდა, და დაასკვნა, ეტყობა, ფრედი და ჯორჯი მართლები არიან, ამ საიდუმლო გასასვლელის შესახებ, მათ გარდა, თუ ჰერმიონს და რონს არ ჩავთვლით, არავინ არაფერი იცისო.

– როგორ ფიქრობ, უნდა ვუთხრათ ვინმეს? – ჰკითხა ერთხელ ჰარიმ რონს.

– რა საჭიროა? დარწმუნებული ვარ, „თაფლუჭიდან“ არ შემოსულა, მაღაზიაში რომ ვინმე შეპარულიყო, ხომ გაიგებდნენ?! – მიუგო რონმა.

ჰარის ძალიან გაუხარდა, რონის აზრები მისას რომ დაემთხვა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ცალთვალა ალქაჯის ქანდაკებაც რომ ამოექოლათ, ჰოგსმიდში წასვლას ვერასოდეს მოახერხებდა.

იმ დღიდან მოყოლებული, რონი ნამდვილი ვარსკვლავი გახდა. ასეთი რამ თავის დღეში არ ღირსებია, მას უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ, ვიდრე ჰარის, რაც, რასაკვირველია, ძალიან სიამოვნებდა. მართალია, იმ ღამის გახსენებაზე ტანში ჟრუანტელი უვლიდა, მაგრამ ვისაც უნდა ეკითხა, ყველას დაწვრილებით უყვებოდა იმ ამბავს, შიგადაშიგ ცოტას აზვიადებდა კიდეც:

– ...მეძინა და უცებ ვიღაცამ ფარდები ჩამოფხრიწა. თავიდან მეგონა, მესიზმრებოდა. მერე ქარმა დაუბერა... გამომეღვიძა და რას ვხედავ, ცალ მხარეს საწოლს ფარდა არა აქვს... გადმოვბრუნდი... და ის დავინახე... თავზე მედგა... ჩონჩხივით გამხდარი... გაბურძგნილი ბინძური თმით... ხელში უშველებელი დანა ეჭირა, სიგრძეში თხუთმეტი სანტიმეტრი მაინც იქნებოდა... მერე შემომხედა და მეც თვალი გავუსწორე... მერე დავიყვირე და უცებ გაუჩინარდა.

– მაინც არ მესმის, რატომ გაიქცა, – მიუბრუნდა ჰარის, როცა ამბის მოსასმენად მოსული მეორეკურსელი გოგონები წავიდნენ.

ჰარისაც ეს კითხვა აწვალებდა. ბლექი უთუოდ მიხვდა, რომ საწოლი შეეშალა, მაგრამ რონი რატომ არ გააჩუმა და ჰარის არ მიადგა? თორმეტი წლის წინ ხომ არ დაუხევია უკან და სრულიად უდანაშაულო ხალხი დახოცა? იმ ღამეს კი ხუთი დაუცველი, უიარაღო ბიჭისა შეეშინდა? თანაც, ამათგან ოთხს ღრმად ეძინა.

– ეტყობა, მიხვდა, რადგან ხმაური ატეხე და ყველანი გაგვაღვიძე, ციხე-კოშკიდან გაქცევა გაუჭირდებოდა, – დაასკვნა ჰარიმ, – პორტრეტის ხვრელიდან რომ გასულიყო, ამისთვის მთელი გრიფინდორი უნდა ამოეხოცა...

ნევილი თავლაფდასხმული დადიოდა. პროფესორი მაკგონაგელი ისეთი განრისხებული იყო, რომ საწყალ ნევილს ჰოგსმიდში წასვლა აუკრძალა, დამატებითი სამუშაოც მიუსაჯა და ყველა სასტიკად გააფრთხილა, მისთვის პაროლი არ ეთქვათ. საბრალო ნევილი იძულებული შეიქნა, ყოველღამე პორტრეტთან მდგარიყო, სანამ ვინმე შეიყვანდა, თან ტროლებიც ბოროტი ღიმილით დასტრიალებდნენ თავს. თუმცა, ეს სასჯელი რა მოსატანია იმასთან, რაც ნევილს ბებიამისმა დაატეხა თავს. ამ ამბებიდან ორი დღეც არ იყო გასული, რომ ბებიამ ნევილს ღრიალა გამოუგზავნა. ღრიალას მიღება კი ჰოგვორტსში ყველაზე დიდ სირცხვილად ითვლებოდა.

დიდ დარბაზში დილის ფოსტა, ჩვეულებრივ, ბუებმა მოიტანეს. ნევილს კინაღამ ლუკმა გადასცდა, როცა ნისკარტში წითელ კონვერტგაჩრილი ბუ ცხვირწინ დაუჯდა. ჰარი და რონი იმწამსვე მიხ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვდნენ, რა ხდებოდა, რონმა ხომ შარშან დედისგან სწორედ ასეთი კონვერტი მიიღო.

– მიდი, დროზე მოჰკიდე ხელი და აქედან მოუსვი, – ურჩია რონმა.

ნევილმა არ დააყოვნა, კონვერტს ხელი სტაცა, ასაფეთქებლად გამზადებული ბომბივით შორს დაიჭირა და დიდი დარბაზიდან შურდულივით გავარდა. სლიზერინელებმა სიცილი დააყარეს. ჰოლიდან ნევილის ბებიის ყურისწამღები ხმა ისმოდა, საჯაროდ ტუქსავდა შვილიშვილს, ოჯახს თავი მოსჭერიო.

ჰარის ისე შეეცოდა ნევილი, არც კი შეუმჩნევია, მასაც რომ მოუვიდა წერილი. ჰედვიგმა მაჯაზე ჩაუნისკარტა.

– ვაიმე! რა... ო, გმადლობ, ჰედვიგ! – ჰარიმ კონვერტი გახსნა, ჰედვიგმა კი ნევილის ჯამში ჩარგო ნისკარტი.

„ძვირფასო ჰარი და რონ,

საღამოს ექვს საათზე ჩემთან ჩაის დასალევად ხომ არ შემოივლიდით? მე თვითონ მოვალ და ციხე-კოშკიდან წამოგიყვანთ. ჰოლში დამელოდეთ, ხო იცით, რო ეზოში მარტო გამოსვლა გეკრძალებათ.

აბა, დროებით,

ჰაგრიდი“.

– ალბათ ბლექის ამბავი აინტერესებს, – დაასკვნა რონმა.

ასე რომ, საღამოს ექვს საათზე ჰარი და რონი გრიფინდორის კოშკიდან გამოვიდნენ, ტროლებს ჩაურბინეს და ჰოლისკენ გაემართნენ, ჰაგრიდი უკვე ჰოლში ელოდათ.

– გამარჯობა, ჰაგრიდ, – მიესალმა რონი, – როგორც ვხვდები, შაბათის ამბები გაინტერესებს, არა?

– ეგ უკვე ვიცი, – ჰაგრიდმა კარი ფართოდ გააღო და გარეთ გაუძღვა.

– მართლა? – ცოტა არ იყოს, გული დასწყდა რონს.

ჰაგრიდის ქოხში შესულებმა ბაკბიკი დაინახეს, პატრონის საბანზე წამოწოლილს ფრთები შეეკეცა და სიამოვნებით მიირთმევდა მკვდარ ქრცვინებს. ჰარიმ ამ სანახაობას თვალი მოარიდა და ტანსაცმლის კარადაზე გარედან დაკიდებული ძალიან დიდი ზომის ყავისფერი კოსტიუმი და სრულიად უგემოვნო ნარინჯისფერი, ყვითელზოლებიანი ჰალსტუხი შეამჩნია.

– ეს რად გინდა, ჰაგრიდ?

– ამ ხუთშაბათს სახიფათო ჯადოსნურ არსებათა ლიკვიდაციის კომიტეტში ბაკბიკის საქმეს განიხილავენ, – მიუგო ჰაგრიდმა, –

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლონდონში ერთად უნდა წავიდეთ. „ღამის რაინდზე“ ორი ადგილი შევუკვეთე.

ჰარის შერცხვა, საერთოდ გადაავიწყდა, რომ ბაკბიკის სასამართლო პროცესი ახლოვდებოდა. როგორც ჩანს, რონსაც სინდისი ქენჯნიდა. ორივეს დაავიწყდა, ჰაგრიდს რომ დაჰპირდნენ, ბაკბიკის დასაცავი სიტყვის დაწერაში მოგეხმარებითო. მას მერე, რაც სკოლაში „ელვა“ გამოჩნდა, სხვა ყველაფერი თავიდან ამოუვარდათ.

ჰაგრიდმა სტუმრებს ჩაი დაუსხა და ნამცხვრებზე დაპატიჟა. ბიჭებს არაერთხელ ჰქონდათ გასინჯული ჰაგრიდის ნახელავი და ამჯერად უარი უთხრეს.

– თქვენთან რაღაც მაქვს სალაპარაკო, – შუაში ჩაჯდა ჰაგრიდი, იმ საღამოს უჩვეულოდ სერიოზული იყო.

– გისმენთ!

– ჰერმიონზე უნდა გელაპარაკოთ, – დაუზუსტა ჰაგრიდმა.

– ჰერმიონი რა შუაშია? – ჰკითხა რონმა.

– შუაში კი არა, თავშია! შობადღიდან მოყოლებული, ხშირ-ხშირად მოდის ჩემ სანახავად. მთლად მარტოდმარტო. ჯერ იყო და, ცოცხის გამო არ ელაპარაკებოდათ, ახლა კიდევ იმ კატის...

– იმ კატამ ჩემი სკაბერზი შეჭამა! – გაცეცხლდა რონი.

– მერე, რა გიკვირს. კატები, საერთოდ, თაგვებს ჭამენ, – ჯიუტად განაგრძო ჰაგრიდმა, – იცით, როგორ ტიროდა ჰერმიონი? იცით, რა საშინელ დღეშია? მეტისმეტი მოუვიდა, ამდენ საგანს ერთად ვერ ერევა, დავალებების წერას ვერ აუდის. მაგრამ მაინც გამონახა დრო და ბაკბიკის საქმეში დამეხმარა... საჭირო რაღაცეები მიპოვა... ცოტა იმედი მომეცა...

– ჰაგრიდ, ჩვენც უნდა დაგხმარებოდით, გვაპატიე... – შეწუხდა ჰარი.

– შენ არაფერს გაბრალებ, – ჰაგრიდმა ჰარის ბოდიშს ყურადღება არ მიაქცია, – ვიცი, საქმეები თავსაყრელად გქონდა, ვხედავდი, მთელ დღეებს ქვიდიჩში რო ვარჯიშობდი... მაგრამ მაინც უნდა გითხრათ, მე მეგონა, თქვენთვის მეგობარი უფრო ძვირფასი იყო, ვიდრე ცოცხები ან ვირთხები!

ჰარიმ და რონმა უხერხულად გადახედეს ერთმანეთს.

– რონ, იცი, როგორ განიცადა ჰერმიონმა, ბლექმა კინაღამ რომ მოგკლა? ო, რა გული აქვს იმ გოგოს, რა კეთილია, თქვენ კიდევ ხმას არ სცემთ...

– კატა რომ გადაეგდო, შევურიგდებოდი, – ვეღარ მოითმინა რონმა, – მაგრამ მაინც თავისას იჩემებს! ეგ კატა კი არა, მონსტრია, მაგრამ ჰერმიონს არაფრის გაგონება არ უნდა!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰო, ეგ კარგად მესმის, ზოგჯერ ჩვენი საყვარელი ცხოველების გამო სისულელეებსაც ჩავდივართ ხოლმე, – ბრძნული აზრი გამოთქვა ჰაგრიდმა. ამ დროს კი ბაკბიკმა ზედ ბალიშზე გადმოაფურთხა ქრცვინის ძვლები.

ამის შემდეგ მთელი საღამო გრიფინდორსა და ქვიდიჩის თასზე ლაპარაკობდნენ. ცხრა საათზე კი ჰაგრიდმა ბიჭები ციხე-კოშკში გამოაცილა.

საერთო ოთახში, განცხადებების დაფასთან, დიდი ჩოჩქოლი იდგა.

– მომავალ კვირას ჰოგსმიდში გვიშვებენ, – ცერებზე შემდგარმა რონმა განცხადება წაიკითხა, – აბა, რას იტყვი?

– ფილჩს ჯერჯერობით გასასვლელი არ ამოუქოლავს, – ჩურჩულით მიუგო ჰარიმ.

– ჰარი! – დაუძახა ვიღაცამ.

ჰარი მიტრიალდა და წიგნებში ჩაფლული ჰერმიონი დაინახა.

– ჰარი, თუ ისევ წახვალ ჰოგსმიდში... პროფესორ მაკგონაგელს ყველაფერს ვეტყვი!

რონმა გვერდზე გაიხედა, ვითომ ვერ გაიგონა ჰერმიონის ნათქვამი.

– რონ, შენ რატომ აძლევ ამის უფლებას? დაგავიწყდა, სირიუს ბლექმა კინაღამ რომ მოგკლა? დედას გეფიცებით, მართლა ვეტყვი ყველაფერს...

– ახლა რა ჯანდაბა გინდა? გინდა, ჰარი სკოლიდან გარიცხონ? არ გეყო, უკვე რაც ჩაიდინე? – აფეთქდა რონი.

ჰერმიონი ის იყო, პასუხის გაცემას აპირებდა, რომ კატა ჩხავილით ჩაუხტა კალთაში. გოგონამ გამძვინვარებულ რონს გადახედა, კატა აიყვანა და საძინებლისკენ გაიქცა.

– აბა, რა გადაწყვიტე? – აუღელვებლად განაგრძო რონმა, თითქოს, არც არაფერი მომხდარიყო, – წამო, რა! მაშინ ვერაფრის ნახვა ვერ მოასწარი! ზონკოს მაღაზიაშიც კი არ ყოფილხარ!

ჰარიმ მიმოიხედა, ჰერმიონი ხომ არ გვისმენსო, და ჩუმად მიუგო:

– კარგი, წამოვალ, მაგრამ უჩინმაჩინის მოსასხამსაც თან წამოვიღებ!

* * *

შაბათ საღამოს ჰარიმ ჩანთაში უჩინმაჩინის მოსასხამი ჩაიდო, ჯიბეში – ონავრების რუკა და სხვებთან ერთად სასაუზმოდ ჩავიდა. ჰერმიონი ეჭვიან მზერას არ აცილებდა, მაგრამ ჰარი ცდილობდა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როგორმე თვალში არ მოხვედროდა. როცა ყველანი ერთად დაიძრნენ გასასვლელისკენ, ჰარი ჰერმიონის მოსატყუებლად მარმარილოს კიბეს აუყვა.

– ნახვამდის! – გასძახა რონს, – ამ საღამოს გნახავ!

რონმა გაუღიმა და თვალი ჩაუკრა.

ჰარიმ ჯიბიდან ონავრების რუკა ამოიღო და მესამე სართულზე ავარდა. მერე ცალთვალა ალქაჯის ქანდაკებას ამოეფარა და რუკას დააკვირდა. ერთი ციცქნა წერტილი მისკენ მოემართებოდა, ზედ პაწაწკინტელა ასოებით ეწერა „ნევილ ლონგბოტომი“.

ჰარიმ ჯოხი მოიმარჯვა, ჩუმად დაიძახა: „დისენდიუმ“ და ჩანთას ქანდაკების კუზში გადაუძახა, მაგრამ სანამ თვითონაც მოასწრებდა გადაძრომას, ნევილი გამოჩნდა.

– ჰარი, სულ დამავიწყდა, რომ შენც არ გიშვებენ ჰოგსმიდში!

– გამარჯობა, ნევილ, – ჰარი ქანდაკებას მოშორდა და რუკა შეუმჩნევლად ჩაიცურა ჯიბეში, – რას აპირებ, როგორ უნდა გაერთო?

– რა ვიცი, – მხრები აიჩეჩა ნევილმა, – აფეთქებობანა ვითამაშოთ?

– მმ... ახლა არ მცალია, ბიბლიოთეკაში მივდივარ, პროფესორ ლუპინის დავალება უნდა დავწერო, ვამპირებზე...

– მეც წამოვალ, – გაუხარდა ნევილს, – და ბარემ ერთად დავწეროთ.

– უი... თუმცა, სულ დამავიწყდა, რომ წუხელ დავამთავრე...

– რა კარგია! ხომ დამეხმარები? თორემ ნიორი რაში სჭირდებათ, მაინც ვერ გავიგე... უნდა შეჭამო თუ... – ნევილს სიტყვა გაუწყდა და სასწრაფოდ ჰარის ამოეფარა.

პროფესორი სნეიპი თავს წასდგომოდათ.

– აქ რას აკეთებთ? – სნეიპი ხან ერთს უცქეროდა, ხან – მეორეს, – უცნაური ადგილი აგირჩევიათ შეხვედრისთვის!

სნეიპმა დაკვირვებით შეათვალიერა ახლომახლო ოთახების კარები და ცალთვალა ალქაჯის ქანდაკება.

– არ აგვირჩევია, შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს.

– მართლა? ისე, პოტერ, თქვენ სულ უცნაურ ადგილებში დაეხეტებით და, რაც მთავარია, ვერასოდეს ვერ მისაბუთებთ, რას აკეთებთ ასეთ ადგილებში... გირჩევთ, ახლავე დაბრუნდეთ გრიფინდორის კოშკში. თქვენი ადგილი იქაა.

ჰარი და ნევილი უსიტყვოდ დაემორჩილნენ. როგორც კი დერეფანს გასცდნენ, ჰარიმ უკან მიიხედა, სნეიპი საგულდაგულოდ სინჯავდა ცალთვალა ალქაჯის ქანდაკებას.

ჰარიმ, ბოლოს და ბოლოს, თავიდან მოიშორა ნევილი, ფუშფუშა ქალბატონის პორტრეტთან მისულს პაროლი უთხრა, მერე მოატყუა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბიბლიოთეკაში დაწერილი თემა დამრჩაო, და კოშკში აღარ შესულა. მოდარაჯე ტროლებს გასცდა თუ არა, სასწრაფოდ ამოიღო რუკა.

მესამე სართულის დერეფანში არავინ ჩანდა. ჰარიმ დაკვირვებით დაათვალიერა რუკა და შვებით ამოისუნთქა, როცა სნეიპი ისევ თავის კაბინეტში შებრუნებული დაინახა. ცალთვალა ალქაჯის ქანდაკებასთან კისრისტეხით მიირბინა, კუზი გაუხსნა, შიგ ჩაძვრა, ქვის მილით გვირაბში ჩასრიალდა და თავისი ჩანთაც იპოვა. მერე კი უკანმოუხედავად გაიქცა.

* * *

უჩინმაჩინის მოსასხამში გახვეული ჰარი „თაფლუჭიდან“ მზით გაჩახჩახებულ ქუჩაში გამოვიდა და რონს მუჯლუგუნი წაჰკრა:

– მოვედი!

– სად იყავი ამდენ ხანს? – გადაუჩურჩულა რონმა.

– სნეიპი მითვალთვალებდა...

მეგობრები ერთად გაუყვნენ მთავარ ქუჩას.

– სადა ხარ? – წამდაუწუმ ეკითხებოდა რონი, – ხომ არ ჩამორჩი? ისე, ძაან უცნაური კია...

ფოსტაში შევიდნენ. რონს ვითომ ეგვიპტეში ბუს გაგზავნის ფასი აინტერესებდა, ამასობაში კი ჰარიმ იქაურობის თვალიერებით გული იჯერა. თაროებზე სამასზე მეტი სულ სხვადასხვა ჯიშის ბუ იჯდა, უზარმაზარი რუხი სახეობებიდან დაწყებული, სულ ერთი ციცქნებით დამთავრებული. ეს პაწია ფრინველები ხელისგულზეც თავისუფლად დაეტეოდა, ზედ კი წარწერა მიეკრათ: „მხოლოდ ადგილობრივი გზავნილებისთვის“.

ზონკოს მაღაზია სტუდენტებით იყო სავსე. ჰარის დიდი ჯაფა დაადგა, რომ ვინმეს არ დასჯახებოდა და აყალმაყალი არ გამოეწვია. მაღაზიაში ათასგვარი სათამაშო და გასართობი ნივთი იყიდებოდა, ისეთები, რომ თავად ყოვლისმნახველ ფრედსა და ჯორჯსაც კი გააკვირვებდა. ჰარი ჩურჩულით ეუბნებოდა რონს, რის ყიდვა სურდა, და მოსასხამის ქვემოდან ყველასგან მალულად აწვდიდა ოქროს გალეონებს. ასე რომ, ზონკოს მაღაზიიდან გამოსულებს საგრძნობლად შეუთხელდათ საფულეები. სამაგიეროდ, ჯიბეები ჰქონდათ გატენილი ნეხვის ბომბებით, მასლოკინებელი ტკბილეულით, გომბეშოს ქვირითის საპნითა და კბენია ჩაის ფინჯნებით.

მშვენიერი დარი იდგა, სასიამოვნო ნიავი ქროდა, ნამდვილი სასეირნო ამინდი იყო, ამიტომ „სამ ცოცხში“ აღარ შესულან,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ალმართი აიარეს და ქოთქოთა ქოხს მიადგნენ. ეს სახლი თავისი მოჩვენებებით მთელ ბრიტანეთში იყო განთქმული. სოფლიდან კარგა მოშორებით იდგა და დღისით-მზისითაც კი პირქუში სანახავი იყო, ფანჯრები აჭედილი ჰქონდა, ეზო – მოუვლელი.

– ამ სახლს ჰოგვორტსელი მოჩვენებებიც კი ერიდებიან, – ღობეს მიეყრდნო რონი, – ერთხელ თითქმის უთავო ნიკს ვკითხე. თვითონ აქ არასოდეს ყოფილა, მაგრამ ამბობენ, თურმე შიგ თავზეხელაღებული ხალხი ცხოვრობსო. შესვლას ვერავინ ახერხებს. ფრედსა და ჯორჯს უცდიათ, მაგრამ ყველა შესასვლელი ისე მაგრადაა ჩაკეტილი, რომ...

ჰარის დასცხა და მოსასხამის გახდა მოუნდა, მაგრამ უცებ ვიღაცის ხმა შემოესმა. გორაკის მეორე მხრიდან ვიღაც ამოდიოდა. წამიც და, მალფოი გამოჩნდა, კრაბსა და გოილს ელაპარაკებოდა:

– ...მამაჩემისგან ყოველ წუთს ველოდები ბუს! პროცესზე უნდა წასულიყო ჩვენების მისაცემად... მოსამართლეს მოუყვებოდა, სამ თვეს ხელს რომ ვერ ვამოძრავებდი...

კრაბმა და გოილმა ჩაიხითხითეს.

– აუ, როგორ მინდა, იმ ბანჯგვლიან დებილს მოვუსმინო... საინტერესოა ერთი, თავს რითი დაიცავს... „არა, მაგას არავისთვის ცუდი არ უნდა...“ ჩათვალეთ, რომ ეგ ჰიპოგრიფი უკვე მკვდარია...

უცებ მალფოიმ რონი შეამჩნია და ფერმკრთალი სახე ბოროტმა ღიმილმა გაუნათა:

– აქ რა გინდა, უისლი? – მალფოიმ გაპარტახებულ სახლს გადახედა, – შენ ალბათ სიამოვნებით იცხოვრებდი მანდ. ვინ იცის, საკუთარ საძინებელ ოთახს რამდენი ხანია ნატრობ. ამბობენ, მთელ შენს ოჯახს ერთ ოთახში სძინავსო, მართალია?

ჰარიმ რონს მანტიაში ჩაავლო ხელი და დროულად შეაჩერა, თორემ მალფოის აუცილებლად დაეძგერებოდა.

– ეგ მე დამითმე, – წასჩურჩულა ყურში. ასეთ შესაძლებლობას ხელიდან ვერ გაუშვებდა. მალფოის, კრაბსა და გოილს უკნიდან მოუარა, დაიხარა და მიწიდან ტალახის გუნდა აიღო.

– ახლა სწორედ შენს მეგობარზე, ჰაგრიდზე ვსაუბრობდით, – განაგრძო მალფოიმ, – წარმომიდგენია, რას ებურტყუნება საშიში ჯადოსნური არსებების ლიკვიდაციის კომიტეტს. როგორ ფიქრობ, იმ ჰიპოგრიფს თავს რომ წააცლიან, იტირებს?

თხლაშ!

მალფოის კეფაში ტალახის გუნდა მოხვდა და მოვერცხლისფრო ქერა თმა ერთიანად მოესვარა.

– რა ჯანდ...

რონი ღობეს ჩამოეყრდნო, რომ არ წაქცეულიყო, კინაღამ გაიგუდა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სიცილით. მალფოი, კრაბი და გოილი გიჟებივით წრიალებდნენ და გაცოფებულები ათვალიერებდნენ იქაურობას.

– რა ჯანდაბაა? ვინ მესროლა? – თმას იწმენდდა მალფოი.

– ხომ იცი, აქ რამდენი მოჩვენება ცხოვრობს, – გულგრილად აღნიშნა რონმა.

კრაბი და გოილი დაფეთდნენ. აბა, დაბერილი კუნთებით მოჩვენებებთან რას გააწყობდნენ? მალფოი კი გააფთრებით ეძებდა დამნაშავეს.

ჰარი გუბესთან მიიპარა, აყროლებული ტალახი დააგუნდავა და... თხლაშ!

ამჯერად კრაბსა და გოილს ესროლა. გოილი გაცოფებული შეხტა და თვალებზე ხელი იტაცა.

– იქიდან წამოვიდა! – სახე მოიწმინდა მალფოიმ და ჰარის მიმართულებით გაიხედა.

კრაბმა ზომბივით გაიშვირა ხელები და წინ გაიჭრა. ჰარი მარჯვედ დაუსხლტა, ჯოხი აიღო, ზურგში გაუქანა და კმაყოფილმა ჩუმად ჩაიცინა. უარესად გახელებული კრაბი ციბრუტივით დატრიალდა, ვერაფრით მიმხვდარიყო, ვინ ესროლა. რონი ერთადერთი იყო, ვისაც ხედავდა და ამიტომ მისკენ გაიწია, მაგრამ ჰარიმ ფეხი დაუდო, კრაბმა წაიბორძიკა და ფეხით უჩინმაჩინის მოსასხამს წამოედო. სულ ერთი წამით ჰარის მოსასხამი სახეზე ჩამოუცურდა.

მალფოიმ ყველაფერი დაინახა და აღრიალებული თავ-პირის მტვრევით გაიქცა, კრაბი და გოილიც უკან გაჰყვნენ.

– ჰარი, – რონი შეშფოთებით მიაჩერდა იმ ადგილს, სადაც ჰარი დალანდა, – ჯობია, დროზე გაიქცე! სანამ მალფოი ვინმეს ეტყვის, ციხე-კოშკში უნდა დაბრუნდე...

– აბა, დროებით, – დაემშვიდობა ჰარი და ჰოგსმიდის ბილიკზე დაეშვა.

ნუთუ მალფოი საკუთარ თვალებს დაუჯერებდა? ან თავად მალფოის თუ დაუჯერებდა ვინმე? დამბლდორის გარდა ხომ უჩინმაჩინის მოსასხამის არსებობა არავინ იცოდა. ჰარის მუცელი აუწრიალდა, მალფოის ერთი სიტყვაც რომ დასცდენოდა, დამბლდორი ყველაფერს მიხვდებოდა.

„თაფლუჭში“, შევარდა, სწრაფად ჩაირბინა სარდაფის კიბეები, გვირაბში ჩახტა, მოსასხამი გაიხადა, იღლიაში ამოიჩარა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაიქცა...

თუ მალფოის სკოლაში მისვლას მიასწრებდა... მერე რომელიმე მასწავლებელი უნდა ეპოვა... სუნთქვა ეკვროდა, გვერდები სტკიოდა, თუმცა მაინც შეუსვენებლად გარბოდა, სანამ ქვის მილს არ მიადგა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოსასხამი აქ უნდა დაეტოვებინა, მალფოის რომ დაესმინა, ასეთ სამხილს ხელში ხომ არ ჩაუგდებდა! ერთ ბნელ კუთხეში შეჭყუნა, მერე მილში აძვრა, გაოფლილი ხელები უსხლტებოდა. სულ მალე ალქაჯის კუზს მიაღწია, მსუბუქად დაჰკრა ჯოხი, თავი გადმოყო და გადმოძვრა. კუზი თავისით დაიხურა. ქანდაკებას მოშორდა თუ არა, ჩქარი ნაბიჯის ხმა შემოესმა.

სნეიპი შავი მანტიის ფრიალით მოქროდა მისკენ. ბიჭს თავზე წაადგა და ბოროტად ჩაიცინა:

– აი, თურმე სად ბრძანდებით! – ხმაში აღფრთოვანება ეტყობოდა. ჰარიმ გულუბრყვილო სახე მიიღო, თითქოს არც არაფერი დაეშავებინოს, მაგრამ ოფლში გახვითქული სახითა და ტალახიანი ხელებით სნეიპს როგორღა მოატყუებდა? ხელები სასწრაფოდ ჯიბეებში ჩაიწყო.

– წამომყევით, პოტერ! – უბრძანა სნეიპმა.

ჰარი უხმოდ გაჰყვა, თან ცდილობდა, ხელები მანტიაზე ისე შეეწმინდა, რომ სნეიპს არაფერი დაენახა. კიბით სარდაფებში ჩავიდნენ და სნეიპის კაბინეტს მიადგნენ.

ჰარი ამ კაბინეტში მხოლოდ ერთხელ იყო ნამყოფი და იმ ერთხელაც დიდი განსაცდელი გამოიარა. სნეიპს რამდენიმე ახალი საზიზღრობა შემოედგა თაროებზე, ქილებში მოთავსებული სრულიად გაურკვეველი სითხეები ცეცხლის შუქზე ლიცლიცებდა და ოთახს კიდევ უფრო შემაძრწუნებელ იერს აძლევდა.

– დაბრძანდით! – უბრძანა სნეიპმა.

ჰარი დაჯდა, თუმცა სნეიპი ისევ ფეხზე იდგა.

– მისტერ მალფოი ახლახან ჩემთან იყო და ერთობ უცნაური ამბავი მიამბო.

ჰარის არაფერი უთქვამს.

– მითხრა, ქოთქოთა ქოხში ავედი და იქ უისლის შევხვდი, მარტო იყოო.

ჰარი ისევ ჩუმად იჯდა.

– მისტერ მალფოი ამტკიცებს, ვიდექი და უისლის ველაპარაკებოდი, როცა კისერში ტალახის გუნდა მომხვდაო. თქვენი აზრით, ეს როგორ მოხდა?

ჰარიმ გაკვირვებული სახე მიიღო:

– მე საიდან უნდა ვიცოდე, პროფესორო?!

სნეიპი ბიჭს თვალებით ჭამდა, რაღა სნეიპისთვის გეყურებინა და რაღა ჰიპოგრიფისთვის. ჰარიმ თავს ძალა დაატანა და თვალი გაუსწორა.

– შემდეგ კი მისტერ მალფოიმ ერთობ უცნაური მოჩვენება დაინახა. როგორ გგონიათ, პოტერ, რას ნახავდა?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არ ვიცი, – რაც შეეძლო, გულუბრყვილოდ მიუგო ჰარიმ და ვითომ დაინტერესდა.

– თქვენი თავი დაინახა, ჰაერში მოფარფატე!

სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

– მადამ პომფრისთან უნდა გაგზავნოთ, ასეთი რაღაცეები თუ ეჩვენება... – წამოიწყო ჰარიმ.

– ნეტავ, თქვენი თავი ჰოგსმიდში რას აკეთებდა, პოტერ? – რბილად შეაპარა სნეიპმა, – ხომ იცით, რომ თქვენს თავს ჰოგსმიდში წასვლის უფლება არა აქვს?

– ვიცი, – ჰარი ცდილობდა, სახეზე არაფერი დასტყობოდა, – როგორც ჩანს, მალფოის ჰალუცინა...

– ჰალუცინაციები რა შუაშია?! – განრისხდა სნეიპი, ჰარის სკამს ხელით დაეყრდნო და ბიჭს სახე სახესთან მიუტანა, – თქვენი თავი ჰოგსმიდში იყო, ესე იგი, დანარჩენი სხეულიც იქ იქნებოდა.

– მე გრიფინდორის კოშკში ვიყავი, როგორც თქვენ მიბრძანეთ...

– მოწმეები გყავთ?

ჰარის ხმა არ ამოუღია. სნეიპს წვრილი ტუჩები ბოროტმა ღიმილმა დაუღრიცა.

– არა? მაგიის მინისტრით დაწყებული, უბრალო რიგითი ჯადოქრით დამთავრებული, ყველანი სახელგანთქმული ჰარი პოტერის დაცვას ცდილობენ! მაგრამ სახელგანთქმული ჰარი პოტერი საერთო კანონებს არ ემორჩილება! თვითონ მეტი საქმე არა აქვს, დაე, უბრალო ხალხმა იზრუნოს მის უსაფრთხოებაზე! სახელგანთქმულ ჰარი პოტერს სადაც მოესურვება, იქ დაბრძანდება, და არც კი ფიქრობს, რა შეიძლება ამას მოჰყვეს!

ჰარი ისევ ჩუმად იჯდა. პროფესორი ცდილობდა, როგორმე გამოეტეხა, მაგრამ ჰარი არაფრის თქმას არ აპირებდა. ასე რომ, სნეიპი ბრალდებას ვერაფრით დაუმტკიცებდა.

– მაინც, როგორ ჰგავხართ მამათქვენს, პოტერ, – თვალები აუელვარდა სნეიპს, – ისიც ასეთი ამპარტავანი იყო. თავი დიდ ვინმედ მოჰქონდა, რადგან ქვიდიჩს სხვებზე ცოტა უკეთ თამაშობდა. თავის მეგობრებთან და თაყვანისმცემლებთან ერთად ამაყად დაბრძანდებოდა აქეთ-იქით.... პირდაპირ დაუჯერებელი მსგავსებაა!

– მამაჩემი ამპარტავანი არ იყო, – ვეღარ მოითმინა ჰარიმ, – და არც მე ვარ!

– მამაშენიც არად აგდებდა წესებს, – არ ცხრებოდა სნეიპი, – მისთვის რომ გეკითხათ, წესები, უბრალოდ, მოკვდავებს ეხებოდა და არა ქვიდიჩის თასის მფლობელებს! სიამაყით გაბერილი...

– გაჩუმდით! – წამოხტა ჰარი, ასეთი გაბრაზებული მხოლოდ იმ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ღამეს იყო, როცა პრივიტ დრაივიდან გამოიქცა და სულაც არ ედარ-დებოდა, რომ სნეიპს სიბრაზისგან სახე მთლად გაუქვავდა და შავი თვალები ავისმომასწავებლად აუელვარდა.

– რაო, პოტერ, რა მითხარით?

– გაჩუმდით-მეთქი! და მამაჩემს თავი დაანებეთ! – შეუყვირა ჰარიმ, – მე ყველაფერი ვიცი, მამაჩემმა გადაგარჩინათ, დამბლდორ-მა ყველაფერი მიამბო, მამაჩემი რომ არა, დღეს ცოცხალი არ იქნე-ბოდით!

სნეიპს გაყვითლებული სახე უარესად გადაუფითრდა.

– და ის თუ გითხრათ ბატონმა დირექტორმა, რატომ და როგორ გადამარჩინა? თუ, არ ჩათვალა საჭიროდ, ყველაფერი დაწვრილებით მოეყოლა, რომ თქვენთვის გული არ ეტკინა?

ჰარიმ ტუჩზე იკბინა, რადგან არ იცოდა, რა მოხდა სინამდვილეში, და არც უნდოდა, სნეიპს ამის შესახებ შეეტყო, მაგრამ პროფესორი მიუხვდა ნაფიქრალს.

– არ მინდა, მამათქვენზე მცდარი წარმოდგენა გქონდეთ, ამას არ დავუშვებ! – პროფესორს საზარლად მოეღრიცა სახე, – ალბათ გგონიათ, რომ დიდი გმირობა ჩაიდინა, არა? მაშინ, ნება მომეცით, თვალები აგიხილოთ: თქვენმა წმინდანმა მამიკომ და მისმა მეგო-ბრებმა ბოროტი ხუმრობა მომიწყვეს. მართალი ხართ, უთუოდ დავიღუპებოდი, მამათქვენი გონს რომ არ მოსულიყო. გმირობა აქ არაფერ შუაშია, მეც გადამარჩინა და საკუთარი ტყავიც! ეგ ხუმრობა რომ გამოსვლოდათ, სკოლიდან აუცილებლად გარიცხავდნენ, – სნეიპს მეჩხერი, გაყვითლებული კბილები გამოუჩნდა.

– ჯიბეები გადმოატრიალეთ, პოტერ! – მოაგონდა უცებ.

ჰარი არ განძრეულა, ყურებში გუგუნი ედგა.

– ჯიბეები გადმოატრიალეთ, თორემ ახლავე დირექტორთან აგიყვანთ!

ჰარის ურუანტელმა დაუარა, ჯიბეებიდან ზონკოს მაღაზიაში ნაყიდი სათამაშოები და ონავრების რუკა ამოიღო.

სნეიპმა სათამაშოები შეათვალიერა.

– რონმა მაჩუქა, – იცრუა ჰარიმ და გაიფიქრა, ნეტავ, რონის გაფრთხილებას მოვასწრებდეო, – ბოლოს რომ იყვნენ ჰოგსმიდში, მაშინ ჩამომიტანა...

– მართლა? და მთელი ამ ხნის მანძილზე ჯიბით დაატარებთ საჩუქრებს? გული ამიჩუყდა... ეს რაღაა? – სნეიპი რუკას დასწვდა. ჰარის ძალიან უჭირდა, აღელვება არ დასტყობოდა.

– უბრალოდ, ცარიელი პერგამენტია.

სნეიპმა რუკა გადმოაბრუნა, თან ჰარის თვალს არ აშორებდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რასაკვირველია, ასეთი ძველი პერგამენტი არაფერში გამოგადგებათ და თუ წინააღმდეგი არა ხართ, გადავაგდებ, – და ხელი ბუხრისკენ გაიშვირა.

– არა! – წამოიყვირა ჰარიმ.

– მაშ, ამიხსენით, – სნეიპს ნესტოებიც კი უთრთოდა, – ეს რა, უისლის მორიგი საჩუქარია, თუ სხვა რამე? უჩინარი მელნით დაწერილი წერილია? ან იქნებ დემენტორებისთვის გვერდის ავლით ჰოგსმიდში მისასვლელი გზაა ზედ დახატული?!

ჰარი შეცბა.

– მოიცა, მოიცა... – პროფესორმა ჯოხი და პერგამენტი მაგიდაზე გაშალა, – გახსენი საიდუმლო! – დაიძახა და პერგამენტს ჯოხი შეახო.

არაფერი მომხდარა. ჰარის ხელები აუკანკალდა.

– დამენახვე! – შესძახა სნეიპმა და ჯოხი ისევ დაუკაკუნა. მაგრამ ისევ არაფერი მომხდარა. ჰარიმ ღრმად შეისუნთქა, გული გამალებით უცემდა.

– პროფესორი სევერუს სნეიპი, ჰოგვორტსის მასწავლებელი გიბრძანებ, გამიმხილო საიდუმლო!

რუკის ზედაპირზე წარწერები გამოჩნდა, თითქოს უხილავი ხელი რაღაცას წერდა:

„ბატონი მთვარეულა მიესალმება პროფესორ სნეიპს და უმორჩილესად სთხოვს, თავის ვეება ცხვირს სხვის საქმეებში ნუ ჩაყოფს!“

სნეიპი გაშრა. ჰარი თავგზააბნეული მიაშტერდა ნაწერს. მაგრამ რუკა ამას როდი დასჯერდა, უჩინარი ხელი წერას განაგრძობდა:

„ბატონი ქორბუდა სრულიად ეთანხმება ბატონ მთვარეულას და დასძენს, რომ პროფესორი სნეიპი კრეტინი და მახინჯია“.

ასეთი ხუმრობა ძალიან სასაცილო იქნებოდა, მაგრამ არა ამ დროს.

„ბატონი მაწანწალა გაოცებას ვერ მალავს, რომ ისეთი იდიოტი, როგორიც ბატონი სნეიპია, პროფესორი გახდა“.

ჰარიმ თვალები დახუჭა, მისი საქმე ცუდად იყო. ბოლოს ძლივძლივობით გაახილა და რუკაზე უკანასკნელი სიტყვები წაიკითხა:

„ბატონი გრძელკუდა მიესალმება პროფესორ სნეიპს და ურჩევს, ბოლოს და ბოლოს, აყროლებული თმა დაიბანოს“.

ჰარი მეხის გავარდნას ელოდა.

– აჰა... – ძლივს ამოღერღა პროფესორმა, – ამ საქმეს ასე არ დავტოვებ... – ქილიდან რაღაც ბრჭყვიალა ფხვნილი ამოიღო, ბუხარში შეყარა და დაიძახა: – ლუპინ, თუ შეიძლება, თქვენთან დალაპარაკება მინდა!

გაოგნებული ჰარი ბუხარს მიაშტერდა. უცებ ცეცხლში რაღაც დაბზრიალდა და თვალის დახამხამებაში იქიდან პროფესორი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლუპინი გადმოვიდა. დაკემსილი მანტიიდან ნაცარი ჩამოიფერთხა.

– მეძახდით, სევერუს?

– დიახ, გეძახდით, – სნეიპს სიძულვილისგან სახე დაღრეცოდა, – პოტერს სწორედ ახლა ჯიბეები გავუჩხრიკე და, აი, რა აღმოვაჩინე, – სნეიპმა რუკაზე ანიშნა.

ღრმად პატივცემული ბატონების – მთვარეულას, გრძელკუდას, მაწანწალას და ქორბუდას სიტყვები მასზე ჯერ ისევ ლაპლაპებდა. ლუპინს უცნაურად შეეცვალა სახე.

– აბა, რას იტყვით? – ჰკითხა სნეიპმა.

ლუპინი რუკას თვალს ვერ სწყვეტდა. ჰარის მოეჩვენა, ფიქრობს, რა პასუხი გასცესო.

– აბა, გისმენთ, – გაუმეორა სნეიპმა, – როგორც ვხვდები, ეს ნივთი ბნელი ძალების სპეციალისტს უნდა ვაჩვენოთ, ასეთი კი ამ სკოლაში თქვენ ბრძანდებით. თქვენ როგორ გგონიათ, საიდან მოიტანა პოტერმა ეს ნივთი?

ლუპინმა ჰარის ანიშნა, არ შემაწყვეტინოო.

– ბნელი ძალები რა შუაშია, სევერუს? ჩემი აზრით, ეს უბრალო პერგამენტია, რომელიც ყველას ლანძღავს, ვინც მის წაკითხვას მოინდომებს. ბავშვების გასართობია და სულაც არაა სახიფათო. ალბათ ოინების მაღაზიაში თუ იყიდა...

– ჰოო? – სნეიპს სიბრაზისგან ყბა ჩამოუგრძელდა, – თქვენი აზრით, ოინების მაღაზიაში ასეთი ნივთები იყიდება? იქნებ ჰარის თავად ამ პერგამენტის დამამზადებლებმა უძღვნეს ეს საჩუქარი?

ჰარი ვერაფერს მიხვდა, როგორც ჩანს, ვერც – ლუპინი.

– ანუ ბატონმა გრძელკუდამ ან აქ ჩამოთვლილმა სხვა ბატონებმა? ჰარი, ამათგან რომელიმეს იცნობ?

– არა!

– ხედავთ, სევერუს? ზონკოს მაღაზიაში იქნება ნაყიდი...

ამ დროს რონი დაბარებულივით შემოვარდა ოთახში, აქოშინებულმა მკერდზე ხელი მიიდო და ძლივს წარმოთქვა:

– ეს... ეს... მე... მე... ვაჩუქე ჰარის... ზონკოს მაღაზიაში... ჰო... ზონკოს მაღაზიაში ვიყიდე დიდი ხნის წინ...

– აჰა, ყველაფერი გაირკვა, – გახალისდა ლუპინი, – სევერუს, პერგამენტს მე წავიღებ, – დაკეცა და მანტიის ჯიბეში ჩაიდო, – ჰარი, რონ, გამომყევით, დავალებაზე მინდა რაღაც გითხრათ. უკაცრავად, სევერუს!

ჰარის სნეიპისთვის არც შეუხედავს, ისე გავიდა ოთახიდან და რონთან და ლუპინთან ერთად ჰოლისკენ გაემართა. ბოლოს ლუპინს მიუბრუნდა:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– პროფესორო, მე...

– ახსნა-განმარტებები არ მჭირდება, – შეაწყვეტინა ლუპინმა, დაცარიელებულ ჰოლს თვალი მოავლო და ხმას დაუწია: – ვიცი, რომ მრავალი წლის წინ ეს რუკა სტუდენტებს ფილჩმა ჩამოართვა. ჰო, ნუ გიკვირთ, ვიცი, რომ რუკაა. არ მაინტერესებს, თქვენს ხელში საიდან აღმოჩნდა. თუმცა, ძალიან მიკვირს, რომ არ ჩააბარეთ. განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა ნახეთ, რა შედეგი მოჰყვა ერთ-ერთი სტუდენტის დაუდევრობას. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ვერ დაგიბრუნებთ!

ჰარისთვის ეს ამბავი სულაც არ იყო მოულოდნელი, მაგრამ ახლა უფრო მეტის გაგება უნდოდა და ამიტომაც წინააღმდეგობა არ გაუწევია:

– სნეიპმა საიდან მოიტანა, რომ რუკა დამამზადებლებმა მაჩუქეს?

– ისა... – შეყოყმანდა ლუპინი, – ალბათ ეგონა, რომ იმათ შენი ციხე-კოშკიდან გატყუება უნდოდათ. ო, რას მოილხენდნენ!

– თქვენ რა, იცნობთ მათ?

– შევხვედრივარ, – მოკლედ მოუჭრა ლუპინმა და ჰარის ჩაფიქრებული მზერა მიაპყრო, – ჰარი, მინდა, გაგაფრთხილო, რომ ამიერიდან ხელს აღარ დაგაფარებ. სირიუს ბლექთან ხუმრობა არ გაგივა! მეგონა, დემენტორების მოახლოებისას ცუდად რომ ხდებოდი და ხმები გესმოდა, ეს ოდნავ მაინც მოგიყვანდა გონზე. ჰარი, შენმა მშობლებმა შენ გადასარჩენად თავი გაწირეს. შენ კი რით უხდი სამაგიეროს? საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში აგდებ რაღაც სულელური ოინების გულისთვის!

ლუპინს მეტი არაფერი უთქვამს, ბიჭებს ზურგი შეაქცია და წავიდა. ჰარის სინდისი ქენჯნიდა. ასე ცუდად სნეიპის კაბინეტშიც კი არ უგრძნია თავი. რონთან ერთად მძიმე ნაბიჯით აუყვა მარმარილოს კიბეს. ცალთვალა ალქაჯის ქანდაკებას რომ ჩაუარეს, უჩინმაჩინის მოსასხამი მოაგონდა, მაგრამ ჩაძრომა და ამოტანა ვერ გაბედა.

– ყველაფერი ჩემი ბრალია! მე წაგიყვანე! – უცბად თქვა რონმა, – ლუპინი მართალია, სისულელე ჩავიდინეთ...

მოდარაჯე ტროლები ბოლთას სცემდნენ. ამ დროს ჰერმიონიც დაინახეს. ისეთი სახე ჰქონდა, რომ უთუოდ უკვე ყველაფერი გაეგო. ჰარის გული შეეკუმშა – ნუთუ პროფესორ მაკგონაგელს ჩაუკაკლა ყველაფერი?

– რაო, ჩვენ სალანძღავად მობრძანდი? – მიახალა რონმა, – თუ მასწავლებლებთან ჩაგვიშვი?

– არა, – აკანკალებული ხელით წერილი გაუწოდა ჰერმიონმა, – მინდოდა, თქვენც გცოდნოდათ... ჰაგრიდმა პროცესი წააგო. ბაკბიკს სიკვდილი მიუსაჯეს!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეთხუთმეტე

ქვიდიჩის ფინალი

– აი... ეს გამომიგზავნა, – ჰერმიონმა წერილი გაუწოდა.

ჰარიმ პერგამენტს დახედა, ჰაგრიდის უზარმაზარ ცრემლებს მელანი რამდენიმე ადგილას ისე გაედღაბნა, რომ სიტყვების გარჩევა ჭირდა:

„ძვირფასო ჰერმიონ,
პროცესი წავაგეთ. ბაკბიკის ჰოგვორტსში წამოყვანის უფლება მომცეს. სიკვდილით დასჯის თარიღს შემატყობინებენ.
იცი, ბაკბიკს ლონდონი როგორ მოეწონა?!
დიდი მადლობა დახმარებისთვის, ამ სიკეთეს არ დაგივიწყებ.
ჰაგრიდი“.

– შეუძლებელია! – აღშფოთდა ჰარი, – ბაკბიკი სულაც არაა საშიში ცხოველი...

– მალფოის მამამ კომიტეტის წევრები დააშინა, – ცრემლები ახრჩობდა ჰერმიონს, – ხომ იცით, ეგ კაცი ყველაფერს იკადრებს. კომიტეტში კი სულელი ბებრები მუშაობენ, იმათი დაშინება სულაც არაა ძნელი. რა თქმა უნდა, შეგვიძლია, გავასაჩივროთ განაჩენი, საერთოდ ასე იქცევიან ხოლმე, მაგრამ რატომღაც არაფრის იმედი არა მაქვს...

– ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება, – დაამშვიდა რონმა, – ამჯერად მარტო არ დაგტოვებ, ჰერმიონ, მეც დაგეხმარები!

– რონ! – გულაჩვილებული ჰერმიონი რონს გადაეხვია.

რონი დაიბნა და გაუბედავად გადაუსვა თავზე ხელი. ბოლოს ჰერმიონი, როგორც იქნა, გონს მოეგო:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ძალიან ვწუხვარ... სკაბერზის გამო...

– ოჰ... არა უშავს, – შვებით ამოისუნთქა რონმა, რაკი ჰერმიონს თავი დააღწია, – მაინც ბებერი იყო და თან უმაქნისი. რა იცი, იქნებ ჩემმა მშობლებმა ახლა მაინც მიყიდონ ბუ!

* * *

ბლექის მეორე თავდასხმის შემდეგ უსაფრთხოების ზომები იმდენად გაამკაცრეს, რომ ჰარი, რონი და ჰერმიონი საღამოობით ჰაგრიდის ქოხში სტუმრობას ვეღარ ახერხებდნენ. მხოლოდ ჯადოსნურ არსებათა მოვლის გაკვეთილზე თუ დაელაპარაკებოდნენ, ეს იყო და ეს.

ჰაგრიდს დანა პირს არ უხსნიდა.

– სუ ჩემი ბრალია... ვერაფერი ვერა ვთქვი, ენა დამება... ეგენი შავ მანტიებში ჩაცმულები ისხდნენ და ისე მიყურებდნენ, რომ ჩემი ჩანაწერები სუ ხელიდან მიცვიოდა და ყველა თარიღი დამავიწყდა... ტყუილად გაწვალე, ჰერმიონ... მერე ლუციუს მალფოი ადგა და რაღაცეები ილაპარაკა და კომიტეტმაც ზუსტად ისეთი გადაწყვეტილება გამოიტანა, როგორიც იმას უნდოდა...

– გასაჩივრება შეგვიძლია, – გამოცოცხლდა რონი, – არ დანებდე, ჰაგრიდ, ჩვენ დაგეხმარებით!

ჰაგრიდმა სტუდენტები ციხე-კოშკამდე მიაცილა. მალფოი თავის კრაბიან-გოილიანად წინ მიდიოდა, ხშირ-ხშირად იხედებოდა უკან და დამცინავად ხითხითებდა.

– აზრი არა აქვს, რონ, – ჩაილაპარაკა დაღონებულმა ჰაგრიდმა, როცა ციხე-კოშკს მიადგნენ, – ხომ იცი, ლუციუს მალფოის კომიტეტი მოსყიდული ჰყავს. საწყალი ბიკი სანამ ცოცხალია, არაფერს მოვაკლებ, ამას ნამდვილად იმსახურებს... – ჰაგრიდი შეტრიალდა და სახეზე ცხვირსახოცაფარებული თავისი ქოხისკენ წავიდა.

– აღუუ, ერთი ამ ქალაჩუნას შეხედეთ! – მალფოი თავის ძმაკაცებთან ერთად შესასვლელში იდგა და ყველაფერი მოისმინა.

– პირდაპირ გული ამიჩუყდება ახლა... და ეგ უნდა იყოს ჩვენი მასწავლებელი? – არ ცხრებოდა მალფოი.

ჰარი და რონი ის იყო, მალფოის უნდა დასძგერებოდნენ, რომ ჰერმიონმა იმარჯვა და ისეთი ძალით გააწნა სილა, თვალებიდან ცრემლები გადმოაყრევინა. რონმა, ჰარიმ, კრაბმა და გოილმა გაოცებისგან პირი დააღეს.

– ჰაგრიდის დაცინვა არ გაბედო, თორემ... – ბიჭებს რომ არ დაეკავებინათ, კიდევ გაარტყამდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰერმიონმა ახლა ჯოხი ამოიღო. მალფოიმ უკან დაიხია, მერე გაშტერებით მიჩერებულ კრაბსა და გოილს მიუბრუნდა:

– წავიდეთ! – ჩაიბუტბუტა ძლივსგასაგონად და სამივენი სარდაფების ჩასასვლელში გაუჩინარდნენ.

– აი, ეს მესმის, ჰერმიონ! – რონი ისე იყო აღფრთოვანებული და განცვიფრებული, აღარ იცოდა, რა ეთქვა.

– ჰარი, აუცილებლად, აუცილებლად უნდა მოუგო ქვიდიჩის ფინალში! – არ ცხრებოდა ჰერმიონი, – უნდა მოუგო, თორემ, იცოდე, სლიზერინის გამარჯვებას ვერ გადავიტან!

მერე პროფესორ ფლიტვიკის საკლასო ოთახისკენ გაიქცნენ.

– დაგაგვიანდათ, ყმაწვილებო, – უსაყვედურა პროფესორმა ფლიტვიკმა, როცა ჰარიმ ოთახში თავი შეყო, – აბა, სწრაფად დაიკავეთ ადგილები და ჯოხები ამოიღეთ, გამამხნევებელ შელოცვებზე ვვარჯიშობთ, უკვე ყველანი დავაწყვილე...

ჰარი და რონი უკანა მერხთან დასხდნენ და ჩანთები გახსნეს.

– კი მაგრამ, ჰერმიონი რა იქნა? – ჰკითხა უცებ რონმა.

ჰარიმ უკან მიიხედა, ჰერმიონი საკლასო ოთახში არ იყო, თუმცა კარს რომ აღებდა, გვერდით ედგა.

– უცნაურია... ტუალეტში ხომ არ წავიდა, ან იქნებ...?

ჰერმიონი იმ გაკვეთილზე არ გამოჩენილა.

– ერთი კარგი გამამხნევებელი შელოცვა არ აწყენდა, – აღნიშნა რონმა.

ამასობაში გაკვეთილი დამთავრდა და ბავშვები ხალისით გაეშურნენ სასაუზმოდ. გამამხნევებელი შელოცვა ყველას მოუხდა.

ჰერმიონი არც საუზმეზე გამოჩენილა. სანამ ვაშლის დესერტს მიირთმევდნენ, შელოცვებმა ძალა დაკარგა და რონი და ჰარი, ცოტა არ იყოს, აღელდნენ.

– მალფოიმ რაიმე ხომ არ დაუშავა? – შეშფოთდა რონი. ამასობაში გრიფინდორის კოშკს მიუახლოვდნენ. მოდარაჯე ტროლებს ჩაუარეს, ფუშფუშა ქალბატონს პაროლი უთხრეს და საერთო ოთახში შევიდნენ.

ჰერმიონი მაგიდასთან იჯდა, თავი არითმანტიის სახელმძღვანელოში ჩაერგო და ღრმად ეძინა. ბიჭები გვერდით მიუსხდნენ და გააღვიძეს.

– რ-რა მოხდა? – ერთბაშად გამოფხიზლდა ჰერმიონი, – უნდა წავიდეთ? ახლა რომელი გაკვეთილი გვაქვს?

– მისნობა, მაგრამ ჯერ ადრეა, ოცი წუთი კიდევ დარჩა, – უთხრა ჰარიმ, – ჰერმიონ, მაგიური ფორმულების გაკვეთილზე რატომ არ იყავი?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა თქვი?! ვაიმეეე! – შეჰკივლა ჰერმიონმა, – მაგიური ფორმულების გაკვეთილი სულ გადამავიწყდა!

– რას ჰქვია, გადაგავიწყდა? – გაოგნდა ჰარი, – ჩვენთან ერთად არ იდექი, საკლასო ოთახში რომ შევდიოდით?

– ეს როგორ დამემართა! პროფესორი ფლიტვიკი გამიბრაზდა? სულ მალფოის ბრალია, თავგზა ამიბნია!

– იცი, რას გეტყვი, – რონმა ამრეზით დახედა არითმანტიის უზარმაზარ სახელმძღვანელოს, ჰერმიონს ორიოდე წუთის წინ ბალიშად რომ გადაექცია, – ცუდადაა შენი საქმე. ხომ ხედავ, რომ მეტისმეტი მოგდის...

– არაფერიც! – ჰერმიონმა ჩამოშლილი თმა გადაიწია და ჩანთას დაუწყო ძებნა, – უბრალოდ, შეცდომა დავუშვი! წავალ, პროფესორ ფლიტვიკს ბოდიშს მოვუხდი. მისნობაზე გნახავთ!

ჰერმიონი პროფესორ ტრელოუნის საკლასო ოთახში ასასვლელ კიბესთან ოც წუთში მოვიდა, შეწუხებული ჩანდა.

– წარმოგიდგენიათ, გამამხნევებელი შელოცვები გამომიტოვებია, არადა, დარწმუნებული ვარ, გამოცდაზე აუცილებლად გვკითხავენ! პროფესორმა ფლიტვიკმა გაკვრით ახსენა, ეს საკითხი გამოცდაზე იქნებაო...

სამივენი ერთად ავიდნენ ჩაბნელებულ და ჩახუთულ ოთახში. ყველა მაგიდაზე სათითაოდ ჩამოერიგებინათ ჯადოსნური კრისტალები. ჰარი, რონი და ჰერმიონი ერთ მორყეულ მაგიდას მიუსხდნენ.

– მე მეგონა, კრისტალებზე მკითხაობას მომავალ სემესტრამდე არ გავივლიდით, – ჩუმად ჩაილაპარაკა რონმა და პროფესორს გახედა, ხომ არ მისმენსო.

– ნუ წუწუნებ! ამას რა სჯობია, ესე იგი, ხელზე მკითხაობა დაგვიმთავრებია და ეგაა! ნერვებს მიშლიდა! ხელზე დამხედავდა თუ არა, მანჭვა-გრეხას იწყებდა, – უპასუხა ჰარიმ.

– მოგესალმებით! – გაისმა იდუმალებით მოცული ხმა და პროფესორი ტრელოუნი, როგორც ყოველთვის, ახლაც სიბნელიდან გამოვიდა, ეგონა, ასე უფრო დიდ ეფექტს მოახდენდა. პარვატის და ლევენდერს ერთი სული ჰქონდათ, როდის დაიწყებოდა გაკვეთილი, ჯადოსნური კრისტალის რძისფერი ათინათი სახეზე დასთამაშებდათ.

– გადავწყვიტე, დაგეგმილზე უფრო ადრე შეგასწავლოთ კრისტალებზე მკითხაობა, – პროფესორი ბუხართან ჩამოჯდა და ბავშვებს გადახედა, – ბედისწერის ქალღმერთებმა მამცნეს, რომ ივნისში ეს საკითხი თქვენს საგამოცდო ბილეთებში შევა და მინდა, დროულად გადმოგცეთ საკმარისი ცოდნა.

ჰერმიონმა ჩაიფრუტუნა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ბედისწერის ქალღმერთებმა ამცნეს არა ისა... ისე ლაპარაკობს, თითქოს საგამოცდო-ბილეთებს თვითონ არ ადგენდეს! მაინც რა მაგარი წინასწარმეტყველებაა, აუფ... – ჰერმიონს მეტისმეტად ხმამაღლა მოუვიდა ნათქვამი.

პროფესორ ტრელოუნის სახეზე ჩრდილი ადგა და ვერ იტყოდით, ჰერმიონის სიტყვები გაიგონა თუ არა, მაგრამ ისევ ისე აუღელვებლად განაგრძო:

– კრისტალებზე მკითხაობა ძალიან დახვეწილი ხელოვნებაა. არა მგონია, რომელიმე თქვენგანმა რაიმე დაინახოს, როცა კრისტალის უძირო ნისლიან სიღრმეებს პირველად ჩახედავს. თავიდან ვივარჯიშოთ ცნობიერებისა და გარეგანი თვალის მოდუნებაში...

რონმა თავი ვეღარ შეიკავა და, სიცილი რომ არ აეტეხა, პირზე ხელი აიფარა.

– ...რათა გავასუფთავოთ შინაგანი თვალი და შევაღწიოთ ზეცნობიერში. თუ რომელიმეს ბედმა გაგიღიმათ, გაკვეთილის ბოლომდე, შესაძლოა, რაიმე დაინახოთ კიდეც...

მეცადინეობა დაიწყო. ჰარისთვის რომ გეკითხათ, დიდი სისულელე იყო კრისტალში უაზროდ ცქერა, არაფერზე უნდა ეფიქრა, მაგრამ გამუდმებით ერთი აზრი უტრიალებდა თავში: „ღმერთო, რა სისულელეა!“ თან, რონიც ხითხითებდა, ჰერმიონი კი უკმაყოფილებას არ მალავდა.

– რაიმე დაინახეთ? – ჰკითხა ბოლოს ჰარიმ.

– კი, როგორ არა, მაგიდაა დამწვარი, – მიუგო რონმა, – ეტყობა, ვიღაცას სანთელი დავარდნია.

– რა ტყუილად ვკარგავთ დროს! – დაისისინა ჰერმიონმა, – რამდენ საჭირო რაღაცას ვისწავლიდი! გამამხნევებელ შელოცვებს მაინც გადავხედავდი, თორემ ჩამოვრჩები...

პროფესორმა ტრელოუნიმ მანტიის შრიალითა და სამაჯურების წკარუნით ჩაიარა მაგიდებს შორის და იკითხა:

– ვინმეს ხომ არ გსურთ, დაგეხმაროთ კრისტალში მოქცეული საიდუმლო ნიშნების ამოცნობაში?

– რად მინდა დახმარება? – წაიჩურჩულა რონმა, – ისედაც ყველაფერი ნათელია, ამ საღამოს მაგარი ნისლი იქნება.

ჰარიმ და რონმა გადაიხარხარეს.

– აბა, რასა ჰგავს თქვენი საქციელი! – აღშფოთდა პროფესორი.

ყველანი მათ მიაჩერდნენ, პარვატიმ და ლევენდერმა კი შეურაცხყოფილი სახე მიიღეს.

– თქვენ ხელს უშლით ნათელმხილველურ ვიბრაციებს! – მერე მათ მაგიდას მიუახლოვდა და კრისტალს ჩააკვირდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარის გუნება წაუხდა. თითქმის დარწმუნებული იყო, რას უმკითხავებდა.

– რაღაცას ვხედავ, – პროფესორი დაიხარა, მის უზარმაზარ სათვალეში ერთიორად გადიდებული კრისტალი აირეკლა, – რაღაც მოძრაობს... მაგრამ ვერ ვხვდები, რა უნდა იყოს...

ჰარიმ გაიფიქრა, სანაძლეოდ ჩემს „ელვასაც“ კი ჩამოვალ, ცუდ ამბავს მეტყვისო. და მართლაც...

– ჩემო ძვირფასო... – ამოიოხრა პროფესორმა, – ახლა ყველაფერი უფრო გარკვევით ჩანს... შენკენ მოიწევს, სულ ახლოსაა... გრი...

– საკმარისია! – აფეთქდა ჰერმიონი, – ძალიან გთხოვთ, ისევ იმ სულელურ გრიმს ნუ ახსენებთ!

პროფესორმა გოგონას ათასჯერ გადიდებული თვალები მიანათა. პარვატიმ ლევენდერს რაღაც გადაუჩურჩულა და ორივენი გაბრაზებით მიაჩერდნენ ჰერმიონს. პროფესორი წელში გასწორდა. თვალები სიბრაზით ანთებოდა.

– ძალიან ვწუხვარ, ჩემო ძვირფასო გოგონი, მაგრამ მინდა, გითხრათ, რომ ჩვენი გაცნობის პირველივე დღიდან დავასკვენი: თქვენ არა გაქვთ მისნობის უნატიფესი ხელოვნების შესასწავლად საჭირო მონაცემები. მართლაც, გასაკვირია, თქვენისთანა მოსწავლე ჩემს დღეში არ მყოლია!

წამით სიჩუმე ჩამოწვა.

– ძალიანაც კარგი! – ჰერმიონი წამოხტა, სახელმძღვანელო ჩანთაში ჩატენა, მერე ჩანთა მხარზე მოიგდო, რონი კინაღამ სკამიდან გადმოაგდო და გაბრაზებულმა დაამატა: – ძალიანაც კარგი! მეტი აღარ შემიძლია! მივდივარ!

გაშტერებული ჯგუფელები ხმას ვერ იღებდნენ. ჰერმიონი კართან მივიდა, კიბეს წიხლი ჰკრა და უკანმოუხედავად გავარდა ოთახიდან.

კარგა ხანი გავიდა, სანამ ბავშვები გონს მოვიდოდნენ. პროფესორ ტრელოუნის გრიმი სულ გადაავიწყდა, რონისა და ჰარის მაგიდას მოშორდა და აღელვებულმა შალი მაგრად შემოიხვია მხრებზე.

– ოოოო! – შესძახა ლევენდერმა, – ღმერთო ჩემო! გამახსენდა, პროფესორო! თქვენ ხომ ჰერმიონის წასვლა იწინასწარმეტყველეთ! ჯერ კიდევ სწავლის დასაწყისში გვითხარით, სააღდგომოდ ერთერთი ჩვენგანი სამუდამოდ დაგვტოვებსო.

პროფესორმა მადლიერების ნიშნად გაუღიმა.

– დიახ, ძვირფასო, რასაკვირველია, ვიცოდი, რომ მის გრეინჯერი დაგვტოვებდა. თუმცა, ხომ იცით, იმედს არ ვკარგავდი, იქნებ შემეშალა-მეთქი... თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა მძიმე ტვირთად მაწევს ჩემი ყოვლისმჭვრეტელი შინაგანი თვალი...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლევენდერი და პარვატი მონუსხულები უსმენდნენ პროფესორს და თავიანთ მაგიდასთან ადგილიც კი გაუთავისუფლეს.

– აუ, რაღა მაინცდამაინც ყველაფერი დღეს დაემართა ჰერმიონს, – გადაუჩურჩულა რონმა ჰარის.

– აბა...

ჰარი ისევ კრისტალს მიუბრუნდა, თუმცა, მასში მცურავი ნისლის მეტი ვერაფერი გაარჩია. ნუთუ პროფესორმა ტრელოუნიმ ისევ დაინახა გრიმი? თვითონ რატომ ვერ ხედავდა? ახლა, როცა ქვიდიჩის ფინალური მატჩი კარზე მოადგა, სულაც არ უნდოდა უსიამოვნებები.

* * *

სააღდგომო არდადეგებზე დასკვნების საშუალება არ მიეცათ. მესამეკურსელები საშინაო დავალებებს ვერ აუდიოდნენ. ნევილ ლონგბოტომი ლამის გაგიჟდა, თუმცა სხვებიც არ იყვნენ უკეთეს დღეში.

– ამასაც არდადეგები ჰქვია, რა! – უკმაყოფილებას ვერ მალავდა სიმუს ფინიგანი, – ჯერ რა დროს გამოცდებია! ნეტავ, რა ბზიკმა უკბინათ?

თუმცა, ყველაზე მეტი სამუშაო მაინც ჰერმიონს ჰქონდა. მართალია, მისნობის გაკვეთილებზე არ დადიოდა, მაგრამ სხვებთან შედარებით, მაინც ყველაზე მეტ საგანს სწავლობდა, სულ ბოლოს ადიოდა დასაძინებლად, მეორე დილით კი ბიბლიოთეკაში შესვლას ვერავინ ასწრებდა. თვალის უპეები, ლუპინისა არ იყოს, ჩაუშავდა და თანაც წარამარა ტიროდა.

ბაკბიკის განაჩენის გასაჩივრება მთლიანად რონს მიანდეს. როცა დავალებას არ წერდა, გადმოიღებდა თაროებიდან უზარმაზარ სქელყდიან წიგნებს, რომლებსაც უცნაური სახელწოდებები ჰქონდა: „შესავალი ჰიპოგრიფების ფსიქოლოგიაში“, „ჰიპოგრიფი – ვერაგი თუ შეუსწავლელი არსება“, „ჰიპოგრიფების აგრესიული ქცევის ნარკვევები“... ამ საქმით ისე გაერთო, რომ ხშირად ბოს ლანძღვაც კი ავიწყდებოდა.

ჰარის თავისი გაჭირვება ჰქონდა, დავალებების საწერად ცოტა დრო რჩებოდა. ქვიდიჩის განუწყვეტელ ვარჯიშებზე რომ არაფერი ვთქვათ, ვუდი თანაგუნდელებს გულს უწვრილებდა გაუთავებელი საუბრებით ტაქტიკის შესახებ. გრიფინდორი-სლიზერინის მატჩი აღდგომის შემდეგ პირველივე შაბათს დანიშნეს. სლიზერინი ტურნირში ზუსტად 200 ქულით ლიდერობდა. ასე რომ, დიდი

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სხვაობით უნდა მოეგოთ, თორემ ქვიდიჩის თასს დაკარგავდნენ (ვუდმა ყველას ყურები გამოუჭედა ამაზე საუბრით). თანაც, მთელი ყურადღება ჰარიზე იყო გადატანილი, რადგან სნიჩის დაჭერისას გუნდს 150 ქულა ეწერებოდა.

– არ დაგავიწყდეს, სნიჩი მხოლოდ მაშინ უნდა დაიჭირო, როცა ორმოცდაათი ქულით ვიქნებით დაწინაურებულები, – მეათასედ უმეორებდა ვუდი, – ორმოცდაათი ქულით-მეთქი, ჰარი, არ დაგავიწყდეს! თორემ თამაშს კი მოვიგებთ, მაგრამ თასს – ვერა! გასაგებია? ესე იგი, კიდევ ერთხელ, სნიჩს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიჭერ, თუ...

– გასაგებია, ოლივერ! – დაუყვირა მოთმინებადაკარგულმა ჰარიმ.

გრიფინდორის კლუბში ყველანი მომავალ მატჩზე საუბრობდნენ. გრიფინდორს ლეგენდარული სიკერის, ჩარლი უისლის (რონის უფროსი ძმის) სკოლიდან წასვლის შემდეგ ქვიდიჩის თასი ერთხელაც არ მოუგია. თავად ჰარის ვუდზე მეტად სწყუროდა გამარჯვება. მასა და მალფოის შორის მტრობა ამ სურვილს კიდევ უფრო ამძაფრებდა. მალფოი ენას არ აჩერებდა და ყველას უყვებოდა ჰოგსმიდში მომხდარ ამბავს. გაცოფებული იყო, ჰარი სასჯელს რომ გადაურჩა. ჰარის არც ის დავიწყებია, რეივენქლოს წინააღმდეგ მატჩის დროს მეტოქემ რა ოინი უყო, მაგრამ ყველაზე მეტად ახლა ბაკბიკის გამო უნდოდა, მალფოისთვის მთელი სკოლის თვალწინ ეჯობნა.

არც ერთი მატჩი ასეთ დაძაბულ ვითარებაში არ ჩატარებულა. არდადეგების დასასრულს მოწინააღმდეგე კლუბები განსაკუთრებით მძაფრად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. შიგადაშიგ დერეფნებში ჩხუბობდნენ კიდეც. ერთ-ერთი შეხლა-შემოხლა იმით დამთავრდა, რომ ერთი გრიფინდორელი მეოთხეკურსელი და ერთი სლიზერინელი მეექვსეკურსელი საავადმყოფო ფლიგელში დააწვინეს.

ჰარის ყველაზე საშინელი დრო დაუდგა, სლიზერინელები მოსვენებას არ აძლევდნენ. წარამარა ფეხს უდებდნენ, იქნებ წაბორძიკდეს და დაეცესო. კრაბი და გოილი ხომ საერთოდ არ შორდებოდნენ გვერდიდან და როცა მის ირგვლივ შემოკრებილ გრიფინდორელებს დაინახავდნენ, უკმაყოფილოები გაიძურწებოდნენ ხოლმე. ვუდის ბრძანებით, ჰარის მარტოს არსად უშვებდნენ, სლიზერინელებმა რაიმე ოინი არ მოუწყონო. გრიფინდორელებმა დიდი მონდომებით აიტაცეს ვუდის თხოვნა და ახლა ჰარი თითქმის ყველა გაკვეთილზე აგვიანებდა, რადგან ირგვლივ გამუდმებით მოყაყანე სტუდენტები ეხვეოდნენ. ჰარის საკუთარზე მეტად ცოცხის უსაფრთხოება ადარდებდა. თუ ზედ არ იჯდა, საგულდაგულოდ კეტავდა თავის ჩემოდანში და დასვენებებზე საძინებელ ოთახში არბოდა, რომ თვალი შეევლო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

* * *

თამაშის წინა საღამოს გრიფინდორის კოშკში თავისი საქმე აღარავის ახსოვდა. თვით ჰერმიონმაც კი გვერდზე გადადო წიგნები.

– მეცადინეობა არ შემიძლია, ყურადღება მეფანტება, – გამოაცხადა აღელვებულმა.

წარმოუდგენელი ალიაქოთი იდგა. ფრედი და ჯორჯი დიდი ძალისხმევის ფასად ახერხებდნენ, სხვებზე მეტად ეხმაურათ. ოლივერ ვუდი ქვიდიჩის მოედნის სქემას ჩაჰკირკიტებდა, პატარა ფიგურებს ჯოხით აქეთ-იქით ამოძრავებდა და თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა. ანჯელინა, ალისია და ქეითი ფრედისა და ჯორჯის ოინებზე გულიანად იცინოდნენ. ჰარი რონთან და ჰერმიონთან ერთად ყველასგან მოშორებით იჯდა და ცდილობდა, ხვალინდელ დღეზე არ ეფიქრა, რადგან, როცა წამით მაინც წარმოიდგენდა ყველაფერს, გულის კოვზთან უზარმაზარი რაღაცა აუწრიალდებოდა ხოლმე.

– ყველაფერი კარგად იქნება, – გაამხნევა ჰერმიონმა, თუმცა სახეზე ეწერა, რომ თავისი ნათქვამისა თვითონაც არ სჯეროდა.

– შენ ხომ ყველაზე მაგარი ცოცხი გაქვს! – დაამატა რონმა.

– ჰო... – ჩაილაპარაკა ჰარიმ და გულის კოვზთან ისევ რაღაცამ მოუჭირა.

ყველამ შვებით ამოისუნთქა, როცა ვუდმა ხმამაღლა დაიყვირა:

– სპორტსმენებო! ძილის დროა!

* * *

ჰარის იმ ღამით ცუდად ეძინა. ჯერ იყო და, დაესიზმრა, ვითომ თამაშზე დააგვიანდა და გაცოფებული ვუდი უყვიროდა: „სად ჯანდაბაში იყავი? შენ მაგივრად ნევილი ვათამაშეთ!“ მეორე სიზმარში სლიზერინელები ქვიდიჩის მოედანზე დრაკონებზე ამხედრებულები მოფრინდნენ. თვითონ გამწარებული დარბოდა აქეთ-იქით, რომ როგორმე მალფოის დრაკონისთვის თავი დაეღწია და ცეცხლში არ ამობუგულიყო, უცებ გაახსენდა, რომ „ელვა“ კოშკში დარჩა. მერე დაესიზმრა, ვითომ ცოცხიდან ჩამოვარდა, და დაფეთებულს გამოეღვიძა.

რამდენიმე წამი დასჭირდა იმის მისახვედრად, რომ ეს ყველაფერი სიზმარში ნახა, მატჩი ჯერ არ დაწყებულა, სრულიად საღ-სალამათი იწვა თავის საწოლში და თანაც სლიზერინელებს დრაკონებით თამაშის უფლებას ნამდვილად არავინ მისცემდა. უცებ საშინელმა წყურვილმა შეაწუხა. ჩარდახიანი საწოლიდან ფეხაკრეფით გად-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოვიდა, ფანჯრის რაფაზე შემოდგმულ წყლით სავსე ვერცხლის დოქს დასწვდა, თასი წყლით გაავსო და გარეთ გაიხედა.

არსად სულიერი არ ჭაჭანებდა, სრული სიჩუმე იდგა. აკრძალულ ტყეში ხის კენწეროებს ქარიც კი არ არხევდა. მტარვალი ტირიფი სრულიად ჩვეულებრივი უცოდველი ხე გეგონებოდათ. თამაშისთვის ზედგამოჭრილი დარი იდგა.

ჰარიმ წყალი დალია, თასი რაფაზე დადგა და ის იყო, ისევ საწოლისკენ წასვლას აპირებდა, რომ მთვარით განათებულ მდელოზე მოხეტიალე უცნაურ ცხოველს მოჰკრა თვალი.

ჰარიმ საწოლთან მიირბინა, სათვალეს ხელი სტაცა, სასწრაფოდ მოირგო ცხვირზე და ისევ ფანჯარას ეცა. ნეტავ, გრიმი არ იქნებოდეს... ოღონდ დღეს არა... ოღონდ დღეს არა...

მიიხედ-მოიხედა და კარგა ხნის ძებნის შემდეგ ძლივს მიაგნო. ცხოველი ტყისკენ გარბოდა... თუმცა, გრიმს სულაც არ ჰგავდა... გრიმი კი არა, კატა იყო... ჰარიმ შვებით ამოისუნთქა. ასეთი, ჯაგრისივით გაჩაჩხული კუდი მხოლოდ ჰერმიონის კატას, ბოს ჰქონდა.

თუმცა, იქნებ ბო სულაც არ იყო მარტო? ჰარიმ ცხვირი ფანჯრის მინას მიაჭყლიტა. კატა წამით შეჩერდა, ბიჭმა გარკვევით დაინახა, რომ ხეების ჩრდილში კიდევ რაღაც თუ ვიღაც მოძრაობდა.

და უცებ... ტყიდან გიგანტური შავი ძაღლი გამოვიდა. ბო მშვიდად მიჰყვებოდა გვერდით. ჰარი გაოგნდა. ნეტავ, ეს რას უნდა ნიშნავდეს? თუ ბოც ხედავდა ძაღლს, მაშინ ჰარის სიკვდილის მომასწავებელი ნიშანი როგორღა უნდა ყოფილიყო?

– რონ! – დაუძახა ჰარიმ, – რონ! გაიღვიძე!

– რა იყო?

– მითხარი, რაიმეს თუ ხედავ?

– რას უნდა ვხედავდე... – ჩაიბუზღუნა რონმა, – ბნელა, ჰარი! რა გინდა, თავი დამანებე!

– დაბლა-მეთქი...

ჰარიმ ფანჯრიდან გაიხედა. ბო და ძაღლი არსად ჩანდნენ. მერე რაფაზე აძვრა, იქნებ რაიმეს მოვკრა თვალიო, მაგრამ ამაოდ. იქ არავინ იყო. ნეტავ, სად გაქრნენ?

რონმა ისევ ხვრინვა ამოუშვა.

* * *

დიდ დარბაზში შესულ ჰარისა და მის თანაგუნდელებს სტუდენტები ტაშის გრიალით შეხვდნენ. ჰარის სახე გაებადრა, რეივენ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქლოელებიცა და ჰაფლეპაფელებიც მათ უკრავდნენ ტაშს. მხოლოდ სლიზერინელები ღმუოდნენ უკმაყოფილოდ. არც ის გამოჰპარვია, რომ მალფოი ჩვეულებრივზე მეტად იყო გაფითრებული.

ვუდი თანაგუნდელებს აჩქარებდა, ჭამას დროზე მორჩითო, თავად კი პირი არაფრისთვის დაუკარებია. მერე, სანამ სხვები ჯერ კიდევ საუზმობდნენ, გუნდი სასწრაფოდ მოედანზე გაიყვანა, რათა ყველაფერი კარგად დაეთვალიერებინათ. დარბაზიდან გასვლისას ისევ მქუხარე ტაში შემოესმათ.

– აბა, შენ იცი, ჰარი! – გადმოსძახა ჩო ჩენგმა. ჰარიმ იგრძნო, როგორ გაწითლდა.

– ქარი არ ქრის... მზე კი აცხუნებს ცოტა... ფრთხილად იყავით, თვალი არ მოგჭრათ... ტალახი გამშრალა, კარგია, უფრო სწრაფად ავფრინდებით... – ვუდი მოუსვენრად დაწრიალებდა მოედანზე, მთელი გუნდი თან დაჰყვებოდა.

ბოლოს მთავარი შესასვლელი კარი ფართოდ გაიღო და შორიდან დაინახეს, როგორ გამოცვივდა მოედნისკენ უკლებლივ ყველა მოსწავლე.

– სასწრაფოდ გასახდელში! – ბრძანა ვუდმა.

ხმის ამოუღებლად გადაიცვეს ალისფერი ფორმები. ჰარის უცნაური შეგრძნება გაუჩნდა, თითქოს საუზმედ რაღაც საძაგლობა ეჭამოს.

თვალის დახამხამებაში ვუდმა მორიგი ბრძანება გასცა:

– აბა, დროა, გავდივართ!

მოედანზე გასულებს გულშემატკივრების ღრიალი ტალღასავით დაატყდათ თავს. მაყურებელთა სამ მეოთხედს ხელში გრიფინდორისემბლემიანი, ლომისგამოსახულებიანი ალმები და უზარმაზარი პლაკატები ეჭირა: „გამარჯვება გრიფინდორს!“, „ლომებო, თასი თქვენია!“ სლიზერინის გოლპოსტების უკან კი მწვანეებში ჩაცმული ორასამდე სტუდენტი სლიზერინის სიმბოლოს – ვერცხლისგველიან ალმებს იქნევდა. სნეიპი გამოსაჩენ ადგილას იჯდა და სახეზე ბოროტი ღიმილი დასთამაშებდა. დანარჩენებივით მასაც ყველაფერი მწვანე ეცვა.

– და, აი, გრიფინდორის გუნდიც გამოჩნდა! – კომენტატორი, როგორც ყოველთვის, ლი ჯორდანი იყო, – პოტერი, ბელი, ჯონსონი, სპინეტი, უისლი, უისლი და ვუდი. საერთო აღიარებით, ეს გუნდი ბოლო წლების მანძილზე ჰოგვორტსში საუკეთესო...

ლის ხმა სლიზერინელების უკმაყოფილო შეძახილებმა გადაფარა.

– აი, სლიზერინის გუნდიც გამოვიდა მოედანზე. მას სათავეში კაპიტანი ფლინტი უდგას, რომელმაც მოთამაშეების შემადგენლობაში

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ცვლილებები შეიტანა. როგორც ჩანს, თამაშის ტექნიკას მოთამაშეების გაბარიტები არჩია...

სლიზერინის ტრიბუნა უარესად აყვირდა. ჰარიმ შეამჩნია, რომ ჯორდანი არ ცდებოდა. მალფოი გუნდში ყველაზე ტანდაბალი იყო, დანარჩენი მოთამაშეები უზარმაზარები ჩანდნენ.

– კაპიტნებო, ერთმანეთს ხელი ჩამოართვით! – ბრძანა მადამ ჰუჩმა.

ფლინტი და ვუდი ერთმანეთს მიუახლოვდნენ და ხელი ისე მაგრად ჩამოართვეს, თითქოს თითების გადამტვრევას ლამობდნენ.

– ამხედრდით ცოცხებზე! – ბრძანა მადამ ჰუჩმა, – სამი... ორი... ერთი...

სასტვენის ხმა ტრიბუნებიდან მოვარდნილმა ღრიალმა გადაფარა, ამასობაში თოთხმეტი ცოცხი ერთდროულად აიჭრა ჰაერში. ჰარის ქარმა თმა გაუწეწა. ფრენა იმდენად სიამოვნებდა, რომ უკვე აღარ ღელავდა. უკან მიიხედა, მალფოი კუდში მისდევდა. სიჩქარეს უმატა და სნიჩის ძებნას შეუდგა.

– ქუაფლს გრიფინდორელი ალისია სპინეტი ფლობს, პირდაპირ სლიზერინის გოლპოსტებისკენ მიიწევს! ყოჩაღ, ალისია! და... არაა! ქუაფლი უორინგტონმა აართვა! უორინგტონი მეტოქის ნახევრისკენ მიიწევს, მაგრამ! ოჰო-ჰო! ჯორჯ უისლი მოწოდების სიმაღლეზეა, ბლაჯერს მარჯვედ იყენებს! უორინგტონმა დაკარგა ქუაფლი. ბურთს ისევ გრიფინდორი ფლობს, ამჯერად – ჯონსონი! მიდი, ანჯელინა, მიდი! ოსტატურად მოატყუა მონტეგი... სახიფათო მდგომარეობა... ფრთხილად, ანჯელინა, ბლაჯერი! და... არიის! ანჯელინამ გოლი გაიტანა! ათით ნული გრიფინდორის სასარგებლოდ!

ანჯელინამ გოლპოსტებს შემოუფრინა და სიხარულით მოიქნია მუშტი, ტრიბუნებზე ალისფერ ზღვას აღფრთოვანების ყიჟინამ დაუარა.

– ფრთხილად!

მარკუს ფლინტმა ანჯელინას მხარი გაჰკრა და კინაღამ ცოცხიდან ჩამოაგდო.

– ბოდიში, ვერ შეგამჩნიე! – ჩაიბურტყუნა ფლინტმა, როცა ტრიბუნებიდან უკმაყოფილო ღრიალმა იფეთქა.

ფრედ უისლი ვალში არ დარჩენია, ბიტერის ჩოგანი ზურგში ჩასცხო. მარკუსმა ცხვირი ცოცხის ტარს დაჰკრა და სისხლი წასკდა.

– რა უმსგავსობაა! – დაიკივლა მადამ ჰუჩმა, – გრიფინდორს ეძლევა პენალტი, რადგან ჩეიზერს უმიზეზოდ დაეჯახნენ! სლიზერინსაც პენალტი, ჩეიზერზე განზრახ თავდასხმისათვის!

– კარგი, რა, მის! – აღშფოთდა ფრედი, მაგრამ მადამ ჰუჩმა სასტვენს ჩაჰბერა და ალისია პენალტის დასარტყმელად გაფრინდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მიდი, ალისია, მიდი! – სიჩუმეში მხოლოდ ლი ჯორდანის ღრიალი ისმოდა, – და არიიის! ალისიამ მეკარე მოატყუა! ოცით ნული გრიფინდორის სასარგებლოდ!

ჰარიმ ცოცხი შემოაბრუნა. ფლინტს ცხვირიდან ისევ თქრიალით მოსდიოდა სისხლი, მაგრამ პენალტის დასარტყმელად მაინც გაფრინდა.

– ვუდი უდავოდ შესანიშნავი მეკარეა, – ამცნო პუბლიკას ჯორდანმა, სანამ ფლინტი მადამ ჰუჩის სასტვენს ელოდა, – ბრწყინვალე მეკარე! მისი მოტყუება ძალიან ძნელია... და, ყოჩაღ, ვუდ! წარმოუდგენელია, მაგრამ ვუდმა გრიფინდორის კარი იხსნა!

გულდამშვიდებული ჰარი მაღლა აფრინდა და ისევ სნიჩის ძებნას შეუდგა, თუმცა ლის კომენტარებს მთელი გულისყურით უსმენდა. როგორმე მალფოი უნდა დაეკავებინა, სანამ გრიფინდორი ორმოცდაათი ქულით არ დაწინაურდებოდა...

– ბურთს გრიფინდორი... არა, სლიზერინი ფლობს... არა, ისევ გრიფინდორი.. ამჯერად ქეითი ბელი მიიწევს გოლპოსტებისკენ... მაგრამ... ეს განზრახ ჩაიდინა!

სლიზერინის ჩეიზერი, მონტეგი, წინ გადაუდგა ქეითის და იმის ნაცვლად, რომ ქუაფლი აერთვა, თავში სტაცა ხელი. ქეითი ჰაერში ამოტრიალდა, წონასწორობა კი შეინარჩუნა, მაგრამ ამასობაში ქუაფლი დაკარგა.

მადამ ჰუჩმა სასტვენს ჩაჰბერა, მონტეგთან მიფრინდა და სასტიკად დატუქსა. ქეითიმ კიდევ ერთი პენალტი გაუტანა სლიზერინის მეკარეს.

– ოცდაათით ნული! ეგრეც მოგიხდება წესების დარღვევისთვის!

– ჯორდან, მიუკერძოებლად კომენტარი თუ არ შეგიძლიათ...

– პროფესორო, იმას ვამბობ, რაც მოედანზე ხდება!

ჰარი აღელდა, გრიფინდორის ერთ-ერთ გოლპოსტთან ჰაერში მოფარფატე სნიჩი დაინახა, თუმცა ჯერ მისი დაჭერის უფლება არ ჰქონდა. მალფოის რომ დაენახა...

და სანამ მალფოი რაიმეს მიხვდებოდა, ჰარიმ განზრახ შეშფოთებული სახით მიატრიალა „ელვა“ და მოედნის საპირისპირო მხარეს, სლიზერინის გოლპოსტებისკენ გაფრინდა. ამჯერად ოინი გამოუვიდა. მალფოი გამწარებული გამოედევნა, იფიქრა, სნიჩს მისდევსო...

უცებ სლიზერინის გოლიათმა ბიტერმა, დერიკმა, ბლაჯერს ჩოგანი ჰკრა და ჰარის ბეწვზე ააცილა...

და ისევ!!! ამჯერად ბლაჯერი კინაღამ იდაყვში მოხვდა. სლიზერინის მეორე ბიტერი, ბოული, მისკენ გამოქანდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარის არ გამოჰპარვია, რომ ორივე ბიტერი ჩოგანმომარჯვებული გამოუდგა. ერთხანს შეიცადა და სულ ბოლო წამს ტყვიასავით ავარდა ცაში. ბოული და დერიკი ერთმანეთს შეასკდნენ.

– ჰა-ჰა!!! – შეჰყვირა ლი ჯორდანმა, როცა სლიზერინის თავგახეთქილი ბიტერები ჰარის ჩამოსცილდნენ, – ეგრე მოგიხდებათ, ბიჭებო! აბა, რა გეგონათ, „ელვას“ დაეწეოდით? ბურთს ისევ გრიფინდორი ფლობს, ჯონსონი დაწინაურდა... ფლინტი გვერდიდან არ სცილდება... მიდი, ანჯელინა, თვალში თითი ატაკე მაგას! – ვიხუმრე, პროფესორო... ო, არა! ფლინტმა ჯონსონს ქუაფლი აართვა, გრიფინდორის გოლპოსტებისკენ მიიწევს! აბა, ვუდ, მიდი, დაიცავი კარი...

მაგრამ ფლინტმა მაინც გაიტანა გოლი. სლიზერინის ტრიბუნა კინაღამ დაინგრა ტაშით და აღფრთოვანებული შეძახილებით. ლი ჯორდანმა კი ისე უხეშად შეიგინა, რომ პროფესორმა მაკგონაგელმა ჯადოსნური მიკროფონის წართმევა დაუპირა.

– უკაცრავად, პროფესორო! მეტს აღარ ვიზამ! გრიფინდორი ლიდერობს, ანგარიშია ოცდაათით ათი. ქუაფლი ისევ გრიფინდორელების ხელშია...

ასეთი უხეში თამაში ჰარის არასოდეს ენახა. გრიფინდორის დაწინაურებით გაცოფებული სლიზერინელები ყველაფერს კადრულობდნენ, ოღონდ კი ქუაფლი ხელში ჩაეგდოთ. ბოულმა ალისიას ჩოგანი ჩაარტყა და თავი გაიმართლა, ბლაჯერი მეგონაო. საპასუხოდ ჯორჯ უისლიმ ბოულს სახეში იდაყვი ჩასცხო. მადამ ჰუჩმა ორივე გუნდს პენალტები დაუნიშნა. ვუდმა ისევ სასწაულებრივად იხსნა საკუთარი კარი და ანგარიში გახდა ორმოცით ათი გრიფინდორის სასარგებლოდ.

სნიჩი გაუჩინარდა. მალფოი ჰარის გვერდიდან არ შორდებოდა, ჰარი კი მოთმინებით ელოდა მომენტს, როცა გრიფინდორი ორმოცდაათი ქულით დაწინაურდებოდა...

ქეითიმ კიდევ ერთი გოლი გაიტანა. ანგარიში გახდა ორმოცდაათით ათი. ფრედ და ჯორჯ უისლები ჩოგნებმომარჯვებულები დაუდგნენ გვერდით, სლიზერინელებს შურისძიების მიზნით მისთვის რაიმე რომ არ დაეშავებინათ. ბოულმა და დერიკმა მეტოქეების არყოფნით ისარგებლეს და ორივე ბლაჯერი ვუდს მოარტყეს მუცელში. ვუდს სუნთქვა შეეკრა, ჰაერში ამოტრიალდა, მაგრამ, საბედნიეროდ, არ ჩამოვარდნილა, თავდაყირა დაეკიდა ცოცხს.

მადამ ჰუჩის რისხვას საზღვარი არ ჰქონდა.

– მეკარეზე თავდასხმის უფლება არა გაქვთ, თუ ქუაფლი საჯარიმო მოედანზე არაა!!! – დაუწივლა დერიკსა და ბოულს და გრიფინდორის სასარგებლოდ პენალტი დანიშნა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ანჯელინამ გოლი გაიტანა. სამოცით ათი! თითქმის იმავე წუთს ფრედ უისლიმ უორინგტონს ბლაჯერი სტყორცნა და ქუაფლი გაა-გდებინა. ალისიამ დრო იხელთა და სლიზერინს კიდევ ერთი გოლი გაუტანა. სამოცდაათით ათი!

გრიფინდორის გულშემატკივრები ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდ-ნენ – მათი გუნდი სამოცი ქულით უსწრებდა მეტოქეს და ახლა ჰარის რომ სნიჩი დაეჭირა, გრიფინდორი თასს მოიგებდა. ჰარი გრძნობდა, როგორ გაფაციცებით მისჩერებოდა მას ასობით მომლოდინე მზერა, მალფოისთან ერთად სხვა მოთამაშეებზე ბევრად მაღლა დაფრი-ნავდა.

და, აი, დაახლოებით ოცი ფუტით დაბლა მბზინავი სნიჩი შეამჩნია.

გიჟური სიჩქარით დაეშვა, ყურებში ქარი უწუოდა, ხელი გაიწოდა და უცებ, „ელვამ“ სიჩქარეს უკლო...

დაზაფრულმა მოიხედა, მალფოი წამოსწეოდა, მისი ცოცხისთვის კუდში ჩაევლო ხელი და თავისკენ ექაჩებოდა.

– ოხ, შე... – ჰარი სიამოვნებით ჩასცხებდა მალფოის, მაგრამ ხელს ვერ აწვდენდა. მალფოის სუნთქვა ეკვროდა, „ელვის“ ხელით დაჭ-ერა არც ისე ადვილი საქმე იყო, მაგრამ თვალები მაინც ბოროტად უელავდა. თავისას მიაღწია, სნიჩი ისევ გაუჩინარდა.

– პენალტი! პენალტი გრიფინდორის სასარგებლოდ! ასეთი უხეში დარღვევა არასოდეს მინახავს! – მადამ ჰუჩი გადარეულივით გავარ-და წინ. მალფოი დარცხვენილი ჩასრიალდა ცოცხზე.

– შე დამპალო ნაძირალა! – ლი ჯორდანი მთელი ხმით ჩაჰღრიალებდა მეგაფონს და თან პროფესორ მაკგონაგელისგან შორს იწევდა, – შე ღორო ნაბი...

თუმცა, პროფესორს მისი დატუქსვა არც კი უფიქრია, მალფოის ავისმომასწავებლად მოუღერა მუშტი. ქუდი თავიდან წაეძრო და ახლა სხვებთან ერთად ისიც ხმამაღლა გაჰყვიროდა.

ალისიამ დაარტყა პენალტი, მაგრამ ისეთი გაბრაზებული იყო, რომ ააცილა. გრიფინდორელებს ყურადღება გაეფანტათ, მალფოის ბინძური ოინით გამხნევებული სლიზერინელები კი სულ უფრო უკეთ თამაშობდნენ.

– ქუაფლს სლიზერინი ფლობს... აი, სახიფათო მდგომარეო-ბა... და მონტეგმა გოლი გაიტანა, – ამოიკვნესა ლი ჯორდანმა, – სამოცდაათით ოცი გრიფინდორის სასარგებლოდ...

ჰარი მალფოისთან ისე ახლოს მიფრინავდა, რომ მუხლებით ერთ-მანეთს ეხებოდნენ, სნიჩთან ახლოსაც არ მივუშვებო, გაიფიქრა.

– თავიდან მომწყდი, პოტერ! – გაშმაგდა მალფოი, საითაც უნდა მიბრუნებულიყო, ჰარი ყველა მხრიდან გზას უღობავდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– და, აი, ანჯელინა ჯონსონმა ხელთ იგდო ქუაფლი, მიდი, ანჯელინა, მიდი!!!

ჰარიმ მოედანს ჩახედა. მალფოის გარდა, ყველა სლიზერინელი, მეკარის ჩათვლით, ანჯელინასკენ მიიწევდა, რომ მისთვის გზა გადაეღობათ...

ჰარიმ „ელვა“ შემოატრიალა, დაიხარა, ლამის ცოცხის ტარს ზედ გაეკრა და ტყვიასავით გაქანდა სლიზერინელებისკენ.

აღრიალებული სლიზერინელები გაიფანტნენ. ანჯელინას გზა გაეხსნა.

– გოლი, გოლი!!! ოთხმოცით ოცი გრიფინდორის სასარგებლოდ!!!

ჰარი კინაღამ ტრიბუნებს შეასკდა, ბოლო წამს დაამუხრუჭა, შემოტრიალდა და ისევ მაღლა აიჭრა. და უცებ გული გადაუტრიალდა! სახეგაბრწყინებული მალფოი მთელი სისწრაფით მიქროდა ქვევით... მიწიდან სულ ახლოს, რამდენიმე ფუტის სიმაღლეზე ოქროს სნიჩი ტივტივებდა.

ჰარიმ „ელვა“ მთელი სისწრაფით გააქანა, მაგრამ მალფოი ბევრით უსწრებდა წინ.

– მიდი, მიდი, მიდი! – შეუძახა ცოცხს. მალფოის თანდათან წამოეწია... ბოულმა ბლაჯერი ესროლა, მაგრამ ცოცხის ტარს დროულად გაეკრა... აი, უკვე წამოეწია კიდეც... მუხლებამდე გაუსწორდა... გაასწრო... ორივე ხელი გაუშვა ცოცხს და წინ გახტა. მალფოი გზიდან ჩამოიშორა და...

– არიიიიის!!!

მკვეთრად აიჭრა ჰაერში, ხელი მაღლა ჰქონდა შემართული. სტადიონმა იფეთქა. ჰარიმ აღტაცებულ ტრიბუნებს გადაუფრინა, ყურები უცნაურად უგუგუნებდა. ერთი ციცქნა ოქროს ბურთი, რომელიც მაგრად მოემწყვდია მუჭში, ამაოდ ცდილობდა, ხელიდან გასხლტომოდა.

სიხარულის ცრემლებით დაბრმავებული ვუდი მისკენ გამოენთო, ჩაეხუტა და თავშეუკავებლად აქვითინდა. ფრედმა და ჯორჯმა მეგობრულად დაჰკრეს ზურგზე ხელი. ანჯელინა, ალისია და ქეითი გახარებულები ჭყიოდნენ: „ქვიდიჩის თასი მოვიგეთ! მოვიგეეეთ!“ ასე ერთმანეთს ჩახუტებულ-გადახვეული, ბედნიერებისაგან აღრიალებული გუნდი მიწაზე დაეშვა.

მოედანზე არ წყდებოდა ალისფერებში გამოწყობილი გულშემატკივრების ნაკადი. ვისაც არ ეზარებოდა, გამარჯვებულებს ყველა მხრებზე უტყაპუნებდა ხელს, ნამდვილი ჭყლეტა შეიქნა. მერე თანაგუნდელებთან ერთად ჰარიც ჰაერში აიტაცეს და მხრე-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბზე შეისვეს. როგორც იქნა, ალისფერი სამაგრებით აჭრელებული ჰაგრიდიც დაინახა:

– მაინც მოიგე, ჰარი! მაგარი ხარ! ბაკბიკს გავახარებ!

პერსი თავს ვერ ერეოდა, ღირსება სულ არ ახსოვდა და გიჟივით დახტოდა. ვუდის ცრემლები მონაგონი იყო, პროფესორი მაკგონაგელი ისე გულამოსკვნით ტიროდა და თვალებს გრიფინდორის უზარმაზარი დროშით იმშრალებდა. რონმა და ჰერმიონმაც მოაღწიეს ჰარიმდე. სიტყვებს ვერ პოულობდნენ. უბრალოდ, ბედნიერებისგან სახეგაბრწყინებულები თვალს არ აცილებდნენ, როგორ გაიტაცა ბრბომ ჰარი ტრიბუნისკენ, სადაც დამბლდორი იდგა და ქვიდიჩის უზარმაზარი თასი ეჭირა ხელში.

აქვითინებულმა ვუდმა თასი ჰარის გადააწოდა. როცა ჰარიმ თასი მაღლა ასწია, გაიფიქრა, ალბათ ამწუთას მსოფლიოში უძლიერესი პატრონუსის გაჩენას შევძლებდიო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეთექვსმეტე

პროფესორ ტრელოუნის წინასწარმეტყველება

ჰარის მთელ კვირას გაჰყვა გამარჯვების სიხარული. ბუნებაც თითქოს ხელს უწყობდა საზეიმო განწყობილებას. ივნისის მოახლოება იგრძნობოდა, ულრუბლო და თბილი დღეები იდგა. ისეთი ამინდები იყო, რომ სეირნობისა და ბალახზე წამოგორების მეტი არაფერი მოგინდებოდა, თან თუ გოგრის ჩაცივებულ წვენს წაიღებდი, შეგეძლო, კენჭობანა გეთამაშა ან კიდევ გეცქირა, გიგანტური კალმარები როგორ ზანტად დაცურავდნენ ტბის ზედაპირზე.

მაგრამ სტუდენტებს სასეირნოდ არ ეცალათ, გამოცდები კარს მოსდგომოდათ და მინდორში ხეტიალის ნაცვლად, კოშკში ისხდნენ და თავს ძალას ატანდნენ, რომ ფანჯრებიდან შემოპარულ ზაფხულის მომაჯადოებელ სურნელებას მათთვის გონება არ აერია. თქვენ წარმოიდგინეთ, თავად ფრედ და ჯორჯ უისლებიც კი მეცადინეობდნენ, რადგან სულ მალე **ბ.უ.ა.**-ს (**ბ**ეჯითობის **უ**მაღლესი **ა**ღიარების) გამოცდები უნდა ჩაებარებინათ. პერსი კი **კ.ა.ტ.ა.**-ს ჩაბარებას აპირებდა (**კ**ატასტროფულად **ა**უტანელი **ტ**ესტირება-**ა**ტესტაცია). ტესტის ჩაბარების შემდეგ სტუდენტი ჰოგვორტსის „სიმწიფის ატესტატს“ მიიღებდა. ეს იყო ყველაზე მაღალი ხარისხი, რომლის მიღებაც ჰოგვორტსში შეიძლებოდა. პერსის მაგიის სამინისტროში სურდა მუშაობა და ამიტომაც თავს არ ზოგავდა, რომ მაღალი ქულები მიეღო. ამდენი საქმით დატვირთული საშინლად ფიცხი გახდა, ყველაფერზე ბრაზობდა და, ვაი, მისი ტყავის ბრალი, ვინც საერთო ოთახში სიჩუმის დარღვევას გაბედავდა. ერთადერთი, ვინც პერსიზე მეტად შფოთავდა, ჰერმიონი იყო.

ჰარიმ და რონმა ხელი ჩაიქნიეს და უკვე აღარ ეკითხებოდნენ,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რამდენიმე გაკვეთილზე ერთდროულად დასწრებას როგორ ახერხებო, თუმცა ერთხელ მისი გამოცდების ცხრილს მოჰკრეს თვალი და თავი მაინც ვერ შეიკავეს. პირველ გვერდზე ეწერა:

ორშაბათი

9 საათზე - არითმანტია
9 საათზე - ტრანსფიგურაცია
ლანჩი
13 საათზე - ჭადოსნური ფორმულები
13 საათზე - რუნული დამწერლობა

– ჰერმიონ! – ფრთხილად შეაპარა რონმა, რადგან იმ დღეებში ჰერმიონი საშინლად ბრაზობდა, თუ ვინმე მეცადინეობაში ხელს შეუშლიდა, – დარწმუნებული ხარ, რომ გამოცდების განრიგი სწორად გადმოიწერე?

– რა გინდა? – შეუტია ჰერმიონმა და ცხრილს დახედა, – კი, ყველაფერი სწორია.

– თუ შეიძლება, გკითხავ, ერთდროულად ორ გამოცდაზე როგორ მიხვალ? – შეჰკადრა ჰარიმ.

– არ შეიძლება, – მოკლედ მოუჭრა ჰერმიონმა, – რომელიმეს ჩემი „ნუმეროლოგია და გრამატიკა“ ხომ არ გინახავთ?

– როგორ არა, მე წავიღე, ძილის წინ ცოტას წავიკითხავ-მეთქი, – ჩაილაპარაკა რონმა.

ჰერმიონმა მაგიდაზე გაშლილი პერგამენტის ფურცლები მისწიმოსწია. ამ დროს ფანჯრიდან ჰედვიგი შემოფრინდა, ნისკარტით პატარა ბარათი ეჭირა.

– ჰაგრიდის წერილია, – ჰარიმ სასწრაფოდ ჩაიკითხა ბარათი, – ბაკბიკის განაჩენის გასაჩივრება ექვს რიცხვში დაუნიშნავთ.

– ექვსში გამოცდები გვიმთავრდება, – ჰერმიონი ახლა არითმანტიის სახელმძღვანელოს ეძებდა.

– პროცესი სკოლაში გაიმართება, – განაგრძო ჰარიმ, – მაგიის სამინისტროს წარმომადგენელს გამოგზავნიან და... ჯალათსაც.

ჰერმიონმა ჰარის ახედა.

– პროცესზე ჯალათი მოჰყავთ? ესე იგი, ყველაფერი წინასწარ ყოფილა გადაწყვეტილი.

– ჰო, ეგრეა... – ხმა წაერთვა ჰარის.

– ასე არ შეიძლება! – აღშფოთდა რონი, – ამდენი რაღაც სულ ტყუილად გადმოვწერე წიგნებიდან? ხომ უნდა გაითვალისწინონ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარის გული უგრძნობდა, რომ სახიფათო ჯადოსნურ არსებათა ლიკვიდაციის კომიტეტს უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი ჰქონდა და ამაში ბატონი მალფოის ხელი ერია. დრაკო, გრიფინდორის გამარჯვების დღიდან მოყოლებული, უგუნებოდ ბრძანდებოდა, მაგრამ ბოლო დღეებში ისევ ძველებურად გაამაყდა. ჰარიმ ერთხელ შემთხვევით მოისმინა, როგორ არწმუნებდა მალფოი ყველას, ბაკბიკს აუცილებლად სიკვდილით დასჯიანო, და ეს ამბავი ძალიან ახარებდა. ჰარის სხვა რა გზა ჰქონდა, თავი უნდა შეეკავებინა. არადა, სიამოვნებით მიჰბაძავდა ჰერმიონს და მალფოის ყბაში ერთს მაგრად უთავაზებდა. ყველაზე ცუდი კი ის იყო, რომ ჰაგრიდის მოსანახულებლად არც დრო ჰქონდათ და არც შესაძლებლობა, რადგან უსაფრთხოების მკაცრი ზომები ჯერ კიდევ არ გაეუქმებინათ, ჰარი კი ცალთვალა ალქაჯის ქანდაკებიდან უჩინმაჩინის მოსასხამის ამოტანას ვერ ბედავდა.

* * *

გამოცდები დაიწყო. ციხე-კოშკში უჩვეულო სიჩუმე იდგა. ორშაბათ დილით მესამეკურსელები ტრანსფიგურაციის გამოცდიდან განადგურებულები და გუნებაწამხდრები გამოვიდნენ, ერთმანეთს გამოცდის შედეგებს უზიარებდნენ და წუწუნებდნენ, ეს რა რთული საკითხები შეგვხვდაო. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვეულებრივი ჩაიდანი ხმელეთის კუდ უნდა გადაექციათ. ჰერმიონი კი იმას წუხდა, ჩემი კუ ხმელეთისას კი არა, ოკეანისას უფრო ჰგავდაო, რითაც ყველას აღიზიანებდა.

– ჩემსას, კუდის მაგივრად, ჩაიდნის ცხვირი დარჩა... რა საშინელებაა...

– ხმელეთის კუ ცხვირიდან ორთქლს უნდა უშვებდეს?

– ჩემსას ჩაიდნის ნახატი დარჩა ზურგზე, როგორ გგონიათ, ამისთვის ნიშანს დამაკლებენ?

ლანჩი სწრაფად მოათავეს და მაგიური ფორმულების გამოცდაზე წავიდნენ. ჰერმიონი მართალი აღმოჩნდა, პროფესორმა ფლიტვიკმა ერთ-ერთ საკითხად გამამხნევებელი შელოცვები შემოიტანა. ჰარი ისე ღელავდა, რომ მეტისმეტი მოუვიდა. მისი მეწყვილე, რონი, კინაღამ სიცილით გაიგუდა და მოსასულიერებლად სხვა ოთახში გადაიყვანეს. ერთი საათი დასჭირდა, რომ გონს მოსულიყო და გამოცდა ჩაებარებინა. ნასადილევს ყველანი საერთო ოთახში ავიდნენ, მაგრამ დასვენების დრო არ ჰქონდათ, ჯადოსნურ არსებათა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოვლა, შხამ-წამლები და ასტრონომია უნდა გაემეორებინათ.

გამოცდაზე ჰაგრიდი დაბნეული და დაღონებული მოვიდა, გონებით სხვაგან დაქროდა. გამოსაცდელად ფლობერჭიები მოიყვანა და ბავშვებს უთხრა, ერთ საათში თუ ისევ ცოცხლები დარჩებიან, გამოცდა ჩაბარებული გექნებათო. ასე რომ, თუ ხელს საერთოდ არ ახლებდნენ, ფლობერჭიები საკუთარ თავს მშვენივრად მიხედავდნენ. ასეთი ადვილი გამოცდა არასოდეს ჰქონიათ. ჰარის, რონსა და ჰერმიონს კი, როგორც იქნა, ჰაგრიდთან დალაპარაკების საშუალება მიეცათ.

– ბიკი უგუნებოდ მყავს, – ჰაგრიდი დაიხარა, ვითომ ამოწმებდა, ჰარის ჭიებს რაიმე ხომ არ დაუშავდა, – აბა, რა იქნება, რამდენი ხანია, დამწყვდეულია. ეჰ, ზეგ ყველაფერი გადაწყდება... ან ასე იქნება, ან – ისე...

ნაშუადღევს შხამ-წამლების გამოცდა ჰქონდათ. აი, აქ კი ნამდვილი კატასტროფა მოხდა. ჰარიმ როგორ არ სცადა, თავგზის ამბნევი საწებელი სქელი გამოსვლოდა, მაგრამ ვერაფერს გახდა. შურისძიებით აღვსილი სნეიპი თავს ადგა და ნეტარებით იღიმებოდა. სანამ სხვა სტუდენტთან გადაინაცვლებდა, თავის ბლოკნოტში ნულის მსგავსი რაღაც ჩაინიშნა.

ასტრონომიის გამოცდა შუაღამისას ყველაზე მაღალ კოშკში ჩაუტარდათ. ოთხშაბათ დილით კი მაგიის ისტორიის ჯერი დადგა. ჰარიმ ყველაფერი დაწერა, რაც კი ფლორიან ფორტესკიუს მონაყოლიდან ახსოვდა შუა საუკუნეებში ჯადოქრების დევნის შესახებ, თუმცა ფლორიანის შოკოლადიან-თხილიანი ნაყინის გულისთვის ახლა ყველაფერს დათმობდა. იმავე დღეს, ნაშუადღევს, ჰერბოლოგიის გამოცდა ჰქონდათ, ასე რომ, სათბურებში საათობით მოუწიათ მზეზე დგომა. საერთო ოთახებში კისერდახრუკულები დაბრუნდნენ. ერთი სული ჰქონდათ, როდის დადგებოდა ხვალინდელი საღამო და როდის მოეღებოდა ბოლო მათ წამებას.

ბოლოსწინა გამოცდა ბნელი ძალებისაგან თავდაცვაში ხუთშაბათს დილით ჩაუტარდათ. პროფესორმა ლუპინმა ძალზე უჩვეულო გამოცდა მოაწყო. სტუდენტები გარეთ გაიყვანა და წინააღმდეგობების დაძლევა დაავალა. ჯერ გუბურა უნდა გაევლოთ, სადაც გრინდილოუ იჯდა; მერე წითელქუდიანებით სავსე თხრილები უნდა გადაელახათ, მერე კი ჭაობი და კვამლისკაცი ელოდათ, რომელიც ცდილობდა, მათთვის თავგზა აებნია, დაბოლოს – ხის ფუღუროში ჩამალული ბოგარტი ელოდათ.

– ყოჩაღ, ჰარი! – ჩაილაპარაკა ლუპინმა, როცა ბიჭი ფუღუროდან გაღიმებული გამოძვრა, – ხუთიანი!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წარმატებით ნასიამოვნები და გაწითლებული ჰარი იქვე დადგა და ჰერმიონსა და რონს დაელოდა. რონს ყველაფერი კარგად გამოსდიოდა, სანამ კვამლისკაცმა წელამდე ჭაობში არ შეიტყუა. ჰერმიონმაც წარმატებით გაიარა გამოცდა, მაგრამ ხის ფუღუროდან გულგახეთქილი გამოვარდა.

– ჰერმიონ! რა დაგემართა? – გაოგნდა ლუპინი.

– პ-პ-პროფესორი მაკგონაგელი! – მოთქვამდა ჰერმიონი, – იქ პ-პ-პროფესორი მაკგონაგელი იყო და მითხრა, ყველა გამოცდაზე ჩაიჭერიო!

ჰერმიონის დაწყნარებას კარგა ხანს მოუნდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, დამშვიდდა და ჰარისთან და რონთან ერთად ციხე-კოშკისკენ გაემართა. რონს ერთი სული ჰქონდა, ჰერმიონის ბოგარტზე ეხუმრა, მაგრამ არ დასცალდა.

სკოლის შესასვლელთან ზოლებიან მანტიაში გამოწყობილი კორნელიუს ფაჯი დაუხვდათ.

– გამარჯობა, ჰარი! გამოცდიდან მოდიხარ, არა? უკვე მორჩი გამოცდებს?

– თითქმის, – მიუგო ჰარიმ.

ჰერმიონი და რონი მაგიის მინისტრის წინაშე ხმის ამოღებას როგორ გაბედავდნენ, მოწიწებით დაიხიეს უკან.

– მშვენიერი ამინდია... და რა დასანანია, რომ... – მინისტრმა ტბას გახედა, მწარედ ამოიოხრა და ისევ ჰარის მიუბრუნდა, – აქ არცთუ მთლად სახარბიელო საქმის გამო მოვედი, ჰარი. სახიფათო მაგიურ არსებათა ლიკვიდაციის კომიტეტმა გაცოფებული ჰიპოგრაფის სიკვდილით დასჯაზე დასასწრებად მოწმე მოითხოვა. ისედაც მინდოდა ჰოგვორტსში მოსვლა, ბლექის ამბები უნდა გამეგო, და მთხოვეს, ბარემ დავსწრებოდი.

– ესე იგი, გასაჩივრება არ შეგვიძლია? – ჩაერთო რონი.

– როგორ არა, დღეს ნაშუადღევსაა დანიშნული, – ფაჯმა ცნობისმოყვარეობით შეხედა ბიჭს.

– მაშინ, იქნებ სულაც არ მოგიხდეთ სიკვდილით დასჯაზე მოწმედ დასწრება! ხომ შეიძლება, ჰიპოგრიფი გაამართლონ! – სხაპასხუპით მიაყარა რონმა.

სანამ ფაჯი პასუხს გასცემდა, ციხე-კოშკის მთავარი შესასვლელიდან ორი კაცი გამოვიდა. ერთ-ერთი ისეთი გადაყრუებული ბებერი იყო, გეგონებოდათ, სადაცაა, მოკვდებაო. მეორეს კი, ახმახსა და დაკუნთულს, თხელი შავი ულვაში ჰქონდა. ჰარიმ გაიფიქრა, კომიტეტის წარმომადგენლები იქნებიანო, რადგანაც მოხუცმა კაცმა ჰაგრიდის ქოხს გახედა და ჩაილაპარაკა:

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ღმერთო ჩემო, ამ საქმისთვის უკვე მეტისმეტად ბებერი ვარ! ბატონო ფაჯ, ორ საათზე, არა?

შავულვაშა ახმახმა ქამარში გარჭობილ ბასრპირიან ნაჯახს ხელი გადაუსვა. რონმა პირი დააღო, რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ჰერმიონმა მუჯლუგუნი გაჰკრა და თავით შესასვლელისკენ ანიშნა.

– რატომ გამაჩერე! – უსაყვედურა რონმა, როცა დიდ დარბაზში შევიდნენ, – დაინახე? ნაჯახიც კი მოუმზადებიათ! რა უსამართლობაა!

– რონ, მამაშენი სამინისტროში მუშაობს! მის უფროსთან ასეთი ლაპარაკის უფლება არა გაქვს! – ჰერმიონიც უგუნებოდ იყო, – თუ ჰაგრიდი ამჯერად მაინც დაიცავს წესიერად ბაკბიკს, შეიძლება სიკვდილით დასჯას გადაარჩინოს...

მაგრამ ჰარიმ შეატყო, ჰერმიონს თვითონაც არ სჯეროდა, რასაც ამბობდა. მათ გარდა, ყველანი გახარებულები იყვნენ, ერთი სული ჰქონდათ, გამოცდებს როდის დაამთავრებდნენ, ჰარი, რონი და ჰერმიონი კი იმდენად წუხდნენ ჰაგრიდის ბედზე, რომ არაფერი ახარებდათ.

ჰარისა და რონს ბოლო გამოცდა მისნობაში ჰქონდათ, ჰერმიონს კი – მაგლთმცოდნეობაში. ერთად აუყვნენ მარმარილოს კიბეს, ჰერმიონმა პირველ სართულზე გადაუხვია, ჰარი და რონი კი მეშვიდეზე ავიდნენ. ბავშვები უკვე კიბეებზე ისხდნენ და წუთსაც არ კარგავდნენ, რომ რაიმეს გამეორება მაინც მოესწროთ.

– ყველას ცალ-ცალკე გვცდის, – შეატყობინა ნევილმა ახალმოსულებს. მუხლებზე „განჭვრიტე მომავალი“ ედო და კრისტალებზე მკითხაობის პარაგრაფზე გადაეშალა, – ერთი მითხარით, კრისტალში რაიმე მაინც თუ დაგინახავთ?

– არა, – მოკლედ მოუჭრა რონმა. წარამარა საათს დაჰყურებდა, ითვლიდა, რამდენი დრო დარჩა ბაკბიკის საქმის განხილვამდე.

კარებთან ჩამწკრივებული სტუდენტების რიგი ძალიან ნელა მიიწევდა წინ. გათავისუფლებულ სტუდენტს კიბეზე ჩამოსვლას ვინ აცდიდა, მაშინვე კითხვებს აყრიდნენ.

თუმცა, წესიერი პასუხი ვერც ერთისაგან ვერ მოისმინეს, ყველა ერთსა და იმავეს იმეორებდა:

– პროფესორმა მითხრა, საკითხების შესახებ არავისთან არაფერი წამოგცდეს, თორემ მაგიურ კრისტალში დავინახე, რომ საშინელ კატასტროფაში დაიღუპებიო, – ვეღარ მოითმინა ნევილმა, როცა კიბიდან ჩამოაღწია და ჰარი და რონი დაინახა.

– აუ, ეს რა ჭკვიანურად მოუფიქრებია, – ჩაიცინა რონმა, – მე მგონი, ჰერმიონი მართალი იყო, რასაც მაგაზე ამბობდა, – რონმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თითი საკლასო ოთახის კარისკენ გაიშვირა, – ეს ჩვენი ქალბატონი ბებერი აფერისტია!

– ჰო, – დაეთანხმა ჰარი და მაჯის საათზე დაიხედა, უკვე ორი გამხდარიყო, – ნეტავ, ცოტა მოუჩქარებდეს!

პარვატი ამაყად წელგამართული ჩამოვიდა კიბეზე.

– ასე მითხრა, ნამდვილი ნათელმხილველის მონაცემები გაქვსო! იცით, რამდენი რაღაც დავინახე... აბა, წარმატებებს გისურვებთ! – და ხვეული კიბით ლევენდერისკენ გაემართა.

– რონალდ უისლი! – გაისმა ნაცნობი იდუმალი ხმა. რონი დაიჯღანა და ვერცხლის კიბეს აუყვა. ახლა მხოლოდ ჰარი დარჩა გამოსაცდელი. იატაკზე დაჯდა, ზურგით კედელს მიეყრდნო, მისი აზრები ჰაგრიდს დასტრიალებდა თავს. ფანჯრიდან ბუზის ბზუილი ისმოდა.

ოც წუთში, როგორც იქნა, რონიც გამოჩნდა.

– რა ქენი? – ჰკითხა ჰარიმ.

– სისულელეა! ვერაფერიც ვერ დავინახე და რაღაცეები გამოვიგონე. თუმცა, მე მგონი, არ დამიჯერა...

– საერთო ოთახში დამელოდე, – მიაძახა ჰარიმ რონს, როცა პროფესორმა ისიც გამოიძახა.

ოთახში ჩვეულებრივზე მეტად ცხელოდა, ფარდები დაეშვათ, ბუხარში ცეცხლი ენთო. ისეთი მძაფრი სუნი იდგა, რომ ჰარის ხველება აუტყდა და ბორძიკით მიუახლოვდა პროფესორს. ქალს მაგიდაზე მოზრდილი კრისტალი დაედგა.

– გამარჯობა, ძვირფასო! აბა, კრისტალს ჩააკვირდით... ნუ აჩქარდებით... და მითხარით, რას ხედავთ...

ჰარი დაიხარა და მთელი მონდომებით დააშტერდა კრისტალს. ძალიან უნდოდა, რაიმე მაინც დაენახა, მაგრამ შიგ მოტრიალე ნისლის გარდა ვერაფერს ხედავდა.

– აბა, რას მეტყვით? უკვე დროა, – თავაზიანად შეახსენა პროფესორმა.

იქაურობა ნამდვილ საქვაბესავით დუღდა, ცეცხლი მძაფრ სურნელს აფრქვევდა. ჰარის რონის ნათქვამი მოაგონდა და გადაწყვიტა, მეც მოვატყუებო.

– ვხედავ... რაღაც შავი ფიგურაა...

– რას გაგონებთ? – ჩურჩულით ჰკითხა პროფესორმა ტრელოუნიმ, – კარგად დაფიქრდით...

ჰარის პირველი ბაკბიკი მოაგონდა და დაბეჯითებით მიუგო:

– ჰიპოგრიფს!

– მართლა? – პროფესორმა კალთაში მოთავსებულ პერგამენ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტის ფურცელზე რაღაც ჩაინიშნა, – ჩემო ბიჭუნა, ალბათ საწყალი ჰაგრიდისა და მაგიის სამინისტროს პროცესის შედეგს ხედავთ! კარგად დააკვირდით... ჰიპოგრიფს თავი აქვს?

– დიახ, – მტკიცედ მიუგო ჰარიმ.

– დარწმუნებული ხართ? ნამდვილად დარწმუნებული ხართ? არ ჩანს, დაბმული როგორ იგრიხება, მის უკან კი ნაჯახმომარჯვებული კაცი დგას?

– არა! – ჰარის უკვე თავბრუ ესხმოდა.

– არც სისხლი ჩანს? არც ატირებული ჰაგრიდი?

– არა!! – ასე მწარედ არასოდეს მონდომებია ამ ოთახიდან გაქცევა, – ჰიპოგრიფი მშვენივრად გამოიყურება... სადღაც მიფრინავს...

პროფესორმა ამოიოხრა.

– კარგი, ძვირფასო, საკმარისია... ცოტა იმედი კი გამიცრუვდა, მაგრამ არა უშავს... დარწმუნებული ვარ, ძალიან ცდილობდით.

ჰარიმ შვებით ამოისუნთქა, ჩანთა აიღო და გასასვლელისკენ შებრუნდა, როცა უცნაური, მკაცრი ხმა შემოესმა:

– ეს ამაღამ მოხდება!

ჰარი შემოტრიალდა. პროფესორი გაქვავებული იჯდა სავარძელში, თვალი გაშტერებოდა და პირი დაეღო.

– უკაცრავად...

მაგრამ პროფესორს მისი არ ესმოდა. თვალები ამოუტრიალდა, თითქოს შეტევა დაემართაო. ჰარის ვერ გადაეწყვიტა, საავადმყოფო ფლიგელში გაქცეულიყო თუ არა. ამასობაში პროფესორმა ტრელოუნიმ ისევ შეცვლილი ხმით განაგრძო საუბარი:

– ბნელი ბატონი მარტოა, მეგობრებმა და თანამოაზრეებმა მიატოვეს. მისი მსახურები თორმეტი წელია, დატყვევებულები არიან. ამაღამ, ვიდრე საათი თორმეტს ჩამოკრავს, ერთ-ერთი მსახური გათავისუფლდება და თავისი მბრძანებლისკენ გაეშურება. ბნელი ბატონი მსახურის შეწევნით კვლავ აღსდგება, კიდევ უფრო ძლევამოსილი და საზარელი გახდება. ამაღამ... სანამ საათი თორმეტს ჩამოკრავს... მსახური... მბრძანებლისკენ გაეშურება... – პროფესორს თავი მკერდზე ჩამოუვარდა, ხრიალის მსგავსი ხმა ამოუშვა, მერე უცებ თავი მაღლა ასწია და გამოფხიზლდა:

– მაპატიეთ, ძვირფასო... სიცხე ჩემზე ცუდად მოქმედებს... სულ ერთი წამით ჩამთვლიმა...

ჰარი გაშტერებული იდგა და ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა.

– რა ხდება, ძვირფასო, რატომ არ მიდიხართ?

– თქვენ... თქვენ თქვით... ბნელი ბატონი ისევ აღსდგებაო... მსახური ისევ დაუბრუნდებაო...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პროფესორმა უგაკვირვებულესი სახე მიიღო.

– ბნელი ბატონი? ის, ვისი-სახელიც-არ-ითქმის? ჩემო ძვირფასო, ასეთი ხუმრობა როგორ შეიძლება...? ღმერთო ჩემო...

– თქვენ თვითონ არ თქვით, ბნელი ბატონიო...

– როგორც ჩანს, თქვენც ჩაგთვლიმათ, ძვირფასო! ასეთ სისულელეს არასოდეს ვიწინასწარმეტყველებდი...

ჰარი კიბეზე დაბნეული ჩამოვიდა. ნუთუ ამჯერად პროფესორ ტრელოუნის ჭეშმარიტი წინასწარმეტყველება მოისმინა? თუ, უბრალოდ, მასზე შთაბეჭდილების მოხდენა უნდოდა?

ტროლებს ჩაუარა და გრიფინდორის კოშკის შესასვლელს მიადგა, პროფესორის სიტყვები თავიდან არ ამოსდიოდა. ბავშვები ჯგუფ-ჯგუფად გამოდიოდნენ საერთო ოთახიდან. რახან ასე ნანატრი თავისუფლება ეღირსათ, ყველანი სასეირნოდ მიდიოდნენ. ჰარის საერთო ოთახი თითქმის დაცარიელებული დაუხვდა. რონი და ჰერმიონი კუთხეში ისხდნენ.

– პროფესორმა ტრელოუნიმ მითხრა... – წამოიწყო ჰარიმ, მაგრამ მათი დაძმარებული სახეების დანახვაზე სიტყვა გაუწყდა.

– ჰაგრიდმა პროცესი წააგო, – ძლივს ამოღერღა რონმა, – წერილი გამოგვიგზავნა.

ჰაგრიდის წერილს ამჯერად ცრემლების ნაკვალევი არ აჩნდა, მაგრამ ნაწერი ისეთი გაურკვეველი იყო, რომ ეტყობოდა, მის დამწერს ხელი უკანკალებდა.

„პროცესი წავაგეთ. სიკვდილით დასჯა მზის ჩასვლისთანავე დანიშნეს. თქვენ ვერ დამეხმარებით. ნუ ჩამოხვალთ. არ მინდა, რომ უყუროთ. **ჰაგრიდი**“.

– უნდა წავიდეთ, – არ დააყოვნა ჰარიმ, – მარტოს ხომ არ დავტოვებთ! უნდა იჯდეს და ჯალათს ელოდოს?!

– მზის ჩასვლის შემდეგ, – რონმა დაბნეული მზერა ფანჯარას მიაპყრო, – გარეთ არ გაგვიშვებენ... შენ – განსაკუთრებით, ჰარი...

ჰარიმ თავი ხელებში ჩარგო, გამალებული ფიქრობდა.

– უჩინმაჩინის მოსასხამი რომ გვქონდეს...

– სადა გაქვს? – ჰკითხა ჰერმიონმა.

ჰარიმ უამბო, როგორ დატოვა ცალთვალა ჯადოქრის ქანდაკების ქვეშ, საიდუმლო გვირაბში, და დაამატა:

– სნეიპმა სადმე ახლომახლო რომ დამინახოს, დავიღუპები!

– მართალი ხარ, – ჰერმიონი წამოდგა, – მაგრამ შენ ვერ დაგინახავს! მითხარი, კუზი როგორ უნდა გავაღო!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჯოხი უნდა დაუკაკუნო და შეულოცო: „დისენდიუმ“, – მიუგო ჰარიმ, – კი მაგრამ...

ჰერმიონი აღარ დაელოდა, ოთახიდან გავარდა, ფუშფუშა ქალბატონის პორტრეტი გადასწია და გაუჩინარდა.

– ეგ რა, თვითონ აპირებს გვირაბში ჩასვლას? – გაოგნდა რონი.

და მართლაც, სულ მალე ჰერმიონი ოთახში დაბრუნდა. ვერცხლისფერი მოსასხამი მანტიის ქვეშ ჰქონდა ჩაკეცილი.

– ჰერმიონ, ამ ბოლო დროს უცნაურად იქცევი! – გაოცებას ვერ მალავდა რონი, – ჯერ იყო და, მალფოის მოადე ყბაში, მერე პროფესორ ტრელოუნის მოაკეტინე...

ჰერმიონმა კმაყოფილებით ჩაიცინა.

* * *

ჰარი, რონი და ჰერმიონი დიდ დარბაზში სადილად დანარჩენებთან ერთად ჩავიდნენ, მაგრამ უკან არ დაბრუნებულან. ჰარის მანტიის ქვეშ ჰქონდა ჩამალული მოსასხამი და ვერავინ ვერაფერს რომ ვერ მიმხვდარიყო, მუცელს ხელით იფარავდა. სადილის შემდეგ სამივენი ერთ პატარა ოთახში შეიპარნენ და სანამ სრული სიჩუმე არ ჩამოწვა, არ გამოსულან. უკანასკნელი ნაბიჯების ხმაც მიწყდა და ვიღაცამ კარი გაიჯახუნა. ჰერმიონმა ფრთხილად გაიხედა და ბიჭებს გადაუჩურჩულა:

– არავინაა! წავედით!

მოსასხამის ქვეშ შეყუჟულები ერთმანეთს მიეკრნენ და ფეხაკრეფით გაძვრნენ გარეთ. მზე უკვე აკრძალული ტყის კენწეროებს უახლოვდებოდა.

ჰაგრიდის ქოხს მიადგნენ და კარზე დააკაკუნეს. ჰაგრიდმა ერთხანს კარი არ გააღო, მერე გაფითრებული და აკანკალებული გამოჩნდა და სტუმრებს დაუწყო ძებნა.

– ჩვენ ვართ, – დაიჩურჩულა ჰარიმ, – უჩინმაჩინის მოსასხამი გვაცვია, შიგნით შეგვიშვი, აქ ხომ ვერ გავიხდით!

– არ უნდა მოსულიყავით! – მიუგო ჰაგრიდმა, მაგრამ მაინც გვერდზე გადგა და მოსულები ქოხში შეუშვა. მერე სასწრაფოდ ჩაკეტა კარი. ჰარიმ მოსასხამი გადაიძრო.

ჰაგრიდს არ უტირია, არც მეგობრებს გადახვევია. ისეთი დაბნეული ჩანდა, თითქოს არ იცოდა, სად იყო და რას აკეთებდა. ასეთი სასოწარკვეთილი ჰაგრიდი ატირებულზე საცოდავი სანახავი იყო.

– ჩაის დალევთ? – აკანკალებული ხელებით დასწვდა ჩაიდანს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ბაკბიკი სად არის, ჰაგრიდ? – შეცბა ჰერმიონი.

– გა-გარეთ გავიყვანე, – ჰაგრიდს რძე დაეღვარა, – გოგრების ბოსტანში დავაბი. მინდა, ხეები ნახოს და სუფთა ჰაერი ჩაყლაპოს, სანამ... სანამ... – ჰაგრიდს ისე აუკანკალდა ხელები, რომ რძის დოქი გაუვარდა და იატაკზე დაიფშვნა.

– მე ავალაგებ, ჰაგრიდ, – წამოხტა ჰერმიონი და იქაურობის დასუფთავებას შეუდგა.

– კარადაში კიდევ ერთი დოქია, – ჰაგრიდი ჩამოჯდა და გაოფლილი შუბლი სახელოთი მოიწმინდა.

ჰარიმ და რონმა უიმედოდ გადახედეს ერთმანეთს.

– ვერაფერს მოვახერხებთ, ჰაგრიდ? – წამოენთო უცებ ჰარი, – ვერც დამბლდორი..

– დამბლდორმა უკვე სცადა, მაგრამ კომიტეტის გადაწყვეტილებას ვერ შეცვლის. აუხსნა, რომ ბაკბიკი საშიში არ არის, მაგრამ... ხომ იცით, ლუციუს მალფოიმ დააშინა... ეს ჯალათი მაკნერი კი მალფოის ძველი მეგობარია... მაგრამ ყველაფერი მალე დამთავრდება... მე გვერდიდან არ მოვშორდები...

ჰაგრიდმა ნერწყვი გადაყლაპა. თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, თითქოს რაიმე სანუგეშოს ეძებსო...

– დამბლდორიც ჩამოვა და... იმას დაესწრება... ამ დილით მომწერა, შენ გვერდით მინდა ყოფნაო... დიდებული კაცია დამბლდორი...

ჰერმიონს ჰაგრიდის კარადაში შეერგო თავი, უცებ წამოისლუკუნა, მაგრამ დროზე მოერია თავს. ხელში ახალი დოქი ეჭირა და ცრემლებს ძლივს იკავებდა.

– ჩვენც შენთან დავრჩებით, ჰაგრიდ!

ჰაგრიდმა გაბურძგნილი თავი გააქნია:

– თქვენ უნდა დაბრუნდეთ! ხომ გითხარით, არ მინდა, ამას უყუროთ! არც უნდა ჩამოსულიყავით... ფაჯმა ან დამბლდორმა უნებართვოდ გამოსული რომ დაგინახონ, შავ დღეს დაგაყრიან, ჰარი.

ჰერმიონს ცრემლები წასკდა, მაგრამ ჰაგრიდს თავს არიდებდა, ჩაის მოსადუღებლად აქეთ-იქით დაწრიალებდა. მერე რძით სავსე ბოთლი აიღო და ის იყო, დოქში ჩასხმა დააპირა, რომ მოულოდნელობისგან შეჰკივლა:

– რონ! შეხედე! სკაბერზი!

რონს ყბა ჩამოუვარდა.

– რას ამბობ!

ჰერმიონმა დოქი მაგიდასთან მოიტანა და გადმოატრიალა. აწრიპინებული სკაბერზი მაგიდაზე დაეცა. დოქიდან გადმოსვლა დიდად არ უხაროდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სკაბერზ! – რონი დაბნეული მიშტერებოდა, – აქ საიდან გაჩნდი? – მერე ხელი ჩაავლო და სინათლეზე გაიტანა. სკაბერზი საშინელი სანახავი იყო. კიდევ უფრო გამხდარს ბეწვი ბევრგან გასცვენოდა და მოშიშვლებული კანი მოუჩანდა. გამწარებით ცდილობდა, რონს ხელიდან დასხლტომოდა.

– დამშვიდდი, სკაბერზ! აქ კატები არ არიან! ნუ გეშინია, არავინ შეგჭამს!

ჰაგრიდი მოულოდნელად წამოხტა, ფანჯრისთვის თვალი არ მოუცილებია.

– მოდიან...

ჰარი, რონი და ჰერმიონი დაფაცურდნენ. ციხე-კოშკის საფეხურებზე რამდენიმე ადამიანი ჩამოდიოდა. წინ დამბლდორი მოუძღოდათ, ვერცხლისფერი წვერი ჩამავალი მზის შუქზე უბრწყინავდა. გვერდით კორნელიუს ფაჯი მოსდევდა, უკან კი კომიტეტის მოხუცი წევრი და ჯალათი მაკნერი მოჰყვებოდნენ.

– უნდა წახვიდეთ, – ჰაგრიდს მთელი სხეული უთრთოდა, – აქ არავინ უნდა დაგინახოთ, იჩქარეთ...

რონმა სკაბერზი ჯიბეში ჩაისვა, ჰერმიონმა კი მოსასხამი აიღო.

– უკანა კარიდან გაგაპარებთ, – თქვა ჰაგრიდმა.

ბავშვები ჰაგრიდს ბოსტანში გაჰყვნენ. ჰარის ვერაფრით დაეჯერებინა, რომ ეს ყველაფერი სიზმარში კი არა, ცხადში ხდებოდა. როცა ბოსტანში დაბმული ბაკბიკი დაინახა, არარეალურობის შეგრძნება კიდევ უფრო გაუმძაფრდა. ბაკბიკი გრძნობდა, რომ მის თავს რაღაც ხდებოდა, ბასრ ნისკარტს აქეთ-იქით ატრიალებდა და აღელვებული მიწას ფხაჭნიდა ძლიერი ბრჭყალებით.

– ნუ გეშინია, ბიკი, ყველაფერი კარგათ იქნება! აბა, ახლა წადით! სასწრაფოდ! – გამოემშვიდობა ჰაგრიდი ბავშვებს, მაგრამ ისინი ადგილიდან ფეხს არ იცვლიდნენ.

– ჰაგრიდ, არ შეგვიძლია...

– ჩვენ სიმართლეს მოვუყვებით...

– ასე ტყუილ-უბრალოდ ვერ მოკლავენ...

– წადით-მეთქი! – ხმას აუწია ჰაგრიდმა, – ისღა მაკლია, ახლა თქვენც გაგხვიოთ შარში!

სხვა რა გზა ჰქონდათ... ჰერმიონმა ჰარისა და რონს შემოახვია მოსასხამი. ამ დროს ქოხის წინა ეზოში ხმები გაისმა. ჰაგრიდი იმ ადგილს მიაჩერდა, სადაც ბავშვები გაუჩინარდნენ.

– სწრაფად გაადგით ფეხი! და არ მოუსმინოთ... – და ქოხში შებრუნდა. ამ დროს კარზე დააკაკუნეს.

მწუხარებით თავზარდაცემული ჰარი, რონი და ჰერმიონი აუჩ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქარებლად დაიძრნენ და სახლს შემოუარეს. ვიღაცამ ქოხის კარი გაიჯახუნა.

– ცოტა ვიჩქაროთ, – შეეხვეწა ჰერმიონი, – არ შემიძლია, ამას ვერ ავიტან...

ციხე-კოშკისკენ მიმავალ ალმართს აუყვნენ. მზე სწრაფად ეშვებოდა, ცამ ალაგ-ალაგ ალისფერნარევი რუხი ფერი გადაიკრა. დასავლეთით კი სისხლისფრად ელავდა.

რონი შეჩერდა.

– რონ, გთხოვ!

– სკაბერზი არ ისვენებს, გამოსვლა უნდა... – რონი დაიხარა, ცდილობდა, სკაბერზი ჯიბიდან არ გადმოხტომოდა, მაგრამ ვირთხას რაღაც უცნაურმა ზნემ მოუარა, არაფრის დიდებით არ ისვენებდა, გააფთრებული წრიპინებდა და იგრიხებოდა, ის კი არა, რონს ხელზე კბენაც კი დაუპირა.

– სკაბერზ! რამ გამოგათაყვანა? მე ვარ, რონი! – დაუსისინა ვირთხას.

კარი გაიღო და კაცების ხმა გაისმა.

– რონ, გთხოვ, გამოადგი ფეხი, სადაცაა მოკლავენ... – შეძრწუნდა ჰერმიონი.

– სკაბერზ, მოისვენე-მეთქი...

გზა განაგრძეს. ჰარი, ჰერმიონისა არ იყოს, ცდილობდა, შორიდან მომავალი ხმებისთვის ყურადღება არ მიექცია. რონი ისევ შეჩერდა.

– ვერ ვაკავებ! სკაბერზ, ხმა ჩაიწყვიტე! გაიგონებენ!

ვირთხა უარესად აჭყივლდა, თუმცა ჰაგრიდის ქოხიდან მომავალ ხმებს მაინც ვერ ახშობდა. ჯერ კაცები ლაპარაკობდნენ, მერე წამით სიჩუმე ჩამოვარდა, ნაჯახმა ჰაერში გაიწუილა და დარტყმის ხმაც გაისმა.

ჰერმიონს კინაღამ გული წაუვიდა.

– მაინც მოკლეს! – გადაუჩურჩულა ჰარის, – მაინც მოკლეს!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეჩვიდმეტე

კატა, ვირთხა და ძაღლი

თავზარდაცემულ ჰარის ლამის გონება დაებინდა. უჩინმაჩინის მოსასხამგადაფარებულები ადგილიდან ვერ იძვროდნენ. მზის უკანასკნელი სხივები სისხლისფრად ეფინებოდა წაგრძელებულ ჩრდილებში გახვეულ არემარეს. უცებ ვიღაცის გაშმაგებული ღმუილი გაიგონეს.

– საწყალი ჰაგრიდი, – ჩაიბუტბუტა ჰარიმ და დაუფიქრებლად დააპირა უკან გაბრუნება, მაგრამ რონმა და ჰერმიონმა შეაჩერეს.

– არ შეიძლება! – გაფითრდა რონი, – უარეს დღეში ჩავარდება, ვინმემ ჩვენი იქ ყოფნა რომ გაიგოს...

ჰერმიონს სუნთქვა ეკვროდა:

– როგორ გაიმეტეს... რ-როგორ გაიმეტეს!..

– წავედით, – რონს სიბრაზისგან კბილები უკაწკაწებდა.

ნელა გაემართნენ ციხე-კოშკისკენ. სწრაფად ჩამობნელდა. სანამ მდელოზე გავიდოდნენ, სრული წყვდიადი ჩამოწვა.

– სკაბერზ, ნუ წრიალებ! – რონმა ხელი გულის ჯიბეზე მიიჭირა. ვირთხა გააფთრებით იბრძოდა. რონი შეჩერდა, – რა ჯანდაბა გეტაკა, სულელო? დაწყნარდი-მეთქი! ვაი... მიკბინა!

– ჩუმად, რონ, – დაუსისინა ჰერმიონმა, – ფაჯი, სადაცაა, აქ გაჩნდება.

– რა ვუყო, არ ჩერდება!

სკაბერზი უარესად აწრიალდა, მთელი ძალით ცდილობდა, რონს დასხლტომოდა.

– რა სჭირს?!

ამ დროს ჰარიმ სიბნელეში მანათობელი ყვითელი თვალები დაინახა – ბო ნელა მოიპარებოდა მათკენ. ნეტავ, გვხედავს, თუ სკაბერზის წრიპინი ესმისო, გაიფიქრა ჰარიმ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ბო! მოშორდი აქაურობას, აცხა, მოშორდი-მეთქი! – გაუჯავრდა ჰერმიონი.

მაგრამ კატა კიდევ უფრო მოუახლოვდათ.

– სკაბერზ, ვაიმე!

უკვე გვიანი იყო. რონს ვირთხა ხელიდან გაუსხლტა და ფაცხა-ფუცხით გაიქცა სიბნელეში. ბომ არ დააყოვნა, ერთი ისკუპა და გამოედევნა. სანამ ჰარი და ჰერმიონი მის შეჩერებას მოიფიქრებდნენ, რონმა უჩინმაჩინის მოსასხამი გადაიძრო და სიბნელეში გაუჩინარდა. სხვა რა გზა ჰქონდათ, ერთმანეთს გადახედეს და რონს კისრისტეხით გამოუდგნენ. უჩინმაჩინის მოსასხამი, რა თქმა უნდა, გადასძვრათ და ახლა ზურგზე მოკიდებულს მიაფრიალებდნენ, დროშასავით. რონი გამწარებული მირბოდა და ღრიალებდა:

– თავი დაანებე... არ მიეკარო... სკაბერზ, მოდი ჩემთან...

უცებ დაცემის ხმა გაისმა.

– დაგიჭირე! მომშორდი, საზიზღარო კატა...

ჰარი და ჰერმიონი კინაღამ დაეჯახნენ რონს. მიწაზე გაშხლართულს სკაბერზი მოეხელთებინა, ჯიბეში ჩაესვა და ორივე ხელით მაგრად ეჭირა.

– რონ... ჩქარა, მოსასხამი მოიხურე... – დაუძახა ჰერმიონმა, – დამბლდორი და მინისტრი წუთი წუთზე აქ გაჩნდებიან...

მაგრამ სანამ დამალვას ან სულის მოთქმას მოასწრებდნენ, გიგანტური ტორების ხმა გაისმა. სიბნელიდან რაღაც მოიწევდა... უცებ უზარმაზარი, მანათობელთვალებიანი, კუპრივით შავი ძაღლი გამოჩნდა.

ჰარიმ ჯადოსნური ჯოხის ამოღება დააპირა, მაგრამ გვიანი იყო, ძაღლმა ისკუპა და წინა თათებით მკერდზე დაახტა. ჰარი წაიქცა, გაბურძგნილმა ძაღლმა შიგ სახეში შეასუნთქა და გრძელი ეშვები გამოაჩინა... მაგრამ ძლიერი ნახტომისაგან თავი ვეღარ შეიკავა და წინ გადავარდა.

ჰარი წამოდგა, ნეკნები საშინლად სტკიოდა. ძაღლმა შეუღრინა და ხელახალი თავდასხმისთვის მოემზადა, მერე მათკენ გამოენთო. ამასობაში რონი წამოხტა და მეგობარს წინ გადაუდგა. გაავებულმა ქოფაკმა რონს მხარში წაავლო ბასრი კბილები. ჰარი ბენწვში ჩააფრინდა, მაგრამ ძაღლმა გვერდით მოისროლა და რონი ისე ადვილად წაათრია, თითქოს თოჯინა ყოფილიყოს.

მერე, სრულიად მოულოდნელად, ჰარის სახეში რაღაც დაეტაკა და წააქცია. ჰერმიონმა გამწარებით შეჰკივლა და მიწაზე გაიშხლართა.

ჰარიმ სახიდან სისხლი მოიწმინდა, ჯოხს სწვდა და დაიძახა:

– ლუმოს!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სკაბერზის დევნაში მტარვალ ტირიფს მისდგომოდნენ. ხე გაავებული იქნევდა ტოტებს, ცდილობდა, ახლოს არავინ მიეშვა.

ხის ძირას კი ძაღლი დაინახეს, ფესვებს შორს გაჩენილ ღრმა ორმოში რონს მიათრევდა. ბიჭი გაუძალიანდა, მაგრამ ძაღლმა მაინც შეათრია შიგნით.

– რონ! – შეჰყვირა ჰარიმ და მეგობარს გამოედევნა, მაგრამ ხემ მსხვილი ტოტი ავისმომასწავებლად დაუქნია და იძულებული გახდა, უკან დაეხია.

ახლა მხოლოდ რონის ფეხიღა ჩანდა, ფესვებისთვის გამოედო და ძაღლს არ ნებდებოდა. უცებ საზარელი ჭახანი გაისმა, რონს ფეხი მოსტყდა და ორმოში გაუჩინარდა.

– ჰარი!!! ვინმეს უნდა დავუძახოთ... – ჰერმიონს გაკაწრული ხელიდან სისხლი მოსდიოდა.

– არა! მაგის დრო სადა გვაქვს, სანამ ვინმე მოგვისწრებს, რონი ცოცხალი აღარ იქნება...

– დაუხმარებლად ვერაფერს გავხდებით...

გაავებული ხის ტოტები მათრახივით წუოდა ჰაერში.

– თუ ძაღლი შევიდა, ჩვენც როგორმე მოვახერხებთ, – ჰარი ცდილობდა, მოქნეული ტოტები აეცდინა, მაგრამ ერთი ნაბიჯითაც ვერ მიუახლოვდა ტირიფის ფესვებს.

– გვიშველეთ! გვიშველეთ! – აქეთ-იქით დახტოდა ჰერმიონიც.

უცებ ბო წინ გაიჭრა, ტოტებს შორის გაძვრა-გამოძვრა და წინა თათები ტირიფის რომელიღაც კოჟრს დააბჯინა.

ხე თითქოს გაქვავდა, ტოტები ჩამოუშვა. ზედ ერთი ფოთოლიც კი არ იძვროდა.

– ბო, – გაოგნდა ჰერმიონი და ჰარის მკლავში წაავლო ხელი, – კი მაგრამ, ეგ როგორ მოახერხა?

– იმ ძაღლთან მეგობრობს, – მოიღუშა ჰარი, – ერთხელ დავინახე, როგორ მისეირნობდნენ ერთად. წავედით... ჯოხი მოიმარჯვე...

სასწრაფოდ მიცვივდნენ ხესთან, მაგრამ ბომ დაასწრო და კუდის ქნევით გაუჩინარდა ფესვებში. ჰარიმ თავი სოროში შერგო და მიწაში გათხრილ გვირაბში ჩაცურდა. ბო მოშორებით იდგა, მანათობელი ჯოხის შუქზე თვალები უელავდა. ერთ წამში ჰერმიონიც ჩასრიალდა გვირაბში.

– რონი სადღაა? – გადაუჩურჩულა დაფეთებულმა.

– აქეთ! – ჰარი წელში მოიხარა და ბოს გამოუდგა.

– სად მიდის ეს გვირაბი? – სუნთქვა ეკვროდა ჰერმიონს.

– არ ვიცი, ონავრების რუკაზე აღნიშნულია, მაგრამ ფრედმა და

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჯორჯმა მითხრეს, იქ შეღწევა შეუძლებელიაო. რუკაზე ბოლომდე არაა დატანილი, მაგრამ, მე მგონი, ჰოგსმიდში მიდის...

წელში მოხრილები, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, გარბოდნენ. წინ მიმავალი ბო ხან გამოჩნდებოდა, ხან თვალს მიეფარებოდა. გვირაბი არა და არ მთავრდებოდა. ნამდვილად არ იყო „თაფლუჭში" მიმავალ გვირაბზე მოკლე. ჰარი გამუდმებით რონზე ფიქრობდა. ნეტავ, იმ საზარელმა ძაღლმა უკვე ხომ არ შეჭამაო... მოხრილს სირბილი ძალიან უჭირდა, ლამის მთელი სხეული სტკიოდა და ძლივსღა სუნთქავდა...

ბოლოს გვირაბი აღმართად გადაიქცა, მერე კი ბო მოსახვევში გაუჩინარდა. სადღაც შორს მკრთალი სინათლე გამოჩნდა. ჰარიმ და ჰერმიონმა ჯადოსნური ჯოხები მოიმარჯვეს და პატარა გამოქვაბულს მიუახლოვდნენ.

სინამდვილეში გამოქვაბული ერთი ციცქნა, ბინძური, დამტვერილი ოთახი აღმოჩნდა. კედლებს შპალერი ჩამოხეოდა, იატაკი დალაქავებულიყო, ავეჯი კი ისეთ დღეში იყო, გეგონებოდათ, ვილაცას განზრახ მიულეწიაო. ფანჯრები სქელი ფიცრებით აეჭედათ.

ჰარიმ შეშინებულ ჰერმიონს გადახედა. გოგონამ თავი დაუქნია. ჰარი შეძვრა და იქაურობა მოათვალიერა. ოთახში არავინ დაუხვდა, მარჯვენა მხარეს დერეფანში გამავალი კარი ღია დაეტოვებინათ. ჰერმიონმა ისევ ჩაავლო ბიჭს ხელი, ფანჯრებს თვალს არ აცილებდა.

– ჰარი, მე მგონი, ქოთქოთა ქოხში ვართ!

ჰარიმ მიმოიხედა. ერთი დიდი ხის სავარძელი დაინახა, ცალი ფეხი მოეტეხათ, სახელურები კი მთლად დაეგლიჯათ.

– ამას მოჩვენება ვერ იზამდა...

უცებ ზედა სართულიდან ჭრიალი გაისმა, ნაბიჯების ხმას ჰგავდა. ორივენი ჭერს მიაჩერდნენ. ჰერმიონს ისე მაგრად ჩაებღუჯა ჰარის ხელი, რომ ბიჭს თითები უკვე აღარ ემორჩილებოდა.

ჰარიმ ისევ გადახედა გოგონას. მისგან უსიტყვო დასტური მიიღო. ფეხაკრეფით გავიდნენ დერეფანში და ჭრიალა კიბეს აუყვნენ. იატაკის გარდა, ყველაფერს სქლად ედო მტვერი, იატაკზე კი გრძელ ზოლად დარჩენილიყო ნაკვალევი, თითქოს სულ ახლახან ზედ რაღაცა გაუთრევიათო. ჩაბნელებულ ბაქანს მიადგნენ.

– ნოქს, – დაიჩურჩულეს ერთდროულად და ჯოხის წვერზე მოციმციმე სინათლეები ჩაქრა. ერთადერთი კარი ღია დაუხვდათ. ნელა მიუახლოვდნენ. კარს მიღმა ვილაც იყო. გამწარებული გმინვა და კატის კრუტუნი მოესმათ. საბოლოოდ გადახედეს ერთმანეთს და თავი დაუქნიეს, შეთანხმდნენ. ჰარიმ ჯოხი ასწია და კარს წიხლი ჰკრა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ძველთაძველ, მტვერში ამოგანგლულფარდებიან საწოლზე წამოსკუპებული კატა მათ დანახვაზე ხმამაღლა აკრუტუნდა. იატაკზე რონი ეგდო, უცნაურად მოღრეცილ ფეხზე ხელები შემოეხვია.

ჰარი და ჰერმიონი მეგობარს მისცვივდნენ.

– რონ, როგორა ხარ?

– ძაღლი რა იქნა?

– რა ძაღლი, – სიმწრით დაიგმინა რონმა, – ტკივილისგან კბილებს აკრაჭუნებდა, – მახეში გავებით...

– რა თქვი?

– ძაღლი კი არა... ანიმაგუსი ყოფილა... – ჩაბნელებულ კუთხეს გახედა რონმა.

ჰარი მიტრიალდა. უცნობმა კაცმა კარი მიაჯახუნა და სიბნელიდან გამოვიდა. ჭუჭყიანი, აბურდული თმა მხრებზე ჩამოშლოდა. ღრმა, ჩაშავებული უპეებიდან თვალები უელავდა, თვალები რომ არა, ვერც კი იტყოდით, ცოცხალი ადამიანიაო. ცვილისფერი კანი სახეზე ისე გადასტკეცოდა, რომ თითოეული ძვალი უჩანდა. გაღიმებულს ჩაყვითლებული კბილები გამოუჩნდა. ჰარიმ სირიუს ბლექი იცნო.

– ექსპელიარმუს! – დასჭექა ბლექმა და მეგობრებს რონის ჯოხი მიუშვირა.

ჰარისა და ჰერმიონს ჯოხები ხელიდან გაუცვივდათ და პირდაპირ ბლექისკენ გაფრინდა. ბლექი სინათლეზე გამოვიდა, ჰარის მზერას არ აცილებდა.

– ვიცოდი, რომ მეგობრის გადასარჩენად მოხვიდოდი, – ბლექს ისეთი ხმა ჰქონდა, თითქოს კარგა ხნის განმავლობაში ხმა არ ამოელოს, – ჩემი გულისთვის მამაშენიც იმავეს გააკეთებდა. ყოჩაღ, მასწავლებლების მოსაყვანად რომ არ გაიქეცი! მადლობელი ვარ. ამით საქმე გამიადვილე...

მამის დაცინვით ხსენება ხანჯალივით დაესო გულზე ჰარის. სიძულვილით ანთებულს შიშის გრძნობა გაუქრა. ცხოვრებაში პირველად მოუნდა თავისი ჯოხი თავის დასაცავად კი არა, მოსაკლავად გამოეყენებინა... დაუფიქრებლად გავარდა წინ, მაგრამ მეგობრებმა შეაჩერეს.

უცებ რონი ალაპარაკდა:

– ჰარის მოკვლა თუ გინდათ, მაშინ ჩვენც უნდა დაგვხოცოთ! – ფეხზე წამომდგარს სახე მიტკალივით გასთეთრებოდა და თავს ძლივსღა იკავებდა, რომ არ დაცემულიყო.

ბლექს თვალებში ნაპერწკალმა გაურბინა:

– დაწექი! ფეხი უარესად გეტკინება!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ვერ გაიგეთ, რა გითხარით? – რონი ჰარის ჩაეჭიდა, – ჩვენც უნდა დაგვხოცოთ!

– ამ საღამოს აქ ერთადერთი მკვლელობა მოხდება, – ჩაეღიმა ბლექს.

– ვითომ რატომ? – ჰარი რონსა და ჰერმიონს გაუძალიანდა, – თორმეტი წლის წინ პეტიგრიუს მოსაკლავად მაგლები ხომ ამოხოცეთ?! აზკაბანში მოგაჭკვიანეს?

– ჰარი, გაჩუმდი! – აღმოხდა ჰერმიონს.

– ამან მშობლები დამიხოცა! – დაიღრიალა ჰარიმ, გააფთრებული დაუსხლტა ხელიდან მეგობრებს და წინ გაიჭრა...

ჯადოქრობა სულ არ ახსოვდა, არც ის გახსენებია, რომ ერთი ტანდაბალი და გამხდარი ცამეტი წლის ბიჭი იყო და ბლექისკენ, მასზე ბევრად მაღალი და უფროსი მამაკაცისკენ იწევდა. ერთადერთი რამ ამოძრავებდა, უნდოდა, ბლექისთვის რაიმე დაეშავებინა და თვითონ თუ რაიმე დაემართებოდა, სულ არ ედარდებოდა...

უაზრო და მოულოდნელი შეტევის ბრალი იყო თუ რაიმე სხვა მიზეზის, ბლექს ჯოხი არ გამოუყენებია. ჰარიმ ცალი ხელი გამხდარ მაჯაში წაავლო, მეორე მუშტი სახეში ჩაარტყა და ორივენი კედლისკენ გადაცვივდნენ.

ჰერმიონმა კივილი მორთო, რონმა შეჰყვირა. უცებ ბლექის ჯოხიდან თვალისმომჭრელმა ელვამ იფეთქა და ჰარის ბეწვზე ასცდა. ჰარი თითებს გამეტებით უჭერდა მაჯაზე, მეორე ხელით კი სადაც მისწვდებოდა, მუშტებს ურტყამდა.

ბლექმა თავისუფალი ხელი ყელში წაავლო და კბილებში გამოსცრა:

– ვერ მოგართვი! რამდენი ხანია, ამ წუთს ველი... – და მთელი ძალით წაუჭირა თითები.

ჰარი ახრიალდა, სათვალე გვერდით გადაუვარდა. უცებ ჰერმიონის მოქნეულ ფეხს მოჰკრა თვალი. სიმწრით აღრიალებულმა ბლექმა ჰარის ხელი გაუშვა. ამასობაში რონი ჯოხიან ხელში სწვდა.

ჰარიმ, ბოლოს და ბოლოს, თავი გაითავისუფლა და იატაკზე დაგდებული თავისი ჯოხისკენ გავარდა და უცებ... გამწარებულმა შეჰყვირა: ბრძოლაში ბოც ჩაერთო, ბიჭს ბრჭყალებით ჩააფრინდა მკლავში. ჰარიმ ძლივს მოიშორა თავიდან გამძვინვარებული კატა, მაგრამ ბო არ ცხრებოდა, ახლა ჯოხისკენ გადახტა.

– თავი დაანებე! – უღრიალა ჰარიმ და წიხლი უთავაზა, მერე ჯოხს სტაცა ხელი და რონსა და ჰერმიონს დაუყვირა: – გვერდზე გადექით!

მეგობრები წამსვე დაემორჩილნენ. ჰერმიონმა დარჩენილი ორი ჯოხი აიღო, ტუჩი გახეთქოდა და სისხლი თქრიალით მოსდიოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რონი ძლივს აბობღდა საწოლზე, სახე ერთიანად გამწვანებოდა და ტკივილისგან დაღრეცილს ფეხი ხელებით ეჭირა.

ბლექი კედელს მიყრდნობილი ეგდო, აღელვებულს მკერდი სწრაფად აუდ-ჩაუდიოდა, მისკენ მიმავალ ჰარის თვალს არ აცილებდა.

– მომკლავ, ჰარი? – ძლივსგასაგონად დაიჩურჩულა.

ჰარი თავზე დაადგა, ჯოხი არ დაუშვია, ისევ გულში უმიზნებდა. ბლექს მარცხენა თვალი დასივებოდა და ცხვირიდან სისხლი სდიოდა.

– შენ მშობლები დამიხოცე! – ხმა აუთრთოლდა ჰარის, თუმცა ჯოხი ისევ მაგრად ჩაებღუჯა.

ბლექმა თვალი თვალში გაუყარა და მშვიდად მიუგო:

– მაგას არც უარვყოფ! მაგრამ შენ ყველაფერი არ იცი...

– არ ვიცი?! – ჰარის საფეთქლებზე სისხლი მოაწვა, – ჩემი მშობლები ვოლდემორს მიჰყიდე! მეტი რაღა უნდა ვიცოდე?

– უნდა მომისმინო! – დაიჟინა ბლექმა, – ახლა თუ არ მომისმენ, მერე ინანებ... შენ არ იცი...

– იმაზე მეტი ვიცი, ვიდრე შენ გგონია! – უარესად აუთრთოლდა ხმა ჰარის, – შენ დედაჩემის საცოდავი მუდარა არ მოგისმენია! არ მოგისმენია, როგორ ევედრებოდა ვოლდემორს, შვილი არ მომიკლაო... ყველაფერი შენი ბრალია...

სანამ რაიმეს იტყოდნენ, ჰარის ბომ გაურბინა, ბლექთან მივარდა და ზედ მკერდზე დააჯდა. ბლექმა კატას დახედა:

– მომშორდი!

მაგრამ ბო კლანჭებით მანტიაში ჩაჰფრენოდა და არსადაც არ აპირებდა წასვლას. მახინჯი სახე ჰარის მიუბრუნა და დიდრონი ყვითელი თვალები მიანათა. ჰერმიონმა ამოიკვნესა.

ჰარი გაოგნებული უყურებდა ორივეს, თან ჯოხს ხელს უფრო მაგრად უჭერდა. სხვა რა გზა ჰქონდა, კატაც უნდა მოეკლა! თუ თავად ბლექის გულისთვის სიკვდილზეც თანახმა იყო, ჰარის რაღა უნდა ექნა? და თუ ბლექს კატის გადარჩენა უნდოდა, ამით კიდევ ერთხელ ამტკიცებდა, რომ ჰარის მშობლებზე მეტად ერთი კატის სიცოცხლე უღირდა.

ჰარიმ ჯოხი ასწია და მოემზადა. დადგა დრო, შური ეძია მშობლების სიკვდილისთვის. ბლექს მოკლავდა, აუცილებლად მოკლავდა, ასეთი შესაძლებლობა შემდეგ აღარ მიეცემოდა.

დრო უსაშველოდ გაიწელა, მაგრამ ჰარის ხელი გაუშეშდა, ბლექი თვალებში უყურებდა, კატა ისევ მკერდზე იჯდა. რონის გახშირებული სუნთქვა ისმოდა, ჰერმიონი ხმას არ იღებდა.

და უცებ ნაბიჯების ხმა გაისმა. პირველ სართულზე ვიღაც დადიოდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აქა ვართ! – აწივლდა ჰერმიონი, – მეორე სართულზე ვართ! ჩქარა! ჩქარა! სირიუს ბლექიც აქაა!!!

ბლექი მოულოდნელობისაგან შეხტა და კინაღამ ბო ჩამოაგდო.

ჰარიმ მაგრად ჩაბღუჯა ჯოხი, „მოკალი, მოკალი!" – კარნახობდა შინაგანი ხმა. მაგრამ ნაბიჯები თანდათან ახლოვდებოდა, ის კი გაუნ-ძრევლად იდგა.

კარები კედელს მიეხეთქა. ჰარი შემობრუნდა. ოთახში გადაფითრე-ბული პროფესორი ლუპინი შემოვარდა, ჯოხი შემართული ეჭირა, სწრაფად შეავლო თვალი საწოლზე გაშხლართულ რონს, კარებთან მიყუჟულ ჰერმიონს, ჰარის, რომელიც აკანკალებულ და ერთიანად სისხლით მოთხვრილ ბლექს თავს წასდგომოდა.

– ექსპელიარმუს! – დაიყვირა პროფესორმა. ჰარის ჯოხი ხელიდან გაუფრინდა. ჰერმიონსაც გაუვარდა ორივე ჯოხი. ლუპინმა ჯოხები ჰაერშივე დაიჭირა და ბლექს მიაშტერდა. ბო ისევ მკერდზე ეჯდა და არ შორდებოდა.

ჰარის თითქოს ძალ-ღონე გამოეცალა – მაინც ვერ შეძლო, ვერ გაბედა, ახლა ბლექს ისევ დემენტორები წაიყვანდნენ.

ლუპინი უცნაური ხმით ალაპარაკდა:

– ის სად არის, სირიუს?

ჰარი პირდაღებული მიაჩერდა პროფესორს, ვერაფერს მიხვდა. ბლექს სახე გაჰქვავებოდა, ერთხანს არ განძრეულა, მერე ნელა ასწია ხელი და რონზე ანიშნა. უარესად დაბნეულმა ჰარიმ ახლა რონს შეხედა.

– კი მაგრამ... – ლუპინი ისე დააკვირდა ბლექს, თითქოს მისი აზრე-ბის ამოცნობას ცდილობსო, – კი მაგრამ, აქამდე რატომ არ გასცა თავისი თავი? თუ... – ლუპინს თვალები გაუფართოვდა, თითქოს ისეთი რაღაც დაინახა, რასაც სხვები ვერ ხედავდნენ, – თუ... ეს ყველაფერი მან მოაწყო... შენ კი ჩემთვის არაფერი გითქვამს...

ბლექს მისთვის მზერა არ მოუცილებია, ნელა დაუქნია თავი.

– პროფესორო ლუპინ, – შეაწყვეტინა ჰარიმ, – რა ხდე... – თუმცა, უცებ ხმა ჩაუწყდა, რადგან ლუპინმა ჯოხი დაუშვა, ბლექს მიუახ-ლოვდა, ხელი შეაშველა, წამოაყენა და ძმასავით გადაეხვია. ბო იატაკზე ჩამოხტა.

ჰარის მოეჩვენა, თითქოს გულ-მუცელი ამოუტრიალდა.

– არ მჯერა! – აღმოხდა ჰერმიონს.

ლუპინი ბლექს მოშორდა და გოგონას მიუბრუნდა. ჰერმიონი წამოდგა და თვალებანთებულმა დაუყვირა:

– თქვენ... თქვენ...

– ჰერმიონ...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– თქვენ ამასთან...

– ჰერმიონ, დამშვიდდი!

– მე არავისთვის არაფერი მითქვამს, ხელს გაფარებდით...

– ჰერმიონ, მომისმინე, ძვირფასო! ყველაფერს აგიხსნი...

ჰარი აკანკალდა, თუმცა ამჯერად შიში არაფერ შუაში იყო, სიბრაზისგან კანკალებდა.

– მე თქვენ გენდობოდით! – დაუყვირა ლუპინს, – თქვენ კი მისი მეგობარი ყოფილხართ!

– ცდები, ჰარი! – უთხრა ლუპინმა, – მე და სირიუსი თორმეტი წელია, ერთმანეთის მეგობრები აღარ ვყოფილვართ, მაგრამ ახლა მეგობრები ვართ... დამაცადე, ყველაფერს აგიხსნი...

– არა! – წამოიძახა ჰერმიონმა, – ჰარი, არ დაუჯერო! ბლექს ციხეკოშკში შემოპარვაში ეხმარებოდა, მასაც შენი სიკვდილი უნდა და... თანაც... მაქციაა!!!

დაძაბული სიჩუმე ჩამოწვა. ყველანი ლუპინს მიაჩერდნენ. პროფესორი მშვიდად იდგა, თუმცა საშინლად გაფითრებულიყო.

– ჩაიჭერი, ჰერმიონ, ამჯერად სამიდან მხოლოდ ერთი გამოიცანი. სირიუსს მე არ ვეხმარებოდი და, რასაკვირველია, სულაც არ მინდა ჰარის მოკვლა... მაგრამ ვერ უარვყოფ, რომ მაქცია ვარ!

რონმა ძლივძლივობით სცადა წამოდგომა, მაგრამ ტკივილით გონდაკარგული ისევ საწოლზე დაეცა. ლუპინი შეწუხებული გაემართა მისკენ, მაგრამ რონმა შეჰყვირა:

– არ მომეკარო, მაქციავ!

ლუპინი მეხნაკრავივით შედგა, მერე თავს ძალა დაატანა და ჰერმიონს ჰკითხა:

– დიდი ხანია, მიხვდი?

– რა თქმა უნდა! პროფესორ სნეიპის დავალება რომ დავწერე.

– სნეიპს გაუხარდებოდა, – ჩაილაპარაკა ლუპინმა, – თემაც ამიტომ დაგაწერინათ, რომ რომელიმე მიმხვდარიყავით, რას ნიშნავდა ჩემი ავადმყოფობა. მთვარის რუკას ამოწმებდი და მიხვდი, რომ ჩემი ავად ყოფნა ყოველთვის სავსემთვარეობას ემთხვეოდა, არა? თუ ის გამოიცანი, რომ ჩემს დანახვაზე ბოგარტი მთვარედ გადაიქცა?

– ერთიც და მეორეც, – მიუგო ჰერმიონმა.

ლუპინმა ნაძალადევად გაიცინა.

– შენისთანა ჭკვიან გოგოს არასოდეს შევხვედრივარ, ჰერმიონ!

– ჰმ! ჭკვიანი კი არა... ჭკვიანი მაშინ ვიქნებოდი, ყველასთვის რომ მეთქვა, ვინც ბრძანდებით!

– არ იდარდო, ისედაც ყველამ იცის ჩემი ამბავი. ყოველ შემთხვევაში, მასწავლებლებმა იციან.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– დამბლდორმა იცოდა, რომ მაქცია იყავით და სამსახურში მაინც მიგიღოთ?! – გაოგნდა რონი, – რა, გაგიჟდა?!

– ზოგიერთი მასწავლებელიც ამას ფიქრობდა. დამბლდორი კარგა ხანს არწმუნებდა ყველას, რომ ჩემი ნდობა შეიძლება.

– მწარედ მოტყუებულა! – ვეღარ მოითმინა ჰარიმ, – თურმე ბლექს ეხმარებოდით!

ბლექი საწოლთან მივიდა, დაჯდა, სახე აკანკალებულ ხელებში ჩარგო. ბოც გვერდით დაუჯდა და აკრუტუნდა. რონმა მოტეხილი ფეხი ხელით გადაათრია და ორივესგან მოშორებით გადაჯდა.

– სირიუსს არ ვეხმარებოდი-მეთქი! თუ დამაცდით, ყველაფერს აგიხსნით... – ლუპინმა სამივეს თავ-თავიანთი ჯოხები გადაუგდო. ჰარი შეცბა.

– აჰა, – ლუპინმა თავისი ჯოხი შეინახა, – ახლა თქვენ გაქვთ იარაღი, ჩვენ კი – არა! ახლა მაინც მომისმინეთ!

ჰარი დაიბნა, ნუთუ ეს მორიგი ოინი იყო?

– თუ იმას არ ეხმარებოდით, – გამძვინვარებულმა ბლექს გადახედა, – საიდან იცოდით, აქ რომ იმალებოდა?

– რუკა! ონავრების რუკას ვუყურებდი ჩემს კაბინეტში!

– რუკის გამოყენება იცით? – შეეჭვდა ჰარი.

– რასაკვირველია, ვიცი, – ხელი აიქნია ლუპინმა, – ერთ-ერთი ავტორი, მთვარეულა, მე ვარ, სკოლაში ასე მეძახდნენ.

– თქვენ – ავტორი...?

– ერთი სიტყვით, ამ საღამოს რუკისთვის თვალი არ მომიშორებია. ვიცოდი, რომ რონთან და ჰერმიონთან ერთად ჰიპოგრიფის სიკვდილით დასჯამდე ჰაგრიდის მოსანახულებლად ციხე-კოშკიდან გაიპარებოდი. და მართლაც, ასე მოხდა, არა, ჰარი? – პროფესორი მოუსვენრად დააბიჯებდა წინ და უკან და ბავშვებს თვალს არ აშორებდა, – შენ, ეტყობა, მამაშენის უჩინმაჩინის მოსასხამი გეცვა.

– ეგ საიდან იცით?

– რამდენჯერ მინახავს, როგორ იხურავდა ჯეიმსი მაგ მოსასხამს და ჩემ თვალწინ უჩინარდებოდა. მაგრამ მოსასხამი ვერ გიშველიდათ, რუკაზე მაინც გამოჩნდებოდით. გაკვირდებოდით, როგორ გადაიარეთ მინდორი და ჰაგრიდის ქოხში შეხვედით. ოც წუთში იქიდან გამოხვედით და ციხე-კოშკისკენ გამოემართეთ. მაგრამ მარტონი არ იყავით, თან ვილაც გახლდათ.

– არა! – შეაწყვეტინა ჰარიმ, – არავინ არ გვახლდა!

– თვალებს არ დავუჯერე, – ლუპინი ისევ მოუსვენრად დააბიჯებდა და ჰარის ნათქვამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, – თავიდან

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მეგონა, რომ რუკა გაფუჭდა. როგორ წარმოვიდგენდი, რომ ის თქვენთან ერთად იქნებოდა.

– ჩვენთან ერთად არავინ ყოფილა, – გაუმეორა ჰარიმ.

– მერე კიდევ ერთი წერტილი დავინახე – სირიუს ბლექი, თანდათან გიახლოვდებოდათ... დავინახე, როგორ დაგეჯახათ და ორი თქვენგანი მტარვალი ტირიფისკენ წაათრია.

– ორი კი არა, ერთი! – გაბრაზდა რონი.

– არა, რონ, არ მეშლება! ორნი იყავით! – ლუპინი შეჩერდა და რონს მიუახლოვდა, – თუ შეიძლება, ერთი წუთით შენი ვირთხა მაჩვენე.

რონი შეყოყმანდა, მერე ხელი მანტიის ქვეშ შეიყო. სკაბერზმა გააფთრებით გაიბრძოლა. რონმა კუდში ჩაავლო ხელი, რომ არ გაქცეულიყო. ბო წამოხტა და ავად ასისინდა.

ლუპინი რონს მიუახლოვდა და სკაბერზს სუნთქვაშეკრული დააკვირდა.

– რა ხდება? – დაფრთხა რონი და სკაბერზი უფრო ახლოს მიუტანა, – ჩემი ვირთხა რა შუაშია?

– ეგ ვირთხა არაა! – კბილებში გამოსცრა სირიუს ბლექმა.

– რა სისულელეა... ერთი ჩვეულებრივი ვირთხაა...

– არა, რონ, – შეაწყვეტინა ლუპინმა, – ვირთხა კი არა, ჯადოქარია.

– ანიმაგუსი, – დაუზუსტა ბლექმა, – სახელად პიტერ პეტიგრიუ!

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეთვრამეტე

მთვარეულა, გრძელკუდა, მაწანწალა და ქორბუდა

ბავშვები კარგა ხანს ვერ ჩასწვდნენ ნათქვამის აზრს. უცებ რონი გამოერკვა და თქვა ის, რასაც ჰარიც ფიქრობდა:

– ორივე გაგიჟდით!

– ჰო, ნამდვილად სისულელეა! – ძლივს ჩაილაპარაკა ჰერმიონმა.

– პიტერ პეტიგრიუ დაიღუპა, თვითონ არ მოკალით თორმეტი წლის წინ?! – დაუმატა ჰარიმ.

ბლექს სახე სიძულვილით დაეღრიცა და ჩაყვითლებული კბილები გააღრჭიალა:

– ვცადე, მაგრამ მაშინ მაჯობა! ახლა კი ვერსად წამივა! – წამოდგა, ბო იატაკზე ჩამოაგდო და სკაბერზს ეცა.

– არა, სირიუს! – დაუყვირა ლუპინმა, ბლექს ხელი ჩაავლო და საწოლს მოაშორა, – მოიცა! ასე არ შეიძლება, ბავშვებმა ყველაფერი უნდა გაიგონ... უნდა ავუხსნათ...

– მერე ავუხსნით! – გააფთრებით გაიბრძოლა ბლექმა და სკაბერზს ხელი მოუქნია. ვირთხა გადარეულივით იგრიხებოდა, საშინლად ჭყიოდა. რონი სულ დაკაწრა, მაგრამ ხელიდან მაინც ვერ დაუსხლტა.

– ამათ აქვთ უფლება, ყველაფერი იცოდნენ!!! – ლუპინი ბლექს დაეჯაჯგურა, – ბოლოს და ბოლოს, რამდენი წელია, ვირთხას რონი უვლის! და თანაც ყველაფერი ბოლომდე მეც არ ვიცი! რაც მთავარია, ჰარის წინაშე ვალდებული ხარ, სირიუს!

ბლექი დაცხრა, მაგრამ სკაბერზს თვალს მაინც არ აშორებდა. რონს ის დაკბენილ, დასისხლიანებულ ხელებში მოექცია.

– კეთილი! შენი ნებაა, უთხარი, რაც გინდა, მაგრამ სწრაფად

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოვათავოთ ეს საქმე, რემუს! ამ საღამოს ის მკვლელობა უნდა ჩავიდინო, რომლისთვისაც ციხეში ჩამსვეს...

– სრულ ჭკუაზე ვერა ხართ! – რონმა ჰერმიონსა და ჰარის გადახედა, მხარი დამიჭირეთო, – მეტი აღარ შემიძლია, მივდივარ! – და წამოდგომა სცადა, მაგრამ ლუპინმა თავისი ჯოხი სკაბერზს მიუშვირა და მშვიდად უთხრა:

– არსადაც არ წახვალ, რონ! ბოლომდე მომისმენ! ოღონდ, პიტერს ხელი არ გაუშვა!

– პიტერი კი არა, სკაბერზია! – შეუყვირა რონმა და ვირთხას ჯიბეში ჩასმა დაუპირა, მაგრამ ცხოველმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლა. რონმა წონასწორობა დაკარგა, ჰარი წაეშველა და ისევ საწოლზე დააწვინა. მერე ბლექისთვის ზედაც არ შეუხედავს, ისე მიუბრუნდა ლუპინს:

– უამრავმა მოწმემ დაინახა, როგორ მოკლეს პეტიგრიუ!

– არავის დაუნახავს, რა მოხდა სინამდვილეში! – შეაწყვეტინა ბლექმა, თან რონის ხელში ასხმარტალებულ სკაბერზს მზერას არ აცილებდა.

– ყველას ეგონა, რომ პიტერი სირიუსმა მოკლა, – თავი დაუქნია ლუპინმა, – მეც ასე მეგონა, სანამ ამ საღამოს რუკას არ დავხედე. ონავრების რუკა არასოდეს ცდება... პიტერი ცოცხალია და რონს უჭირავს ხელში!

ჰარიმ რონს დახედა. ორივე ერთსა და იმავეს ფიქრობდა: ბლექი და ლუპინი შეიშალნენ, მათ ნათქვამს ჭკვიანურს ნამდვილად ვერ დაარქმევდი. როგორ შეიძლება, სკაბერზი პეტიგრიუ იყოს? ბლექი, როგორც ჩანს, აზკაბანში გაგიჟდა, მაგრამ, ნეტავ, ლუპინს რაღა დაემართა?

უცებ ჰერმიონი პროფესორ ლუპინს მიუბრუნდა და ისეთი ხმით დაუწყო ლაპარაკი, თითქოს მოუწოდებდა, გონს მოეგეთო:

– პროფესორო, ეს, უბრალოდ, შეუძლებელია, სკაბერზი პეტიგრიუ ვერ იქნება... შეუძლებელია... ხომ იცით...

– რატომაა შეუძლებელი? – ჩაეკითხა ლუპინი, გეგონებოდათ, გაკვეთილზე იყვნენ და ჰერმიონს ექსპერიმენტთან დაკავშირებით უბრალო კითხვა გაუჩნდა.

– იმიტომ, რომ... ვინმეს მაინც ეცოდინებოდა, პეტიგრიუ ანიმაგუსი რომ ყოფილიყო. ანიმაგუსები პროფესორმა მაკგონაგელმა გვასწავლა. დავალებას რომ ვწერდი, სია შევამოწმე, მაგიის სამინისტრო ხომ მკაცრად აკონტროლებს ყველა ანიმაგუსს, სიაში ყველაფერი წერია, რომელ ცხოველად შეუძლიათ გადაქცევა, მათი დამახასიათებელი ნიშნები და... პროფესორი მაკგონაგელი სიაში

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იყო. საერთოდ, ამ საუკუნეში სულ შვიდი ანიმაგუსი დაბადებულა, მაგრამ პეტიგრიუს გვარი არსადაა მოხსენიებული.

ჰარიმ გაიფიქრა, რა კარგია, რომ ჰერმიონი ასეთი ბრწყინვალე მოსწავლეაო, მაგრამ უცებ პროფესორ ლუპინს სიცილი აუტყდა.

– შენ ისევ მართალი ხარ, ჰერმიონ, მაგრამ სამინისტროში წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, რომ ჰოგვორტსში კიდევ სამი აღურიცხავი ანიმაგუსი სწავლობდა.

– რემუს, ნუ აჯანჯლებ, დროზე მორჩი მოყოლას, – შეუტია ბლექმა, მთლად გაშმაგებულ სკაბერზს ისევ არ აცილებდა თვალს, – თორმეტი წელია, ამ დღეს ვუცდი და მეტს ველარ მოვითმენ...

– კეთილი... მაგრამ შენი დახმარება დამჭირდება, სირიუს. მე მხოლოდ დასაწყისი ვიცი... – ლუპინი შეჩერდა. დერეფნიდან ჭრიალი გაისმა და ოთახის კარი თავისით გაიღო. ყველანი გაფაციცებით მიაჩერდნენ კარს, მერე ლუპინმა გარეთ გაიხედა.

– არავინ არ ჩანს...

– ამ სახლში მოჩვენებები ცხოვრობენ, – აღნიშნა რონმა.

– ცდები, ძვირფასო, – ლუპინი დაეჭვებული გაჰყურებდა კარს, – ქოთქოთა ქოხში მოჩვენებები არასოდეს ყოფილან... ჰოგსმიდელებს ჩემი ყმუილი ესმოდათ, – გაჭაღარავებული თმა შეისწორა, ერთხანს დაფიქრდა და განაგრძო: – სწორედ აქედან იწყება ყველაფერი – ერთ დღეს მაქციად გადავიქეცი. არაფერიც არ მოხდებოდა, ჩემთვის მაქციას რომ არ ეკბინა, ასეთი სულელი და თამამი რომ არ ვყოფილიყავი...

პროფესორს ჩაფიქრებული და გადაღლილი გამომეტყველება ჰქონდა. რონმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ჰერმიონმა იმწამსვე გააჩუმა. ლუპინს დაკვირვებით უცქეროდა.

– მაშინ პატარა ვიყავი, როცა დამკბინეს. ჩემმა მშობლებმა რა არ სცადეს, მაგრამ იმ დროს ასეთი წამლები არ არსებობდა. სასმელი, რომელსაც პროფესორი სნეიპი მიმზადებდა, არც ისე დიდი ხნის წინ გამოიგონეს. ამ სასმელის წყალობით არავისთვის საშიში არა ვარ. თუ სავსემთვარეობამდე ერთი კვირით ადრე დავიწყებ მის დალევას, გადაქცევის შემდეგაც არ ვკარგავ აზროვნების უნარს. სრულიად ჩვეულებრივ მგლად ვიქცევი, ჩემს კაბინეტში მშვიდად ვწევარ და ველოდები, როდის ჩავა მთვარე. სანამ მაქციის საწინააღმდეგო სასმელს გამოიგონებდნენ, თვეში ერთხელ საშინელ ურჩხულად გარდავისახებოდი ხოლმე. ჩემი ჰოგვორტსში გამოგზავნა ყველას შეუძლებლად მიაჩნდა. სხვა მოსწავლეთა მშობლები არ დაუშვებდნენ, რომ მათ შვილებთან ერთად მესწავლა. მერე დირექტორად დამბლდორი დანიშნეს, მას ძალიან შევეცოდე. ასე გადაწყვიტა: თუ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უსაფრთხოების ზომებს დავიცავთ, სკოლაში სიარული შენთვისაც შეიძლებაო... – ლუპინმა მწარედ ამოიოხრა და ჰარის თვალი თვალში გაუყარა, – გახსოვს, რომ გითხარი, მტარვალი ტირიფი იმ წელს დარგეს, როცა მე სკოლაში მოვედი-მეთქი, სინამდვილეში სულაც ჩემი გულისთვის დარგეს. ეს სახლიც და აქამდე მომავალი გვირაბიც სპეციალურად ჩემთვის აშენდა. თვეში ერთხელ ჩუმად გამაპარებდნენ ციხე-კოშკიდან, აქ მოვდიოდი და მგლად ვიქცეოდი ხოლმე. ხე გვირაბის შესასვლელთან იმიტომ დარგეს, რომ ჩვენთან ვერავინ მოსულიყო.

ჰარი ვერ ხვდებოდა, პროფესორის მონათხრობი ამ ამბავთან რა კავშირში იყო, თუმცა მთელი გულისყურით უსმენდა. ლუპინის გარდა, სიჩუმეს მხოლოდ სკაბერზის დამფრთხალი წრიპინი არღვევდა.

– საშინელი დრო იყო. მგლად გადაქცევა ძალიან მტკივნეულია, თანაც ადამიანებისგან მოშორებით ვიყავი ჩაკეტილი, ვერავის ვუკბენდი და ამიტომ თავს ვიკაწრავდი. ჰოგსმიდელებს ჩემი ყმუილი ესმოდათ და ეგონათ, საშიში მოჩვენების ხმა გვესმისო. დამბლდორმაც ხელი შეუწყო ჭორების გავრცელებას... უკვე რამდენი წელია, ამ სახლიდან ხმები აღარ ისმის, მაგრამ სოფლელები მაინც ვერ ბედავენ მოახლოებას. ერთი სიტყვით, ამ განსაცდელს თუ არ ჩავთვლით, თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობდი. ცხოვრებაში პირველად გამიჩნდა მეგობრები... სამი უახლოესი ძმაკაცი: სირიუს ბლექი... პიტერ პეტიგრიუ და, რა თქმა უნდა, მამაშენი, ჰარი, ჯეიმს პოტერი.

ცხადია, საუკეთესო მეგობრებს არ გამოჰპარვიათ, რომ თვეში ერთხელ სადღაც ვიკარგებოდი. მათ მოსატყუებლად ათასგვარ სისულელეს ვიგონებდი. ვეუბნებოდი, დედა ავად მყავს და მის მოსანახულებლად დავდივარ-მეთქი. მეშინოდა, სიმართლეს რომ გაიგებდნენ, მაშინვე არ მივეტოვებინე. ჰერმიონ, შენი არ იყოს, საბოლოოდ მათაც ყველაფერი გაარკვიეს, მაგრამ ჩემი მიტოვება აზრადაც არ მოსვლიათ. პირიქით, ისეთი რაღაც მოიფიქრეს, რომ ჩემი გარდასახვის დღეებში თავს უბედნიერეს ადამიანად ვგრძნობდი: ანიმაგუსები გახდნენ.

– მამაჩემიც? – გაოგნდა ჰარი.

– რა თქმა უნდა. სამ წელიწადს თავისუფალ დროს ამაში ხარჯავდნენ. მამაშენი და სირიუს ბლექი, საბედნიეროდ, სკოლის საუკეთესო მოსწავლეები იყვნენ. ეს რომ არა, ვინ იცის, რა მოხდებოდა, რადგან ანიმაგუსად გადაქცევა ურთულესი რამაა და, შეიძლება, სავალალო შედეგებით დასრულდეს. მაგიის სამინისტრო სწორედ ამიტომ აკონტროლებს მკაცრად ყველას, ვინც ანიმაგუსობას მოინდომებს.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პიტერს ჯეიმსი და სირიუსი დაეხმარნენ. მეხუთე კურსზე ვიყავით, როცა საბოლოოდ მიაღწიეს შედეგს და, სურვილის მიხედვით, ნებისმიერ ცხოველად შეეძლოთ გადაქცევა.

– კი მაგრამ, ეს თქვენ რაში გამოგადგათ? – გაუკვირდა ჰერმიონს.

– ადამიანები რომ ყოფილიყვნენ, ჩემთან ვერ დარჩებოდნენ, ასე რომ, ცხოველებად გადაიქცეოდნენ ხოლმე. მაქცია მხოლოდ ადამიანებს ერჩის. ჯეიმსის უჩინმაჩინის მოსასხამს მოიხურავდნენ და თვეში ერთხელ ციხე-კოშკიდან იპარებოდნენ. მერე ცხოველებად გარდაისახებოდნენ და, რადგან პიტერი ყველაზე პატარა იყო, სულ ადვილად ძვრებოდა მტარვალი ტირიფის ტოტებს შორის და საიდუმლო ადგილას დააჭერდა თათს, რის შემდეგაც ხე ტოტებს აღარ იქნევდა. მერე სამივენი გვირაბში ჩამოძვრებოდნენ და ჩემთან მოდიოდნენ ხოლმე. მათი წყალობით უფრო თვინიერი გავხდი. მართალია, სხეული მგლისა მქონდა, მაგრამ, ჩემი მეგობრების დახმარებით, ადამიანივით ვფიქრობდი.

– მოუჩქარე, რემუს! – შეუღრინა შურისძიების წყურვილით თვალებანთებულმა ბლექმა.

– ცოტაც მოითმინე, სირიუს... ახლა, როცა უკვე შეგვეძლო გარდასახვა, დიდი შესაძლებლობები გაგვიჩნდა. სულ მალე ისიც კი გავბედეთ, რომ ღამღამობით ქოთქოთა ქოხიდან გამოვდიოდით და სკოლის არემარეზე დავსეირნობდით. სირიუსი და ჯეიმსი ისეთ დიდ ცხოველებად იქცეოდნენ ხოლმე, რომ თუ საჭირო გახდებოდა, მაქციას სულ ადვილად მოერეოდნენ... რაღაც ეჭვი მეპარება, ჰოგვორტსის რომელიმე სტუდენტმა ჩვენზე უკეთ იცოდეს სკოლის შემოგარენი. მერე ონავრების რუკის შედგენა მოგვივიდა აზრად და ჩვენი ზედმეტსახელებით მოვაწერეთ ხელი. სირიუსი – მაწანწალა, პიტერი – გრძელკუდა, ჯეიმსი კი ქორბუდა იყო.

– რა ცხოველად... – წამოიწყო ჰარიმ, მაგრამ ჰერმიონმა შეაწყვეტინა:

– მაინც სახიფათო იყო! როგორია, ღამით მაქცია თავისუფლად დარბოდეს! უცებ თქვენს მეგობრებს რომ დასხლტომოდით და ვინმესთვის გეკბინათ?

– ეს აზრი ახლაც მაწუხებს, – ამოიოხრა ლუპინმა, – რამდენჯერმე კინაღამ დავიღუპეთ თავი, თუმცა მერე ამ ამბებზე გულიანად ვიცინოდით. ახალგაზრდებს არაფერი გვადარდებდა, ჩვენივე მოხერხებულობითა და ჭკუით აღფრთოვანებულები ვიყავით... ზოგჯერ დანაშაულის გრძნობა მაწუხებდა – მე ხომ დამბლდორისთვის მიცემული ფიცი დავარღვიე... მის ადგილას, სხვა დირექტორი სკოლაში არ მიმიღებდა. დამბლდორს კი ამ დროს წარმოდგენაც არ ჰქონდა,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომ მის მიერ ჩემი და სხვების უსაფრთხოების დასაცავად მოფიქრებულ წესებს ვარღვევდი. არც ის გაუგია, რომ ჩემი გულისთვის სამი მეგობარი ანიმაგუსი გახდა და თანაც, სრულიად უკანონოდ. მაგრამ სინდისის ქენჯნა იმწამსვე მავიწყდებოდა, როცა ერთად დავსხდებოდით და მომდევნო თვის გეგმებზე ვიწყებდით ფიქრს. მას მერე დიდად არ შევცვლილვარ...

ლუპინს სახე გაუქვავდა და ხმაში საკუთარი თავისადმი სიძულვილი გაერია:

– მთელი წელია, თავს ვებრძვი, ვერ გადამეწყვიტა, მეთქვა თუ არა დამბლდორისთვის, რომ სირიუსი ანიმაგუსია. მაგრამ მაინც არაფერი ვუთხარი. რატომ? იმიტომ, რომ ლაჩარი ვარ. მაშინ ისიც უნდა მეთქვა, რომ ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის დროს დავარღვიე მისთვის მიცემული პირობა და ამ საქმეში სხვებიც გავრიე... დამბლდორის ნდობა კი ჩემთვის ყველაზე ძვირფასია. ჯერ იყო და, სკოლაში მიმიღო, მერე სამუშაო მომცა, არადა, მთელი ცხოვრება წესიერ სამუშაოს ვერ ვეღირსე, რადგან მაქცია ვარ. ამიტომ თავი დავირწმუნე, რომ სირიუსი სკოლაში ვოლდემორისგან ნასწავლი ბნელი ძალების გამოყენებით შედიოდა და ანიმაგუსობა არაფერ შუაში იყო... ასე რომ, სნეიპი მთლად მტყუანი არ ყოფილა.

– სნეიპი? – ბლექმა, როგორც იქნა, თვალი მოსწყვიტა სკაბერზს და ლუპინს მიაცქერდა, – სნეიპი რა შუაშია?

– სკოლაში ასწავლის, სირიუს, პროფესორია, – ლუპინი ისევ ჰარის, რონსა და ჰერმიონს მიუბრუნდა, – სნეიპი ჩვენთან ერთად სწავლობდა ჰოგვორტსში. არაფრით არ უნდოდა, რომ მე ბნელი ძალებისგან თავდაცვის მასწავლებლად დავენიშნე. მთელ წელიწადს უჩიჩინებდა დამბლდორს, სანდო პიროვნება არ არისო. საამისოდ მიზეზიც აქვს... როგორ გითხრათ... სირიუსმა ერთხელ ოინი მოუწყო და ამ საქმეში ჩემი ხელიც ერია...

ბლექმა ირონიულად ჩაიცინა:

– სევერუსი ძალიან დაინტერესდა, სად ვიკარგებოდი თვეში ერთხელ... ჩვენი კურსელი იყო... და... ერთმანეთი დიდად არ გვეხატებოდა გულზე... სნეიპს განსაკუთრებით ჯეიმსი არ უყვარდა. მე მგონი, შურდა, ქვიდიჩში ასეთი ნიჭიერი რომ იყო... მოკლედ, ერთ საღამოს სნეიპმა დაინახა, როგორ მივყავდი მადამ პომფრის მტარვალ ტირიფთან. მაშინ სირიუსს ასეთი ხუმრობა მოუვიდა თავში, მოდით, გავერთოთ და სნეიპს ვუთხრათ, მტარვალ ტირიფს თუ მიუახლოვდები და გრძელი ჯოხით საჭირო ადგილას დააჭერ, ტოტებს აღარ მოგიქნევსო. სნეიპს ეს აზრი ჭკუაში დაუჯდა და გამომედევნა, მაგრამ გვირაბში მართლა რომ შემოეღწია, მე უკვე მაქციად გადაქცეული

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დავუხვდებოდი... საბედნიეროდ, მამაშენმა ყველაფერი გაიგონა, თავი საფრთხეში ჩაიგდო და სნეიპი გადაარჩინა... თუმცა, სნეიპმა გვირაბის ბოლოს მაინც დამინახა, მაგრამ დამბლდორმა სასტიკად გააფრთხილა, არავისთან წამოგცდესო. იმ დროიდან მოყოლებული, სნეიპმა იცოდა, რომ მაქცია ვიყავი...

– ახლა მესმის, რატომაც არ უყვარხართ სნეიპს, – ჩაილაპარაკა ჰარიმ, – ალბათ ეგონა, რომ ეს ოინი თქვენ მოუწყვეთ.

– მართალი ხარ, ჰარი! – გაისმა ცივი ხმა.

სევერუს სნეიპმა უჩინმაჩინის მოსასხამი გადაიძრო და ჯოხი ლუპინს მიუშვირა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეცხრამეტე

ლორდ ვოლდემორის მსახური

ჰერმიონმა შეჰკივლა. ბლექი ზეზე წამოიჭრა, ჰარი კი ისე შეხტა, თითქოს ტანში ელექტროდენმა დაუარაო.

– უჩინმაჩინის მოსასხამი მტარვალი ტირიფის ძირას ვიპოვე, – სნეიპმა მოსასხამი მოისროლა, ჯადოსნურ ჯოხს შიგ მკერდში უმიზნებდა ლუპინს, – გმადლობთ, პოტერ, ძალიან გამომადგა... – სუნთქვა კი ეკვროდა, მაგრამ სახეზე გამარჯვების სიხარული ეხატა, – ალბათ გიკვირთ, როგორ მოგაგენით. საღამოს თქვენს კაბინეტში შემოვედი, ლუპინ. სასმელის დალევა დაგავიწყდათ და გადავწყვიტე, თვითონ მომეტანა თქვენთვის.. ჩემდა საბედნიეროდ, ბედმა გამიღიმა... საწერ მაგიდაზე რუკა დამხვდა, თვალის ერთი შევლება და, უკვე ყველაფერი ვიცოდი, რის გაგებაც მსურდა. დაგინახეთ, როგორ გარბოდით გვირაბში, მერე კი რუკიდან გაქრით.

– სევერუს, – წამოიწყო ლუპინმა, მაგრამ სნეიპმა არ აცალა.

– რამდენჯერ მითქვამს დირექტორისთვის, რომ თქვენს ძველ მეგობარს, ბლექს ეხმარებოდით... და, აი, ახლა უკვე მაქვს დამამტკიცებელი საბუთი. მაგრამ რას წარმოვიდგენდი, თუ ისევ გაბედავდით ამ სოროში თავის შეფარებას...

– ცდები, სევერუს, – შეაწყვეტინა ლუპინმა, – შენ ყველაფერი არ მოგისმენია, ნება მომეცი, აგიხსნა... სირიუსი აქ ჰარის მოსაკლავად არ მოსულა...

– ამ საღამოს აზკაბანში კიდევ ორ ახალ პატიმარს მიიყვანენ, – სნეიპს შეშლილივით აუელვარდა თვალები, – ძალიან მაინტერესებს, როგორ შეხვდება ამ ამბავს დამბლდორი... დაბეჯითებით ამტკიცებდა, სახიფათო არ არისო... ხომ ხვდები, ლუპინ, რასაც ვგულისხმობ... მოშინაურებული მაქცია...

– რა სულელი ხარ! – თბილად გაუღიმა ლუპინმა, – სკოლიდან

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გამოყოლილი სიძულვილის გამო უდანაშაულო ადამიანი აზკაბანში გინდა დააბრუნო?

ბახ! – სნეიპის ჯოხიდან წვრილი, გველების მსგავსი თოკები გამოსრიალდა და ლუპინს პირზე, მაჯებსა და კოჭებზე შემოეხვია. ხელფეხშებორკილი ლუპინი იატაკზე დაეცა. ბლექმა დაიღრიალა და წინ გაიჭრა, მაგრამ სნეიპმა ჯოხი შუბლში დაუმიზნა და კბილებში გამოცრა:

– ოღონდ მომიახლოვდი, მეც ეს მინდა! გეფიცები, მოგკლავ!

ჰარი გაქვავებულივით იდგა და თვალებს არ უჯერებდა. რონსა და ჰერმიონს გადახედა. რონიც დაბნეული ჩანდა, ასხმარტალებულ სკაბერზს ძლივს აკავებდა. ჰერმიონი კი სნეიპს ნელა მიუახლოვდა და აღელვებულმა წაილუღლუღა:

– პროფესორო, მოვუსმინოთ, რის თქმა უნდათ, ამით ხომ არაფერი დაშავდება...

– მის გრეინჯერ, სკოლიდან გარიცხვა ისედაც არ აგცდებათ, – შეუბღვირა სნეიპმა, – თქვენ კი, პოტერ და უისლი, მთლად აიშვით თავი, მკვლელსა და მაქციასთან მეგობრობთ. ასე რომ, ძვირფასო მის, თუ შეიძლება, ახლა მაინც გაჩუმდით!

– კი მაგრამ... თუ შეცდომას...

– ენა ჩაიგდე-მეთქი, სულელო ბავშვო! – მოთმინება დაეკარგა სნეიპს, – რაც არ გესმის, ნუ ლაპარაკობ! – ბლექისკენ მიშვერილი ჯოხის ბოლოდან ნაპერწკლები გადმოცვივდა.

ჰერმიონი გაჩუმდა.

– ო, რა ტკბილია შურისძიება! – ხმა ჩაეხრინწა სნეიპს, – როგორ მინდოდა, მე თვითონ ჩამეგდე ხელში!

– ამჯერადაც გასულელდები, სევერუს. თუ ეს ბიჭი თავის ვირთხას ციხე-კოშკში წაიყვანს, ვერაფერი შემაჩერებს, ისევ დავბრუნდები...

– ციხე-კოშკშიო? – ჩაეღიმა სნეიპს, – ასე შორს რა გვინდა? გვირაბიდან ამოვალთ თუ არა, მაშინვე დავუძახებ დემენტორებს. ო, როგორ გაუხარდებათ შენი დანახვა... იმდენად გაუხარდებათ, რომ სიამოვნებით გაკოცებენ...

ბლექს ისედაც უფერული სახე უარესად გაუფითრდა.

– უნდა მომისმინო, – უნუგეშოდ ამოიხრიალა ბლექმა, – აბა, ერთი იმ ვირთხას შეხედე...

სნეიპს თვალები ისე უელავდა, ჰარიმ გაიფიქრა, უთუოდ ჭკუიდან გადაცდაო.

– ბევრს ნუ მალაპარაკებთ, ყველანი გარეთ გაბრძანდით, – ბრძანა სნეიპმა, თითები გაატკაცუნა და ლუპინის თოკის ბოლოები მუჭში მოიქცია, – მაქციას მე წავათრევ, დემენტორები არც მაგისთვის დაიშურებენ კოცნას...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარი დაუფიქრებლად გახტა წინ და კარებში ჩადგა.

– გზიდან ჩამომეცალე, პოტერ! საქმე ისედაც ცუდად გაქვს! მე რომ არ გადამერჩინე...

– პროფესორო, ლუპინს წელს ბევრჯერ შეეძლო ჩემი მოკვლა! მასთან მარტო ხშირად დავრჩენილვარ, დემენტორებისაგან თავდაცვას მასწავლიდა. თუ ბლექს მართლა ეხმარებოდა, თვითონ რატომ არ მომკლა?

– მეტი საქმე არა მაქვს, იმაზე ვიჭყლიტო ტვინი, რა უდევს მაქციას თავში! – შეუტია სნეიპმა, – გზიდან ჩამომეცალე-მეთქი, პოტერ!

– სულელურად იქცევით! – შეუყვირა ჰარიმ, – ერთხელ ოინი მოგიწყვეს სკოლაში და ამიტომ მათი მოსმენაც კი არ გინდათ.

– ხმა ჩაიწყვიტე! როგორ მიბედავ! – გაცოფდა სნეიპი, – ნამდვილად მამაშენის შვილი ხარ! სიკვდილს გადაგარჩინე, მუხლებს უნდა მიკოცნიდე! ნეტავ, მოეკალი, ასეც მოგიხდებოდა! მამაშენივით მოკვდებოდი! მეტისმეტად ამაყი იყო და ვერ დაიჯერა, რომ ბლექის ნდობა არ შეიძლებოდა... გიმეორებ, გზიდან ჩამომეცალე, პოტერ!

ჰარიმ წამის მეასედში მიიღო გადაწყვეტილება. სანამ სნეიპი ნაბიჯის გადმოდგმას მოასწრებდა, ჯოხი ამოიღო და დაუყვირა:

– ექსპელიარმუს!

რონმა და ჰერმიონმაც, თითქოს წინასწარ შეთანხმდნენო, იგივე შელოცვა გაიმეორეს.

ძლიერი აფეთქების ხმა გაისმა, კარი საზარლად აჭრიალდა, სნეიპი ჰაერში აიჭრა, კედელს შეასკდა და გულწასული დაეხეთქა იატაკს, გატეხილი თავიდან სისხლმა იფეთქა. ჯოხი გადაფრინდა და ბოს გვერდით, საწოლზე დაეცა.

– ეს არ უნდა გაგეკეთებინა, – კოპები შეიკრა ბლექმა, – მე თვითონ მივხედავდი...

ჰარიმ ბლექს თვალი მოარიდა, ბოლომდე მაინც არ იყო დარწმუნებული, რომ სწორად მოიქცა.

– მასწავლებელს დავესხით თავს... მასწავლებელს... – დაიკვნესა ჰერმიონმა და მკვდარივით გაშოტილ სნეიპს დააცქერდა, – რა გვეშველება?..

ბლექი დაიხარა და ლუპინს თოკები შეუხსნა. ლუპინმა ნატკენი მაჯები მოისრისა და ჩაილაპარაკა:

– გმადლობ, ჰარი!

– მე ჯერ არ მითქვამს, რომ გენდობით!

– მაშინ დროა, დაგიმტკიცოთ! – უთხრა ბლექმა და რონს მიუტრიალდა, – ბიჭო, პიტერი მომაწოდე!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რონმა სკაბერზი გულში ჩაიხუტა.

– კარგი რა... რა სისულელეა, ესე იგი, აზკაბანიდან მხოლოდ იმიტომ გამოიქეცით, რომ ჩემი სკაბერზი მოგეკლათ? – რონი ჰარისა და ჰერმიონს თვალებით სთხოვდა შველას, – დავუშვათ, პეტიგრიუს მართლა შეეძლო ვირთხად გადაქცევა, მაგრამ თქვენ ხომ აზკაბანში იყავით გამომწყვდეული და საიდან იცოდით, რომელი ვირთხა უნდა მოგეკლათ? რაღა მაინცდამაინც ჩემი სკაბერზი...

– ჰო, მეც ეგ მაინტერესებს, სირიუს, – შეეჭვდა ლუპინი, – როგორ გაარკვიე, სად იმალებოდა პეტიგრიუ?

ბლექმა უზარმაზარი ხელი მანტიის ქვეშ შეიყო, დაჭმუჭნილი ქაღალდის ნაგლეჯი გამოიღო და დანარჩენებს გაუწოდა.

ეს იყო შარშანდელი ფოტო „დილის მისნიდან“, რომელზეც რონი და მისი ოჯახი გადაეღოთ. რონს მხარზე სკაბერზი ეჯდა.

– გაზეთი ვინ მოგცა? – გაშტერდა ლუპინი.

– ფაჯმა, – შარშან აზკაბანის შესამოწმებლად შემოიარა და ეს გაზეთი მაჩუქა. უცებ პიტერი დავინახე, ამ ბიჭს მხარზე შემოსკუპებოდა... ეგრევე ვიცანი... განა ერთხელ და ორჯერ მინახავს, როგორ იქცეოდა ხოლმე ვირთხად!.. სტატიაში ეწერა, ეს ბიჭი ჰოგვორტსში სწავლობსო... ჰარისთან ერთად...

– ღმერთო ჩემო, – ლუპინი ხან ცოცხალ სკაბერზს აკვირდებოდა, ხან კი – სურათს, – წინა თათზე შეხედეთ...

– ასეთი რა სჭირს ვითომ? – გამომწვევად ჩაეკითხა რონი.

– ერთი თითი აკლია... – თქვა ბლექმა.

– ცხადია, – გონება გაუნათდა ლუპინს, – რა ჭკვიანურად მოიფიქრა, რა მარტივად და რა ჭკვიანურად. თვითონ მოიჭრა?

– ჰო, სანამ ვირთხად გადაიქცეოდა, – დაუდასტურა ბლექმა, – როცა კუთხეში მივიმწყვდიე, მთელი ქუჩის გასაგონად აყვირდა, ლილისა და ჯეიმსს უღალატეო. სანამ შელოცვას მოვასწრებდი, ზურგს უკან ჩამალული ჯოხით ქუჩა ააფეთქა და სამოცი მეტრის სიახლოვეზე ვინც იდგა, ყველა დახოცა. მერე, სხვა ვირთხებთან ერთად, საკანალიზაციო მილში ჩაძვრა...

– რონ, ნუთუ არ გაგიგია, რომ იმ აფეთქების შემდეგ პიტერისგან ერთი თითის მეტი არაფერი დარჩა?!

– იცით, რას გეტყვით, სკაბერზმა ალბათ ვირთხებთან იჩხუბა! რამდენი წელია, უკვე ჩემს ოჯახში ცხოვრობს...

– თორმეტი, – დაუზუსტა ლუპინმა, – არასოდეს გაგკვირვებია, ამდენ ხანს როგორ იცოცხლა?

– კ-კ-კარგად ვუვლიდით, – ხმა აუკანკალდა რონს.

– თუმცა, ახლა მაინცდამაინც კარგად ვერ გამოიყურება, არა?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დარწმუნებული ვარ, მას შემდეგ, რაც ბლექის გაქცევა შეიტყო, წონაში დაიკლო...

– იმ გადარეული კატის ეშინოდა, – რონმა საწოლზე მოკალათებული ბოსკენ გადაიქნია თავი.

ჰარის უცებ გაუელვა თავში, რომ რონი სიმართლეს არ ამბობდა... სკაბერზი ბოსთან შეხვედრამდეც ვერ იყო ჯანმრთელად... მას შემდეგ, რაც რონი ეგვიპტიდან დაბრუნდა... მას შემდეგ, რაც ბლექი აზკაბანიდან გაიქცა...

– ეს კატა სულაც არაა გადარეული, – ბლექმა გაძვალტყავებული ხელი ბოს ფუმფულა თავზე გადაუსვა, – გადარეული კი არა, ასეთი ჭკვიანი კატა ჩემს დღეში არ მინახავს. ეგრევე მიხვდა, ვინ იყო პიტერი, და ჩემს დანახვაზეც იაზრა, რომ ძაღლი არ ვიყავი. თუმცა, თავიდან არ მენდობოდა. ბოლოს შევაგნებინე, რაც მინდოდა, და მას მერე სულ მეხმარებოდა...

– რას გულისხმობთ? – გაოგნდა ჰერმიონი.

– რამდენჯერმე სცადა ჩემთან პიტერის მოყვანა, მაგრამ არ გამოუვიდა. მერე ჩემი გულისთვის გრიფინდორის პაროლებიც კი მოიპარა. როგორც ვხვდები, ერთ-ერთ მოსწავლეს მოჰპარა...

ჰარი სულ დაიბნა, გონება დაეძაბა... საკუთარ ყურებს არ უჯერებდა, ან კი ასეთი სისულელე რა დასაჯერებელი იყო...

– პიტერი კი მიხვდა, რომ საფრთხე ელოდა და გაიქცა. შენმა კატამ მითხრა, პიტერმა ლოგინში სისხლის ნაკვალევი დატოვაო. ალბათ თვითონ დაიკბინა თავი. ისევ ნაცადი ხერხი იხმარა და მეორედაც ყველა დააჯერა, ვითომ მოკვდა.

ჰარის გონება გაუნათდა:

– მერედა, რატომ გაითამაშა საკუთარი სიკვდილი? იმიტომ, რომ, იცოდა, ჩემი მშობლებივით მასაც მოკლავდი!

– არა, ჰარი... – ჩაერია ლუპინი.

– ახლა კი გინდათ, საბოლოოდ გაუსწოროთ ანგარიში!

– სწორედ რომ მაგას ვაპირებ! – ბლექმა ავისმომასწავებლად გადახედა სკაბერზს.

– სნეიპისთვის ხელი არ უნდა შემეშალა! – დაუყვირა ჰარიმ.

– ჰარი, ნუთუ ვერ ხვდები? – ისევ ჩაერია ლუპინი, – ყველანი დარწმუნებულები ვიყავით, რომ შენს მშობლებს სირიუსმა უღალატა, პიტერმა კი მას მიაგნო... თუმცა, სინამდვილეში ყველაფერი პირიქით მოხდა, პიტერმა გასცა შენი მშობლები, სირიუსმა კი...

– ტყუილია! – გაშმაგდა ჰარი, – მესაიდუმლე ბლექი იყო! სანამ თქვენ მოხვიდოდით, თვითონვე აღიარა, რომ ჩემი მშობლები დახოცა!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბლექმა თავი გააქნია, ჩამქრალი თვალები უცებ აუელვარდა:

– ჰარი... ყველაფერი ჩემი ბრალია... ბოლო წუთს ლილი და ჯეიმსი დავარწმუნე, ჩემ მაგივრად პიტერი აეყვანათ მესაიდუმლედ... ვიცი, რომ მე ვარ დამნაშავე... იმ ტრაგედიის ღამეს პიტერი მოვინახულე, მინდოდა, დავრწმუნებულიყავი, რომ უსაფრთხოდ იყო, მაგრამ იქ მისულს სამალავში აღარ დამხვდა. თუმცა, იქაურობა არეულ-დარეული სულაც არ იყო. გულმა რეჩხი მიყო... შემეშინდა... იმწუთასვე შენი მშობლების სახლისკენ გავეშურე და როცა სახლი გადაბუგული, შენი მშობლები კი დახოცილები დამიხვდნენ, მივხვდი, რაც ჩაიდინა. ჩემი ბრალია... – ბლექს სიტყვა გაუწყდა და მიტრიალდა.

– საკმარისია! – ლუპინს უჩვეულოდ გაუმკაცრდა ხმა, – ამ ყველაფრის დასამტკიცებლად ერთადერთი გზა არსებობს. რონ, ვირთხა მომაწოდე!

– რას უპირებთ? – შეშფოთდა რონი.

– ვაიძულებ, ისევ ადამიანად გადაიქცეს. თუ ნამდვილი ვირთხაა, მაშინ არაფერი ეტკინება!

რონი შეყოყმანდა, მერე სკაბერზი ლუპინს გადასცა. ვირთხამ გამწარებით გაიბრძოლა, საშინლად აჭყივლდა და თვალები გადმოკარკლა.

– მზადა ხარ, სირიუს?

ბლექმა საწოლიდან სნეიპის ჯოხი აიღო და ლუპინს მიუახლოვდა. თვალები სიძულვილით უელავდა.

– ერთად?

– ჰო, ეგრე აჯობებს, – ლუპინმა ცალი ხელი სკაბერზს მოუჭირა, მეორე ხელით კი ჯოხი შემართა: ერთი, ორი, სამი!

უცებ ორივე ჯოხის წვერიდან თვალისმომჭრელი ცისფერი სინათლე გამოიჭრა, სკაბერზი წამით ჰაერში შეხტა, საზარლად გაიკლაკნა და იატაკს დაენარცხა. რონმა შეჰყვირა.

ისევ გაიელვა და უცებ...

თითქოს შენელებულ კადრს უყურებდნენ: ვირთხას ჯერ თავი გაუდიდდა, მერე კიდურები გამოეზარდა და თვალის დახამხამებაში სკაბერზის ადგილას კაცი გაჩნდა, რომელიც შიშისგან ძრწოდა და ხელებს იგრეხდა. ბოს ბეწვი აეფოფრა, საწოლზე შემხტარი ასისინდა და აჩხავლდა.

უცნობი კაცი ჰერმიონსა და ჰარიზე ოდნავ მაღალი თუ იქნებოდა. უფერული, გაზინტლული თმა ალაგ-ალაგ გასცვენოდა. ერთი შეხედვითაც მიხვდებოდი, რომ ერთ დროს მსუქანს სწრაფად დაეკლო წონაში და სხეული მომჩვაროდა. კანი, სკაბერზის ბეწვისა არ იყოს, ბინძური ჰქონდა და პაჭუა ცხვირითა და მძივივით

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წვრილი თვალებით მართლაც ვირთხას ჩამოჰგავდა. იქაურობას შეშფოთებული მზერა მოავლო. ჰარის არ გამოჰპარვია, როგორ გახედა კარს.

– გამარჯობა, პიტერ, – ისე ჩვეულებრივად მიესალმა ლუპინი, თითქოს ვირთხის გადაქცევა სკოლის ამხანაგად ჩვეულებრივი ამბავი ყოფილიყოს, – საუკუნეა, არ შევხვედრივართ!

– ს-სირიუს... რ-რემუს... – პეტიგრიუს ხმაც ვირთხასავით წრიპინა ჰქონდა, თვალები ისევ კარისკენ გააპარა, – მეგობრებო... ჩემო ძვირფასო მეგობრებო...

ბლექმა ჯოხი აღმართა, მაგრამ ლუპინმა მაჯაში წაავლო ხელი, თვალებით ანიშნა, ფრთხილად ყოფილიყო, ისევ პეტიგრიუს მიუბრუნდა და, ვითომ აქ არაფერიაო, ჩვეულებრივი ხმით განაგრძო:

– პიტერ, ახლახან სწორედ ლილისა და ჯეიმსის სიკვდილზე ვლაპარაკობდით. შენ ისეთი ხმით გასჭყიოდი, რომ ალბათ არაფერი გაგიგია...

– რემუს, – პიტერს ხმა აუთრთოლდა და სახე ოფლით დაეცვარა, – შენ ხომ არ გჯერა მისი. ჩემი მოკვლა უნდა, რემუს.

– ჰო, ვიცი, ეგ ამბავი მოსმენილი მაქვს, – ცივად შეაწყვეტინა ლუპინმა, – მაგრამ რაღაც-რაღაცეები მაინც გასარკვევია, პიტერ, თუ შეიძ...

– ისევ ჩემი მოკვლა უნდა! – დაიჭყივლა პეტიგრიუმ და ბლექს შუა თითი მიუშვირა, რადგან საჩვენებელი თითი არ ჰქონდა, – ლილი და ჯეიმსი ხომ დახოცა, ახლა კი ჩემი მოკვლაც უნდა... უნდა დამეხმარო, რემუს...

ბლექმა სიძულვილით შეხედა პეტიგრიუს, რომელიც ახლა კიდევ უფრო გამხდარ-გაძვალტყავებული ჩანდა.

– არავინ მოგკლავს, სანამ ყველაფერს არ გავარკვევთ, – დაამშვიდა ლუპინმა.

– რა უნდა გავარკვიოთ?! – სასოწარკვეთილი ხმით აღმოხდა პეტიგრიუს, კიდევ ერთხელ მოავლო თვალი აჭედილ ფანჯრებსა და კარს, – ვიცოდი, რომ ჩემ მოსაკლავად დაბრუნდებოდა! თორმეტი წელია, ამისი მეშინია!

– როგორ, შენ იცოდი, რომ სირიუსი აზკაბანიდან გაიქცეოდა? – მოიღუშა ლუპინი, – კი მაგრამ, მანდედან ხომ ჯერ არავინ გაქცეულა!

– სირიუსი ბნელ ძალებს ემსახურება! ვერც კი წარმოიდგენ, რა შეუძლია! – გამყივანი ხმით შესძახა პეტიგრიუმ, – აბა, გაქცევა როგორ მოახერხა? ალბათ ვისი-სახელიც-არ-ითქმის, ის დაეხმარა!

ბლექმა საზარლად გადაიხარხარა:

– შენი აზრით, ვოლდემორი მეხმარებოდა?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პეტიგრიუ ისე მოიკუნტა, თითქოს ბლექს მისთვის მათრახი მოექნიოს.

– რა იყო, ძველი მბრძანებლის სახელმა შეგაშინა? მშვენივრად მესმის შენი, პიტერ, მის მომხრეებს გულზე დიდად არ ეხატები, არა?

– ვერ მიგიხვდი, სირიუს, – პეტიგრიუს გული გამალებით უცემდა და ცივ ოფლს ასხამდა.

– ეს თორმეტი წელი მე კი არა, ვოლდემორის მომხრეებს ემალებოდი! აზკაბანში მოვისმინე... ყველას ჰგონია, რომ მკვდარი ხარ, პიტერ, თორემ აუცილებლად მოგთხოვდნენ პასუხს... ბევრჯერ მომისმენია, რას ყვიროდნენ ძილში. როგორც გავიგე, ეჭვი აქვთ, რომ მოღალატემ მათაც უღალატა. ვოლდემორს ხომ პოტერების სამყოფელი შენ მიასწავლე... იქ კი საშინელი მარცხი იწვნია. სხვათა შორის, რომ იცოდე, ვოლდემორის ყველა მომხრე არ ზის აზკაბანში, ბევრი მათგანი დღესაც თავისუფლად დაიარება, ხელსაყრელ დროს უცდის და თავს იკატუნებს, ვითომ საკუთარ შეცდომებს ინანიებს... ო, პიტერ, ნეტავ აცოდინათ, რომ ცოცხალი ხარ და...

– არ მესმის... რას მიედ-მოედები, – შეაწყვეტინა პეტიგრიუმ, გაოფლილი სახე სახელოთი მოიწმინდა და ლუპინს ახედა, – რემუს, შენ ხომ არ გჯერა ეს ნაბოდვარი...

– მინდა, გითხრა, პიტერ, რომ ცოტა არ იყოს, მიკვირს, რაში დასჭირდა უდანაშაულო ადამიანს თორმეტი წელი ვირთხად ყოფნა, – აუღელვებლად მიუგო ლუპინმა.

– უდანაშაულო ვარ, მაგრამ შემეშინდა! – აღშფოთდა პეტიგრიუ, – და თუ ვოლდემორის მომხრეები მე დამეძებენ, ეს იმიტომ, რომ ერთ-ერთი მათგანი ციხეში გავისტუმრე! სირიუსი ვოლდემორის ჯაშუშია!

ბლექს სახე მოეღრიცა და არაადამიანური ხმით დაუღრიალა:

– როგორ მიბედავ! მე ვარ ვოლდემორის ჯაშუში?! როდისმე თუ გახსოვს, რომ ჩემზე ძლიერ ადამიანებს ველაქუცებოდი?! მაგრამ შენ, პიტერ... რატომ თავიდანვე ვერ მივხვდი, რომ ჯაშუში იყავი! ყოველთვის გიყვარდა შენზე ძლიერი მეგობრები, რომელთაც შენი დაცვა შეეძლოთ! ჩვენთანაც ხომ მაგიტომ მეგობრობდი, ჩემთან, რემუსთან და... ჯეიმსთან...

პეტიგრიუმ ისევ მოიწმინდა სახე, სუნთქვა ისე უჭირდა, ლამის იხრჩობოდა.

– მე ვარ ჯაშუში?! სულ გაგიჟდი... ამას არასოდეს არ... როგორ კადრულობ...

– ლილიმ და ჯეიმსმა მესაიდუმლედ მხოლოდ იმიტომ აგირჩიეს,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომ მე ვურჩიე, – შეულრინა ბლექმა, დამფრთხალმა პეტიგრიუმ უკან დაიხია, – მეგონა, ყველაფერი იდეალურად გავთვალე... ბლეფი იყო... ვოლდემორი აუცილებლად ჩემზე აიღებდა ეჭვს, შენისთანა უნიჭოსა და სუსტზე არასოდეს იფიქრებდა... შენს საცოდავ ცხოვრებაში ალბათ ყველაზე დიდებული მომენტი დაგიდგა და მაშინვე ვოლდემორს ჩაუკაკლე ყველაფერი!

პეტიგრიუ რაღაცას გაუგებრად ბუტბუტებდა, ჰარიმ მხოლოდ რამდენიმე სიტყვა გაარჩია: „რა სისულელეა!“ „რას ბოდავს!“, მაგრამ სახე მთლად თაგვისფერი გახდომოდა და თვალიც ისევ კარ-ფანჯრისკენ გაურბოდა.

– პროფესორო ლუპინ, შეიძლება... შეიძლება, რაღაც გკითხოთ? – მოკრძალებით მიმართა ჰერმიონმა.

– რა თქმა უნდა, ჰერმიონ, – მიუგო ლუპინმა.

– სკაბერზს... უფრო სწორად, ამ კაცს, სამი წელია, ჰარის საწოლ ოთახში სძინავს. თუ მართლა ჩვენ-რომ-ვიცით, იმის მსახურია, აქამდე რატომ არაფერი დაუშავა?

– მართალია! – იმედი გაუჩნდა პეტიგრიუს, – გმადლობ, გოგონა! ახლა მაინც ვერ ხვდები, რემუს? ჰარისთვის არაფერი დამიშავებია! ამას როგორ ახსნი?

– ახლავე აგიხსნი! – ჩაერია ბლექი, – იმიტომ, რომ გამორჩენის გარეშე არასოდეს არაფერს აკეთებდი! ვოლდემორი უკვე თორმეტი წელია, იმალება, ამბობენ, ცოცხალმკვდარიაო. შენ კი ალბუს დამბლდორის ცხვირწინ მკვლელობას ნამდვილად არ ჩაიდენდი იმის გულისთვის, ვინც ძალაუფლება დაკარგა! თუ დარწმუნებული არ იქნებოდი, რომ ყველაზე მაგარ ბიჭს ემსახურები, ხელსაც არ გაანძრევდი. სხვა რაში დაგჭირდა ჯადოქრების ოჯახში ყოფნა? არ გინდოდა, რაიმე გამოგპარვოდა, არა, პიტერ?! თუ შენი მფარველი ისევ დაიბრუნებდა ძალაუფლებას, მაშინვე დაუბრუნდებოდი...

პეტიგრიუმ რაღაცის სათქმელად რამდენჯერმე დააღო პირი, მაგრამ ისევ დამუწა, სიტყვებს ვერ პოულობდა.

– ჰმ!.. ბატონო ბლექ... სირიუს... – გაუბედავად წამოიწყო ჰერმიონმა.

ბლექი მოულოდნელობისგან შეხტა, როგორც ჩანს, ასეთ თავაზიან მიმართვას გადაჩვეული იყო.

– თუ შეიძლება, რაღაც უნდა გკითხოთ... ბნელ ძალას თუ არ ფლობთ, როგორ გამოიქეცით აზკაბანიდან?

– გმადლობ, გოგონა, – პეტიგრიუმ მოწონების ნიშნად თავი დაუქნია, – დიახაც! მეც ეგ უნდა მეკით...

ლუპინმა მკაცრად გადახედა და გააჩუმა. ბლექი მოღუშული

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მიაჩერდა ჰერმიონს, მაგრამ არ გაბრაზებულა, უფრო იმაზე ფიქრობდა, რა ეპასუხა.

– არ ვიცი, ეგ როგორ მოვახერხე. მე მგონი, ერთადერთი მიზეზი, რატომაც ჭკუიდან არ შევიშალე, ის იყო, რომ ჩემს უდანაშაულობაში ღრმად ვიყავი დარწმუნებული და გამუდმებით ამაზე ვფიქრობდი. ეს კი ბედნიერი მოგონება ნამდვილად არაა, ამიტომაც დემენტორებმა ვერ ამომაცალეს... როგორც გითხარით, გამუდმებით ამაზე ვფიქრობდი და ერთი წუთითაც არ მოვდუნებულვარ... არც ძალა დამიკარგავს... ბოლოს უკვე იმდენი შევძელი, რომ ძაღლად გადაქცევა მოვახერხე. დემენტორებს მხედველობა არა აქვთ, ადამიანებს მათი გრძნობების საშუალებით აგნებენ... ალბათ გრძნობდნენ, რომ ჩემი გრძნობები სულ უფრო ნაკლებად ჰგავდა ადამიანისას, რადგან ძაღლად გადავიქეცი. თუმცა, თავი დიდად არ შეუწუხებიათ, რადგან ეგონათ, რომ სხვა პატიმრების მსგავსად, მეც ჭკუიდან ვიშლებოდი. მაგრამ მაინც ძალიან დავსუსტდი და უკვე იმედი მქონდა გადაწურული, რომ უჯოხოდ მათ თავიდან მოშორებას შევძლებდი... მერე უცებ პიტერის სურათი დავინახე... და შევიტყვე, რომ ჰოგვორტსში იყო, ჰარისთან ახლოს... საკმარისი იყო, ბნელი ძალების აღზევების ამბავი შეეტყო, ჰარის აღარ აცოცხლებდა...

პეტიგრიუ თავს აქნევდა, მაგრამ ბლექს მონუსხულივით მისჩერებოდა.

– ...როგორც კი დამხმარეების იმედი გაუჩნდებოდა, უკან არ დაიხევდა... და პოტერების გვარის უკანასკნელ წარმომადგენელს მათ მიუყვანდა. ასეთი საჩუქრის შემდეგ კი ვინღა დააბრალებდა, ლორდ ვოლდემორს უღალატეო?! დიდი პატივით მიიღებდნენ თავიანთ რიგებში... ერთი სიტყვით, გულხელდაკრეფილი ჯდომა არ შემეძლო, მე ხომ ერთადერთი ვიყავი, ვინც იცოდა, რომ პიტერი არ მომკვდარა.

ჰარის მოაგონდა, როგორ უთხრა ბატონმა უისლიმ ცოლს: „მცველები ამბობენ, ძილში სულ ერთსა და იმავეს გაიძახისო: „ის ჰოგვორტსშია...“

– თითქოს გულში ცეცხლი ამიგიზგიზდა და დემენტორები უკვე ვერაფერს დამაკლებდნენ, რადგან ამ ფიქრს ჩემთვის ბედნიერება არ მოუტანია... შეპყრობილივით ვიყავი, მაგრამ ეს ერთადერთი ფიქრი ძალას მმატებდა და მოდუნების საშუალებას არ მაძლევდა. ერთ საღამოს, როცა ჩვეულებრივად გააღეს საკნის კარი და საჭმელი შემომიტანეს, ხელიდან გავუსხლტი ძაღლად გადაქცეული... დემენტორებს ცხოველების გრძნობების აღქმა უჭირთ და ამიტომაც დაიბნენ... მე ისეთი გამხდარი ვიყავი, რომ გისოსებს შორის თავისუფლად გავაღწიე... მერე ზღვა გადავცურე... მას შემდეგ ტყეში

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვცხოვრობ... ერთხელ ქვიდიჩის მატჩზე მოვედი მხოლოდ... ჰარი, შენ მამაშენივით კარგად თამაშობ... – ბლექმა ჰარის შეხედა. ამჯერად ბიჭს მისთვის მზერა არ აურიდებია, – ჰარი, გთხოვ, დამიჯერე, შენი მშობლებისთვის არასოდეს მიღალატია. მაგას სიკვდილი მერჩივნა!

ჰარი, როგორც იქნა, დარწმუნდა, თუმცა ვერაფერი თქვა და მხოლოდ თავი დაუქნია.

– არ არის მართალი! – პეტიგრიუ მუხლებზე დაეცა, რადგან ჰარის უსიტყვო თანხმობა მისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანას ნიშნავდა. მერე დაჩოქილი გაბობღდა ბლექისკენ და ხელები მლოცველივით აღაპყრო.

– სირიუს... მე შენი მეგობარი ვარ... პიტერი, სირიუს! შენ არასოდეს...

ბლექმა წიხლი გაჰკრა. პეტიგრიუ იატაკზე გაიშხლართა.

– ჩემი მანტია ისედაც ბინძურია და ნუ მეხები!

– რემუს! – ახლა ლუპინის ფერხთით გაიკლაკნა პიტერი, – შენ ხომ არ გჯერა... სირიუსი ხომ გეტყოდა, გეგმა რომ შეიცვალა...

– არაფერსაც არ მეტყოდა, თუ ჯაშუში ვეგონე, – მიუგო ლუპინმა, – ახლა ვხვდები, რატომაც არ მითხარი არაფერი, სირიუს.

– მაპატიე, რემუს!

– არა გრცხვენია, მაწანწალავ, მეგობარო! – ლუპინმა ხელები დაიკაპიწა, – შენც უნდა მაპატიო, მე ხომ შენ მეგონე ჯაშუში!

– რა თქმა უნდა, გაპატიებ, – სირიუსს სახეზე ოდნავ გაუკრთა ღიმილი, და ლუპინის მსგავსად, მანაც დაიკაპიწა ხელები, – ერთად მოვკლათ?

– ჰო, ერთად, – დაეთანხმა ლუპინი.

– არა! თქვენ არ მომკლავთ, არა... – პიტერი რონთან მიფორთხდა, – რონ... მიშველე, მე ხომ შენი საყვარელი ვირთხა ვიყავი... რონ, მიშველე, შენ ხომ ჩემ მხარეზე ხარ, რონ?!

მაგრამ რონი პეტიგრიუს სიძულვილით უცქეროდა.

– რა საშინელებაა! შენ ჩემს საწოლში გეძინა.

– ჩემო ბიჭუნა... ჩემო კეთილო პატრონო... მე ხომ შენი ვირთხა ვიყავი... შენი საყვარელი ცხოველი...

– ეგ ვერაფერი სატრაბახოა, პიტერ, შენგან ადამიანზე უკეთესი ვირთხა დადგა! – შეუღრინა ბლექმა.

რონს ტკივილისგან სახე დაღრეცოდა და ადამიანის ფერი არ ედო, მაგრამ მტკივანი ფეხი მაინც გვერდზე გადაათრია, რომ პეტიგრიუ არ მისწვდომოდა.

პიტერი ახლა ჰერმიონთან მიბობღდა და მანტიის კალთაში წაავლო ხელი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– შენ ხომ კეთილი გოგონა ხარ... ჭკვიანი გოგონა... გეხვეწები, მიშველე...

ჰერმიონმა მანტიის კალთა ხელიდან გამოჰგლიჯა და უკან დაიხია. პეტიგრიუ გაუბედავად მიუბრუნდა ჰარის.

– ჰარი... ჰარი... რომ იცოდე, როგორ ჰგავხარ მამაშენს...

– როგორ ბედავ ჰარისთან ლაპარაკს?! – დაუღრიალა ბლექმა, – თვალებში როგორ უყურებ?! ან ჯეიმსის ხსენებას როგორ ბედავ?!

– ჰარი, – პეტიგრიუს ხმა ჩაუწყდა, ხელებგაწვდილი გახოხდა ჰარისკენ, – ჰარი, ჯეიმსი ჩემს სიკვდილს არ მოინდომებდა... აუცილებლად გამიგებდა, ჰარი... შემიბრალებდა...

ბლექი და ლუპინი პეტიგრიუს ეცნენ, მხრებში ხელები წაავლეს და ისევ იატაკზე დაანარცხეს. გაფითრებული პეტიგრიუ ორივეს მუდარით სავსე თვალებით უყურებდა.

– ლილი და ჯეიმსი ვოლდემორს მიჰყიდე! – ხმა აუთრთოლდა ბლექს, – კიდევ უარყოფ ამას?!

პეტიგრიუს ცრემლები წასკდა. საძაგელი სანახავი იყო, უზარმაზარ გამელოტებულ ჩვილ ბავშვს ჰგავდა.

– სირიუს, სხვა გზა არ მქონდა... ბნელი ბატონი... შენ წარმოდგენა არა გაქვს... წარმოდგენა არა გაქვს, რა შეუძლია... შემეშინდა, სირიუს... მე ხომ თქვენნაირი მამაცი არასოდეს ვყოფილვარ. ყველაფერი ჩემდა უნებურად ჩავიდინე... მან მაიძულა...

– უსინდისოდ იტყუები! – დაიგრგვინა ბლექმა, – ლილის და ჯეიმსის დახოცვამდე მთელ წელიწადს ეხმარებოდი! მისი ჯაშუში იყავი!

– მას ყველაფერი შეუძლია! – ამოიქვითინა პეტიგრიუმ, – უარი რომ მეთქვა, ამით რას მოვიგებდი...

– რას მოიგებდი? – გამძვინვარებულ ბლექს სახე მოღრეცოდა, – რას მოიგებდი და, უდანაშაულო ადამიანებს გადაარჩენდი!

– ჩემი არ გესმის! მომკლავდა, სირიუს!

– მაშინ თავი უნდა გაგეწირა! მეგობრების ღალატს სიკვდილი სჯობს! შენი გულისთვის ჩვენც თავს გავწირავდით!

ბლექი და ლუპინი გვერდიგვერდ იდგნენ და ჯოხები მოემარჯვებინათ.

– უნდა მიმხვდარიყავი, – აუღელვებლად დაამატა ლუპინმა, – სულ ერთია, თუ ვოლდემორს გადაურჩებოდი, მაინც ჩვენ მოგკლავდით! ასე რომ, მშვიდობით, პიტერ!

ჰერმიონმა სახეზე ხელები აიფარა და შეტრიალდა.

– არა! – წამოიძახა ჰარიმ, წინ გამოიჭრა და პეტიგრიუს გადაეფარა, – არ მოკლათ! არ მოკლათ-მეთქი!

ბლექი და ლუპინი გახევდნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ამ ნაგავმა მშობლები დაგიხოცა, ჰარი, – შეუღრინა ბლექმა, – ეს ნაძირალა შენც სიამოვნებით მოგკლავდა და წარბსაც არ შეიხრიდა! ხომ გაიგონე, რაც თქვა! საკუთარი ტყავის გადასარჩენად მთელი ოჯახი დაღუპა!

– ვიცი! მაგრამ ციხე-კოშკში უნდა წავიყვანოთ და დემენტორებს გადავცეთ. აზკაბანში ჩასვამენ... ოღონდ, ნუ მოკლავთ!

– ჰარი! – გაოგნებული პეტიგრიუ ჰარის მუხლებზე მოეხვია, – გმადლობ... რა კეთილი ხარ... ასეთ სიკეთეს არც ვიმსახურებ შენგან...

– თავიდან მომწყდი! – დაუყვირა ჰარიმ და ზიზღით მოიშორა პიტერის ხელები, – ამას შენი გულისთვის არ ვაკეთებ! არა მგონია, მამაჩემს გახარებოდა, მისი საუკეთესო მეგობრები შენ გამო მკვლელები გამხდარიყვნენ!

სამარისებურ სიჩუმეს მხოლოდ პეტიგრიუს გახშირებული სუნთქვა არღვევდა. ბლექი და ლუპინი გაშტერებულები უცქეროდნენ ერთმანეთს. მერე ერთდროულად დაუშვეს ჯოხები.

– შენი ნებაა, ჰარი, – უთხრა ბლექმა, – მაგრამ კარგად დაფიქრდი, გაიხსენე, რა ჩაიდინა...

– აზკაბანში ჩასვამენ, – გაუმეორა ჰარიმ, – ამას ნამდვილად იმსახურებს...

– კეთილი, – დაეთანხმა ლუპინი, – ახლა კი გვერდზე გადექი!

ჰარი შეყოყმანდა.

– დავაბამ, – აუხსნა ლუპინმა, – არაფერს დავუშავებ!

ჰარი გზიდან ჩამოეცალა. ლუპინის ჯოხიდან წვრილი თოკები გამოფრინდა და თვალის დახამხამებაში პეტიგრიუ გაკოჭილი ეგდო იატაკზე.

– თუ ისევ ვირთხად გადაიქცევი, პიტერ, იცოდე, აღარ დაგინდობთ! – დაემუქრა ბლექი, – ჰარი, შენ რას იტყვი?

ჰარიმ პიტერის დასანახად დაუქნია თავი.

– შევთანხმდით, – გამოაცხადა ლუპინმა, – რონ, მე მადამ პომფრიზე უკეთესად ვერ მოგივლი, ამიტომ აჯობებს, ფეხი აგიკრათ, სანამ საავადმყოფო ფლიგელამდე მივალთ.

მერე რონთან მივიდა, დაიხარა, ჯოხი ფეხზე დაუკაკუნა და შეულოცა:

– ფერულა!

რონს ფეხზე ბინტი და თაბაშირი შემოეხვია. ლუპინმა წამოაყენა.

– ახლა თითქმის აღარ მტკივა, – წარბიც არ შეხრია რონს, – გმადლობთ!

– პროფესორ სნეიპს რა ვუყოთ? – ჰერმიონმა იატაკზე გაშხლართულ მასწავლებელს დახედა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სერიოზული არაფერი სჭირს, – ლუპინმა სნეიპს პულსი გაუსინჯა, – ისე, ცოტა მეტისმეტი მოგვიდათ, ისევ უგონოდაა. მე მგონი, აჯობებს, სანამ ციხე-კოშკში არ მივალთ, არ გამოვაფხიზლოთ. ასე წავიყვანოთ...

პროფესორმა შეულოცა: „მობილიკორპუს“. სნეიპს მაჯებში, კისერზე და მუხლებზე თითქოს უხილავი ძაფები გამოება, სხეული წამოიმართა, თავი კი მარიონეტივით ჩამოუვარდა. მიწას ოდნავ მოსწყდა და ფეხები ჰაერში აუთამაშდა. ლუპინმა უჩინმაჩინის მოსასხამი ჯიბეში ჩაიკეცა.

– ამას ორმა კაცმა თვალი არ უნდა მოაშოროს, – პეტიგრიუზე ანიშნა ბლექმა, – რა იცი, რა მოუვლის თავში!

– მე მივხედავ, – დაამშვიდა ლუპინმა.

– და მე! – თავი გამოიდო რონმა.

ბლექმა წამსვე გააჩინა რკინის ხელბორკილები. ფეხზე წამომდგარი პეტიგრიუ ცალი ხელით ბლექზე იყო მიბმული, მეორე ხელით კი – რონზე. რონს სახე გაჰქვავებოდა, როგორც ჩანს, სკაბერზის ნამდვილი ვინაობის დადგენა დიდ შეურაცხყოფად მიიღო. ბო საწოლიდან ჩამოხტა, ჯაგრისივით გაფშეკილი კუდი მხიარულად შეათამაშა და პირველი გავარდა ოთახიდან.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი მეოცე

დემენტორის კოცნა

ჰარის ასეთი უცნაური თანამგზავრები თავის დღეში არ ჰყოლია. კიბეზე პირველი ბო ჩავიდა, უკან მიჰყვნენ უცნაური ექვსფეხა ცხოველივით ერთმანეთს გადაბმული ლუპინი, პეტიგრიუ და რონი. შემდეგ პროფესორი სნეიპი მიფარფატებდა და ყოველი საფეხურის ჩავლაზე ფეხს წამოჰკრავდა ხოლმე. სირიუსს მისივე ჯოხის დახმარებით ეჭირა ჰაერში. სულ უკან კი ჰარი და ჰერმიონი მიდიოდნენ.

გვირაბის გავლა ძალიან გაუჭირდათ. ლუპინი, პეტიგრიუ და რონი იძულებულები გახდნენ, გვერდულად ევლოთ. ლუპინს ყოველი შემთხვევისათვის ჯოხი არ დაუშვია, ასე უხერხულად გამწკრივებულები მიიწევდნენ წინ. ბო ისევ ამაყად მიცუნცულებდა. ჰარი სირიუსს მიჰყვებოდა, ის კი, თავის მხრივ, ჰაერში მოფარფატე სნეიპს მართავდა. პროფესორი წარამარა ურტყამდა თავს გვირაბის დაბალ ჭერს. ჰარის მოეჩვენა, რომ სირიუსს ეს მაინცდამაინც არ ადარდებდა.

– იცი, ახლა რა მოხდება? – უცებ ჰარის მიუბრუნდა სირიუსი, – პეტიგრიუს რომ ჩავაბარებთ...

– შენ გაგათავისუფლებენ, – დააბოლოვა ჰარიმ.

– ჰო, მართალი ხარ... არ ვიცი, გითხრა თუ არა ვინმემ, რომ მე შენი ნათლია ვარ.

– გავიგე, – მიუგო ჰარიმ.

– ჰოო... მოკლედ, შენმა მშობლებმა შენს მეურვედ დამნიშნეს. მათ თუ რაიმე მოუვიდოდათ, მე...

ჰარი დაიძაბა, ნუთუ სირიუსი იმის თქმას აპირებდა, რასაც ამდენ ხანს ელოდა?!

– კარგად მესმის, რომ ალბათ ბიძაშენთან და დეიდაშენთან ცხოვრება გირჩევნია... მაგრამ მაინც იფიქრე ამაზე... რაკი ბრალდება

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მომეხსნება... ჰო, მოკლედ... როგორ გითხრა... თუ ოდესმე სხვაგან ცხოვრება მოგინდა...

ჰარის თითქოს მუცელში ბომბი აუფეთქდა.

– რაა? მე თქვენთან გადმოვიდე საცხოვრებლად? – მოულოდნელობისგან შემცბარმა თავი ჭერიდან ჩამოშვერილ ქვას აარტყა, – და დერსლებისგან წამოვიდე?

– ვიცოდი, რომ არ მოგინდებოდა, – ნაჩქარევად მიუგო სირიუსმა, – გასაგებია. უბრალოდ, გავიფიქრე...

– რას ამბობთ? – ბლექისა არ იყოს, ხმა წაერთვა ჰარის, – რა თქმა უნდა, წამოვალ! სახლი გაქვთ? როდის შეიძლება თქვენთან გადმოსვლა?

სირიუსი შემობრუნდა და ბიჭს დააკვირდა. სნეიპი თავით ჭერს ეჯახებოდა, მაგრამ სირიუსს მისთვის არ სცხელოდა.

– მართლა გინდა ჩემთან?

– აბა, რა!

სირიუსს მისთვის უჩვეულო ღიმილი გადაეფინა გაძვალტყავებულ სახეზე. ჰარის მოეჩვენა, თითქოს მთელი ათი წლით გაახალგაზრდავდა და ერთი წამით იმ ადამიანს დაემსგავსა, მისი მშობლების ქორწილის ფოტოზე რომ იყო გამოსახული.

სანამ გვირაბის ბოლოში გავიდოდნენ, სიტყვა არ დასცდენიათ. ბო პირველი გაძვრა გარეთ და, როგორც ჩანს, თათი საიდუმლო ადგილს მიაჭირა, რადგან ტოტების შხუილი აღარ ისმოდა. პირველი სამეული ადვილად გამოძვრა გამოქვაბულიდან. სირიუსმა ჯერ სნეიპი გამოიყვანა, მერე გვერდზე გადგა და ჰერმიონი და ჰარი გაატარა. როგორც იქნა, ყველანი გარეთ გამოვიდნენ.

იქაურობა სრულ წყვდიადში ჩაფლულიყო, სინათლე მხოლოდ შორეულ ფანჯრებში ჩანდა. უსიტყვოდ გაუყვნენ გზას. პეტიგრიუ ჯერ კიდევ ვერ დამშვიდებულიყო და შიგადაშიგ საცოდავად კრუსუნებდა. ჰარის თავში ერთადერთი აზრი უტრიალებდა, დერსლებისგან წავალ და ჩემი მშობლების საუკეთესო მეგობართან, სირიუს ბლექთან ვიცხოვრებო... თავბრუ ესხმოდა... წარმოიდგინა, რა დაემართებოდათ დერსლებს, როცა შეატყობინებდა, თქვენ რომ ტელევიზორში ნახეთ, იმ მკვლელთან გადავდივარ საცხოვრებლადო.

– იცოდე, არაფერი შეგეშალოს, პიტერ, – გააფრთხილა ლუპინმა და ჯოხი მოუღერა.

უხმოდ განაგრძეს გზა. თანდათან მიუახლოვდნენ განათებულ ციხე-კოშკს. სნეიპს თავი სასაცილოდ ჩამოვარდნოდა მკერდზე. უცებ...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ღრუბლები გაიფანტა და მიწას მკრთალი ჩრდილები მოეფინა. იქაურობა მთვარის შუქმა გაანათა.

სნეიპი ადგილზე გაშეშებულ რონს, პეტიგრიუსა და ლუპინს დაეჯახა. სირიუსი გაქვავდა. მერე ჰერმიონსა და რონს ხელი მოხვია და შეაჩერა.

ჰარიმ დაინახა, როგორ გახევდა ლუპინი, ცოტა ხანში კი ხელ-ფეხი აუკანკალდა.

– ღმერთო ჩემო... – აღმოხდა ჰერმიონს, – ამ საღამოს სასმელი არ დაულევია! ახლა მგლად იქცევა!

– გაიქეცით, – გადაუჩურჩულა სირიუსმა, – ჩქარა, გაიქეცით!

ჰარის ფეხები აღარ ემორჩილებოდა, რონი ხომ პეტიგრიუსა და ლუპინზე ხელბორკილებით იყო მიბმული. დაუფიქრებლად გახტა წინ, მაგრამ სირიუსმა შეაჩერა და დაუყვირა:

– მე მივხედავ, თქვენ კი გაიქეცით!

ლუპინმა საზარელი ხმა ამოუშვა და თავი და ტანი დაუგრძელდა, ბეჭებშუა კუზი ამოუვიდა, სახე და ხელები ბეწვით დაეფარა... ხელების ნაცვლად კი უკვე თათები გამოუვიდა. ბოს ბეწვი ყალყზე დაუდგა, შეშინებულმა უკან დაიხია.

მაქციამ დაიღრიალა. სირიუსი სასწრაფოდ უზარმაზარ, დათვისოდენა ძაღლად გადაიქცა. მაქციამ ხელის ერთი მოსმით დაამსხვრია ბორკილები, ძაღლი მაშინვე ეცა და რონისა და პეტიგრიუსაგან მოშორებით გაათრია. ძაღლი და მაქცია ერთმანეთს სამკვდროსასიცოცხლოდ ჩააფრინდნენ.

ჰარი გაშტერებული იდგა, ვეღარაფერს ამჩნევდა. ჰერმიონის ყვირილმა გამოაფხიზლა.

პეტიგრიუ ლუპინის ჯოხისკენ იწევდა, რონი შეხვეული ფეხით რას გააწყობდა, წონასწორობა დაკარგა და დაეცა. უცებ აფეთქების ხმა გაისმა და რონი უძრავად გაიშოტა მიწაზე. კიდევ ერთი აფეთქება და ბოც შორს გადავარდა და ხმაურით დაებერტყა ძირს.

– ექსპელიარმუს! – დაიღრიალა ჰარიმ. ლუპინის ჯოხი ჰაერში აფრინდა და სადღაც გაუჩინარდა, – არ გაინძრე! – ჰარი წინ გაიჭრა, მაგრამ უკვე გვიანი იყო, პეტიგრიუმ ვირთხად გადაქცევა მოასწრო, გაქუცული კუდი გაიქნია, ბორკილებში გაძვრა, რონს ხელზე გადაახტა და ბალახებში შევარდა.

სიბნელეში ყმუილი და გაავებული ღრენა გაისმა. მაქცია დაოთხილი გაიქცა ტყისკენ.

– სირიუს, ლუპინი გაიქცა, პეტიგრიუ კი ვირთხად გადაიქცა! – გასძახა ჰარიმ.

სირიუსს თქრიალით მოსდიოდა სისხლი, დრუნჩი და ზურგი სულ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაკბენილი ჰქონდა, მაგრამ ჰარის სიტყვების გაგონებაზე სასწრაფოდ წამოხტა და უკანმოუხედავად გაიქცა. მალე მისი ფეხის ხმაც მიწყდა. ჰარი და ჰერმიონი რონს მისცვივდნენ.

– ნეტავ რომელი შელოცვა გაუკეთა? – აღმოხდა ჰერმიონს.

რონს თვალები მოეჭუტა და პირი ღიად დარჩენოდა, არ მომკვდარა, ისევ სუნთქავდა, მაგრამ აშკარა იყო, მეგობრებს ვერ ცნობდა.

– არ ვიცი, – ჰარიმ სასოწარკვეთით მოათვალიერა იქაურობა. ბლექი და ლუპინი არსად ჩანდნენ... ახლა მხოლოდ გონებადაკარგული, ჰაერში გამოკიდული სნეიპიღა დარჩათ.

– წავიდეთ, ესენი ციხე-კოშკში ავიყვანოთ და ვინმეს დავუძახოთ, – ჰარიმ თვალებზე ჩამოშლილი თმა გადაიწია... მაგრამ უცებ სიბნელიდან ძაღლის გამწარებული ყმუილი და წკავწკავი გაისმა...

– სირიუს... – დაიჩურჩულა ჰარიმ და სიბნელეს ჩააშტერდა. სულ ერთი წამით ჩაფიქრდა, რონს თავისი იქ ყოფნით ახლა ვერ დაეხმარებოდა, სირიუსს კი მისი დახმარება ნამდვილად სჭირდებოდა... და კისრისტეხით გაიქცა, ჰერმიონიც დაედევნა. წკავწკავი ტბის ნაპირიდან ისმოდა. ორივენი იქით გაიქცნენ. უცებ ჰარის სიცივემ დაუარა, მაგრამ თავიდან ვერც კი მიხვდა, ეს რას ნიშნავდა...

წკავწკავი შეწყდა. ბავშვები ტბის ნაპირთან მიცვივდნენ და დაინახეს, რაც ხდებოდა – სირიუსი ისევ ადამიანად გადაქცეულიყო და თავზე ხელები წაეჭირა.

– არაااااა, – გმინავდა გაშმაგებული, – არااااა... გევედრებით...

და უცებ ჰარიმ ასობით დემენტორი დაინახა, რომლებიც მათკენ ნელა მოიწევდნენ. ჰარი შემოტრიალდა, სუსხი მთელ სხეულში გაუჯდა, გონება თანდათან ებინდებოდა... თვალებზე ბურუსი აეფარა... სიბნელიდან სულ უფრო მეტი დემენტორი გამოდიოდა... უკვე ალყაში იყვნენ მოქცეულნი...

– ჰერმიონ, რაიმე სასიამოვნოზე იფიქრე, – დაუღრიალა ჰარიმ, ჯოხი ამოიღო და თვალები მოიფშვნიტა, რომ როგორმე ნისლი გაეფანტა, თავი გადააქნია, თითქოს არასასიამოვნო ხმებს, უკვე ბუნდოვნად რომ ესმოდა, ამით მოიშორებდა...

„ჩემს ნათლიასთან ვიცხოვრებ და დერსლებისგან სამუდამოდ წამოვალ...“

თავს ძალას ატანდა და სირიუსზე ფიქრობდა, ახლა მხოლოდ სირიუსზე უნდა ეფიქრა და უცებ შელოცვა დაიწყო:

– ექსპექტო პატრონუმ! ექსპექტო პატრონუმ!

ამასობაში ბლექი შეხტა, ამოტრიალდა და მკვდარივით გაფითრებული მიწაზე გაიშხლართა.

„ყველაფერი კარგად იქნება! მე ბლექთან ერთად ვიცხოვრებ...“

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ექსპექტო პატრონუმ! ჰერმიონ, შენც შეულოცე! ექსპექტო პატრონუმ!

– ექსპექტო... ე-ექსპექტო.. – აბუტბუტდა ჰერმიონი, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. დემენტორები უკვე სამი მეტრის მანძილზე მოუახლოვდნენ, მაღალი კედელივით შემოერტყნენ ირგვლივ ბავშვებს და კიდევ უფრო ახლოს მოიწევდნენ.

– ექსპექტო პატრონუმ! – მთელი ხმით შეჰყვირა ჰარიმ, ცდილობდა, ყურებში მოგუგუნე ხმებისთვის ყურადღება არ მიექცია, – ექსპექტო პატრონუმ!

ჯოხიდან უწვრილესი ვერცხლისფერი ელვა გამოსხლტა და ჰაერში პატარა ღრუბელივით დაეკიდა. ჰერმიონი გულწასული დაეცა. ჰარი მარტოდმარტო დარჩა...

– ექსპექტო... ექსპექტო პატრონუმ! – ჰარის მუხლი მოეკვეთა. ბურუსი მზერას უბინდავდა. ზეადამიანური ძალისხმევით აიძულებდა თავს, სირიუსზე ეფიქრა, „სირიუსი უდანაშაულოა... ყველაფერი კარგად იქნება... ჩვენ ერთად ვიცხოვრებთ...“

– ექსპექტო პატრონუმ! – ჰარის უკვე სუნთქვა უჭირდა.

დემენტორი პატრონუსის ოდნავ მბჟუტავმა სინათლემ შეაჩერა, ვერცხლისფერ ღრუბელში გაღწევა არ შეეძლო, მაგრამ მერე მანტიიდან დახავსებული ხელი გამოყო და პატრონუსის გაფანტვას შეეცადა.

– არა! არა! – შესძახა სასოწარკვეთილმა ჰარიმ, – ბლექი უდანაშაულოა... ექსპექტო... ექსპექტო პატრონუმ... – გრძნობდა, როგორ აკვირდებოდნენ დემენტორები, მათი ხმამაღალი სუნთქვა წივილივით ესმოდა. ყველაზე ახლოს მყოფი დემენტორი ერთხანს შეჩერდა, თითქოს ჩაფიქრდაო, მერე კი ლპობაშეპარული ხელები ასწია და კაპიუშონი გადაიძრო.

თვალები არ ჰქონდა, ფოსოებზე საზარელი რუხი კანი გადაჰკვროდა. პირიც საშინელ, უფორმო, ბნელ ხვრელს მოგაგონებდათ, მომაკვდავივით ხრიალებდა და ჰაერს ხმაურით ისრუტავდა.

თავზარდაცემულ ჰარის თითქოს ხელ-ფეხი შეეკრა, უკვე არაფრის თავი აღარ ჰქონდა. მისმა პატრონუსმა ოდნავ გაიელვა და უკვალოდ გაქრა.

თეთრმა ნისლმა მზერა დაუბინდა. მაინც არ ნებდებოდა... „ექსპექტო პატრონუმ...“ ვერაფერს ხედავდა... სადღაც შორიდან კი დედამისის გულისმომკვლელი კივილი ესმოდა.. ექსპექტო პატრონუმ!.. ბურუსით გარემოცულმა ხელის ცეცებით მიაგნო სირიუსს და მკლავში წაავლო ხელი.. არაფრის დიდებით არ დაუთმობდა დემენტორებს თავის ნათლიას...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უცებ ყელში ვიღაცის ცივი ხელები სწვდა. თავს მაღლა აწევინებდა... დემენტორის მყრალი სუნთქვა სახეში ეცა... როგორც ჩანს, ჯერ მის მოკვლას აპირებდა.. ჰარის ისევ დედის განწირული ვედრება მოესმა... ცხოვრებაში უკანასკნელად ალბათ სწორედ ეს ხმა ესმოდა...

...მაგრამ უცებ გარშემორტყმული ნისლი თითქოს გაიფანტა და ჰარიმ თვალისმომჭრელი ვერცხლისფერი ელვა დაინახა... დემენტორმა ხელი უშვა, ბიჭი მოცელილივით ჩაემხო ბალახში... გული ერეოდა და ციებიანივით კანკალებდა.. ბოლოს, როგორც იქნა, თვალი გაახილა... კივილი უკვე აღარ ესმოდა, აღარც საშინელ სუსხს გრძნობდა...

დემენტორები რაღაც ძალით უკან იხევდნენ... ეს ძალა სამივეს იცავდა... დემენტორების ხმა თანდათან მიწყდა... გარშემო ისევ დათბა... დემენტორები თვალს მიეფარნენ...

ჰარიმ დიდი გაჭირვებით წამოსწია თავი და იქვე ახლოს არაბუნებრივი სინათლით გარშემორტყმული ცხოველი დაინახა, რომელიც თავისუფლად მიქროდა ტბის ზედაპირზე. ჰარის თვალები ეწვოდა, მაგრამ ცხოველისთვის მზერა არ მოუცილებია... რაღაცით მანათობელ ცალრქიან ცხენს ჩამოჰგავდა. ცხოველი მეორე ნაპირს მიადგა და შეჩერდა. თვალისმომჭრელ სინათლეში ძნელი იყო, რაიმე გაერჩია, მაგრამ ჰარის მოეჩვენა, რომ ცხოველს მეორე ნაპირზე ვიღაც შეეგება და ხელი გადაუსვა... ის ვიღაც ძალიან ეცნო, მაგრამ, არა, ეს შეუძლებელი იყო...

ჰარი ვერაფერს მიხვდა, ფიქრის თავიც კი არ ჰქონდა. ძალა საბოლოოდ გამოეცალა, თავი ბალახში ჩარგო და გული წაუვიდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი ოცდამეერთე

ჰერმიონის საიდუმლო

– გაოგნებული ვარ... არ ვიცი, რა ვთქვა... სასწაულია, რომ არავინ დაიღუპა... ჩემს დღეში მსგავსს არაფერს მოვსწრებივარ... ღმერთო, რა ბედნიერებაა, რომ დროზე მიუსწარით, სნეიპ!

– გმადლობთ, ბატონო მინისტრო!

– მერლინის ორდენს გპირდებით, მეორე ხარისხისას! ვნახოთ, იქნებ პირველი ხარისხისაც მოგანიჭოთ!

– უღრმესი მადლობა, ბატონო მინისტრო!

– ეს რა ჭრილობა გაქვთ? ბლექმა დაგჭრათ?

– არა, სხვათა შორის, პოტერმა, უისლიმ და გრეინჯერმა, ბატონო მინისტრო...

– რას მეუბნებით?!

– ბლექმა ბავშვები მოაჯადოვა, ამას იმწუთასვე მივხვდი. მათი ქცევის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კონფუნდუსის შელოცვა გამოიყენა. ბავშვები დაარწმუნა, რომ უდანაშაულო იყო. ასე რომ, თავად ვერ ხვდებოდნენ, რას აკეთებდნენ. თუმცა, მათი ჩარევის წყალობით, ბლექი კინაღამ გაგვექცა... როგორც ჩანს, მის დაჭერას თვითონ, სხვების დაუხმარებლად აპირებდნენ. აქამდეც არაერთხელ დაიძვრინეს თავი... ვშიშობ, საკუთარ თავზე მეტისმეტად დიდი წარმოდგენა შეექმნათ... თანაც, რა თქმა უნდა, დირექტორი პოტერს ყოველთვის ბევრის უფლებას აძლევდა...

– ჰო, მართალი ბრძანდებით, სნეიპ... ხომ იცით, ჰარი პოტერი ყველას გამორჩეულად გვიყვარს და მის საქციელზე ხშირად თვალს ვხუჭავთ...

– ...და მერე განა ეს კარგია თავად პოტერისთვის? პირადად მე ყოველნაირად ვცდილობ, მასაც დანარჩენი სტუდენტებივით მოვექცე. ასეთი დანაშაულისათვის კი ნებისმიერ სხვა სტუდენტს,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სულ მცირე, იმით მაინც დასჯიდნენ, რომ სკოლიდან დროებით გარიცხავდნენ. თავად განსაჯეთ, ბატონო მინისტრო, სკოლის წესები დაარღვია, არადა, უსაფრთხოების ზომები სპეციალურად მის დასაცავად შემოვიღეთ... მაქციასა და მკვლელთან ერთად სადღაც დაეხეტებოდა... თანაც, საიმედო წყაროებიდან ვიცი, რომ კანონის დარღვევით რამდენჯერმე ჰოგსმიდშიც გაიპარა.

– სნეიპ, ძვირფასო, ყველაფერს გავარკვევთ... ნუ ღელავთ.. რასაკვირველია, გეთანხმებით, რომ ბიჭი არასწორად მოიქცა...

ჰარის ყველაფერი ესმოდა. თვალები მაგრად დაეხუჭა, ძალა გამოლეოდა, სიტყვები თითქოს ძლივს შესდიოდა ყურში და იქიდან ნელა გადაეცემოდა ტვინს. ასე რომ, აზრის გამოტანა უჭირდა. ხელ-ფეხი ტყვიასავით დამძიმებოდა, თვალსაც ვერ ახელდა... ახლა საწოლში მოხერხებულად წოლის მეტი არაფერი უნდოდა...

– მე მაინც დემენტორების საქციელი მაკვირვებს ყველაზე მეტად... თქვენ ხომ არ დაგინახავთ, იქაურობას რატომ გაეცალნენ, სნეიპ?

– არა, ბატონო მინისტრო. როცა მე ადგილზე მივედი, დემენტორები უკვე თავიანთ საგუშაგო პოსტებს უბრუნდებოდნენ...

– გასაკვირია პირდაპირ... და მაინც, ბლექი, ჰარი და ის გოგონა...

– ყველანი უგონოდ იყვნენ. ბლექი გავკოჭე და პირი ამოვუქოლე, მერე საკაცეები გავაჩინე და ყველანი ციხე-კოშკში ამოვიყვანე.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ჰარი გამოფხიზლდა თუ არა, იმწამსვე გულის კოვზთან რაღაც აუწრიალდა.

თვალი გაახილა. გარკვევით ვერაფერს ხედავდა, სათვალე არ ეკეთა. ჩაბნელებულ საავადმყოფო ფლიგელში იწვა. პალატის შორეულ კუთხეში მისკენ ზურგით მდგარი მადამ პომფრი დაინახა, ვიღაცის საწოლზე გადახრილიყო. ჰარი კარგად დააკვირდა და რონის ჟღალი თმა გაარჩია. მერე მეორე მხარეს გაიხედა. მთვარით განათებულ საწოლზე გაქვავებულივით უძრავად იწვა თვალებდაჭყეტილი ჰერმიონი. ჰარი შეამჩნია თუ არა, პირზე თითი მიიდო და კარზე ანიშნა. კარი ღიად დაეტოვებინათ, დერეფნიდან კი კორნელიუს ფაჯისა და სნეიპის ხმები ისმოდა.

მადამ პომფრი ჰარის საწოლს მიუახლოვდა. ხელში შოკოლადის უზარმაზარი ფილა ეჭირა.

– გაიღვიძე? – გაუცინა ქალმა, შოკოლადის ფილა საწოლთან, პატარა მაგიდაზე დადო და ჩაქუჩით დაიწყო დამტვრევა.

– რონი როგორ არის? – ერთხმად ჰკითხეს ჰარიმ და ჰერმიონმა.

– არა უშავს, გადარჩება, – ხმა გაუმკაცრდა მადამ პომფრის, – თქვენ კი ორივენი აქ დარჩებით, სანამ თქვენი მდგომარეობა არ დამაკმაყოფილებს... პოტერ, მე ვის ველაპარაკები?!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰარი წამოჯდა, სათვალე გაიკეთა და ჯოხი აიღო.

– დირექტორს უნდა დაველაპარაკო!

– პოტერ, ყველაფერი კარგადაა, – დაამშვიდა მადამ პომფრიმ, – ბლექი დაიჭირეს, ზედა სართულზე ჰყავთ ჩაკეტილი, დემენტორები გამოიძახეს და წუთი წუთზე კოცნით დასჯიან...

– რაა?!

ჰარი და ჰერმიონი საწოლებიდან გადმოხტნენ. ხმაურზე პალატაში კორნელიუს ფაჯი და სნეიპი შემოცვივდნენ.

– ჰარი, რა მოგივიდა? – აღელდა ფაჯი, – შენთვის საწოლიდან ადგომა არ შეიძლება! შოკოლადი უკვე მიეცით? – ჰკითხა მადამ პომფრის.

– ბატონო მინისტრო, გთხოვთ, მომისმინეთ, – სხაპასხუპით მიაყარა ჰარიმ, – ბლექი უდანაშაულოა! პიტერ პეტიგრიუ ცოცხალი ყოფილა! ჩვენი თვალით ვნახეთ! დემენტორებს სირიუსი არ უნდა დაასჯევინოთ, ის...

ფაჯს ჩაეცინა და დანანებით გააქნია თავი.

– ჰარი, ჰარი... მესმის, რომ ახლა გონება არეული გაქვს, საშინელება გადაიტანე... აჯობებს, ისევ დაწვე და დაისვენო, ჩვენ ყველაფერს მივხედავთ...

– ვერაფერსაც ვერ მიხედავთ! – დაიღრიალა ჰარიმ, – თქვენ უდანაშაულო კაცი დაიჭირეთ!

– ბატონო მინისტრო, – ჰერმიონი ჰარის გვერდით ედგა და ფაჯს მუდარით სავსე თვალებს არ აცილებდა, – პეტიგრიუ მეც დავინახე! რონის ვირთხა ყოფილა... ანიმაგუსია, ცხოველად გადაქცევა შეუძლია...

– აი, ხომ ხედავთ, ბატონო მინისტრო, – ჩაერია სნეიპი, – ორივე მოჯადოებულია, როგორც ჩანს, ბლექს ეს შელოცვა კარგად გამოსვლია...

– მოჯადოებული სულაც არა ვართ! – შეუტია ჰარიმ.

– ბატონო მინისტრო! პროფესორო! – ხმას აუწია მადამ პომფრიმ, – ძალიან გთხოვთ, აქედან გახვიდეთ! პოტერი ჩემი პაციენტია, მისთვის ნერვიულობა მავნებელია!

– არ ვნერვიულობ! ვცდილობ, აგიხსნათ, რა მოხდა სინამდვილეში! – გაშმაგდა ჰარი, – ოღონდ უნდა მომისმინოთ...

უცებ მადამ პომფრიმ შოკოლადის დიდი ნატეხით გამოუტენა პირი და ძალით წაათრია საწოლისკენ.

– ბატონო მინისტრო, ბავშვებს უნდა მივხედო, თუ შეიძლება, დაგვტოვეთ...

ამ დროს კარი გაიღო და ოთახში დამბლდორი შემოვიდა. ჰარიმ ძლივს გადაყლაპა შოკოლადი და ისევ წამოდგა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– პროფესორო დამბლდორ, სირიუს ბლექი...

– ღვთის გულისათვის, – მოთმინება დაეკარგა მადამ პომფრის, – რა ხდება, ბოლოს და ბოლოს, საავადმყოფო ფლიგელში ვართ თუ სად? დირექტორო, დაჟინებით მოვითხოვ...

– უკაცრავად, პოპი, მაგრამ მისტერ პოტერთან და მის გრეინჯერთან სალაპარაკო მაქვს. ახლახან ველაპარაკე სირიუს ბლექს.

– დარწმუნებული ვარ, თქვენც იგივე ზღაპარი გიამბოთ, რაც პოტერს ჩააგონა, არა? – დაისისინა სნეიპმა, – რაღაც ვირთხაო, პეტიგრიუ ცოცხალიაო...

– დიახ, ბლექმა სწორედ ეს მიამბო, – დამბლდორი ნახევარმთვარისებრი სათვალიდან ყურადღებით დააკვირდა სნეიპს.

– ჩემს ჩვენებას არანაირი ძალა არა აქვს? – გაცოფდა სნეიპი, – პიტერ პეტიგრიუ ქოთქოთა ქოხში არ ყოფილა და არც სკოლის სიახლოვეს მინახავს.

– იმიტომ, რომ უგონოდ ბრძანდებოდით, პროფესორო, – ჩაერია ჰერმიონი, – თან დროზე არ მოსულხართ, რომ ყველაფერი მოგესმი...

– მის გრეინჯერ, გაჩუმდით-მეთქი! – დაიღრიალა სნეიპმა.

– კარგი, სნეიპ, – შეცბა ფაჯი, – გოგონა ახლა მთლად კარგად ვერ გრძნობს თავს, ასე მკაცრად ნუ მოექცევით...

– ჰარის და ჰერმიონს პირისპირ მინდა დაველაპარაკო, – გადაჭრით გამოაცხადა დამბლდორმა, – კორნელიუს, სევერუს, პოპი, თუ შეიძლება, მარტო დაგვტოვეთ!

– დირექტორო, – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა მადამ პომფრიმ, – მკურნალობა და დასვენება...

– არა, პოპი, მოცდა არ შეიძლება, – მიუგო დამბლდორმა, – ძალიან გთხოვთ, დაგვტოვეთ!

მადამ პომფრიმ ტუჩები მოპრუწა, უკმაყოფილო სახით გავიდა თავის კაბინეტში და კარი გაიჯახუნა. ფაჯმა ჯიბის ოქროს საათზე დაიხედა.

– დემენტორები უკვე მოვიდნენ. წავალ, შევხვდები. დამბლდორ, ზევით დაგელოდებით!

კარი გამოაღო და სნეიპს გახედა, მაგრამ სნეიპი ადგილიდან არ იძვროდა.

– იმედია, ბლექის ნაამბობიდან ერთი სიტყვისაც არ გჯერათ!

– ჰარისა და ჰერმიონთან მარტო მსურს ლაპარაკი, – გაუმეორა დამბლდორმა.

სნეიპი დირექტორს მიუახლოვდა.

– სირიუს ბლექმა თექვსმეტი წლის ასაკში დაგიმტკიცათ, რომ ადამიანის მოკვლა მისთვის არაფერს ნიშნავდა. ხომ არ დაგავიწყდათ,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბატონო დირექტორო? არ გახსოვთ, ერთხელ კინაღამ რომ მომკლა?

– სევერუს, ჯერჯერობით მეხსიერება არ მღალატობს, – აუღელვებლად მიუგო დამბლდორმა.

სნეიპი შეტრიალდა, ფაჯთან ერთად გავიდა და კარი გაიხურა. დამბლდორი ბავშვებს მიუბრუნდა. ჰარი და ჰერმიონი ერთმანეთს არ აცლიდნენ:

– პროფესორო, ბლექმა სიმართლე გითხრათ... პეტიგრიუ საკუთარი თვალით ვნახეთ...

– როცა პროფესორი ლუპინი მაქციად გადაიქცა, პიტერმა გაქცევა მოახერხა...

– ვირთხადაა გადაქცეული...

– პეტიგრიუმ წინა თათზე, თათზე კი არა, ხელზე თვითონ მოიჭრა თითი...

– რონს სინამდვილეში პეტიგრიუ დაესხა თავს და არა სირიუსი.

დამბლდორმა ხელი ასწია და ანიშნა, გაჩუმდითო.

– ახლა თქვენ მომისმინეთ და ძალიან გთხოვთ, ნუ შემაწყვეტინებთ, რადგან დრო ცოტა გვაქვს. ბლექის სიმართლეს ვერაფრით დავამტკიცებთ, ცამეტი წლის ბავშვების სიტყვას არავინ ენდობა. უამრავმა მოწმემ დაადასტურა, რომ დაინახეს, როგორ მოკლა ბლექმა პეტიგრიუ. პირადად მე კი სამინისტროს ჩვენება მივეცი და დავუდასტურე, რომ სირიუსი პოტერების მესაიდუმლე იყო.

– პროფესორ ლუპინს ჰკითხეთ, – შეაწყვეტინა ჰარიმ.

– პროფესორი ლუპინი ამჟამად ტყეში იმალება, მაგრამ სანამ ისევ ადამიანად გადაიქცევა, უკვე გვიანი იქნება. სირიუსს სიკვდილზე ბევრად უარესი სასჯელი ელის. თანაც, მინდა გითხრათ, რომ ჩვენი საზოგადოება მაქციებს მაინცდამაინც არ ენდობა, მის სიტყვებს ყურადღებას არავინ მიაქცევს... მით უმეტეს, თუ გაიგეს, რომ სირიუსის ბავშვობის მეგობარია...

– კი მაგრამ...

– ნუ მაწყვეტინებ, ჰარი! უკვე გვიანია. ნუთუ არ გესმით, რომ პროფესორ სნეიპის მონაყოლი უფრო დამაჯერებლად ჟღერს?

– სნეიპს სირიუსი ეზიზღება, – შესძახა ჰერმიონმა, – ვერაფრით ვერ მოუნელებია ის სულელური ოინი, სირიუსმა რომ მოუწყო...

– თანაც არ დაგავიწყდეთ, რომ სირიუსი უდანაშაულო კაცივით არ მოქცეულა, ჯერ ფუშფუშა ქალბატონს დაესხა თავს, მერე დანით შეიარაღებული გრიფინდორის კოშკში შეიჭრა. ასე რომ, სანამ პეტიგრიუს არ მივაგნებთ, ცოცხალს ან მკვდარს, სირიუსს სასჯელს ვერ შევუმსუბუქებთ.

– თქვენ ხომ გჯერათ ჩვენი!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა თქმა უნდა, – წყნარად მიუგო დამბლდორმა, – მაგრამ, სამწუხაროდ, სხვებს სიმართლეს ვერ დავუმტკიცებ, ვერც მაგიის მინისტრის ნებას აღვუდგები წინ...

ჰარი დამბლდორის მოქუფრულ სახეს უცქეროდა და გრძნობდა, როგორ ეცლებოდა ფეხქვეშ მიწა. აქამდე დამბლდორი ყოვლისშემძლე ეგონა, რატომღაც დირექტორისგან ყველა პრობლემის ერთი ხელის მოსმით გადაწყვეტას ელოდა. მაგრამ ამჯერად... უკანასკნელი იმედიც გაუქრა...

– ჩვენ ახლა ცოტა მეტი დრო გვჭირდება, – ჩაილაპარაკა დამბლდორმა და ჰერმიონს გადახედა.

– მაგრამ... – ჰერმიონს უცებ თვალები გაუფართოვდა, – ჰო, რა თქმა უნდა!

– არ დაგავიწყდეთ, – დამბლდორმა ხმას დაუწია, – სირიუსი პროფესორ ფლიტვიკის კაბინეტში მეშვიდე სართულზეა ჩაკეტილი. დასავლეთის კოშკი, მარჯვნიდან მეცამეტე ფანჯარა. თუ ყველაფერი კარგად იქნება, დღეს კიდევ ერთ უდანაშაულოს იხსნით სიკვდილისაგან. მაგრამ ორივეს გაფრთხილებთ, არავინ უნდა შეგამჩნიოთ! მის გრეინჯერ, თქვენ კარგად იცით, ფრთხილად უნდა იყოთ, არავინ დაგინახოთ!

ჰარი ვერაფერს ხვდებოდა. დამბლდორი კარისკენ გაემართა, ზღურბლზე შეჩერდა და ისევ ბავშვებს მოუბრუნდა.

– მე გარედან ჩაგკეტავთ. ახლა თორმეტს ხუთი წუთი აკლია. მის გრეინჯერ, სამჯერ გადატრიალება საკმარისი იქნება. აბა, წარმატებას გისურვებთ!

დამბლდორმა კარი გაიხურა თუ არა, გაშტერებული ჰარი ჰერმიონს მიუბრუნდა:

– წარმატებას გისურვებთო? რა სამი გადატრიალება? რა თქვა? რა უნდა გავაკეთოთ?

ჰერმიონმა მანტიაში ხელი ჩაიყო და ძალიან გრძელი ოქროს ჯაჭვი ამოიღო.

– ჰარი, ჩქარა, ჩემთან მოდი!

ჰარი გაშტერებული მიუახლოვდა და ჯაჭვზე ჩამოკიდებული ერთი ციცქნა ქვიშის საათი შეამჩნია.

გოგონამ ჯაჭვი ჰარისაც ჩამოაცვა კისერზე და უთხრა:

– არ გაინძრე!

– რას ვაკეთებთ? – უარესად დაიბნა ჰარი.

ჰერმიონმა ქვიშის საათი სამჯერ გადაატრიალა.

სიბნელე გაიფანტა. ჰარის ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს მთელი სისწრაფით მიექანებოდა სადღაც. საგნები ისე მიქროდნენ,

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომ, ფერადი ლაქების გარდა, ვერაფერს ხედავდა, ყურები დაუგუბდა. წამოყვირებაც კი სცადა, მაგრამ პირიდან ხმა არ ამოსდიოდა.

უცებ ფეხქვეშ მყარი მიწა იგრძნო და ყველაფერი გარკვევით დაინახა.

ჰერმიონთან ერთად დაცარიელებულ ჰოლში იდგა, ღია კარიდან შემოპარული მზის სხივი გაპრიალებულ იატაკს ეცემოდა. ჰარი ჰერმიონს მიუბრუნდა, ოქროს ჯაჭვი მაგრად შემოეჭირა კისერზე.

– ჰერმიონ, რას...

– აქეთ! – არ დააცადა ჰერმიონმა, ხელი სტაცა და კუთხეში, ცოცხების საკუჭნაოსკენ წაათრია. მერე საკუჭნაოს კარი გააღო, ჯერ ჰარი შეაგდო ვედროებითა და იატაკის ჯაგრისებით სავსე ოთახში, მერე თვითონაც შეჰყვა და კარი მიხურა.

– ჰერმიონ, ვერ მეტყვი, რა ხდება?

– დროში უკან დავბრუნდით, – გადაუჩურჩულა გოგონამ და ჯაჭვი მოხსნა, – სამი საათით უკან დავბრუნდით...

ჰარიმ ფეხზე იჩქმიტა და ძალიან მაგრადაც ეტკინა. ესე იგი, სიზმარში არ იყო და ეს ყველაფერი ცხადში ხდებოდა.

– კი მაგრამ...

– ჩუმად! მოიცა, ვიღაც მოდის! ეტყობა, ჩვენ მოვდივართ! – ჰერმიონმა ყური საკუჭნაოს კარს მიადო.

– ჰო, ნაბიჯების ხმა ჰოლიდან ისმის... ჰო, მე მგონი, ჩვენა ვართ, ჰაგრიდის ქოხში მივდივართ!

– შენ რა, გინდა მითხრა, რომ აქაც ჩვენ ვართ და იქაც? – ჩურჩულით ჰკითხა ჰარიმ.

– ჰო, დარწმუნებული ვარ, ჩვენ ვიქნებით! როგორც ვხვდები, სამი ადამიანის ფეხის ხმა ისმის... და თან ნელა მივიპარებით, იმიტომ, რომ უჩინმაჩინის მოსასხამი გვაქვს მოხურული... – ჰერმიონი წამით გაჩუმდა და ისევ მიაყურადა, – აი, უკვე წინა კიბეზე ჩავედით...

ჰერმიონი ამობრუნებულ ვედროზე ჩამოჯდა, ძალიან ღელავდა. ჰარის ერთი კითხვა აწუხებდა:

– არ მეტყვი, ეგ ქვიშის საათია თუ რაღაცა, საიდან გაქვს?

– ამას ქვიშის საათი კი არა, დროის მდევარი ჰქვია, – აუხსნა ჰერმიონმა, – პროფესორმა მაკგონაგელმა მომცა სკოლაში დაბრუნების პირველსავე დღეს და დამაფიცა, რომ არავის არაფერს ვეტყოდი. მაგიის სამინისტროში წერილებიც კი გაგზავნა, ჩემთვის დროის მდევრის ტარების უფლება რომ მოეცათ. აუხსნა, სანიმუშო მოსწავლეა და სწავლის გარდა, სხვა არაფერში გამოიყენებსო... მისი საშუალებით დროს უკან ვაბრუნებდი და რამდენიმე გაკვეთილზე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ერთდროულად ვიჯექი. მაგრამ... ჰარი, ერთი რამ ვერ გავიგე, პროფესორ დამბლდორს რა უნდა ჩვენგან? რატომ დაგვაბრუნა სამი საათით უკან? სირიუსს როგორ უნდა დავეხმაროთ?

ჰარი ჩაფიქრდა.

– ეტყობა, რაღაც ისეთი მოხდა ამ დროს, რის შეცვლაც უნდა... მაგრამ რა მოხდა? სამი საათის წინ ჰაგრიდის სანახავად წავედით...

– ახლა სწორედ ის დროა და ჰაგრიდთან ამწუთას მივდივართ, – შეახსენა ჰერმიონმა, – ხომ გაიგონე, ციხე-კოშკიდან როგორ გავიპარეთ...

ჰარიმ კოპები შეიკრა, დაძაბული ფიქრისგან თავი უხურდა.

– დამბლდორმა გვითხრა, კიდევ ერთ უდანაშაულოს იხსნით სიკვდილისგანო... – და უცებ გონება გაუნათდა, – ჰერმიონ, ბაკბიკი უნდა გადავარჩინოთ!

– კი მაგრამ, სირიუსს ამით როგორ ვუშველით?

– დამბლდორმა თქვა... ჰო, მიგვასწავლა, სად გამოდის ფლიტვიკის ოთახის ფანჯრები... იქ სირიუსი ჰყავთ ჩაკეტილი! ბაკბიკს მოვასხდებით და სირიუსს ფანჯრიდან გამოვიყვანთ! სირიუსი ბაკბიკით გაფრინდება, ამით კი ორივე გადაურჩება სასჯელს!

ჰარიმ შეამჩნია, რომ ჰერმიონს ეს აზრი დიდად არ მოეწონა.

– მეეჭვება. ამდენ რამეს შეუმჩნევლად როგორ მოვახერხებთ?

– უნდა ვცადოთ, სხვა რა გზა გვაქვს? – ჰარი წამოდგა და კარს ყური მიადო, – ჩამიჩუმი არ ისმის... აბა, წავედით!

ჰოლში სულიერის ჭაჭანება არ იყო. სწრაფად გამოძვრნენ საკუჭნაოდან და ქვის კიბეები ჩაირბინეს. ჩამავალი მზე აკრძალული ტყის მაღალ ხეებს ისევ ოქროსფერ ნათელში ხვევდა. მიწაზე წაგრძელებული ჩრდილები გაწოლილიყო.

– ნეტავ, ფანჯრიდან არავინ იყურებოდეს, – ციხე-კოშკს გახედა ჰერმიონმა.

– ტყისკენ გავიქცეთ, – გადაწყვიტა ჰარიმ, – ხეს ამოვეფარებით და ფრთხილად ვიქნებით.

– კარგი, მაგრამ ახლა სათბურებს უნდა შემოვუაროთ, რომ ჰაგრიდის ქოხის შესასვლელთან საკუთარი თავი არ დავინახოთ! უკვე ქოხს ვუახლოვდებით!

ჰარიმ კარგად ვერ გაიგო, რას გულისხმობდა ჰერმიონი, მაგრამ მაინც თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. ჰერმიონიც მიჰყვა. ბოსტანი გადაირბინეს და ცოტა ხანს სათბურების უკან შეჩერდნენ სულის მოსათქმელად. მერე ისევ თავდაუზოგავად გაცვივდნენ, მტარვალ ტირიფს ჩაუქროლეს და ტყეს შეაფარეს თავი. ხის ჩრდილში საიმედოდ დამალულ ჰარის მალე ჰერმიონიც წამოეწია.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ძალიან კარგი, ახლა კი როგორმე ჰაგრიდის ქოხთან უნდა მივიდეთ. ჰარი, ფრთხილად იყავი, არავინ დაგვინახოს!

ჩუმად გაუდგნენ გზას. ტყის პირას მიდიოდნენ და ხეებს ეფარებოდნენ. მალე ჰაგრიდის ქოხს მოჰკრეს თვალი და კარზე კაკუნიც გაიგონეს. სასწრაფოდ ამოეფარნენ უზარმაზარ მუხას და იქიდან დაუწყეს თვალთვალი. კარი აკანკალებულმა და მთლად გაფითრებულმა ჰაგრიდმა გააღო. გაკვირვებული ათვალიერებდა იქაურობას, ვერ გაეგო, ვინ დაუკაკუნა. ჰარის საკუთარი ხმა შემოესმა.

„ჩვენ ვართ! უჩინმაჩინის მოსასხამი გვაცვია, შიგნით შეგვიშვი, აქ ხომ ვერ გავიხდით!“

„არ უნდა მოსულიყავით!“ – გადაუჩურჩულა ჰაგრიდმა, მერე გვერდზე გადგა და კარი მიიხურა.

– ასეთი უცნაური თავგადასავალი ჯერ არ გვქონია! – აღფრთოვანდა ჰარი.

– ცოტა წინ წავიწიოთ, – ხმადაბლა უთხრა ჰერმიონმა, – ბაკბიკთან უნდა მივიდეთ!

ხეებს ამოფარებულები ჩუმად მიიპარებოდნენ, სანამ ჰაგრიდის გოგრების ბაღში ღობეზე მიბმული ჰიპოგრიფი არ დაინახეს.

– ახლავე წავიდეთ? – ჩურჩულით ჰკითხა ჰარიმ.

– არა! ახლავე თუ მოვიტაცებთ, კომიტეტის წარმომადგენლები ჰაგრიდს დააბრალებენ! უნდა დაველოდოთ, სანამ ღობეზე მიბმულს არ დაინახავენ!

– მაშინ სამოცი წამის მეტი აღარ გვექნება! – ჰარის ასეთ მოკლე დროში ჰიპოგრიფის მოტაცება შეუძლებლად ეჩვენებოდა.

უცებ ქოხიდან ფაიფურის მსხვრევის ხმა გაისმა.

– ჰაგრიდმა რძის დოქი გატეხა! – დაასკვნა ჰერმიონმა, – ახლა მალე სკაბერზს ვიპოვი...

რა თქმა უნდა, რამდენიმე წუთში ჰერმიონის გაკვირვებული შეძახილიც მოესმათ.

– ჰერმიონ, ხომ არ აჯობებს, ახლავე შევცვივდეთ ქოხში და პეტიგრიუ დავიჭიროთ?

– არა! – თავზარი დაეცა ჰერმიონს, – როგორ ვერ ხვდები? ჯადოქრობის ერთ-ერთ ძირითად კანონს დავარღვევთ! დროის უკან დაბრუნების უფლება არავის აქვს! ხომ გაიგონე, რა გვითხრა დამბლდორმა, თუ ვინმემ დაგინახათ...

– ჩვენ ხომ მხოლოდ ჩვენივე ორეულები და ჰაგრიდი დაგვინახავენ!

– ჰარი, როგორ გგონია, რას იზამდი, უცებ ჰაგრიდის ქოხში გიჟივით შევარდნილი საკუთარი თავი რომ დაგენახა?

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ალბათ... ვიფიქრებდი, გავრეკე-მეთქი... – დაიბნა ჰარი, – ან ბნელი ძალების ხრიკები მეგონებოდა...

– მეც მაგას გეუბნები! ვერაფერს მიხვდებოდი და საკუთარ თავს შეუტევდი! როგორ ვერ ხვდები ამდენს? პროფესორმა მაკგონაგელმა მიამბო, რა საშინელებები დატრიალებულა, როცა ჯადოქრებს დროის შეცვლა უცდიათ... ზოგიერთებს თურმე საკუთარი წარსულის ან მომავლის ორეულები დაუხოცავთ!

– ჰო, კარგი, – აღარ შეჰკამათებია ჰარი, – უბრალოდ, შემოგთავაზე, ვიფიქრე, იქნებ...

უცებ ჰერმიონმა მუჯლუგუნი გაჰკრა და ციხე-კოშკზე ანიშნა. ჰარიმ ოდნავ განზე გაიწია, რომ უკეთ დაენახა კოშკის მთავარი შესასვლელი – დამბლდორი, ფაჯი, კომიტეტის მოხუცებული წევრი და ჯალათი მაკნერი კიბეზე ჩამოდიოდნენ.

– აი, სულ მალე ჩვენც გამოვალთ ჰაგრიდის ქოხიდან! – გადაუჩურჩულა ჰერმიონმა.

და, მართლაც, რამდენიმე წამში უკანა კარი გაიღო და ჰარიმ საკუთარი თავი, ჰერმიონი და რონი დაინახა, ჰაგრიდთან ერთად ქოხიდან გამოვიდნენ. ასეთი უცნაური გრძნობა თავის დღეში არ დაუფლებია – ხეს ამოფარებული საკუთარ თავს უთვალთვალებდა.

„ნუ გეშინია, ბიკი, ყველაფერი კარგათ იქნება, – დაუყვავა ჰაგრიდმა ბაკბიკს, მერე ბავშვებს მიუბრუნდა, – აბა, ახლა წადით! სასწრაფოდ!

– ჰაგრიდ, არ შეგვიძლია...

– ჩვენ სიმართლეს მოვუყვებით...

– ასე ტყუილ-უბრალოდ ვერ მოკლავენ...

– წადით-მეთქი! ისღა მაკლია, ახლა თქვენც გაგხვიოთ შარში!“

ჰარიმ დაინახა, როგორ გადააფარა ჰერმიონმა ყველას უჩინმაჩინის მოსასხამი.

„სწრაფად, გაადგით ფეხი! და არ მოუსმინოთ...“

კარზე დააკაკუნეს. დამსჯელები მოვიდნენ. ჰაგრიდი ქოხში შებრუნდა, უკანა კარი ღია დარჩა. ჰარი ხედავდა, როგორ აჩნდებოდა ბოსტანში ბალახს ფეხის ნაკვალევი და ფრთხილი ნაბიჯების ხმაც ესმოდა. რონთან და ჰერმიონთან ერთად იქაურობას გაეცალა... ხეებს უკან ჩამალულ ჰარისა და ჰერმიონს კი ღია კარიდან ესმოდათ, რა ხდებოდა ქოხში.

– სადაა ცხოველი? – გაისმა მაკნერის გამყივანი ხმა.

– გა-გარეთ, – ძლივს ამოღერღა ჰაგრიდმა.

ჰარიმ თავი დასწია, ამ დროს მაკნერმა ფანჯრიდან ბაკბიკს გახედა. მერე ფაჯის ხმა გაისმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჩვენ... ჩვენ... უნდა წაგიკითხოთ სიკვდილით დასჯის ოფიციალური განაჩენი... ბევრ დროს არ წაგართმევთ. მერე შენ და მაკნერმა ხელი უნდა მოაწეროთ. მაკნერ, თქვენც მომისმინეთ, წესია ასეთი...

მაკნერის სახე ფანჯრიდან გაქრა. დადგა მოქმედების დრო!

– აქ დამელოდე, მე თვითონ გავაკეთებ ყველაფერს, – წასჩურჩულა ჰარიმ ჰერმიონს.

როგორც კი ფაჯის ხმა გაიგონა, ჰარი სამალავიდან გამოძვრა, ბაღის ღობეს გადაახტა და ბაკბიკს მიუახლოვდა.

„სახიფათო ჯადოსნურ არსებათა ლიკვიდაციის კომიტეტის გადაწყვეტილებით, ჰიპოგრიფი ბაკბიკი, შემდგომში მსჯავრდებულად წოდებული, ექვს ივნისს, მზის ჩასვლისას სიკვდილით იქნას დასჯილი...“

ჰარი ბაკბიკს ნარინჯისფერ თვალებში მიაჩერდა და თავი დაუკრა. ბაკბიკი მუხლებზე დაეშვა და ისევ წამოდგა. ჰარი თოკს დასწვდა.

„...მიესაჯოს სიკვდილი, თავის მოკვეთა. პროცედურის ჩატარება დაევალოს კომიტეტის მიერ უფლებამოსილ პირს, ჯალათ ვალდენ მაკნერს...“

– მიდი, ბაკბიკ, – შეევედრა ჰარი, – მიდი! შენ გადასარჩენად ვართ მოსულები! ოღონდ, არ იხმაურო, ჩუმად...

„...რაზედაც ხელს ვაწერთ... ჰაგრიდ, აქ მოაწერე ხელი...“

ჰარიმ მთელი ძალით მოქაჩა თოკს, მაგრამ ჰიპოგრიფი ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა.

– აბა, დროა, – გაისმა კომიტეტის მოხუცი წევრის სუსტი ხმა, – ჰაგრიდ, მე მგონი, აჯობებს, ქოხში დარჩეთ...

– არა! გვერდით უნდა ვედგე, მარტოს ვერ დავტოვებ...

ქოხიდან ნაბიჯების ხმა მოისმა.

– ბაკბიკ, ფეხი გამოადგი! – დაუსისინა ჰარიმ და ყელზე შემოჭერილ თოკს მაგრად მოქაჩა. ჰიპოგრიფი, როგორც იქნა, დაიძრა და ფრთები უკმაყოფილოდ ააფართხუნა. ტყემდე მისასვლელად სამი მეტრი ღია ადგილი უნდა გაევლოთ. ასე რომ, ჰაგრიდის ეზოდან მათი დანახვა თავისუფლად შეიძლებოდა.

– ერთი წამით, მაკნერ! – გაისმა დამბლდორის ხმა, – თქვენც უნდა მოაწეროთ ხელი.

ნაბიჯების ხმა მიწყდა. ჰარიმ უფრო მაგრად მოქაჩა თოკს, ბაკბიკმა ნისკარტი გააკაპუნა და ნაბიჯს მოუჩქარა.

ბუჩქებში ჰერმიონის გაფითრებული სახე გამოჩნდა.

– იჩქარე, ჰარი!

ჰარის დამბლდორის ხმა ესმოდა. მთელი ძალით კიდევ ერთხელ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოქაჩა თოკს, ბაკბიკი უკვე კუნტრუშზე გადავიდა და სულ მალე ტყეში შევიდნენ...

– ჩქარა! – აღმოხდა ჰერმიონს, სამალავიდან გამოვარდა და თოკს დაეჯაჯგურა. ჰარიმ უკან მიიხედა – უკვე სამშვიდობოს გასულიყვნენ, აქედან ჰაგრიდის ბაღი საერთოდ არ ჩანდა.

– მოიცა! – გადაუჩურჩულა ჰერმიონს, – ვერ დაგვინახავენ, მაგრამ ჩვენი ხმა რომ გაიგონონ?!

ქოხის კარი ხმაურით გაიღო. ჰარი, ჰერმიონი და ბაკბიკი გასუსულები იდგნენ, ჰიპოგრიფიც კი თითქოს გაფაციცებით აყურადებდა.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა... და უცებ...

– სად არის? – დაიძახა კომიტეტის წევრმა, – რა იქნა ცხოველი?

– აქ იყო დაბმული! – განრისხდა ჯალათი, – საკუთარი თვალით დავინახე! აი, აქ იყო!

– რა უცნაურია! – კმაყოფილებით აღნიშნა დამბლდორმა.

– ბიკიიი! – წამოიძახა ხმაჩახლეჩილმა ჰაგრიდმა.

ნაჯახმა ჰაერში გაისისინა და ღობეს მოხვდა. გააფთრებულმა ჯალათმა ღობეზე იყარა ჯავრი. ჰაგრიდს სიხარულის ცრემლები გადმოსცვივდა და ბედნიერმა დაიბღავლა:

– გაიქცა! გაიქცა! ჩემი პატარა ბიკი გაიქცა! ეტყობა, თოკი შეიხსნა! ყოჩაღ, ბიკი! ყოჩაღ, ჩემო ჭკვიანო ბიჭუნა!

ბაკბიკი გაუძალიანდათ, ჰაგრიდისკენ გაიქაჩა. ჰარი და ჰერმიონი მთელი ძალით ჩაეჭიდნენ თოკს, ფეხები ლამის მიწაში ჩაეზარდათ.

– ვიღაცამ გაათავისუფლა! – არ ცხრებოდა ჯალათი, – აქაურობა უნდა გავჩხრიკოთ! ტყეშიც უნდა ვეძებოთ!

– მაკნერ, თუ, როგორც თქვენ ამბობთ, ბაკბიკი მართლაც ვინმემ მოიპარა, როგორ გგონიათ, ფეხით წაიყვანდა? – დამბლდორს აშკარად ეტყობოდა, მხიარულ გუნებაზე იყო, – თუ გნებავთ, შეგიძლიათ, ცა გაჩხრიკოთ... ჰაგრიდ, ერთ ფინჯან ჩაიზე, იმედია, უარს არ მეტყვი... ან იქნებ ბრენდი შემომთავაზო?

– რა თქმა უნდა, პროფესორო, მობრძანდით, მობრძანდით... – ჰაგრიდს ბედნიერებისაგან ხმა წართმეოდა.

ჰარი და ჰერმიონი მთელი გულისყურით უსმენდნენ. ნაბიჯების ხმას ჯალათის ჩუმი გინება მოჰყვა, მერე კარი დაიხურა და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

– ახლა რა ვქნათ? – იკითხა ჰარიმ.

– აქ უნდა დავიმალოთ, – ჰერმიონს გააჟრჟოლა, – უნდა დაველოდოთ, სანამ ციხე-კოშკში არ დაბრუნდებიან. როცა დავრწმუნდებით, რომ არავინ გვითვალთვალებს, ბაკბიკით სირიუსის ფანჯარასთან მივფრინდებით... თუმცა, კიდევ ერთ-ორ საათს მაინც მოგვიწევს

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოცდა... ცოტა ძნელი იქნება... – ჰერმიონმა შეშფოთებით გახედა ტყეს. მზე ჩადიოდა.

– აქედან უნდა წავიდეთ, – გადაწყვიტა ჰარიმ, – მტარვალ ტირიფთან ახლოს დავიმალოთ, თორემ ვერაფერს გავიგებთ.

ჰერმიონმა თავი დაუქნია და ბაკბიკის თოკს უფრო მაგრად ჩასჭიდა ხელი.

– არ დაგავიწყდეს, არავინ უნდა დაგვინახოს, ჰარი...

ტყეს გაუყვნენ. ამასობაში მთლად ჩამობნელდა. ბოლოს ისეთი ადგილი შეარჩიეს, სადაც საიმედოდ დაიმალებოდნენ და კარგად დაინახავდნენ მტარვალ ტირიფს.

– აი, რონი დავინახე! – უთხრა ჰარიმ.

სიბნელეში ვიღაც მორბოდა და გამწარებული ყვიროდა.

– თავი დაანებე... არ მიეკარო... სკაბერზ, მოდი ჩემთან...

მერე არსაიდან კიდევ ორი ფიგურა გაჩნდა. ჰარიმ საკუთარი თავი და ჰერმიონი იცნო, რონს მისდევდნენ. უცებ რონი მიწაზე გაწვა.

– დაგიჭირე! მომშორდი, საზიზღარო კატა...

– აი, სირიუსიც! – ტირიფის ფესვებიდან ვეება ძაღლი გამოიჭრა, ჰარი წააქცია და რონს ჩააფრინდა...

– აქედან უფრო საშინელი საყურებელია, არა? – ჰარი თვალს არ აცილებდა ძაღლს, რომელიც რონს ტირიფისკენ მიათრევდა, – ვაი! ნახე, ხემ ტოტი ჩამარტყა!... შენც ჩაგცხო! რა უცნაურია...

მტარვალი ტირიფი გაავებული იქნევდა ტოტებს. ჰარი და ჰერმიონი ხედავდნენ, როგორ დახტოდნენ აქეთ-იქით მათი ორეულები და ცდილობდნენ, როგორმე ტირიფის ფესვებამდე მიეღწიათ. მოულოდნელად ხე გაქვავდა.

– ალბათ ბომ საიდუმლო ადგილას დააჭირა თათი, – დაასკვნა ჰერმიონმა.

– ...და ჩვენც შევედით... – დააბოლოვა ჰარიმ.

როგორც კი ბავშვები გაუჩინარდნენ, ხემ ისევ აასხმარტალა ტოტები. წუთიც არ გასულა, ნაბიჯების ხმა შემოესმათ. დამბლდორი, მაკნერი, ფაჯი და კომიტეტის მოხუცი წევრი ციხე-კოშკისკენ მიდიოდნენ.

– რა ბენწზე აგვცდენია! – ამოიოხრა ჰერმიონმა, – ნეტავ, დამბლდორიც ჩვენთან ერთად ჩამოსულიყო...

– მაშინ მაკნერი და ფაჯიც ჩამოჰყვებოდნენ, – ჩაილაპარაკა ჰარიმ, – დარწმუნებული ვარ, ფაჯი მაკნერს მაშინვე სირიუსის მოკვლას უბრძანებდა...

ოთხივე ჯადოქარი კიბეზე ავიდა და თვალს მიეფარა. კარგა ხანს არავინ გამოჩენილა. და უცებ...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აი, ლუპინიც მოდის! – ჰარიმ სიბნელეში ძლივს გაარჩია პატარა ფიგურა, რომელიც კიბეზე დაეშვა და ტირიფისკენ გაიქცა. მთვარეს ღრუბლები ფარავდა.

ლუპინმა მოტეხილი ტოტი აიღო და მტარვალ ტირიფს საიდუმლო ადგილას მიაჭირა. ხემ ტოტების ქნევა შეწყვიტა, პროფესორი გვირაბში ჩაძვრა.

– უჩინმაჩინის მოსასხამი რომ აეღო... – დანანებით ჩაილაპარაკა ჰარიმ, – იქვე აგდია... – მერე ჰერმიონს მიუბრუნდა, – უცებ რომ გავვარდე და მოსასხამი ავიღო, სნეიპი ხომ ვეღარ ჩაიგდებს ხელში...

– ჰარი, ჩვენ არავინ უნდა დაგვინახოს!

– არ მესმის, ამას როგორ ითმენ? – გაბრაზდა ჰარი, – უაზროდ ვდგავართ აქ და არაფერს ვაკეთებთ! წავალ, მოსასხამს ავიღებ!

– ჰარი, არ გინდა! – ჰერმიონმა მანტიაში ჩაავლო ხელი და ბეწვზე მიუსწრო, რადგან უცებ ჰაგრიდის გახარებული სიმღერა შემოესმათ. ხელში ვეება ბოთლი ეჭირა და ციხე-კოშკისკენ ბარბაცით მიდიოდა.

– ხედავ? – გადაუჩურჩულა ჰერმიონმა, – ხედავ, რას გადავრჩით? არ უნდა დაგვინახონ-მეთქი! ბაკბიკ, შეჩერდი!

ჰიპოგრიფმა გამწარებით გაიბრძოლა, ჰაგრიდისკენ მიიწევდა. ჰარიც თოკს მოეჭიდა, გახარებული ბაკბიკი ძლივს დააკავეს. ჰაგრიდი არეული ნაბიჯით შევიდა ციხე-კოშკში. ბაკბიკი, როგორც იქნა, დამშვიდდა და დაღვრემილმა თავი ჩაქინდრა.

ორიოდე წუთში ციხე-კოშკის კარი ისევ გაიღო და იქიდან გიჟივით გამოვარდა სნეიპი.

ჰარიმ მუშტები შეკრა, როცა სნეიპი ტირიფთან მივიდა და იქაურობა დაკვირვებით მოათვალიერა, მერე მოსასხამს დაავლო ხელი.

– ხელი არ ახლო ჩემს მოსასხამს! – ჩაისისინა ჰარიმ.

– ჩშშ!

სნეიპმა ლუპინის დატოვებული ტოტი აიღო, საიდუმლო ადგილას მიაჭირა და მოსასხამგადაფარებული გაუჩინარდა.

– აი, ასე, უკვე ყველანი ქვემოთ ვართ! ახლა უნდა დაველოდოთ, სანამ უკან არ დავბრუნდებით... – ჰერმიონმა ბაკბიკის თოკი საიმედოდ მიაბა იქვე მდგარ ხეს, მიწაზე დაჯდა და მუხლებზე ხელები შემოიხვია, – ჰარი, ერთი რაღაც მაინც არ მესმის... დემენტორებმა სირიუსი რატომ ვერ დაიჭირეს? მახსოვს, როგორ მოგვიახლოვდნენ, მერე კი გული წამივიდა... ძალიან ბევრნი იყვნენ...

ჰარი გვერდით მიუჯდა და უამბო, რაც დაინახა – როგორ მიუახლოვდა ერთ-ერთი დემენტორი და საკოცნელად დაიხარა, ამ დროს როგორ გამოირბინა ტბაზე ვერცხლისფერ ნათელში გახვეულმა არსებამ და დემენტორები გაფანტა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა არსება იყო? – გაოგნდა ჰერმიონი.

– დემენტორებს ერთადერთი არსებისა ეშინიათ, – აუხსნა ჰარიმ, – ნამდვილი და ძლიერი პატრონუსის!

– კი მაგრამ, ვინ შექმნა პატრონუსი?

ჰარის არაფერი უთქვამს, ცდილობდა, ის ადამიანი გაეხსენებინა, ტბის ნაპირას რომ დაინახა... კარგად ახსოვდა, ვინ ეგონა... მაგრამ არა, ეს შეუძლებელი იყო...

– ვერ დაინახე? – ჩაეძია ჰერმიონი, – რომელიმე ჩვენი მასწავლებელი ხომ არ იყო?

– არა, მასწავლებელი ნამდვილად არ იყო, – დაბეჯითებით მიუგო ჰარიმ.

– მაშინ, როგორც ჩანს, ძალიან ძლიერი ჯადოქარი ყოფილა. ამდენი დემენტორის დაფრთხობა ადვილი საქმე არაა... ისე, თუ პატრონუსი ასე ძლიერად ანათებდა, ის კაცი როგორ ვერ დაინახე.

– კი, დავინახე, – ჰარის ყელში ბურთი გაეჩხირა, – დავინახე... მაგრამ, არა, ალბათ უფრო მომეჩვენა... გონება არეული მქონდა... მაშინვე გული წამივიდა...

– ვინ იყო?

– მე მგონი... – ჰარი შეჩერდა, რადგან თვითონვე ხვდებოდა, რა დაუჯერებელი რამ უნდა ეთქვა, – მამაჩემი იყო...

ჰერმიონს კინაღამ თვალები გადმოსცვივდა, შეშფოთებითა და სიბრალულით აღსავსე თვალებით შეხედა ბიჭს.

– ჰარი... მამაშენი ხომ... მ-მკვდარია...

– ვიცი, – ნაჩქარევად მიუგო ჰარიმ.

– როგორ ფიქრობ, მისი აჩრდილი ხომ არ იყო?

– არ ვიცი... თუმცა, არა, აჩრდილს არ ჰგავდა...

– კი მაგრამ...

– ეტყობა, მომეჩვენა, მაგრამ ის კაცი ნამდვილად მამაჩემს ჰგავდა... სურათები ხომ მაქვს...

ჰერმიონი შეწუხებული მისჩერებოდა, თითქოს ეშინოდა, ჭკუიდან ხომ არ გადაცდაო.

– ვიცი, არ გჯერა, – ჩაილაპარაკა ჰარიმ და ბაკბიკს მიუბრუნდა. ის კი ნისკარტით მიწას ჩიჩქნიდა, ალბათ ჭიებს ეძებდა.

მაგრამ ამწუთას ჰარი ბაკბიკზე სულაც არ ფიქრობდა. მისი ფიქრები მამას და მის სამ მეგობარს დასტრიალებდა... მთვარეულა, გრძელკუდა, მაწანწალა და ქორბუდა. ნუთუ ოთხივე იქ იყო იმ საღამოს? გრძელკუდა სრულიად მოულოდნელად გამოჩნდა, მაშინ როცა ყველას მკვდარი ეგონა. იქნებ მამაც ცოცხალია? ან იქნებ მოეჩვენა? ის ხომ ძალიან შორს იდგა და, ბუნებრივია, კარგად ვერ დაინახავდა...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თუმცა, სანამ გონებას დაკარგავდა, სრულიად დარწმუნებული იყო, რომ მამა დაინახა.

ნიავმა დაუბერა და ფოთლები ააშრიალა. ღრუბლებიდან წამით გამოანათა მთვარემ და ისევ მიიმალა. ჰერმიონი ტირიფს თვალს არ აშორებდა.

დაახლოებით ერთი საათი გავიდა და უცებ...

– აი, მოვდივართ, – წამოიძახა ჰერმიონმა.

ბაკბიკმა თავი ასწია. დაინახეს, როგორ ამობობღდნენ გვირაბიდან ლუპინი, რონი და პეტიგრიუ. მერე ჰერმიონიც გამოჩნდა... მას გონებადაკარგული და ჰაერში სასაცილოდ მოფარფატე სნეიპი მოჰყვა. სულ ბოლოს კი ჰარი და ბლექი გამოჩნდნენ. ყველანი ერთად გაემართნენ ციხე-კოშკისკენ.

ჰარის გული გამალებით უცემდა. სადაც იყო, ღრუბლები გაიფანტებოდა და მთვარე გამოჩნდებოდა...

– ჰარი, – ჰერმიონი თითქოს მიუხვდა, – აქედან ფეხი არ უნდა მოვიცვალოთ! არ უნდა დაგვინახონ, ჩვენ მაინც ვერაფერს შევცვლით...

– ესე იგი, გულხელდაკრეფილები ვისხდეთ და მშვიდად ვუყუროთ, როგორ გაიქცევა პეტიგრიუ?

– ამ სიბნელეში ვირთხის პოვნას როგორ აპირებ? – შეუტია ჰერმიონმა, – ვერაფერს შევცვლით-მეთქი! ჩვენ დროში სირიუსის დასახმარებლად დავბრუნდით! სხვა არაფრის უფლება არა გვაქვს!

– ჰო, კარგი, კარგი...

ღრუბლებიდან მთვარე გამოცურდა. უკვე საკმაოდ შორს წასული ფიგურები შეჩერდნენ. მერე კი ჩოჩქოლი ატყდა.

– ლუპინს ვხედავ, მალე მაქციად გადაიქცევა! – დაუჩურჩულა ჰერმიონმა.

– ჰერმიონ! – აქედან უნდა წავიდეთ! – მოაგონდა ჰარის.

– არა-მეთქი, რამდენჯერ უნდა გითხრა!

– არა, არაფერში ჩავერევით, მაგრამ ლუპინი ხომ ტყეში შემოვარდება და დაგვინახავს კიდეც!

ჰერმიონი შეცბა.

– ჩქარა! – გაფითრებული ეცა ბაკბიკს, – ჩქარა! სად წავიდეთ? სად დავიმალოთ? სადაცაა, დემენტორები გამოჩნდებიან...

– ჰაგრიდთან დავბრუნდეთ, – მოაფიქრდა ჰარის, – შინ არ იქნება! ჩქარა!

რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, გაიქცნენ, ბაკბიკი უკან მისდევდათ. უკნიდან მაქციის ყმუილი ესმოდათ...

როგორც იქნა, ქოხიც გამოჩნდა. ჰარი კარებს ეცა და სასწრაფოდ გამოაღო. ჰერმიონი და ბაკბიკი შიგნით შეცვივდნენ. ჰარიც ქოხში

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შევარდა და კარი ურდულით გადარაზა. ფენგი ხმამაღლა აყეფდა.

– ჩუმად, ფენგ, ჩვენა ვართ! – ჰერმიონმა ძაღლთან მიირბინა და ყურზე მოეფერა, მერე ჰარის მიუბრუნდა: – ბეწვზე გადავრჩით!

– ჰო...

ჰარიმ ფანჯრიდან გაიხედა, მაგრამ თითქმის ვერაფერი გაარჩია. ბაკბიკს ჰაგრიდის სახლში დაბრუნება ძალიან გაუხარდა. გახარებული წამოწვა ბუხართან, ფრთები შეიკეცა და თვალები მილულა.

– აჯობებს, გარეთ გავიდე, – თქვა ჰარიმ, – აქედან ვერაფერს ვხედავ, დრო არ გამოგვეპაროს..

ჰერმიონმა დაეჭვებით შეხედა.

– ნუ გეშინია, არ ჩავერევი, – დაამშვიდა ჰარიმ, – თუ ვერაფერი დავინახეთ, როგორ მივხვდებით, როდის წავიდეთ სირიუსის გადასარჩენად?

– კარგი... მაგრამ ფრთხილად იყავი, მაქცია და დემენტორები არ დაგავიწყდეს...

ჰარი გარეთ გავიდა და ქოხს შემოუარა. საცოდავი წკავწკავი შემოესმა. ესე იგი, დემენტორებს სირიუსი უკვე ალყაში მოექციათ... თვითონ კი ჰერმიონთან ერთად იქით გარბოდა...

ჰარიმ ტბას გახედა, გული გამალებით უცემდა. პატრონუსის შემქმნელიც სადაცაა, გამოჩნდებოდა.

ერთი წამით შეყოყმანდა... „არავინ უნდა დაგვინახოს“, მოაგონდა გაფრთხილება. თუმცა, არავის დაენახვებოდა, პირიქით, თვითონ უნდოდა სხვისი დანახვა... აუცილებლად უნდა გაერკვია ყველაფერი...

დემენტორები გამოჩნდნენ. სიბნელიდან მოიწევდნენ, ტბის ნაპირზე ტევა აღარ იყო... ჰარის საწინააღმდეგო მიმართულებით მიდიოდნენ, ასე რომ, მათთან მიახლოება არ მოუწევდა...

ჰარი გაიქცა. თვალწინ სულ მამა ედგა... იქნებ მართლა მამა დაინახა... აუცილებლად უნდა გაერკვია ყველაფერი, ისე ვერ მოისვენებდა...

ტბას მიუახლოვდა, მაგრამ ჯერჯერობით ვერავის ხედავდა. მეორე ნაპირზე სუსტი ვერცხლისფერი ნათება შეამჩნია და მიხვდა, ეს ჩემი უსუსური პატრონუსი იქნებაო...

ზედ ტბის პირას ამოზრდილ ბუჩქნარში შევარდა და გაფაციცებით მიაჩერდა. მეორე ნაპირზე ვერცხლისფერი ნათება გაქრა. ჰარის აღელვებისგან გული შეეკუმშა, უკვე ნებისმიერ წუთს...

– გამოდი, სად იმალები? – ჩაიბუტბუტა შეშფოთებულმა, – მამა, სადა ხარ..?

მაგრამ არავინ გამოჩენილა. ჰარიმ ბუჩქებიდან თავი გამოყო.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ერთ-ერთმა დემენტორმა კაპიუშონი მოიხადა. მხსნელი სწორედ ახლა უნდა გამოჩენილიყო... მაგრამ ისევ არავინ ჩანდა...

და უცებ ჰარის გონება გაუნათდა, ყველაფერს მიხვდა – მამა კი არა, ტბის მეორე ნაპირზე საკუთარი თავი დაუნახავს...

ბუჩქებიდან გამოხტა, ჯოხი მოიმარჯვა და დაიღრიალა:

– ექსპექტო პატრონუმ! – და უცებ ჯოხიდან უფორმო, სუსტი სინათლის ნაცვლად თვალისმომჭრელად ელვარე, ვერცხლისფერი ცხოველი გამოიჭრა. ჰარიმ თვალები მოჭუტა, არსება ცხენს ჩამოჰგავდა, წყლის ზედაპირზე ელვის სისწრაფით მიქროდა. მერე თავი დახარა და აჩოჩქოლებულ დემენტორებს დაერია... მიწაზე უგონოდ დავარდნილ ადამიანებს დასტრიალებდა... დამფრთხალი დემენტორები დაიფანტნენ და სიბნელეს შეერივნენ...

პატრონუსი შემობრუნდა და ისევ ჰარისკენ გამოქანდა. ამჯერად ჰარიმ გარკვევით დაინახა, რომ ეს არც ჩვეულებრივი ცხენი იყო და არც ცალრქიანი. მისკენ მთვარესავით ქათქათა ხარირემი მოქროდა...

ნაპირთან შეჩერდა, ტალახიან მიწაზე კვალი არ დაუტოვებია, ვერცხლისფერი თვალები ჰარის მიაშტერა და დატოტვილრქებიანი თავი დაუკრა. ჰარის გონება გაუნათდა...

– ქორბუდა! – აკანკალებული ხელები წინ გაიშვირა, მაგრამ ირემი უცებ გაქრა.

ჰარი ხელებგაწვდილი იდგა. ამასობაში ფლოქვების თქარათქური შემოესმა, გულგახეთქილი შემოტრიალდა და ჰერმიონი დაინახა, ბაკბიკი მოჰყავდა.

– რა ჩაიდინე? – შეუყვირა ჰერმიონმა, – ხომ დამპირდი, არ ჩავერევიო!

– ჩვენი სიცოცხლე გადავარჩინე, ბუჩქებში ჩავიმალოთ, ყველაფერს აგიხსნი...

ჰერმიონი პირდაღებული უსმენდა.

– ვინმემ ხომ არ დაგინახა? – ჰკითხა გაოგნებულმა.

– როგორ არა, არ მისმენდი? საკუთარი თავი დავინახე, ოღონდ მამაჩემი მეგონა! ამით არაფერი დაშავდება!

– ჰარი! დაუჯერებელია! ასეთი ძლიერი პატრონუსის შექმნა როგორ მოახერხე?! ეს მხოლოდ უძლიერეს ჯადოქრებს შეუძლიათ...

– ვიცოდი, ამჯერად გამომივიდოდა, იმიტომ რომ ერთხელ უკვე გამომივიდა... ახლა ხომ გაიგე?

– არ ვიცი... ჰარი, სნეიპს შეხედე! – ბუჩქებიდან ერთად გახედეს მეორე ნაპირს.

სნეიპი გონს მოვიდა, ჯადოსნური საკაცეები გააჩინა, ჰარი, ჰერმიონი და ბლექი ზედ დააწვინა. მეოთხე საკაცე, რომელზეც უთუოდ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რონი იწვა, უკვე ჰაერში ლივლივებდა. ბოლოს სნეიპმა ჯოხი შემართა და ოთხივე საკაცე ციხე-კოშკისკენ გაუშვა.

– ცოტაც მოვითმინოთ, – ჰერმიონმა საათს დახედა, – ორმოცდახუთი წუთი გვაქვს, სანამ დამბლდორი კარს ჩაგვიკეტავს. ამასობაში სირიუსი უნდა გადავარჩინოთ და პალატაში დაბრუნება მოვასწროთ, სანამ ვინმეს შეუმჩნევია, რომ გავიპარეთ...

ისხდნენ და ელოდნენ. ღრუბლები ტბაში ირეკლებოდა, ნიავი ოდნავ არხევდა ბუჩქნარს. მოწყენილი ბაკბიკი ისევ მიწას ჩიჩქნიდა და ჭიებს ეძებდა.

– როგორ ფიქრობ, უკვე ოთახში ჰყავთ? – ჰკითხა ჰარიმ და თავადაც დახედა საათს. მერე დასავლეთის კოშკის ფანჯრების გადათვლა დაიწყო.

– შეხედე! – გადაუჩურჩულა ჰერმიონმა, – ეს ვინღაა? ციხე-კოშკიდან ვიღაც გამოვიდა!

ჰარიმ სიბნელეს თვალი გაუშტერა. უცნობი კაცი სკოლის კარიბჭისკენ მირბოდა. ქამარში გარჭობილმა ნაჯახმა მთვარის შუქზე გაიელვა.

– მაკნერია! ჯალათი! დემენტორებთან მიდის! – დაასკვნა ჰარიმ, – ჰერმიონ, უკვე დროა...

ჰერმიონმა ბაკბიკს ზურგზე დააწყო ხელები, ჰარი მიეხმარა და ზედ შესვა. მერე თვითონაც ბუჩქის ტოტებზე შედგა და ჰიპოგრიფზე ამხედრდა. ჰერმიონის წინ დაჯდა, მერე ბაკბიკს თოკი კისერზე გადაატარა და საყელურს მეორე მხრიდან მიაბა. ახლა უკვე სადავე ეჭირა ხელში.

– მზადა ხარ? – გადაუჩურჩულა ჰერმიონს, – მაგრად მომეჭიდე... – და ბაკბიკს ფერდებზე ქუსლები შემოჰკრა.

ჰიპოგრიფი ჩაბნელებულ ცაში აიჭრა. ჰარი მუხლებს მაგრად უჭერდა გვერდებზე, ჰიპოგრაფი მძლავრად იქნევდა უზარმაზარ ფრთებს. ჰერმიონი ბიჭს წელზე შემოხვეოდა და შეშინებული ბუტბუტებდა:

– ჰიპოგრიფზე აღარასოდეს დავჯდები... ვაი...

ჰარიმ ბაკბიკი ააჩქარა, უკვე ციხე-კოშკის ზედა სართულებისკენ მიფრინავდნენ... სადავე მარცხნივ მოქაჩა და ბაკბიკიც შეტრიალდა. ჰარი ფანჯრების გადათვლას შეუდგა.

– დრრრ! – შეუძახა ბაკბიკს და სადავე თავისკენ მოსწია.

ბაკბიკი შეჩერდა, მაგრამ ფრთებს მაინც იქნევდა და ადგილზე ირწეოდა.

– აქ არის! – შესძახა ჰარიმ, როცა ერთ-ერთ ფანჯარაში ბლექი დაინახა. მერე დრო იხელთა და სანამ ბაკბიკს ფრთა დაბლა ჰქონდა დახრილი, ფანჯარაზე მაგრად დააკაკუნა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბლექმა ამოხედა და გაოცებისაგან ყბა ჩამოუვარდა. სასწრაფოდ წამოხტა, ფანჯარას დაეჯაჯგურა, მაგრამ ვერ გააღო, მაგრად იყო ჩაკეტილი.

– გვერდზე გადექით! – გასძახა ჰერმიონმა, ჯოხი ამოიღო და ცალი ხელით ფანჯარას მიუშვირა, – ალოჰომორა!

ფანჯარა ლამის ანჯამებიდან ამოვარდა.

– რო... როგორ...? რა-რანაირად? – ბლექი გაშტერებული უყურებდა ჰიპოგრიფს.

– იჩქარე! დრო ცოტა გაქვს! – ჰარიმ ბაკბიკს კისერში ჩაავლო ხელი, რომ როგორმე ერთ ადგილას გაეჩერებინა, – უნდა გაიქცე, მაკნერი დემენტორების მოსაყვანად წავიდა! სადაცაა, გამოჩნდებიან!

ბლექმა ფანჯრის ჩარჩოს მოსჭიდა ხელი და თავი გარეთ გამოყო. საბედნიეროდ, გამხდარი იყო და ადვილად გამოეტია. წამიც და, მოხერხებულად მოახტა ბაკბიკს ზურგზე და ჰერმიონის უკან მოკალათდა.

– აბა, ბაკბიკ, მაღლა! – ჰარიმ თოკი მოქაჩა, – მიდი, მაღლა, სახურავისკენ!

ჰიპოგრიფმა მძლავრად დააქნია ფრთები. სულ მალე დასავლეთის კოშკს ზემოდან მოექცნენ.

ბაკბიკი ხმაურით დაეშვა ქონგურებით გარშემორტყმულ სახურავზე. ჰარი და ჰერმიონი ჩამოხტნენ.

– სირიუს, დროზე გაიქეცი, – უთხრა ჰარიმ, – სადაცაა, ფლიტვიკის კაბინეტში შევლენ და შენს გაპარვას შეიტყობენ!

ბაკბიკმა მოუსვენრად გააქნია თავი და ტორი სახურავს დასცხო.

– ის ბიჭი როგორაა, რონი? – ჰკითხა სირიუსმა.

– არა უშავს, მალე გამოჯანმრთელდება, მადამ პომფრი მიხედავს. რაღას უცდი, ჩქარა გაფრინდი!

ბლექი ისევ ჰარის მისჩერებოდა.

– არ ვიცი, ოდესმე თუ შევძლებ... გმადლობ...

– წადი! – ერთხმად შეჰყვირეს ჰარიმ და ჰერმიონმა.

ბლექმა ჰიპოგრიფი შეატრიალა.

– კიდევ შევხვდებით ერთმანეთს! – ჩამოსძახა ჰარის, – ჰარი, მამაშენი შენით იამაყებდა... – მერე ბაკბიკს ფერდებში ქუსლები ჰკრა.

ჰარი და ჰერმიონი უკან გახტნენ, ჰიპოგრიფმა უშველებელი ფრთები გაშალა და ჰაერში აიჭრა. თავის მხედართან ერთად თანდათან პატარავდებოდა... მთვარეს ღრუბელი გადაეფარა. ბლექი და ბაკბიკი გაუჩინარდნენ.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი ოცდამეორე

ისევ ბუს ფოსტა

– ჰარი! – ჰერმიონმა ბიჭს სახელოზე მოქაჩა და მაჯის საათზე დაიხედა, – ჰარი, ზუსტად ათი წუთი გვაქვს დარჩენილი! საავადმყოფო ფლიგელში უნდა დავბრუნდეთ და, სანამ დამბლდორი კარს ჩაკეტავს, არავინ უნდა დაგვინახოს!

– ჰო, კარგი, წავედით, – ჰარიმ სიშორეში ჩაკარგულ ჰიპოგრიფს ძლივს მოსწყვიტა თვალი.

ვიწრო შესასვლელში ჩაძვრნენ და ქვის ხვეულ კიბეს ჩაუყვნენ. ქვედა საფეხურზე ჩასულებს ხმა შემოესმათ. შეშინებულები კედელს აეკრნენ და მიაყურადეს. ფაჯი და სნეიპი დერეფანში ლაპარაკ-ლაპარაკით მიდიოდნენ.

– ...იმედი მაქვს, დამბლდორი საქმეს არ გაართულებს და კოცნას დაუყოვნებლივ შეასრულებენ, – თქვა სნეიპმა.

– რასაკვირველია, როგორც კი მაკნერი დემენტორებს მოიყვანს. ბლექის გამო ყველანი უხერხულ მდგომარეობაში ჩავცვივდით. ერთი სული მაქვს, „დილის მისნის“ კორესპონდენტებს ვამცნო, რომ, ბოლოს და ბოლოს, დავიჭირეთ... ალბათ თქვენგანაც მოინდომებენ ინტერვიუს აღებას, სნეიპ... და როცა ჰარი პოტერი გონს მოვა, ალბათ დაწვრილებით მოუყვება ჟურნალისტებს, როგორ იხსენით სიკვდილისგან...

ამ დროს სნეიპმა და ფაჯმა მათ სამალავს ჩაუარეს და ჰარის არ გამოჰპარვია, როგორი თვითკმაყოფილებით ჩაიცინა პროფესორმა სნეიპმა. ნაბიჯების ხმა მიწყდა. ჰარიმ და ჰერმიონმა ერთხანს კიდევ მოიცადეს და როცა დარწმუნდნენ, არავინ გვითვალთვალებსო, კისრისტეხით გაიქცნენ საწინააღმდეგო მიმართულებით. ჯერ ერთ კიბეს მიაწყდნენ, მერე მეორე ჩაირბინეს და გრძელ დერეფანში აღმოჩნდნენ. უცებ მხიარული ხითხითი გაისმა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– პივსი! ჩქარა, დავიმალოთ! – ჰარიმ ჰერმიონს ხელი ჩაავლო და ცარიელ საკლასო ოთახში შეიყვანა. ბენვზე გადარჩნენ, რადგან ახარხარებული და შესანიშნავ გუნებაზე მყოფი პივსი დერეფანში შემოფრინდა.

– რა საძაგელია! – გადაუჩურჩულა ჰერმიონმა და ყური კარს მიადო, – ეტყობა, ძალიან უხარია, დემენტორები ბლექის დასასჯელად რომ მოდიან... – ჰერმიონმა მაჯის საათზე დაიხედა, – ჰარი, სამად სამი წუთი გვრჩება...

დაელოდნენ, სანამ პივსის მოზეიმე შეძახილები არ მიწყნარდა, მერე ოთახიდან გამოვიდნენ და უკანმოუხედავად გაიქცნენ.

– ჰერმიონ... რა მოხდება... თუ... თუ... კარის ჩაკეტვამდე ოთახში დაბრუნება ვერ მოვასწარით?.. – ჰკითხა აქოშინებულმა ჰარიმ.

– მაგის გაფიქრებაც კი მაშინებს! – აღმოხდა ჰერმიონს, ნამდაუწუმ საათზე იხედებოდა, – ერთი წუთი დაგვრჩა!

როგორც იქნა, საავადმყოფო ფლიგელის შესასვლელს მიაღწიეს.

– დამბლდორის ხმა მესმის, წავედით, ჰარი!

დერეფანში უჩუმრად შეიძურწნენ. კარი გაიღო, დამბლდორი მათკენ ზურგით იდგა.

– ახლა ჩაგკეტავთ! თორმეტს ხუთი წუთი აკლია! მის გრეინჯერ, სამჯერ გადატრიალება საკმარისი იქნება! წარმატებას გისურვებთ!

დამბლდორი ოთახიდან გამოვიდა და კარის ჩასაკეტად ჯოხი ამოიღო. დაფეთებული ჰარი და ჰერმიონი პროფესორს მისცვივდნენ. დამბლდორს სახე გაებადრა:

– აბა, რა ჰქენით? როგორაა საქმე?

– ყველაფერი მოვასწარით! სირიუსი და ბაკბიკი გაიქცნენ, – სულმოუთქმელად მიაყარა ჰარიმ.

დამბლდორმა თბილად გაულიმა:

– ყოჩაღ! მე მგონი... – საავადმყოფო ფლიგელს მიაყურადა, – მე მგონი, უკვე თქვენი ორეულებიც გაქრნენ. აბა, ჩქარა, პალატაში შედით, მე გარედან ჩაგკეტავთ...

ჰარი და ჰერმიონი სასწრაფოდ შევიდნენ პალატაში. იქ უძრავად გაშოტილი რონის გარდა, არავინ იყო. საკეტმა გაიტკაცუნა, ჰარი და ჰერმიონი თავ-თავიანთ საწოლებში ჩაწვნენ. გოგონამ დროის მდევარი ისევ მანტიაში ჩამალა. უცებ თავისი კაბინეტიდან მადამ პომფრი გამოვიდა.

– თუ არ ვცდები, დირექტორი წავიდა, არა? იმედია, ახლა მაინც მომეცემა უფლება, ჩემს პაციენტებს წესიერად მივხედო! – მადამ პომფრი განაწყენებული ჩანდა.

ჰარიმ და ჰერმიონმა უხმოდ შეჭამეს სამკურნალო შოკოლადი.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქალი თავზე ადგა და სანამ არ გაათავეს, თვალი არ მოუცილებია. ჰარისაც და ჰერმიონსაც ძალიან უჭირდათ ჭამა – შოკოლადი ყელში არ გადასდიოდათ. ორივენი გასუსულები ელოდნენ, რა მოხდებოდა...

და უცებ, როცა უკვე მეოთხე ნაჭერ შოკოლადს მიირთმევდნენ, ზედა სართულიდან გაშმაგებული ღრიალი გაისმა...

– რა ხდება? – შეშფოთდა მადამ პომფრი.

გამძვინვარებული შეძახილები სულ უფრო ახლოდან ისმოდა. მადამ პომფრი კარს მიაჩერდა.

– რა უბედურებაა, ასე როგორ შეიძლება! ყველას გააღვიძებენ!

ჰარი გაფაციცებით უგდებდა ყურს, იქნებ სიტყვები გავარჩიოო.

– ეტყობა, დისაპარაცია გამოიყენა, სნეიპ! შევცდით, მასთან ოთახში კაცი რომ არ დავტოვეთ!

– არაფერიც! – სულ ახლოდან გაისმა სნეიპის ღრიალი, – განა არ იცით, რომ ამ ციხე-კოშკში აპარაცია და დისაპარაცია არ ჭრის?! აქ აშკარად პოტერის ხელი ურევია!

– სევერუს, რას ამბობთ! ჰარი პალატაში იყო ჩაკეტილი!

საავადმყოფო ფლიგელის კარი კედელს მიეხეთქა.

პალატაში ფაჯი, დამბლდორი და სნეიპი შემოვიდნენ. მათგან მხოლოდ დამბლდორს ეწერა სახეზე სრული სიმშვიდე. უფრო მეტიც, ეტყობოდა, ეს ამბავი ამხიარულებდა კიდეც. ფაჯი გაბრაზებული ჩანდა, სნეიპის მრისხანებას კი საზღვარი არ ჰქონდა.

– აღიარე, პოტერ! გამოტყდი, რა ჩაიდინე! – დაუღრიალა ბიჭს.

– პროფესორო სნეიპ, – შეჰკივლა მადამ პომფრიმ, – ასე როგორ შეიძლება!

– მომისმინეთ, სნეიპ, თავს უნდა მოერიოთ, კარი ჩაკეტილი იყო, ჩვენი თვალით არ ვნახეთ... – ფაჯი შეეცადა, დაეწყნარებინა.

– გაქცევაში დაეხმარნენ! დარწმუნებული ვარ! – ცოფებს ყრიდა პირზე დუჟმომდგარი სნეიპი.

– დაწყნარდით-მეთქი! – შეუტია ფაჯმა, – ნეტავ, რა სისულელეს ჩმახავთ, თუ იცით?!

– თქვენ პოტერს არ იცნობთ! – არ ცხრებოდა სნეიპი, – დარწ-მუნებული ვარ, მისი ბრალია, მან...

– საკმარისია, სევერუს! – აუღელვებლად შეაწყვეტინა დამ-ბლდორმა, – ცოტა დაუფიქრდით, რას ამბობთ! ათი წუთის წინ ჩემი ხელით ჩავკეტე კარი. მადამ პომფრი, სტუდენტები საწოლებიდან ხომ არ ამდგარან?

– რა თქმა უნდა, არა! – იწყინა მადამ პომფრიმ, – რაც თქვენ გახ-ვედით, ბატონო დირექტორო, გვერდიდან არ მოვცილებივარ!

– გაიგონეთ, სევერუს?! – მშვიდად ჰკითხა დამბლდორმა, – იქნებ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გგონიათ, რომ ჰარისა და ჰერმიონს ერთდროულად ორ ადგილას შეუძლიათ ყოფნა? და თუ ასე არ ფიქრობთ, მაშინ ბავშვებს მეტად ნულარ შევაწუხებთ!

სნეიპი გაშრა. ჯერ მისი საქციელით აღშფოთებულ ფაჯს გადახედა, მერე თვალებაციმციმებულ დამბლდორს და მანტიის ფრიალით გავარდა პალატიდან.

– ეს ყმაწვილი ერთობ გაუწონასწორებელი ჩანს! – ჩაილაპარაკა ფაჯმა, – დამბლდორ, თქვენს ადგილას მე თვალს არ მოვაშორებდი!

– არა, რას ბრძანებთ, – მიუგო დამბლდორმა, – უბრალოდ, იმედი გაუცრუვდა.

– მარტო ეგ არაა იმედგაცრუებული, – ამოიოხრა ფაჯმა, – წარმომიდგენია, რას გაიხარებენ „დილის მისნის“ ჟურნალისტები! ბლექი დავიჭირეთ და ახლა ისევ თვალსა და ხელს შუა აგვიორთქლდა! ისღა მაკლია, ჰიპოგრიფის გაქცევაც შეიტყონ და მასხრად ამიგდონ! ეეჰ... კარგი, უნდა წავიდე, სამინისტროს შევატყობინო...

– დემენტორები? იმედია, სკოლიდან მოგვაშორებთ?! – ჰკითხა დამბლდორმა.

– ჰო, რასაკვირველია, – ფაჯმა სასხვათაშორისოდ შეისწორა ჩამოშლილი თმა, – როგორ მეგონა, ასეთ რაღაცას გაბედავდნენ?! ღმერთო ჩემო, სრულიად უდანაშაულო ბავშვს დაუპირეს კოცნა... მთლად წავიდნენ ხელიდან... არა უშავს, ამაღამვე გავისტუმრებ აზკაბანში. იქნებ სკოლის შესასვლელებში დრაკონები დაგვეყენებინა?..

– ჰაგრიდი დიდად მოხარული დაგრჩებათ, – დამბლდორმა ოდნავ შესამჩნევად გაუღიმა ჰარისა და ჰერმიონს. მერე ფაჯთან ერთად პალატიდან გავიდა. მადამ პომფრიმ კარი სასწრაფოდ გადაკეტა და უკმაყოფილო ბუზღუნით შევიდა თავის კაბინეტში.

პალატის შორეული კუთხიდან კვნესა გაისმა. რონმა გაიღვიძა. საწოლზე წამოჯდა, მტკივან თავს ისრესდა და გაოცებული ათვალიერებდა იქაურობას.

– რა... რა მოხდა? ჰარი, აქ რა გვინდა? სირიუსი სადაა? ლუპინი რა იქნა? რა ხდება?

ჰარიმ და ჰერმიონმა ერთმანეთს გადახედეს.

– შენ აუხსენი, რა, – სთხოვა ჰარიმ და შოკოლადი აიღო.

* * *

მეორე დღეს, როცა ჰარი, რონი და ჰერმიონი საავადმყოფო ფლიგელიდან გამოწერეს, ციხე-კოშკი თითქმის დაცარიელებული

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაუხვდათ. პაპანაქება სიცხე იდგა და სემესტრის ბოლოს ყველანი ჰოგსმიდში წასულიყვნენ გასართობად. მაგრამ რონს, ჰერმიონსა და ჰარის ჰოგსმიდი არ ადარდებდათ. ციხე-კოშკის მიდამოებში დაეხეტებოდნენ, წუხანდელ საოცარ თავგადასავლებზე საუბრობდნენ და ბაკბიკსა და სირიუსზე ფიქრობდნენ. ტბის პირას ისხდნენ და თვალს ადევნებდნენ, როგორ აუღელვებლად იქნევდა საცეცებს გიგანტური კალმარი... უცებ ჰარი გაჩუმდა და ტბის მეორე ნაპირს მიაშტერდა. წუხელ იქიდან მის დასახმარებლად ხარირემი გამოეშურა...

უცებ მეგობრებს ვიღაცის ჩრდილი დაეცა. თვალებდასივებული ჰაგრიდი მაგიდის გადასაფარებლისოდენა ცხვირსახოცით იწმენდდა გაოფლილ სახეს.

– ვიცი, გუშინდელი ამბები არ გაგიხარდებოდათ... ბლექი რო გაიქცა... მაგრამ, აბა, თუ გამოიცნობთ, რა მოხდა?

– რა მოხდა? – განზრახ გაიოცეს ბავშვებმა.

– ბიკი გაფრინდა! თავისუფალია! მთელი ღამე მაგას ვზეიმობდი!

– მშვენიერია! – უთხრა ჰერმიონმა და მკაცრად შეხედა რონს, რომელიც ძლივს იკავებდა სიცილს.

– ეტყობა, კარგად არ დამიბია... – ბედნიერებისგან ბრწყინავდა ჰაგრიდი, – ამ დილით ცოტა კი ვინერვიულე... ისე... ვიფიქრე, სადმე პროფესორ ლუპინს ხომ არ გადაეყარა-მეთქი, მაგრამ ლუპინმა მითხრა, წუხელ არავინ შემიჭამიაო...

– რაო? – გაიკვირვა ჰარიმ.

– არ გაგიგიათ? – ჰაგრიდს ღიმილი გაუქრა და ხმას დაუწია, თუმცა ახლომახლო სულიერის ჭაჭანება არ იყო, – ისა... სნეიპმა სლიზერინელებს გამოუცხადა ამ დილით... მეგონა, უკვე ყველას გეცოდინებოდათ... თურმე პროფესორი ლუპინი მაქცია ყოფილა და წუხელ თავისუფლად დაეხეტებოდა სკოლის ტერიტორიაზე. ხოდა, სხვა რა გზა აქვს, ახლა ბარგს ალაგებს.

– ბარგს ალაგებსო? – შეშფოთდა ჰარი, – რატომ?

– მიემგზავრება, – ჰაგრიდს გაუკვირდა, რას მეკითხებაო, – ამ დილით სამსახურიდან დაეთხოვა. არ მინდა, ვინმე ისევ საფრთხეში ჩავაგდოო...

ჰარი წამოხტა.

– უნდა ვნახო! – უთხრა რონსა და ჰერმიონს.

– კი მაგრამ, თუ თვითონ დაეთხოვა...

– ჩვენ რაღას ვუშველით...

– მაინც უნდა ვნახო. ისევ აქ შევხვდეთ ერთმანეთს!

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

* * *

ლუპინის კაბინეტის კარი ღია იყო. პროფესორს თითქმის ყველაფერი უკვე ჩაელაგებინა. გატენილი ჩემოდნის გვერდით გრინდილოუს ცარიელი აკვარიუმი იდგა. ლუპინი მაგიდაზე რაღაცას აკვირდებოდა და მხოლოდ მაშინ მიიხედა, როცა ჰარიმ კარზე დააკაკუნა.

– დავინახე, როგორ შემოხვედი, – გაუღიმა ბიჭს და ონავრების რუკაზე ანიშნა.

– ჰაგრიდს ველაპარაკე, თქვენზე მითხრა, სამსახურიდან დაეთხოვაო. მომატყუა, არა?

– არა, სამწუხაროდ, არ მოუტყუებიხარ, სიმართლე გითხრა, – ლუპინმა უჯრების გამოლაგება დაიწყო.

– რატომ? მაგიის სამინისტროში ხომ არ ჰგონიათ, რომ თქვენ სირიუსს ეხმარებოდით?

ლუპინმა კარი დახურა.

– არა. პროფესორმა დამბლდორმა ფაჯი დაარწმუნა, რომ თქვენი გადარჩენა მინდოდა, – ამოიოხრა პროფესორმა, – სევერუსი ამან მთლად გააცოფა. მე მგონი, მერლინის ორდენის დაკარგვას ვერ ეგუება. ასე რომ... შემთხვევით... ჰო, შემთხვევით წამოსცდა ამ დილით, რომ მე მაქცია ვარ.

– მერე, ამის გულისთვის სკოლიდან მიდიხართ?

ლუპინს გაეღიმა.

– ნახე, ხვალ ამ დროისათვის რა ამბები ატყდება! მშობლები დამბლდორს წერილს წერილზე გამოუგზავნიან! რა თქმა უნდა, არავის სურს, მათ შვილებს მაქცია ასწავლიდეს სკოლაში. წუხანდელი ამბის მერე უკვე კარგად მესმის მათი. ვინმესთვის რომ მეკბინა?.. ასეთი რამ არ უნდა განმეორდეს!

– კი მაგრამ, თქვენ ხომ ბნელი ძალებისაგან თავდაცვის საუკეთესო მასწავლებელი ხართ, გთხოვთ, არ წახვიდეთ!

ლუპინმა თავი გააქნია, მაგრამ არაფერი უპასუხია და სანამ ჰარი რაიმე დამაჯერებელ არგუმენტს მოიფიქრებდა, უთხრა:

– დირექტორმა მიამბო, თურმე ბევრი უდანაშაულო გადაგირჩენია. ძალიან ვამაყობ შენით! ახლა შენს პატრონუსზე მომიყევი.

– ეგ საიდან იცით? – გაუკვირდა ჰარის.

– მაშ, დემენტორებს სხვა რა დააფრთხობდა?

ჰარიმ დაწვრილებით უამბო, რაც მოხდა. ლუპინს სახიდან კეთილი ღიმილი არ მოსცილებია.

– მამაშენი ყოველთვის ირმად იქცეოდა ხოლმე... სწორად მიმხ-

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვდარხარ... ამიტომაც ვეძახდით ქორბუდას... – ლუპინმა უკანასკნელ წიგნებს ჩემოდანში ჩაუძახა, მაგიდის უჯრები დახურა და ისევ ჰარის მიუბრუნდა, – აი, აიღე, ეს ქოთქოთა ქოხიდან წამოვიღე წუხელ, – და ჰარის უჩინმაჩინის მოსასხამი გადასცა, მერე ცოტა შეყოყმანდა და ონავრების რუკაც გაუწოდა, – უკვე აღარა ვარ შენი მასწავლებელი და თავს დამნაშავედ არ ვთვლი, ამას რომ გაძლევ. მე მაინც აღარაფერში მჭირდება და თან, დარწმუნებული ვარ, შენ, რონი და ჰერმიონი როგორმე გამოიყენებთ.

ჰარიმ რუკა გამოართვა და გაუღიმა.

– თქვენ ერთხელ მითხარით, მთვარეულა, გრძელკუდა, მაწანწალა და ქორბუდა სკოლიდან გაგიტყუებდნენო... ასე მითხარით, ამაზე ალბათ ბევრს იცინებდნენო...

– მართალი ხარ, ასეც მოვიქცეოდით, – ლუპინმა ჩემოდანი დაკეტა, – ეჭვი არ მეპარებოდა, ჯეიმსს იმედი გაუცრუვდებოდა, მის ვაჟს ვერც ერთი საიდუმლო გვირაბი რომ ვერ აღმოეჩინა.

კარზე დააკაკუნეს. ჰარიმ ონავრების რუკა და უჩინმაჩინის მოსასხამი სასწრაფოდ შეინახა.

ოთახში შემოსულ პროფესორ დამბლდორს ჰარის დანახვა არ გაჰკვირვებია.

– რემუს, ეტლი კარიბჭესთან გელოდებათ.

– გმადლობთ, ბატონო დირექტორო! – ლუპინმა ჩემოდანი და გრინდილოუს აკვარიუმი აიღო.

– აბა... მშვიდობით, ჰარი. ძალიან მიხარია, შენი მასწავლებელი რომ ვიყავი. დარწმუნებული ვარ, ოდესმე ისევ შევხვდებით ერთმანეთს. ბატონო დირექტორო, ჩემი გაცილება საჭირო არაა, თვითონ მოვახერხებ...

ჰარის მოეჩვენა, რომ ლუპინს ერთი სული ჰქონდა, სანამ წავიდოდა.

– ნახვამდის, რემუს, – გამოემშვიდობა დამბლდორი.

ლუპინმა გრინდილოუს აკვარიუმი იღლიაში ამოიჩარა და დამბლდორს ხელი ჩამოართვა. მერე ჰარის გაუღიმა, თავი დაუკრა და კაბინეტიდან გავიდა.

ჰარი მასწავლებლის სკამზე დაჯდა და დაღონებული მიაჩერდა იატაკს. კარი დაიკეტა.

– ცხვირი რატომ ჩამოუშვი, ჰარი? – ჰკითხა დამბლდორმა, – წუხანდელი ამბების მერე საკუთარი თავით უნდა ამაყობდე!

– მაინც ვერაფერი გამოვასწორეთ, – მწარედ ამოიოხრა ჰარიმ, – პეტიგრიუ გაიქცა!

– მართლა ეგრე გგონია? როგორ თუ ვერ გამოასწორეთ?! თქვენ

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სიმართლე გაარკვიეთ და უდანაშაულო კაცი საზარელი განაჩენისგან იხსენით.

საზარელი... ჰარის მეხსიერებაში რაღაც ამოუტივტივდა... „უფრო ძლევამოსილი და საზარელი...“

– პროფესორო დამბლდორ... გუშინ, მისნობის გამოცდაზე, პროფესორი ტრელოუნი ძალიან უცნაურად მოიქცა...

– მართლა? – გაუკვირდა დამბლდორს, – ის ხომ საერთოდაც უცნაურად იქცევა...

– დიახ, მაგრამ ხმა დაუბოხდა, თვალები ამოუტრიალდა და თქვა... თქვა, ლორდ ვოლდემორის მსახური შუაღამემდე თავს დაიხსნის და თავის ბატონს დაუბრუნდება... მისი დახმარებით კი ვოლდემორი ძალაუფლებას დაიბრუნებსო, – ჰარი დამბლდორს მიაჩერდა, – მერე ისევ გონს მოვიდა და არაფერი ახსოვდა. როგორ გგონიათ, მართლა იწინასწარმეტყველა?

დამბლდორს ეს ამბავი დიდად არ გაჰკვირვებია.

– შესაძლოა... რა არ ხდება ამქვეყანაზე... ესე იგი, პროფესორმა ტრელოუნიმ უკვე მოახერხა მომავლის განჭვრეტა. ჰმ, რას ვიზამ, ხელფასი უნდა მოვუმატო...

ჰარი გაოცდა, ასეთ საშინელ თემაზე როგორ ხუმრობსო.

– კი მაგრამ, მე ხომ სირიუსსა და ლუპინს პეტიგრიუ არ მოვაკვლევინე! ესე იგი, თუ ლორდი ვოლდემორი დაბრუნდა, ყველაფერი ჩემი ბრალი იქნება!

– არა, ჰარი, – აუღელვებლად განაგრძო დამბლდორმა, – დროის მდევრით მოგზაურობამ არაფერი გასწავლა? ჩვენს საქციელს ისეთი რთული და წარმოუდგენელი შედეგები მოჰყვება, რომ მომავლის წინასწარმეტყველება მართლაც ურთულესი საქმეა... პროფესორი ტრელოუნი კი ამის ცოცხალი დადასტურებაა. რაც შეეხება პეტიგრიუს გადარჩენას, მინდა გითხრა, კეთილშობილური საქციელი იყო.

– კი მაგრამ, ლორდ ვოლდემორს ძალაუფლების დაბრუნებაში რომ დაეხმარება?..

– პეტიგრიუ შენ უნდა გიმადლოდეს, ცოცხალი რომ გადარჩა. ახლა ვოლდემორის მსახური შენ წინაშე ვალშია. როცა ერთი ჯადოქარი მეორეს სიკვდილისგან იხსნის, მათ შორის ერთგვარი კავშირი წარმოიქმნება... და, ჩემი ღრმა რწმენით, ვოლდემორი არ მოისურვებს ისეთი მსახურის ყოლას, რომელიც ჰარი პოტერის წინაშე ვალშია...

– პეტიგრიუსთან არანაირი კავშირი არ მინდა! ჩემს მშობლებს უღალატა!

– ჰარი, ჩვენ ჯადოქრული ცხოვრების ყველაზე ბუნდოვან და დახლართულ საკითხებზე ვსაუბრობთ... მაგრამ შესაძლებელია, ოდესმე

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საკუთარ თავს მადლობა უთხრა პიტერ პეტიგრიუს გადარჩენისთვის.

ჰარის ვერ წარმოედგინა, ეს როგორ უნდა მომხდარიყო. დამბლდორი ისე უყურებდა, გეგონებოდათ, მის აზრებს კითხულობსო.

– მამაშენს კარგად ვიცნობდი, ჰარი, სკოლაშიც და სკოლის დამთავრების შემდეგაც. დარწმუნებული ვარ, პეტიგრიუს გადაარჩენდა.

ჰარიმ ახედა და გაიფიქრა: „არა, დამბლდორი არ დამცინებს, უნდა ვუთხრა...“

– წუხელ... მეგონა, მამაჩემმა შექმნა პატრონუსი. როცა საკუთარი თავი დავინახე ტბის მეორე ნაპირზე... მეგონა, მამაჩემს ვხედავდი.

– ბევრი არაფერი შეგშლია, – დაუყვავა დამბლდორმა, – დარწმუნებული ვარ, ამას მეათასედ ისმენ, მაგრამ მამაშენს საოცრად ჰგავხარ გარეგნობით. თუმცა, თვალები დედას გიგავს...

ჰარიმ თავი გააქნია და ჩაიბუტბუტა:

– სისულელეა... ხომ ვიცი, რომ მკვდარია...

– როგორ გგონია, ჩვენი საყვარელი ადამიანები სიკვდილის შემდეგ სამუდამოდ გვტოვებენ? განა დიდი გასაჭირის დროს თვალწინ არ წარმოგვიდგებიან? ჰარი, მამაშენი შენში ცოცხლობს და როცა ყველაზე მეტად გჭირდება, მაშინ გეცხადება. მაშ, როგორ მოახერხებდი იმ პატრონუსის შექმნას? ქორბუდამ წუხელ ისევ გაინავარდა...

ჰარი ვერ მიუხვდა ნათქვამს.

– სირიუსმა მიამბო, ანიმაგუსებად როგორ იქცეოდნენ ხოლმე, – გაეღიმა დამბლდორს, – პირდაპირ წარმოუდგენელი მიღწევაა, თან იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ მე ვერაფერი შევიტყვე... მერე ის პატრონუსიც გამახსენდა, რეივენქლოსთან მატჩის დროს მალფოის რომ შეუტია. ასე რომ, ჰარი, წუხელ ნამდვილად მამაშენი ნახე... მამა საკუთარ თავში აღმოაჩინე!

დამბლდორმა ფიქრებში ჩაძირული ჰარი მარტო დატოვა.

* * *

ჰარის, რონის, ჰერმიონისა და დამბლდორის გარდა, ჰოგვორტსში არავინ იცოდა, რა მოხდა სინამდვილეში იმ ღამით. სემესტრის დასასრულს სკოლაში ათასი ჭორი გავრცელდა, თუმცა სიმართლესთან არც ერთს არაფერი ჰქონდა საერთო.

მალფოი ბაკბიკის გაქცევამ გააცოფა. დარწმუნებული იყო, ჰაგრიდმა თავისი ჰიპოგრიფი გააპარა და ყველაზე მეტად ეს აგიჟებდა, მე და მამაჩემს ერთმა უბრალო მეტყევემ როგორ გვაჯობაო. პერსი უისლი კი გამუდმებით სირიუსის გაქცევაზე ლაპარაკობდა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– თუ სამინისტროში დავიწყე მუშაობა, ყველაფერს გავაკეთებ ძალოვანი სტრუქტურების მუშაობის გასაუმჯობესებლად! – ამტკიცებდა დაბეჯითებით, თუმცა თავისი შეყვარებულის, პენელოპე ქლიარუოთერის გარდა არავინ უსმენდა.

ჰარის დანა პირს არ უხსნიდა. მიუხედავად იმისა, რომ ამინდი შესანიშნავი იყო, ირგვლივ ყველა მხიარულობდა და თითქმის შეუძლებელი შეძლო სირიუსის გასათავისუფლებლად, არდადეგების მოსვლას ასეთ ცუდ გუნებაზე არასოდეს შეხვედრია.

რასაკვირველია, მის გარდა, სხვებსაც ეწყინათ პროფესორი ლუპინის წასვლა. ყველას, ვისაც ბნელი ძალებისაგან თავდაცვა ჰარისთან ერთად უტარდებოდა, ძალიან დასწყდა გული.

– საინტერესოა, ვის დაგვინიშნავენ მომავალ წელს, – მოიწყინა სიმუს ფინიგანმა.

– ალბათ ვამპირს, – დააიმედა დინ ტომასმა.

ჰარის მხოლოდ ლუპინის წასვლა როდი ადარდებდა. გამუდმებით პროფესორ ტრელოუნის წინასწარმეტყველება უტრიალებდა თავში. ნუთუ პეტიგრიუმ უკვე მიაგნო ვოლდემორის სამალავს? თუმცა, ყველაზე მეტად დერსლებთან დაბრუნება უშხამავდა გუნებას. სულ რაღაც ნახევარი საათით დაიჯერა, რომ სამუდამოდ სირიუს ბლექთან იცხოვრებდა... მისი მშობლების საუკეთესო მეგობართან... რა ტკბილი იყო ის ნახევარი საათი... ამაზე მეტად მხოლოდ საკუთარი მამის გაცოცხლება თუ გაახარებდა... სირიუსისგან არაფერი შეუტყვია, ასე რომ, გული დაიმშვიდა: რადგან არაფერს მატყობინებს, როგორც ჩანს, საიმედო სამალავს მიაგნოო. ჰარი საშინელ გუნებაზე დგებოდა, როცა ახსენდებოდა, რომ სირიუსთან ერთად ერთ ჭერქვეშ ცხოვრება აღარასოდეს ეღირსებოდა.

სასწავლო წლის ბოლო დღეს გამოცდების შედეგები გამოაქვეყნეს. ჰარი, რონი და ჰერმიონი არც ერთ საგანში არ ჩაჭრილან. ჰარის ძალიან გაუკვირდა, შხამ-წამლებში რომ არ ჩაიჭრა. გაიფიქრა, ალბათ საქმეში დამბლდორი ჩაერია და ჩემი ჩაჭრის უფლება არ მისცაო. სნეიპის საქციელი სულ უფრო აუტანელი ხდებოდა. ისედაც ხომ არ ეხატებოდა ჰარი გულზე, მაგრამ ახლა სიძულვილი უფრო გაუღრმავდა, ბიჭის დანახვაზე ტუჩები ბოროტად უცახცახებდა და თითები ეკრუნჩხებოდა, თითქოს ერთი სული აქვს, ჰარის ყელში სწვდესო.

პერსიმ უმაღლესი ქულები მიიღო **კ.ა.ტ.ა**-ს გამოცდაზე; ფრედმა და ჯორჯმა კი ძლივძლივობით მოახერხეს გამსვლელი **ბ.უ.ა.**-ს ქულების მიღება. გრიფინდორის კლუბმა, ძირითადად, ქვიდიჩის თასის წყალობით, ზედიზედ უკვე მესამედ მოიგო საკლუბო ჩემპიონატი. ამიტომ სასწავლო წლის დამთავრების აღსანიშნავად

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გამართული ბანკეტისთვის დიდი დარბაზი გრიფინდორის ალისფერ-ოქროსფერი დროშებით მორთეს. ყველანი ზეიმობდნენ, მაგრამ გრიფინდორის მაგიდასთან ყველაზე მეტად მხიარულობდნენ. ჰარის დროებით გადაავიწყდა, რომ მეორე დღეს დერსლებთან დაბრუნება მოუწევდა, და სხვებთან ერთად გულიანად მოილხინა.

* * *

მეორე დღეს, როცა ჰოგვორტსის ექსპრესი სადგურიდან გავიდა, ჰერმიონმა მეგობრებს მოულოდნელი ამბავი გაუმხილა.

– ამ დილით, საუზმემდე, პროფესორ მაკგონაგელთან ვიყავი, გადავწყვიტე, მაგლთმცოდნეობას თავი დავანებო.

– კი მაგრამ, შენ ხომ ასი შესაძლებლიდან სამას ოცი ქულა მიიღე გამოცდაზე?! – გაოგნდა რონი.

– ამდენს ველარ გავუძლებ. დროის მდევარმა კინაღამ ჭკუიდან გადამიყვანა, ასე რომ, პროფესორს დავუბრუნე. მაგლთმცოდნეობასა და მისნობას თუ არ ვისწავლი, ჩვეულებრივი ცხრილი მექნება.

– ჯერ კიდევ ვერ მომინელებია, რომ დროის მდევარზე არაფერი გვითხარი! – ჩაიბუზღუნა რონმა, – ჩვენ ხომ შენი მეგობრები ვართ!

– დავიფიცე, რომ არავის ვეტყოდი, – მკაცრად მიუგო ჰერმიონმა და ჰარის გადახედა.

ბიჭი სიშორეში ჩაკარგულ ჰოგვორტსს გაჰყურებდა... მთელი ორი თვე ედო წინ მომავალი სასწავლო წლის დაწყებამდე...

– ჰარი, ნუ მოიწყინე, – ანუგეშა ჰერმიონმა.

– არა, რას ამბობ, – ფიქრებიდან გამოერკვა ჰარი, – არდადეგებზე ვფიქრობდი.

– ჰო, მეც არდადეგებზე ვფიქრობდი, – ჩაერია რონი, – ჰარი, ჩვენთან გპატიჟებ, დედას და მამას დაველაპარაკები და დაგირეკავ. ფელიტონის გამოყენება უკვე ვიცი...

– ფელიტონის კი არა, ტელეფონის, რონ, – შეუსწორა ჰერმიონმა, – მომავალ წელს აუცილებლად უნდა ისწავლო მაგლთმცოდნეობა...

რონს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

– ამ ზაფხულს მსოფლიო ჩემპიონატი ტარდება ქვიდიჩში! აბა, რას იტყვი, ჰარი?! თუ ჩვენთან დარჩები, ჩემპიონატზე წავალთ! მამაჩემს სამსახურში ყოველთვის აძლევენ ბილეთებს.

ამ შემოთავაზებამ ჰარის უცებ გამოუკეთა გუნება.

– ჰო... დარწმუნებული ვარ, დერსლები სიხარულით გამომიშვებენ... მამიდა მარჯის მერე...

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გამხიარულებულმა ჰარიმ მეგობრებთან ერთად ითამაშა აფეთქებანა. მერე გამცილებელმა ქალმა ურიკა ჩამოატარა და ჰარიმაც კარგა ნოყიერი ლანჩი შეუკვეთა. თან გააფრთხილა, შოკოლადიანი არაფერი გამოურიოთო.

გვიან ნაშუადღევს კი ისეთი რაღაც მოხდა, რამაც ჰარის საბოლოოდ გამოუკეთა გუნება...

– ჰარი, – შესძახა ჰერმიონმა და ზურგს უკან რაღაცაზე ანიშნა, – ეს რა არის ფანჯარასთან?

ჰარი მიტრიალდა. რაღაც ძალიან პატარა და რუხი არსება მატარებლის ფანჯარასთან გაიელვებდა და ისევ ქრებოდა. ჰარი ფანჯარას მიუახლოვდა და პაწაწინა ბუ დაინახა, რომელსაც თავისზე გაცილებით მძიმე წერილი ჰქონდა გამობმული. ბუ ისეთი პატარა იყო, რომ მატარებლისგან მონაქროლ ჰაერში თავს ძლივს იკავებდა. ჰარიმ სასწრაფოდ ჩამოსწია ფანჯარა, ხელი გაიწვდინა და ბუ ისე დაიჭირა, თითქოს ძალიან ფუმფულა სნიჩი ყოფილიყოს. მერე ფრთხილად შემოიყვანა კუპეში. ბუმ წერილი ბიჭის სავარძელში დააგდო და გახარებული აქეთ-იქით ფრენას მოჰყვა. როგორც ჩანს, დავალების შესრულებით უსაზღვროდ კმაყოფილი იყო. ჰედვიგმა ამრეზით ახედა და ნისკარტი გააკაპუნა. ბომ ყურები დაცქვიტა, სტუმარს დაჟინებულ მზერას არ აცილებდა. რონმა ეს დროულად შენიშნა და ბუ უსაფრთხო ადგილას გადამალა.

ჰარიმ წერილი აიღო, ზედ მისი სახელი ეწერა. კონვერტი გახია და გახარებულმა შეჰყვირა:

– სირიუსის წერილია!

– მართლა? – ერთხმად აღმოხდათ რონსა და ჰერმიონს, წაიკითხე, – ხმამაღლა წაიკითხე!

„ძვირფასო ჰარი,

იმედია, ამ წერილს შენს ნათესავებთან ჩასვლამდე მიიღებ. დარწმუნებული ვარ ჯერ, რომ ბუს თმაცა მოეწონებათ.

მე და შაბერა ვიმალებით, მაგრამ ვერ გეცყვი, სად, რადგან შეიძლება, ეს წერილი სხვას ჩავარდეს ხელში. ამ ბუს მაინცდამაინც ვერ ვენდობი, მაგრამ ოყეთისი ვერ ვიშოვე, თანაც თვითონაც ძალიან უნდოდა წერილის წაძღოება.

დარწმუნებული ვარ, დედენცლარები ისევ მეძებენ, თუმცა ეს ვერ მომაგნებენ. ახალი გეგმა მაქვს, რომელიმე მაგის განზრახვა უნდა დავენახვო, ჰოგვარტსიდან ძალიან შორს, ანუ რომ, სკოლას დაცვას მოუხსნიან.

ყველა რაღაც მინდოდა მეთქვა შენთვის, მაგრამ ვერ მოვაბი თავი... „ელვა" მე გაჩუქე..."

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– აჰა! – მოზეიმე ხმით გამოაცხადა ჰერმიონმა, – ხომ ვამბობდი, ბლექის გამოგზავნილი იქნება-მეთქი!

– ჰო, მაგრამ დაწყევლილი ხომ არ ყოფილა? – ვალში არ დარჩა რონი და უცებ სიმწრისგან შეჰყვირა, რადგან ციცქნა ბუმ, რომელიც ხელზე ეჯდა და კმაყოფილი ღულუნებდა, სიყვარულით ჩაუნისკარტა თითში.

„ბომ ჩემ მაგვიკრძალა წასლა შეყვეთა ფოსტაში. შეყვეთის ბარათზე შენი სახელი მიგიფიქრე, მაგრამ შეგიფიგალე, ფეფლი გრინგოტსის 711-ე სეფდამილან ვალთა. ეს ჩემი სეფდამის ნომერია. შეგიძლია, „ელვა" ნათლისგან დაბადების დღის საჩუქრად ჩათვალო.

ძვეგ ბოდიშს გიხდი, რომ შეგაშინე იმ ლაქის, რომელა ბიძაშენის სახლიდან გამოიტანეს. ფიშალოდ, მინდოდა, სანამ ჩმდილოეთი წავიდოდი, შენთვის თვალი შემეგლო, მაგრამ მე მგონი, ჩემმა დანახვამ გვარიანად დაგაფრთხო. ამ წერილს თან ვფრთავ ყიდევ ერთ რალაცას. იმედია, მომავალ წელს ჰოგვორტსში ფეფი გარეთობ.

თუ ოდესმე დაგჭირდე, შემატყობინე, შენი ბუ ადვილად მიჰპოვის.

მალე მოგწერ.

სირიუსი

ჰარიმ სასწრაფოდ ჩაიხედა კონვერტში. შიგ კიდევ ერთი პერგამენტის ფურცელი იდო. სწრაფად ჩაიკითხა და ტანში ისეთი სითბო და კმაყოფილება ჩაეღვარა, თითქოს სულ ახლახან მთელი ბოთლი ბურბურახი დაელიოს.

„მე, სირიუს ბლეკი, ჰარი ჯეიმსის ნათლია, ძალ ფეფლებს ვაძლევ, შაბათ-კვირაობით ჰოგსმიდი მოინახულოს".

– დამბლდორი ამ ნებართვას მიიღებს! – სახე გაუბრწყინდა ჰარის და ისევ წერილს დახედა, – მოიცა, ჯერ არ დამთავრებულა...

„მე მგონი, შენი მეგობარი რონი ფარს ამ იცყვის და ბუს დაიცოვებს. ჩემი შარია, ვიცოდა რომ ალარ ჰყავს".

რონს თვალები გაუფართოვდა. პაწაწინა ბუ მხიარულად ღულუნებდა.

– დავიტოვებ? – შეეჭვდა რონი, ბუს ახლოდან შეხედა, მერე ჰარისა და ჰერმიონის გასაკვირად, ბოს ცხვირთან მიუტანა და ჰკითხა: – რას მეტყვი? ნამდვილად ბუა?

ბომ დაიკრუტუნა.

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– საკმარისია, მჯერა, – გამოაცხადა რონმა, – ჩემია, ვიტოვებ!

კინგს ქროსის სადგურამდე ჰარიმ უამრავჯერ გადაიკითხა წერილი. მაშინაც კი არ გაუშვია ხელიდან, როცა რონთან და ჰერმიონთან ერთად პლატფორმა 9 3/4-ზე გამოვიდა. ძია ვერნონი უისლებისგან მოშორებით იდგა და ჯადოქრების ოჯახს ეჭვის თვალით აკვირდებოდა. როცა ქალბატონმა უისლიმ ჰარი გულში ჩაიკრა, ძია ვერნონის ყველა ეჭვი გამართლდა.

– მსოფლიო ჩემპიონატის ამბებს გავარკვევ და დაგირეკავ! – გამოსძახა რონმა.

ამასობაში ჰარიმ ძია ვერნონისკენ გააგორა ჩემოდნებითა და ჰედვიგის გალიით დატვირთული ურიკა.

ძია ჩვეულებრივად მიესალმა:

– ეგ რა ჯანდაბაა? – შეუღრინა ცოლის დისშვილს და კონვერტზე ანიშნა, – თუ გგონია, რომ რაიმე ნაბართვაზე ხელს მოგიწერ, სასტიკად ცდები...

– არა, არა, – დაამშვიდა ჰარიმ, – წერილია, ნათლიაჩემისგან...

– ნათლიაო? – განრისხდა ძია ვერნონი, – შენ არავითარი ნათლია არა გყავს!

– როგორ არა, – გაეღიმა ჰარის, – ჩემი მშობლების საუკეთესო მეგობარი იყო. მკვლელობისთვის ციხეში იჯდა, მაგრამ ახლა გამოიქცა და მიმალვაშია. ჩემი ამბები აინტერესებს... აწუხებს... სულ მეკითხება, ხომ არავინ გჩაგრავსო...

ძია ვერნონს ელდა ეცა. ჰარიმ შესცინა და სადგურის გასასვლელისკენ გაემართა. ურიკაზე შემოდგმული ჰედვიგის გალია მხიარულად ჟღრიალებდა. ჰარის შარშანდელზე ბევრად უკეთესი არდადეგები ელოდა.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/